


*www.PDF.ChiaturaINFO.GE*

# სიმღერა ნიბელუნგებზე



*www.PDF.ChiaturaINFO.GE*

# სიმღერა ნიბელუნგებზე

თარგმანი გერმანულიდან - კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ამბავიპირველი.

კრიმჰილდეს სიზმარი.

1. საკვირველ ამბავს გადმოგვცემს გარდასულ დროთა საგები:  
ღირსეულ გმირებს ჰქონიათ მხნეობა თუ რა საქები,  
რა ცრემლები და გონდება, რა საზეიმო კრებანი,  
გულად რაინდთა ბრძოლებზე ისმინეთ საოცრებანი.

2. ბურგუნდიაში ჰყვოდა ასული კეთილშობილი;  
ქვეყნად იმაზე ლამაზი არ იქნებოდა შობილი.  
იწოდებოდა კრიმჰილდედ ეს ქალბატონი რჩეული,  
მრავალმა გმირმა შესწირა მას სიცოცხლე და სხეული.

3. იქ, იმ ქალწულის სურვილით ბევრი ვაჟკაცი დნებოდა,  
ბევრ გმირს იმისი ტრფიალი და ქმრობა ენატრებოდა.  
გვირგვინი ქალთა მოდგმისა ცოლად ვის არ ენება, -  
სხეულის მიმზიდველობას უმკობდა სულის მშვენება.

4. მას სამი მეფე უვლიდა, უამრავ განძთა მქონენი:  
მხნე გუნთერი და გერნოტი, რაინდნი თავმომწონენი,  
და გიზელჰერი, ჭაბუკი, მათებრი მტერთა მზვერავი.  
იგი და იყო იმათი, ისინი მისი მფარავი.

5. იყვნენ კეთილნი, ძლიერნი, კეთილშობილთა გვარისა;  
ემნელებოდათ მონახვა გმირების, მათის დარისა,  
ერქვა ბურგუნდი ქვეყანას, რომელსაც იყვნენ მცველები.  
შემდეგ მათ ეტყელს უჩვენეს ამბები საკვირველები.

6. რაინის ვორმსში ცხოვრობდა ეს სამი მეფე დიადი.  
ბევრი რაინდი ჰყქვდათ მათ მარდი და გულით ზვიადი,  
მუდამ მეფეთა წინაშე მცნობელი თვისი ვალისა,  
ვიდრე მოსპობდა შუღლი მათ ორი თავადის ქალისა.

7. დედას მათსა, მას ძლიერსა დედოფალსა ერქვა უტე,  
მამას დანკვარტ, ვის მდიდარი სამემკვიდრო ჰქონდა ბუდე.  
მოკვდა იგი და სამკვიდრო დაუტოვა თავის შვილებ -  
გმირთა მათთა გულოვანთა ჭირში, ლხინში ხელგაშილებს.

8. ეს სამი ძმა - სამი მეფე, როგორც უკვე იყო თქმული, მალისა იყვნენ სულის, მდიდარი და ძალმორჭმული, ქვეშევრდომად ჰყვანდნენ იმათ ვაჟკაცები, გმირთა დარნი, უდიდესი ძალისანი და ბრძოლაში უშიშარნი.

9. იყო ჰაგენ ტრონიელი, კუნთმაგარი, მსგავსი რკინის, ძმა იმისი, მარდი დანკვარტ, და მეტცელი მხნე ორტვინი; მარკვრაფები ორივენი - ეკვევარტ და გერე ქველი, ალცაელი ფოლკერ გმირი, მედგარი და უძლეველი.

10. მზარეულთა უხუცესი იყო რუმოლდ, შემძლე მკლავით,

ზინდოლდი და ჰუმნოლდ - მათაც დიდი ჰქონდათ საზრუნავი -. წესს იცავდნენ მეფეთ კარზე, ღრმა პატივის გამომსახველს. ბევრი იყო კიდევ გმირი, აქ ვერ ვიტყვი ყველას სახელს.

11. დანკვარტი იყო მარშალი, დამამშვენარი სეფისა, მისი ძმისწული ორტვინი იყო მესუფრე მეფისა. რჩეული ზინდოლდ მწდე იყო, ჰუნოლდი ხაზინადარი. მზრუნველი მეფის კარისთვის მათი არ ჩანდა სადარი.

12. კარის ღირსება იმათი, მხნეობა მათი გმირული, მთი მაღალი ღირსება, კაცობა პრიდაპირული, რასაც ისინი იჩენდნენ თავიანთ დღეთა დენითა, მთლად და ნამდვილად არ ითქმის აწ არაღავის ენითა.

13. ერთხელ ღამით ნაზ კრიმჰილდეს, ჩაძინებულს წყნარად, მშვიდად, ეზმანა, რომ ის შევარდენს, ძლიერსა და ლალსა ზრდიდა. დაინახა თავის თვალით: მას კორტნიდა ორბი ორი, არასოდეს მის გულს წყენა არ უგრძვნია ამის სწორი.

14. დედას უამბო კრიმჰილდემ სიზმარი, ძილში ნახული, მან მნიშვნელობა აუხსნა, ამგვარად გამოსახული: "ეს შევარდენი შენი, ჩანს, არის ჭაბუკი ქებული. დაილუპება, თუ ღვთისგან არ იქნა შეწყნარებული".

15. ჩემო დედავ, ეს ჭაბუკზე რა ვისმინე შენგან თქმული? მე არასდროს არ მსურს მივცე სატრფიალოდ რაინდს გული. სიკვდილამდე მინდა დავრჩე ლამაზი და ასე მშვიდი, რათა კაცის სიყვარულით არ შემემთხვეს წყენა დიდი".

16. "ნუ უარჰყოვ მას გადაჭრით", დედამ ასულს მისცა რჩევა, "თუ არ გინდა სიხარულის ქვეყანაზე შენთვის ლევა. ეს მოხდება, თუ ვერ ჰპოვე მამაკაცი გულის ტოლი. მხნე რაინდი მოგცემს ღმერთმა, შენც იქნები კარგი ცოლი".

17. "ამის გამო ნურას ვიტყვით, საყვრელო ჩემო დედავ; ზოგიერთი ქალის ბედზე აშკარად და ნათლად ვხედავ, რომ სიყვარულს ცხოვრებაში ენაცვლება ტანჯვა ავი, მსურს ორივეს განვერიდო, ავაშორო ხიფათს თავი".

18. და სიყვარულზე კრიმპილდე აღარ ფიქრობდა სრულიად, არვის უნახავს ქალწული ტრფობით გულდაისრულია, არავის რაცხდა კაცთაგან ქალი მეგობრად გულისა, ვიდრე არ გახდა მეუღლე რაინდის ღირსეულისა.

19. ეს იყო ის შევარდენი, სიზმარში რომ ქალსა ჰყვანდა, ხოლო სიზმარის განმარტება დედის მიერ ცუდი ჩანდა. მის ნათესავთ მოკვლა მისი დაუფასდათ სისხლის წყაროდ: ერთის გამო გახდა ბევრი სატირლად და სამწუხაროდ.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ო რ ე .

ზ ი გ ფ რ ი დ ი .

20. ნიდერლანდს იყო ნაზრდილი, ნახევრად სანატრი თვალისა. ძე მეფის ზიგმუნდისა და ზიგელინდ დედოფლისა. მისი სამკვიდრო ქალაქი მძლავრი იყო და ქებული, ქვემო რაინზე მდებარე, ქსანტენად სახელდებული.

21. ზიგფრიდი იყო ამ გმირის ყველგან განთქმული სახელი. რაინდი - მრავალ რაინდთა გამომცდელი და მნახველი. ბევრი უცნობის ქვეყნისა შემომლახველი თარეშით. რამდენი გმირი დახვდა მას ბურგუნდელების მხრეში!

22. საუკეთესო მისი დრო, დღეები ჭაბუკობისა, მისი გმირობა ღირსია ენამჭევრული მკობისა. პატივმოსილი, უტურფეს სახის და ტანადობისა, მრავალ მშვენიერ ქალთათვის მიმღები იყო ცნობისა.

23. ბუნებით კეთილშობილსა, ქველსა, ამაყსა, რიდიანს, მეფისწულს სახელოვანსა კრძალვით და ზრუნვით ზრდიდიან. რა მოიწიფა, იზარდა, გახდნენ მხილველი იმისა, ვით დაამშვენა სამკვიდრო, საბრძანებელი მამისა.

24. წამოიზარდა ისე, რომჯ სასახლის კარზე გასული, აჯადოებდა მხილველებს: ბევრი ლამაზი ასული. გულით ნატროდა მისსა იქ მალიმალ გამოჩენასა. თვითვე გრძნობდა, რომ იწვევდა იგი ყველაში ღზენასა.

25. ძვირად უშვებდნენ ცხენით მას, თუ არ მცველების თანხლებით. დედა ბრძანებდა, მოერთოთ სამოსით ახალ-ახლებით.

მის აღმზრდელებად ყოველგნით ბრძენები გამოეყვანათ,  
რათა მას ბრძნულად ემართა შემდეგ ხალხი და ქვეყანა.

26. და როდესაც იარაღის ყრმამან უკვე შეძლო ზიდვა,  
ყველაფერი, რაც უნდოდა, საკმარისად მისთვის იდვა,  
უკვე გულით დაემსგავსა სიყვარულით სავსე ფიალს.  
რა ქალი არ ინატრებდა მშვენიერი ვაჟის ტრფიალს!

27. ბრძანა ხელმწიფე ზიგმუნდმა თვისთა მოყმეთა ხლებანი:  
მსურს გავმართოთ გმირებთან სალხინო წვეულებანი.  
უცხო ქვეყნებსაც გაუჩნდათ ამ ამბის მოქმელი ენები,  
მან შინაურს და გრემეს სძღვნა სამოსი და ცხენები.

28. და სხვადასხვა კუთხეთაგან ყრმა ყოველი თავმომწონე,  
საკუთარი წარმოშობით ვინც უფლების იყო მქონე,  
რომ რაინდი გამხდარიყო, მოიწვიეს რიდით, კრძალვით.  
და ზიგფრიდთან ერთადე მათაც შემოარტყეს წელზე ხმალი.  
29. შეიძლებოდა, ამ ლხინზე რომ ბევრი რამა თქმულიყო:  
ნადიმი, ესდენ მდიდრული, აროდეს გამართულიყო.

ზიგელინდი და ზიგმუნდი ძღვენსა გასცემდნენ მრავალსა,  
ამიტომ ბევრსა ხედავდნენ სტუმარს, იქითკენ მრავალსა.

30. ზიგფრიდთან ერთად ოთახის ყრმა უნდა მოკაზმულიყო:  
ყველა ხელსაქმეს შეუდგა, რა ტურფა ქალი მუ იყო.  
მათ მეფისწულის წინაშე მოხდა სწყუროდათ ვალისა;  
მრავლად მოუხდდა მათ თითებს ოქროში ჩასმა თვალისა.

31. რომლითც სურდათ შემკობა გმირების სამოსელისა.  
ბრძანა მფლობელმა, საჯდომად დადგმა ზოგთათვის სელისა.  
დღისთვის, როს მზისა მოქცევის შეიქმნებოდა მნახველი,  
როდესაც უნდა მიეღო ზიგფრიდს რაინდის სახელი.

32. ბევრი მდიდარი ფარეში, მრავალი გმირი ცნობილი.  
ტაძარსა შიგან შევიდა მოკაზმულ-გამოწყობილი.  
ყრმებს მსახურებდნენ მოხუცი პატივით მეტისმეტითა,  
მოილხენდნენ და ხარობდნენ ახალგაზრდობის ჭვრეტითა.

33. როცა წირვის დროს გაისმა საგალობელი ხმიერი,  
ხალხში ჩოჩქოლი დაიწყო, შეხლა-შემოხლა ძლიერი:  
იქ რაინდებად იკურთხა გმირთა ახალი თაობა.  
და ყველას სურდა ენახა ეს ძვირი სანახაობა.

34. იქით ილტვოდნენ, სად ებათ მათ დარახტული ცხენები,  
ზიგმუნდის ეზოს მოედვნენ ყალყზე დგომით და ჭენებით.  
მუნ ეგზომ დიდი გამართეს თამაში მოსალხინები.  
რომ აზანზარდნენ გრიალით მეფის სრანი და ბინები.

35. მოხუცთა და ყრმათა შორის შეჯიბრება გაიმართა, იყო ხმალით შეჯახება, ლაწალაუწი შუბის ტართა, ჰაერს ფრეწდნენ ნამსხვრევები და ხვდებოდნენ სასახლესა. მუნ მჭვრეტელნი მათი ჭვრეტით განიცდიდნენ სიამესა.

36. დაშლას ბრძანებდა ხელმწიფე: წაასხეს მუნით ცხენები. გარს რიყესავით ეყარა დალეწილ ფართა ფენები. გაბნეულიყო მწვანეზე ძვირფასი თვლები თლილები, შეჯახების დროს ბრწყინვალე ფართაგან ამოყრილები.

37. განაწესრიგეს სტუმრები ირგვლივ სუფრისა გრძელისა, დაღლას უსპობდათ სიუხვე საჭმლისა გერმიელისა; უტკბესი ღვინით აღსავსე სასმისი სასმისს უძლოდა. პატივი დიდი მიაგეს შინაურთა და უცხოთა.

38. მრავალ გასართობს ყოველდღე ჰპოვებდნენ მხიარულები; მოხეტიალე მომღერლებს არ ასვენებდნენ სრულებით. მათ საჩუქრები უნდოდათ და კიდევ ასაჩუქრებდნენ, ამად ზიგმუნდის სამეფოს დიდ გულუხვობას უქებდნენ.

39. სტუმრების დასაჩუქრება მიწებით, ქალაქებითა,

ზიგფრიდს მიანდო მეფემან, აღვსილმა ხოტბა-ქებითა; ზიგფრიდმა თანატოლები მოხიბლა ძვირფას ძღვენითა, წვეულებს მაღლი გულისა ვერ გამოეთქვათ ენითა.

40. შვიდსა დღესა გრძელდოდა ეს სამეფო წვეულება. ზიგელინდმაც არ დააგდო ძველთაძველი ჩეულება -. ნიშნად შვილის სიყვარულის, უხვად გასცა საბოძვარი, დია, სწამდა: გულუხვობით ხალხთა გულის გახსნა კარი.

41. ბოლოს არ დარჩა ღატაკად არც ერთი მოხეტიალე; თვალს იტაცებდნენ მერნები და სამოსელთა სიალე, იქ ყოველივე სხვას მისცეს, რაიც ჯერ არვის სმენია; თითქოს საკუთარ სიცოცხლის მათ მისწურვოდათ დღენია.

42. დასრულდა ლხინი, მიეგო ყველას პატივი დიადი. შემდგომ ამისა ამბობდნენ ქვეშევრდომები ზვიადი, რომ სანატრელად უჩანს მათ ამ ყრმის წინაშე მონება: მაგრამ ამგვარი აზრისგან შორს იყო გმირის გონება.

43. ვიდრემდის მშობელ მეფეთა დღენი ვიდოდნენ დარებად, საყვარელ შვილსა არ სურდა მათი გვირგვინის ტარება. მაგრამ მზად იყო ქვეყნისთვის რომ აეცდინა ჭირები, თუ იხილავდა რომ სამტროდ ამხედრებულან გმირები.

ამ ბ ა ვ ი მ ე ს ა მ ე.

როგორ ჩავიდა ზიგფრიდი ვორმსს.

44. არ აწუხებდა სრულიად ბატონს სევდა და ნაღველი, შორითგან შორსა სმენოდა ბურგუნდელთ ქალის სახელი, ესოდენ სასურველისა, რომე ვერ იტყვის ენანი; მისგან შეემთხვა ჭაბუკსა ბევრი ლხენა და წყენანი.

45. მის მაღალ მშვენიერებას ყველგან ასხამდნენ ქებასა. ცნობილი იყო აგრეთვე, რომ სხვა ქალწულთა კრებასა. განერჩეოდა ის მუდამ ტურფა ზნითა და ქცევითა, მის გამო გუნთერს სტუმრობდნენ სტუმრები არ თუ წვევითა.

46. მრავალი იყო რაინდი მისი ქმრობისა მდომელი, მაგრამ კრიმჭილდეს არ სურდა მათგან არცა თუ რომელი; ვინც დაიპყრობდა ქალის გულს, ის ჯერ მას არა ხლებოდა, ჭაბუკი უცხო, ვინც მალე მას უნდა დაუფლებოდა.

47. ღრმა სიყვარულზე აზრობდა ძე იგი ზიგელინდისა, მეტოქეთათვის ადვილად მიმყენებელი ბინდისა; ვაჟს სანუკველად გაუხდა ქალი ესოდენ ცნობილი. მალე მას შერთეს კრიმჭილდე ტურფა და კეთილშობილი.

48. მეგობარნი და მოყმენი იყვნენ მრჩეველნი ამისა, ვაჟს სიყვარული შეეცნო მუდმივი, არა წამისა. და რომ ზიგფრიდსა არ ეგრძნო სირცხვილი არჩევანისა,

თქვა: "ცოლად მსურსო კრიმჭილდე, ქალი ალვისა ტანისა.

49. ბურგუნდელთ სამთავროშია ეს ახალგაზრდა ქალიო, თავისი უცხო მშვენებით ყველას მოსტაცა თვალიო: არ არის ქვეყნად არც ერთი ისე მძლე კაიზერიო, რომ ის დედოფლად არ იქმნეს მისი ღირს-შესაფერიო".

50. თვითონ ზიგმუნდსაც სმენოდა ქება არდანაქადები; თავის ყმათგან შეიტყო ზიგფრიდის გულისნადები. მეფე შეწუხდა, შეიქმნა ამა ამბითა ვნებული: ქალი არ სურდა, ვაჟისთვის, ესოდენ წარჩინებული.

51. ეს ზიგელინდმაც გაიგო, სახე გახევდა დედისა, არ სურდა გადაკიდება ამ სახიფათო ბედისა. გუთნერს და იმის მოყმეებს სცნობდ და გულში ხვდებოდა, რომ ეს მოყვრობა იაფად ზიგფრიდს არ დაუჯდებოდა.

52. თქვა აქ ლომგულმა ზიგფრიდმა: "მამავ, მისმინე თხრობილი, -.

კრიმპილდეს გარდა, სხვა ვინმე არ მინდა დედის შობილი;  
ჯობს, რომ სრულიად ავილო ცოლის შერთვაზე მე ხელი,  
რაც უნდა მითხრათ, მე მაინც დავრცები გაუტეხელი".

53. მამამ მიუგო: "სხვა გზისა თუ დახშულია კარები,  
მივესალმები შენს სურვილს, რაც ძალმიძს დაგეხმარები.  
მაგრამ იცოდე, რაინდნი მოჭირნე, მოამაგენი.  
ბევრი ჰყავს მეფე გუნთერსა, და აი თუნდაც ჰაგენი:

54. გმირი გოროზი, მომხმარე მარჯვედ ხმლისა და ფარისა,  
მცველია დიდთა პატივთა იგი სამეფოს კარისა,  
და მე ვიშვიში, არ გახდეს საბაზად შავ ხიფათისა.  
მათი მოყვრობის სურვილი, თხოვნა ქალისა მათისა".

55. ზიგფრიდმა ჰკადრა: "არ ვიცი, აქ საშიში რამ თუ არის,  
ჩემს მეგობრულსა თხოვნაზე თუ რომ მივიღე უარი,  
ვინმლო რომ ბრძოლით დავიპყრო, ისმინეთ ჩემი თქმანია,  
როგორც გუნთერის ქვეყანა, ისე იმისი ყმანია".

56. მეფემ მიუგო: "მაწუხებს შენი სიტყვა და წადილი:  
თუ გახმაურდა რაინზე ეს შენი დანაქადილი,  
გუნთერს და გერნოტს რომ ვიცნობ, უნდა გაუწყონ წყენითა,  
მათ მიწა-წყალზე შემდეგ შენ ველარ გაივლი ცხენითა.

57. გაგონილი მაქვს, არა მსურს დაფარვა დაუფარავის,  
ძალით კრიმპილდეს წაყვანა, ვიცი, არ ძალუძს არავის;  
მაგრამ რაინდთა თანხლებით თუ მაინც წასვლა გწადიან,  
მყის მეგობარნი ერთგულნი სამგზავროდ განემზადიან".

58. "არა მაქვს გულში სურვილად", ჰკადრა ზიგფრიდმა თნევიტა,  
"გავლა რაინის მხარეზე ლაშქრობითა და რბევიტა.

არ მინდა, რომე სასიძო ვიდოდე სპათა კრებითა.  
და მოვიპოვო ქალწული მე მათი დახმარებითა.

59. სატრფოს ვეუფლო - იმედი მაქვს საკუთარი მკლავისა.  
თორმეტ ტოლ ვაჟკაცს წავიყვან, როგორც მსურველი ზავისა,  
თქვენ კი აქ შველას გენუკვით, მშობელს ტკბილს და ამოსა".  
და მის ამაღას აძლწევდნენ ჰრელსა და რუხსა სამოსსა.

60. რა ესმა ესე ზიგლენდს, იწყო ურვა და გოდება:  
გული მშობელი დედისა ტკივილით დაიკოდება.  
შიშობდა ვაჟის დაკარგვას გუნთერის ჯარის წყალობით,  
ამიტომ ცრემლი სდიოდა დეოდფალს მალიმალობით.

61. მაშინ მწუხარე დედასთან თვითონ ზიგფრიდი წავიდა.  
და მოახსენა შემდეგი, დაბლა დახრილი თავითა:



"ჩემი გულისთვის, გთხოვ ამას, ნუ გდის ცრემლისა ღვარია,  
მე მათი ჯარის წინაშე ვიქნები უშიშარია.

62. მხოლოდ ბურგუნდში სამგზავროდ თქვენგან მჭირდება შველანი;  
უნდა შეგვმოსოთ იმგვარად იქ მიმავალნი ყველანი,  
როგორც ეს შეეფერება ჭაბუკ რაინდებს პირველსა.  
და ამის გამო მიხილავთ მუდამ მადლობის მწირველსა".

63. დედამ მიუგო: "თუკი ვერ გადაგარწმუნებს კაციო,  
შენს გამგზავრებას მივიჩნევ მე საზრუნველად აწიო.  
ისეთს სამოსით შეგმოსავთ, რომ არა სცემდეთ სხვებსაო:  
უხვად აგავსებთ უნჯითა შენა და შენსა მხლებლებსაო".

64. თავი დადრიკა მადლობით ვაჟმა წინაშე დედისა:  
"ტოლ-ვაჟთა წამყვანი მე არ ვარ თან მე თორმეტზე მეტისა;  
შემიმოსენით ისინი სამოსით მშვენიერითა.  
აჰ, ნეტავ როდის დავტკბები ამაყ კრიმჰილდეს ცქერითა!".

65. და ისხდნენ გაბმით დღედაღამ პირმშვენიერი ქალები:  
არ ისვენებდნენ, არც ერთსა არ მოუხუჭავს თვალები,  
ვიდრე ჭაბუკთა სამოსის მზადება მთლად არ დასრულდა.  
მას გადადება ამ საქმის და დაყოვნება არ სურდა.

66. მამამ უბრძანა მოკაზმვა რაინდულ ტანსაცმელითა.  
და გამგზავრება ღირსთა მათ მშობლიურ მთით და ველითა.  
უკვე მზად იყო ელვარე ჯავშნები, მუზარადები,  
ფრთალონიერი ფარები, რაინდთა შესაფერები.

67. აჰა, გავიდა საგზაოდ გოლიათების ყრილობა.  
ქალსა და კაცსა დაეტყო მის გამო დაღრეჯილობა:  
ელირსებოდათ თუ არა იმათი ნახვა მრთელისა?  
უბრძანეს დაკვრა ცხენებზე სამოსელ-საჭურველისა.

68. თვალს იტაცებდნენ ოქროთი ტანდარახტული მერნები.

ქვეყნად ვინ იამაყებდა მათზე უმეტეს მშვენებით?  
გამოეთხოვა ზიგფრიდი მშობლებს და მშობელ არესა.  
და გაემართ ამალით ბურგუნდელების მხარესა.

69. დაემშვიდობნენ ტირილით მეფე და დედოფალია.  
მაგრამ იმედის მიცემა მათთვის ზიგფრიდის ვალია;  
ალერსიანი სიტყვებით იგი მათ ეხმატკბილება:  
"არ არის ჩემზე საჭირო გლოვა და ცრემლთა დინება".

70. ვაჟნიც დაღონდნენ. მრავალი ქალი ცმრელებად დნებოდა;  
ჩანდა, მისანი გული მათ წინასწარ ეუბნებოდა,  
რომ მეგობრების სიკვდილი მალე მორთავდა შავითა;

აი, ამიტომ ტიროდნენ დაბლა დახრილი თავითა.

71. მეშვიდე დილას ვორმისკენ მიისწრაფოდნენ გმირები, ოქრონაკერი სამოსის ელავდნენ გულისპირები. ოქროსი იყო აგრეთვე ლაგმები, უნაგირები; ცხენები ნაზად ვიდოდნენ ხლტომით და ყელთა ღირებით.

72. სხივებს აფრქვევდნენ ახალი მუზარადები, ფარები, როცა იმათ წინ განიხვნენ გუნთერსი ქვეყნის კარები. ჯერ არ ენახა არავის ასე მორთული ამალა. და განცვიფრება ნახულით იქ ველარავინ დამალა.

73. მათ დეზებამდე სწვდებოდათ ხმალთა ნალესი წვეტები. წვერწამახული შუბების ზე აეყარათ სვეტები. ზიგფრიდის ხმალი, სიგანით ორი დადება ხელისა, ბასრი იყო და ფხიანი ისე, ვით პირი ცელისა.

74. ჰქონდათ ლაგმები აღვიდთა ოქროსი მთლად ბითუმისა, სამკერდულები ცხენათვის ქსოვილისა აბრეშუმისა. კაცნი და ქალნი ქუჩებში იმათი მზერით ტკბებოდნენ, და წინ გუნთერის მოყმენი პატივით ეგებებოდნენ.

75. მეფის რაინდნი ყმებითურთ, მაამებელნი თვალისა, შეხვდნენ ბატონებს - ეს იყო მოხდა მართებულ ვალისა. სალამი მისცეს მოსულებს თავის ხელმწიფის მხარეში; ცხენსა და ფარსა ართმევდა თითოს იქ თითო ფარეში.

76. ლამობდნენ დასასვენებლად მათი ცხენების წაესხათ, მაგრამ მსახურებს მყისვე ლომი ზიგფრიდის ხმა ესმათ: "არა, არ არის საჭირო, აქვე დატოვეთ ცხენები, რადგან სულ მალე მივდივართ, ცოტა ხნით შენასვენები".

77. თან გულითადად ეტყოდნენ რაინდი ანაჩქარები: "ოღონდ მაუწყეთ, ამას გთხოვთ, მით დიდად დამეხმარებით, - ბურგუნდელთ მეფე სად ვნახო, გუნთერი მრავალყმიანი?". ვინცა იცოდა, წარსდგა და პასუხი გასცა ხმიანი:

78. "თქვენ მეფე გნებავთ იპოვნოთ? ძებნეთ არ დაილალებით:

წელან იმ დიდსა დარბაზში ვიხილე ჩემი თვალებით, შემოჯარული გარშემო უძლიერესი გმირებით; მას თან ახლავენ მაღალი, წარჩინებული პირები".

79. ცნობა მისვლოდა მეფესა, რომ ვიღაც უცხო ვაჟები, სასახლის კარსა მოადგნენ, მხნენი და გულით ვაჟები, უძვირფასესი სამოსით, ბრწყინვალე საჭურველითა, არვის უნახავს ბურგუნდელს დღემდე ისინი თვალითა.

80 "საიდან გაჩნდა", კითხულობს გუნთერი განცვიფრებული,  
"ტურფა ჩაცმული ვაჟების ეს საკვირველი კრებული,  
მუზარადებით ახლითა, ახალი ფართო ფარებით?".  
და რომ ვერ უთხრეს, კაემანს გაუღო გულის კარები.

81. მეფეს პასუხით წარუდგა წინ მხნე ორტვინი მეტცელი:  
"რაკი იმათი შეცნობა ჩვენ აქ ვერავინ შევძელით,  
კაცი გავგზავნოთ, ვაუწყოთ ბიძასა ჩვენსა ჰაგენსა,  
მოვიდესა და შეხედოს იმათ ტანსა და სახესა.

82. ცნობილი არის იმისთვის უცხო სამეფო ყოველი,  
და ამ ბატონთა შეცნობას მხოლოს იმისგან მოველი".  
მეფემ უბრძანა, მოეხმოთ იგი თავისი ამალით.  
და, აჰა, ისიც გამოჩნდა სვლით გულზვიადით და მალით.

83. "რას მიბრძანებთო", ჰკითხა და პასუხს ელოდა მდუმარი.  
"მე სასახლეში მეწვია რაოდენიმე სტუმარი.  
არავინ იცნობს მოსულებს და ის გამიხდა სანანი.  
ეგებ შენ სადმე გენახოს გმირები ამისთანანი?".

84. "მოგეხსენებათ, თუ ვიცანი", დასარკმელთან მიდგა იგი,  
თვალთახედვას უამებდა რაინდების ტურფა რიგი.  
მოეწონა ჰაგენს მათი სამოსელი, საჭურველი,  
თუმცა რაინდს დღემდე არსად არ მოეკრა მათთვის თვალი.

85. მოახსენა: "აქ მოსულნი, ვინც არ უნდა იყვნენ ყრმანი,  
ან თავადნი იქნებიან, ან ელჩები თავადთანი.  
ლამაზია ჩაცმულობა და მერნები მათი მალნი;  
რა გზითაც არ უნდა ევლოთ, გმირნი ჩანან სულმაღალნი".

86. კვლავ განაგრძობდა ჰაგენი, ქვეყნების შემომლახველი:  
"თუმცა რაინდის ზიგფრიდის არსად არა ვარ მნახველი,  
ის უნდა იყოს აგერ იქ, მაინც მე ასე მგონია.  
იგი, ზვიადი, მათ შორის ყველაზე მოსაწონია.

87. ბევრ ახალ ცნობას გადმოგვცემს: მან საკუთარის მარჯვენით.  
ნიბელუნგები შემუსრა, გულით მხნენი და მარჯვენი -.  
ნიბელუნგი და შილბუნგი მდიდარი მეფის ძენია.  
მას სასწაული გმრობის მრავალი მოუვლენია.

88. გამიგონია, რომ ერთხელ მარტო მგზავრობდა ისაო,

მცველთ მოკლებულმა იხილა წინაშე ერთი მთისაო.  
ნიბელუნგების საუნჯის გარშემო კრება გმირთაო;  
ის იქ პირველად გაეცნო მისთვის ამ უცხო პირთაო.

89. საუნჯე ნიბელუნგისა გაეღოთ მთისა ქვაბიდან.

ყური დაუგდეთ, რასა სცნობთ ამ საკვირველი ამბიდან:

ნიბელუნგების ქონებას იყოფდა გმირთა კრებული.

ამის მნახველი ზიგფრიდი შეიქმნა განცვიფრებული.

90. მათ რაინდი ისე ახლოს მიადგა, იქ მიმავალი,

რომ იხილა ისინი, და მათაც მოჰკრეს ზიგფრიდს თვალი. იცნო

ერთმა და წარმოთქვა: "ნიდერლანდელს ვხედავ გმირსა".

გარდევინა მათთან ერთად იგი ამბებს გასაკვირსა.

91. ნიბელუნგი და შილბუნგი, პატივითა და რიდიტა,

წინ მიეგებნენ რაინდსა სათხოვართა დიდითა -

სთხოვეს, გაუყოს უფლისწულთ საუნჯე მათ წინ დებული,

და არ მოეშვნენ, ვიდრემდის არ ნახეს დათანხმებული.

92. ნახა მან რიყე თვალისა, განძი უზომო, ულევნი,

ვერა ზიდავდა ტვირთსა მას ასი ვეება ურემი.

წითელი ოქრო სხვა ნივთებს სჭარბობდა შუქთა მთოველი;

და ზიგფრიდს უნდა გაეყო საუნჯე ესე ყოველი.

93. ლომგულ ზიგფრიდსა მიაართვეს ძღვნად ნიბელუნგის ხმალია,

მაგრამ მათ საუბედუროდ გახდა ის მოსახმარია.

მეტად უმძიმდა რაინდსა გაეყო ლარი დებული;

ამაზე გმირებს შეექმნათ გუნება გაანჩხლებული.

94. მათ მეგობარი თორმეტი, გოლიათები ყველანი,

თან ახლდა, მაგრამ ამო იყო იმათგან შველანი.

მსხვერპლი შეიქმნენ ისინი ხელმქმნილი ზიგფრიდის მკლავისა,

და ნიბელუნგთა შვიდსა გმირს ხვდა იქ დადება თავისა.

95. მუსრი გაავლო მათ რიგებს ხმალმა, ბალმუნგად ხმობილმა.

მაშინ მრავალმა ჭაბუკმა, შიშისგან გულშეკრთობილმა,

რომ აეცდინა თავიდან რისხვა მოყმისა და ხმალისა,

მყის გადაწყვიტა დათმობა სამეფო მიწა-წყალისა.

96. თანაც მდიდარ მეფეებსა მან ოირევე მოსჭრა თავი.

ალბრიხისგან ამის გამო გასაჭირი ნახა ავი.

მასზე შურის მაძიებელს არა სურდა ალბრიხს ზავი.

ვიდრე თვით არ გამოსცადა მხნე ზიგფრიდის მაჯა, მკლავი.

97. ძლიერმა ჯუჯამ ვერ შეძლო გამკლავებოდა ძალითა,

მთას მიაშურა ორივემ ლომებრ, სირბილით ძალითა,

სადაც ზიგფრიდმა მოსტაცა მას რიდე უჩინმაჩინის.

ნიბერლუნგების საუნჯეს დაეპატრონა მაშინ ის.

98. ვინც გაბედა ბრძოლა მასთან, ძირს ეყარა ყველა მკვდარი.

უბრძანა, რომ გადეტანათ ხელმეორედ მთაში ლარი,  
საიდანაც იყო იგი იმათ მიერ განაზიდი.  
მუნ მოლარედ დანიშნა მან კვლავ ალბრიხი, გმირი დიდი.

99. რომ ზიგფრიდის სამსახურში ერთგული და მონა მტკიცე.  
იქნებოდა სამუდამოდ, მან ამაზე დადო ფიცი".  
მოუთხოვდა ამას ჰაგენ: "ესე საქმე ქმნაო გმირმა,  
ვისი მსგავსი ძალ-ღონითა სხვა არ იცის ქვეყნის პირმა.

100. ამბავი გმირის შესახებ ერთი სხვაც გამიგონია:  
თურმე საშინელ ურჩხულთან მას დიდი ბრძოლა ჰქონია.  
მოუკლას იგი, მის სისხლში სხეული გაუბანია.  
უწყვლადი არის მას შემდეგ მისი რქოვანი კანია.

101. გვიჯობს კეთილად დავუხვდეთ - ასეთს ვიძლევი რჩევასა, -  
ვერიდოთ მოყმის გუნების ჩვენს მიმართ ცუდად ქცევასა,  
ის ძლიერია და მუდამ ჯობს მეგობრობა ასეთთან,  
ქვეყნად საგმირო საქმენი მან არა ერთგზის დათესა".

102. შემდეგ თქვა მეფემ ძლიერმა: "შენ მართალს ამბობ, ცხადია:  
აი, შეხედეთ, თითქოს ის ომისთვის განამზადია,  
თავის ამალით იმგვარად დგას ამაყი და ზვიადი.  
დაბლა ჩავიდეთ, პირისპირ ვიხილოთ გმირი დიადი".

103. "ძალგიდთ", მიუგო ჰაგენმა, "რიდი არ გმართებსთ ამისა,  
უფლისწულია, მე არის ტახტზე მჯდომარე მამისა.  
ღმერთმა უწყოდეს სისწორით, ხოლო მე ასე მგონია,  
მცირე საქმისთვის აქ მოსვლა იმას არ მოუგონია".

104. "კეთილი იყოს", თქვა მეფემ, "ჩვენთან სტუმრობა გმირისა,  
როგორც მასმინე, მაღალი, წარჩინებული პირისა;  
მას ბურგუნდშიაც ღირსება დაუფასდება ყოველი".  
და გაემართა იქ, სადაც ზიგფრიდის იყო მპოვნელი.

105. მიეგება მასპინძელი და მიიღო მოყმე იგი.  
მანაც აგრეთვე არ დააკლო, რაც ზრდილობის იყო რიგი:  
დაიხარა მის წინაშე, ეთაყვანა მეფეს ლომი.  
მოწიწებით ჩანდა იგი რაინდების წრეში მდგომი.

106. თქვა მეფემ: "ზიგფრიდ მაღალო, ვარ მეტად განცვიფრებული:  
რამ მოგიყვანა ამ ქვეყნად, რა გზებითა ხართ რებული,  
ან ამ რაინის ვორმსშიგან რას ეძებთ სხივთამფინარი?".  
ზიგფრიდმა უთხრა: "თქვენს მიერ არს ესე მოსასმინარი:

107. ჩემი მშობელი ხელმწიფის საბრძანებელში მსნენია,  
ვითომც რაინდნი, ყველაზე უშიშარნი და მხნენია,  
სასახლის კარზე გყოლიათ გარშემო შემოჯარული.

მათ ნახვად მოველ - ჰა, ჩემი სურვილი არ დაფარული.

108. ბევრჯერ უქიათ აგრეთვე თქვენი მკლავი და იერი.  
არ ნახულაო, ამბობენ, სხვა მეფე თქვენებრ ძლიერი.  
კიდეთ კიდემდე გაისმის თქვენი ქება და დიდება.  
ვარ მე მსურველი პირადად გავიგო ჭემმარიტება.

109. თვითონ გმირი ვარ, გვრიგვინი თავზე მაქვს დასადგმელია.  
და ვინატროდი გულით მე, თქვენ იყოთ მისი მთქმელია,  
რომ შემძლია მეფობა დიდთა მეფეთა დარადა.  
თავსა და პატივს საკუთარს დავდებ აქ საწინდარადა.

110. როგორც ამბობენ, იმგარის გმრობის თუ გაქვთ უნარი,  
არ ვეძებ, თქვენთვის რა არის მოსაწონ-დასაწუნარი, -  
მსურს მოვიპოვო ხმლითა მე, რაც თქვენ გეკუთვნით, ყოველი:  
თქვენის ხალხის და ქვეყნისგან მე მორჩილებას მოველი".

111. მეფე და იმის გარშემო მდგომარე მოყმეთ კრებული.  
ამ უცნაურმა სურვილმა გახადა განცვიფრებული:  
ვით განუზრახავს დაპყრობა გმირს მიწა-წყლისა მათისა?  
არისხებს მეფის რაინდებს მოსმენა მოკამათისა.

112. მაშინ გუნთერმა წარმოსთქვა: "დავიმსახურე მე ვითა.  
ყველაფრის იმის დაკარგვა სხვისის ჯობნით და ძლევითა,  
რის ფლობის ნება მამაჩემს ძველთაგანვე ჰქონია?  
ამით ჩვენ დავამტკიცებდით ცუდ რაინდობას, მგონია".

113. კვლავ იტყვის ზიგრიდ: "არ ძალმიძს მე აქ დათმობა ამისა:  
შენ ძალით უნდა დაიცვა სამკვიდრებელი მამისა,  
თორემ დამრჩება იგი მე; ხოლო ჩემს მემკვიდრეობას.  
შენ დაეუფლე, თუ შენი მკლავი გვიჩვენებს მძლეობას.

114. შევუფარდოთ ჩვენ ერთმანეთს საკუთარი მიწა-წყალი,  
და ჩვენს შორის ვინც იჩინოს მეორეზე მეტი ძალი,  
დაემონოს იმას ხალხი და ქვეყანაც კიდით-კიდევ".  
ეს ჰაგენმა იუარა და გერნოტმა მასთან კიდევ.

115. თქვა გერნოტმა: "მისწრაფება ჩვენ არა გვაქვს ისე მცდარი,  
სხვა ქვეყნების დაპყრობისთვის რომ დაეცეს ვინმე მკვდარი.  
გმირთა ხელით: მიწა-წყალი გვაქვს მრავალი და მდიდარი.  
ქვეშევრდომთაც სხვა პატრონი არვინ უჩანს ჩვენი დარი".

116. ხოლო მისი მეგობრები ბრაზდებიან იქვე მდგომი,  
და მათ შორის მხნე ორტვინი, მედგარი და გულით ლომი,  
წარსდგა სიტყვით: "მმაგს ამგვარი თათბირი და გამორჩევა:  
ჩვენ ხომ გვესმა ზიგფრიდისაგან უმიზეზოდ ომში წვევა?!

117. თქვენ და თქვენს ძმებს რომ არ გყავდეთ ჩემს გარდა არც ერთი მცველი,

მაშინაც კი, თუნდ თან ახლდეს მას ხელმწიფის ჯარი მთელი,  
მე პასუხის გასაცემად შევებმებოდი კიდეც მაინც.  
მაქვს იმეი, ზვიადობის ვანანებდი ლომგულ რაინდს".

118. გაწყრა მეტად ამის გამო ზიგფრიდ მოყმე გულფიცხელი:  
"ვით ეტგების, რომე ჩემზე აღიმართოს შენი ხელი?  
მე მდიდარი ხელმწიფე ვარ, შენ კი მეფის ყმათაგანი;  
თუნდ თორმეტიც რომ შემეხას, ვერას მიზამს შენი მგვანი".

119. მხლებლებს უბრძანა მეტცელმა მოტანა ხმლისა მჭრელისა, -  
იგი ხომ იყო დისწული, ჰაგენის ტრონიელისა.  
სწყინდა მეფეს, რომ ჰაგენი სდუმდა იქავე მდგომელი.  
დადგა მათ შუა გერნოტი მხნე და მკლავდაუშრომელი.

120. მან მეტცელ ორტვინს მიმართა: "ანელე სიფიცხენია,  
ამისი მსგავსი ჩვენს მიმართ ზიგფრიდს რა ჩაუდენია?  
იქნებ მოვრიგდეთ კიდევაც, - თათბირი დამეჯერბა -  
მეგობრად გვყვანდეს ჩვენ იგი, ეს უფრო შეგვეფერება".

121. თქვა ჰაგენმა მაშინ: "მართლაც ეს საწყენი ჩვენთვის არი,  
რომ რაინზე მოდგა იგი, ვით მტერი და მოჩხუბარი.  
რად იქცევა ის ამგვარად? ჯობს, განზრახვა დათმოს მრუდი.  
მას ხომ ჩემთა ბატონთაგან არ ჰქონია შეყრა ცუდი?".

122. მაშინ ძლიერმა ზიგფრიდმა კვლავ აღიმალა ხმანია:  
"თუ თქვენ, ბატონო ჰაგენო, არ მოგწონთ ჩემი თქმანია,  
მსურს მკლავის ძალა გიჩვენოთ, თქვენ მიერ არნახულია,  
რომ შევასრულო ბურგუნდში, რაც ჩემგან განზრახულია".

123. თქვა გერნოტმა: "მაქვს იმედი მე ხიფათის აცდენისა".  
აუკრძალა ლაპარაკი მან ყოველსა ყმასა თვისსა,  
რადგან საქმეს წაახდენდა კადნიერი სიტყვა მათი.  
მხნე ზიგფრიდსაც მოაგონდა კვლავ ქალწული იგი მნათი.

124. თქვა კვლავ გერნოტმა: "ნეტა რას მივაღწევთ თქვენთან.  
ჩხუბითა?  
თუნდ შეიმუსროს მრავალი ვაჟკაცი ხმლით და შუბითა,  
მაინც რა სახელს მოვიხვეჭთ ბრძოლით არ თანასწორითა?".  
მის საპასუხოდ მზად იყო გმირი მოსული შორიდან:

125. "რისთვის ყოყმანობს ჰაგენი და ან ორტვინი მეტცილი?  
მათ მეგობართა მრავალთა არის ეს მხარე შემცველი.  
რად მეკრძალვიან, რად აკრთობთ მათ ხმა ომსიგან წვევისა?".  
არ უპასუხეს, თანახმად მეფე გერნოტის რჩევისა.

126. "კეთილი იყოს", გაისმა ხმა ნორჩის გიზელჭერისა,  
"აქ მოზრძანება თქვენი და თანამხლებლების თქვენისა.

ტოლ-მეგობრებით სამსახურს გაგიწევთ სავსე ლხინითა".  
დაიწყო გამასპინძლება მეფე გუნთერის ღვინითა.

127. მაშინ თქვა ქვეყნის მფლობელმა: "რაც ჩვენ გვეკუთნის, ყოველი.  
გვთხოვეთ ზრდილობით და მყისვე გახდებით მისი მშოველი.  
ჩვენს ქონებას და სისხლსაც კი გაგიზიარებთ მთლიანად".  
ამან გუნება ზიგფრიდსა ცოტათი გაუმზიანა.

128. ბრძანეს შენახვა სტუმართა ყოველგვარ საჭურველისა,  
დაიწყეს ბინის მოძებნა უტურფესისა და ვრცელისა.  
დააბინავეს კარგად მუნ ზიგფრიდის მხლებელი,  
და უცხო გმირის სტუმრობა გაუხდათ საამებელი.

129. პატივს არ ლევდა გალევა მრავალი დღე და ღამისა,  
ათასჯერ მეტი პატივის, ვიდრე თქმა ძალმიძს ამისა.  
დაიმსახურა ეს იმან გმირობით რაინდულითა;  
ძვირად თუ ვინმე უცქერდა იმას ბოროტი გულითა.

130. თუ გასართობს გამართავდნენ მეფენი და მათნი ყმანი,  
გამორჩევით ჩანდა მისი სიტურფე და მშვენებანი.  
იგი ისე მძლავრი იყო, რომ არ ჩანდა მისი ტოლი:  
იქ ის ყველას აჭარბებდა შუბისა თუ ქვის გასროლით.

131. ზოგჯერ, თანახმად სამეფო კარის ზნე-ჩვეულებისა,  
ქალთა წინაშე ჩნდებოდა რაზმი მხნე რაინდებისა.  
ნიდერლანდელი ბატონის მჭვრეტელი ჭვრეტით ბნდებოდა,  
მის გონებას კი მაღალი ტრფიალი დაუფლებოდა.

132. ის მზად იყო ყველაფრისათვის, წამოწყება რისიც სურდათ.  
ჯერ უხილავ ქალწულთათვის სიყვარულის ცეცხლით ხურდა.  
გული მისი; და ქალწულიც ვაჟის ტრფიალს დაემონა,  
ვის შესახებ მას ფარულად ბევრი კარგი გაეგონა.

133. სასახლის კარზე როდესაც მოლხენითა და შვებითა.  
ფარიკაობას იწყებდნენ რაინდნი ფარეშებითა,  
თვალს ადევნებდა სარკმლიდან კრიმჰილდე, მეფის ასული;  
მის გულს სიამით ავსებდა ყოველი წუთი გასული.

134. და რომ სცოდნოდა, კრიმჰილდე თუ მისი მზერით სტკბებოდა,  
მაშინ ჭაბუკის გულიც ხომ სიამით აღივსებოდა.  
მჯერა, თუ დაინახავდა ქალს მეთვალყურეს იქ რიდით,  
უკეთეს ბედნიერებას არ ინატრებდა ზიგფრიდი.



135. რაინდებთან ერთად ოდეს მას გართობა სურდა კარის.  
ლალობდა და თამაშობდა (ეს ადათი ახლაც არის),  
ზიგელინდის ვაჟი ისე ტურფად ჩანდა სხვევთი მდგომი,  
რომ იქ ბევრი ქალთაგანი მისი იყო მალვით მდომი.

136. იგი ფიქრობდა ხანდახან: "კეთილშობილსა ქალსაო,

როდის იქნება, ნეტავი, სადმე მოვკრავდე თვალსაო.  
გულით მიყვარს და ვერ შევძელ როგორმე ერთხელ ვნახოო,  
ეს არის ჩემი სანაღვლო და ჩემი სავაგლახოო".

137. თუ სამფლობელოს მოვლისთვის სამგზავროდ აიშლებოდნეს.  
სამნი მეფენი, თან იმათ რაინდნი უნდა ხლებოდნენ.  
მათთან ვიდოდა ზიგფრიდიც; ქალი მით მოიწყინებდა.  
მისი ტრფიალით ჭაბუკიც რამდენჯერ ნაღველს მინებდა!

138. ატარებდა დროს ამგვარად, მართალია ჩემგან თქმული,  
ის გუნთერის ქვეყანაში წელიწადი ერთი სრული,  
და ერთხელაც არ ეხილა სანატრელი მისი პირი,  
ვის გამოც მას გარდახდება სიამეც და დიდი ჭირიც.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე.

როგორ ებრძოდა ზიგფრიდი საქსებს.

139. მაშინ გუნთერის სამეფოს, შორი ტყითა და ველებით,  
უცხო ელჩები მოადგნენ ცნობებით საკვირველებით.  
ამბავს უთვლიდნენ უნცობი, მტრობით აღსავსე გმირები.  
ავად უჩანდათ მსმენელებს იმათგან დანაპირები.

140. მინდა, რომ დაგისახელოთ ეს რაინდები ქებული:  
ერთი ლუდეგერ - საქსების ქვეყნებზე გამეფებული,  
მასთან დანიის ხელმწიფე, ლუდეგსტობით ხმობილი.  
ლაშქარი ჰყავდათ მათ დიდი, ომშიგან გამოწრთობილი.

141. აი, იმათი ელჩები კარზე მოადგნენ გუნთერსა;  
არ თუ მოყვარეს - ისინი წარმოეგზავნა მუნ მტერსა.  
ჰკითხეს მოსულებს: ვინ იყვნენ ან მთქმელნი იყვნენ რისანი;  
შემდეგ საჩქაროდ უჩვენეს კარნი მეფეთა სრისანი.

142. "დიდება თქვენს მობრძანებას!" - მიესალმა მეფე ზრდილი,  
"მე არ ვიცი, ვინ ბრძანდებით, ან ვისგან ხართ მოგზავნილი.  
გთხოვთ მაუწყოთ", - უთხრა მეფემ და მრისხანე თვალი ჰკიდა.  
მბრძანებელის სიმკაცრემან შეაძრწუნა ელჩნი დიდად.

143. "გთხოვთ, ბატონი, ნება მოგვცეთ, შევასრულოთ, რაც გვდევს.

ვალად,  
გვაქვს ამბავი მოტანილი თხრობად, არ თუ დასამალად.  
მოგახსენებთ უწინარეს მბრძანებელთა ჩვენთა სახელს:  
ლუდეგერ და ლუდეგასტი თქვენდა მიმართ მტრობას ამხელს.

144. თქვენ იმათი მრისხანების გამომწვევენი რომ ხართ, ვიცით;  
თქვენი მტრობა-სიძულვილი ჩაუნერგავთ გულში ფიცით;  
ორთავ მეფეთ გულოვანთა გაუმართავთ ლაშქართ კრება,  
რაინის ვორმსს ჯარმრავალნი ესწრაფიან ასაკლებად.

145. გაივლის კვირა თორმეტი, ატყდფება ომი ფიცხელი,

უხმეთ მოძმეებს დამხმარედ - ულმობელია მტრის ხელი:  
თუ მეგობრები მარჯვე გყავთ, წამოგაშველონ ჯარები.  
ო, ბევრი დაიღწევა აქ ჩაფხუტი და ფარები.

146. თუ სამშვიდობო სათქმელი გაქვთ რამე - განაცხადენით,  
რომ არ დაიძრას თქვენზედა, სისხლის რუების წადენით,  
მტერი მძლავრი და გულადი, პატრონის სპისა დიდისა.  
მაშინ ჩაქრება სიცოცხლე მრავალი მხნე რაინდისა".

147. "მაშ, ერთი წუთით მადროვეთ", მეფე ეტყოდა კეთილი,  
"ცოტას ვიფიქრებ, რომ მოგცეთ პასუხი გადაწყვეტილი.  
მყვანან ერთგული მოყმენი, გამონაზარდი გმირებად,  
ამ ძნელ საქმეზე მჭირდება მე მათთან მოთათბირება".

148. მძლავრი გუნთერი შეწუხდა, გული აევსო წყენითა,  
ცუდი ამბავი შეიტყო ამა ელჩების ენითა.  
ბრძანა ჰაგენის მოყვანა, კიდეც სხვა ვასალებისა,  
მსურველი იყო აგრეთვე მყისვე გერნოტის ხლებისა.

149. მოვიდა ყველა რჩეული, რაც ოდენ იქმნა ნახული.  
"ჩვენი დაპყრობა", თქვა მეფემ, "ჰქონია მტერს განზრახული.  
თურმე იმათგან შეყრილს ჯარს აღარსადა აქვს ტევანი.  
არ ეზრახებათ ჩვენზე მათ საომრად შემოტევანი".

150. თქვა აქ გერნოტმა: "ჩვენს ხმლებსა რისთვის ვატარებთ ნეტავი?  
ვინც უნდა მოკვდეს, მოკვდება მხდალი და გაუბედავი.  
ვერ დავივიწყებ ამიტომ მე ჩემს პატივს და დიდებას.  
და სიხარულით შევხვდეთ მტრის სასისხლო გადაკიდებას".

151. თქვა ტრონიელმა ჰაგენმა: "აქ კარგი არაფერია;  
ლუდეგასტი და ლუდეგერ რისხვის მომტანი მტერია.  
ჩვენი სპანი კი ჩვენს მიერ მალე ვერ მოიხმობიან".  
ამას ამბობდა დევგმირი, "ზიგფრიდს ვაუწყოთ, ჯობიან".

152. ბინები მისცეს ელჩებსა, საკადრის-შესაგვანები.

თუმც სამტროდ იყვნენ მოსული, მაინც გუნთერის ბრძანებით.  
დიდი პატივი მიაგეს, - სხვაფრივ არც გამოდგებოდა,  
რადგან ჭირს შიგან მეგობართ გამოცდის ჟამი დგებოდა.

153. გულს უმძიმებდა გუნთერსა საზრუნავი და ნაღველი.  
სწორუპოვარი ჰკვირობდა რაინდი, მისი მნახველი,  
თუ რა აწუხებს, რა უჭირს ან მგლოვიარე ვისზე ზის?  
და თავდადრეკით სთხოვა მას განდობა ჭმუნვის მიზეზის.

154. "ფრიად მაკვირვებს", ეტყოდა ზიგრიდი, მოყმე ძლიერი,  
"თუ ასე რისთვის მოგშორდათ სასიხარული იერი;  
რადღა არ ნათობს ნათელი მაგ უნათლესი პირისა?".

იყო პასუხი გუნთერის, წარჩინებულის გმირისა:

155. "არ შეიძლება ამ სევდის ყველასთვის გაზიარება,  
ღრმად ჩამარხული მმართვეს მე გულში იმისი ტარება.  
თხრობა არ ვარგა დაუცდელ მეგობართათვის ჭირისა".  
ხან წითლდებოდა ზიგფრიდი, ხან ფერი ედვა კირისა.

156. მეფეს მიმართა: "თქვენთვის მე რაზე რა მითქვამს უარი?  
მინდა გავიყო, თქვენს გულში სამძიმო რამე თუ არი.  
ერთიც მე ვიყო მათ შორის, თუ მეგობრებსა სძებნიდე;  
მსურს სიკვდილამდე თქვენს კარზე ერთგულად მიწას ვტკეპნიდე".

157. "ზიგფრიდ, ღვთის მაღლი მოგეზლოთ ჯილდოდ სიტყვისა.  
თქვენისა!  
თუნდაც ძალ-ღონე არ გექნათ საშველის აღმოჩენისა.  
მაინც მახარეს გრძნობები თქვენს გულში მაგისტანები,  
მეც გადაგიხდით სანაცვლოს, თუ მოვითიე ხანები.

158. მინდა გაგიტყდეთ, რაგვართ ვარ შეპყრობილი ჭირითა,  
მტერმა მაუწყა ამბავი თავის ელჩების პირითა,  
რომ თურმე დიდი ლაშქართ ჩვენი დაპყრობა სდომია.  
ჯერ ჩვენს ქვეყანას მტერთაგან მსგავსი არ გადახდომია".

159. თქვა ზიგფრიდმა: "ნუ გაღონებთ მტერთა მიერ ომში წვევა,  
დაწყნარდით და მოიქეცით ისე, როგორც მოგცეთ რჩევა.  
ნება დარმთეთ რომ ცის რისხვად თავს დავატყდე თქვენთა.  
მტერთა,  
უხმედ გმირებს, წამოვიდნენ ჩემი გზით და ჩემთან ერთად.

160. ოცდაათი ათასიცა მოსარჩელე რომ ჰყავდეს გმირი.  
თქვენს ძლიერ მტერს, მაინც კიდევ მივუსართო ჭირზე ჭირი,  
თუნდ ათასის ამარამან - სიტყვა ესე, მეფევ, გწამდეთ".  
თქვა გუნთერმა: "თუ ვიცოცხლე, გადაგიხდით ამაგს ამდენს".

161. "მაშ მომცენ მოყმე ათასი, გაეცით ესე ბრძანება,  
რადგან მე მხოლოდ თორმეტის ძალმიძს აქ გამოყვანება.  
თქვენი მიწა-წყლის დაცვისა ვარ მე ამგვარად მდომელი.  
მუდამ გემონოს თქვენ ჩემი მარჯვენა დაუშრომელი.

162. დაგჭირდებიან მშველელად ჰაგენ გმირი და ორტვინი.  
დანკვარტი, მასთან ზინდოლდი, თქვენი ერთგული რაინდნი.  
შემდეგ ფოკლერიც აგრეთვე ვაჟკაცი, მტერთა მზვერავი;  
მან დროშა უნდა ატაროს, მჯობი არ არის არავინ.

163. ელჩნი აბრუნეთ, გასარჯეთ თვისთა ბატონთა მიგნებით;  
აცნობეთ, რომ ჩვენ სულ მალე მათ ქვეყანაში ვიქნებით.  
ასე რომ, ჩვენთა ქალაქთა არ შეეცვლებათ დარები".  
მეფემ მოიხმო თავისი მეგობარ-მეომარები.

164. ლუდეგერის შიკრიკები მეფის კარზე მოდგნენ კვალად;  
უკან წასვლის ცნობამ გული სიხარულით გაუმსჭვალათ.  
მეფემ ბრძანა, რომ მცველები საიმედო მათთან ვლიდნენ.  
მისცა დიდი საბოძვარი და ისინიც მადლსა სძღვნიდნენ.

165. თქვა გუნთერმა: "ჩემს ძლიერ მტრებს ჰკადრეთ სიტყვა,  
ჩემგან თქმული:  
ჯობს იქავე შეაჩერონ ჯარი ჩვენზე წამოსხმული.  
თუ განზრახვა არ დაშალონ, ჩემად ნახვად თავნი არონ,  
ჩემს მეგობრებს ვერ გადურჩნენ და ჭირს დიდსა გარდეყარონ".

166. შემდეგ ელჩებს დაულაგეს წინ ძვირფასი საჩუქარი;  
ლარს იტევდა უსაზომოს უმდიდრესი მეფის კარი.  
მათ ვერ შეძლეს ეთაკილათ საბოძვარი რაც ჰპოვეს;  
ნება დართეს და მტრის მიწა სიხარულით დაცასტოვეს.

167. როს დანიას მიეახლნენ და წარუდგნენ მეფის წინა,  
ლუდეგასტმა ყოველივე ცნობა მათი მოისმინა,  
და როდესაც გააგონეს მას რაინზე სიტყვა თქმული,  
განრისხდა და მღელვარებას ვერ მალავდა მისი გული.

168. უამბეს: "ბევრი რაინდი იქ იმყოფება ლხენაში,  
განირჩეოდა მეტადრე ერთი მათ გამოფენაში,  
ნიდერლანდელი გმირია, ჰქვია ზიგფრიდი სახელად".  
ამის გამგონე ლუდეგასტ ზის ჭმუნვის გამომსახველად.

169. როცა ამ ცნობამ დანიელთ შორის დაიწყო მოდება,  
დაყოვნებლივ შეიქმნა მშველელთა გამოწოდება,  
ვიდრე ხელმწიფე ლუდეგასტ ოცი ათას კაცს ჰპოვებდა.  
თავის მხნე ქვეშევრდომებში და ლაშქარს შეაგროვებდა.

170. ლუდეგერს, ვისაც ჰმონებდა საქსთა ძლიერი ქვეყანა,

კაცი ორმოცი ათასი საომრად გამოეყვანა.  
ბურგუნდისაკენ ვილოდა სპა ესე შემატევარი.  
მაშინ ხელმწიფე გუნთერმაც აფრინა ყველგან მღევარი.

171. აცნობა თავის მეგობრებს, თავისი ძმების ჯარებსა,  
რომ დასდგომოდნენ მცველებად მშობელი ქვეყნის კარებსა.  
ჰაგენის კაცნის ვილოდნენ თქმა სჯობდა გამომხატველად:  
სიკვდილი გულად რაინდებს იქ ადრე უნდა ეხილათ.

172. ემზადებოდნენ; სასწრაფოდ სურდათ წაყვანა ჯარისა,  
გულად გმირს ფოლკერს მიანდეს დაჭერა დროშის ტარისა.  
უნდა წინ წამართულიყვნენ რაინზე მოალაგენი.  
და სარდლად უნდა ჰყოლოდა ჯარს ტრონიელი ჰაგენი.

173. იყო ზინდოლდი მათთან და ჰუნოლდი, მოყმე ქებული,  
მით მეფის ოქრო მრავალჯერ მიეღოთ ჯილდოდ რგებული.  
ორტვინ მეტცელიც იქ იყო, დანკვარტიც - ძმა ჰაგენისა,

სპათა კრებულში შემტანნი მხნეობისა და ლხენისა.

174. "მეფევ, თქვენ", უთხრა ზიგფრიდმა, "წასვლას ნუ დაეპირებით.  
რადგან ბრძოლაში მიმდევენ თქვენი ერთგული გმირები,  
ამიტომ დარჩით ქალებთან, გული არ მისცეთ ღონებას,  
მე ერთნაირად დავიცავ თქვენს პატივსა და ქონებას.

175. ვისაც რაინის ვორმსში აქვს თქვენთან შეხვედრის წყურვილი,  
უმალვე მათი შემუსვრის მე მებადება სურვილი.  
საკუთარ ქვეყანასივე იგემონ ჩვენი კვეთება;  
მალე სატირლად გაუხდეთ მათ თვისი გათავხედება!".

176. რაინიდან მათ ჰესენზე გაიარეს, განვლეს გზანი.  
და მიადგნენ საქსებს მალე, ომისათვის უკვე მზანი.  
შემდეგ ძარცვით და ხანძართით როს მოედგნენ მტერთა მხარეს,  
იქ ორითავე მეფემ თავი იგლოვეს და იმწუხარეს.

177. მიაღწიეს საზღვარს: იქვე შეიკრიბნენ მათი ყმანინ.  
და ლომგული ზიგფრიდისა მყის გაისმა კითხვის ხმანი.  
"ვინ იქნება ახლა რაზმის მფარველად და მცველად მდგომი?".  
არასოდეს არ წასვლიათ ასე ცუდად საქსებს ომი.

178. უპასუხეს: განუწესეთ მეთაურად გზის მცველ პაჟებს.  
დანკვარტ გმირი - იგი იმათ გამოწვრთნის და გააკაჟებს.  
ზურგს დაიცავს მხნე ორტვინი, უწინამძღვრეს რისხვად.  
მტერთა,  
ვინძლო დავრჩეთ უვნებელი მკაცრ ბრძოლაში ლუდეგერთან.

179. "მე თვით წავალ", გაისმა ხმა ისევ ზიგფრიდ გმირისა,

"დასაზვერად, საჭვრეტელად მუნ მტრისა მოჰაირისა,  
ვიდრე გავიგებ, თუ ვინ სად გამთევი არის ბინდისა".  
მალე შეჭურვილ იდგა იქ ტურფა ძე ზიგელინდისა.

180. ჰაგენსა და გერნოტს გულადს პატრონობა სტოხვა ჯართა,  
ოდეს თვითონ, მხნე ვაჟკაცი, გზას დაადგა, გაემართა.  
ამნაირად მარტოდმარტო ის ესტუმრა საქსთა მხარეს,  
სადაც მტრებმა მის წინაშე საიდუმლო ვერ დაფარეს.

181. გაშილ ველზე რაზმი დიდი დაინახა თვისი თვალით.  
რაზმი იგი, ჩანდა, ბევრად რომ სჭარბობდა მისას ძალით:  
ორმოც ათასს, ან უფრო მეტს, მიაღწევდა მათი რიცხვი.  
და ამ ლაშქარს აღტყინებით შეჰყურებდა მოყმე ფიცხი.

182. მტერთა გუნდიდან გამოდგა ერთი დევგმირი წინ მალე,  
მზვერავი იყო, შვენოდა ტანზე ჯავშანი ბრწყინვალე,  
ის დაინახა ზიგფრიდმა, მანაც შეავლო თვალები,  
მკაცრად ზვერავენენ ერთმანეთს მტრობის გულშენამსჭვალეები.

183. გეტყვით ვინ იყო ის, ვინაც მზვერავად გამოწინავდა.  
ფარი ბითუმი ოქროსი მის მარცხენაზე ბრწყინავდა.  
ეს იყო მეფე ლუდეგასტ, თვის ჯარს იცავდა რომელი,  
ზიგფრიდისაკენ რაშის მუნ მოხდენით გამომხტომელი.

184. მათ ერთმანეთზე აიღეს ორივემ სამტრო გეზები,  
ლაგამმოზიდულ ტაიჭებს გვერდებზე გაჰკრეს დეზები.  
წამოიყარნენ შუბები, ფარებს მართებდათ მცველობა;  
პატივმოსილამ ხელმწიფემ დაკარგა უზრუნველობა.

185. მიაქროლებდნენ ერთურთზე იმათ მერნები ჩქარები;  
მათ დარტყმის შემდეგ მუხლებში თითქოს ჩაუდგათ ქარები.  
მაგრამ მყის უკუ მიიქცნენ გმირნი მიქცევით ძალითა.  
ბრაზმორეულებს მოუნდათ ბედის გამოცდა ხმალითა.

186. მაშინ დაარტყა ზიგფრიდმა, მოხდა შერყევა ველისა,  
და მუზარადმა - ასეთი იყო მოქნევა ხელისა -.  
მუგუზხალივით აჰყარა მალლა ნაპერწკლის კანდელი.  
თანატოლი იყო ძალ-ღონით ლუდაგესტ ნიდერლანდელის.

187. მას აგრეთვე ლუდაგესმა მძლავრად დაჰკრა რამდენჯერმე.  
ერთმანეთის ფართა მიმართ გამოსცადეს ძალა მერმე.  
საქსთა სპიდან ოცდაათმა ბრძოლა ესე შეამჩნია,  
მაგრამ, ვიდრე მიეშველნენ, მეფეს მათსას მტერმა სძლია.

188. მას მიაყენა ზიგფრიდმა სამი ძლიერი ჭრილობა,  
თუმც მჭიდრო იყო ტანზედა აბჯარტა შემოყრილობა.

ხმალმა სხეული იმისი შეღება სისხლის ღვართა.  
მაშინ ლუდეგასტ ხელმწიფე ნაღვლით აღივსო მწართა.

189. სთხოვა სიცოცხლე, სანაცვლოდ ტახტისა იყო მთმობელი.  
აცნობა: ლუდეგასტობით არიან მისი მხმობელი.  
მაშინ მოვიდნენ იმისი კაცები, მათკენ მავალი,  
და იქ ორივე მზვერავის ნახეს თავგადასავალი.

190. ზიგფრიდს სურდა ლუდეგასტი წაეყვანა უკან თანა.  
მაშინ მოყმემ ოცდაათმა იერიში მოიტანა.  
მაგრამ იგი მხნედ იცავდა ტყვეს, ესოდენ წარჩინებულს,  
და შველა თვით სჭირდებოდა მის მშველელებს, დიდად.  
ვნებულთ.

191. ოცდაათივე მოსრა მან, გმირმა მკავლდაუშრომელმან.  
მათგან ერთილა გაუშვა, სწრაფად მოჰკურცხლა რომელმან.  
და მიიტანა ამბავი, რის სისწორეში ყველანი.  
დარწმუნდნე, მისი წითელი ჩაფხუტის შემაცქერალნი.

192. მაშინ დანიელ რაინდებს მიხვდათ მიღევა შვებისა.  
ოდეს ამბავი შეიტყვეს ბატონის დატყვევებისა.  
აუწყეს მის ძმას; მოედო მას ცეცხლი დაუშრეტელი,

ყელში სიბრზე მოაწვა, შმაგობით თითთა მკვნეტელი.

193. თან წაიყვანა ლუდეგასტ კუმტად შეკრული წარბითა.  
მეფე გუნთერის ბანაკში გმირმა ძალ-ღონით ჭარბითა.  
ჰაგენს მიჰგვარა, აუწყა მან, თუ ტყვე იგი ვინ არის;  
სახე გაუხდა ტრონიელს ვითა შუქმონაფინარი.

194. მან ბურგუნდელებს უბრძანა, რომ აღემართათ ალამი,  
"კეთილი იყოს!" გაისმა მოყმე ზიგფრიდის სალამი,  
"საქმე დიდი გვაქვს, და თუ დღეს ხილვა მეღირსა ღამისა,  
ჟამი დაუდგეს საქს ქალებს ცრემლებით თვალთა ნამვისა.

195. თქვენ, რაინელნო რაინდნო, გწამდეთ, ეს დანაპირები:  
მიგიყვანთ, სადაც ბანაკობს ლუდეგერ თვისი გმირებით.  
დაიფლითება ბევრი იქ ჩაფხუტები და თავები;  
ჩვენი მისვლითა გაუჩნდეთ მათ დიდი საზრუნავები!".

196. მერნებს მოასხდნენ გერნოტი და მისი მოლაშქრენია.  
მხნე მემუსიკეს ფოლკერსა დროშა ზე აუფრენია;  
წავიდა იგი თამამად წინაშე სპისა მალისა.  
ბრძოლის სურვილმა მოყმეებს გუნება გაუხალისა.

197. რაინდის რაზმი სულ იყო ათას კაცისაგან შემდგარი,  
კიდევ ზედმეტად ახლდა მას თორმეტი გმირი მედგარი.

მტვერი დგებოდა სვეტებად, სადაც ვიდოდნენ ჯარები.  
სხივებს აფრქვევდნენ მათ შორის ლითონის მტკიცე ფარები.

198. იყვნენ აგრეთვე საქსები ჯართითურთ მოახლებული,  
ხმალშემორტყმულთა რაინდთა ბრგეტანოვანი კრებული.  
მსმენია: მათ ხმლებს მათ ხელში ძალა ჰქონიათ ჭრისანი.  
არ სურდათ, მათი ქალაქნი რომ გამხდარიყვნენ მტრისანი.

199. ახლოს მოვიდნენ ჯარებით საქსების ხელმძღვანელები:  
მუნვე მოვიდა ზიგფრიდიც, მტერთა მზის დამბნელებელი,  
მასთან თორმეტი მხნე კაცი, ნიდერლანდიდან ხლებული.  
გამოჩნდებოდა მრავალი ხელი დღეს გასისხლებული.

200. იბრძოდნენ ზინდოლდ, ჰუნოლდი და გერნოტ, მათთან მავალი,  
გაბედულება ბრძოლაში რაინდი მოჰკლეს მრავალი,  
ვიდრე მათ შეძლეს მთლიანად ჩვენება თვისი ძალისა,  
გახდნენ მიზეზი ცრემლთა ღვრის ბევრ წარჩინებულ ქალისა.

201. ფოლკერ, ჰაგენ და ორტვინი ხარობდნენ მტერთა ზიანით,  
მრავალ ბრწყინვალე მუზარადს შუქი ცაუქრეს მზიანი.  
მუნ განადენი სისხლითა წითლად მოირწყო ველები.  
დანკვარტმაც ბევრი უჩვენათ ამბები საკვირველები.

202. ცდილობდნენ დანიელებიც მიეზლოთ დანაპირები,

ცემით აჟღერდა ხმამალა მუნ მრავალ ფართა პირები.  
შორს გაისმოდა წკრიალი ხმლებისა მონადირისა.  
მოტანა შესძლეს საქსებმა საკმაოდ დიდი ჭირისა.

203. როდესაც ფიცხელ ბრძოლაში შეიჭრნენ ბურგუნდელები,  
მტრის ბანაკიდან თავები ბევრს გაუჩხეს მრთელები.  
უნაგრებიდან დიოდა სისხლის წითელი ღვარები.  
ასე იცავდნენ თვის პატივს გულადი მეომარები.

204. გაისმოდა მოყმეთ ხმლების ხმამალა ჩახაჩუხი,  
როს თორმეტი მეომარი, მრისხანე და სახით ჯმუხი,  
მიეშველა თავის ბატონს, ნიდერლანდელ რაინდს სწრაფად.  
შეუძახეს მტერთა რაზმებს გულადებმა მხნედ და ხაფად.

205. მას იქ რაინელ გმირთაგან არვინ ჰყავდა მხლებელი.  
ჩაფხუტთა შორის დანახვა შეიქმნა შესაძლებელი.  
სისხლის ღელისა, ზიგფრიდის მარჯვენით განადინარის,  
ვიდრე არა სცნა, მტრის რაზმში თუ ლუდეგერი ვინ არის.

206. სამჯერ გაჰკვეთა ჯარები მან, უმტკიცესმა რვალისა;  
მაშინ მივიდა ჰაგენიც, ნახეთ ჭრა მისი ხმალისა!  
გაუადვილა ზიგფრიდსა გარღვევა გარემოცვისა.



გორი დაიდგა რაინდთა, მათ მიერ დანახოცისა.

207. აქ ლუდეგერმა იხილა მიზეზი სპათა ღელვისა -  
გმირი ზიგფრიდი: მას ხელში მსგავსად ზე აწვდილ ელვისა,  
ხმალი ეჭირა ბალმუნგის, ბევრსა ხოცავდა რომელი.  
ამის მიზეზით ლუდეგერ გახდა ბრაზდაუცხრომელი.

208. მოხდა ძლიერი შეხლა და ხმალთა მაღალი წკრიალი,  
ოდეს ერთმანეთს იმათი ყმები ეკვეთნენ ზრიალი.  
მაშინ ორსავე მხარეზე მეზრძოლნი იქცნენ დევბად:  
სასტიკი იყო მეომართ შეტევა-შემოტევა.

209. ძმის დატყვევება საქსების ბატონმა კარგად იცოდა,  
ამიტომ გული იმისი რისხვის ცეცხლისგან იწოდა.  
მას არ ეგონა, ლუდეგასტ თუ ზიგფრიდის ძეს მონებდა,  
გერნოტს სწამებდა, ვიდრემდე სიმართლეს გაიგონებდა.

210. და ლუდეგერ ხმალით თვისითა ის მძლავრად იყო მჩეხი,  
რომ ზიგფრიდის უნაგირს ქვეშ ჩაემუხლა მერანს ფეხი,  
მაგრამ მყისვე ზე წამოდგა; მოემატა რისხვა ხმაში.  
საშინელი გაშმაგებით მტერზე მისულ ზიგფრიდს მაშინ.

211. ამაში შველა მიაგეს მას ჰაგენმა და გერნოტმა,  
დანკვარტმა, მასთან ფოლკერმა, ჰუნოლდმა, მათთან ზინდოლდმა,  
ორტვინ მეტცელმაც, აგრეთვე, მუსრეს რიგები ჯარისა;  
კარგად იცოდნენ ომში მათ მკვდარზე მიწვენა მკვდარისა.

212. ესარჩლებოდნენ ერთმანეთს თავადნი დიდებულები.  
ჩაფხუტთა მიმართ მოჩანდნენ შუბები მიზიდულები,  
შუქმოციალე ფარების შუა, მახვილთა კვეთებით.  
ბევრთა ფართაგან მოსწვდება დაჭრილთა სისხლის წვეთები.

213. მაშინ მრავალი მეზრძოლი დაბლა დაეცა ცხენიდან.  
ამ შეტევის დროს; ერთმანეთს ეკვეთნენ რისხვის ჩენითა.  
ზიგფრიდ და მეფე ლუდეგერ, ძმა ლუდეგასტის მეფისა,  
ჩანდა სიმრავლე გაფრენილ შუბების, სისხლთა მჩქეფისა.

214. ნიდერლანდელმა დალეწა ბალთები მეფის ფარისა,  
იმას თამაშად უჩანდა შემუსვრა მტერთა ჯარისა,  
იტანჯებოდნენ საქსები. რამდენი მტკიცე ბეგთარი.  
მძლავრი დანკვარტის მარჯვენით იქნა მუნ განაკვეთარი!

215. აქ ლუდეგერმა ერთ ფარზე ნახა გვირგვინი სახული;  
რაინდს ზიგფრიდსა ეჭირა ფარი მის მიერ ნახული.  
მაშინ კი მიხვდა ლუდეგერ, ვინც იყო კაცი ძლიერი.  
და თვის მეომრებს ასმინა მან მოწოდება ხმიერი:

216. "შეწყვიტეთ ბრძოლა ყოველმან, რაც ოდენ მყავხართ მხედარი, მეფე ზიგმუნდის შვილისა ვარ მე აქ შემახედარი. ხმაღს აქნევს ზიგფრიდ მარჯვენით, ჩვენზედა მოანცალითა, ალბათ, მოსულა იგი აქ ბოროტ ეშმაკის ძალითა".

217. და მან მიწამდე დადრეკა ბრძანა დროშების თავისა. ზავი სურდა და მალე ის გახდა მიძღვნი ზავისა; მაგრამ ზიგფრიდის ხელითა ლუდეგერს მიჰხვდა ზე ვალად, რომ გუნთერ მეფის წინაშე ის წარმდგარიყო მძევალად.

218. საერთო რჩევით გადაწყდა ბრძოლის შეწყვეტა სრულებით. მრავალი მუხარადი და ფარები დაცხრილულები. მოიხსნა მათი ხელებით შემდეგ - და ესე ყოველი. იყო ბურგუნდელთ ხმაღთაგან გადენილ სისხლით სოველი.

219. მათ ტყვედ მიჰყავდათ ყველა, ვინც უნდოდათ წასაყვანადა. ამ დროს გერნოტ და ჰაგენი - ლომნი გულით და ტანადა -. ზრუნავდნენ, საკაცებზე დაესვათ დაკოდილები. რაინზე გაჰყავთ ხუთასი ტყვე მათ, გმირებად ზრდილები.

220. დანიისაკენ წავიდა ლაშქარი დამარცხებული. საქსების ბრძოლა ამ ომში არ იქნებოდა ქებული. ამის მიზეზი ღრმა ნაღველს აღევსო მოყმეთ გულები. მუნ დაიტირეს მეგობართ ომშიგან დაცემულები.

221. ბრძანეს საჭურვლის ჩაწყობა რაინზე წასასვლელადა, ზიგფრიდმა თვისი მხლებლებით, რაც ოდენ ედო ვალადა, მოიმოქმედა ყოველი გაბედულად და კეთილად.

გუნთერის კაცებს ამის თქმა მართებდათ გადაწყვეტილად.

222. ვორმისაკენ გააგზავნა შიკრიკები გერნოტ მეფემ, რომ შეიტყონ მეგობრებმა და სასახლის მთელმა სეფემ, თუ რარიგად დაამაცხეს მტერი, მათთან წანაკიდი, რა პატივით შეასრულეს მათ, გმირებმა, საქმე დიდი.

223. შიკრიკები გაეშურნენ, მიიტანეს ესე ცნობა; და ვისაც კი სევდით უწინ მოწამლული ჰქონდა გრძნობა, გახალისდა ყველა მუნ და შემოქმედის აქო ძალი. შეჰკითხავდა ამბავს წვრილად მათ მრავალი ტურფა ქალი,

224. თუ რაგვარად გაიმარჯვეს რაინდებმა მტერთა ჯარზე. კრიმჰილდამაც ერთს შიკრიკსა დაუძახა თავის კარზე. ეს ფარულად ჩაიდინა, არ უნდოდა გასამხელად: მას მათ შორის ერთისათვის შეენახა გული ცხელად.

225. და როდესაც დაინახა შინ შიკრიკი მოხმობილი,  
შეესიტყვა მას კრიმჭილდე ლამაზი და ენატკბილი:  
"თუ მიაშობ ყოველივეს უცდომლად და უტყუარად,  
ოქრო მოგცე და შემდეგაც მწყალობელი გყავდე მარად.

226. როგორ მოიქცნენ ბრძოლაში ჩემი ძმა, გერნოტ ლომგული,  
და მეგობრები სხვა ჩემი? ან თუ ბევრი გყავს მოკლული?  
ყველაზე უფრო, მითხარი, გმირულად ვის უბრძოლია?".  
მიუგო მარჯვე შიკრიკმა: "ჩვენ მხდალი არა გვყოლია.

227. მაგრამ არავინ ომობდა ისე უშიშრად და უცხოდ,  
თუ, მეფის დიდო ასულო, ეს შემძლია გაუწყოთ,  
ვით გმირი ნიდერლანდელი, თვალი რაინდთა კრებისა:  
ზიგფრიდი იყო ჩამდენი იქ ბევრი საოცრებისა.

228. დანკვარტისა და ჰაგენის და მეფის სხვათა მხედართა.  
მიერ ამ დიდსა ბრძოლაში საქმეთა მონაქმედართა,  
თუმცა მათ არ აკლდათ მხნეობა, ვთვლი მე შებერვად ქარისად.  
ნიდერლანდელის მეფის ძის ბრძოლასთან შესადარისად.

229. მათაც მოუხდათ გაგმირვა ბევრი რაინდის გულისა,  
მაგრამ არავის არ ძალუმს თხრობა იმ სასწაულისა,  
რაც ჩაიდინა ზიგფრიდმა, როდესაც იწყო შეტევა.  
მათ მტირალ ქალთა ცრემლები ნეტა თუ სადმე ეტევა!

230. სატრფო დაეცა იმის წინ მრავალ დანიშნულ ქალისა;  
ზუჩებს რომ ჩეხდა, ისმოდა შორით ზრიალი რვალისა;  
სისხლი სდიოდათ თავთაგან თქრიალით ჩამომდინარი.  
იმისი მსგავსი რაინდი, მე აღარ ვიცი, ვინ არი.

231. იქ სხვებს არ ჩამორჩენია გმირი ორტვინი მეტცილი,  
იგიცა იყო უწყალოდ მტერთა თავების მკვეცილი:

ვისაც კი მისწვდა, დაჭრა, ან მოჰკლა უმეტეს ნაწილად.  
დიდად იომა თქვენმა ძმამ, ხმალი არც იმან აცილა.

232. ასეთი რამ სხვა ბრძოლებში არ მომხდარა არასოდს.  
საჭიროა, რჩეულებზე სიმართლეს რომ ყველა სცნობდეს:  
გულზვიადმა ბურგუნდლებმა, ისე ჟლიტეს მტერი მქისი,  
რომ ყოველგვარ სირცხვილისგან დაიფარეს თავით თვისი.

233. იქ უმხედროდ დარჩენილი უნაგირი ბევრი ჩანდა.  
მრავალ ხმალთა ელვარება არემარეს შუქში ჰბანდა.  
რაინელი რაინდები მტრებს უტევდნენ ისე ხაფად,  
რომ იმათთვის აჯობებდა გაქცეოდნენ ბრძოლას სწრაფად.

234. ტრონიელმა გულადებმაც მოუკიდეს ტანჯვის ალი,

როდესაც კი ფიცხელ ბრძოლას შეერივნენ დიდი ძალით.  
მხნე ჰაგენის მკლავმა სჩეხა გააფთრებით სპათა ტევრი.  
ო, გვექნება ბურგუნდელებს მოსათხრობი მეტად ბევრი!

235. ზინდოლდი, ჰუნოლდ, რუმოლდიც, მოყმენი გერნოტ ლომისა,  
გამჩაღებელნი შეიქმნენ იქ იმნაირი ომისა,  
რომე ლუდეგერს ეყოფა სანანებლად და გოდებად.  
რაინის დიდთა ბატონთა ბრძოლაში გამოწოდება.

236. მაგრამ იქ ბრძოლა ყველაზე უმძლავრესი და პირველი,  
რომლის მსაგვისა არასდროს არვინ ყოფილა მხილველი.  
გამართა გმირმა ზიგფრიდმა, ტყვით მდიდარით და მრავლითა.  
მეფე გუნთერის წინაშე არის აწ იგი მავალი.

237. მხნე რაინდმა თვისი მკლავით დაამარცხა მტერთა ჯარი,  
მან ლუდეგასტ ხელმწიფესა თავზე დასცა რისხვის ზარი,  
და აგრეთვე ლუდეგერსაც, საქსთა მეფეს, მისსა ძმასა.  
მაშ უსმინეთ, დედოფალო, ამ ამბისა ჩემგან თქმასა.

238. თვით ზიგფრიდმა შეიპყრო და დაატყვევა ორივენი;  
არასოდეს ასე მრავლად არ უნახავთ ჩვენში ტყვენი,  
რაოდენიც გმირს უბადლოს რაინისკენ მოჰყავს თანა".  
კრიმჰიკლდეს გულს ამ ამბავმა ლხენა დიდი მოუტანა.

239. "ტყვეთა შორის ჯანსაღია ხუთასი თუ უფრო მეტი.  
სასიკვდილოდ დაჭრილი კი სისხლიანი საკაცეთი.  
იმათ ჩვენი ქვეყნისაკენ ოთხმოცამდე მოჰყვათ მარტო;  
მუსრს ავლებდა უმთავრესად მათ ზიგფრიდის ხმალი ფართო.

240. გამომწვევები ამ ომში გულადი რაინელების.  
ახლა გუნთერის წინაშე მოვლენ შეკრული ხელებით.  
მათ სიხარულით ჩვენი სპა მოერეკება წინ მალე".  
ამის გამოგონე კრიმჰილდეს ფერი ემატა ბრწყინვალე.

241. სიხარულით ვარდის შუქი გარდაეველო ტურფა პირსა.

იმის გამო, რომ ცოცხალი გადაურჩა დიდსა ჭირსა.  
ახალგაზრდა მხნე ზიგფრიდი. მეფის ასულს, ამის გარდა,  
გულითადი მეგობრების გამარჯვებაც გაუხრდა.

242. ქალმა უთხრა: "ჰყვები ამბავს საამოს და მოსალხენსა,  
ამად ჩემგან მდიდრულ სამოსს შენ მიიღებ, ვითა ძვენსა,  
და ვუბრძანებ თანაც კიდევ ოქროს მარკა მოგცენ ათი".  
არ ყოფილა უსარგებლო დიდ ქალებთან მასლაათი!

243. მარტლაც მისცეს მას საჩუქრად სამოსი და ოქროს ფული.  
ფანჯრების წინ ბევრი ტურფა ქალი დადგა მოკაზმული,

სადაც გზებზე დაინახეს რაინდები მათ მრავალი,  
ბურგუნდიის ქვეყნისაკენ გულზვიადად მომავალი.

244. მოდიოდნენ უვნებელნი, მოდიოდა დაჭრილთ წყება,  
მათ შეეძლოთ პირურცხვნელად მეგობრების მისალმება.  
მიეგება წინ პატრონი, სიხარულით მათკენ მვლელი.  
საკეთილოდ იქცა მისთვის მწუხარება, გულის მკვლელი.

245. იგი თავისას და უცხოს ერთგვარად ტკბილად ხვდებოდა,  
მოწყალე მეფის მოქცევა სხვაფრივ არ შეიძლებოდა:  
უნდა მიეძღვნა ყველასთვის, ვინაც მოვიდა, მადლობა,  
რადგან მტრის მიმართ ბრძოლაში გამწვანდა მათი ბადლობა.

246. მეფე გუნთერმა ისურვა, რომ ყოფილიყო მცნობელი,  
ამ ლაშქრობაში იმათგან თუ სიკვდილს მიხვდა რომელი.  
აღმოჩნდა: მხოლოდ სამოცი კაცი იქ დაღუპულიყო.  
ჯერ არ ტიროდნენ, გულები თუმც იმათ გამო წყლულ იყო.

247. ხოლო ცოცხლებს თან მოჰქონდათ დაღწილი ბევრი ფარი,  
გაჩეხილი მუზარადი და გამტყდარი შუბის ტარი.  
ძირს ჩამოხდა მერნებიდან სპა წინაშე მეფის სრისა.  
ხმა საამო გაისმოდა მხიარული სიმღერისა.

248. მეფემ ბრზანა, რაინდები ქალაქშიგან დაებარგათ,  
რომ ძვირფასი სტუმრებისთვის მუნ პატივი ეცათ კარგად;  
უბრძანა, რომ დაჭრილთათვის მიეხედათ ზრუნვით მალე,  
მტერთა მიმართაც გუნთერ მეფეს ქცევა ჰქონდა გულმოწყალე.

249. "სალამი თქვენ!" ტყვე ლუდეგასტს მიესალმა მეფე მშვიდი;  
"თქვენმა ცუდმა საქციელმა მე ზარალი მომცა დიდი.  
შეიქმნებით იძულებულ დანაკლისი მიზლოთ სრულად.  
ცა სწყალობდეს ჩემს მეგობრებს - მტერს ისინი შეხვდნენ მტრულად!".

250. თქვა ლუდეგერმა: "ამგვარ ჯარს რად არა თავზე ევლები!  
ჯერ არ ჰყოლია სხვა მეფეს ესდენ მაღალი მძევლები.  
კარგ მოპყრობისთვის მოგიზღავთ ჩვენაც სიკეთით ყოველით;

ტყვედქმნილ მტერთადმი ჩვენ თქვენგან, დია, წყალობას მოველით".

251. მეფემ უთხრა: "მსურს ორნივე ჩვენს მხარეში ლაღად ვლიდეთ,  
მხოლოდ ჩვენდა უნებართვოდ რაინის ვორმსს არ გასცილდეთ;  
სიტყვა დასდეთ, არ იქნებით ამ პირობის გამტეხელი",  
დაეთანხმა ლუდეგარი, გაუწოდა გუნთერს ხელი.

252. წაიყვანეს ტყვევნილები, მოასვენეს კარგ ბინებში.  
დაჭრილები ჩააწვინეს ლბილად გაშლილ ლოგინებში.  
ჯანსაღთათვის მოიტანეს თაფლუჭი და კარგი ღვინო,

დასდგომოდათ ომგადახდილთ დრო საამო და სალხინო.

253. დაჩეხილი ჩაფხუტები მათ წაიღეს დასამალად,  
ბევრი იყო უნაგირი, შეღებილი სასახლესი ლალად.  
გადამალეს, რათა ქალებს მათზე ცრემლი არ ეღვარათ.  
რაინდები დაღლილიყვნენ, რადგან ბევრი გზა ეარათ.

254. მეფემ ბრძანა, სტუმართათვის მოვლა კარგი გაეჩინათ.  
თავიანთი და უცხონი ბევრი ჰყავდა ქალაქს ბინად.  
უბრძანებდა, დაჭრილებზე ყოფილიყო დიდი ზრუნვა.  
მათი რისხვა, ზვიადობა შეცვლილიყო ახლა ჭმუნვად.

255. მან დოსტაქარნი მოიხმო, დაჭრილთა ჭირთა მფონარნი,  
ბრძანა, მიეცათ ოქრონი და ვერცხლი აუწონარნი.  
მათთვის, როდესაც დაკოდილთ დაუშუშებდნენ იარებს.  
აჯილდოებდა სტუმრებსაც, სუფრათა თანაზიარებს.

256. ვინაც კი ნახვა ისურვა სამშობლოს კიდე-განისა,  
მათ, ვით მეგობრებს, შესთხოვა იქ დაყოვნება ხანისა.  
თავის გამირთათვის რა ეძღვნა, იყო ხელმწიფის თათბირი,  
რადგან მეფის და ქვეყნის წინ ნათლად უჩანდა მათ პირი.

257. სთქვა გერნოტმა: "ექვსი კვირიტ გაუშვით და დასდეთ ვალად,  
რომ ამ ვადის შემდეგ ყველა შეიყაროს ჩვენს წინ კვალად.  
მაშინ დიდის ნადიმისთვის ჩვენ გავალოთ სრათა კარნი;  
დაჭრილებიც იმ ჟამისთვის იქნებიან ფეხზე მდგარნი".

258. ზიგფრიდმაც თქვა, დროაო ნიდერლანდს გამგზავრებისა;  
როდესაც მეფეს აცნობეს წადილი გამირის დიდისა,  
კიდევ დარჩიო, ხელმწიფე მას ძმურად ეხვეწებოდა.  
თუ არ მისი დის გულისთვის, წასვლა არ დაიშლებოდა.

259. იგი, მდიდარი მეფის ძე არ იყო ოქროს მთხოვნელი.  
დაიმსახურა მით უფრო იმან მადლობა ცხოველი.  
დიდად სწყალობდა მას მეფე და მისი მეგობარები.  
ნახეს, ბრძოლაში მტერსა თუ დასცა რა შიშის ზარები.

260. დარჩა იქ იგი მშვენიერ ასულის ხილვის წყურვილით,

ხანი გამოხდა, აუხდა მას ესე ნატვრა-სურვილი,  
ოდეს გაიცნო კრიმჰილდე - ლამაზ ოცნების ზმანება,  
მალე ის მასთან ზეიმით შინისკენ გაემგზავრება.

261. საგმირო თამაშობაში იქ გადიოდა დრო მთელი,  
ახალგაზრდობა ხარობდა ველ-მოედნების მომთლელი.  
დადგეს საჯდომნი ვორმსის წინ, წყლის პირს, მეფის ბრძანებით,  
დიდთა მოწვეულ სტუმართა ღირსი და შესაგვანები.

262. და იმ დღეებში, როს სტუმრებს მართებდათ მოყრა თავის, კრიმპილდეც გახდა გამგონე ამბისა არ თუ ავის, რომ მეფე არის ნადიმად ყოველგნით რაინდთ მკრებელი. ნაზ ქალბატონებს გაუჩნდა ბევრი რამ საფიქრებელი.

263. სამოსელ-სამკაულთათვის გახდნენ ისინი მზრუნველი. მდიდარ უტესაც ეცნობა, რომ აივსება მუნ ველი. და სასახლეთა გარემო მხნე და ამყი გმირებით. მდიდრულ სამოსით გატენილ სკივრებს ახადეს პირები.

264. უტე ტანსაცმლის მზადებას შინაურთათვის ჰგონებდა; ბევრი ქალი და ქალწული მით შემდეგ თავს იწონებდა. ბევრ ბურგუნდელ და უცხოელ გმირთათვის - იყო ბრძანება -. იწყეს აგრეთვე ძვირფასი სამოსის კერვა-ზმანება.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე.

როგორ ნახა პირველად ზიგფრიდმა. კრიმპილდე.

265. გაბმით ვიდოდნენ ყოველდღე რაინისაკენ გმირები. ყველას უნდოდა ენახა ზეიმი დანაპირები. მათ, ვინც პატივით ხელმწიფე მოინახულა მარალი, ჯილდოდ მიეცათ მერნები და სამოსელი ახალი.

266. უკვე მოჩანდა სკამები, წინასწარ ჩამწკრივებული, წესით ვით განლაგდებოდა სუფრაზე სტუმართ კრებული. ოცდათორმეტი თავადი მეფეს ნადიმზე ხლებოდა. ამ ზეიმის დღეს ქალი ქალს მორთვაში ექიმშებოდა.

267. საქმიან იყო მეტად მუნ ყმაწვილი გიზელჰერი, მოწვეულთა შესახვედრად თადარიგი შესაფერი. მას და გერნოტს თავიანთი ვაჟკაცებით გაეჩინათ: თავმდაბლურის მისალემებით უხვდებოდნენ მოსულთ წინა.

268. უნაგირები მრავალი მოოჭვილ-მოოქროვილი, უბრწყინვალესი ფარები, სამოსი, ტურფად ქსოვილი. კარის ნადიმზე მოზღვავდა დასატყვევებლად თვალისა, ზოგ ავადმყოფსაც შეექმნა გუნება ისევ ხალისად.

269. ვისაც ჭრილობით ლოგინში ფერი გაუხდა მიხდილი. მას უნდა დავიწყებოდა, თუ რა მწარეა სიკვდილი. ავადმყოფ-დავრდომილების გადაავიწყდათ გლოვება:

არვის უნდოდა ჭმუნვა და ზეიმის გამოტოვება.

270. რა მხურვალედ მონატროდათ ამ ნადიმზე სტუმრად ხლება!  
უსაზომო დატკბობა და სიხარულის მოჭარბება.  
წილად ერგო ყველას, ვისაც იქ ეღირსა გამოჩენა.  
გუნთერის მთელ ქვეყანაში შექცევა და იწყო ლხენა.

271. სულიწმინდის მოფენის დღეს მეფის კარზე ნახეს დილით,  
მშვენიერი იარაღით და სამოსით მოხდენილით,  
ხუთი ათას რაინდისა ანდა ეგებ მეტის კრება.  
მრავალნაირ მოლხენაში იქ დაიწყეს შეჯიბრება.

272. მეფე აზრობდა - ეს იმას შეეტყო დიდი ხანია,  
რომ ნიდერლანდელ რინდის გონებ წარუტანია.  
ტრფიალსა მისი დისადმი, ჯერც არ ენახა რომელი,  
ვინც სილამაზით იყო სხვა ასულთა ფერის მკრთომელი.

273. მიმართა მეფეს ორტვიმა: "მისმინეთ, მინდა თქმა რისა, -  
რომ სრულ პატივით ჩატარდეს დღესასწაული კარისა,  
ბრძანეთ, წვეულებს უჩვენონ ლამაზი, ნორჩი ქალები,  
მაღალ პატივში რომ გვეყვანან, არცა თუ დასამალები.

274. სხვა რა იქნება უტკბესად ვაჟკაცთა გულთა მფონები,  
თუ არ კეკლუცი ასულნი და ტურფა ქალბატონები?  
ამიტომ ბრძანეთ მოყვანა ნადიმზე დისა თქვენისა! . . .".  
ამგვარმა რჩევამ ბევრ რაინდს შუქი მოჰფინა ლხენისა.

275. "სიამოვნებით მოვიყვან", მიუგო მეფემ ქებულმა.  
დიდი იგემა სიამე ამის გამგონე კრებულმა.  
ბრძანა, მხლებლებით უტე და მისი ლამაზი ასული.  
გამოსჩენოდნენ წვეულებს, სასახლის კარზე გასული.

276. სკივრებიდან ამოიღეს ჩაწყობილი შიგან ბარგი.  
მშვენიერი სამოსი და სამკაული მეტად კარგი -  
მოსავლები და ბალთები, შესაბამი ბევრი თვალი.  
მოიკაზმა უტურფესად იქ მრავალი კოხტა ქალი.

277. ზოგი ყმაწვილი რაინდის გული ნატვრაში დნებოდა,  
რომ დღეს მშვენიერ ქალებს ის როგორმე მოსწონებოდა,  
თუნდ არ მიეღო სამეფო, ვით ჯილდო, ნაცვლად ამისა;  
მოახლოება ათრობდათ პირველის ნახვის ჟამისა.

278. ბრძანა მეფემ - მყის მიაპყრო მის ბრძანებას ყველამ ყური,  
რომ ას მხლებელს გაეწია მისი დისთვის სამსახური,  
ასი კაცი მომსახურე, ამოწვდილი ხმლების ყველა -  
ბურგუნდიის კარის ყმანი თან ხლებოდა მუდამ მცველად.

279. მას მოჰყვებოდა, ხედავდნენ, უტე, დედოფლად ქებული;  
ასი თუ მეტი ლამაზი ქალი მოჩანდა ხლებული,



ყველანი ტურფად ჩაცმული, ძვირფასად გამოწყობილი.

კრიმპილდეს ახლდა აგრეთვე რამოდენიმე დობილი.

280. ერთ ოთახიდან იხილეს ისინი მომავალები.  
მყის აჩოჩქოლდნენ რაინდნი, ლომნი და გულით რვალები;  
ჰქონდათ უსიტყვო ლოდინში მთლად მოთმინება წასული:  
ექქარებოდათ ენახათ კეთილშობილი ასული.

281. გამოჩნდა ტურფა ისე, ვით ჩნდება ცისკარი დილისა,  
გამფანტავი და მომსპობი შემოდრუბლულის ჩრდილისა.  
ის, ვინც მისდამი ღრმა ტრფობას გამხელას ვერა ბედავდა.  
მშვენიერებით შემოსილს ახლა თავის წინ ხედავდა.

282. მრავალი თვალი ძვირფასი მის სამოსელზე ნათობდა,  
ვარდის ელფერი ღვაწთაგან შუქს მოციალეს ათოვდა.  
უნდა სიტურფის მონატრულს ეთქვა იქ გამოტეხილად,  
რომ ქვეყნად მსგავსი მშვენება აქამდე თვალს არ ეხილა.

283. როგორც გავსილი მთოვარე ვარსკვლავთ წინა სწრებული,  
რომლისგან ღრუბლით გამოკრთის სხივთა ნათელი კრებული,  
ისე ბრწყინავდა ქალთა წინ ნათელი მისი პირისა.  
მის სილამაზეს შეეძლო ცეცხლად აღზნება გმირისა.

284. კამერჰერბი ვიდოდნენ წინაშე ქალბატონისა.  
მჭვრეტელთა გასარღვევლადა სისუსტე უჩნდათ ღონისა.  
ვაჟნი ცდილობდნენ შეხედვას, მიმდგარნი ვითარცა ტყენი.  
ეს ზიგფრიდისთვის საამო იყო და თანაც საწყენი.

285. "როგორც ვფიქრობდი", ზრახვიდა ის გულში, ამის დამხედი,  
"რომ მე შენ უნდა მიყვარდე? ო, სულელი და თავხედი!  
მაგრამ მე შენსა სიშორეს აქ მირჩვენია სიკვდილი".  
ხან წითლდებოდა იგი და ხან ფერი ჰქონდა მიხდილი.

286. და ზიგელინდის ტურფა ძე იდგა, არ სხვათა გვანებით,  
ვით პერგამენტზე ნახატი უდიდეს ხელოვანებით.  
უნდა გულახდით გვეთქვა, რომ ჯერეთ არ არის ნახული.  
ქვეყნად სხვა სახე გმირისა, ეგზომ ლამაზად სახული.

287. გზის გასაკაფად მხლებელნი ბრძანების ძალას ხმარობდნენ.  
და რაინდებიც ყველანი დამორჩილებას ჩქარობდნენ.  
ქალებს უმზერდნენ შეფრფინვით, სხვათა არათა მგონები.  
რა ზრდილნი ჩანდნენ ტურფა და მარალი ქალბატონები!

288. აქ თავის ძმას გერნოტ მეფემ მაშინ სიტყვა ჰკადრა ძმური:  
"რაინდს, ვინაც გაგიწიოთ თქვენ სიკეთით სამსახური,  
ხამს, ძვირფასო ძმაო გუნთერ, თქვენც სიკეთე მიაწვდინოთ.

მეტი, ვიდრე სხვა რაინდებს. რჩევისთვის კი არ დამცინოთ.

289. უბრძანეთ ზიგფრიდს, მივიდეს წინაშე დისა ჩვენისა,

ასულიც შეხვდეს - გვექმნება შემდეგ მიზეზი ლხენისა,  
მას მიესალმოს, ვინც დღემდე რაინდს არ მისალმებია.  
გახდება მით ის ჩვენს მიერ მეგობრად მონაგებია".

290. მყის გაემართნენ იქითკენ მასპინძლის მეგობარები,  
სად ეგულვოდათ რაინდი, სხვათ არ შესადარები.  
უთხრეს: "ხელმწიფეს ჰსურს თქვენი დარბაზად გამოჩინაო,  
რომ მოგესალმოთ მათი და პატივის ნიშნად თქვენაო".

291. ამ სიტყვებმა ნეტარებით აუთრთოლეს რაინდს გული;  
ლხინს მიეცა, და სიამე კვლავ აგემა დაკარგული,  
რადგან უნდა ენახა მას მშვენიერი უტეს ქალი.  
ქალმან ვაჟთან მისალმების მოიხადა ტურფა ვალი.

292. და კრიმჰილდეს მყის სახეზე გადურბინა წითლად ფერმა,  
თავის წინ რომ ნახა ვაჟი, და წარმოთქვა მშვენიერმა:  
"სვემაღალო, სასიკეთოდ ყოფილიყავ აქ მოსული!".  
უნაზესი მისალმებით აუმაღლდა ზიგფრიდს სული.

293. მადლობისთვის მოხდენილად დაიხარა, დადრკა გმირი,  
ერთმანეთის მიმართ ქალ-ვაჟს სიყვარულის ხრავდა ჭირი.  
მათ ურთიერთ გადახედეს - სიყვარულის სწვავდათ ალი.  
მაგრამ არვის შეუნიშნავს -ეს სხვებისთვის მოხდა მალვით.

294. იყო თუ არა მოჭერით თეთრს ხელზე შემოჭდობილი.  
ხელი მხნე შეყვარებულის, ჩემთვის არ არის ცნობილი,  
მაგრამ არ მჯერა, რომ ასე არ მომხდარიყო: რომელი.  
არ ჩაიდენდა ამ ცოდვას გული, ტრფიალის მდომელი?

295. ზაფხულის ჟამს და მაისის ლამაზ დღეებში არასდროს,  
არ განიცდიდა ზიგფრიდი გრძნობას ესოდენ სანატროს.  
იმ მაღალ სიტკბოს, რომელიც ახლა იმის გულს იპყრობდა,  
რადგან ვიდოდა მის გვედით, ვის სიყვარულსაც ფიქრობდა.

296. ბევრმა რაინდმა იფიქრა: "ნეტავ მე გარდამხდენოდა,  
ნეტავ მე მევლო, ვით ზიგფრიდს იმასთან გავლა შვენოდა!  
ან დამაწვინა მის გვერდით!" ასე მალულად კვნესოდნენ.  
არც ერთ დედოფალს რაინდი არ მსახურებდა ესოდენ.

297. რა კუთხიდანაც სტუმარი არ ყოფილიყო წვეული,  
მისთა თვალთათვის ამ წყვილის შემჩნევა გახდა ჩვეული.  
რომ ვაჟისათვის ეკოცნა, კრიმჰილდეს ნება დაერთო.  
ზიგფრიდს არ ეგრძნო მსგავსი რამ და ლამიც ცნობა წაერთო.

298. დანიის მეფემ მაშინ იქ სიტყვა აიღო წამისა;  
"ამ მისალმების გულისთვის, ეჭვი არ არის ამისა,  
ზიგფრიდის ხელით დაჭრილი აქ ლოგინად წევს მრავალი.

ღმერთმან ნუ ჰქნას, რომ ჩემს ქვეყნად კვლავ გახდეს იგი მავალი".

299. მაშინ გასცეს ბრძანება, რომ დაეცალათ ყველგან გზები.  
მშვენიერი კრიმჰილდესთვის. გულადი და თავაზები.  
მიჰყვებოდნენ ტაძრისაკენ რაინდები იმას წყნარად.  
იქ მოუხდა რჩეულ რაინდს დაშორება მასთან ჩქარა.

300. ის შევიდა ტაძარშიგან და მასთან სხვა ბევრი ქალი.  
თვალსა ჭრიდა ისე რიგად მოკაზმული დედოფალი,  
რომ მარალი სურვილებით დაეკარგა ზოგს იქ ცნობა.  
არაერთი გმირის გულმა მასზე ფიქრში იწყო დნობა.

301. აღარ ეგონა ზიგფრიდსა, თუ წირვა დასრულდებოდა.  
მის ბედს მისგანვე მარადის აწ მაღლი უნდა სდებოდა,  
რომ მოიხვეჭა მან იგი, რის გამოც გული ჭირს ება.  
მიზნის მიღწევის მიზეზი იყო თვით მისი ღირსება.

302. როს წირვის შემდეგ ტაძრიდან გამოჩნდა ქალთა კრებული,  
კვლავ მიიწვიეს ქალწულთან რაინდი პატივდებული.  
მაშინ დაიწყეო კრიმჰილდემ მაღლობის მოხდა პირველად,  
რომ მოველინა ის მათ მტერს სისხლისმღვრელად და მჭირველად.

303. ქალმა უთხრა: "მოწყალების თქვენზემც იყოს ზეცა მფენი,  
ზიგფრიდ, რადგან ღირსი გახდით, რომ გულადი ყმების თქვენი.  
გემსახურონ სიყვარულით, ერთგულად და თავდადებით".  
აქ მას გმირმა უწყო მზერა ტრფიალით და დიდის გზნებით.

304. უპასუხა მას ზიგფრიდმა: "გემსახუროთ მინდა კვალად;  
დასვენაბაც ნუ მქონია, მე მივიჩნევ ამას ვალად,  
ვიდრე თქვენი სურვილები არა ნახოთ ხორცშესხმული.  
შევეცდები, ქალბატონო, რომ მოვიგო თქვენი გული".

305. თორმეტი დღის მანძილზე, დილა რომ გათენდებოდა,  
პირმშვენიერი ასულის გვერდით ზიგფრიდი ჩნდებოდა,  
და ეს ხდებოდა კრიმჰილდს ფარული ტრფიალებითა,  
ზიგფრიდის სასიამოვნოდ, მამაც გუნთერის ნებითა.

306. ილხენდნენ: ხმალთა წკრიალი, ფარის შელეწვა ფარზედა.  
გაბმით ისმოდა იმხანად მეფე გუნთერის კარზედა.  
ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს გმირები ორთა ბრძოლაში,  
ორტვინ და ჰაგენ ზვიადი სხვებსა სჯობდნენ შუბთა სროლაში.

307. რა თამაშსაც ისურვებდნენ, ყველაფრისთვის იყვნენ მზანი.  
ომსა შიგან უშიშარნი რაინდნი და მეფის ყმანი.  
მოყმეები სტუმრებს, გაბმით, ხიბლავდნენ და სჭრიდნენ თვალსა.  
რა სახელი მოუხვეჭეს მათ გუნთერის მიწა-წყალსა!

308. ფეხზე დადგნენ ისინიც, ვინც იწვნენ დიდხანს დაკოდილი,  
ამ საერთო ლაღობაში რომ ჰქონოდათ მათაც წილი,  
რომ ფარებით თავდაცულებს სანიშნოსთვის ეწყოთ სროლა.  
მათ შველოდნენ - და გაფიცხდა სავარჯიშო მათი ბრძოლა.

309. ბრძანება გასცა მფლობელმა, არ მოჰკლებოდათ წვეულებს.  
უძვირფასესი საჭმელი, მისგან წყალობაჩვეულებს,  
რომ არ ჰქონოდათ თავადებს მიზეზი მეფის კილვისა.  
მას სტუმართ შორის ნახავდ მსურველი მისი ხილვისა.

310. თქვა თუ: "თქვენი, რაინდებო, წასვლა ისე არ იქნება,  
თუ ჩემგან არ დასაჩუქრდით - ასეთია ჩემი ნება.  
ნუ იქნებით უკადრისი, გთხოვთ, მიიღოთ ვყელა ძღვენი:  
მცირედ მაინც დავაფასოთ უდიდესი ღვაწლი თქვენი".

311. დანიელნი საპასუხოდ გაიღებდნენ მაშინ ხმასა:  
"ვიდრე ჩვენი ქვეყნისაკენ გავუდგებით ისევ გზასა,  
საჭიროა ერთმანეთთან საუკუნო შეკვრათ ზავი:  
ბევრმა ჩვენმა მეგობარმა ამ ბრძოლაში დაღო თავი".

312. იმ დროს უკვე ლუდეგასტი, საქსთა ქვეყნის მბრძანებელი,  
ჭრილობათგან მორჩენილი, იყო ვითა უვნებელი.  
მუნ შთებოდა ბევრი მკვდარი, დამამშვენი მისთა ჯართა.  
ადგა მეფე გუნთერი და ზიგფრიდისკენ გაემართა.

313. უთხრა რაინდს: "გთხოვ, მირჩიო, ვით მოვიქცე, მიჯობს თუ რა:  
აწ ჩვენთაგან სტუმართ წასვლის ჟამი უკვე მიიწურა.  
და წასვლის წინ გვთხოვენ, ვიყვნეთ საუკუნო ზავის მცველად.  
ბჭობა შენი მვირად მიღირს - შენ რას ჩათვლი სასურველად?"

314. ბატონთაგან, გეტყვი, თუ რა შეპირება არის დიდი:  
მოგვეცემა წმინდა ოქრო ხუთას ცხენზე ანაკიდი.  
სიხარულით მოგვართმევენ ამას თავის დასახსნელად".  
სთქვა ზიგფრიდმა: "საქმე ესე მიმაჩნია არ საქმნელად.

315. მათ თავისუფლად მიეცით ნება შინ გამგზავრებისა,  
მხოლოდ პირობა მოსთხოვეთ კვლავაც არ ამხედრებისა.  
თქვენს წინააღმდეგ სასისხლოდ ამიერიდან აროდეს.  
ხელის მოცემა იმათგან საწინდრად უნდა კმაროდეს".

316. "რჩევას მივიღებ", თქვა მეფემ. შემდეგ წავიდნენ გმირები.

და მოახსენეს თავის მტრებს თვისივე ნათათბირები,  
რომ იმათ ოქრო არა სურთ, სასყიდლად შემოძლეული.  
როგორ ელოდნენ შინ ტყვეებს ლოდინით გულგაღებულნი!

317. აქ საუნჯით ავსებული მოიტანეს ბევრი ფარი.  
მეგობრებზე აუწონლად მეფემ გასცა საჩუქარი.

და დაუწყო ყოველ რაინდს მან ხუთასი მარკის ძლევა -.  
გაბედულმა გერნოტ მეფემ ძმას ამგვარი მისცა რჩევა.

318. აწ კი გაშვება ითხოვა ყველამ თხოვნითა დიდითა;  
დარბაისელნი სტუმარნი მოწიწებით და რიდითა.  
წარსდგნენ კრიმჰილდეს წინაშე და დიდი დედოფალისა.  
ჯერ არ წარსულან რაინდნი ასე კარგად და ხალისად.

319. დაცარიელდა იმათი წასვლით დარბაზთა წყებანი,  
მაგრამ იქ, სადაც წესად აქვთ ნატიფი ჩვეულებანი,  
დარჩა მეფე და მასთანვე სხვა ახლობელნი ქალისა,  
მეფის ასულთან სტუმრად რომ ვიდოდნენ ჟამითჟამისად.

320. ლომგულ ზიგფრიდსაც უნდოდა, რომ მეფეს დასთხოვებოდა -.  
სასო მიხდოდა, თუმცა კი წასვლაცა ეძნელებოდა.  
მან ეს თავისი სურვილი ხელმწიფეს შეატყობინა;  
მას გიზელჰერმა ყმაწვილმა მგზავრობა დაათმობინა:

321. "სითკენ, მაღალო ზიგფრიდო, საითკენ მიეჩქარებით?  
ნუთუ გაჰბეზრდით თქვენ ჩვენთან ყოფნით და დროს გატარებით?  
დარჩით გუნთერთან, ჯერ ჟამი დიდი არ არის გასული.  
სიამოვნებით გიმზერს თქვენ აქ ბევრი ტურფა ასული".

322. "წასვლას ვფიქრობდი", თქვა გმირმა. "მაგრამ არ დავეჩქარები,  
ცხენებს ნუ დასძრავთ თავლიდან, უკან წაიღეთ ფარები.ლ.  
ვლამობდი წასვლას ნამდვილ - აქ ვარ მომლოდინე მე რისა? -.  
მაგრამ მაყოვნებს მუდარა ჭაბუკის გიზელჰერისა".

323. ასე დარჩა მეგობარის სიყვარულით მძლავრი გმირი;  
არსად, თუნდაც მოელახა ერთიანად ქვეყნის პირი,  
არ ხვდებოდა რაინდს წილად ნეტარება უმეტესი;  
მას შეეძლო იქ ყოველდღე ნახვა ტურფა კრიმჰილდესი.

324. მისი მიზეზით ზიგფრიდი დარჩენის სურვილს მინებდა,  
დროს ატარებდა სიამით და დიდად მოილხინებდა.  
უზომო ტრფობით მისადმი ვაჟს ცეცხლი სწვავდა მგზნებარე.  
ბოლოს მის გამო შეიქმნა იგი უსულოდ მდებარე.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე.

როგორ გაემგზავრა გუნთერი ბრუნჰილდესათვის.  
იზენლადში.

325. კიდევ ახალი ხმა იყო ყველგან რინზე გასული:  
ამბობდნენ, რომ არისო ბევრი ლამაზი ასული;  
მათ შორის ერთი საცოლედ უნდაო გუნთერს მაღალსა.  
ბატონები და მოყმენი სიამეს მიხვდნენ ახალსა.

326. ზღვის გადაღმა იყო ერთი დედოფალი ტახტზე მჯდარი.  
არ ენახა არვის ქვეყნად ქალი მისი შესადარი.  
მეტად ტურფა, ძლიერ მეტად მისჯარვოდა გმირთა კრება.

სიყვარულის გამო მათთან ქალს მოეწყო შეჯიბრება.

327. შუბსა და ქვასა ისროდა, ხტოდა ქვის დასაწველად.  
მისსა მთხოვნელსა მართებდა მოვლინებოდა მძლეველად.  
სამსავე შეჯიბრებაში ქალწულს, ძალ-ლონით ქებულსა.  
თავის დაკრგვა ელოდა თუნდ ერთში დამარცხებულსა.

328. საქმე ამგვარი მეფის ქალს არ ერთხელ ჩაუდენია.  
ეს რომ გუნთერმა შეიტყო, წამი არ გაუცდენია.  
ქალის ნატვრაში კიდევაც სურდა გამოცდა მკლავისა.  
მაღე მოუხდა ამისთვის ბევრ გმირს დადება თავისა.

329. ბრძანა რაინის მმართველმა: "ზღვისკენ მიმიწევს გულიო,  
იქ, ბრუნჰილდესთან, ვისიც მე ტრფობა მაქვს ჩანერგილიო.  
ძალმიძს მთლად, მისსა მდომელსა, სიცოცხლის მოძულებაო:  
ან თავს დაგვარგავ, ან იგი მე ცოლად მეყოლებაო".

330. ზიგფრიდმა თქვა: "მე არ გირჩევ, გაგიზრახავს საქმე ძნელი;  
აქვს დედოფალს ჩვეულება საარაკო, საშინელი.  
ძებნა მისი სიყვარულის მეტისმეტად ძვირად ჯდება,  
და არ გვმართებს, რომ გირჩიოთ თქვენ ასეთი გამგზავრება".

331. მაშინ დაიწყო ჰაგენმა: "ისმინეთ ჩემი რჩევაო,  
ამ საქმის თანამზრუნველად გმართებთ ზიგფრიდის წვევაო.  
ეს არის ჩემი სურვილი, ჩემი ერთგული გრძნობაო,  
რადგან აქვს იმას ბრუნჰილდეს შესახებ ბევრი ცნობაო".

332. თქვა მეფემ: "ზიგფრიდ მაღალო, შენგან თანხმობა თუ არის.  
ამ საქმისათვი შველაზე? გთხოვ, არ მასმინო უარი,  
და თუ გავიხდი ცოლად მე უმშვენიერეს ასულსა,  
შენთვის გავწირავ ჩემს პატივს, ჩემს სიცოცლესა და სულსა".

333. "კეთილი", იყო პასუხი მეფე ზიგმუნდის წულისა,  
"სამაგიეროდ ჰკურნე შენ ჭრილობა ჩემი გულისა:  
უტურფეს დისა შენისა ვარ შენს წინაშე მთხოვნელი;

ამ საქმისათვის უმეტეს ჯილდოს აღარას მოველი".

334. მეფემ უთხრა: "მე აღვითქვამ, ზიგფრიდ, ამას - აჰა, ხელი: მშვენიერის ბრუნჰილდესი თუ გავხდები აქ მნახველი, მე კრიმჰილდე მოგათხოვო სიხარულით, არ თუ წყენით; შეგიძლია, შენ ლამაზთან რომ იცხოვრო მუდამ ლხენით".

335. კვლავ შეჰფიცეს ერთმანეთსა დიდებულმა რაინდებმა. ბევრს უმძიმეს სიძნელესთან იქ მოუხდათ იმათ შებმა, ვიდრე ქალი მშვენიერი მათ რაინზე მოიყვანეს. გულადებმა ამისათვის ზრუნვა დიდი აიტანეს.

336. ზიგფრიდმა თან წარიტანა რიდე იგი საკვირველი,

ის ხომ გმირმა გაბედულმა მოიპოვა მძლავრი ხელით. ბრძოლით ჯუჯა-კაცისაგან, რომელს ერქვა ალბერიხი. განემზადნენ წასასვლელად რაინდები დიდი რიხით.

337. ოდეს ზიგფრიდი ამ რიდით ტანდაბრუვილი ჩნდებოდა, მაშინ უებრო რაინდის ძალ-ღონე უტოლდებოდა. თორმეტი ვაჟკაცისასა; მან, ამ თქმულების ცნობითა, უცხო ქალწული ხელთ იგდო უდიდეს ეშმაკობითა.

338. იყო ეს უჩინმაჩინი კარგი და მოსაწონები. კაცი იქმოდა ყველაფერს, რისიცა იყო მგონები. მასში იდუმალ: ასე ის გახდა ბრუნჰილდეს მშოვნელი. შემდეგ ამ საქმეს თან მოჰყვა უბედურება ყოველი.

339. "ახლა მითხარ, ზიგფრიდ, ვიდრე დაიწყება წასვლა ჩვენი, ვით გავიდეთ ზღვასა იქით ჩვენ პატივით და გამოჩენით? მეომრების თან წაყვანა დაგვჭირდება ჩვენ, თუ არა? ოცდაათი ათასისა შეგროვება ძალმიძს ჩქარა".

340. "რამდენსაც კი ვიქნებით", თქვა ზიგფრიდმა, "წამყვანელი, მას, დედოფალს, ხასიათი აქვს ესოდენ საშინელი, რომ ყველანი ძალუმს მისცეს სიკვდილსა და დიდსა ჭირსა. მე სხვა რჩევას მოგცემთ, გუნთერ, გულადსა და კარგსა გმირსა.

341. ჩვენ რაინით წასვლა ქვემოთ რაინდთ გაჭრას დავაგვანოთ; მოგახსენებთ იმათ სახელს, ვინც თან უნდა წავიტანოთ. ორსა გვინდა მარტოოდენ ორი კაცის თანა ხლება. რომ ის ქალი ჩვენი გახდეს, შემდეგ მოხდეს, რაც მოხდება.

342. ამხანაგებად ერთი მე და შენ მეორე იქნები, ჰაგენი იყოს მესამე (მან ხმალსა მიჰყოს იქ ნები), ხოლო მეოთხე, დანკვარტი, გვყვანდეს გმირობის თავდებად, მაშინ სხვა, თუნდაც ათასი, ომში ვერ აგვითავდება".

343. "მე ვისურვებდი შემეტყო", კითხვა დაისვა მეფისა,  
"ვიდრემდის დაგვიდგებოდეს ჩვენ ჟამი გზად გაკრეფისა,  
რას სამოსები წავიღოთ თან ჩვენი საკადრისია,  
რომ მოეწონოს ბრუნჰილდეს? ზიგფრიდ, შენ როგორ გგონია?".

344. "ბრუნჰილდეს კარზე აცვიათ, ესეა მათი წესები,  
რაც კი სად მოიპოვება სამოსი უკეთესები.  
უნდა წარვუდგეთ ჩვენც იმათ ძვირფასად გამოწყობილი,  
რომ ამის გამო არ შეგვრცხვეს, არ გავხდეთ მათგან გმობილი",

345. სთქვა კეთილმა მეფემ მაშინ: "აი თვითონ წავალ მყისვე.  
ჩემს საყვარელ დედასთან მე, და ეგების მოხდეს ისე,  
რომ ჩვენ მისმა ლამაზებმა სამოსელი შეგვიკერონ.

და მით მაღალ ქალბატონთან მიგვიღონ და შეგვიფერონ".

346. შემდეგ ყველამ მიაპყრო იქ ტრონიელის ნათქვამს ყური:  
"რისთვის გნებავთ თქვენი დედის თქვენ ასეთი სამსახური?  
გააცანით დასა თქვენსა სურვილი და თქვენი ზრახვა:  
მან სამოსი შეგვიკეროს - მნელი გახდეს მსგავსის ნახვა".

347. ბრძანა მეფემ, გადაეცათ კრიმჰილდესთვის მისი ნება.,  
რომ მას უნდა ნახვა მისი და ზიგფრიდიც თან მიჰყვება.  
ქალი ტურფად მოიკაზმა, სამკაული უხდებოდა;  
მათი მისვლით გული მისი მცირეოდენ წუხდებოდა.

348. მსახურებმაც გადაიცვეს შესამოსი მყისვე სხვანი.  
შემოვიდნენ რაინდები, რა გამოხდა მცირე ხანი.  
ქალი ადგა შესახვედრად, უღიმოდა ნათლად პირი.  
რა ზრდილობით მიიღო მან ძმა თვისი და უცხო გმირი.

349. "მოსვლა მახარებს ჩემი ძმის და მისი ამხანაგისა",  
უთხრა ასულმა, "გაგება მსურს მე მიზეზის მაგისა:  
მაუწყეთ, გულში რა გიდევთ, მსურველები ხართ თუ რისა,  
თუ ძალმიძს ბატონებისთვის გაწევა სამსახურისა?".

350. "ქალბატონო", უთხრა მეფემ, "მოგახსენებთ გულის ნადებს:  
ჩვენ მიზანი დასახული მზურნველობას დიდს გვიქადებს.  
უცხო მხარეს გვინდა წასვლა, რომ ქალბატონს ვთხოვოთ ხელი,  
და სამგზავროდ, ამის გამო, გვსურს ძვირფასი სამოსელი".

351. "ძმავ, სანუკველო, დაბრძანდით", ამბობდა შუქთა მფინარი,  
"თავდაპირველად მაცნობეთ ის ქალბატონი ვინ არი,  
უცხო ხელმწიფის მხარეში ვის გამო წასვლა დაგჭირდათ?".  
აქ სწორუპოვარ რაინდებს კრიმჰილდემ ხელი ჩასჭიდა.



352. და წაიყვანა ორივე, სადაც თვით იყო მჯდომელი.  
უმშვენიერეს ტახტზედა, ნამდვილად მახსოვს რომელი:  
მოოქროვილი ძვირფასად, სახეებამონაქარგი.  
მათ გაატარეს ქალის წინ ჟამი საამო და კარგი.

353. მეგობრულად საუბრობდნენ, გამოაგეს სიტყვა მჭევრი,  
სატრფიალო შეხედვა მუნ საკმარისი იყო ბევრი.  
ვაჟი ქალის ტურფა სახეს ატარებდა გულში გზნებით.  
ის მან ცოლად მოიპოვა ბოლოს დიდი თავდადებით.

354. "საყვარელო დაო ჩემო", მეფე ქალწულს ეუბნება,  
"თუ არ შენი დახმარებით, არაფერი არ იქნება;  
ჩვენ ბრუნჰილდეს ქვეყნისაკენ შორეული გვიჩანს გზები,  
გვსურს ვატაროთ მიწ წინაშე სამოსები ლამაზები".

355. უპასუხა მას კრიმჰილდემ: "ძმაო ჩემო, სანუკველო,

მე მზადა ვარ ამისათვის, თუ კი ძალმიძს, რომ გიშველო;  
არა თუ მე, სხვამაც რომ არ აღასრულოს თხოვნა თქვენი,  
ეს იქნება ჩემთვის მეტად სამძიმო და გულსატკენი.

356. თქვენგან არ ხამს ჩემს წინაშე, მძლე რაინდო, თხოვნით ხლება,  
თქვენ მე უნდა მიბრძანებდეთ - წესია და ჩვეულება,  
მე მზადა ვარ ვიყო მისთვის, რაც კი მოიწონოს თქვენმა თვალმა;  
მინდა გულით გემსახუროთ",- მშვენიერმა უთხრა ქალმა.

357. "სურვილი გვაქვს, რომ ვატაროთ, დაო, ტურფა სამოსელი,  
შეკერვაში თქვენი უნდა დაგვეხმაროს თეთრი ხელი.  
საზრუნველად ამისათვის გთხოვთ, ინებოთ ქალთა წვევა,  
რადგან წასვლის წინააღმდეგ ყოველგვარი დავგმეთ რჩევა".

358. მაშინ დაიწყო ასულმა: "აი, თქმა მინდა მე რისა:  
ჩვენ აბრეშუმი ბევრი გვაქვს ულამაზესი ფერისა,  
მხოლოდ უბრძანეთ ფარებით მოზიდონ თლილი თვალები;  
ნახეთ, სამოსი გაგიწყოთ თქვენ თქვენი სასურვალეები!".

359. "ვინ არიან ამხანაგნი", დედოფალმა ჰკითხა მეფეს,  
"თქვენთან ერთად რომ მიუვლენ ჩაცმულები უცხო სეფეს?".  
"სულ ვართ ოთხნი: ჩემს საყმოდან იქნებიან ჩვენთან ორნი:  
ავირჩიეთ დანკვარტი და ტრონიელი - გმირთა სწონრი.

360. საყვარელო, დაიხსომე, თუ რისა ვართ ახლა მთქმელი:  
წაგვატანეთ მშვენიერი და იმდენი ტანსაცმელი,  
ყოველ ოთხ დღეს სამჯერ დღეში, რომ ვიცვალოთ სხვადასხვანი,  
და ბრუნჰილდეს ქვეყანაში შეურცხვენლად დავყოთ ხანი".

361. ქალს გამოვრდნენ რაინდები, როს მიიღეს დაპირება;

მაშინ თავის ოთახიდან ოცდაათის ქალის კრება.  
ახალგაზრდა ქალბატონმა მიიწვია თავისთანა;  
მათ სამძიმოდ არ უჩანდათ ამ ხელსაქმის ამოცანა.

362. არაბთა ქვეყნის აბრეშუმს, ფერით თოვლისა მგვანესა.  
და ცაცამანულს, მშვენიერს, იონჯასავით მწვანესა,  
დაასხეს ქვები ძვირფასი გვირისტით არ ეთხელითა;  
სჭრიდა ლამაზი კრიმჭილდე მათ საკუთარი ხელითა.

363. სარჩულად ტყავი თევზისა ჰქონდათ სუფთა და მაგარი,  
განაცვიფრებდა მხილველებს აბრეშუმგადანაკარი.  
შიგ ატარებდნენ ოქროსა ქალები მუნ თეთრხელება.  
ო, ამ სამოსზე ითქმოდა მრავალი საკვირველება!

364. მაროკოსა და ლიბიის ლარნი სულ ატლასისანი,  
თუკი მსგავს სადმე იცვამდნენ ვაჟები ხელმწიფისანი,  
მათ საკმარისად მოიღეს - სიძუნწე საქმეს ავნებდა.

ზრუნვას მათ გამო კრიმჭილდე ხალისით გაამჟღავნებდა.

365. მგზავრთა ძვირფასად ჩაცმისა ქალწული იყო მდომელი.  
არ დაუზოგავთ ყარყუმის ბეწვი ფასმიუწვდომელი.  
შავად მოჩანდა სამოსზე ნახშირისფერი ლაქები.  
კარის ნადიმზე იცვამდნენ მას რაინდები საქები.

366. არაბულ ოქროს ბუდეთგან სხივებს აფრქვევდნენ ლალები,  
განუწვეტელად იღწვოდნენ მუნ შეკრებილი ქალები.  
სამოსის კერვა დასრულდა შემდგომად შვიდი კვირისა,  
და იარაღიც მზად იყო მაშინ ოთხთავე გმირისა.

367. ოდეს სამგზავროდ ისინი უკვე მზად იყვნენ დამდგარი,  
მოკაზმულ იდგა რაინზე ერთი ხომალდი მაგარი.  
ამით ფიქრობდნენ მოყმენი ზღვისკენ რაინით ცურვასა.  
ტურფა ქალები მიეცნენ დიდ საზრუნავს და ურვასა.

368. მეფისა და რაინდების წინაშე მუნ იყვნენ მთქმელი,  
რომ მზად არის მდიდრული და მოხდენილი ტანსაცმელი.  
დაკვეთილი იმათ მიერ, უცხო მხარეს წასატანი.  
აღარ სურდათ რაინზე მათ მოეთიათ კიდევ ხანი.

369. მათ შიკრიკის პირით სთხოვეს თავის მეომარ მეგობრებს,  
რომ ახალი სამოსელის ნახვას ნურვინ დაიზარებს;  
გაესინჯათ, თუ ვით ადგათ: მოკლე იყო, ან თუ გრძელი.  
მადლი უთხრეს, რადგან კარგად შემოადგათ სამოსელი.

370. უნდა ეთქვა ყველას, ვისაც ნახავდა ეს ოთხი გმირი,  
რომ სამოსი არ ნახულა ქვეყნად უფრო გასაკვირი.

ამიტომ მას მედიდურად ატრებდნენ სასახლეში,  
არც ერთ რაინდს უკეთესი არ ჩაუცვამს თავის დღეში.

371. კეთილშობილ ქალბატონებს მაღლი უთხრეს უმაღლესი,  
დაეთხოვნენ ამის შემეგ, ვით რაინდთა იყო წესი.  
ბატონებმა ყოველივე ეს ზრდილობით ჩაიდინეს.  
მშვენიერმა თვალებმა იქ ცრემლი ბევრი დაიდინეს.

372. ქალმან უთხრა: "საყვარელო ძმაო, ჯობს, რომ არ წახვიდე,  
სასიკეთოდ მიმაჩნია, რომ აქ სხვა ქალს შეირთავდე,  
თქვენ საფთხეში არ ჩაიგდებთ სიცოცხლეს და სხეულს მაშინ.  
კეთილშობილ ქალს იპოვით ბევრს ჩვენსავე ქვეყანაში".

373. უბედურებას მომავალს თითქოს წინასწარ ხვდებოდა,  
ყველა ატირდა მდულარედ - ან ვინ არ ატირებოდა?  
იმათ გულ-მკერდზე ცრემლთაგან ფერი ოქროსი ჰკრთებოდა,  
ჩამომდინარე წკრიალით მიწაზე ეწვეთებოდა.

374. "ბატონო ზიგფრიდ", თქვა ქალმან, მზრუნველმან, არ მხიარულმან, -  
"ჩემს საყვარელ ძმას თვალყური გთხოვთ, რომ ადევნოთ ფარულად,

რათა ბრუნჰილდეს ქვეყნად მას არ შეეყაროს ზიანი".  
აღთქმას აძლევდა ქალბატონს ჭაბუკი თავაზიანი.

375. ვაჟმან უთხრა: "ვიდრემდისინ ცოცხალი ვარ და მისდგას სული,  
ნურა ზრუნვით ნუ იქნებით, ქალბატონო, დატვირთული.  
გეფიცებით, ვიყო მისთვის ყოვლთა ჭირთ არ დამრიდად,  
ძმა მშვიდობით დაგიბრუნოთ". ქალწული ვაჟს მაღლს უხდიდა.

376. მალე ნაირზე მიიღეს მოოქროვილი ფარები,  
ნავზე მოზიდეს სამოსი ტურფა და გასახარები.  
ბრძანეს ცხენების მოყვანა - აწ მეფემ წასვლა ინება.  
ბევრმა ლამაზმა ქალმა იქ იწყო ცრემლები დინება.

377. ფანჯრებს მოაწყდა სიმრავლე კეკლუცი გოგონებისა,  
აფრეს ავსებდა სრუვილი ქართაგან გაქანებისა.  
ჩასხდნენ მოყმენი, გამყრელნი მიხვდნენ ლახვართა სობასა.  
მეფემ თქვა: "მარქვით, ვინა იქმს ხომალდის უფროსობასა?"

378. "თანახმა ვარ გბელადობდეთ", შეესიტყვა ზიგფრიდ გმირი,  
"თქვენ უწყით, რომ ზღვის გზა ვიცი ნამდვილი და პირდაპირი,  
მე მიგიყვანთ, რაინდებო, იქ, სადაც ვართ მიმავალი".  
სანატრელად უჩნდათ ვაჟკაცთ უცხო გზა და უცხო კვალი.

379. შეეჭიდა მოსასმელ ბარჯს მხნე ზიგრფიდის მძლავრი მკლავი.  
და მან დიდად დატვირთული ნაპირიდან დასძრა ნავი.  
გაბედულმა გუნთერმა კი თვით ჩაავლო საჭეს ხელი.

ბურგუნდელთა ქვეყნებიდან გზა სავალი ედოთ გრძელი.

380. მათ თან მიჰქონდათ ძვირფასი სასმელ-საჭმელი ყოველი,  
საუკეთესო, რისიცა რაინზე იყვნენ მშოვნელი.  
კარგად მოვლილი იდგნენ იქ მათი ლამაზი რაშები,  
წინ მიილტვოდნენ უვნებლად მონალხენი და ნაშვები.

381. ჭიმავედნენ აფრის თოკებსა, ილტვოდნენ, ეჩქარებოდათ,  
მათ ოცი მილი გაევიდოთ, ვიდრემდის შელამდებოდა.  
მიაქროლებდა ტალღებზე ნიავი ნავს გამალებით.  
ამ ზრუნვა-შრომამ ბოლო ჯამს ატირა ტურფა ქალები.

382. მეთორმეტე დღეს რაინდებს, გამგზავრებულებს რაინით,  
ასე გვსმენია, წინ დახვდათ სიმაგრე იზენშტაინი.  
ეს იყო უკვე ქვაყანა ბრუნჰილდე დედოფალისა.  
ზიგფრიდი იყო მხოლოდ იქ მცნობი ამ მიწა-წყალისა.

383. ოდეს მეფემ ციხეები ესოდენ დაინახა.  
და ველები უვრცელესი, მყისვე ზიგფრიდს გადასძახა:  
"საყვარელო მეგობარო, ერთი ცნობა მინდა გთხოვოთ:  
ვისია ეს ქალაქები და ქვეყანა საუცხოო?".

384. ზიგფრიდმა უთხრა: "არ არის ეს ძნელი მოსააზრები -  
ბრუნჰილდესია ციხენი და მშვენიერი მხარენი,  
იზენშტაინიც. ღმერთმა აქ ჩვენი აწ მოსვლა ინება!  
დღეს ბევრი ტურფა ასული თქვენს თვალებს მოეღინება.

385. ერთმანეთის ერთგულები უნდა იყოთ, გთხოვთ მე, ყველა,  
შეათანხმეთ ლაპარაკი, ამას ძალუმს ჩვენი შველა.  
დღეს შეგხვედება ბრუნჰილდეს წინ გამოჩენა სათამამო.  
და წინასწარ მზრუნველობა დიდი გვმართებს ამის გამო.

386. მძლე გმირები იქ დედოფალს და ამაღას მასთან ხლებულს,  
ერთ აზრს უნდა აგონებდეთ, ყველას მიერ განცხადებულს,  
რომ გუნთერი პატრონია, მე კი მისი ქვეშევრდომი.  
და მიაღწევს მაშინ იმას, რისიც არის იგი მდომი".

387. გადაწყვიტეს, სისრულეში მოეყვანათ მისი რჩევა,  
ზვიადობა მიატოვეს, თავმდაბლურად იწყეს ქცევა.  
იქცოდნენ ისე, როგორც მათ ზიგფრიდმა დაუსახა,  
ცნეს სიკეთე ამ ჩვევისა, როს ბრუნჰილდე მეფემ ნახა.

388. "მე ვიქცევი ამნაირად მარტოდენ შენთვის არა,  
შენი დისტვის კრიმჰილდესთვის - ეს მიზეზი ჩემთვის კმარა;  
ის არის ვით ჩემი სული და სხეული საკუთარი,  
თავდადებით მინდა მისი სასურველი გავხდე ქმარი".

ა მ ბ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე.

როგორ მოიპოვა გუთერმა ბრუნჰილდე.

389. იმავე დროს ქალაქს უკვე მიეახლა მათი ნავი.  
და ბრწყინვალე გუნთერ მეფემ, რა ასწია მალლა თავი,  
სარკმლებს უკან დაინახა ქალბატონი ბევრი მნათი.  
მას მიაჩნდა სამწუხაროდ, რომ არ ჰქონდა ცნობა მათი.

390. თვის მეგობარს, ზიგფრედს ჰკითხა: სცნობ თუ არ შენ ამ ქალებს,  
თვალთა მათთა ვარსკვლავთ გუნდი ამაყად რომ გვითვალთვალე,  
სარკმლებიდან რომდაგვცქერენ ნავით მიმსრბოლთ დაბლა, ზღვაზე?  
სთქვი, რა ჰქვია იმათ პატრონს? თვალს სჭრის მათი სილამაზე".

391. მოყმემ უთხრა: "ეს ქალები თქვენ დაზვეროთ უნდა ფრთხილად.  
და შემდეგ მე გამიმჟღავნოთ გულახდით და გატეხილად,  
თუ ვინ არის იმათ შორის თქვენთვის უფრო სასურველი".  
უპასუხა მას გუნთერმა: "ვარ ახლავე მაგის მთქმელი.

392. აი იქ, სხვა ქალთა შორის, ფანჯარასთან მოსჩანს მდგარი.  
თოვლივით თეთრ სამოსელში, ტანად ალვის შესადარი:  
ის არჩია ჩემმა თვალმა, სხეული აქვს როგორც ბროლი;  
ვინდომებდი სწორედ იგი გამხდარიყო ჩემი ცოლი".

393. უპასუხა: "არჩევანში არ შემცდარა შენი თვალი:  
თვით ბრუნჰილდე არის იგი, უტურფესი დედოფალი,  
ვისაც ეძებს შენი გული, გონება და ვაჟკაცობა".  
ქალბატონის სილამაზემ დაატყვევა მეფის გრძნობა.

394. ქალწულმა ბრძანა, გასცლოდნენ სარკმლებს ლამაზი ქალები.  
რომ არ მიეპყროთ იმათთვის უცხო ვაჟკაცებს თვალები.  
მყისვე აღსრულდა დედოფლის ბრძანება დასაღონები.  
თუ რას იქმოდნენ, ვიცოდით ჩვენ, მას შემდეგ ქალბატონები.

395. უცხო ვაჟთათვის მორთვისა ისინი იყვნენ მგონენი,  
ვით იქცოდნენ სხვა დროსაც ქალები თავმომწონენი,  
შემდეგ კი ვიწრო სარკმლებთან ყველანი მისვლას ჩქარობდნენ.  
და ახლად მოსულ სტუმართა თვალიერებით ხარობდნენ.

396. ოთხი იყო იქ რაინდი, ზღვის ნაპირას, თვალთა მლხენი,  
ნიდერლანდელს თან მიჰყავდა გუნთერისთვის შავრა ცხენი.  
სჭვრეტდა ამას სარკმლებიდან ქალთა კრება მომხიბლავი.  
ბურგუნდელთა მეფემ მაშინ დიდ პატივში იგრძნო თავი.

397. ზიგფრიდს აღვირით მიჰყავდა მისთვის მერანი ლამაზი,

(ის იყო დიდი, ძლიერი და სწრაფი, როგორც გავაზი),  
ასე გაუხდა მეფეს იქ ფარეშად გმირი ქებული,  
მაგრამ მეფისგან შემდეგ ეს გახდა მთლად დავიწყებული.

398. ამის შემდეგ მან ნაპირზე თავის ცხენი გადიყვანა.  
ვის უნახავს ზიგფრიდისგან სამსახური ამისთანა,  
ვის უნახავს ის დამჭერი ვინმე მოყმის უზანგისა?  
მშვენიერმა ქალებმა კი ვით ფარეში ნახეს ისა.

399. მზად ჰყვანდათ ოთხსავ მოსულს იქ მერნები თოვლისფერი,  
ტანზე ესხათ სარაინდო საჭურველი მშვენიერი,  
ერთნაირი ოთხთავეთა, და მათ ხელში ფართა პირნი.  
გარს აფრქვევდნენ სხივებს, თვალის შესადგამად გასაჭირნი.

400. ძვირფასი ქვებით შემკული ჰქონდათ მათ უნაგირები,  
ბრუნჰილდეს სასახლისაკენ სწრაფად მიჰქროდნენ გმირები,  
უნაგირებზე ეჟვნები ჟღერდნენ ოქროსი მნათისა;  
აქ მოსვლა იყო შედეგი გამბედაობის მათისა.

401. ახლად ნალესი შუბები ზე შეყრით იმართებოდა,  
კარგად შემკული ხმლები კი მათ დეზებამდე სწვდებოდა,  
ხმლები პირბასრი, ფართენი და სხივებისა მფრქვეველი.  
ეს ყოველივე ბრუნჰილდეს არ დარჩა შეუმჩნეველი.

402. იქ დანკვარტი და ჰაგენი, რაინდები გამოწვრთნილი,  
მოკაზმული იყვნენ თურმე, როგორცა გვაქვს გაგონილი,

ყორნის ფრთაზე უშავესის მშვენიერის ტანსაცმელით.  
მათ ფარებიც კარგი ჰქონდათ - განიერი და თან გრძელი.

403. ინდოეთით მოტანილის მრავალგვარის ტურფა თვალით.  
მოკაზმული იყო მათი სამოსელი და ფარ-ხმალი.  
მიატოვეს მათ ხომალდი უპატრონოდ ზღვისა ყურეს.  
და ბრწყინვალე რაინდებმა სიმაგრისკენ მიაშურეს.

404. მათ ოთხმოცდაექვსი კოშკი იხილეს იქ აღმართული,  
სარაინდო სრა სამი და ერთიც უცხოდ მოკაზმული,  
ბალახივით მწვანე ფერის მარმარილოს ქვით ნაშენი.  
თვით ბრუნჰილდე მხლებლებითურთ იყო მისი დამამშვენი.

405. ღია დაუხვდა იმათ იქ ციხე-ქალაქის კარები.  
მყის კაცნი დედოფალისა, ციხესა შიგან მდგარები,  
გამოეგებნენ, მიიღეს სტუმრები გმირთა დარბი.  
და ჩამოართვეს ხელთაგან მათ მერნები და ფარები.

406. ეჯიბმა სთხოვათ მიცემა ხმლების და საჭურველისა;  
"ვერა, ვერ მოგცემთ", გაისმა პასუხი ტრონიელისა.

"ჩვენ თვითონ გვინდა ტარება ჩვენის აბჯრის და ხმლებისა".  
დაიწყო ახსნა ზიგრიდმა სასახლის ჩვეულებისა.

407. "ამ ქალაქში, უნდა გითხრათ, არის ერთი ჩვეულება:  
იარადის ტარებისა აქ არა აქვთ სტუმრებს ნება.  
და ურჩობა, ვფიქრობ, ჩვენთვის არ იქნება ხელსაყრელი".  
ზიგფრიდს ძალაუნებურად დაჰმორჩილდა ტრონიელი.

408. მოუტანეს სტუმრებს ღვინო, მოასვენეს დაღლილები,  
მათ იხილეს სასახლისკენ მოსწრაფენი შარაგზებით,  
რომ ბრუნჰილდეს რაინდები მოდიოდნენ ლაღად, შვებით, თვით  
მდიდრულად ჩაცმულები მხედართ სჭვრეტნენ გოცებით.

409. მყის ბრუნჰილდე დედოფალსა მიუვიდა ცნობა მაშინ,  
რომ უცნობი რაინდები შემოვიდნენ მათ ქალაქში:  
უტურფესად შემოსილნი მოვიდნენო ცურვით მალით,  
გამოკითხვას იჩქარიდა მშვენიერი იგი ქალი:

410. "მე შეტყობას ველი თქვენგან", ეუბნება მათ ასული,  
"ვინ აიან ახალგაზრდა რაინდები აქ მოსული,  
ჩემს ქალაქში რომ დამდგარან ზვიადად და ვაჟკაცურად?  
რა ქვეყნიდან მოგვეახლნენ, ან მოსულან ჩვენთან თუ რად?".

411. თქვა ფარეშმა ერთმა: "ვარ მე გულახდილად ამის მთქმელი,  
რომ არსდროს არ ვყოფილვარ ამ კაცების დამნახველი, მხოლოდ  
ერთს კი იმათ შორის აქვს ზიგფრიდის მსგავსი ქცევა. კარგად  
უნდა შეხვდეთ იმას, ეს იქნება ჩემი რჩევა.

412. მეორე კი იმათგანი სანაქებოდ მეჩვენება.

და ვგონებ, რომ უვრცელესი სათავადოც თუ ექნება,  
ის იქნება ხელმწიფე და გამგებელი მისი დიდი;  
ნახეთ, სხვებში როგორ არის ის ამაყად ანაზიდი.

413. მრისხანე და კუმტი სახით მესამეა იმათგანი,  
მაგრამ, დიდო დედოფალო, ლამაზია იგიც ტანით.  
ელვასავით გამოუკრთის საშინელი თვალთა მზერა,  
მრისხანებას დიდსა ჰფარავს იგი თავის სულში, მჯერა.

414. ყველაზე კი ნორჩი მათში იქ დამდგარა ვითა გმირი,  
მას, მაღალო დედოფალო, საყვარელი უჩანს პირი:  
ახალგაზრდა ქალწულივით მას უჭირავს მორცხვად თავი,  
მაგრამ უნდა გვემინოდეს, თუ შეემთხვა ჩვენგან ავი.

415. თუმცა ტურფაა იგი სახით და საამო უჩანს ქცევა,  
მაინც ძალუმს მას ქალებში ბევრი ცრემლის გამოწვევა,  
თუ გაბრაზდა. ტანადობა მისი ესდენ კარგი არი,

რომ თავს იყრის მასში, ალბათ, სათნოება ყოველგვარი".

416. "ჩქარა ჩემი სამოსელი!" დედოფალმა ბრძანა მაშინ,  
"და თუ მართლა მძლავრი ზიგფრიდ მოსულა ჩემს ქვეყანაში.  
ჩემი ხელის საძებნელად, მას მოელის გლოვა, ვიში:  
რომ იმისი ცოლი გავხდე, მე არა მაქვს ამის შიში".

417. მსწრაფლ უტურფეს სამოსელით შეიმოსა დედოფალი;  
მას მხლებლებლად გარს ეხვია მშვენიერი ბევრი ქალი,  
ასამდე, თუ უფრო მეტი, ტანსაცმელით შერჩეულით,  
კეთილშობილ ქალბატონებს სტუმართ ნახვა სწადდათ გულით.

418. რაინდები დედოფლისა, იზენლანდის თანამხლებნი,  
მათთან ერთად გულზვიადად მოდიოდნენ ხელში ხმლებით,  
ხუთასი თუ უფრო მეტი. ეს ეწყინათ სუტმრებს დიდად;  
სკამებიდან გულად გმირებს ტანი უნდა აეზიდათ.

419. როს ბრუნჰილდე დედოფალმა დაინახა ზიგფრიდ გმირი,  
ყური უგდეთ, რას ეტყოდა ლამაზი და სიტყვაძვირი:  
"კეთილ იყოს თქვენი, ზიგფრიდ, ჩემს მხარეში მობრძანება;  
გთხოვთ მაცნობოთ, რას შეიცავს განზრახვა და თქვენი ნება?".

420. "ქალბატონო, ნება დამრთეთ, შემოგწიროთ მადლი დიდი,  
რომ მაღირსეთ მოსალმება საამო და დასამშვიდი.  
ამ მაღალი რაინდის წინ, პატრონია ჩემი ვინა,  
მე მერჩია. მოწყალეო, ეს პატივი ამეცდინა.

421. სხვა რა გკადროთ: რაინზედა ხელმწიფეა იგი სრული.  
აქეთ მავალთ გზას გვიკვლევდა ჩვენ თქვენდამი სიყვარული.  
მას უყვარხართ, მეფე ჩემი თქვენ გიცხადებთ თავის გრძნობას.

მოიფიქრეთ! უსიკვდილოდ იგი არ იქმს თქვენს დათმობას.

422. იგი მეფე გუნთერია, მდიდარი და დიდებული:  
მხოლოდ თქვენი სიყვარულის მძებნელია მისი გული.  
აქ ვეახელ მს თქვენს გამო, მე ჩემს ბატონს ვუწევ ყმობას,  
თორემ სხვა ვერ მიიღებდა აქ მოსვლაზე ჩემს თანხმობას".

423. ბრუნჰილდემ თქვა: "თუ პატრონი არის ის და ყმა ხარ შენა,  
მე ვუმართავ შეჯიბრებას და მას მართებს თავის ჩენა.  
მე გავხდები მისი ცოლი, გამარჯვება თუკი ხვდება.  
ხოლო ჩემგან ჯობნი ყველას თქვენ სიცოცხლედ დაგიჯდებათ".

424. თქვენ ჰაგენმა: "დედოფალო, როგორია შეჯიბრება,  
ჩვენს მეფეს რომ გაუმართავთ? თუკი თქვენსკენ გადიხრება.  
ბედი, მაშინ ჩვენ თავები გაგვიხდება დასაკარგი.  
მაგრამ მას ხომ სურს ქალწული მოიპოვოს ესდენ კარგი".



425. "ჯერ მან უნდა ქვა ისროლოს, ქვასა მასვე გადაახტეს, ჩემთან ერთად შუბი სტყორცნოს, არ დამარცხდეს და არ წახდეს, თორემ ყველა პატივითურთ აქ დაჰკარგავთ სიცოცხლესა. ამის გამო ფიქრი გმართებთ", დედოფალმა უთხრა ესა.

426. მყის მეფესთან მიდგა ზიგფრიდ, გულადი და მარდი მარად, და სთხოვა, რომ დედოფალის წინ გამოეთქვა უშიშარად. თავის ზრახვა; მასთან ერთად ყოფილიყო მტკიცე გრძნობით: "მე შენ, მეფევ, დაგიფარავ მისგან ჩემის ეშმაკობით".

427. "დედოფალო", მოახსენა მაშინ მეფემ დიდ ქალბატონს: "დამავალეთ რაცა გსურდეთ, თუნდ ჩემს ღონეს აღემატოს. ყოველივეს გადავიტან მე თქვენდამი ტრფობის გამო: ჯობს, ან მოვკვდე, ან გული მე თქვენის ქმრობით დავიამო".

428. და როდესაც დედოფალმა მოისმინა სიტყვა მისი. უბრძანა, რომ მყის დაეწყოთ შეჯიბრების სამზადისი. და მოედოთ ბრძოლისათვის შესამოსი რაც რამ არი -. მისი ოქროს საჭურველი და მაგარი მისი ფარი.

429. აბრეშუმის ქვაბჯარი მოუტანეს მეფის ქალსა; ამ პერანგის ომში გაჭრა არ შეეძლო არც ერთ ხმალსა. ლიბიურის ქსოვლისგან იყო ტურფად გამოჭრილი. და ბრჭყვიალა ქობები მას ირგვლივ ჰქონდა შემოყრილი.

430. რისხვას აფრქვევდნენ სტუმრები მიმართ იმისი ბაგენი, იდგნენ გულდაკოდილები იქ დანკვარტი და ჰაგენი. იდუმალ იწყეს მეფისთვის მწუხარება და ჯავრობა: "არ დასრულდება", ფიქრობდნენ, "კეთილად ჩვენი მგზავრობა".

431. მაშინ წავიდა ზიგფრიდი, იდუმალ, ვითა გრძნეული. ხომალდისაკენ ფარულად, არვისგან არ შემჩნეული, სადაც მან უჩინმაჩინის დასტოვა მოსაბურავი. ოდეს მოისხა, მის ხილვას ნულარ ლამობდნენ ნურავინ.

432. მსწრაფლ დაბრუნდა უკანვე და მიაშურა მოყმეთ კრებას, სადაც უკვე დედოფალი დაიწყებდა შეჯიბრებას. დადგა მათთან, მისი მისვლა ვერ შენიშნეს იქ სრულებით. რაინდებმა; ყველაფერი მოხდა მისი გრძნეულებით.

433. საშეჯიბრო მოედნისთვის შემოევლოთ ირგვლივ რკალი. მაყურებლად იქ დადგომა რაინდთათვის იყო ვალი; შვიდას კაცზე მეტი იყო იარაღში მსხდომი ჯარი; მათ გულწრფელად უნდა ეთქვათ, გამარჯვება ვისკენ არის.

434. იქ მივიდა დედოფალიც შეჭურვილი იმდაგვარად,  
თითქოს უნდა მთელ სამეფოს მოვლენოდა მწედ და ფარად.  
აბრეშუმი ჰქონდა წმინდა ოქრომკერდით მოსირმული;  
მისის ტანით გამოკრთოდა სხივოსნობა მისი სრული.

435. მოედანზე მოდგნენ შემდეგ ფარეშები მხნე და წყნარი.  
მეფის ასულს მოუტანეს მათ წითელი ოქროს ფარი.  
ფარს, დიდსა და ფართოს, ჰქონდა შესაკრავნი მტკიცე რვალის;  
იგი იყო ვარჯიშის დროს საფარველი დედოფალის.

436. შემკობილი იყო ტურფად საუცხოო საბმურებით,  
მორთული და მოჭედილი ბალახისფერ ძვირფას ქვებით.  
ამ ქვათაგან ელვარება იფრქვეოდა მრავალგვარი.  
მხოლოდ დიდ გმირს თუ შეეძლო გამხდარიყო მისი ქმარი.

437. ფარს ლითონი, უთქვამთ ჩვენთვის, სისქით ჰქონდა სამი ციდა;  
ატარებდა მას ქალწული და თავს მითი იფარვიდა.  
მასში მეტად დიდი იყო ფოლადის და ოქროს წონა,  
ძლივსძლივობით ერეოდა მას დედოფლის ოთხი მონა.

438. და, როდესაც დაინახა, ვით მოჰქონდა მხლებლებს ფარი,  
გაბრაზებით წარმოსთქვამდა ტრონიელი, იქვე მდგარი:  
"მეფევ ჩემო, ჩვენ იქ ყველას ჩაგვიქრება შუქი მზისა.  
ის, ვინც თქვენ სატრფოდ გინდათ, ცოლი არის ეშმაკისა!".

439. კვლავ ისმინეთ მის სამოსზე - ქება მისი ვერ ვიკმარე:  
აცაგაგურს აბრეშუმსა ის იცვამდა აბჯრის გარე.  
იგი იყო ძვირფასი და ქვები ესხა ზედ ბრწყინვალე,  
გარეშემო იფრქვეოდა შუქი, მათგან მოციალე.

440. მიუტანეს იქ ბრუნჰილდეს შუბი ბრგე და მძიმე წონით.  
(ყოველთვის მას გაისროდა დედოფალი, სავსე ღონით),  
მაგარი და უნაკლულო, ზომით ფრიად გასაკვირი;

ყოველ მხრიდან საშინელად წამახული ჰქონდა პირი.

441. არ ნახულა ქვეყნად შუბი იმ ზომის და მისი ფასი:  
მოსდომოდა თურმე რკინა მას გირვანქა თითქმის ასი.  
ამ იარაღს ძლივსა სძრავდა დედოფალის სამი მონა, '  
მისმა ხილვამ გუნთერ მეფე მეტისმეტად დააღონა.

442. ის ფიქრობდა თავის გულში: "რა მოხდება, რა მომელის?  
ჯოჯოხეთის ეშმაკიც კი აქ თავის თავს ვერ უშველის.  
აი, ახლა ჩემს მშობლიურს რაინზე რომ ვიყო კვალად,  
ამ ქალწულის სიყვარული არ მენთება გულში ალად".  
'.

443. ჰაგენის ძმამ დანკვარტმა მუნ ამხანაგთა უთხრეს კრებას:

"გულში ვნანობ სამშობლოდან ამ მხარისკენ გამგზავრებას. რინდები გვერქვა წინათ და უდიდეს სირცხვილს ველით, თუ ახლა ამ ქვეყანაში დავიღუპეთ ქალის ხელით.

444. დიახ, მე აქ მოსვლის გამო სინანულის მდაგავს ალი, ჩემს ძმას ჰაგენს რომ ამჟამად ხელში ეპყრას თვისი ხმალი. და მე კიდევ ჩემი, მაშინ აღარ უნდა სიტყვის თქმანი, დაუკლებდნენ ზვიადობას დარაზმული სამტროდ ყმანი.

445. მაშინ უნდა დაეჭირათ, ასე ვფიქრობ, კრძალვით თავი, და ათასჯერ თუნდაც მათთვის შემეფიცა, მეთქვა ზავი, მაინც ვიდრე ჩემს დიდ ბატონს სულმიღებულს ვიხილავდი, ამ მშვენიერ ქალბატონსა ჩემი ხელით ავკუწავდი".

446. "ამ ქვეყნიდან წასვლა გვმართებს ისე, რომ არ გავხდეთ ტყვენი". თქვა ჰაგენმა, "და რომ ახლა იარაღი მოგვცა ჩვენი, რაც ბრძოლისთვის საჭიროა, და აგრეთვე კარგი ხმალი, მაშინ, ალბათ, დააცხრობდა ზვიადობას დედოფალი".

447. დედოფალმა გაიგონა რას ამბობდნენ იგი ძმები, და ამაყად გადახედა ალმაცერად, გაღიმებით: 'თუ არიან ეს მოყმენი ასე დიდად გაბედული, მოუტანეთ ბასრი ხმლები, იარაღი მათი სრული".

448. როს მოართვეს იარაღი, ვით ბრძანა ეს დედოფალმა, ლომგულ დანკვარტს სიხარულის გადურბინა პირზე ალმა. "შეგიძლიათ, რაშიც გნებავთ". თქვა მან, "მეფის გამოწვევა - რაკი ხმლები ხელთ გვიპყრია, არ მოხება მისი ძლევა".

449. არ მცირედად მოეჩვენათ მათ ძალ-ღონე ბრუნჰილდესი; მოუტანეს მუნვე წრეში მას ერთი ქვა უმძიმესი. დიდი იყო, მძიმე მეტად, თან ფართო და თანაც მრგვალი, იქ მის მომტანს თორმეტ რაინდს ძლივს ჰყოფნიდა მკლავში ძალი.

450. შუბის ტყორცნის შემდეგ ხოლმე გადისროლა ის ამ ქვასა;

აქ მიეცნენ ბურგუნდელნი ზრუნვასა და დისას წვასა. სთქვა ჰაგენმა: 'ვინ სურს მეფეს მეუღლედ და თავის ცალად? ის შეჰფერის ჯოჯოხეთის ბოროტ ეშმაკს პატარძალად".

451. დედოფალმან თეთრ მკლავებზე აიწია სახელონი, ფეხი წარსდგა და უმძიმეს ფარსა თვისას მისწვდა ღონით. შეარხია მაღლა შუბი - იწყებოდა ამით ბრძოლა. აქ გუნთერმა და ზიგფრიდმა გულში იგრძნეს შიშის ძრწოლა.

452. რომ მეფე გუნთერს ზიგფრიდი მაშინ არ მიშველებოდა, დედოფლის ხელით სიკვდილი იმას არ ასცილებოდა.

წარსდგა ფარულად მყისვე და გუნთერს შეახო მან ხელი,  
ზრუნვას მიეცა დიდს მეფე, იმ ხელის ვერ დამნახველი.

453. "ვინ არის, მე რომ შემეხო?" ეს იყო ფიქრი მეფისა;  
ვერვის ხედავდა, თითქოს მას თვალები გამოეფისა.  
ზიგფრიდმა უთხრა: "ესა ვარ მე, მეგობარი შენო,  
გთხოვ წინ წარუდგე დედოფალს გამბედაობის მჩენო".

454. "ფარი მომეც", უთხრა, "მინდა გაგიწიო სამსახური,  
იცოდე და დაიხსომე, რომ მე უნდა მიგდო ყური,  
საქმეს სულ მე შევასრულებ, იმოდრავე მხოლოდ შენა".  
ზიგფრიდი რომ იცნო, გულში განიცადა მეფემ ლხენა.

455. "არვის წინ გაამჟღავნო შენ ეს ჩემი ჯადოსნობა.  
მსურს მოვუკლა მეფის ასულს ზვიადობის დიდი გრძნობა:  
არ ეგების შესრულება, რაც მასა აქვს განზრახული.  
ხედავ, ვით დგას შენს წინაშე იგი მხნე და გაბედული".

456. მშვენიერმა ქალბატონმა შუბი სტყორცნა მთელი ძალით.  
ფარსა ახალს, დიდს და ფრთოს, შემოჭედილს მტკიცე რვალით,  
რომელიც იქ ხელთ ეჭირა ზიგმუნდის ძეს უჩინარსა.  
ნაპერწკლები გაიფანტა, დაებეროს თითქოს ქარსა.

457. ბასრმა შუბმა გაჰკვეთა და გაიარა ფარის გული.  
და თვით ჯაჭვის პერანგს ალი ზე ავარდა ანთებული.  
ტყორცნისაგან წაბარბაცდნენ რაინდები ბრგე და მხნენი,  
თუ არ რიდე ჯადოსნური, სულს დალევდნენ ორივენი.

458. მაშინ ზიგფრიდს, სწორუპოვარს, ამოხეთაქ სისხლმა ყელში,  
მაგრამ მალე ზე აიჭრა და, კეთილმან, მყისვე ხელში.  
აიტაცა შუბი, ქალმა მის ფარში რომ გააძვრინა.  
და უკანვე სატყორცნელად მოიდრიკა მკლავი-რკინა.

459. გაიფიქრა: "არ მსურს, ქალი რომ გავგმირო მშვენიერი".  
მოაბრუნა მან უკუღმა წამახული შუბის წვერი,  
და ესროლა ტარით იგი მეფის ასულს მძლავრმა ხელმა;

მიზანს მოხვდა და ჯახანის ხმა გამოსცა საჭურველმა.

460. თითქოს ქარი ამოვარდა, ზე ავარდა ჯავშანს ალი,  
ზიგელინდის ძემ ესროლა მას ესოდენ დიდი ძალით.  
ფეხზე დგომა ვეღარ შესძლო, ადარ ეყო ქალწულს ღონე.  
გუნთერ მეფე ვერ იზამდა ვერასოდეს ამას, ვგონებ.

461. მყის ისევე ფეხზე დადგა დედოფალი მხნე და ქველი.  
"ო, მე ამგვარ ტყორნისათვის ვარ, რაინდო, მადლობელი!".  
ეგონა, თუ ეს გუნთერმა ჩაიდინა თვისი ძალით.

არა, კაცმა მასზე უფრო ღონიერმა დასცა ქალი.

462. გაემართა მეტისმეტად გულმოსული იგი მალე.  
და ქვას დასწვდა ვებერთელას, მშვენიერი და ბრწყინვალე.  
გასტყორცნა და დასაწევად მყის გადახტა, მხნე და ლალი,  
ისე მძლავრად, რომ მის ტანზე აჟღარუნდა იარაღი:

463. ქვა დავარდა ბრუნჰილდესგან თორმეტ საჟნის მოშორებით.  
ნასროლ ხტომით გადასცილდა იგი დიდი ძალმოკრებით,  
მაშინ ქვასთან მიიღბინა მყის ზიგფრიდმა, როგორც ქარმა,  
მეფემ ხელი ჰკიდა მხოლოდ, გასტყორცნა კი უჩინარმა.

464. ზიგფრიდ იყო მხნე და მძლავრი, ტანმაღალი, ვითა სვეტი,  
მან ქვა უფრო შორს ისროლა, გადახტომაც შესძლო მეტი.  
იქცეოდა იგი ისე საოცრად და ხერხიანად,  
რომ მოწყვეტი გადამხტარმან გადიყვანა მეფეც თანა.

465. მიწაზედა იდვა ლოდი, როს დასრულდა გადახტომა,  
თვალთ ნახეს დამსწრეებმა მუნ გუნთერის მარტო დგომა.  
სიბრაზისგან ლამაზ ქალწულს გაუწითლდა სრულად სახე.  
ეს ზიგფრიდმა სასიკვდილო ააცდინა მეფეს მახე.

466. დედოფალმა თვის ამაღას ხმით მაღალით გადასძახა,  
როს წრის ბოლოს გუნთერ მეფე მან ცოცხალი დაიანახა:  
"მეგობარნო, კაცნო ჩემნო, თქვენ ყველანი აქა მდგომნი,  
ამის შემდეგ უნდა გახდეთ მხნე გუნთერის ქვეშევრდომნი!".

467. რაინდებმა ასაყრელად მყის იარაღს მიჰყვეს ხელი.  
და მიწაზე დააღაგეს, სადაც იდგა ბურგუნდელი.  
გუნთერ მეფე; დაუჩოქეს კაცს ესოდენ მხნეს და მარჯვეს.  
მათ ეს დიდი გამარჯვება მიაწერეს იმის მარჯვენს.

468. მიესალმა ბრუნჰილდეს ის, ყველასათვის საკვირველი;  
მშვენიერმა დედოფალმა მას მოჰკიდა მკლავზე ხელი.  
და გადასცა სამფლობელოდ მიწა-წყალი მთელი თვისი.  
მოემატა დევგმირ ჰაგენს სიხარული და ხალისი.

469. დედოფალმა შესთავაზა ერთად შესვლა რაინდს მაღალს.

დიდ დარბაზში, სად ნახავდნენ კარისკაცი ბატონს ახალს.  
შიშის გამო უცხეოლებს ეპყრობოდნენ უფრო ტკბილად.  
ჰაგენი და დანკვარტ დარჩნენ ამგვარ ქცევით კმაყოფილად.

470. ზიგფრიდ გმირი იქცეოდა მარჯვედა და ეშმაკურად -.  
უცხო რიდის დასამალად იგი სწრაფად გაეშურა.  
შემდეგ ისევ დარბაზს მოდგა, დამშვენებულს ქალთა კრებით,  
და რქვა მეფეს (ესეც კიდევ ჩაიდინა ცბიერებით):

471. "მეფევ ჩემო, მიკვირს დიდად, რომ დარბაზში გხედავთ შვებულს, რად არ იწყებთ შეჯიბრებას, დედოფლისგან მოსურვებულს? ჩვენ გვსურს მალე დავინახოთ, თუ მარჯვენა დასძლევს ვისი". თითქოს არა იცოდა რა - ცბიერება ნახთ მისი!

472. "ეს ვით მოხდა", თქვა ბრუნჰილდემ გაკვირვების გამოჩენით, "რომ ვერ ნახეთ შეჯიბრება თქვენ, ბატონო ზიგფრიდ, ჩვენი, სადაც წილად გამარჯვება ხვდა გუნთერის დიდსა ძალსა?". აქ ჰაგენმა ბურგუნდელმა უპასუხა დედოფალსა:

473. "როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის საწყენია მეტისმეტად, რომ კეთილი ეს რაინდი ჩვენს ხომალდთან იდგა კენტად, შეჯიბრება რომ მოგიგოთ ბურგუნდიის დიდმა ლომმა; ეს არ იცის მან ამიტომ", თქვა გუნთერის ქვეშევრდომმა.

474. "გამეხარდა ეს ამბავი", შეესიტყვა ზიგფრიდ გმირი: "რომ მაგ თქვენმა ზვიადობამ დიდი ნახა გასაჭირი. და რომ არის კაცი, ვინაც თქვენ ბატონად გაგიხდებათ. დედოფალო, რაინისკენ გამგზავრება წილად გხვდებათ".

475. უპასუხა მას ლამაზმა: "ჯერ კიდევ არ ძალმიძს მე ეს, საჭიროა შევეკითხო ნათესავთ და ჩემს მოყმეებს. სამეფოს და მშობელ მიწას ასე როგორ გავეყრები: მინდა უმაღლ მოვიკრიბო გარს ერთგული მეგობრები".

476. გააგზავნა ყოველ მხარეს შიკრიკები იმან თვისი, რათა მასთან მოეწვიათ მეგობრები ყველა მისი. შეუთვალა, იზენშტაინს მოსულიყვნენ მის წინ მალე. თანაც ბრძანა, სამოსელი დაუმზადონ მათ ბრწყინვალე,

477. აჰა, კიდევ იქ ყოველდღე, ხან ადრე და ხანაც გვიან. დედოფლისკენ დარაზმული რაინდები მოილტვიან. "აი ხედავთ", თქვე ჰაგენმა, "რა საქმე გვაქვს მონაქმედი! აქ ბრუნჰილდეს რაინდებმა გაგვიშავონ ვგონებ ბედი.

478. როს ამ ქვეყნად მოიყრიან ჯარნი მისნი სრულად თავსა. (ხომ არ ვიცით ჯერ ჩვენ კარგად, რა აზრი აქვს დედოფალსა.

და ის ეგებ გაგვირისხდეს), ვაი მაშინ ჩვენი ბრალი! ალბათ, ჩვენდა საშავდლეოდ გაჩენილა აქ ეს ქალი".

479. თქვა ზიგფრიდმა, მძლავრმა, მაშინ: "აღუდგები მე მათ წინა: და აგაცდენთ, რაც აქ თქვენს გულს ზრუნვა მძიმე მოვლინა. მე მოგიყვნთ აქ, ამ ქვეყნად, - სიტყვა ესე დაიჯერეთ - ურჩეულეს რაინდებსა, არ გინახავთ ვინცა ჯერეთ.

480. ნურას მკითხავთ ამის მეტსა, აქედან იქ წასვლა მინდა:  
მანამდე კი პატივს თქვენსას დაიფარავს ღმერთი წმინდა!  
მალე მოვალ და ათას კაცს ჩემთან ერთად მოგგვრით წინ მე,  
ურჩეულეს რაინდებსა, როგორსაც კი იცნობს ვინმე".

481. მეფემ უთხრა: "გთხოვ ამ საქმეს მოანდომო ხანი მცირე,  
რადგან ჩვენ აქ დიდად გვიღირს შველა, რაც შენ დაგვიპირე".  
მან მიუგო "სრულ ორ დღეში სრბოლით მოვვლო შორი გზები:  
კრძალვით ჰკადრეთ დედოფალსა - წავალ თქვენი დავალებით".

ა მ ბ ა ვ ი მ ე რ ვ ე .

ზიგფრიდის გამგზავრება ნიბელუნგებისაკენ.

482. შემდეგ ზიგფრიდ სიმაგრიდან წამოვიდა უჩინარი.  
და მივიდა ზღვის პირს, სადაც მან ხომალდი ნახა მდგარი;  
ზედ ავიდა ზიგმუნდის ძე უსხეულო ეშმის დარი.  
ნავი სწრაფად გაემართა, უბერავდა თითქოს ქარი.

483. არსად ჩანდა მენიჩბე, და გაქროლება ნავის.  
იყო მუნ საქმე ზიგფრიდის უძლიერესი მკლავისა.  
ფიქრობდნენ, ქარი ძლიერი ხომალდს წინ მიაქანებდა;  
არა, ლამაზი ზიგლინდის ვაჟს საქმე მისი დანებდა.

484. მიადგა იგი შემდგომად ერთი დღისა და ღამისა.  
ერთ მხარეს - მისი მარჯვენა იყო ჩამდენი ამისა.  
ასეზე უმეტეს მილითა იყო ის დაშორებული,  
ქვეყანას ნიბელუნგების, სად განძი ჰქონდა დებული.

485. რაინდი მარტო მიადგა ერთ კუნძულს თვისი ნავითა,  
ნავი მან საბლით დააბა, როდესაც ნაპირს გავიდა.  
მთაზე სიმაგრე იპოვა, მტრებს რომ ვერ დაუქცევიათ;  
იქ თავშესაფარს ეძებდა, ვით დაღლილ მგზავრებს სჩვევიათ.

486. მიეახლა სიმაგრის კარს, დაკეტილი დახვდა კარი:  
იქ იცავდნენ თავის პატივს, როგორც ქვეყნად წესი არი.  
მყის რაკუნი ალაყაფზე იქ უცნობმა კაცმა იწყო.  
მაგრამ კარსა სდარაჯობდნენ ძლიერ კარგად: შიგნით იყო.

487. ერთი დიდი ბუმბერაზი, ყარაული მხნე და მქისი,  
რომლის გვერდით იქ ყოველთვის იარაღი ეწყო მისი.

თქვა: "ვინა ხარ, რომ კარებზე არახუნებ მძლავრად ასე?".  
შეიცვალა ხმა ზიგფრიდმა, რომ არ ეცნოს იგი ხმაზე.

488. და შესძახა დამუქრებით: "შენ, ვინცა ხარ შიგნი მდგარი, გირჩევნია, რომ გამიღო უცხო რაინდს მალე კარი. თორემ მანდ ბევრს დამწარდება განცხრომა და ტკბილი რული!". ამ სიტყვების მოსმენაზე მოუვიდა დარაჯს გული.

489. იარაღით შეიჭურვა ბუმბერაზი მხნე და მარდი, ფარი მაგრად ჩაბლუჯა და თავს დაირქვა მუზარადი. ამის შემდეგ გამოალო ალაყაფის კარი წამსვე, შეუტია ზიგფრიდს მცველმა, სიბრაზით და რისხვით სავსემ!

490. როგორ ბედავს გაღვიძებას იგი კაცთა ესდენ დიდთა? დაუშინა, დაეტაკა ვებერთელა, ისე ვით მთა. საშინელი ცემისაგან თავს იცავდა ზიგფრიდ გმირი, მას მეკარემ დაუმტვრია მოჭედილი ფარის პირი.

491. რკინის გურზით; ამით დიდი მიაყენა რაინდს ვნება: მან მრისხანე სიკვდილის წინ იწყო თითქმის შეშინება, და თუმც რისხვა ზიგფრიდ რაინდს თავს დაატყდა უზოგველი, მას იდუმალ უხაროდა - განძს ასეთი ჰყავდა მცველი.

492. უმძლავრესმა მათმა რკენამ მთლად სიმაგრე შეარყია. ხმამ თვით მეფე ნიბელუნგის დარბაზამდე მიაღწია. ბოლოს, როცა დაამარცხა, მაგრად შეკრა მან მეკარე. მ. ეს ამბავი მყის შეიტყო ნიბელუნგთა მთელმა მხრემ.

493. შორს, მთას იქით, ყური მოჰკრა ალბერიხმა, ჯუჯა-კაცმა, ამ საშინელს ბრძოლასა და მყის დაიწყო აბჯრის ჩაცმა; იარაღი ტანთ აისხა და იმ ადგილს მიირბინა, სად ბუმბერაზს ჰკრავდა კაცი გულფიცხი და მკლავით რკინა.

494. ბრახს შეეპყრა ალბერიხი, ღონიერი იყო ძალზე, ჯავშანსა და რკინის პერანგს ატარებდა იგი ტანზე, ოქრონაჭედ მძიმე მათრახს მოიქნევდა რისხვით თანაც, რა იხილა მან ზიგფრიდი, მყისვე მისკენ გაექანა.

495. ოქროსმ მათრახს წვერზე შვიდი მძიმე ღილი ება მაგრა, რომელიც მან გულად კაცის ფარს უძლეველს ძალით დაჰკრა, დაუმსხვრია თითქმის სულ მთლად საიმედო იგი ფარი. შეკრთა ზიგფრიდ დ სიცოცხლე მას შეექმნა საზრუნავი.

496. ბრძოლაში ნაგლეჯ-ნამსხვრევი ფარი მსწრაფლ დაბლა დააგდო, და გრძელი ხმალიც თავისი მყისვე ქარქაშში ჩააგო; არ სურდა მოკვლა მსახურის, ერთგულის, მისგან ძლეულის, რაინდულ თავშეკავებას დიახაც იყო ჩვეული.



497. მიაშურა მან ალბერისს და ძლიერით მისწვდა მკლავით,  
ხელი სტაცა წვერსი მოხუცს, დაუზიდა მაგრად თავი,  
ძირს დასწია ისე მძლავრად, რომ შეჰკვივლა მწარედ ჯუჯამ;  
შეკრთა იგი, - შეაშინა მოყმის მიერ ამ დაბლუჯვამ.

498. "გთხოვ, სიცოცხლე არ წამართვა!" შეევედრა, შეჰღალადა,  
"და თუ ძალმიძს ვუერთგულო სხვა რაინდსა იმის გარდა,  
ვისაც სიტყვა ერთგულების მე დავუდე ფიცით სავსე,  
გემონები სიკვდილამდე", თქვა ცბიერმა კაცმა ასე.

499. ალბერიხი შეკრა ისე, როგორც წინათ კარის მცველი.  
მან ზიგფრიდიფს ღონისაგან ტკივილები იგრძნო მწველი.  
"რა გქვიათ თქვენ?" ჯუჯა-კაცმა გამოკითხვა რაინდს უწყო.  
"ზიგფრიდი ვარ", "უთხრა, "თქვენთვის მთლად არ უნდა ვიყო უცხო".

500. "საამოა ჩემთვის მეტად", სთქვა ალბერიხმა, "ესე ცნობა;  
სარაინდო საქმეთათვის - ასეთია ჩემი გრძნობა -  
თქვენ შეგფერით უსათუოდ ბატონობა, ქვეყნის მართვა.  
გავაკეთებ, რასაც მეტყვი, სიცოცხლე კი არ წამართვა!".

501. ზიგფრიდმა უთხრა: "ადექით, გაფრინდით, ქარად ქცეული,  
და ნიბელუნგი ათასი, კაცები გამორჩეული,  
ამ სიმაგრეში ვინც რის, მომგვარეთ სვლითა ძალითა,  
და თქვენ არ დაიჩაგრებით არასდროს ჩემის ძალითა".

502. ალბერიხსა და ბუმბერაზს სწრაფად გაუხსნა ხელები,  
გაფრინდა ჯუჯა შეძრული სიკვდილის ციებ-ცხელებით.  
მთელს აღვიძებდა ძახილით ნიბელუნგების ლენასა:  
"გმირნო, ზიგფრიდი გიბრძანებთ მყის მის წინაშე ვლენასა!".

503. საწოლებიდან აცვივდნენ ზეზე სავსენი ჯარნითა,  
ათასი მარდი რაინდი იდგა შერკინულ ტანითა.  
მათ მიაშურეს ალაყაფს, სადაც ზიგფრიდი დგებოდა,  
ხელს ართმევდათ ბატონი, მოწყალედ ესალმებოდათ.

504. აანთეს მრავლად სანთლები, სასმელს შესვამდნენ უხვადა,  
ძალე მოსვლისთვის ბატონმა მათ ძადლი გადაუხადა.  
უთხრა თუ: "თქვენსა წასხმასა ზღვას იქით მე ვეპირები".  
განუცხადებდნენ თანხმობას მას გაბედული გმირები.

505. სამი ათასი მოვიდა რაინდი გამოწვეული,  
მათგან ზიგფრიდმა ინდომა მხოლოდ ათასი რჩეული.  
მოართვეს მუზარადები, ჯავშანი შუქთა მკრთომელი.  
ბრუნჰილდეს ქვეყნად ის მათი წასხმისა იყო მდომელი.

506. უბრძანა თუ: "რაინდებო, მაქვს თქვენდამი ეს სათქმელი,  
იქ, იმ კარზე, უნდა გეცვათ საგანგებო ტანსაცმელი.

ჩვენ ჭვრეტასა იქ დაგვიწყებს მშვენიერი ბევრი ქალი,  
და ძვიფრასად გამოწყობა მივიჩნიოთ ვითა ვალი".

507. გაემზადნენ და მგზავრობა მათ დაიწყეს ადრე დილით.  
ო, რამდენი შეაგროვა მან ვაჟკაცი გამოცდილი!  
ეცვათ ტურფა სამოსი და თითოს ჰყავდა თითო რაში.  
გულზვიადად იწყეს შესვლა მათ ბრუნჰილდეს ქვეყანაში.

508. ციხის ქონგურებს ამკობდა სიმრალვე ტურფა ქალისა,  
თქვა დედოფალმან: "ვისა აქვს გამჭრიახობა თვალისა,  
ვინ იცნობს იმათ, შორს ზღვაზე ჩვენკენ რომ მოისწრაფიან?  
მათი მდიდრული აფრები თითქოს ზღვის თეთრი ქაფია".

509. "ეს ლაშქარი არის ცემი", რაინელმა მეფემ ბრძანა:  
"უკან გზაზე მოვიტოვე, რომ აქ თან არ მომეყვანა.  
შემდეგ ვიხმე და მოდიან, ქალბატონო, მთელის კრებით".  
წარჩინებულ უცხო სტუმრებს გაყურებდნენ გაშტერებით.

510. დაინახეს ტურფად ცმული წინ ზიგფრიდი ნავში მდგარი:L.  
სხვა რაინდთა შორის იყო ის ადვილი საცნობარი.  
თქვა ბრუნჰილდემ: "გთხოვთ მიბრძანდეთ, ეს სტუმრები, ხელმწიფეო,  
მივილო, თუ შეხვედრაზე მათ უარი ვუთხრა მეო?".

511. მეფემ ჰკადრა: "სასახლის წინ უნდა დადგეთ გამოჩენით,  
მიხვდებიან, რომ მათ იღებთ თქვენ სიამით, არ თუ წყენით".  
დედოფალი დაეთანხმა, შეასრულა მეფის ნება.  
სხვებისაგან განსხვავა მან ზიგფრიდთან მისალმება.

512. იარალი შეუნახეს, დასადგომი მისცეს ბინა,  
მაშინ სტურმად იმ ქვეყანას ისე ბევრი მოევლინა,  
რომ ყოველგან სივიწროვით სულს ხუთავდა ბრბოთა კრება.  
გმირებს სურდათ შინ, ბურგუნდში, უკვე მალე გამგზავრება.

513. მაშინ ბრუნჰილდემ წარმოთქვა: "მე მის წყალობას ვეცდები,  
ვინც შესძლებს გაუნაწილოს ჩემი ოქრო და ვერცხლები.  
ჩემსა და მეფის წვეულებს - განძი მაქვს მრავალ ფერისა".  
პასუხს ეტყოდა დანკვარტი, მოყმე გმირ გიზელჰერისა:

514. "დიდებულო დედოფალო, ჩამაბარეთ გასაღები",  
თქვა რაინდმა გაბედულმა, " და მოლარედ მე დავდგები;  
თუ სირცხვილი ვჭამო, მაშინ მზად ვიქნები საპასუხოდ".  
ნათლად ჩანდა, საუნჯესა რომ გასცემდა იგი უხვად.

515. როდესაც კი ჰაგენის ძმამ ხელთ ჩაიგდო გასაღები,  
მან მრავალი დაარიგა საბომვარი წასაღები.  
ვინც ეძებდა მარკას, იმას მარკა ერგო ესოდენი,

რომ შეეძლო ყველა ღარიბს ყოფილიყო მუდამ ლხენით.

516. მუნ ას-ასი გირვანქობით განურჩევლად ყველამ ზიდა,  
და ძვირფასი სამოსელით გადიოდა დარბაზიდან.  
ყველა, ვისაც შესამოსი არა სცმია მსგავსი წინათ.  
დედოფალმა გაიგო და საკმარისად ეს იწყინა.

517. მეფემ უთხრა: "მსურს გაუწყოთ, რაოდენად მტკივა გული,  
რომ თქვენს ერთგულ კამერდინერს სამოსი და სამკაული.  
აღარა სურს დამიტოვოს: გამიფლანგა ოქრო მთელი.  
ვინც დაუშლის, მე იმისი ვიქნებოდი მწყალობელი.

518. ის საბოძვარს გასცემს მდიდარს; მხნე რაინდი ფიქრობს, ალბათ,  
რომ მე ვკვდები, მაგრამ ფიქრი მისი უნდა ვიცნოთ ყალბათ:  
კვლავ სიცოცხლეს ვაპირებ და დამჭირდება ჩემი ღარი".  
ჯერ მოლარე არ ჰყოლია მას სიუხვით მისი დარი.

519. თქვა ჰაგენმა: "ქალბატონო, მომისმინეთ, რის თქმა მინდა:  
აქვს რაინის მეფეს ბევრი სამოსი და ოქრო წმინდა,  
თვით აგვავსებს საბოძვარით და საჭირო სულ არ არი,  
რომ აქედან ჩვენ საგზაოდ ბრუნვილდესი ვზიდოთ ღარი".

520. "არა, არა, თუ გიყვარვართ", ქალმან უთხრა ბატონს გულით,  
"ოც საგზაო ყუთს აგვავსებ ფარჩითა და ოქროს ფულით;  
ყოველივე ეს მე თვითონ დავარიგო მინდა მაშინ,  
როდესაც ჩვენ შორის ვიქნებით ბურგუნდელთა ქვეყანაში".

521. ღარნაკთა შიგან ჩაჰყარეს სიმრავლე ძვირფას თვალისა.  
აღასრულებდნენ ამ საქმეს ფარეშნი დედოფალისა.  
გიზელჰერის ყმა მათ უკან სანდოდ არ ეჩვენებოდათ,  
გუნთერს და ჰაგენს გულიდან სიცილით აღმოხდებოდათ.

522. თქვა დედოფალმან: "ქვეყანა ვის დაუვტოვო ჩემიო?  
ჩემგან და თქვენგან იქნება დასტური მისაცემიო".  
მეფემ მიუგო: "არ არის ეს ძნელი გასარიგო:  
ვინც უფრო მოგწონს, მოიხმე, მთავრად დავტოვოთ იგიო".

523. ქალმა ნათესავს ახლობელს შეხედა იქვე მდგომელსა.  
(ეს იყო მისი დედის ძმა), ასე მიმართა რომელსა:  
"ჩემი ქვეყანა და ხალხი მორჩილად თქვენა გყავდესო,  
ვიდრე თვის კუთხის მმართველებს გუნთერი დანიშნავდესო".

524. ბრუნვილდს კარისკაცთაგან ორი ათასი რჩეული,  
ბურგუნდიაში საგზაოდ იყო იქ გამოწვეული.  
მათთანვე რაზმი ათასი ნიბელუნგელის გმირისა.  
გამოემართა; გამოჩნდნენ დაბლობნი ზღვისა პირისა.

525. ოთხმოცდაექვსი გაჰყვა თან ქალი მათ წარჩინებული,  
ასი მსახური ეახლათ - ლამაზ ქალწულთა კრებული.

არ აყოვნებდნენ ხანს უკვე წასვლისა მოწადენია:  
ვინაც შინ დარჩა, ტიროდა მდულარე ცრემლთა მდენია.

526. კარის ზრდილობის წესთამებრ თავის ქვეყანას სტოვებდა:  
ახლო ნათესავთ ჰკოცნიდა, ვისაც იქ მყოფსა ჰპოვებდა.  
დაემშვიდობნენ, წავიდნენ, ნავებით ზღვად მიქცეული.  
შემდეგ ქალს აღარ უნახავს ქვეყანა მამისეული.

527. მგზავრობაში მათ გამართეს მრავალგვარი თამაშობა,  
მრავლას ჰქონდათ საამური შექცევები და გართობა.  
თანაც ჰქროდა ქარკეთილი, სასიამო ზურგის ქარი,  
მიცურავდნენ სიხარულით, მხიარული ზეიმ-ზარით.

528. გზად ბრუნჰილდეს ალერსი და მეფის ტრფობა არ უნდოდა,  
ამ შექცევას ის ზოგავდა, ვიდრემდის შინ მივიდოდა.  
ვორმსი ქალაქს, სად მაღალი შესდგებოდა ქორწინება,  
სადაც ლხენად დასხდებოდა რაინდათა და ქალთა კრება.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე .

როგორ გაგზავნეს ზიგფრიდი ვორმსს.

529. უკვე ცხრა დღე შეუსრულდათ, გზად რომ იყვნენ წამოსული.  
თქვა ჰაგენმა ტრონიელმა: "მოისმინეთ ჩემგან თქმული;  
მეტისმეტად დავაყოვნეთ ცნობა ვორმსში მისაწვდენი.  
აწ მისულნიც უნდა იყვნენ შიკრიკები უკვე თქვენი".

530. მას ამაზე უთხრა მეფემ: "მართალია, რაც გვითხარი,  
და ვგტონებ, რომ ამ საქმისთვის ისე კარგი არვინ არი,  
როგორც თვით თქვენ, ძმაო ჰაგენ, ვერვინ იტყვის კარზე, მჯერა.  
ყოველივეს, რაც შეგვემთხვა, თქვენზე უფრო შესაფერად".

531. "ცუდი შიკრიკი გახლავართ", პასუხად ჰკადრა ჰაგენმა, -  
"აქვე დავრჩები გემბანზე, სხვისა არაფრის გამგე ვარ, -  
დაცვა მომანდეთ ქალთა და მატ საცმელ-სამკაულების,  
ვიდრე ბურგუნდთა ქვეყანას ჩვენ მივალწევდეთ უვნებლივ.

532. არა, სთხოვეთ ზიგფრიდს, რომ ის გაემგზავროს კარზე ცნობით,  
ის გადასცემს ყოველივეს შესაფერის მნიშვნელობით.  
თუ უარზე დადგეს, მაშინ მას კეითლოით სთხოვეთ გულით,  
რომ ეს საქმე შეასრულოს მან თქვენი დის სიყვარულით".

533. გაუგზავნეს კაცი რინდს, იგიც გაჩნდა მეფის წინა.  
"შორს არღაა", სუთხრა მეფემ, "ჩვენი მხარე, ჩვენი ბინა,  
დედასა და ძვირფას დასთან ელჩი მინდა მისავლენი,  
რომ წინასწარ მოახსენოს მათ რაინზე მისვლა ჩვენი.

534. წადით თქვენ, ზიგფრიდ ბატონო, ვარ მე ამისი მთხოველი.  
არ დაიკარგვის ჩემზედა თქვენი ამაგი ყოველი".

არ დაეთანხმა ზიგფრიდი, მას არა დაჰყვა ნებასა,  
ვიდრე მუდრით დასძლევდა მეფე მის გაურჩებასა.

535. უთხრა: "ჩემთვის გთხოვ ითავო საქმე ჩემგან გაზრახული.  
და კრიმპილდს გულისთვისაც, რომ მოიგო მისი გული.  
ჩემთან ერთად შენ აგავსებს დიდბული ქალი ძღვენით".  
დაჰყაბულდა მაშინ ზიგფრიდ, მკლავი-რკინა, სიტყვაბრძენი.

536. მოახსენა: "რაცა გნებავთ, გადმომეცით ამის ცნობა,  
შევასრულებ, რომ მოვიგო მშვენიერი ქალის გრძნობა.  
როგორ ვეტყვი უარს იმას, დავატარებ ვისაც გულით?  
ბრძანეთ - მისთვის ყოველივეს შევასრულებ სიხარულით".

537. "მამ აუწყე დედოფალსა, დედას ჩემსა პატივდებით,  
ამ მგზავრობით ბედნიერი რომ ყველანი შინ ვბრუნდებით.  
ამცნე ჩემს ძმებს, თუ მიღწევა გვაქვს რამდენად მომხიბლავი,  
ჩემს საყვარელს მეგობრებსაც გააგონე ეს ამბავი.

538. ჩემს მშვენიერ დას აგრეთვე თქვენ გადასცემთ ჩემგან სიტყვას:  
ბრუნჰილდესთან ერთად ვუთვლი მას აქედან დიდ მოკითხვას;  
შეიტყობდნენ უნდა ჩემი მსახურნი და ქვეშევრდომნი:  
მივაღწიეთ იმას, რისიც ჩვენ ვიყავით გულით მდომი.

539. ორტვინს უთხარი - ჩემს დისწულს - მორთონ ქალაქი რაინზე,  
აცნობონ კიდით-კიდემდე ჩვენსა მეგობარ რაინდებს,  
რომ ვორმსში ვირთავ ბრუნჰილდეს, არნახულ ქორწილს ვაპირებ,  
ზეიმის ტალღა გასცდება ოცნების ზღვათა ნაპირებს.

540. შესთხოვეთ ჩემს დას, როგორც კი ასმენენ მისსა სმენასა,  
რომ სამშობლოში სტუმრობით მოვუყვანივარ ზენასა -.  
ჩემს ძვირფას სატრფოს უჩვენოს მან თვისი გული კეთილი;  
სამაგიეროს გადახდა მაქვს მისთვის გადაწყვეტილი".

541. იმავ წამს ბრუნჰილდეს წინ მოისურვა მოყმემ ხლება.  
და როგორც მას, ისე მის რაზმს გამოსთხოვა წასვლის ნება.  
ვით მრთებდა და გულდაგულ რაინისკენ გაემართა.  
მჯობი ელჩი არ უნახავს სამეფოთა სადმე კართა.

542. ოცდაოთხი რაინდითურთ ვორმსში გაჩნდა იგი მალე;  
თქვეს: "უმეფოდ მოვიდაო", ხმა გაისმა სავალაღე.  
მაშინ იწყეს რაიდებმა წუხილი და დიდი გლოვა.  
ეშინოდათ: მათმა მეფემ იქ სიკვდილი ხომ არ ჰპოვა?

543. მყის ჩამოხდნენ ცხენებიდან გულით მხნე და გმირთა ფერი.  
მათ სასწრაფოდ მიეახლა ნორჩი მეფე გიზელჰერი.  
და გერნოტი ძმა იმისი, ვინც უეცრად დაიძახა,

როდესაც მან გუნთერ მეფე ზიგფრიდთნ ვერ დაინახა.

544. "კეთილი იყოს, ბატონო ზიგფრიდ, აქ მოსვლა თქვენით,  
მაგრამ გვიტხარით, სად არის ჩემი ძმა, მეფე ჩვენით?  
ბრუნჰილდეს ძალამ არგუნა ალბათ მარადი რულიო;  
ჩვენ დიდ ზიანად გადავექცა იმისი სიყვარულიო".

545. მიატოვეთ მწუხარება, განიშორეთ გულით ჯავრი,  
თვის მეგობრებს სალამს სუთვლის მეფე, ჩემი თანამგზავრი.  
იგი ხიფთას გადაურჩა, იმყოფება მხნედ და ჯანად;  
მე შიკრიკად გამოიმგზავნა თქვენთან ამბის მოსატანად.

546. დამეხმარეთ, დავალება, რაც მივიღე, შევასრულო:  
მინდა უტე დედოფალი და თქვენი და ვინახულო.  
მსურს საჩქაროდ მივუტანო მათ მე სიტყვა დანაბარი.  
გუნთერის და ბრუნჰილდესგან, რომ ოირვე კარგად არის.

547. უთხრა ნორჩმა გიზელჰერმა: "მიუტანეთ ცნობა მალე,  
ჩემი დისგან მოგეზღვებათ მადლი დიდი და მხურვალე.  
ის საყვარელ თავის ძმაზე განუწყვეტლივ დარდობს გულით;  
თავდები ვარ, რომ ქალწული თქვენ მიგიღებთ სიხარულით".

548. თქვა რაინდმა, მხნე ზიგფრიდმა: "რაოდენიც შემემძლება,  
სამსახური მინდა მათი, მონება და მორჩილება.  
მაგრამ იმათ ვინ აცნობოს, რომ ინებონ ჩემი ხმობა?".  
გიზელჰერმა თვით იკისრა აქ იმისი შიკრიკობა.

549. გიზელჰერმა დედას თვისას მოახსენა აღმაფრენით,  
და აგრეთვე დას, კრიმჰილდეს, ოდეს ნახა ორივენი:  
"აი ამ წუთს ჩვენთან ვორმსში ჩამოვიდა ზიგფრიდ გმირი,  
ის ჩემის ძმის, გუნთერ მეფის, შიკრიკია პირდაპირი.

550. მან ამბავი მოგვითხრო, თუ ხელმწიფე ვით ბრძანებდა,  
ხლება უნდა თქვენს წინაშე, და გთხოვთ მოსვლის დართოთ ნება,  
იზენლანდის სამეფოდან უტყუარი ცნობის მომტანს".  
ქალწული და დედოფალი ზრუნვას მიხვდნენ არ თუ ცოტას.

551. მათ სამოსი უკეთესი გარდაიცვეს სწრაფად ტანზე.

და ზიგფრიდი, მხნე რაინდი, მიიწვიეს თავის კარზე.  
სიხარულით შეასრულა მან იმათი ნახვის თხოვნა.  
მიესალმა მას კრიმჰილდე, არ უმძიმდა სიტყვის პოვნა.

552. თქვა ალერსით: "კეთილ იყოს, გმირო ზიგფრიდ, მოსვლა თქვენი!  
თქვით, ჩემი ძმა სად დასტოვეთ, სვემალალი მეფე ჩვენი?  
მე ვშიშობ, რომ მას ბრუნჰილდემ მოახვია ჭირთა ბადე,  
და ვაი მე, საწყალ ქალწულს! ნეტავი რად დავიბადე!".

553. ვაჟმა ჰკადრა: "მახარობელს მე მეკუთვნის თქვენგან ძღვენი;

უტურფესნო, რად ისჯებით უმიზეზო ცრემლთა დენით?  
მე დავტოვე იგი კარგად, ვერაფერი მას ვერ ავნეს;  
მათ მე თქვენთან, ორივესთან, ამ ამბავით გამომგზავნეს.

554. მეგობრულის სიყვარულით მან სალამი გიძღვნათ თვისი,  
დიდ მოკითხვას მასთან ერთად საყვარელი გითვლით მისი.  
ნულარ სტირით, მალე მოვლენ ამალით და მთელი ბარგით".  
რა ხანია მათ ამბავი არ სმენიათ ასე კარგი.

555. ულამაზეს თვალებიდან, თოვლზე თეთრი კაბის კიდით,  
მოიწმინდა მან ცრემლები და მადლობა უთხრა დიდი.  
ამ ამბავის მომტან შიკრიკს, მათვე წინ რომ იყო მდგომი.  
დაუნელდათ მწუხარება, აღარ იყვნენ ცრემლთა მწთომი.

556. "ქალმა სთხოვა: "დაჯექითო", მოყმეც დაჯდა სიხარულით,  
მაშინ ტურფამ უთხრა ასე: "იცოდეთ, რომ მინდა გულით.  
ოქრო ჩემი გიძღვნათ, მაგრამ გაქვთ ქონება დაუთვლელი.  
მხოლოდ გეტყვით, რომ დავშთები მარად თქვენი მადლობელი".

557. ვაჟმა უთხრა: "ოცდაათიც მეკუთვნოდეს ვრცელი მხარე.  
თქვენი ხელის საბოძვართ მანინც დიდად გავიხარებ".  
თქვა კეთილად ზრდილმა: "კარგი", მიბრუნდა და მყისვე ბრძანა,  
რომ საწოლის ფარემს ოქრო შიკრიკისთვის მოეტანა.

558. ოცდაოთხი სამაჯური, მოჭედილი უცხო ქვებით.  
ჭაბუკს უძღვნა, და აღევსო გმირს უბადლოს გული შვებით.  
თავისთვის არ დაიტოვა და საჩუქრად მისცა მთელად.  
ლამაზ ქალებს, იქ მდგომარეთ მსახურად და წესის მცველად.

559. დედამაც გადაუხადა მადლობა სიყვარულითა.  
"მინდა გაუწყობთ", თქვა ვაჟმა, სავსემ შვენებით სრულითა,  
"რასაც ისურვებს მეფე, როს თქვენი გახდება მნახველი;  
თუ შეურსულებთ, იქნა, ის დიდი მადლის მსახველი.

560. უნდა კეთილად მიიღოთ, ვარ მე ამ თხოვნითა რეზული,  
მისი მდიდარი სტუმრების დიდი და უცხო კრეზული.

მათ შესახვედრად ვორმისის წინ წყალის პირს იყავით მდგომელი.  
ამას გენუკვით ხელმწიფე, ის არის ამის მდომელი".

562. თავდების ელჩებს არვინ უკეთესად არ იღებდა.  
რომ შესაძლო ყოფილიყო, ქალი ჭაბუკს აკოცებოდა:  
დაეთხოვა ის ქალბატონს სინაზით და ტურფა ქცევით.  
ბურგუნდელნი დარჩნენ ყველა კმაყოფილი მისი რჩევით.

563. ზინდოლდ, ჰუნოლდ და რუმოლდი ვეღარ იცლიდნენ სრულებით,  
მრავალგვარ საქმიანობით და ზრუნვით დატვირთულები;

როდესაც ზღვის პირს გამართეს საჯდომნი ხალხთა ჯარისა,  
მთლად დაიქანცა შრომისაგან სახლთუხუცესი კარისა.

564. ორტვინ, მეტცელი და გერეც არ იყვნენ საქმეგვიანი,  
მაწვევლებით დაქსელეს სამეფო მრავალმხრიანი.  
აცნობეს ყველგან მეგობრებს - ახლოვდებოდა ქორწილი;  
ქალწულთა მორთვა-მოკაზმვას ზრუნვა შვენოდა ორწილი.

565. მოწყვეული სტუმრებისთვის, დიდებისა მათთა დარად.  
სასახლე და მთლად კედლები მუნ მოერთოთ მრავალგვარად,  
თვის დარბაზი გუნთერისა იყო მათთვის მოწყობილი,  
მზადდებოდა ამნაირად უდიდესი ეს ქორწილი.

566. მოჭენობდნენ ყოველ მხრიდან სახელმწიფოს შარაგზებით.  
სამი მეფის მეგობრები ტაიჭებით ლამაზებით,  
მოწვეულნი მეფის კარზე უცხო სტუმართ მისადებად.  
მრავალ ძვირფას სამოსელთა სკივრებიდან იწყეს ღება.

567. მოიტანეს ცნობა, მოვლენ მხლებლებიო ბრუნჰილდესი.  
მყის შეიქმნა ჩოჩქოლი და სივიწროვე უდიდესი.  
მოჭარბებულ ხალხისაგან ბურგუნდელთა ქვეყანაში.  
ო, რა დიდი რაინდები ორსავ მხრეს იყვნენ მაშინ!

568. უთხრა ლამაზმა კრიმჰილდემ: "ჩემო ქალებო, თქვენაო,  
ვისაც სტუმრების წინაშე გასურთ ჩემთან გამოჩენაო,  
გმართებთ სკივრთაგან ძვირფასი სამოსის ამოღებაო,  
რათა იმათგან მივიღოთ ჩვენ პატივი და ქებაო".

569. მოვიდა შემდეგ სიმრავლე ლომგულ რაინდთა კრებისა,  
ბრძანეს მოღება მშენიერ ოქორვან უნაგრებისა,  
რომ რაინისკენ ზედ მსხდომნი გაფრენილიყვნენ ქალები.  
ცხენთა უკეთეს საკაზმავს სად იხილავდნენ თვალები!

570. რა ბრწყინვალეობით ცხენებზე ოქრო წითელი ელავდა!  
შუქი ძვირფასი ქვებისა მათ აღვირებზე ღელავდა.  
სკამნი ოქროსი ფერხთა დგმად ქალებს მოართვეს ხალებით.



როგორ ეწოდა გული მათ მოუთმენლობის ალებით!

571. სასახლის კარზე მზად იდგნენ - მაქვს უკვე მონახსენები -.  
მრავალ მშვენიერ ქალთათვის უცხოდ ნაკაზმი ცხენები.  
ვიწრო და ისე ძვირფასი ჰქონდა მათ სამკერდულები,  
რომ აბრეშუმი იმგვარი არ გაგონილა სრულებით.

572. ოთხმოცდაექვსი მოვიდა წინაშე მეფის ქალისა.  
მანდილოსანი, შვენებით მიმტაცებელი თვალისა;  
თავსამკაულთა მათთაგან შუქი დიოდა ბაზმული.  
მოვიდა კიდევ მრავალი ქალწული ტურფად კაზმული -.

573. ყველა ორმოცდაათოთხმეტი, ყველანი ბურგუნდელები:

მსგავსთ ვერ ნახავდი ლამაზებს - გევლო ქვეყნები ვრცელები,  
ვიდოდნენ ოქროთმიანი, ღაღანა თმის სატანებიტ,  
მეფის თხოვნაზე ბეჯითნი, ლაღად აღმართულ ტანებით.

574. ქსოვილი სტავრა კაბებად ჰქონდათ ფასმიუწვდომელი,  
იყვნენ სტუმართა მოხიზვლის და გაოცების მდომელი.  
სიტურფეს მათსას შნო მათი შესამოსლისა ჰმონებდა.  
ჩანს, ეკლებოდა ჭკუა მას, ვინც მათ არ მოიწონებდა.

575. ყარაყუმსა და სიასამურს მიხდომოდა ხარჯვა დიდი.  
სამკაული ხელთ ასხმული და ყელზედა დანაკიდი.  
აბრეშუმთა ზემოდან მუნ ელვარებდა არ ფარულად.  
ზრუნვას მათსას გულმოდგინეს ვერ ჩამოსთვლის ვერვინ სრულად.

576. რაოდენი საკვირველი იქ სარტყელი ჩანდა გრძელი,  
უფაქიზეს სამოსელზე შერხეული ქალთა ხელით,  
არაბეთის აბრეშუმით და ფერანით მონაქსოვი!  
არვინ იყო ქვეყანაზე უკეთესი მათთა მპოვი.

577. დაინახავდით, რომ გულის ქინძისთავებით გულები.  
მშვენიერს ქალებს ჰქონდათ იქ ლამაზად შებნეულები.  
დაღონდებოდნენ, თუ მათ შუქს სამოსის შუქი მარხავდა.  
ო, ქალწულები ამგვარი არც ერთ დედოფალს არ ჰყავდა!

578. ოდეს მოირთვნენ სამოსით კრიმჰილდს ტურფა მხლებლები,  
დანიშნულს დროზე მოვიდნენ იმათი გამცილებლები -.  
მხნე რაინდები ყველანი, გმირები გამბედავები;  
ეპყრათ ფარები და იფნის შუბები, ბასრის თავებით.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ა თ ე.

როგორ იქორწინეს გუნთერმა და ბრუნჰილდე.

579. რაინის გაღმა გახედეს, გამოჩნდა სტუმართ კრებული,  
გუნთერის წინამძღოლობით ვიდოდნენ აჩქარებულნი.  
მუნ მხლებლებს ხელში ეჭირათ ლაგმები ქალთა ცხენების,  
მასპინძლებისკენ ილტვოდნენ სტუმრები შეუსვენებლივ.

580. ხომალდებზე თავს იყრიდა იზენლანდის დიდი ჯარი.  
და აგრეთვე ნიბელუნგთა - სპა ზიგფრიდის საკუთარი.  
დაუღლელად მუშაობდნენ ხელები და მათი მხრები,  
როს მეორე მხარეს მეფის დაინახეს მეგობრები.

581. უნდა კიდევ მოისმინოთ თქვენ ამბავი მოსასმენი,  
რაინისკენ ვით წავიდა დედოფალი უტე ცხენით;  
გარემემო შემორტყმოდა უტურფესთა ქალთა ტევრი.  
ო, რაინდებს ქალწულები იქ გაეცნო მაშინ ბევრი!

582. კრიმჰილდეს ცხენს ლაგმის ჭრით წინ მარკგრაფი უძღვა გერე.  
მხოლოდ ციხის კარამდისი - მას შესცვლიდა ზიგფრიდ მერე;

რჩეულ გმირსაც მასთნა ხლების დიდ ჰქონდა გულში ნდომა.  
ახალგაზრდა ქალბატონმა ბოლოს კარგად უზლო შრომა.

583. მხნე ორტვინი მიუძღოდა იქ წინ უტე დედოფალსა.  
და ქალ-ვაჟნიც დაწყვილებით მიაფრენდნენ ცხენებს მალსა.  
უნდა ითქვას გულახდილად: იმდენი რაც იყო მაშინ,  
ქალი ტურფა არ ნახულა საზეიმო შეხვედრაში.

584. რაინდებმა მრავალგვარი სარაინდო შეჯიბრება.  
იქ გამართეს (არ შეეძლოთ მათ ამისი დავიწყება).  
კრიმჰილდეს წინ, ვინაც უკვე მიეახლა წყალთა კიდეს;  
აქ მოყმენი ცხენებიდან ქალბატონებს ჩამოსხმიდეს.

585. მეფემ უცხო გმირებითურთ მყის დატოვა თვისი ნავი.  
დაიღეწა ქალების წინ მაშინ შუბი უთვალავი!  
ო, რა ჟღრიალს გამოსცემდნენ და რამდენად დიდათა ზართა.  
იქ გულები ერთმანეთზე შეჯახებულ მდიდრულ ფართა!

586. ბრწყინავდნენ ტურფა ქალები, ნავთსადგურის წინ დგომილი.  
და სტუმრებითურთ გუნთერი, ხომალდით გარმოხდომილი,  
ვიდოდა მათკენ ბრუნჰილდეს ხელზე ხელმოკიდებული,  
ძვირფას თვალთაგან სამოსზე ცეცხლი ელავდა გზნებული.

587. დაანახვა მათ კრიმჰილდემ გაზრდილობა სასახლისი:  
მიეგება და მიიღო ბრუნჰილდე და ყველა მისი.  
მათ ხელებით უთეთრესით გადიწიეს გვრიგვინები.,  
გადაჰკოცნეს ერთმანეთი ძველი ადათ-ჩვეულებით.

588. ახალგაზრდა მეფის ქალი, საზრდილობო წესთა მცველი.

ეტყოდა თუ: "ამ მიწაზე თქვენ ბრძანებით სასურველი.  
ყველასათვის, ვინც არ არის ორგული და ჩვენთვის ავი".  
უტე, კრიმპილდე ჰკოცნიდნენ ბრუნჰილდეს ბაგეს ლალისას.

590. აქ მხლებლებიც ბრუნჰილდესი გადმოვიდნენ ხმელზე სრულად.  
ღირსეულმა რაინდებმა ზრდილობით და მეგობრულად.  
ულამაზეს სეფე-ქალებს მყის ჩასჭიდეს ხელში ხელი.  
და ჩამწკრივდა ბრუნჰილდეს წინ ქალთ ამაღა სხივნათელი.

591. ამ მიღებამ მოინდომა ბევრი დრო და ბევრი ვადა.  
მრავლად იყო კოცნისათვის ვარდისფერი ბაგე მზადა.  
იქ გვერდი-გვერდ იდგა ორი უტურფესი დედოფალი.  
და რაინდებს მათთა მჭკვერტთა უბრწყინავდათ შუქით თვალი.

592. თავად დარწმუნდნენ, რომელთაც წინათ გაეგოთ სმენითა,  
რომ არ ნახულა შვენება აუწერელი ენითა,  
როგორც იყო ამ ორი მაღალი ქალბატონისა,  
მათ სიტურფეში სიყალბე არ ჩანდა იოტის წონისა.

593. ვისაც უნარი შესწევდა ქალის მშვენებით კრომისა,

მას სილმაზე მოსწონდა მეფე გუნთერის ცოლისა,  
მაგრამ, თუ განვსჯით სისწორით, ვინც მეტს იჩენდა ცოდნასა,  
ის ბრუნჰილდეზე კრიმპილდეს აღიარებდა ჯობნასა.

594. აქ ერთმანეთს მიეგებნენ ქალწულნი და ქალბატონნი,  
უტურფესად შემკული და სილამაზით მოსაწონი.  
ატლასების ედგათ ქოხი და კარვები საკვირველი;  
მთლად ვორმის წინ დაფარული იყო მათგან მინდორ-ველი.

595. მეფის ახლო მეგობრები მათად ნახვად წინ იწევდნენ,  
ულამაზეს ორსავ ქალწულს ჩრდილისაკენ მიიწევდნენ.  
თან ეახლათ ქალბატონთა ამაღა და კრება მთელი.  
ქალებს დინჯად აცილებდნენ რაინდები ბურგუნდელი.

596. ცხენთა შესხდნენ სტუმრების და ერთმანეთში იწყეს რევა.  
ბგერას მაღალს გამოსცემდა იქ ფარებზე შუბთა მსხვრევა.  
ბული დადგა თითქოს მიწას მოსდებოდა ცეცხლი მწვავი.  
რაინდებმა მაყურებლებს დაანახეს თავის თავი!

597. შეჯიბრებას უცქეროდა იქ მრავალი დამსწრე ქალი.  
გაბეედული გმირი ზიგფრიდ, ვის არ უჩნდა არსად ცალი,  
კარვების წინ დაჭენობდა, აქეთ-იქით სწრაფ ნავარდით:  
ნიბელუნგთა ათას დევგმირს წინ უძლოდა მოყმე მარდი.

598. მოვიდა და მოიტანა ტრონიელმა მათთან ცნობა:  
მეფეს ჰსურსო, რომ შეწყვიტონ საშეჯიბრო თამაშობა,

რათა ლამაზ ქალწულთ აღარ აწუხებდეს დიდხანს მტვერი.  
დაჰმორჩილდნენ მყის სტუმრები, მოწიწებით თავთა მჭერი.

599. თქვა გერნოტმა: "იდგნენ რაშნი, დააცალეთ აგრილება.  
პირველად კი გვმართებს ლამაზ ქალბატონთა მიმართ ხლება:  
მათ ხელმწიფის ვრცელ, კარავში უნდა ვთხოვოთ მიბრძანება.  
მზად იყავით წასასვლელად, როს გაუწყონ მეფის ნება".

600. მისწყდა მთელს ველზე საბრძოლო თამაში გმირთა ქებულთა:  
იწყეს გართობა კარვებში, მრავალთა წარჩინებულთა.  
ქალებთან იდგნენ რაინდნი გულაღსავსენი ლხენითა.  
ვიდრე გზას გაუდგებოდნენ სწრაფინ ცხენების ფრენითა.

601. სადამო ჟამს, ოდეს დაბლა დაიზიდა შუქი მზისა,  
მყის დაიდრნენ; სიმაგრისკენ შემოკლება იწყეს გზისა,  
დარჩეული რაინდები თან მისდევდნენ ტურფა ქალებს.  
და იდუმალ მიაპყრობდნენ მათ ალერსით სავსე თვალებს.

602. ქვეყნის ადათის თანახმად, თავაწყვეტილი ჭენებით,  
კარგთა მსახურთა დაჰქანცეს იქ თავიანთი ცხენები,  
ვიდრე წინ აღუდგებოდათ მეფის დარბაზთა პირები.

მიემსახურნენ ქალბატონთ ჩამოხდომილნი გმირები.

603. გაშორდნენ მაშინ ურთიერთს ბრწყინვალე დედოფალები;  
მყისვე უტე და კრიმჰილდე, მოსამსახურე ქალებით,  
თავიანთ ფართო დარბაზში შევიდნენ დაღალულები.  
ლხენის გუგუნმა ყველგან იქ სმენა დაახშო სრულებით.

604. ემზადებოდნენ დასხდომად სუფრისა დამამშვენარნი.  
მეფეს გვერდს ედგა ბრუნჰილდე, პირად - მზე, ტანად - კენარი,  
ზღაპრად სმენილთა რაინდთა ქალი მომდები ალისა.  
დია, ამკობდა გვირგვინი მას ქვეყნის დედოფალისა.

605. იყო ლამაზი სკამები და, როგორც გაგვიგონია,  
ზნექავდა სუფრებს ხორაგი იამთი საკადრონია.  
ო, ყველაფერი იყო იქ, ვინც რისი იყო მდომელი!  
მრავალი პირი მაღალი ჩანდა მუნ დასახდომელი.

606. წითელი ოქროს ტაშტებით მოართვეს დინჯად და ნელა.  
კამერჰერებმა წყალი მათ ხელების დასაბანელად.  
თუ ვინმე იტყვის, რომ სადმე ჰქონდა თავადთა კრებასა.  
მეტი პატივი, ვერა ვიქმ მე ამის დაჯერებასა.

607. ვიდრე რაინის ბატონი წყალს აიღებდა ხელითა,  
წარსდგა იმის წინ ზიგფრიდი სიტყვითა აწ გასამხელითა.  
და მოაგონა, თუ იგი რა აღთქმას დაუსახავდა,

სანამ დედოფალ ბრუნჰილდეს ის იზელნადში ნახავდა.

608. უთხრა: "გახსოვთ, რა პირობით ჩამომართვით თქვენ მე ხელი?  
როგორც კი აქ ბრუნჰილდესი გავხდებოდი მომყვანელი,  
დას მომცემდით მაშინ ცოლად - ხომ არ შეშლით ამა პირსა?  
თქვენ იცით, რომ ამ მგზავრობამ გადამკიდა მრავალ ჭირსა".

609. მეფემ უთხრა: "მართალია, რისიცა ხართ, ზიგფრიდ, მთქმელი.  
მე არ გავტებ სიტყვას ჩემსას - ფიცი ვთქვი და მოგეც ხელი.  
არ მოგაკლებთ დახმარებას, შემოდლია რაც კი ოდენ".  
მყის კრიმჰილდეს მოსაყვანად შიკრიკები წარვიდოდნენ.

610. შემოვიდა ის, ლამაზი ასულებით თანხლებული;  
ზე წამოდგა მაშინ მყისვე გიზელჰერი აღზნებული.  
და წარმოთქვა: "გოგოებო, კვლავ მონახეთ თქვენი ბინა -  
აქ ჩემი და უნდა დარჩეს მარტო ჩვენი მეფის წინა.

611. და კრიმჰილდე წარსდგა იქ, სად გუნთერ მეფე იჯდა დიდი:  
იქვე იდგნენ რაინდები, მოწვეული ყოვლის კიდით;  
მათ დარბაზში წყნარად დგომა დააკისრეს როგორც ვალი.  
დაინახეს თვით ბრუნჰილდეც მაგიდისკენ მიმავალი.

612. "სანუკველო დაო ჩემო", მეფემ სთხოვა ტკბილის ენით,

"ზრდილობით და სიკეთით შენ ფიცისაგან დამიხსენი!  
მე ერთ რაინდს დაფიცებით დავუპირე თავი შენი, -  
თუ გაჰყვები ცოლად, სურვილს გამისრულებ გამოჩენით".

613. უპასუხა ტურფა ქალმა: "ტკბილო ძმავ და მეფევ დიდო,  
სურვილი და ნება თქვენ მე ვით უნდა განვირიდო!  
მიბრძანებ და შევასრულებ, მსურს მორჩილი გყავდეთ მარდ:  
გავთხოვდები მასზე, ვისაც, ხელმწიფეო, მომცემთ ქმარად".

614. ძვირფას თვალთა გამოხედვამ ააწითლა ზიგფრიდ ნაზად.  
მომსახურედ თავი თვისი მან კრიმჰილდეს შესთავაზა.  
მათ უბრძანეს ხალხის წრეში ერთმანეთის გვერდით დგომა.  
და ქალს ჰკითხეს, ამ რაინდის სურვილი და თუ აქვს ნდომა.

615. ვით სჩვეოდა ქალწულს, იგი ჯერ დარცხვენით იყო მხედი;  
მაგრამ ზიგფრიდს ესოდენად მწყალობელი ჰყავდა ბედი,  
რომ ლამაზმა მეფის ქალმა მას უარი არ ასმინა.  
სვემაღალმა გმირმაც წარსთქვა ქმრობის ფიცი ქალის წინა.

616. ამის შემდეგ მან დანიშნა ქალწული და ის ქალწუმა;  
იმავე დროს მოსახვევად მიიზიდა გული გულმა;  
შემოავლო წელზე ნაზად მას ზიგფრიდმა მკლავი რკინა.  
და დაჰკოცნა დედოფალი რაიდების თვალის წინა.

617. ოდეს ეს მოხდა, გაიყო სტუმრების დიდი კრებული,  
და საპატიო ადგილსა იხილეს დაბრძანებული.  
ქალ-ვაჟი; მყისვე მსახურნი დასად და დასად ხლებოდნენ.  
ნიბელუნგებიც სუფრაზე ზიგფრიდის ახლო სხდებოდნენ.

618. მეფე მიუჯდა მაგიდას თავისი დედოფალითა.  
ნახა ბრუნჰილდე კრიმჰილეს (ეს გულს უწვაავდა ალითა).  
ზიგფრიდის გვერდით ატირდა ქალწული, გულით მწუხარე,  
ისე რომ ლამაზ ლოყაზე ცრემლი სდიოდა მდულარე.

619. თქვა მაშინ მეფემ: "რა მოგდით, მჯობო ყოველთა ქალთაო,  
რომ ასე იმღვრევთ ცრემლებით თქვენ უნათლესთა თვალთაო?  
თქვენია, გმართებთ ზეიმი, ჩემი ქვეყანა სრულიო,  
სიმაგრეები მდიდარი და ხალხი ღირსეულიო".

620. უთხრა ლამაზმა ქალწულმა: "არ გავწყვეტ ცრემლთა დენასა,  
სანამ მე შენი დის გამო განვიციდი გულის ტკენასა.  
ვხედავს, რომ იგი დაგისვამს გვერდი-გვერდ ყმისა შენისა;  
ნახვა საქმისა მატირებს, არ მისთვის დასაშვენისა".

621. მაშინ მეფემ უპასუხა: "გთხოვთ გაჩუმდეთ ამის გამო;  
თქვენთვის მისად საამბობლად სხვა დრო უნდა მოვიყამო,  
თუ საყვარელს დასა ჩემსა რად დავუსვი ზიგფრიდ ქმარად,

შეტკბობით და მეგობრულად ის ცხოვრობდა გმრითან მარად".

622. ქალმა უთხრა: "მებრალეები ლამაზი და უცხო ქცევით, -  
რომ ვიცოდე, სად გავიქცე, სამუდამოდ გავიქცევი.  
და არასდროს არ ვიქნები შენს ახლოდ და გვერდით მწოლი,  
ვიდრე არ ვსცნობ, თუ კრიმჰილდე რად გახადეთ მისი ცოლი".

623. მეფემ მიუგო დედოფალს: "აჰა, იყავით მცნობელი,  
რომ ის თვით არის ციხეთა და ვრცელ ქვეყნისა მფლობელი,  
მეფეა ტახტზე მჯდომარე, გულმტკიცე, სავსე ჯანითა;  
ამიტომ შევრთე ქალწული ტურფა სახით და ტანითა".

624. რაც არა თქვა მეფემ, მაინც დანადვლებით დარჩა იგი.  
ზე წამოდგა მაგიდიდან უმძლავრესთა გმირთა რიგი. მათ  
საბრძოლო თამაშობით შეარყიეს ციხე ვრცელი.  
წუთებს თვლიდა სტუმართა შორის მოწყენილი მასპინძელი.

625. ფიქრობდა თუ: "ჯობს, რომ ლამაზ ქალბატონთან დავწვე მალე".  
მხოლოდ მასზე ოცნებობდა იგი მისი მოტრფიალე.  
ქვეყნად მისთვის უამესი იქნებოდა ამ ქალზე რა!  
და ქალბატონ ბრუნჰილდეს მან მეგობრულად უწყო მზერა.

626. სტუმრებს სთხოვეს შეეწყვიტათ თამაშობა საბრძოლველი:  
მეუღლითურთ საწოლს შესვლას ინებებდა მეფე ქველი.  
კიბეებზე შეხვდა ერთურთს პატარძალი ორი კოხდა.  
ეს ჯერ კიდევ სასიკეთოდ და ბედნიერ ფეხზე მოხდა.

627. მყის ამაღა მოდგა მათი, რა ბრძანება იღეს ყურით.  
გზას საწოლის მსახურები უნათებდნენ სანათურით.  
გაცალკევდნენ რაინდები მაშინ მეფის ორივესი.  
ბევრი გაჰყვა ზიგფრიდს გმირი უმხნესი და უმტკიცესი.

628. საწოლს შევიდა ორივე მეფე შვენებით სრულითა.  
ორივე ჯობნას ფიქრობდა მხურვალე სიყვარულითა.  
უტურფეს ქალბატონებზე. ო, გულთა ცემა ძლიერი!  
იყო ზიგფრუდის სიამე კარგი და დიდმშვენიერი.

629. როს მშვენიერს კრიმჰილდესთნა მხნე ზიგფრიდი დაწვა გვერდით.  
და უმაღლეს სიყვარულით მიეკვროდა მკერდზე მკერდით,  
მას საკუთარ ტანად იგი და სიცოცხლედ თვისად სთვლიდა:  
იგი იმას არასოდეს ერთს ათასში არ გასცვლიდა.

630. აღარ გეტყვით ქვემოთ, ზიგფრიდს რა დიადი ერგო ლხენა;  
აწ მოგიტხრობთ, თუ ვით დაწვა - მიაჰყარით ნათქვამს სმენა -.  
გუნთერ მეფე ბრუნჰილდესთან. ჭირი მიხვდა რაინდს მძიმე -.  
სხვა ერჩია რომ სწოლოდა ქალბატონი რომელიმე.

631. დაიშალა შემდეგ ხალხი - ქალები და კაცნი - ყველა.

და საწოლი დიდებული დაიკეტა მათი ნელა.  
ფიქრს შეეპყრო მეფე მძიმეს პირველ ღამის განცდით მთრთოლი.  
თუმცა შორს იყო, ვიდრე იგი გახდებოდა მისი ცოლი.

632. სპეტაკის სელის პერანგით საწოლს ავიდა ასული.  
"აწ კი ჩემია", ფიქრობდა რაინდი ცამდე ასული,  
"იგი, რაიცა ჩემს გულში სანატრელ საგნად სულ იყო".  
ქალწულის უცხო სიტურფით ის მეტად მოხიბლულიყო.

633. შუქის დაფარვა დაიწყო მაღალმა მეფემ ხელითა;  
სადაც ქალწული იყო იქ ტრფიალით გულფიცხელითა;  
მიდგა და დაწვა. სდაგავდა სისხლის ტალღები ცხელები,  
როდესაც ტანზე რაინდმა ქალწულს მოხვია ხელები.

634. გადაიწვოდა სრულიად ტრფიალის ცეცხლთა გზნებაზე,  
რომ კეთილშობილს ქალბატონს იგი მიეშვა ნებაზე.  
მაგრამ გაბრაზდა ქალწული; მეფე დალონდა ამითა:  
სიტკბოს ეძებდა, თასი კი ჰპოვა გავსილი შხამითა.

635. განრისხებით უთხრა მეფეს: "ღირსეულო მოყმევ, კმარა!

რა განზრახვაც მოგდის აზრად, არ მოხდება იგი - არა!  
ვიდრე ამბავს შევიტყობდე, მსურს ქალწულად დავრჩე მანამ".  
გაბოროტდა მეფე, თითქოს გადუსერა გული დანამ.

636. შეებრძოლა იგი სატრფოს და სჭმუჭნიდა პერანგს მისას.  
მაშინ ქალი მშვენიერი სწრაფად მისწვდა ქამარს თვისას,  
და ეს თასმა წესაბამი მან საჩქაროდ მოიმარჯვა:  
მიაყენა ამით მეფეს სამკარისად დიდი ტანჯვა.

637. შეუბორკა ხელ-ფეხი და ასაზიდად ხელი ჰკიდა,  
მიიტანა ის ლურსმანთან და კედელზე შემოჰკიდა.  
ქალს გაუკრთო მეფემ ძილი, მან ტრფიალი აუკრძალა;  
სიკვდილსაც კი უმზადებდა ეგებ რაინდს მისი ძალა.

638. შეევედრა, ვინაც უნდა ყოფილიყო მბრძანებელი:  
"ქალბატონო ჩემო, დიდო, გთხოვთ გამიხსნათ აწ მე ხელი.  
გარწმუნებთ, რომ არასოდეს არ დაგიწყებთ შემდეგ ბრძოლას.  
და არსდროს არ ვინდომებ ასე ახლოს თქვენთან წოლას".

639. ქალბატონი მშვიდად იწვა, არ სტკიოდა მისთვის გული.  
მთელი ღამე, დილამდისინ, მეფე დარჩა დაკიდული,  
მზის სხივები ფანჯარაში დაიწყებდნენ ჰვრეტას ვირე.  
ძალი ჰქონდა, მაგრამ იგი მის სხეულში დარჩა მცირე.

640. "ბატონო გუნთერ, მითხარით, ხომ გექმნებოდათ დღე კრული",  
უთხრა ღამაზმა ქალწულმა, "რომ თქვენ ენახეთ შეკრული.  
თქვენი საწოლის მსახურებს ამ დილით ქალის ხელითა?".

მიუგო: "სირცხვილს ნახავდით საქმით არ გასამხელითა,

641. და მეც ეს პატივს ამყრიდა, ვისღა ვერვინო თვალადა?  
თქვენი ზრდილობის გულისთვის მანდ მიმიყვანეთ კვალადა.  
და ჩემი ტრფობა თქვენთვის თუ ასე დასაზარები,  
სამოსელს თქვენსას დღეითგან ხელით არ წავეკარები".

642. მაშინ გაუხსნა ხელ-ფეხი მეფეს, შეკრული თასმითა.  
იგი კვლავ დაწვა საწოლზე - შვება ეღირსა მას მითა, -  
მაგრამ შორს; ქალის პერანგი იყო ხელმიუწვდომელი.  
ამას ითხოვდა ქალწული, ქმარისა არად მდომელი.

643. შემოდგა დასი მსახურთა იქ, მათ წინაშე ხლებული;  
შესამოსელი მოართვეს დილისთვის გამზადებული.  
ყველა ხარობდა, მარტოდენ ხელმწიფე იყო წყენითა,  
თუმცა დღეს თავზე გვირგვინი შვენოდა შუქთა ფენითა.

644. რომ ქვეყნის წესისამებრ მოეხადათ თავის ვალი,  
დიდხანს აღარ აყოვნებდნენ ხელმწიფე და დედოფალი:



გაემართნენ ტაძრისაკენ, მოისმინეს სადაც მესა.  
მუნ მივიდა მხნე ზიგფრიდიც: დიდი იყო ჯგლითი, სრესა.

645. სულყველაფერი მზად იყო, რაც მათ დიდ პატივს სჭიროდა:  
გვირგვინებ-სამოსლებიდან სხივები გამოსჭვიროდა.  
ლოცვა-კურთხევა მიიღო ოთხივემ ჯვარისწერისა.  
შვენოდათ გულზვიადობა მეფური თავდაჭერისა.

646. ექვსასმა თუ მეტმა პაჟმა, ჩემი არის გითხრათ ვალი,  
ხელმწიფეთა სასახელოდ იქ მიიღო მაშინ ხმალი.  
მთელს ბურგუნდთა ქვეყანაში სიხარულის დადგა დარი.  
იმსხვრეოდა მოყმეთ ხელში უამრავი შუბის ტარი.

647. სარკმლებთნ ისხდნენ ქალები, სიტურფით მიწდომელი,  
თვალებსა სჭრიდათ ფარ-შუბთა ელვანი, მალ-მალ მკრთომელი.  
მეფე კი განმარტოებით მოჩანდა მუნვე მდგომარე;  
სხვები ლხინობდნენ, მას სევდა გულს აწვა მიუწვდომარე.

648. იმას და ზიგფრიდს არ ჰქონდა გულის სიმხნევე ერთგვარი.  
და რაცა სჭირდა მეფესა, გრძნობდა რაინდი მედგარი.  
მივიდა, კითხვა დაუწყო შეწუხებულმა ამითა:  
"როგორი გქონდათ, მითხარით, თქვენ გამარჯვება ღამითა?".

649. უპასუხა სტუმარს მეფემ: "მოვიწვიე უცხო კიდით.  
ქალთან ერთად მე ჩემს სახლში სირცხვილი და ვნება დიდი.  
საალერსოდ რომ შევებე, მყის შემბორკა, ხელი მკიდა,  
მიმიყვანა ერთ ლურსმანთან და კედელზე ჩამომკიდა.

650. იქ ვეკიდე მთელი ღამე, გავიტანჯე, ვწუხდი დიდად,  
ვიდრე ისევ არ ჩამომხსნა; თვით კი დაბლა იწვა მშვიდად.  
შენ ეს უნდა ჩუმად გითხრა, მეგობრულად გაგიმჟღავნო".  
სთქვა ზიგფრიდმა: "შენმა სიტყვამ მატკინა და გულსა მავნო.

651. მე მსურს თქვენ ეს დაგიმტკიცოთ, ნუ ინალვლებთ აწ თქვენ ამით.  
მოვაგვარებ, რომ დაგიწვეს იგი ახლოს ამა ღამით,  
და რომ იგი თვის სიყვარულს დაგიჭერდეს შემდგომ არა".  
ამ სიტყვებზე ნალველსმულმა მეფემ დიდად გაიხარა.

652. ზიგფრიდმა უთხრა: "აწ საქმე კარგად იქნება, მგონია.  
წუხელის ჩვენ ორს სხვადასხვა განწყობილება გვექონია.  
თავს მირჩევნია შენი და, ვარ ბედნიერი ამითა.  
შენც უნდა ცოლად გაგიხედეს ბრუნჰილდე ამავე ღამითა.

653. საღამოს შენსა ოთახსა მოვალ მალვით და რიდითა,  
უჩინარქმნილი სრულიად უჩინმაჩინის რიდითა,  
რომ თილისმურის საქმისა იდუმალ ვიყო მშენები.

თავის ბინებში წარგზავნე შენ მსახურები შენები.

654. როს ხელებში შენს ჭაბუკებს მე ჩავუქრობ სანთლებს ყველას,  
ეს ნიშანი გაუწყებს, რომ მოვსულვარ და ვლამობ შველას.  
ვაიძულე შენს მეუღლეს დაგმორჩილდეს ამავე დამეს;  
ან მოვკვდები, ან მოვტეხავ მის ჟინსა და სითამამეს".

655. "თუ შენ არ ესაყვარლები", იყო მეფისგან თქმულები,  
"ჩემს უძვირფასეს ქალბატონს, დაგეთანხმები სრულებით.  
რაც გინდა უყავ, თუნდ მოჰკაღს - ამის ატანა ძნელია,  
მაგრამ ავიტან როგორმე; ის ქალი საშინელია".

656. "არ შევებები, ფისცა ვდებ", ნიდერლანდელმა თქვა მაშინ,  
"მე საყვარელი შენი და, ნუ დაეჭვდები ამაში,  
მეტი მგონია ყველაზე, ვისაც ვარ სადმე მნახვენლი".  
მეფე შესჯერდა ამ ფიცით და შეუნელდა ნალველი.

657. იყო რაინდთა თამაშში დიდი სიჭარბე ჟინისა.  
ბრძანეს სრულიად შეწყვეტა ბუჭურდის და ყიჟინისა,  
ოდეს დაიწყო ქალთა წინ გაღება დარბაზებისა,  
ხალხს ფარეშებმა უბრძანეს არ შეკავება გზებისა.

658. გაიკრიფა მთლად ეზოდან რაშები და ხალხის ჯარი.  
დედოფლებსა მიუძღოდა თითოს თითო მღვდელმთავარი,  
რომ მაგიდას მოსხდომოდნენ მეფეთა წინ წარდგომილნი.  
სკამებისკენ მიჰყვებოდნენ მათ რაინდნი ტურფად ზრდილნი.

659. თავის ცოლთან მოიმედე მეფე იჯდა მხიარული,  
რაც ზიგფრიდმა შეუპირა, რწმენ მისი ჰქონდა სრული.  
ეს ერთი დღე უჩნდა ვით ოცდაათი სიგრძის მქონე.

სულ ბრუნჰილდეს სიყვარულის მოპოვების იყო მგონე.

660. მან სადილის ბოლომდისინ ძლივს გაუძლო ტრფობის ალსა,  
შემდეგ მეფის დარბაზიდან უხმეს მისსა დედოფალსა.  
და კრიმჰილდეს; მათ ელოდათ დასაწოლი მათი ბინა.  
რა გულადი რაინდები ქალბატონებს უდგნენ წინა!

661. ტრფიალებით გულაღსავსე დამდჯარიყო ზიგფრიდ გმირი.  
თავის ლამაზ ცოლთან ერთად, ნაზ ალერსზე არ თუ ძვირი.  
ეხვეოდა ვაჟის ხელებს ხელი მისი, ფიფქის დარი,  
ვიდრე ის არ გაჰქრა, - როგორ? ქალი იყო მიუმხვდარი.

662. როდესაც კი ალერსის დროს მუნ ზიგფრიდი ვედარ ნახა,  
მშვენიერმა დედოფალმა თვის ფარეშებს დაუძახა:  
"სად წავიდა, მიკვირს, მეფე, გამიმხილეთ გასამხელი, -  
ვინ წამართვა ხელებიდან მე უეცრად მისი ხელი?".

663. აქ გაჩუმდა იგი. მცისვე გაემართა ზიგფრიდ ჩქარი. იქით, სადაც სანთლებითურთ ფარეშები იყვნენ მდგარი. მან ჩაუქრო ყველა პაჟებს სინათლენი იმავ წამით. რომ ზიგფრიდი იყო იგი, გუნთერ მეფე მიხვდა ამით.

664. იცოდა მისი განზრახვა და, სხვისა არას მგონები, ბრძანებდა: "წადით ყველანი, ქალწულნი, ქალბატონები". როცა ეს მოხდა, ხელმეიფემ თვითონ დაკეტა კარები; ორი მაგარი ურდული გაუგდო მან დაჩქარებით.

665. შუქის დაფარვა მის მიერ საწოლის ფარდით ხდებოდა. მაშინ დაუწყო ალერსი (სხვაებრ არ მოხერხდებოდა). ნიდერლანდელმა რაინდმა მას დედოფალსა ლამაზსა. ლხენაც და ტანჯვაც - ორივე მეფისთვის მოჰყვა ამასა.

666. მიუწვა და შემოხვია მან დედოფალს თვისი მკლავი. დედოფალმან უთხრა მაშინ: "დამანებე, გუნთერ, თავი, თუ არ გინდა გახდე ახლაც ჩემი ხელით დასამშვიდი. იცოდე, რომ წინანდელზე დაგადგება ტანჯვა დიდი!".

667. ხმით რომ არ ეცნო, ზიგფრიდი სიტყვის თქმას ვერა ბედავდა. კარგად ესმოდა მეფესა, თუმცა კი ვერა ხედავდა, რომ საიდუმლო მათ შორის იქ არაფერი ხდებოდა. ჩამოვარდნილი სიწყნარეც, ისი იყო, უკვე წყდებოდა.

668. თითქოს იყო გუნთერ მეფე, თავი ისე მოაჩვენა, მან უებრო ქალწულისა მოინდომა მკლავზე წვენა. ხელი ჰკრა და ლოგინიდან გადმოაგდო ქალმან წამსა, და ზიგფრიდმაც იქვე ძალზე მიაჯახა თავი სკამსა.

669. მხნე რაინდმა არ აყოვნა კვლავ საწოლზე შემოხტომა, რომ ეძებნა გამარჯვება, მაგრამ, როგორც მოინდომა.

ძალადობა, ქალმან ისევ მიაყენა ტანჯვა ავი. ვგონებ, არსად ქალს კაცისაგან არ დაუცავს ასე თავი.

670. არ მოეშვა, და ქალწულზე ზე აიჭრა სტიყვამკვეთრი: "არ შეგშენით დამიჭმუჭნოთ მე პერანგი ესდენ თეთრი! უზრდელი ხართ: ეს გახდება თქვენთვისავე ტანჯვის მახედ. მე გაჩვენებთ ახლა სეირს!" შეუძახა ქალმა მკვახედ.

671. მცის ხელებით ძვირას რაინდს წაეტანა ქალი მქისი; ისე, როგორც გუნთერ მეფის, მოინდომა შეკვრა მისი, რომ საწოლზე ამის შემდეგ წოლილიყო იგი მშვიდად. მას სამოსის დაჭმუჭვნისთვის გაურისხდა ასე დიდად.

672. ვერ უშველა ნიდერლანდელს უდიდესმა მისმა ძალამ:  
თვისი ღონის დაჭარბება დაანახვა პატარძალმა.  
დაამარცხა ქალმა იგი, ასეც უნდა მომხდარიყო:  
კარადის და საწოლს შუა მისაყელად ხელი მიჰყო.

673. მიამწყვდია. "ვაი ჩემს თავს", გაიფიქრა ზიგფრიდ გმირმა:  
"თუ სიცოცხლე მოსპო ჩემი ქალთან ბრძოლამ პირდაპირმა,  
მაშინ კაცი ქედმაღალი ქალის წინა უნდა ძრწოდეს.  
ისე, როგორც ეს აქამდე არ მომხდარა არასოდეს!".

674. მეფეს ესმოდა ყოველი და მოყმის გამო შიშობდა.  
შერცხვა ზიგფრიდს და გაბრაზდა, აღარას ანგარიშობდა:  
მთლად მოიკრიბა ძალ-ღონე, ქალისგან შეშინებულმა.  
და შეუტია ბრინჯილდეს უდიდეს რისხვით გზნებულმა.

675. ბრძოლა იყო კიდევ დიდხანს, არ დამარცხდა ვიდრე ქალი.  
ლამაზ რაინდს ფრჩხილებიდან სისხლი წასკდა, ვითა წყალი,  
ისე მაგრად მოუჭირა იმის ხელებს ქალმა ხელი:  
ვაჟს ეტკინა. ბოლოს კარგად დაასრულა საქმე ძნელი.

676. მან გატეხა მხნე ქალწულის მძლავრი ნება თვისი ნებით.  
მიხვდა მეფე, თუმცა ზიგფრიდი იყო უხმოდ, მდუმარებით.  
ზედ დააკრა საწოლს ისე, რომ შეჰკვივლა კვნესით ქალმა.  
შეუდრეკელ მკლავთ ძალას ვერ გაუძლო პატარძალმა.

677. ხელი ივლო ქალმან მენჯზე, სად ქამარი ჰპოვა თვისი.  
მოყმის შეკვრა სურდა, მაგრამ მეტი იყო ძალა მისი:  
შემოწოდობილს მის მკლავებში ქალის ტანი მოტყდა ბრძოლით,  
და ბრუნჯილდე ამის შემდეგ გუნთერ მეფის გახდა ცოლი.

678. უთხრა: "მევევ, აწ დამზოგე და სიცოცხლე დამიტოვე,  
ვალგადახდით შევისყიდი, ჩემგან წყენა რაცა ჰპოვე.  
აწ ჩემდამი ძალაღს ტრფიალს არ დაგიშლი, მოველ გონსა.  
კარგად ვიგრძენ, რომ შენ ძალგიძს დაეუფლო ქალბატონსა".

679. შემდეგ ადგა ზიგფრიდ ზეზე (მწოლიარე დარჩა ისა),  
გამარჯვებულ რინდს თითქოს გახდა სურდა სამოსლისა.  
თან ბეჭედი ოქროსი მან წამოაძრო თითზე ქალსა;  
არ ელოდა, არ უგრძვნია ეს მშვენიერ დედოფალსა.

680. წაიღო კიდევ ქამარი, ის მშვენიერი ზონარი;  
არ ვიცი რისთვის, ეგების როგორც თავმოსაწონარი,  
მისცა იგი ცოლს. შემდგომ ეს გაუხდა სანანებელად.  
დაწვა მეფესთან ქალწული ტრფიალის ცეცხლთა მგზნებელად.

681. მიეალერსა გუთნური ქალბატონს, ვით შეშვენოდა.  
გაუქრა რისხვა დედოფალს, მისი არაღა რცხვენოდა.

მწევლის ხვევნით და ტრფიალით სახე ფერმკრთალი გაუხდა,  
ამ ალერსთაგან, ჰეი, მას ძალ-ღონე როგორ წაუხდა!

682. ამის შემდეგ სხვა ქალზე მას აღარ ჰქონდა მეტი ჯანი.  
ტრიფალებით მიეზიდნა გუნთერს მისი ტურფა ტანი.  
სარგებლობას რას ნახავდა კვლავ ბრძოლით და ქცევით მტრულით?  
ყველაფერი ეს უყო მას მეფემ თვისის სიყვარულით.

683. ეხვეოდა ქალს რაინდი რა ნაზად და როგორ ტკბილად.  
მთელი ღამე, ვიდრემდისინ არ გათენდა თეთრად დილა!  
ზიგფრიდი კი ბევრად ადრე იყო უკვე შინ მისული.  
იქ მშვენივრად შეხვდა იმას მისი მზე და მისი სული.

684. ქალბატონის შეკითხვაზე დაიდუმა ბაგე მანა,  
და კვლავ დიდხანს უმაღავდა, რც საჩუქრად მოუტანა,  
ვიდრე ბოლოს სამშობლოში არ გადასცა საჩუქარი.  
ამის გამო მასთან ერთად ბევრი გმირი დაწვა მკვდარი.

685. მეორე დღეს სახლის პატრონს არ ებურა სახე ჩრდილით:  
იგი ადგა მხიარული უფრო, ვიდრე წინა დილით.  
ამის გამო სტუმართ კრების იხარებდა ყველა წევრი,  
ვინც კი კარზე მოეწვიათ, მათ პატივი მიხვდათ ბევრი.

686. ლხინი გაგრძელდა თოთხმეტ დღეს, სტუმრები ძლივლა ეტია.  
ხალხს ხმაური და ჩოჩქოლი მუნ აღარ შეუწყვეტია.  
გართობათაგან, მომგონი ვისიც რის იყო გონება.  
ამ დიდ ზეიმზე ხელმწიფემ დიდი დახარჯა ქონება.

687. მაღალ მეფის მეგობრების მის მეფისვე დასამშვენებს.  
ძღვენს გასცემდნენ მრავალგვარსა: შესამოსელს ძვირფას ცხენებს,  
წითელ ოქროს, ვერცხლს აგრეთვე - აღავსებდნენ სტუმრებს სრულად,  
და ისინიც შინისაკენ მიდიოდნენ მხიარულად.

688. ზიგფრიდიც, მისი მხლებლებიც - ათასი კაცი მდიდარი -  
უხვად გასცემდნენ საქონელს, რაც ჰქონდათ მონაზიდარი.

რაინზე. გასცეს სამოსი, რაშები, უნაგირები.  
მართლაც მდიდრულად ცხოვრობდნენ ის სანაქებო გმირები.

689. მდიდრული საჩუქრებისა გაცემა დიდხანს გაგრძელდა,  
შინ დაბრუნება გირთა მათ დაყოვნდა, დია, გამნელდა;  
და სტუმრებისთვის იქ ზრუნვას ვინ იყო, რომ არ ეცადა,  
დამთავრდა დიდი ქორწილი, ვით მეფე გუნთერს ეწადა.

ამ ბ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე .

როგორ დაბურუნდა ზიგფრიდი მეულლითურთ.  
სამშობლოში.

690. შემდგომ ყოველთა სტუმართა მუნითგან შინ გაკრეფისა,  
ბრძანება იყო ყმათდამი ძისაგან ზიგფრიდ მეფისა:  
"ჩვენც შევეკაზმით, დრო არის შინისკენ გამგზავრებისა".  
ესეც მიზეზი გახდა მის მეუღლის გახარებისა.

691. უთხრა თვის ქმარს: "წასვლა როდის მოგვიხდება ჩვენ, ნეტავი?  
მეტისმეტი სიჩქარისგან შევიკავოთ მინდა თავი.  
ეს ქვეყანა ძმებმა უნდა მიწილადონ წასვლის წინა".  
ამ სიტყვების გამო ზიგფრიდ შეღონდა და მოიწყინა.

692. მიეახლნენ მას მთავარნი, და სამთავემ უთხრა გმირსა;  
"ჩვენ, ბატონო ზიგფრიდ, გწამდეთ, არ გავტეხავთ ამა პირსა:  
მზად ვიქნებით სიკვდილამდე გემსახუროთ ერთგულებით".  
ზრდილ ბატონებს მადლი უთხრა მან ზრდილობით არ ნაკლებით.

693. თავის დაკვრით ეტყოდა მას გიზელჰერი ყმაწვილი:  
"ჩვენი ქვეყნის და ციხეთა გვინდა რომ მოგცეთ ნაწილი,  
სამფლობელონი ფართონი, ზოგნიცა ქვეშევრდომთანი.  
კრიმჰილდე თვისი წილისა იქნება თქვენთან მომტანი".

694. მაშინ მეფე ზიგფრიდი ძემ მხნე თავადებს უთხრა ასე,  
ოდეს მათგან მოისმინა სიტკბოებით სიტყვა სავსე:  
"ღვთით ნაკურთხი იყოს მარად სამფლობელო თქვენი ვრცელი.  
და აგრეთვე ხალხიც; ხოლო ქლბატონი სანუკველი.

695. ნუ ისურვებს ნაწილს მისას, მიცემას რომ ეპირებით.  
თუკი გვირგვინს იმის თავზე ჩვენ დადგმულსა მოვესწრებით,  
მასზე მდიდარს ვერ ნახავენ, ქვეყანაც რომ მოვლონ სრულად.  
ამის გარდა, მსურს მარადის გემსახუროთ მეგობრულად".

696. ქალმა უთხრა: "ჩემი მიწა ძალგიძს დასთმო, მაგრამ სცდები,  
რომ არ გინდა წაიყვანო ბურგუნდელი რაინდები.  
ვინც არ უნდა იყოს მეფე, გაახაროს მსგავსმა ყმებმა;  
მამ გამიყონ მე ისინი საყვარელმა ჩემმა ძმებმა".

697. გერნოტმა უთხრა: "მიიღე, მოგეწონება რომელი,

ბევრი იქნება, ალბათ, აქ შენთან წამოსვლის მდომელი.  
ოცდაათ ასეულიდან მსახურად თან წატანება.  
ძალგიძს ათასის გმირისა". კრიმჰილდემ გასცა ბრძანება:

698. შეჰკითხებოდნენ ტრონიელ ჰაგენს და ორტვინ რაინდსა, კრიმჰილდესათვის ისინი ხომ არ დასთმობდნენ რაინსა? მაგრამ სიბრაზე დაეტყო ტრონიელს მაშინ ამაზე; უთხრა: "გუნთერი ვერ მიგვცემს ვერავის მთელ ქვეყანაზე.

699. სხვებიც არიან მოყმენი, თუკი წაყვანა გენებათ; ტრონიელთ მოვალეობა თქვენ კარგად მოგეხსენებათ: ჩვენ უნდა დავრჩეთ მეფესთან, ვისთანაც ყოფნა გვწყურია, რომ ვემსახუროთ კვალად მას, ისე ვით გვიმსხურია".

700. დაანებეს იმათ თავი, და კრიმჰილდემ მაშინ თანა. კეთილშობილ მსახურთაგან წამყოლებად წარიტანა. ქალი ოცდათორმეტი და მეომარი ხუთჯერ ასი. თან მარკგრაფი ეკევრტი სხვებთან ერთად გაჰყვა მას იქ.

701. რაინდები და მსხურნი, ქალნი და ქალბატონები. გამოეთხოვნენ ერთმანეთს კოცნით და მკერდშეკონებით: ყველა თავის შესაფერისად წესებს იცავდა სრულებით. შემდეგ გუნთერის ქვეყნიდან წავიდნენ მხიარულები.

702. მიაცილებდნენ შორეულ გზებზე მათ მეგობარები; უბრძანეს ყველგან მოეწყოთ ღამის თავშესაფარები. მეფეთა საბრძანებელში, მათივე შესადარები. მეფე ზიგფრიდთან აფრინეს მყის მაცნეები ჩქარები.

703. რათა იმას და ზიგელინდს ეცნო, რომ სვლითა მალითა. მიდის იმათკენ ძე მათი ქალბატონ უტეს ქალითა, ნაზ კრიმჰილდეთი, ვორმსიდან, რაინის პირად რომ არის, ჯერ არ სმენიათ ამბავი მათ ესდენ მოსანდომარი.

704. თქვა ზიგფრიდმა: "მე ამ დღესა რომ მოვესწარ, ვხარობ გულით: აწ კრიმჰილდე მშვენიერი აქ იქნება გვირგვინდგმული. ამით უფრო დაფასდება სამფლობელო ჩემი მთელი. და ზიგფრიდი თვით დაჯდება ტახტზე, როგორც მეფე ქველი".

705. აღავსებდა მახარობლებს ზიგელინდი ბედნიერი; მისცა ვერცხლი, ოქრო მძიმე და ხავერდივ მოწისფერი -. ასე დიდად ახარებდა მოტანილი კარგი ცნობა. მაშინ იწყეს შინაყმებმა გულმოდგინედ გამოწყობა.

706. ვის მოიყვანდა, მოსთვალეს, ზიგფრიდი შეუფერხები. მორთეს დარბაზი ბრწყინვალე სკამებითა და მერხებით, სად გმირი გვირგვინოსანი სხვებს დაჩრდილავდა მშვენებით. მის შესახვედრად მოყმენი გაფრინდნენ ცხენთა ჭენებით.

707. არ ვიცი, მსგავსი ვის ჰქონდა შეხვედრა გასაკვირვები, როგორც ზიგფრიდის მხარეში მიიღეს უცხო გმირები. მყის გაემგზავრა ზიგელინდ კრიმჰილდეს შესახვედრად, ბედმა არგუნა ბევრ რაინდს მასთან მგზავრობა ხვედრად.

708. მთელ დღეს ვლეს. ბოლოს შეხედეს, ზიგფრიდი სტუმრებს უძლოდა. ბევრი სიძნელე გარდახდათ მასპინძლებსა და უცხოთა, ვიდრე არ მიხვდნენ სიმაგრეს ქსანტენად სახელდებულსა; იქ შემდეგ ზიგფრიდს გვირგვინი თავს ედგა გამეფებულსა.

709. ზიგმუნდმა და ზიგელინდმა, ბაგეებით მოცინარით, დიდხანს ჰკოცნეს უტეს ქალი, ლამაზი და ქცევით წყნარი, და აგრეთვე შვილი ზიგფრიდ. გულით სევდა განერიდათ. ყველა იმის მხლებლებს ჰქონდა მხიარული შეყრა დიდად.

710. წამოუძღვნენ სტუმრებს მეფის დარბაზისკენ წასაყვანად. იქ ლამაზი ქალწულები მყის გადმოსხეს ცხენთაგანა. ბევრი იყო მეფის კარზე გულფიცხელი ვაჟკაცები, ტურფა ქალებს რომ დაუწყეს სამსახური გატაცებით.

711. თუმც რაინზე გადუხადეს მათ ქორწილი გასაკვირი, მაგრამ მისცეს აქ რაინდებს სამოსელი ისე ძვირი, რომ არასდროს არ მოსავდა მათ სხეულებს მათი დარი. სიმდიდრე და გულუხვობა იქ იხილეს საოცარი.

712. მათ პატივს და ფუფუნებას აღარ უნდა სიტყვის თქმანი. რომ ოროსფერ შესამოსელს ატარებდნენ მათნი ყმანი -. იყო თვლებით მოოჭვილი და ზონარით მოქარგული! დედოფალი ზიგელინდი მზრუნველობდა ასე გულით.

713. თავის მეგობრებს ეტყოდა მათი მეფე და მპყრობელი: "ნათესავ-მეგობართათვის დღეს ვარ ამისი მთხრობელი, რომ აწ ზიგფრიდი იქნება ჩემი გვირგვინის მტარები". ნიდერლანდებს გულს მოხვდათ ამბავი გასახარები.

714. გადასცა ზიგფრიდს გვირგვინი, მართლმსაჯულება, მიწები, და გახდა იგი ხელმწიფე, სამეფოს განმამტკიცები. ისეთ განაჩენს აჩენდა ქვეშევრდომებზე აწ ისა, რომ ემინოდათ ძალიან ლამაზ კრიმჰილდეს კაცისა.

715. აი, ესდენ დიდ პატივში, ვარ ამბავის მართლად მთქმელი, განაგებდა სახელმწიფოს ის მეათე უკვე წელი. ოდეს ტურფა დედოფალმა მშვენიერი ვაჟი შობა, მეფესა და მის მეგობრებს გაუნათდა გული, გრძნობა.

716. მოინათლა მალე იგი, ახალგაზრდა სასიამო, და დაერქვა მას გუნთერი, სვემაღალი ბიძის გამო.



ეს პატივი იყო მისთვის: ექნებოდა მხნე მას გული.  
საგანგებო მზრუნველობით იზრდებოდა მეფისწული.

717. ამავე დროს გარდიცვალა იქ ზიგელინდ დედოფალი.  
და მეუფე გახდა სრული კეთილშობილ უტეს ქალი,  
ვით ქალბატონს უპირველესს შვენოდა მის ქვეყანაში.  
ზიგელინდის გამო ბევრმა მწუხარება იწყო მაშინ.

718. იმავე ჟამს იქ, რაინზე, როგორცა გვაქვს გაგონილი,  
უძლიერეს გუნთერ მეფეს დაუბადა ვაჟიშვილი.  
მშვენიერმა ბრუნჰილდემ და მონათლეს იგი ოდეს,  
მხნე რაიდის საპატიოდ მათ ზიგფრიდი მას უწოდეს.

719. რა ზრუნვით აღზარდა ინდომეს ვაჟისა გასახარისა!  
მეფემ უბრძანა, ესწავლა მსწავლებელთაგან კარისა,  
ის, რაც ვაჟკაცის წესია, რომ ასცდეს ბედთან მდურებას.  
ო, მალე მისთა ნათესავთ წილხვდათ რა უბედურება!

720. თქმულებანი ყოველ ჟამსა იმის გამო ბევრი თქმულა,  
თუ ლომგული რაინდები ბრწყინვალედ და დიდებულად.  
ზიგმუნდ მეფის ქვეყანაში ატარებდნენ დროს ვით მარად,  
გუნთერ მეფეც მეგობრებით ლხენით იყო მათდა დარად.

721. ნიბელუნგების ქვეყნისა ზიგფრიდი იყო მპყრობელი.  
(არვინ ყოფილა არასდროს მსგავსი სიმდიდრის მფლობელი).  
თანვე შილბუნგის ვაჟკაცტა და ორთავეთა ქონების.  
მიზეზი იყო ეს მისი ზვიადი თავმოწონების.

722. არ ჰქონია არც ერთ რაინდს ჯერ საუნჯე ასე ძვირი,  
იმის პირველ პატრონთ გარდა; დაეუფლა იმას გმირი.  
საკუთარი მაჯა მკლავით მთის წინ მომხდარ დიდ ბრძოლაში.  
მრავალ რაინდს დაუბნელა მზის სინათლე იმან მაშინ.

723. ამით მან ჰპოვა სახელი, თუმცა კი უამისოდაც.  
მას კეთილშობილ გმირად და რაინდად ყველა იცნობდა.  
არვინ ყოფილა ჯერ ქვეყნად მისებრ მხნე, მტერთა მზარავი.  
და უნაგირზე მისებრი რაინდი მჯდარი არავინ.

ა მ ბ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე.

როგორ მიიწვია გუნთერმა ზიგფრიდი ლხინზე.

724. იყო ბრუნჰილდე მდომელი სულ ამის გამოცნობისა:  
"ნეტავ, რა არის მიზეზი კრიმჰილდეს ზვიადობისა?  
იმისი ქმარი ახლაც ხომ ჩვენზევე ქვეშევრდომია,

სამსახური კი ამდენ ხანს მისგან აღარა გვხდომია".

725. ჰქონდა ეს ფიქრი დედოფალს იდუმალ გულის მავნებლად;  
მათი არ ხლება წინაშე სტანჯავდა გაუმჟღავნებლად;  
რად არა სჩანან ისინი სამეფო კარის დარაჯად?  
რისთვის არ მოაქვთ არასდროს მათ სათავადო ხარაჯა?

726. შეეკითხა იგი ფემეს: შეიძლება ნეტავ კიდევ,  
რომ ენახა ხელმეორედ ქალბატონი მას კრიმჭილდე?  
თან ფარულად გაუმჟავნა იმას თვისი გულისტკენა.  
ქალბატონის სიტყვა მეფეს საკეთილოდ არ ეჩვენა.

727. "ვით მოვიყვანთ იმათ ჩვენთან", მეფე იყო ამის მთქმელი,  
"არ მოხდება არასოდეს საქმე ესე მეტად ძნელი.  
ვერ ვუბრძანებ მოსვლას, რადგან შორს არიან ჩვენგან დიდად".  
მოახსენა მას ბრუნჭილდემ საპასუხო სიტყვა მშვიდად:

728. "რაც არ უნდა იყოს მეფის ქვეშევრდომი შეძლებული,  
შეასრულოს უნდა იმან ბატონისგან ბრძანებული".  
ქალბატონის ამ სიტყვებზე გაელიმა მეფეს მშვიდად:  
იგი ზიგფრიდს არასოდეს ქვეშევრდომად არა სთვლიდა.

729. ქალმან უთხრა: "ჩემთვის, ჩემო საყვარელო მეფევ დიდო,  
შენ ზიგფრიდი შენის დითურთ აქეთ უნდა მოიზიდო.  
გვეწვევიან, ოღონდ იყოს სურვილი და თქვენი ნება.  
საამური ჩემთვის ქვეყნად უმეტესი რა იქნება!

730. მახსოვს მუდამ ქალბატონი ლამაზი და მეტად ზრდილი.  
ფრიად ხშირად იმ წუთების მოგონება მხიბლავს ტკბილი,  
როს ვისხედით აქ, როდესაც მოგთხოვდი და მოგეც გული,  
როცა იმან აირჩია ქმრად ზიგფრიდი გაბედული".

731. ისე დიდხანს სთხოვდა, ვიდრე მეფე ნებას მას არ დაჰყვა:  
"იცოდეთ, რომ მეც არ ძალმიძს მათზე ძვირფას სტუმართ ნახვა,  
და ადვილად გეთანხმები; მათ მაცნენი მინდა ჩვენი.  
გავუგზავნო, რომ რაინზე წამოვიდნენ ორივენი".

732. დედოფალმა უთხრა მეფეს: "მაშ თქვენ უნდა მითხრათ, როდის.  
დაიბარებთ, ან რა დღისთვის დაგვაგალებთ მათ მოლოდინს,  
რომ ვიცოდეთ დრო საყვარელ მეგობართა აქ მოსვლისა.  
გთხოვთ აგრეთვე მითხრათ ისიც, თუ შიკრიკად ჰგზავნით ვისა".

733. "მე მსურს", თქვა მეფემ, "გაგზავნა კაცისა ოცდაათისა".  
შემდეგ გამოსთქვა სურვილი მის წინ ხლებისა მათისა.  
მეფემ ზიგფრიდთან ამბავი შესთვალა მათის პირითა.  
დაასაჩუქრა ბრუნჭილდემ ელჩნი სამოსით ძვირითა.

734. "რაინდებო, სიტყვა ჩემი", დავალება მეფემ იწყო,  
"მიუტანეთ, მაგრამ თქმული არაფერი დაივიწყოთ,  
ძლიერ ზიგფრიდს და აგრეთვე ჩემს ლამაზ დას კრიმჰილდესა,  
რომ არ მიყვარს ქვეყნად არვინ მე იმათზე უდიდესად.

735. სთხოვეთ, ელჩნო, აქ, რაინზე, რომ გვესტუმრონ ორივენი.

მათი ნახვით სიხარულით აღივსება გული ჩვენი.  
მზის მოქცევის დრომდე იმათ აქ ისინი უნდა ნახონ,  
ვისაც უნდათ, რომ პატივი მათდა მიმართ გამოსახონ.

736. მეფე ზიგმუნდს ჩემს მაგიერ მიესალმეთ მოწიწებით.  
უთხარით, რომ ჩვენ ყველანი მას ვახსენებთ მუდამ ქებით.  
ჩემს დას სთხოვეთ, ნუ გადადებს ჩვენთან სტუმრად მობრძანებას,  
აქ მას ელის მეგობრებთან ზეიმი და დროსტარება".

737. ბრუნჰილდე და უტე - ორნივ და იქ მდგომნი ქალნი მაშინ.  
შეუთვლიდნენ თავის სალამს ზიგფრიდ გმირის ქვეყანაში.  
ზოგ საყვარელ ქალბატონსა და ვაჟკაცებს გაბედულებს.  
დაახსომდათ ეს მაცნეებს, წასასვლელად აბარგულებს.

738. იდგნენ მზანი; მათ მიიღეს ცხენები და სამოსელი.  
ამის შემდეგ მიატოვეს თავიანთი მიწა ვრცელი.  
იჩქაროდნენ მიზნისაკენ - მისვლა სურდათ არ ხანდაზმით.  
მეფემ ბრძანა, რომ მცველების წაჰყოლოდა იმათ რაზმი.

739. სრულ სამსა კვირას დღედაღამ ვიდოდნენ ცხენთა თარეშით.  
და - ნიბელუნგის ქალაქად, ნორვეგიელებს მხარეში,  
ნახეს ელჩებმა დასასრულ რინდი წარჩინებული.  
იყო ხალხი და ცხენები დაღლილი, დამძიმებული.

740. ზიგფრიდსა და კრიმჰილდესა მიუტანეს სწრაფად ცნობა,  
რომ მოვიდნენ რაინდები მუნ, რომელთა ჩაცმულობა,  
ისეთია, რომ იმაში ბურგუნდელთა მოჩანს მხარე.  
ზე აიჭრა დედოფალი, მოსვენებით მწოლიარე.

741. მყის უბრძანა თავის მხევლებს გაეხადა სარკმელიდან,  
დაინახა იქ მან გარე, ვაჟკაცი და ლომი ტანად.  
მის მახლობლად იდგნენ სხვებიც, მასთან ერთად წარგზავნილი.  
დაუამდა გულის წყლული, რა ისმინა ცნობა ტკბილი.

742. "გაიხადეთ, ნახეთ აგერ", მეფეს უთხრა გახარებით,  
"გაბედული გარე დადის ჩვენს ეზოში ხალხთა კრებით.  
მათი მოსვლა რაინიდან, ჩანს, ჩემი ძმის არის ნება".  
ქმარმა უთხრა: "კეთილ იყოს აქ იმათი მობრძანება".

743. მსახურებმა სტუმრებისკენ გამოსწიეს გამოქცევით;

უნდოდათ, რომ მოეხიბლათ ზრდილობიან ყოფაქცევით.  
საალერსო სიტყვების თქმაც იქ არავის არ დაზარდა.  
მათი მოსვლა ზიგმუნდ მეფეს მეტისმეტად გაუხარდა.

744. მყის უბრძანეს, მოსულთათვის რომ გაეწყოთ კარგი ბინა.  
და მოევლოთ ცხენებისთვის. წარუდგინეს შემდეგ წინა.  
მაცნეები ბატონ ზიგფრიდს და კრიმჰილდეს, იქ მჯდომარეს.

მეფეებმა მათი ნახვით უდიდესად გაიხარეს.

745. მეუღლითურთ ზეზე ადგა მაშინ მეფე დიდებული.  
ბურგუნდელი ელჩი გერე კარგად იქნა მიღებული.  
მთელი მისი მხლებლებითურთ, გუნთერ მეფის ლენიდანა.  
შემდეგ სთხოვეს მარკგრაფ გერეს დამჯდარიყო მათვე თანა.

746. "ნება დაგვრთეთ მოგახსენოთ უმაღლესი, ვიდრე დავსხდებოდეთ:  
ჩვენ, დაღალულ მგზავრებს, გვინდა ფეხზე მდგარნი გიყვებოდეთ.  
იმ ამბავს, რაც თქვენს წინაშე შემოსთვალეს პირით ჩვენით.  
ბრუნჰილდემ და გუნთერ მეფემ: ღვთით, ორივეს სუფევს ლხენით.

747. იმას, რასაც გითვლის უტე ქალბატონი, თქვენი დედა,  
გიზელჰერი და გერნოტი და იმათზე წართვით ზედა.  
მახლობელი მეგობრები, წამოსვლა რომ დაგვაგვალეს:  
ყველა გიძღვნით სალამს დიდსა და მოკითხვას უმხურვალესს".

748. მეფემ უთხრა: "ნუმც მომხდარა ღვთის წყალობის თქვენზე კლება!  
მე დავზოგე მათთვის დიდი ტრფიალი და ერთგულება.  
იმათი დაც მასვე სჩადის. უნდა მითხრათ კიდევ თქვენა:  
ჩვენს მეგობრებს ხომ არ ახლავს ნაღველი და გულისტკენა?"

749. მას შემდეგ, რაც ჩვენ განვშორდით, ხომ არ უჩანს კიდევ მტერი.  
ჩემს საყვარელ ცოლისძმებსა? მომიყვით ყველაფერი.  
ვისურვებდი, რომ ყოველთვის მიმეჩინა მათთვის შველა,  
რომ თავის ბედს ჰგომობდნენ ამით ორგულები მათი ყველა".

750. მას მარკგრაფმა, მხნე რაინდმა, გერემ ასე უპასუხა:  
"მეგობრებთან მოლაღენი არაფერზე არა სწუხან.  
გპატიჟობენ - ჩვენს რაინზე მიწვეული ხართ ნადიმად.  
მერწმუნეთ, რომ თქვენი ნახვა მეტად ძვირად უღირთ იმათ.

751. ჩემს ქალბატონს სთხოვენ, ისიც თქვენთან ერთად რომ ვიდოდეს.  
თვის სამშობლო მხარეს; ვიდრე ეს ზამთარი გავიდოდეს,  
მზის მახლობელ მოქცევამდე მათ სწყურიათ თქვენი ნახვა".  
მხნე ზიგფრიდმა უთხრა: "მნელად შესრულდება ეს განზრახვა".

752. მაშინ კიდევ მას პასუხად ელჩმა უთხრა მშვენიერმა:  
"დედათქვენმა უტემ, მასთან გერნოტმა და გიზელჰერმა,

მოგაგონათ, რომ უარი არ აცნობოთ წასვლის თქვენა.  
იგი მუდამ ჩივის, მისგან რომ შორსა ხართ ესოდენად.

753. ჩემს ქალბატონს ბრუნჰილდეს და მის მშვენიერ სეფექალებს.  
ეს ამბავი სასურველი აამებს და გაახარებს.  
ეგზომ დიდად, რომ სიხარულს ვერ გამოთქვამს მასთან ენა".

ეს ამბავი ნაზ კრიმჰილდეს მეტად კარგად მოეჩვენა.

754. გერე იყო ბიძაშვილი მისი; დასხა მასპინძელმა.  
ისინი და ასვა ღვინო. არ გამოვლო ხანმა ვრცელმა,  
რომ ზიგმუნდიც შეუერთდათ, და, მაცნენი რა იხილა,  
მან ბურგუნდელ რაინდებთან საუბარი იწყო ტკბილად:

756. "სიხარულით მოვლენ", უთხრეს, "თუ ეს არის მისი ნება".  
საამური შეხვედრისგან დადლილობამ უწყო კლება.  
დასხეს სუფრად, მასპინძლობდა გმირი ლხინთა მოიეფე,  
უმვირფასეს სტუმრებისთვის თვით ზრუნავდა ზიგფრიდ მეფე.

757. იქ დასჭირდათ ბურგუნდელებს დაყოვნება ცხრა დღე მთელი.  
გაისმოდა სიტყვა მათი სახვეწი და სადრტვინველი,  
რომ არ ძალუბთ დაბრუნება მათ სამშობლო ქვეყანაში.  
ამის გამო ზიგფრიდ მეფემ მეგობრები იხმო მაშინ.

758. იგი იქ იმათ წინაშე მთხოვნელი იყო რჩევისა:  
"ცოლისძმის, გუნთერისაგან, სიტყვა მივიღე წვევისა -.  
მიხმობს რაინზე სალხინოდ იგი თავისი ძმებითა.  
წასვლა მსურს, თუმცა სამეფო მისია მოშორებითა.

759. ხვეწნით მთხოვენ, რომ კრიმჰილდეც ჩემთან ერთად წამოვიდეს.  
მაშ, მირჩიეთ, მეგობრებო, როგორ მოვხვდე იქით კიდეს?  
თუნდ ოცდაათ სამეფოსი მე დამჭირდეს გავლა ჯარით.  
მაინც მზად ვარ, რომ ვეახლო მათ პატივით მათის დარით".

760. რაინდებმა უთხრეს მისმა: "ასეთია რჩევა ჩვენი -.  
თუ ნადიმზე მეფის კარად ხართ წასვლისა მოსურნენი,  
იქ ათასი წაიყოლეთ ცხენოსანთ მოყმე თქვენა.  
ნახეთ მაშინ დამხვედურთაგან პატივის და რიდის ჩენა!".

761. ნიდერლანდელ მეფე ზიგმუნდს სიტყვა ჰქონდა ამის გამო:  
"რად არ გინდათ მეც ვიკისრო ეს სტუმრობა სასიამო?  
თუ დარჩებით კმაყოფილნი, იქ წამოსვლას მეც თავს ვიდებ.  
თან ას რაინდს წამოვიყვან და მხლებელთ რიცხვს გავადიდებ".

762. "ო, მშობელო ტკბილო ჩემო", მხნე ზიგფრიდმა უთხრა მამას,  
"თქვენ წამოსვლა გნებავთ ჩვენთან - სიხარულით ვხვდები ამას!  
მე დავტოვებ ჩვენს ქვეყანას სულ თორმეტი დღის ვადაში".

თითოეულს გამყოლს მისცემს სამოსი და კარგი რაში.

763. ღირსეულმა მეფემ, ოდეს განიზრახა გამგზავრება, მშვენიერი რაინდების დააბრუნა უკან კრება. შეუთვალა მათის პირით უმკირასეს ცოლისძმათა, რომ რაინზე სანადიმოდ გადაწყვიტეს მისვლა მათა.

764. ზიგფრიდმა და კრიმჰილდემაც, გვაქვს ამგვარად მონასმენი,

წარჩინებულ მაცნეებსა ესოდენი მისცეს ძღვენი, რომ ცხენები ვერ ზიდავდნენ. ის მდიდარი იყო დიდად. უძლიერეს ტვირთის ცხენებს მირეკავდნენ ელჩნი მშვიდად.

765. ზიგფრიდმა და ზიგმუნდ მეფემ მყის შემოსა ხალხი მთელი. და მარკგრაფმა ეკვეარტმაც მშვენიერი ტანსაცმელი. თან გასაყოლ ქალებისთვის გამოძებნა მალე მაშინ. უკეთესი არსად იყო ზიგფრიდის მთელს ქვეყანაში.

766. განამზადებდნენ სასწრაფოდ ფარებს და უნაგირებსა. ქალბატონებს და რაინდებს, მათთან მიმავალ პირებსა, მისცეს საჩქაროდ, რაც სურდათ, რომ წასულიყვნენ წინ მალე, თავის მეგობრებს მიჰგვარა მან ბევრი კაცი ბრწყინვალე.

767. რაინისაკენ მიჰქროდნენ ელჩები ცხენთა ჭენებით, დაბრუნდა ბურგუნდელებთან გერე - რაინდი მძლე ნების -. უნაგირიდან ჩამოხტა ამაყად, გაბედულადა, გუნთერის დარბაზს ეახლა, მიიღეს მეგობრულადა.

768. მყის ამბავის შესატყობად იქ მოგროვდა ყრმა და ბერი, ვით სჩვევიათ, და ეტყოდა მათ რაინდი მშვენიერი: "როცა მეფეს მოვახსენებ, თქვენც გაიგებთ - უმალ არა". და მეფისკენ გაემართა მეგობრებით იგი ჩქარა.

769. სავარძლიდან აიჭრა მოხარული მეფე დიდად. ასე ადრე მოსვლისათვის მათ ბრუჰილდე მადლსა სძღვნიდათ. შეეკითხა მეფე შიკრითთ, გაჩერებულთ იმის წინა: "როგორ არის ზიგფრიდ, ვისაც ჩემს გულში აქვს მუდამ ბინა?".

771. დედოფალმან ჰკითხა მარკგრაფს: "კრიმჰილდე თუ მოვა ჩვენსა? მშვენიერი მისი ტანი სილამაზეს, სხივთა მფენსა, თუ იანხავს კვლავ, რომელზეც ის ზრუნავდა გულდადებით?". უთხრა: "მოვლენ ორივენი ბევრი კარგი რაინდებით".

772. ქალბატონმა უტემ ბრძანა მაცნეების მის წინ ჩენა. დედოფალის კითხვებიდან ადვილ იყო წარმოდგენა, თუ შეტყობა სურდა რისა: "როგორ იყო ქალი მისი?". ჰკადრეს, მალე მოსასვლელად აქვსო დიდი სამზადისი.

773. არ დაფარეს მაცნეებმა საჩუქარი გასაკვირი,  
ზიგფრიდმა რომ უთავაზათ - სამოსი და ოქრო ძვირი:  
მოიტანეს საჩვენებლად სამი დიდი მთავრის კარზე.  
ყველა დარჩა მადლობელი ასეთ მდიდარ საჩუქარზე.

774. "საჩუქრების", თქვა ჰაგენმა, "ადვილია მისთვის ძლევა,  
საუკუნეც რომ იცოცლოს, ვერა ნახოს ლართა ლევა,  
ნიბელუნგთა საუნჯისა მფლობელია იგი ოდეს.

ჰეი, ნეტავ ეს საუნჯე ჩვენს მხარეში მოვიდოდეს!".

775. რაინდთათვის მეფის კარზე დიდად იყო გასახარი.  
მათი მოსვლა. და იმჟამად იქ დამსწრეთა მთელი ჯარი.  
სულ დილიდან საღამომდე მუშაობდა დაუშრომლად.  
მათ მერხები სასახლის წინ ჩაამწკრივეს დასაჯდომად.

776. მოუცლელად შექმნილიყვნენ ჰუნოლდი და ზინოლდ მაშინ:  
ვით სუფრაჯი და ვით მეწდე, ფუსფუსებდნენ დიდს ზრუნვაში.  
მათ შველოდა მხნე ორტვინი, რომ გაეწყოთ ბევრი სკამი.  
ბედკეთილი გუნთერ მეფე კმაყოფილი იყო ამით.

777. მზრუნველობდა დიდად რუმოლდ, მზარეულთა უხუცესი.  
რაოდენი იდგა ქვაბი დიდრონი და უმტკიცესი.,  
რა ქოთნები, რა ტაფები - ყველაფერი მრავლად იყო!  
უმზადებდნენ საჭმელს იამათ, ვინც იქ უნდა მოსულიყო.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე .

როგორ გაემგზავრა ზიგფრიდი მეუღლით კარის.  
წვეულებაზე.

778. ყველა ამ ზრუნვის მოთხრობას ჩვენ ნულარ დავეძალებით,  
და მოვყვით, თუ ვით კრიმჰილდე, მისი მხლებელი ქალებით,  
რაინისაკენ წავიდა ნიბელუნგების მხარიდგან.  
მსგავსი საკმაზი რაშებზე არსად არასდროს არ იდგა.

779. ბევრი სკივრი გავსებული გზით გაგზავნეს პირდაპირით.  
თავიანთი მეგობრებით გაემგზავრა ზიგფრიდ გმირი.  
და კრიმჰილდეც; ეგონათ თუ სიხარული მათ უცდიდათ;  
მაგრამ შემდეგ შეეცვალათ ყოველივე ტანჯვად დიდად.

780. ზიგფრიდის და კრიმჰილდეს ძე, რადგან იგი ნორჩი იყო, '  
მათ დატოვეს სამშობლოში; ასეც უნდა მომხდარიყო.  
ამ მგზავრობამ სიმძიმე ყველას დიდი დაუსახა:  
ყრმამ დედ-მამა თვისი შემდეგ ვერასოდეს ვეღარ ნახა.

781. ზიგფრიდ მეფეც მათთან ერთად რაინისკენ ისწრაფოდა.  
რომ სცოდნოდა წინასწარვე იმას, თუ რა მოხდებოდა.  
წვეულების ჟამს, არასდროს არ ნახავდა ამ ლხინს ისა;  
შემსწრენიც არ გახდებოდნენ მეგობარნი შავი დღისა.

782. მაცნეები წინ გაგზავნეს მათი მისვლის ამბის მოქმელად.  
მშვენიერი ამალითურთ გაეგებნენ შესაყრელად.  
ქალბატონის უტესი და გუნთერ მეფის მეგობარნი.  
მეტად კარგად მიიღეს იქ საყვარელნი ეს სტუმრნი.

783. გუნთერ მეფე მივიდა მუნ, სადაც იჯდა ცოლი მისი:  
"ჩემმა დამ ხომ თქვენ შეხვედრა გაგიმართათ საკადრისი,  
ოდეს პირველ აქ მობრძანდით! თქვენც უნდა მას შეხვდეთ გულით".

ქალმან ჰკადრა: "მე შეხვდები იმას დიდი სიხარულით".

784. უთხრა მეფემ: "ხვალ ისინი ადრიანად მოვლენ დილით.  
თუ შეხვედრა გნებავთ მათი, უნდა იყოთ გამზადილი,  
შეხვდეთ ციხე-სიმაგრის წინ და არა შინ, სიმაგრეში.  
უკეთესი სტუმრები ჯერ არ მოსულან ჩვენს მხარეში".

785. შემოესმათ სეფე ქალებს მყის ბრძანება ბრუნჰილდესი.  
რომ სამოსი გამორჩევით ძვირფასი და უკეთესი.  
გარდაეცვათ მის მსახურებს სტუმრების იქ მოსვლისათვის.  
ეს ბრძანება უსათუოდ გასახარი იყო მათთვის.

786. მათ შეხვედრას აჩქარიდა რაილობა მეფის მთელი.  
მან უბრძანა თვის რაინდებს, გზა წაეველოთ მასთან გრძელი.  
გამობრძანდა გუნთერ მეფე და ბრუნჰილდეც მხიარული,  
მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს კეთილი და წრფელი გულით.

787. რა მაღალი პატივითა მოსულ სტუმრებს შეხვდნენ მაშინ!  
მათ ეჩვენათ, რომ კრიმჰილდე ბურგუნდელთა ქვეყანაში.  
არასოდეს რძალს ბრუნჰილდეს არ შეჰყრია ასე ტკბილად.  
ყველა, ვინც ეს დაინახა, თავსა გრძნობდა კმაყოფილად.

788. იქ მოვიდა ზიგფრიდ მეფეც, მას თან ახლდა მისი ჯარი.  
შეეძლოთ, რომ მთელს მინდორზე, აქეთა და იქით მდგარი -.  
დაენახათ თავმოყრილი რაინდები უამრავი.  
მტვერისა და ჯგლეთვისაგან ველარავინ იხსნა თავი.

789. გუნთერ მეფემ, ზიგფრიდი და ზიგმუნდ მეფე რომ იხილა,  
საკეთილოდ განწყობილმა საუბარი უწყო ტკბილად:  
"კეთილ იყოს ჩემთან და ჩემს მეგობრებთან მოსვლა თქვენი!  
ამ სტუმრობით კარზე ყველას ჩვენ აღგვევსო გული ლხენით".



790. უპასუხა ზიგფრიდ მეფემ: "მოგიზღვიდეთ ნაცვლას ღმერთი. მას შემდეგ, რაც ჩემს შვილთან ხართ მეგობრობით შენაერთი, განუწყვეტელ ფიქრად მქონდა მე როგორმე თქვენი ნახვა". თქვა გუნთერმა: "მიხარია, რომ აღსრულდა ეს განზრახვა"ჯ.

791. ზიგფრიდს დახვდნენ იმნაირად, როგორც უნდა მომხდარიყო. იქ კეთილად განწყობილი იმისადმი ყველა იყო. ხელს უწყობდნენ ამ დახვედრას გერნოტი და გიზელჰერი. ძნელად სადმე, თუ მიღება სტუმრებს ჰქონდათ ამის ფერი.

792. ერთმანეთის კარგად ნახვა აქ შეეძლოთ დედოფალებს. დაიცალნენ უნაგირნი, და მშვენიერ მრავალ ქალებს. რაინდები, ხელთ აყვანილთ, მწვანე მოღზე გადმოსხამდნენ. სამსახურის მოსრუნენი ხანს ამაოდ არ დაზმიდნენ.

793. მიეგებნენ ერთმანეთსა იქ ქალები სიყვარულით. ამის გამო რაინდები მოხარული იყვნენ გულით; ხარობდნენ, რომ მისალმება მათი იყო ასე ტკბილი. მანდილოსნებს მსახურებდნენ ვაჟკაცები მეტად ზრდილი.

794. მაშინ ტურფა სეფექალთაც ჩამოართვეს ერთურთს ხელი, მოიკითხეს ერთმანეთი ღიმილით და კოცნა-ხვევით; შესცქეროდნენ ამ შეხვედრას ტრფობის ცეცხლის გულში მალვით, მათ მეფეთა თანამხლები რაინდები სჭრვრეტდნენ კრძალვით.

795. ყველა უკვე ქალაქისკენ წასასვლელად იყო მზადა. გაემართნენ. გუნთერ მეფემ თავის სტუმრებს განუცხადა, რომ ზურგუნდთა ქვეყნად მათი უხარია მას სტუმრობა. ქალთ აჩვენეს ბევრი კარგი საომარი ვარჯიშობა.

796. ჰაგენსა და მეტცელ ორტვინს ეს მიზანი დაესახათ, რომ დამსწრეებს უდიდესი მათი ძალა დაენახათ. ვინ აღუდგა წინ მათ ნებას, ან რომელი შეეცილა! ძვირფას სტუმრებს, ჩანდა, დიდი პატივცემა ერგოთ წილად.

797. სიმაგრის წინ ფართა შეხლის გაისმოდა მჭექი ხმანი. მასპინძელმა და სტუმრებმა დააყოვნეს ბევრი ხანი, ვიდრემდისინ მოიყრიდნენ თავს ქალაქის გალავანში. გართობათა გამო სწრაფად გადიოდა ჟამი მაშინ.

798. მივიდნენ და დიდ დარბაზის წინ გაჩერდნენ თავმოყრილი. ამშვენიებდა ყარჯა ბევრი, ძვირფასი და კარგად ჭრილი, მანდილოსანთ უნაგირებს თვალთა ხედვის გასახარად. მხიარული იყვნენ ირგვლივ; მსახურებიც მოდგნენ ჩქარა.

799. წაიყვანეს, რომ დაღლილებს მოესვენათ ცალკე შვებით.

ბრუნჰილდე მუნ თვალთა ხედვას მიაპყროდა ხანგაშვებით.  
კრიმჰილდესკენ; იყო იგი საკმარისად მშვენიერი.  
ოქროს ბზინვას აჭარბებდა მოელვარე მისი ფერი.

800. ქალაქ ვორმსში ყველგან ხალხში ჟრიამული იყო დიდი.  
უძვირფასეს სტუმრების წინ მეფე გუნთერს ჰქონდა რიდი.  
და თვის მარშალს, დანკვარტს, სთხოვა, რომ სასტუმრო კარგი  
ბინა.  
მას თავისი მზურნველობით მოსულთათვის მიეჩინა.

801. მასპინძლობა გაიმართა უდიდესი გარეთ და შინ;  
არ ნახულა წვეულება ისეთი, ვით იყო მაშინ.  
ვინაც კი რა მოისურვა, შესრულების ჰქონდათ ღონე.  
ხელგაშლილი იყო მეფე, სიმდიდრეთა დიდათ მქონე.

802. სამსახური მათი იქცა ყველასათვის საზრუნავად.  
საპატიო სტუმართ გვერდით, მუნ დაბრძანდა მეფე თავად.

ზიგფრიდი კი ისე დასვეს, როგორადაც წინათ მჯდარა,  
დიდებული ბევრი პირი მიდიოდა მისკენ ჯარად.

803. ათას ორასი ზიგფრიდის მაგიდას შემოსხდომოდა.  
ბრუნჰილდეს მთელი გონება ერთ ზრახვას გამოსდგომოდა:  
ყმა მასზე უფრო მდიდარი ნეტა ვით შეიძლებოდა?  
მაგრამ ჯერ მტრობა მისადმი იმის გულს არა ხლებოდა.

804. საღამოს ჟამსაც მაგიდას უჯდა ხელმწიფე შვებული.  
მრავალი იყო სამოსი ღვინისგან დასველებული,  
რადგანაც მერიქიფეთა არ თავდებოდა მსვლელობა.  
შეიძლებოდა გენახათ მუნ უხვი მასპინძელობა.

805. სამეფო წვეულებების წესთ ვით იყვნენ მქონები,  
გაუშვეს მოსასვენებლად ქალნი და ქალბატონები,  
სულ ერთი იყო: მოსულა ვინ, ან რომელი კიდითა -.  
ყველასა სცემდნენ ღრმა პატივს სულგრძელობითა დიდითა.

806. მიწყდა ღამე, დედამიწას მოეფინა შუქი მზისა,  
და სამგზავრო სკივრებიდან უცხო თვლები სამოსლისა.  
გამოკრთოდნენ ბზინვით, ოდეს ეხებოდათ ქალთა ხელნი:  
სკივრებიდან ამოჰქონდათ მშვენიერი ტანსაცმელნი.

807. გარიჟრაჟზე რაინდთა და მსახურთ გუნდი გარს მოაწყდა.  
მეფის დარბაზს, მიხლა-მოხლა და ხმაური ისევ ატყდა.  
ცისკრის ლოცვის წინ, რომელსაც ხელმწიფესა გარდუხდიდნენ.  
ახალგაზრდა რაინდები ცხენოსანნი მის წინ ვლიდნენ.

808. ღონიერად შთანაბერი ახმაურდნენ საყვირები;

ისე მძლავრად გაისმოდა ფლეიტა და ბუკთა ხმები,  
რომ ხმამაღლა გამოძახილს გამოსცემდა ვორმსი მთელი.  
ზედ მოახტნენ რაშებს ყველგან რაინდები მხნე და ქველი.

809. გაიმართა გასართობი ვარჯიშობა უდიდესი.  
მრავლად ჩანდა კარგი მოყმე, ერთმანეთზე უკეთესი.  
ხალისი და სიმხნე დიდი აღავსებდა იმათ გულებს.  
ფარაწეულთ შენიშნავდით ბევრ რინდებს გაბედულებს.

810. სიტურფით სავსე მივიდნენ ფანჯრებთან დედოფალები.  
და მშვენიერად მორთული ბევრი ქალწული ქალები.  
მრავალ დიდ ვაჟკაცთ ისინი ჭკრეტდნენ სიამის ჩენითა.  
მეგობართ შორის თვით მეფე გამოჩნდა თავის ცხენითა.

811. ატარებდნენ დროს ამგვარად, არ უჩანდათ ის მათ გრძელად.  
ზარის რეკვა მიუხმობდათ ტაძრისაკენ წასასვლელად.  
მოუყვანეს ქალებს რაშნი, გააჭენეს გატაცებით,  
ბევრი გაჰყვა თან დედოფლებს გაბედული ვაჟკაცები.

812. ძირს ჩამოხდნენ მერნებიდან მწვანე მოლზე ტაძრის წინა,

ჯერ მათდამი ბრუნჰილდეში ძულვას თავი არ ეჩინა.  
უტურფესად მოკაზმული შედიოდნენ ქალნი ტაძრად.  
სიყვარულის ნაცვლად მალე შურმა მათში მტრობა აღძრა.

813. ოდეს წირვა გამოვიდა, წამოვიდნენ ისევ შინა.  
უდიდესის პატივცემით და ხელმწიფის სუფრის წინა.  
მოეყარა თავი ყველამ, არ ნახულა ლხენა მეტი.  
ეს გართობა უდარდელი გრძელდებოდა დღე თერთმეტი.

ამბავი მეთოთხმეტე.

როგორ წაიჩხუბნენ დედოფლები.

814. ეს მწუხრის წინ მოხდა, ოდეს გარეთ ატყდა ჟრიამული:  
ხმაურობდნენ ვრცელ ეზოში რაინდები დარაზმული,  
სარაინდო თამაშობას გართობისთვის რომ აწყობდნენ.  
ქალები და კაცებიდა საჭკრეტელად ისწრაფოდნენ.

815. ერთად ისხდნენ დედოფლები, მდიდრები და სავსე შვებით.  
და უბადლო ორსავ რაინდს იგონებდნენ დიდი ქებით.  
თქვა კრიმჰილდე: "მე ქმარი მყავს, ვინ იქნება, მასა ჰგავდეს?  
მას შეჰფერის, ეს ქვეყანა რომ სრულიად მორჩილ ჰყავდეს".

816. უპასუხა მულს ბრუნჰილდემ: 'ძნელი არის წამოდგენა;  
რომ ცოცხალი მარტოოდენ ქვეყნად იყოთ ქმრითურთ თქვენა,  
მაშინ ეგებ ამ სამეფოს დაეუფლოს თქვენი ქმარი,

მაგრამ ეს კი არ მოხდება, თუ გუნთერი ცოცხლად არის".

817. "დაინახე, ვით დგას იგი", კვლავ კრიმჭილდე იყო მთქმელი, "ვით მოუძღვის ყველა რაინდს ამაყი და საკვირველი, იმნაირად, თითქოს ვარსკვლავთ წინ უძღოდეს მთვარე სრული. მე ყოველთვის ძალმიძს ვიყო ამის გამო მოხარული".

818. "რა კარგიც არ უნდა იყოს", ისევ რძალმან უთხრა მულსა, "მაინც ის ვერ შეედრება რინდს მძლავრს და გაბედულსა. შენს ძმას გუნთერს: უნდა იდგეს ყველა მეფის მაღლა იგი. თავად შენგან ამის ცოდნა წესია და არის რიგი".

819. თქვა კრიმჭილდე: "ჩემი ქმარი არის ესდენ მხნე და ქველი, რომ მე იმისი ქებისათვის მაქვს საკმაო საფუძველი. სახელი ხომ მისი ყველგან ბრწყინვალე და დიდი არი. გწამდეს, რომ ის გუნთერ მეფის ტოლია და მეგობარი".

820. "ეს, კრიმჭილდე, აქ არ არის ბოროტებით ჩემგან თქმული, რასაც ვამბობ, არ გეგონოს შენ საფუძველს მოკლებული: მე ორივეს მოვუსმინე, როს ისინი პირველ ვნახე, და, ძლეულმან, მეფის ნება ვალად ჩემად დავისახე.

821. ოდეს ასე რაინდულად გრძნობას ჩემსას მეფემ სძლია.

თვით ზიგფრიდმა გვითხრა მაშინ, რომ ის მისი ვასალია, და ამიტომ ვთვლი მას ჩვენს ყმად, - ეს არ არის თქმული მრუდად". უპასუხა მას კრიმჭილდე: "მომპყრობიან მაშ მე ცუდად!

822. ვით მოხდა, რომ ჩემმა ძმებმა გამათხოვეს ამდაგვარად, როგორ მოხდა, რომ ვასალი მოიწვიეს ჩემად ქმარად? ამიტომაც მსურს, ბრუნჭილდე, შეგეხვეწო მეგობრულად: მსგავს ლაპარაკს ჩემთან თავი დაანებეთ აწი სრულად".

823. დედოფალმან უპასუხა: "დავანებო თავი ვით მე - უარის თქმას იმ რაინდზე ვერასოდეს ვერ მოვითმენ, ვისაც მართებს იარაღით ჩვენს წინაშე მუდამ ხლება". კრიმჭილდეც ამის გამო დიდა იწყო გაანჩხლება:

824. "ამაზე კი მოგიხდებათ თქვენ უარის განცხადება. რომ ვასალად გყავდეთ იგი, ეს არასდროს არ მოხდება. კეთილშობილს ჩემს ძმას გუნთერს სჯობს რაინდი გაბედული. დაიბრუნე უკან სიტყვა, აი ახლა შენგან თქმული!

825. მე მაკვირვებს, თუკი იგი ვასალია მართლა შენი, თუ შენ ჩვენზე, ორთავეზე, ხარ უფლების გამომჩენი, რატომ არის, რომ ამდენ ხანს არ გეალათ ხარკით წინა? უნდა გითხრათ, ზვიადობა თქვენი მეტად მომეწყინა!".

826. დედოფალმან უპასუხა: "იზვიადებ თავს შენ დიდად: ვნახოთ, ესდენ საპატიოდ და ესოდენ მოსარიდად, როგორაც მე, თუ აბა ხალხს ეყოლები მიჩნეული". ქალბატონებს მუნ ორთავეს მოსდიოდათ მეტად გული.

827. კვლავ კრიმპილდემ უპასუხა: "კარგად გმართებს დახსომება, რომ ზიგფრიდი შენ დასახე როგორც შენი საკუთრება. დეე, გვანახონ რაინდებმა და დამთავრდეს ამით დავა, დღეს ტაძარში ჩვენ ორს შორის წინ ვინ შევა სალოცავად.

828. მე გიჩვენებ, რომ არა ვარ მდაბალი და ყმათა დარი, დაგანახებ, რომ სჯობია შენს მეუღლეს ჩემი ქმარი. ამნაირის ბრალდებების ატანისა არ ვარ მდომი. და დღეს შენვე ნახავ თვითონ, თუ ვით შენი ქვეშევრდომი.

829. წარუძღვება წინ რაინდებს ბურგუნდელთა სამთავროში. მე თვით მინდა, რომ გვირგვინი არც ერთ ქვეყნად, არც ერთ დროში. ჩემზე ღისსა დედოფალსა არა დგომდეს ზედან თავსა!". ერთმანეთის მიმართ გრძნობდნენ დედოფალნი მტრობას ავსა.

830. "თუ არა გსურს ყმად ჩაგთვალონ", მას ბრუნპილდემ უთხრა კიდევ, "მაშინ შენი ქალთ ამაღა ჩემს მსახურებს მოარიდე,

როს ტაძრისკენ წავალ ისე, ვით შეჰფერის დედოფალსა".  
"ეს ასედაც უნდა მოხდეს", უპასუხა მულმა რძალსა.

831. "აბა, ქალნო, გამოწეყვით!" ხმა გაისმა კრიმპილდესი, "რომ სირცხვილი არა ვჭამო, ძვირფასი და უკეთესი. სამოსელი უნდა ვნახო მე თქვენს ტანზე გადაცმული. ვაიძულებ, რომ უკანვე მან წაიღოს მისგან თქმული".

832. ეს ადვილი იყო რჩევა: მალე ნახეს მომავალი. ბევრი უცხოდ მოკაზმული ასული და ტურფა ქალი. მსახურთა წინ კეთილშობილ ზიგფრიდ მეფის ცოლი ჩანდა. და კრიმპიოლდეც იქ ყველაზე უკეთესად მორთულს ჰგავდა.

833. ორმოცდასამ ასულს, მხლებლად თან რომ ჰყვანდა მოყვანილი. არაბეთში მოქსოვილი ქსოვლილები ეცვათ ლბილი. მიეახლა ტაძარს უცხოდ მოკაზმული გუნდი ქალთა. იქ ზიგფრიდის ყმანი იმათ მიელოდნენ მიმავალთა.

834. დამსწრეთ შორის იმის გამო გაოცება იყო დიდი, თუ რად ჩანან დედოფლები ერთურთისგან განარბიდი. რად არ მივლენ ახლაც ერთად, ვით მანამდე, ტაძრისაკენა. მოუტანა ამან გმირებს ვაგლახი და გულის ტკენა.

835. აჰა, გუნთერ მეფის ცოლი უკვე იდგა ტაძრის წინა.  
და მრავალი რაინდის გულს სიხარული მოეფინა.  
ულამაზეს ქალთა ჭკრეტით, ბრუნჰილდე მ რომ მიიყვანა:  
კრიმჰილდესაც, იქვე მისულს, ბევრი ტურფა ახლდა თანა.

836. რომელიმე რაინდის ქალს, რაც არ უნდა კარგად სცმოდა,  
მის მხლებლებთან შედარებას იგი მიანც ვერ იქმოდა.  
ის მდიდარი იყო ისე, რომ ოცდაათს მეფის ცოლსა.  
არ შეეძლო მსახურები ასე კარგად შეემოსა.

837. რაც არ უნდა მოესურვათ, ვინ შესძლებდა იმის თქმასა,  
რომ სამოსი მდიდრულობით კიდევ ეცვა მსგავსად სხვასა,  
როგორსაც იქ ატარებდნენ ქალწულები მისი კობტა.  
ამას სხვა დროს არ იზამდა: ეს ბრუნჰილდეს ჯიბრზე მოხდა.

838. აჰა, ტაძრის წინ ისინი შეიყარნენ მსახურთ კრებით;  
გუნთერ მეფის ცოლმა მაშინ უდიდესი მძულვარებით.  
და უხეშად კრიმჰილდესგან მოითხოვა გაჩერება:  
"სვლა ხელმწიფის მეუღლის წინ მის ქვეშევრდომს ვით ეგება?!".

839. აქ კრიმჰილდე მშვენიერმა დიდად იწყო გაანჩხლება,  
უთხრა: "შენთვის უკეთესი იქნებოდა ხმის დაკლება!  
შენი ტანი თვით წაჰბილწე; ნუთუ იგი მეფის ცოლი.  
შეიძლება გახდეს, ვინც სხვა მამაკაცთან იყო მწოლი?".

840. "ვის უწოდებ შენ აქ მეძავს?" მეფის ცოლმა დაუძახა.  
"შენ", მიუგო მას კრიმჰილდე; "ზიგფრიდმა ხომ პირველ ნახა.  
შენი ტურფა სხეული და ეტრფიალა იგი მასა:  
სიქალწულე შენი ერგო ჩემს მეუღლეს, არ თუ ძმასა!

841. რად წაგერთვა ჭკუა? ის ხომ საშინელი იყო გრძნობა!  
თუკი ის ყმად გეკუთვნოდა, ტრფიალის რად დართე ნება?  
ჩანს, სრულიად უმიზეზო არის შენი საჩივარი!  
"აბა კარგი", თქვა ბრუნჰილდე, "გუნთერს ვეტყვი, რაც მითხარი".

842. "ეგ რას მავნებს? შენ დაგიგო სიამყემ შენმა მახე;  
შენ ხომ წელან შენს სიტყვებში მე მსახური დამიძახე.  
მართალია, და მე დიდად მწუხარე ვარ იმის გამო,  
რომ დავკარგე სამუდამოდ მეგობრობა სასიამო".

843. აქ ბრუნჰილდეს წასკდა ცრემლი; კრიმჰილდე არ დაითმინა.  
და ტაძარში ფეხი შესდგა გუნთერ მეფის ცოლზე წინა.  
საკუთარი მხლებლებითურთ. ჩამოვარდა დიდი ძულვა.  
ამით მიხვდა ნათელ თვალეს ტირილი და ცრემლთა წურვა.

844. დიდებული წირვა იყო, ლოცვა ამოდ მოსასმენი,

გრძლად ეჩვენა დრო ბრუნჰილდეს, ტაძრად ყოფნა ექმნა ძნელი.  
ამღვრეული იყო დიდად გონება და მისი გული.  
ამის გამო გაიწირა ბევრი გმირი გაბედული.

845. მეფის ცოლი მხლებლებითურთ გარეთ შედგა კარგა ხნობით;  
ის ფიქრობდა: "კრიმჰილდესგან მეტის უნდა გავხდე მცნობი.  
თუ რის გამო ბრალსა მდებდა მე ეს ქალი ენამწარი.  
ვაი იმას, თუკი ასე იკვეხიდა მისი ქმარი!".

846. გამოვიდა იქ კრიმჰილდეც, ვაჟკაცებით თანხლებული.  
"გთხოვთ შეჩერდეთ", და ბრუნჰილდემ შეაჩერა თვისი მული:  
"თქვენ დამწამეთ მე ხასობა, დაამტკიცეთ სიტყვა თქვენი;  
იცოდეთ, რომ ამის გამო ძლიერ ცუდად შევიქენი".

847. მას კრიმჰილდემ უთხრა მაშინ: "გზის გადაჭრას რად მიბედავთ?  
მას ვამტკიცებ ამ ოქროთი, რომელსაც ჩემს ხელზე ხედავთ:  
მომიტანა ეს ზიგფრიდმა, შენთან იწვა იგი ოდეს".  
ბრუნჰილდეს დღე არ ჰოქნია ესდენ მძიმე არასოდეს.

848. უპასუხა: "ეს ოქრო ხომ ჩემია და ვიცნობ კარგად;  
რა ხანია მას შემდეგ, რაც ეს ბეჭედი დამეკარგა!  
ახლა ვიცი, ვინ წაიღო, ვისგან არის მოპარული".  
ორსავ ქალის გულში გრძნობა აშლილიყო მეტად მტრული.

849. "მოგახსენებ, არ ვარ ქურდი", მიუბრუნდა მას კრიმჰილდე;  
"ჯობს გაჩუმდე, თუ პატივი ძვირფასია შენთვის კიდე.

მე არ ვტყუი - ვით საბუთი, წელთ მარტყია ეს ქამარი,  
რომ მეუღლე ჩემი, ზიგფრიდ, მართლა იყო შენი ქმარი".

850. ატარებდა ნინევიის აბრეშუმის ზონარს ისა,  
პატიოსან თვალთა შუქი ზედ ნათობდა, ვითა მზისა.  
ბრუნჰილდემ რომ დაინახა, გულამოსკვნით ცრემლი ღვარა:  
მას ქმრისათვის ეს ამბავი აღარ სურდა დაეფარა.

851. ბრძანა ქვეყნის დედოფალმან: "გამოგზავნეთ აქეთ ჩქარა.  
ბურგუნდიის მეფე! თვით მან მოისმინოს, თუ რაგვარად.  
შეურაცხყოფს სხეულს ჩემსას ლაპარაკი მისი დისა:  
მთელს ამ ხალხში დამიძახა მან მე ცოლი ზიგფრიდისა".

852. მეფე მოდგა რაინდებით და, მტირალი რომ იხილა.  
საყვარელი თვისი ცოლი, მივიდა და უთხრა ტკბილად:  
"სანუკველო, ვინ გავედა წყენება და ტანჯვა თქვენი?".  
უთხრა მეფეს: 'მე აქ ასე უნდა ვიდგე გულნატკენი.

853. მე შენმა დამ უდიერად აქ გამლანძღა თვისის პირით;  
ხელმწიფეო, საჩივარი უნდა გითხრა ამნაირი:

იგი ამბობს, რომ ზიგფრიდი გაიყოფდა ჩემს საწოლსა".  
"მოქცეულა ცუდად იგი", უპასუხა მეფემ ცოლსა.

854. "ჩემს დაკარგულ სარტყელს ვხედავ აწ მის წელის შემამკობელს,  
და ჩემს წითელ ოქროს! ნეტა, რდ გავუჩნდი მე ჩემს მშობელს!  
საშინელი ეს სირცხვილი თუ მე შენ არ ამარიდე,  
მაშინ, მეფევ, სიყვარულსა ნულარ ელი ჩემგან კიდე".

855. მეფემ ბრძანა: "დაუძახეთ, რომ მოვიდეს ჩვენთან ჩქარა!  
თუკი მან ეს დაიკვება, აღიაროს მყის აშკარად,  
თუ არა და ზიგმუნდის ძემ აქ უარჰყოს მისგან თქმული".  
მოუწოდეს და მოვიდა მყის ზიგფრიდი გაბედული.

856. უგუნებოდ ოდეს ნახა მან ისინი მთელის კრებით,  
და მიზეზი არ იცოდა, შეეკითხა აჩქარებით:  
"რაზე სტირან დედფოლები, ამას უნდა მეც მეტყოდეთ,  
და აგრეთვე გთხოვთ მაუწყოთ, თუ აქ რისთვის მომიწოდეთ?".

857. სთქვა გუნთერმა: "აი, ახლა გამიმწარდა დიდად გრძნობა;  
აქ ბრუნჰილდემ, ჩემმა ცოლმა, მე გადმომცა ერთი ცნობა:  
თურმე მოჰკვებ, თითქოს იყავ ქმარი მისი შენ პირველი.  
ეს კრიმჰილდემ გვითხრა; მართლა? სთქვი, რაინდო, პასუხს ველი!".

858. "არასოდეს!" - თქვა ზიგფრიდმა, "და თუ მართლა გითხრა ესა,  
ვიდრე ამას არ ინანებს, მე ვერ ვიგრძნობ სიმშვიდესა;  
ფიცით გეტყვი - ამის მოწმე ჯარი თქვენნი იყოს მთელი, -

რომ არასდროს მე ამგვარის არ ვყოფილვარ სიტყვის მთქმელი".

859. თქვა რაინის მბრძანებელმა: "დიახ, აქვე ვნახო მინდა.  
რომ ყველას წინ წარმოთქვას შენი პირით ფიცი წმინდა;  
შენზე ცილის დაწამებას აღარ ვიღებ მაშინ ყურად".  
გულზვიადნი ბურგუნდელნი გარს მოერტყნენ წრისებურად.

860. მაშინ ფიცის წარსათქმელად გაიწოდა გმირმა ხელი.  
თქვა მდიდარმა მეფემ: "ახლა ვარ მე უკვე შემტყობელი,  
რომ არ გიდევთ თქვენ რაიმე ამ საქმეში, ზიგფრიდ, წილი,  
და კრიმჰილდემ, თქვენმა ცოლმა, სულ ამაოდ დაგდოთ ცილი!".

861. თქვა ზიგფრიდმა: "დიდად მწყინს, რომ ჩემმა ცოლმა შენს მეუღლეს.  
მიაყენა ეს ტკივილი, გულს რომ სწავას და ფიქრებს უმღვრევს;  
დასტურ, დიდად საწყენია, რა ამბავიც ვიღეთ ყურად!".  
მუნ ერთმანეთმ გადახედეს რაინდებმა ორჰოფულად.

862. თქვა ზიგფრიდმა: "ქალნი უნდა დავარიგოთ იმდაგვარად,  
რომ თავხედი სიტყვების თქმა მათ მიაჩნდეთ შესაზარად.  
აუკრძალე იგი შენს ცოლს, ვით მე ჩემსას ავუკრძალავ.



მისი ცუდი ქცევის გამო მე სირცხვილსა ველარ ვმაღავ"ჯ.

863. ამ სიტყვებმა ააღელვა მშვენიერი ბევრი ქალი.  
თვით ბრუნჰილდე იდგა ჩუმად, ტანჯული და ფერგამქრალი,  
და გუნთერის მოყმეებიც დაღვრემილნი ჩანდნენ ახლა.  
შეამჩნიეს, ტრონიელი რომ დედოფალს მიეახლა.

864. მტირალი რომ ნახა, ჰკითხა, თუ ნაწყენი არის რითი.  
ქალმან ამცნო. მან შეჰფიცა, რომ ის, მისი ხელქვეითი,  
შეეცდებოდა, კრიმჰილდეს ქმარს რომ მიეზღოს მაგიერი,  
თუ არა და მას მხიარულს ველარ ნახავს მათი ერი.

865. საუბრის დროს იქ მივიდნენ ორტვინი და გერნოტ გმირი,  
როს ზიგფრიდის მოსაკლავად რაინდებმა შეჰკრეს პირი.  
იქ მივიდა უტეს შვილიც, გიზელჰერი საამური,  
და საჩქაროდ დაიძახა, მათ სიტყვებს რომ მოჰკრა ყური:

866. "ეს რა არის, ვაჟკაცებო? რას თათბირობს თქვენი კრება?  
არა მართებს თქვენგან ზიგფრიდს იმნაირი მძულვარება,  
რომლის გამო უნდა ჰქონდეს მას სიცოცხლე დაკარგული.  
დიდს არ ეძებს ხშირად მიზეზს საკინკლაოდ ქალის გული!".

867. ტრონიელმა უთხრა: "მაშ ჩვენ უნდა ვზარდოთ ნაბიჭვრები?  
ამგვარ სირცხვილს ჩვენ, რაინდებს, გვირჩევნია ვიყოთ მკვდრები.  
ჩემს საყვარელ ქალბატონს მან ჩირქი მოსცო კვებნით თვისით.

ან მოკვდება, ან მივსწვდები მას პასუხით საკადრისით!".

868. მაშინ თვითონ მეფემ უთხრა: "არაფერი ჩვენთვის ავი.  
მას არა აქვს ჩადენილი, და რად არის მოსაკლავი?  
მე რად უნდა მძულდეს იგი? გვექცეოდა ერთგულებით.  
და ყველაფერს სჩადიოდა იგი თვისის კეთილ ნებით".

869. მეტცელ ორტვინს სიტყვა ჰქონდა და ხმამაღლა დამწრეთ უთხრა:  
"ვერა ძალამ ვერ უშველოს მოლალატეს ცრუს და მუხთალს.  
თუ ბატონი ნებას დამრთავს, მე მას შევყრი ტანჯვას მწარეს".  
რაინდებმა მასზე გული უმიზეზოდ აიყარეს.

870. მაგრამ ამ აზრს არვინ გაჰყვა ჯერეთ, გარდა ჰაგენისა,  
და ყოველდღე ჩვეულებრივ მიმართავდა გუნთერს ისა:  
"ზიგფრიდი რომ არ ცოცხლობდეს, გუნთერი ბევრს ქვეყანაში.  
იმეფებდა". ქველმა მეფემ მწუხარება იწყო მაშინ.

871. ჯერ გადადეს ეს და იწყეს თამაშობა საომარი.  
ჰეი, მაშინ რაოდენი დაილეწა შუბის ტარი.  
მხნე ზიგფრიდის მეუღლის წინ დარბაზსა და ტაძართანა!  
აქ გუნება მეფის მოყმეთ აელესათ, როგორც დანა.

872. მეფემ უთხრა: "მისცემიხართ სასიკვდილო რისხვას რისთვის?  
გაჩენილი არის იგი პატივის და სიკეთისთვის.  
გაბედული ეს ვაჟკაცი უმძლავრესიც არის მასთან;  
თუ განზრახვას ფარულს მიხვდა, ველარავინ მივა მასთან".

873. "სულაც არა", თქვა ჰაგენმა, "არხეინად გქონდეთ გული:  
ეს იქნება საიდუმლო, დიდი ზრუნვით დაფარული.  
მსურს ბრუნჰილდეს ცრემლები მას გავუხადოთ სანანებლად.  
იგულვებდეთ მუდამ ჰაგენს მოძულედ და მის მავნებლად".

874. შეეკითხა მეფე მაშინ: "როგორც უნდა მოხდეს ესა?".  
თქვა ჰაგენმა: "აი, მალე თქვენ შეიტყობთ ყველაფერსა:  
ყველასათვის უცნობ ელჩებს გამოვგზავნით ჩვენსავ კარად,  
რათა იმატმ ვითომც ომი გაგვიცხადონ ჩვენ აშკარად.

875. მაშინ სტუმრებს განუცხადეთ, რომ ყმედბითურთ უკვე თქვენა.  
ომისათვის ემზადებით. დახმარების აღმოჩენა.  
ენდომება ზიგფრიდს; მაშინ შეეცვლება მას დღე ღამედ,  
მხნე რაინდის მეუღლისგან თუ შევიტყვე ერთი რამე".

876. ქვეშევრდომის რჩევას აჰყვა, სამწუხაროდ, მეფე თავად;  
ღალატი და გამცემლობა გადაექცათ საზრუნავად.  
ქველ რაინდებს; მათ სხვებისთვის შეუმჩნევლად შეჰკრეს პირი.  
ორის ქლის ჩხუბის გამო დაიუღბა ბევრი გმირი.

ა მ ბ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე .

როგორ გასცეს ზიგფრიდი.

877. მეოთხე დილას სამეფო სასახლისაკენ რებული.  
იხილეს ოცდათორმეტის ცხენოსან ელჩის კრებული.  
მეფეს ამცნეს, რომ ახალი ელის მას უთანხმოება.  
შემდეგ ამ ტყუილს ქალთათვის გლოვა და ტანჯვა მოება.

878. ნებართვა მისცეს სასახლის კარზე მათ შემოკრებისა.  
თქვეს, რომ ისინი არიან ელჩნი ლუდეგერ მეფისა;  
მას მოერია ოდესღაც ზიგფრიდი, გმირი ქებული.  
და გუნთერ მეფეს მოჰგვარა მან იგი დატყვევებული.

879. მიესალმა მეფე, სთხოვა დაჯდომდა და დასვენება.  
ერთმა ჰკადრა: "გთხოვ, მეფეო, ზეზე დგომის მოგვცე ნება.  
რომ გაუწყოთ ყოველივე, რისთვისაც ვარ მოგზავნილი.  
იგოდეთ, რომ თქვენ მტრადა გყავსთ ბევრი დედის ბევრი შვილი.

880. ლუდეგერ და ლუდეგასტი კვლავ გიწვევენ ომში თქვენა: თქვენგან მიხვდა მაშინ იმათ ზრალი და დიდი წყენა; ახლა დიდის ლაშქრით უნდათ თქვენი ქვეყნის გადათელვა". მეფემ, თითქოს არ იცოდა, აღშფოთდა და იწყო ღელვა.

881. მისცეს ცრუ ელჩებს ღამისთვის ბინები დასადგომელი. ვით მიხვდებოდა ზიგფრიდი, ან თვითონ, ან სხვა რომელი, ამ ცბიერებას, რადგან ის იყო ესოდენ ფარული? მაგრამ მის გამო მიხვდათ მათ ცრემლდენა ნიაღვარული.

882. მეფე ხშირად თვის მეგობრებს ფარულ საბჭოდ მოიწვევდა. ჰაგენი კი ბატონს თვისას მოსვენებას არ აძლევდა. ახლაც სურდა მეფის ზოგ ყმას კიდევ საქმის შებრუნება, მაგრამ იმატ აღარ მისცა ტრონიელმა ამის ნება.

883. მოთათბირე კაცებს ერთხელ თვით წააწყდა ზიგფრიდ გმირი; მივიდა და შეეკითხა მათ რაინდი განაკვირი: "ხელმწიფე და ყმანი მისნი დაღვრემილნი რად ხართ ყველა? თუ გატკინათ ვინმემ გული, მსურს, იცოდეთ, თქვენი შველა".

884. უთხრა მაშინ გუნთერ მეფემ: "მართალია, მტკივა გული. ომს მითვლიან ლუდეგერ და ლუდეგასტი თავგასული. თურმე დიდი ლაშქრით უნდათ, რომ დაგვესხან თავზე ჩვენა". უპასუხა მხნე რაინდმა: "მაშ ზიგფრიდის ეს მარჯვენა.

885. შეეცდება, რომ პატივი არ დაეცეს, მეფევ, თქვენი. მე იგი ვარ, იმათ ერთხელ რაც დავმართე, რაც ვუქენი! დავისვენებ მხოლოდ მაშინ, თავდებია ჩემი თავი, ციხეთა და მათი ქვეყნის რომ გავხდები გამთელავი!

886. თქვენ სამშობლო დაიცავით, ხელმწიფეო, თქვენი ჯარით, იმათზე კი გავილაშქრებ მე ამალით საკუთარით. დარწმუნდებით, რომ მე თქვენი სამსახური მინდა გრძნობით. და რას შევყრი თქვენს ორგულებს, ამას მალე გაეცნობით".

887. "მე მახარებს შენი სიტყვა, თვით შენივე საკადრისი", უთხრა მეფემ, თითქოს მართლა ახარებდა შველა მისი. დაეუფლა ერთიანად მას სიყალბე ვერაგული. სულმაღალმა გმირმა უთხრა: "აწ საგულეს გქონდეთ გული!".

888. გამზადება იწყეს, თითქოს აღარ იყო ჟამი ცდისა; ამით სურდათ მოტყუება ამალითურთ ზიგფრიდისა. ზიგფრიდმაც არ დააყოვნა თვის რაინდთა თვისკენ წვევა; მათაც იწყეს თავიანთის საჭურველის გამორჩევა.

889. "თქვენ აქ დარჩით, მამავ ზიგმუნდ", მხნე ზიგფრიდმა უთხრა მაშინ. "ჩვენ უვნებლად დავბრუნდებით ისევე ამ ქვეყანაში,

თუკი ღმერთმა ხელი თვისი არ აღიღო ჩვენზე სრულად.  
თქვენ კი ეს დრო მეფის გვერდით გაატარეთ მხიარულად".

890. აჰა, გზად გასვლა ისურვეს; დროშებმა იწყეს ფრიალი.  
ჰქონდათ გუნთერის მოყვემებს მათ გარეშემო წრიალი.  
და არ იცოდა ბევრმა, თუ რა აზრი იყო ფარული.  
იღგა მხედრობა ზიგფრიდის გარშემო შემოჯარული.

891. მუზარად-ბაჯრით ცხენები იდგნენ იქ დაბარგულები.  
მძლავრად უცემდათ რაინდებს ლაშქრობის ნდომით გულები.  
მიდგა ჰაგენი იქ, სადაც კრიმჰილდე იმყოფებოდა,  
და დაეთხოვა: იგიც ხომ საგზაოდ ემზადებოდა.

892. "ვმადლობ ბედს", უთხრა კრიმჰილდემ, "მნახველო რომ ვარ კაცისა,  
რომელსაც შესწევს ძალ-ღონე ჩემი მეგობრის დაცვისა,  
ისე, ვით ძმათა ჩემთა აქ ზიგფრიდი იყო დამცველი!  
ვიმხიარულებ - აწ ჩემს გულს სევდა ვერ ნახავს დამწველი.

893. მეგობარო ჩემო, ჰაგენ, თქვენ უთუოდ გახსოვთ, ალბათ,  
რომ კარგად გექცეოდით - გულწრფელად და არა ყალბად.  
დე ამ ჩემმა პატივცემამ ააშოროს ჩემს ქმარს ავი.  
ნუ მიუზღავთ აწ თქვენ იმას, რაც ბრუნჰილდეს მე ვუყავი.

894. სინანული ამის გამო მე ვიგრძენი უკვე მწველად.  
და ზიგფრიდმა მცემა კიდეც იმისათვის დასასჯელად,  
რომ ვატკინე მე ბრუნჰილდეს ჩემგან თქმული სიტყვით გული.  
მხნე გმირისგან სანაცვალო მაქვს მე უკვე მიღებული".

895. უპასუხა: "დედოფალთან შერიგებით, ალბათ, მალე.

ქალბატონო ჩემო, რაკი სამსახური დამავალე,  
გთხოვ მაუწყო, თუ მე ზიგფრიდს ვით მოვუტან სარგებელსა?  
მე არ მინდა მასზე ზრუნვა, რომ მივანდო სხვების ხელსა".

896. ქალმან უთხრა: "ვიქნებოდი მოკლებული შიშსა მაშინ.  
იმის გამო, რომ დაჰკარგავს ის სიცოცხლეს ამ ბრძოლაში;  
თუკი იგი არ მიეცა ზვიადობას თვისას დიდსა,  
ავი აღარ შეემთხვევა გაბედულ და კარგ რაინდსა".

897. ტრონიელმა უთხრა: "თუ გაქვთ, ქალბატონო, შიშის გრძნობა.  
იმის გამო, რომ დასჭრიან, უნდა მომცეთ სრული ცნობა.  
თუ რაგვარად ჯობს მოვიქცე, რომ არ მოხდეს მსგავსი რამე.  
მის დამცველად იმის გვერდით მე ვიქნები დღე და ღამე".

898. თქვა კრიმჰილდემ: "შენ ხარ, ჰაგენ, ჩემი სისხლის ნათესავი.  
და მსურს მე შენს ერთგულებას ჩავაბარო მისი თავი,  
რომ დაიცვა ხიფათისგან კაცი ჩემი საყვარელი".

და დამალვა რისიც ჯობდა, ქალი გახდა მისი მთქმელი!

899. თქვა "მტკიცეა გულით იგი, და მძლავრი აქვს მეტად მკლავი.  
როდესაც კი მთებში მოკლა მან ურჩხვული შემზარავი,  
განიბანა იმის სისხლში მხნე რაინდმა ტანი თვისი;  
და იარაღს არავითარს აღარ ძალუმს დაჭრა მისი.

900. მაგრამ მაინც მეშინია, ბრძოლაშია იგი ოდეს,  
სად ისრები გატყორცნილი, ალბათ, ბევრი უნდა ჰქონდეს:  
ვფიქრობ, ეგებ მას სიკვდილმა იქ უეცრად გაჰკარ ფრთენი.  
ჰაი, მისთვის მღელვარება განმიცდია რაოდენი!

901. მეგობარო ჩემო, კარგო, მე გაგიმხელ მხოლოდ შენა,  
ნდობის ნიშნად, რათა შეძლო ერთგულების გამოჩენა,  
თუ რა ადგილს შეიძლება, რომ დაიჭრას ჩემი ქმარი.  
აჰა, გეტყვი - შენზე სანდო კაცი ჩემთვის არვინ არის.

902. როს ურჩხვლის ჭრილობიდან გადმოსჩქეფდა სისხლი ცხელი.  
და იმაში ბანაობდა ეს რაინდი გულფიცხელი,  
ცაცხვის ფოთოლი მოსწყდა ერთი და დაეცა იმის მხარსა.  
შესაძლოა იქ დაიჭრას და ეს მიქმნის შიშის ზარსა".

903. ტრონიელმა უპასუხა: "მაშ რაიმე ნიშნის დარი.  
ამოჰკერეთ მის სამოსზე თქვენი ხელით საკუთარით,  
რომ დასაცავ ადგილისთვის მე შემეძლოს მუდამ ხედვა".  
ქალს ეგონა უშველიდა, კაცს ღალატი გულში ედო!

904. "მაშ ფარულად აბრეშუმით დავაკერებ", უთხრა ქალმა,  
"მცირე ჯვარსა და, რაინდო, მარჯვენამ და შენმა თვალმა.  
დაიფაროს უნდა იგი, დაიწყება ოდეს ბრძოლა,

როცა უნდა უკუაგდოს მან შეტევით მტრის მოწოლა".

905. თქვა ჰაგენმა: "შევძლებ ამას, ქალბატონო, ჩემო ტკბილო".  
მას ეგონა ჩაიდინა ქმრისთვის საქმე საკეთილო,  
მაგრამ ამით კი გაიცხა საყვარელი ქმარი მისი.  
დაეთხოვა ჰაგენი და გაემართა წინ ხალისით.

906. ყმას მეფისას სიხარულით აუთრთოლდა მაშინ გული.  
არც ერთს რაინდს, ალბათ, არსად საქმე ესდენ ვერაგული.  
თვით მეორე მოვლამდეც კი არ ექნება ჩადენილი.  
ვით მას, სიტყვა რომ გაიგო დედოფლისგან წაცდენილი.

907. მეორე დღეს, დილით ათას კაცით თანხლებული.  
გაემგზავრა მხნე ზიგფრიდი, სიხარულით აღზნებული:  
მეგობრების გამო შურის საძიებლად მიიწევდა.  
სამოსელის სათვალთვალოდ მას ჰაგენი თან მისდევდა.

908. ნიშანი რომ შეამჩნია, მან სხვა ამბის მისატანად.  
ორი კაცი თვის ლენიდან დაადევნა მალვით თანა:  
"შიეძლება მშვიდად დარჩეს გუნთერ მეფის მხარე მთელად.  
ვართ ლუდეგერ მეფისაგან მოგზავნილი ამის მთქმელად".

909. არ ეამა ზიგფრიდს უკან უბრძოლველად დაბრუნება,  
დია, სურდა გუნთერისთვის მისას მტრებზე შურისგება.  
დაითანხმეს და, როს გუნთერს კვლავ წარუდგა ზიგფრიდ გმირი,  
მადლი უთხრა რაინდს მეფემ, ერთგულება უქო ძვირი.

910. "მეგობარო ზიგფრიდ, ღმერთი მაგიერის გყავდეს მზღვედლად,  
რომ შენ ისე იმოქმედე, ვით მიმაჩნდა სასურველად.  
გულით მიხდა მე ნაცვალ სიკეთისა ვიყო მჩენი.  
მაქვს ყველა სხვა მეგობრებზე უმეტესი ნდობა თქვენი!

911. რადგან ასე თავისუფლად გადავურჩით მტერთა მახეს,  
მოდის, ახლა თავს დავესხათ დათვებსა და ველურ ტახებს.  
ოდენვალდში, სადაც ხშირად ნადირობა მქონდა დიდი".  
მას ურჩევდა ამას ჰაგენ, ვერაგი და მეტად ფლიდი.

912. "საჭიროა, სტუმრებს ჩემსას რომ ეუწყოს ჩემი ნება:  
წავალ ადრე და თუ ვინმეს ენდომება წაბრძანება,  
მომეზადოს: ხოლო ვინაც ამჯობინებს აქ დარჩენას,  
დე გაერთოს ქალთა წრეში - ეს შემმატებს თვით მე ლხენას".

913. მას ზიგრიდმა უთხრა მაშინ საზრდილობო წესით სრულით:  
"თუ თქვენ წახვალთ სანადიროდ, მეც მოგყვებით სიხარულით.  
მხოლოდ ერთი მონადირე რამდენიმე მეძებარითა,  
უნდა მომცეთ და წამოვა, რომ გავერთო მხეცთა სრვითა".

914. "მხოლოდ ერთი გნებავთ?" ჰკითხა ხელმწიფემან რაინდს მხენსა;

"თუ ინებებთ, ოთხსაც მოგცემთ, რომ იცნობდნენ კარგად ტყესა.  
და ბილიკებს, სადაც მხეცი ბევრია და მრავალფერი.  
რათა უკან, გზის არ მცოდნე, არ დაბრუნდეთ ცარიელი".

915. მაშინ თავის მეუღლესთან შეიარა მოყმემ ქველმა.  
დრო იხელთა და ხელმწიფეს განუმარტა ტრონიელმა,  
თუ ვით ფიქრობს, რომ სიცოცხლის ჩაუტეხოს რაინდს ხიდი.  
არასოდეს არ მომხდარა ვერაგობა ასე დიდი!

როგორ მოკლეს ზიგფრიდი.

916. ჰაგენმა და გუნთერ მეფემ, საგანგებო რაინდებმა, მას აღუთქვეს ვერაგულად ნადირებთან ტყეში შებმა: დათვთა, ტახთა და დომების შუბ-ისრებით სურდათ ჟლეტა. ვაჟკაცობა უფრო მეტი იქნებოდა თუდა, ნეტა?

917. მათთან ვიდოდა აგრეთვე ზიგფრიდ გულგანახარები. მათ იქ მიათვეს საჭმელი ბევრი და მრავალგვარები. იქ ცივ წყაროსთან მოიკლა მოყმე ტურფა და კეთილი. ეს რჩევა მისცა ბრუნჰილდემ, ვით ჰქონდა გადაწყვეტილი.

918. იქ მივიდა მხნე რაინდი, სადაც ცოლი იდგა მისი. დაეტივრთა სანადირო სამოსელი საკადრისი. მისთვისა და მხლებლებისთვის. მიდიოდნენ რაინს გაღმა. შინ დარჩენილ კრიმჰილდეს კი გული დასწვა სევდის დაღმა.

919. საყვარელ ცოლს პირზე კოცნით ეხვეოდა იგი ლალი: "ღმერთმან ქმნას, რომ აქ გიხილოთ, სანუკველო, კვლავ ჯანსაღი. და მეც კარგად მნახო კიდევ. მეგობრებთან უზრუნველად. დრო ატარე. მე კი მმართვეს გამგზავრება უეჭველად".

920. აქ კრიმჰილდემ მოიგონა (არ შეეძლო მისთვის ეთქვა), რაც ჰაგენმა გამოკითხა და დაუწყო გულმან ფეთქვა. გაჩენის დღეს იწყევლიდა ახლა იგი მკვდარ-ცოცხალი; ცრემლს აფრქვევდა ძირს მდულარეს მშვენიერი დედოფალი.

921. უთხრა რაინდს: "დაანებეთ ნადირობას, ზიგფრიდ, თავი! დამესიზმრა წუხელ, თითქოს ორი ტახი შემზარავი. თქვენ მინდორზე დაგედევნათ, თან გაწითლდა ბევრი ვარდი. ამიტომაც, მე, საწყალ ქალს, არ მასვენებს მწარე დარდი.

922. აქ ბოროტი ღალატისა გვეშინოდეს უნდა ჩვენა: თუ, ძვირფასო, რომელიმეს მივაყენეთ ოდენ წყენა, შეუძლია მას კვალდაკვალ გვდევდეს უკან მტრულ ხელებით. გთხოვთ, ბატონო ჩემო, დარჩეთ, ამას გირჩევთ ერთგულებით!".

923. უპასუხა: "საყვარელო, დავბრუნდები ისევ ჩქარა.

ჩემდა მიმართ მტრობა გულში თქვი, ვის უნდა დაეფარა? მყავს კეთილად განწყობილი ყველა შენი მეგობარი. და მოქცევა არც მეკუთვნის რაინდთაგან მე სხვაგვარი".

924. "ოჰ, ძვირფასო, არა, მაინც არ ნელდება გულის ტკენა; დამესიზმრა წუხელ, თითქოს წამოგექცა, ზიგფრიდ, შენა. თავს ორი მთა და სრულიად თვალებს ჩემსას მიეფარე.

თუ გამშორდი, მე იცოდე, დამანელებს სევდა მწარე".

925. კეთილშობილ ცოლს თავისკენ იზიდავდა ხელმოხვეულს,  
ნაზის კოცნით ეტრფიალა იგი იმის ტურფა სხეულს.  
დაეთოხვა ბოლოს მტირალს და გაუდგა გზას საჩქაროდ.  
შემდეგ ქმარი მან ცოცხალი ვეღარ ნახა, სამწუხაროდ.

926. გაემართნენ სალალბოდ იქით, სადაც ჩანდა ტევრი.  
ხშირის ტყისა. ცხენოსანი რაინდები მხნე და ბევრი.  
სდევდა მეფეს. საჭმელები, საამო და სასურველი.  
ამნაირი მგზავრობი დროს, წინ გაგზავნეს უხვი ხელით.

927. მათ რაინისკენ გაგზავნეს ცხენები დატვირთულები;  
ცხენებს მიჰქონდათ წინდაწინ მათი საყოფი სრულებით.  
პურ-ღვინო, ხორცი, თევზი და მარაგი სხვადა მრავალი,  
რასაც კი მოისურვებდა ხელმწიფე გზაზე მავალი.

928. მონადირეებს ზვიადებს მყის გაუმართეს ბინები.  
ტყის პირას, ფართო მინდორზე იქ, სადაც მოსალხინები.  
უნდა მოეწყოთ დინება ნადირთა სისხლის წვიმისა,  
ზიგფრიდიც მოდგა. ეუწყა ხელმწიფეს მოსვლა იმისა.

929. მონადირეთ მარეკები ყოველ კუთხეს მიუყენეს.  
"აბა, ახლა გამოჩნდება, თუ თქვენს შორის ვინ გვიჩვენებს.  
ნადირს ტყეში, ძლიერო და გაბედულონ რაინდებო!".  
მიმართავდა ასე ზიგფრიდ, მონადირე სანაქებო.

930. "ჯობს, ცალ-ცალკე რომ გავიყვნეთ", მათ ეცტოდა ჰაგენ მქისი,  
"ნადირობას მწვანე ტყეში დავიწყებდეთ ვიდრემდისინ.  
მე და ჩემი მხნე ბატონი გამოვარკვევთ კარგად მაშინ,  
უკეთესი მონადირე ვინ არის ამ მგზავრობაში.

931. ჯერ გავიყოთ კაცები და ძაღლები, თან რაც მიგვეყება;  
შემდეგ წავა თვითთული იქ, სადაც მას ესურვება;  
მადლს მიიღებს ჩვენგან დიდსა უკეთესი თქვენთაგანი".  
ამის შემდეგ მონადირეთ აღარ დაჰყვეს ერთად ხანი.

932. თქვა ზიგფრიდმა, მხნე რაინდმა: "არ წავიყვან ძაღლებს ტყეში,  
წამატანეთ მხოლოდ ერთი მეძებარი, დანაგეში.  
ისე კარგი, რომ ადვილად პოულობდეს მხეცის კვალსა.

მაშინ ნახავთ საარაკო ნადირობას და ნადავლსა!".

933. აიყვანა მეძებარი მონადირემ ერთმა ძველმა.  
და მიჰგვარა იგი ბატონს. არ გამოვლო ხნმა ვრცელმა,  
რომ ნადირი წამორეკეს და მოაწყდა ტყეს და ღრესა,  
ხოცდნენ, ვითა შეჰვეროდა ნადირობის წესს და ზნესა.



934. სადაც კი ჩანდა ნადირი, ძაღლისგან გამოგდებული, ყველასა ხოცდა ზიგფრიდი, რაინდი მხნე და ქებული. ისე მიჰქროდა მერნით, რომ მისი არ გამცდარა ხელი. დაიმსახურა ამიტომ მან სხვებზე მეტი სახელი.

935. არავითარ საქმეში მას სიმარჯვით არ ჰყავდა დარი. თავდაპირველ რომ დაეცა მისი ხელით მხეცი მკვდარი, ეს კამეჩი იყო დიდი, გამოჭრილი ტყიდან ველად. ამის შემდეგ რაინდს მალე ლომი შეხვდა ვებერთელა.

936. როდესაც კი ლომი ძაღლმა გაახტუნა ყეფა-ღრენით, მან ისარი ბასრი იმას დაადევნა უკან ფრენით. სროლის შემდეგ წინ გადახტა მხოლოდ სამჯერ ლომი მძლავრი, გმირს გულითად მადლს უხდიდა ყველა მისი თანამგზავრი.

937. ამის შემდეგ წააქცია მან კანჯარი ერთი კიდეც, ოთხი დომბა ძლიერი, და ხარ-ირემი რამსიდიდე! სწრაფად ჰქროდა მისი რაში, გაასწრებდა შველს და ირემს. და ტყე-ღეში სანავარდოდ გზას უხსნიდა მონადირეს.

938. გამოაგდო ტახი დიდი და მოჰკურცხლა მეძებარმა; მყის რაინდი მიაფრინა იქ მერანმა, ვითა ქარმა, დაუმიზნა გმირმა, ვისაც მონადირე ვერვინ ჰგვანდა. მაშინ ტახი საზარელი მისკენ რისხვით გამოქანდა.

939. მაგრამ დაჰკრა ხმალი მძლავრად, და ნადირი სისხლს ასხამდა. მონადირე სხვა ამ საქმეს ასე სწრაფად ვერ იზამდა. როცა მოკვდა ტახი, შემდეგ დაიჭირეს მეძებარი; მყის აცნობეს ბურგუნდელებს ეს ამბავი საცნობარი.

940. მონადირეთ უთხრეს: "გთხოვთ, რომ დაასვენოთ ახლა ხელი: ჩვენც ანწილი ნადირისა დაგვიტოვეთ მოუკვლელი, თორემ გატყობთ, დღეს თქვენ გინდათ მთლად დაცალოთ მთა და ბარი!". მშვენიერი რაინდი მათ მოუსმენდა მოღიმარი.

941. გაისმოდა ყოველ მხრიდან ხმაური და ჟრიამული. კაცების და ძაღლების ხმა ერთმანეთში არეული. ისე მძლავრად გუგუნებდა, რომ ტყესა და მთასა სძრავდა. ძაღლთა ხროვა ოცდაოთხი გაშვებული იმათ ჰყავდათ.

942. ბევრი ნადირი მოისრა სიკვდილით შესაზარითა; მონადირენი ფიქრობდნენ, რომ უხვი საჩუქართა.

ადივსებოდნენ, მაგრამ მყის შეიქმნენ უიმედოდა: მათ ნანადირევს ზიგფრიდის ნანადირევი ჰმეტობდა.

943. როს ნადირობა შეწყვიტეს რაოდენიმე ხანითა,  
ყველა წავიდა ცეცხლისკენ თავისი მისატანითა:  
ნანადირევი მიჰქონდათ და ბევრი მხეცთა ტყავები,  
მეფის მზარეულს გაუჩნდა მრავალი შესაწავავები.

944. მეფემ ამცნო ყველა იქ მყოფს წარჩინებულ მონდირეს,  
რომ საუზმე მოესურვა. ხმით ძლიერით დააყვირეს.  
ერთხელ ბუკი. ჩანდა უკვე ამ საყვირის მაღალ ხმაზე,  
რომ თავადი მათი დიდი ელოდებათ თვის ბინაზე.

945. ბუკის ხმაზე ზიგფრიდს მისმა მონადირემ მოახსენა:  
"გვაუწყებენ, რომ ბინაზე შევიკრიბოთ ყველა ჩვენა.  
მართებული იქნებოდა, მივაწვდენდით პასუხს თუკი".  
ამხანაგთა შესაკრებად კიდევ დიდხანს უკრეს ბუკი.

946. "ტყესა ვტოვებთ აწ ჩვენ უკვე", თქვა ზიგფრიდმა. მისი ცხენი.  
მიდიოდა მძიმედ. უკან მიჰყვებოდნენ დანარჩენნი.  
მათ თავიანთ ბუკის ხმაზე გამოაგდეს საშინელი.  
დათვი დიდი. მაშინ გამყოლთ მუნ ეტყოდათ მოყმე ქველი:

947. "მე შეგაქცევთ ამახანაგებს გასართობით კიდევ ახლით.  
აი, აგერ დათვსა ვხედავ და გაუშვათ მალე ძაღლი! '.  
უსათუთოდ ის ბინაზე მივიყვანოთ ჩვენ ცოცხალი.  
ვერ წაგვივა, გაქცევაში რაც არ უნდა იყოს მალი".

948. მიუსიეს მეძებარი: უკუიქცა დათვი რბენით.  
კრიმჭილდეს ქმარს სურდა, რომ ის მისწოდა ნადირს ცხენით.  
წინ ხეობა დახვდა მთისა და დაწევა იყო ძნელი.  
მხეცს ეგონა, რომ ხიფათი აიცდინა საშინელი.

949. მყის ჩამოხტა ტაიჭიდან მონადირე მშვენიერი.  
და ქვეითად დაედევნა. ეწეოდა ნადირს მტერი;  
აღარ იყო ხსნა აწმმისთვის! უშიშარმა გმირმა ხელად.  
დაიჭირა მხეცი იგი და შებორკა დაუჭრელად.

950. დაკაწრა და კბენა უკვე არ შეეძლო ვაჟკაცისა,  
უნაგირზე მიაბა და თვით მოახტა მერანს ისა,  
და საჩქაროდ მოყმე იგი, კეთილი და გაბედული,  
სალალობოდ ცეცხლისაკენ გაემართა მხიარული.

951. რა ზვიადად მიჰქნობდა იგი ახლა ბინისკენა!  
უხდებოდა დიდი, ფართო და წვერბასრი შუბის ჩენა.  
დეზებამდე უწევდა მას მოკაზმული ხმალის წვერი;  
დაეკიდა რაინდს კიდევ ოქროს ბუკი მშვენიერი.

952. უკეთესი სამოსელი თუ ნახულა სადმე, აბა!  
გადაეცვა ტურფა ტანზე მას ხავერდის შავი კაბა.

სიასამურს უმდიდრესად მოეკაზმა მისი ქუდი,  
და ისრები დაეკიდა მოხატულ და მორთულ ბუდით.

953. და ამ კაპარქს ჯიქის ტყავი, რომ ეკმია კარგი სუნი,  
შემოკრული ჰქონდა ირგვლივ. მშვილდი ძნელად მოსაღუნი.  
ხელთ ეჭირა; მის დაჭიმვას სჭირდებოდა ოწინარი.  
ახერხებდა ამას მხოლოდ გმირი იგი მკლავმაგარი.

954. უცხო მხეცთა ბეწვეულით შემოსილი იყო მთელად,  
და თავიდან ფეხებამდე მას ეკიდან იგი ჭრელად.  
ორსავ მხარეს უმშვენებდა მონადირეს ტურფა ტყავი;  
უბრწყინავდა შიგადაშიგ ოქრომკერდით ნაკერავი.

955. ატარებდა იგი ბალმუნგს, ამ ფართო და ლამაზ ხმალსა;  
ის იმდენად ბასრი იყო, რომ სტოვებდა მუდამ კვალსა,  
როდესაც კი ზუჩსა სცემდა; კარგი იყო პირი მისი.  
მონადირეს ჰქონდა თანაც თავდაჭერა საკადრისი.

956. თუ ამბის სრულად მოყოლა მექნება დანაკისრები,  
გეტყვით: მას ეწყო კაპარქში საუკეთესო ისრები,  
ჰქონდა მტკაველი პირები სიბრყით და ოქროს ზროები.  
იყვნენ ისინი მიზნისთვის სავსენი საშიშროებით.

957. უშიშარმა გმირმა მალა გაიარა, განვლო ტყენი.  
მეფის მხლებელთ დაინახეს მომავალი იგი ცხენით.  
გაეგებნენ მას სირბილით და მერანი დაუჭირეს.  
უნაგირზე ზორბა დათვი დაეკიდა მონადირეს.

958. ცხენიდან რომ ძირს ჩამოხტა, თოკი შეხსნა გამკოჭავი.  
მას ტუჩიდან თათებამდე. მოეყარა იქვე თავი.  
ძაღლებს და მათ იწყეს ყეფა, როცა მხეცი დაინახეს.  
დათვს უნდოდა ისევ ტყისკენ გაქცეოდა ხალხის მახეს.

959. სამზარეულოს მიაწყდა ნადირი გზაარეული;  
შევარდა და შიგ რამდენი მოსწყვიტა ცეცხლს მზარეული;  
ქვაბებს ამხოზდა თავდაღმა, ჰფანტავდა მუგუზალებსა.  
ჰაი, რა ბევრი საჭმელი შერთო ნაცარს და ალებსა!

960. ბატონთა და მსახურთ - ყველამ მყის სკამები მიატოვა.  
დათვი რბოდა, მეფემ ბრძანა, რომ აეშვათ ძაღლთა ხროვა.  
თუ როგორმე ასცდებოდათ ახლა იმათ ეს ხიფათი,  
უზრუნველად ჩაივლიდა გართობა და ლხენა მათი.

961. იჩქარიდნენ, რომ აეღოთ შუბები და მშვილდი თვისი.  
და მირბოდნენ იქით, სადაც მიილტვოდა დათვი მქისი.  
ძაღლი იყო იმდენი, რომ ვერ ესროდნენ ნადირს ყმები.

მთასა და ბარს აყურებდა ყვირილის და ყეფის ხმები.

962. გაექანა დათვი ტყისკენ, ძაღლები კი უკან რბოდენ;  
აქ კრიმჭილდეს ქმარმა შესძლო დევნა მისი მარტოოდენ.  
მიეწია ხმალთა ხელში, გადაჰკრ და მისცა ჭირსა.  
მსახურებმა დათვი ისევ მიიტანეს ცეცხლის პირსა.

963. ყველამ, ვინაც ეს ნახა თვალით, რაინდს უქო მკლავთა ღონე.  
მიიწვიეს სუფრისაკენ ვაჟკაცები თავმომწონე.  
რაინდები ზედან მრავლად მოჰფენოდნენ ლამაზ მწვანეს.  
ო, გულზვიად მონადირეთ რა საჭმელი მოუტანეს!

964. მერიქიფენი არ ჩანდნენ, ვერვინ ხედავდა ღვინოსა;  
სხვა არაფერი, ეს აკლდა სურასა მოსალხინოსა.  
არ ყოფილიყვნენ მათ შორის კაცები ცრუ და ცბიერი!  
ასცილდებოდათ რაინდებს სირცხვილი ესდენ ძლიერი!

965. თქვა მაშინ გამირმა ზიგფრიდმა: "ვარ მეტად გაოცებული:  
თუკი საჭმელი მოაქვთ აქ ასე კარგი და ქებული,  
რატომ არ ჩამოგვივლიან მერიქიფენი ღვინითა?  
დავკმაყოფილდე არ ძამლიძს მე ამნაირი ღვინითა.

966. მიკვირს თქვენდა ჩემდა მიმართ მე მოქცევა ამნაირი".  
მაშინ მეფემ თვის სუფრაზე სიცრუისთვის გახსნა პირი:  
"დანაკლისი გვეზღოს შემდეგ - კვლავ გავმართავთ ნადიმს ამოს.  
ბრალი დასდეთ ჰაგენს, თუკი ჩვენ წყურვილმან გაგვაწამოს".

967. "ბატონებო ჩემო, დიდო", თქვა ჰაგენმა, "მტკივა გული:  
მე ვფიქრობდი, სანადიროდ რომ შპეხტსჰარტი შორეული.  
არჩეული გვექონდა დღეს ჩვენ; იქ გავგზავნე ღვინო მთელი.  
ვეცდები, რომ შემდეგ ვიქნეთ უკეთესი მასპინძელი".

968. ზიგფრიდმა უთხრა: "მადლობას ვერ იტყვის ჩემი ენაო.  
შვიდი საპალნე ღვინო აქ უნდა მოგელოთ თქვენაო.  
თუ ეს არ შეიძლებოდა, მაშინ მოგეწყობოთ ბინაო.  
რაინის ახლოს, რათა ჩვენ წყალი გვექონოდა წინაო".

969. ტრონიელმა თქვა იქ მაშინ: "რაინდებო, გმირთა დარო,  
მე მახლობლად, აი აქვე, მეგულვება ცივი წყარო;  
რომ არ გაწყრეთ, იქ წავიდეთ, ასეთია ჩემი რჩევა".  
და ამ რჩევამ მრავალ რაინდს შეამთხვია დღეთა ლევა.

970. მოსურვებოდა ზიგფრიდსა ესოდენ წყალის დალევა,  
რომ მოსადილეთ უბრძანა სადილის დროზე გალევა.  
გორაკისაკენ, წყაროსკენ გმირი იწევდა ძლიერი,  
მას ტრონიელმა ჰაგენმა მისცა ეს რჩევა ცბიერი.

971. ბრძანეს მაშინ, რაც კი მხეცი მუნ ზიგფრიდსა მიეწვინა,  
დაეტვირთათ ურემზე და გაეგზავნათ იგი შინა.  
გმირს აქებდა ყველა, ვინც კი ნანადირევს მისას ჭვრეტდა.

მაგრამ ჰაგენს მტრობა შავი და ღალატი გულს უხვრეტდა.

972. ტოტებგაშლილ ცაცხვს ქვეს მისვლა მოისურცა იმათ ოდეს,  
ტრონიელმა უთხრა მაშინ: "არ იქნება არ მსმენოდეს,  
რომ სირბილში ვერაკაცი ვერ მისწვდება ზიგფრიდ რაინდს.  
ო, ნეტავ თუ ამის ნახვა შეგვეძლება ერთხელ მაინც!".

973. გაბედულმა ზიგფრიდ გმირმა მას პასუხად უთხრა მაშინ:  
"შეგიძლია გამოსცადოთ, თუ მომყვებით გაქცევაში.  
წყაროსაკენ. დავნადლევედეთ, თუ თანახმა გამიხდებით;  
გამარჯვება მისი იყოს, ვინც პირველი იქ გავჩნდებით".

974. თქვა ჰაგენმა: "თანახმა ვარ!" და ზიგფრიდმაც საპასუხოდ.  
ჰკადრა: "მოდით, თქვენ - დგომელა, მე- ჩოქელა, მოლზე, უხმოდ,  
აქ, გაქცევის ნიშანს ასე, ლომის მუხლში ქარჩადგმული,  
დაველოდოთ". გუნთერ მეფეს სასიამოდ დარჩა თქმული.

975. გაბედულმა მოყმემ უთხრა: "ვარ ამაზე მეტის მთქმელი,  
მე თან მიდან წამოვილო სამოსი და საჭურველი,  
შუბი, ფარი, სანადირო ჩაცმულობა ჩემი მთელი".  
ხმალ-კაპარჭი მან სხეულზე დაიკიდა სწრაფი ხელით.

976. ჰაგენმა და გუნთერ მეფემ ჩამოიხსნეს ჯავშან-ქაფი,  
უსპეტაკეს პერანგებში გასაქცევად იდგნენ სწრაფნი.  
ვით ველური ჯიქი ორი, წინ გაქანდნენ იონჯაზე.  
წყაროს პირთან მარდი ზიგფრიდ დაინახეს უმაღლ სხვაზე.

977. პირველობა წილად ერგო ყველაფერში პირველ გმირსა.  
ხმალი სწრაფად შემოიხსნა და კაპარჭი დადო ძირსა,  
შემდეგ შუბი მან მაგარი ცაცხვის ტოტზე მიაყუდა.  
წყაროს პირას იდგა იგი მშვენიერი, როგორც მუდამ.

978. როგორც ამას მოითხოვდა ადათი და მეფის კარი,  
ნაკადულის სათავესთან მან თავისი დადო ფარი.  
ვიდრე მეფე არ დალევედა, იგი განზე იდგა მშვიდი.  
ბოლოს ცუდად დაუფასეს ზრდილობა და მეფის რიდი.

979. მოდიოდა წყარო მათ წინ ანკარა და ცივი მეტად.  
დაიხარა გუნთერ მეფე დაბალ წყალის შესახვპრებად.  
ზეზე ადგა მეფე, ოდეს საკმარისად შესვა წყალი.  
სიხარულით ჩაიდენდა მასვე ზიგფრიდ პირგამშრალი.

980. ვაჟს გადახდა მეტად მძიმედ საზრდილობო ესე ვალი;

გააცილა ზიგფრიდს იქით ტრონიელმა მშვილდი, ხმალი.  
უკუიქცა კვლავ და მის შუბს მყის ჰაგენი დასწვდა მალი,  
და დაადგა შემდეგ გმირის ტანსაცმელის ნიშანს თვალი.

981. რომ უბადლო მხნე რაინდი წაჩოქილი წყალსა სვამდა,

გაუგმირა ჯვარი ისე, რომ ჭრილობა სისხლს ასხამდა.  
და ეს მისი გულის სისხლი მკვლელს სამოსზე მიესხურა.  
ბოროტება მსგავსი სადმე არ სმენია არვის ყურად.

982. მან ტარითურთ შუბი გულში გარჭობილი შეატოვა.  
და საშინლად გაქცევაში გადარჩენა თვისი ჰპოვა.  
არ ნახულა კაცი სადმე უსწრაფესად გაქცეული!  
და ზიგფრიდმაც, ასე მძიმედ დაჭრილად რომ იგრძნო გული,

983. ცივ ნაკადულს ელვასავით მოსწყვიტა და მოხსნა პირი.  
შუბით, მხარში ჩარჭობილით, უკვე ფეხზე იდგა გმირი.  
რომ ენახა მაშინ იქვე მას მშვილდი და ხმალი თვისი.  
არას გზით არ ასცდებოდა მკვლელს პასუხი საკადრისი.

984. სასიკვდილოდ დაკოდილმა ვერღარ ნახა ბასრი ხმალი.  
მას აღარა დარჩენოდა, მხოლოდ ფარს კი მოჰკრა თვალი;  
მყის დასწვდა და ჰაგენს უკან დაედევნა, როგორც ლომი.  
არ შეეძლო გაჰქცეოდა მას გუნთერის ქვეშევრდომი.

985. სასიკვდილოდ დაკოდილმა, თუმცა ტკივილებს გრძნობდა მწარსა,  
ისე დაჰკრა, რომ მთლიანად ამოსცივდა თვლები ფარსა.  
გადამსხვრა შუა ფარი, უმტკიცესად განაკვერი.  
ასე სურდა ძვირფას სტუმარს, რომ მიეზლო მაგიერი.

986. ფარმა, მძლავრად მოქნეულმა, გატყორცნილმა გმირის ხელით,  
ისე დასცა ძირს ჰაგენი, აგუგუნდა მიწა ვრცელი.  
რომ ჰქონოდა ხმალი, ჰაგენს ეწეოდა მყის სიკვდილი.  
ესდენ სასტიკ გაბრაზებას მისცემოდა დაკოდილი.

987. წუვიდა ფერი ზიგფრიდს; ვედარ შესძლო ფეხზე დგომა.  
ემჩნეოდა ტანში ძალის გაქრობა და მთლად მიხდომა;  
მას სიკვდილის ლანდი პირზე შემოადგა, ვით საღამო.  
შემდეგ ბევრი ტურფა ქალი ცრემლს აფრქვევდა იმის გამო.

988. ჩაიკეცა ყვავილებში იქ კრიმპილდეს უცხო ქმარი.  
ჭრილობიდან მოხეთქილი მოსდიოდა სისხლის ღვარი.  
წყევლა იწყო (ავსებოდა ეგზომ დიდის ტანჯვით გული).  
მათი, ვინაც გადაწყვიტა მისი მოკვლა ვერაგული.

989. "ო, ვაი თქვენ, ბოროტ მშობრებს!" მომაკვდავმა უთხრა ასე,  
"პატივი და სამსახური თქვენ ბოროტად დამიფასეთ.

მე ერთგული გყვანდეთ მუდამ და დავკარგე მისთვის თავი.  
თქვენს მახლობლებს სამსახური გაუწიეთ მეტად ავი.

990. შეუთვლიან კრულვას იმათ და აგრეთვე მათ, ვინც თქვენი.  
იქნებიან ამ დღის შემდეგ მომდევნო და მემკვიდრენი.  
ჩემს სიცოცხლეს წაანთხიეთ თქვენ სიბრაზე მეტად დიდი.

კარგ რინდთა და თქვენს შუა აწ ჩამტყდარი არის ხიდი".

991. გარს მოერთყნენ რაინდები; იგი იწვა თითქმის მკვდარი.  
მრავალთათვის ეს დღე იყო დღე ბნელი და არსადარი.  
მას იგლოვდა ყველა, ვისაც შერჩენოდა ზნე კაცური.  
ჩანს, ყოფილა მოყმე მათ წინ ნაღვაწი და ნამსახური.

992. იქ სინანულს გამოსთქვამდა ბურგუნდელთა მეფის ენა.  
თქვა დაჭრილმან სასიკვდილოდ: "ზედმეტია ცრემლის დენა.  
მისგან, ვინაც მე ეს ვნება შემამთხვია - ვინ თქვას, რისთვის?  
ის ღირსია კრულვის: მას რომ ეს არ ექნა, ჯობდა მისთვის"ჯ.

993. "მე აღარ მესმის, რას ნანობთ?" მკლაცრი ჰაგენი წყრებოდა.  
"ბოლო მოედო ყველაფერს, რაც კი ჩვენ გვემუქრებოდა.  
არ გვეყოლება დღეიდან ურჩობით წინამდგომელი.  
ქება მე, ვინაც იმისი ვარ სულის აღმომხდომელი!".

994. "ადვილად ძალგიბთ მოჰკვებდეთ", ხმა იყო ფერმიხდილისა,  
"რომ მოლოდინი მქონოდა თქვენი მხრით მე სიკვდილისა,  
ვეყოლებოდი ჩემს სხეულს თვით მე მცველი და მხლებელი.  
სხვას არას ვნანობ, კრიმჰილდე დაშთება სანანებელი.

995. ღმერთმა ნუ ჰმნას, ამის შემდეგ ჩემმა შვილმა ის დღე ნახოს.  
საყვედურის ნიშნად ვინმემ იმას სადმე წამოსძახოს,  
რომ იმისმა მახლობლებმა უკანიდან კაცი მოკლეს.  
მე ამაზე ვინაღვლებდი, რომ არ ვგრძნობდე დღის სიმოკლეს".

996. სასიკვდილოდ დაკოდილი განაგრძობდა ჩივილს გმირი:  
"თუ, მაღალო მეფევ, კიდევ საერთოგულო ძალგიბთ პირი.  
შეირჩინოთ ვინმეს მიმართ, მაშინ მე თქვენს მფარველს ხელსა.  
და თქვენს პატივს მივანდობდი ჩემს მეუღლეს საყვარელსა.

997. სასარგებლო არის მისთვის, რომ თქვენ იგი დად მოგხვდებათ.  
დე, შველოდეს მუდამ თქვენი თავადური სათნოება!  
დიდხანს დამელოდებიან მე მამა და შვილი ჩემი,  
მაგრამ არსად არ ნახულა ქალი ეგზომ გულნატკენი".

998. გარეშემო ყვავილებში სისხლი მისი დაიღვარა.  
ის ებრძოდა კიდევ სიკვდილს, მაგრამ უკვე დიდხანს არა,  
სასიკვდილო იარაღი მეტისმეტად სწყლავდა რაკი.

მშვენიერმა მოყმემ ბოლოს ველარ შესძლო ლაპარაკი.

999. ბატონებმა როცა ნახეს, რომ რაინდი იყო მკვდარი, მაშინ წითელ ოქროს ფარზე დაასვენეს მათ ცხედარი. ბჭობა იწყეს, თუ ვით უნდა დაეჭირა ყველას თავი, რომ არავის არ გაეგო ტრონიელის საქმე ავი.

1000. ზოგიერთმა თქვა: "შემთხვევა უბედური მოხდა ჭირად; თქვენ ეს უნდა დაჰფაროთ და სხვებს უამბოთ ერთნაირად: ცალკეულად მონადირე, იგი გაჰყვა უღრან ტყეებს. და იქ, მარტო მიმავალი, ის მოეკლათ მეკობრეებს".

1001. ტრონიელმა უთხრა ასე: "წავასვენებ ცხედარს მე შინ. არ ვინაღვლებ, თუ სიმართლეს აღმოაჩენს ამ საქმეში. ის, რომელმაც დედოფალი ისე მძიმედ დაანადგულა. რას იზამს და ვით იტირებს, აღარ ვეძებ ამას ახლა".

ა მ ბ ა ვ ი მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე .

როგორ დაიტირეს და დაკრძალეს ზიგფრიდი.

1002. მათ შეიცავდეს მწუხრებამდე და გადალახეს რაინი. არასდროს ასე საძაგლად არსად მოუკლავთ რაინდი. მათ ნანადირევს მრავალი ქალი ტიროდა რჩეული. მალე დაიცე მის გამო ბევრის მეზრძოლი სხეული.

1003. ახლა მოისმენთ, ვით მოხდა, სასტიკის გააფთრებითა, შურისძიება. ჰაგენმა ბრძანა მიტანა მხრებითა. ნიბელუნგელის რაინდის, მკვდარის ზიგფრიდის გვამისა. ოთახთან, სადაც კრიმჰილდე იყო მთეველი ღამისა.

1004. ბრძანა, კართან რომ დაედო ფრულად და დიდ სიფრთხილით, რათა იმას მისი ნახვა შესძლებოდა ადრე დილით, ცისკრის ლოცვის მოსასმენად გავიდოდა იგი ოდეს. ქალბატონი კრიმჰილდე მას არ ჰკლებია არასოდეს.

1005. როგორც მუდამ, ისე ახლაც რეკა ისმა ტაძრის ზართა. გაიღვიძა კრიმჰილდემ და მხლებლებითურთ აღიმართა. ბრძანა შუქის შემოტანა და სამოსიც მოითხოვა. მესაწოლე რომ მოვიდა, მან ზიგფრიდი კართან ჰპოვა.

1006. შეღებილი ნახა სისხლით, სამოსელი ჰქონდა სველი; არ იცოდა, რომე იგი იყო მისი მზრძანებელი. მან შეალო შუქით ხელში დედოფალის ბინის კარი.



და ქალბატონს ესმა მისგან ეს ამბავი შესაზარი.

1007. როს კრიმპილდემ მოისურვა გამგზავრება ტაძრისკენა,  
"ქალბატონო, დაითმინეთ", მესაწოლემ მოახსენა;  
"აი აგერ, ოთახის წინ, წევს რაინდი ვილაც მკვდარი".  
"ო, ვაიმე!" თქვა კრიმპილდემ, "ეს ამბავი რა მითხარი?".

1008. ვიდრე თვითონ იხილავდა მას, ვინც მისი იყო ქმარი,  
მოაგონდა, რომ ჰკითხავდა ტრონიელი, მის წინ მდგარი,  
თუ ზიგფრიდი ვით დაეცა. შავ მომავალს გრძნობდა გულით.  
ქმრის სიკვდილის გამო დასთმო მან ყოველი სიხარული.

1009. ჩაიკეცა და დაეცა უსიტყვოდ და მოტეხილად.

უსიცოცხლოდ იწვა დიდხანს, ეს შეგეძლო, რომ გეხილათ.  
გადიდებულ ტანჯვას მისას აღარ ჰქონდა გულში ტევა;  
გონს მოვიდა და მის ყვირილს ოთხების მოჰყვა რყევა.

1010. მას მხლებლებმა უთხრეს მაშინ: "ეგებ არის ვინმე უცხო".  
გულისტკენის გამო ბაგით გამოდენა სისხლმა უწყო:  
"არა, იგი ზიგფრიდია, ჩემი ქმარი მოკლეს მტრულად!  
ეს ბრუნპილდემ მოინდომა და ჰაგენმა შეასრულა".

1011. სთხოვა, რომ ის მკვდარ რაინდთან მიეყვანათ მიშველებით.  
მშვენიერი მისი თავი მან ასწია თეთრ ხელებით:  
მყისვე იცნო, თუმცა სისხლით შეღებილი ჰქონდა პირი.  
გაუნძრევლად იწვა მის წინ ნიბელუნგთა ქვეყნის გმირი.

1012. მშვენიერ და ნაზ დედოფალს ხმა აღმოხდა შესაძარი:  
"ვაი ჩემს თაქვს, ბედუკუღმართს და დაღუპულს! შენი ფარი.  
ხმლით არ არის დაკენჭნილი! ვერაგულად ხარ შენ მკვდარი.  
სისხლს ავიღებ, რომ ვიცოდე, ეს ნაქნარი ვისგან არი".

1013. მოთქმა დიდი გაემართა მუნ მსახურებს, მის ერთგულებს,  
საშინელი ტნჯვის ცეცხლი მოსდებოდა იმათ გულებს.  
საყვარელი მეფე მათი წინ ესვენათ მტვრად და ნაცრად.  
მას ბრუნპილდეს გულის ტკენა ტრონიელმა უზლო მკაცრად.

1014. თქვა კრიმპილდემ მოტირალმა: "დე, წავიდეს ახლა ვინმე.  
და ზიგფრიდის რაინდები მომიყვანოს მყისვე წინ მე;  
თან აცნობონ ზიგმუნდ მეფეს ეს ამბავი შესაზარი,  
რომ გამართოს ჩემთან ერთად მან გლოვა და დიდი ზარი".

1015. მყის გაიქცა მაცნე იქით, დაწოლილი სადაც ჰპოვა.  
ნიბელუნგთა მიწა-წყალის უმამაცეს ვაჟკაცთ გროვა.  
ჩაუმწარდათ სიხარული, გაიგონეს როცა ეს მათ,  
არ სჯეროდათ თუმცა, ვიდრე ტირილი არ შემოესმათ.

1016. ამის შემდეგ მაცნე წარსდგა დაწოლილი მეფის წინა.  
ის საწოლზე იწვა მხოლოდ და ძილით კი არ ეძინა:  
უმძიმესმა წინათგრძობამ დაუკარგა ბატონს ძილი.  
მან ცოცხალი ვედარ ნახა საყვარელი თვისი შვილი.

1017. "გაიღვიძე, ზიგმუნდ მევევ! მე მაცნე ვარ კრიმჰილდესი.  
ჩემს ქალბატონს ზეცის რისხვა თავს დაატყდა უმძიმესი.  
მწუხარება არ უნახავს მას ესოდენ შესაზარი;  
თქვენც იგლოვდეთ მასთან ერთგად, რადგან იგი თქვენც არის".

1018. ზე წამოჯდა მაშინ მეფე და კითხვები მისცა ჩქარი:  
"სთქვი, კრიმჰილდე რას დასტირის? გამაგონე, რა მითხარი?".

მაცნემ ჰკადრა ატირებით: "აქვს საბაზი მას და ტირის:  
თავის წინა უსვენია მას ცხედარი ზიგფრიდ გმირის".

1019. მეფემ უთხრა: "მაგ ლაპარაკს დაანებეთ, გირჩევთ, თავი;  
გასართობად მოგინახავთ თქვენ ხუმრობა მეტად ავი.  
რომ ზიგფრიდი მოკლულია, აღარავის უთხრათ შემდეგ.  
ვერ გავლევდი გლოვას მისას მე ჩემსავე სამარემდე".

1020. "თუ, ბატონო, არა გჯერათ, რომ სწორია ჩემგან თქმული,  
ყური უგდეთ, თვით კრიმჰილდე როგორ ტირის გულმოკლული,  
და აგრეთვე მსახურები, უძვირფასეს ცხედრის წინა".  
მაშინ შეკრთა ზიგმუნდ მეფე და საზარლად დაიგმინა.

1021. ზეზე ასის მხლებლებითურთ ის წამოხტა საწოლიდან.  
ყველამ სწრაფად მახვილსა და გრძელ იარაღს ხელი ჰკიდა.  
გაემართნენ იქით, სადაც მოტირლები იყვნენ მდგომი.  
და მოგროვდა მყის ზიგფრიდის იქ ათასი ქვეშევრდომი.

1022. ტირილი და მოთქმა ქალთა გაიგონეს იმათ ოდეს,  
გახსენდათ მაშინ, რომ მათ სამოსელი უნდა სცმოდეს.  
საზარელი ამბისაგან აღარ ჰქონდათ ჭკუა სრული.  
მწუხარება იმათ გულში დიდი იყო დამახრული.

1023. იქ მივიდა ზიგმუნდ მეფე, სადაც თვისი ნახა რძალი.  
დაუძახა: "ჩვენს აქ მოსვლას შერისხავდეს უფლის ძალი!  
ვინ მოგტაცათ თქვენ მეუღლე? ვინ წამართვა ჩემი შვილი?  
მეგობრები გვეყვანდა აქ ხომ ერთგული და გულკეთილი!".

1024. "ო, რომ ვიცოდე", მიუგო კრიმჰილდემ, ცეცხლით დაგულმა,  
"ვით შეიწყალოს მაშინ ის ჩემმა გონებამ და გულმა!  
მივაყენებდი მე იმას იმგვარ ჭირსა და წყენასა,  
რომ ვერ გასწყვეტდნენ ერთგულნი მის გამო ცრელმთა დენასა".

1025. დაბლა დახრილმა ზიგმუნდმა ზიგფრიდს მოხვია ხელები; გმირის მეგობრებს სდიოდათ ღვარად ცრემლები ცხელები. აზანზარებდა სასახლეს მაღალი ვაის ძახილი, ვორმსის სიმაგრეს მოედო ტირილის გამოძახილი.

1026. მიწას ალღობდა კრიმჰილდეს ცრემლი, თვალთაგან თხეული. სამოსელისგან განძარცვეს ზიგფრიდის ტურფა სხეული. გრძელ საკაცეზე დადვეს ის, როცა მოჰბანეს ჭრილობა. მწუხარედ იდგა მუნ მისთა რაინდთა მთელი ყრილობა.

1027. იმუქრებოდნენ ისინი, ნიბელუნგელი გმირები: "მკვლელს მივაყენოთ, მზადა ვართ, ჩვენ სანაცვალო ჭირები. ის ამ სახლშია, ვისგანაც მოხდა ეს უბედურება!". და ყველა იარაღისკენ სასწრაფოდ მიემუშრება.

1028. მყის რჩეულები მივარდნენ თავ-თავიანის ფარებით -. თერთმეტი ასი რაინდი. მეფე ზიგმუნდის ჯარები. მათ აშეიცავდნენ. მის მოკვლით გონება ჰქონდა მიხდილი. სურდა მას რისხვად ექცია მკვლელისთვის მისი სიკვდილი.

1029. ვის დაატეხდნენ თავიანთ სიმკაცრის გამოვლენასა. თავზე ისინი, თუ არა გუნთერს და იმის ლენასა, ზიგფრიდთან ერთად ვინც იმ დღეს წავიდა სანადიროდა? ამის მნახველი კრიმჰილდე ახალი ჯავრით სტიროდა.

1030. თუმცა მის გულს არ შეეძლო გადატანვის ზრუნვის მეტის, მაინც კიდევ ეშინოდა ნიბელუნგთა ამოწყვეტის. თავისის ძმის კაცთა მიერ, ვინც მოექცნენ ასე მტრულად. იგი იმათ აფრთხილებდა ალერსით და მეგობრულად.

1031. "ხელმწიფეო ჩემო, ზიგმუნდ", მიმართავდა მწუხარებით, "ეს რა გინდათ, რომ დაიწყოთ? რას სჩადიხართ, რასა შვრებით? თქვენ არ იცით, მეფე გუნთერს ვაჟკაცი რაოდენი. მის რაინდებს თუ დაესხმით, დაბნელდება დღე აქ თქვენი!".

1032. მიაშურეს შესაბამელად მათ ფარებით აწეულით. კრიმჰილდე ხან უბრძანებდა, ხანდახან კი სთხოვდა გულით, რომ გულადმა ვაჟკაცებმა დაანებონ ბრძოლას თავი. არა სთმობდნენ; კრიმჰილდესთვის ეს შეიქმნა საზრუნავი.

1033. თქვა: "გთხოვთ, მეფევ, შეიცადოთ და ლაშქარი დააწყნაროთ. იმ უკეთეს დრომდე, ოდეს თვითვე შევძლებ დაგეხმაროთ, რომ ავიღო სისხლი ქმრისა. კარგად ვიცი მისი მკვლელი. შეეყრება ამის გამო იმას ვნება საშინელი!

1034. აქ, რაინზე გულგოროზი მეომრები იმდენია,

რომ იმათთან ბრძოლით შებმა მე თქვენთვის ვერ მირჩევია.  
ჩვენის ერთის წინააღმდეგ მათ კაცი ჰყავთ ოცდაათი.  
ას ნაკეცად უზღოს ღმერთმა ბოროტება მათვე მათი!

1035. თქვენ, რაინდნო უშიშარნო, ჩემთან ერთად გმართებთ გლოვა;  
აქვე დარჩით, სასახლეში, ჩემთან, ვიდრემდისინ დილა მოვა.  
შემდეგ ჩემი ძვირფასი ქმირს დაკრძალვაზე მომეხმარეთ".  
"მოვიქცევით აგრე", უთხრეს და ატირდნენ ისევ მწარედ.

1036. თქვენ ამ ამბავს ვერავისგან ვერ გაიგებთ ბოლომდისი,  
ვით იგლოვდნენ ქალები და რაინდები იმას მისი,  
ვიდრე ქალაქს არ მოედო გლოვის ხმა და მოთქმის ზარი.  
ბევრი კარგი მოქალაქე იქ სირბილით მოდგა ჩქარით.

1037. აქვითინდნენ სტუმართ გვერდით, შეეღებათ გული შავად.

არ იცოდნენ მათ, ზიგფრიდმა თუ ვის წინ რა დააშავა,  
რისთვის იწვა საკაცეზე უსიცოცხლოდ გმირთა გმირი.  
ამად ცოლნი ბიურგერთა ახშირებდნენ მოთქმა-ტირილს.

1038. და უბრძანეს მჭედელებს, მალე გააკეთონ კუბო ვრცელი.  
ოქროსა და ვერცხლისაგან, მაგარი და დაუშლელი;  
თან ფოლადით უკეთესით შემოჭედონ იგი გარსა.  
ყველა გრძნობდა გულში მძიმე ტკივილსა და ნაღველს მწარსა.

1039. გავიდა ჟამი ღამისა, იწყო ნელინელ თენება.  
კეთილშობილმა კრიმჰილდემ ტაძარში გადასვენება.  
უბრძანა მიცვალებულის, მისი ძვირფასი ქმარისა.  
უერთდებოდა მის ტირილს გლოვა მეგობართ ჯარისა.

1040. ტაძართან რომ მიასვენეს, დაირეკა ბევრი ზარი.  
გაისმოდა ყველგან მღვდლების გალობა და ლოცვა წყნარი.  
გუნთერიც იქ მოდგა ლენით, ტრონიელიც იქვე იყო.  
იქნებოდა უკეთესი, რომ ასე არ მომხდარიყო.

1041. "ო, ბედშავო დაო ჩემო", - თქვა გუნთერმა სამძიმარი:  
"ვგრძნობ შენს ვარამს, დია, დიდ თავს დაგვატყდა გლოვის ზარი;  
აწ ზიგფრიდის გამო ცრემლი ვერ შიშროს ჩვენმა თვალმა!".  
"რასა სტირით?" უპასუხა ქალბატონმა მოტირალმა.

1042. "ეს რომ ასე გაწუხებდეთ, რომ მოჰკლავდა ზიგფრიდს მაშინ?  
დაგავიწყდით მე თქვენ იმ დროს - სიმართლეა ამ სიტყვაში, -  
როდესაც თქვენ გამაშორეთ საყვარელი ჩემი ქმარი.  
ჩანს, ღმერთს სურდა, დამტეხოდა ეს ამბავი შესაზარი".

1043. მათ განაგრძეს სიცურის თქმა: კრიმჰილდემ კი იწყო თხრობა:  
"ვინაც არ არის დამნაშავე, ადვილია მისი ცნობა.

საკაცესთან მიდგეს იგი, აი აქვე, ხალხის წინა.  
და გავიგებთ ადგილობრივ, გულმართალი არის ვინა".

1044. უდიდესი სასწაული - ის ჯერ კიდევ ხშირად ხდება:  
მკვლელობაში გარეული როს მოკლულთან ახლოვდება,  
ჭრილობიდან წავა სისხლი, და სწორედ ეს მოხდა მაშინ.  
ყველა მიხვდა ტრონიელის დანაშაულს მკვლელობაში.

1045. ჭრილობიდან, როგორც წინათ, სისხლი წასკდა შეუშრეტი.  
ვინც იგლოვდა ზიგფრიდს ძლიერ, მათ დაიწყეს მოთქმა მეტი.  
მაშინ უთხრა გუნთერ მეფემ, "მოისმინეთ, გთხოვთ, მართალი:  
ყაჩაღებმა მოკლეს იგი, არ ედება ჰაგენს ბრალი".

1046. უპასუხა მას კრიმჰილდემ: "ამ ყაჩაღებს ვიცნობ მეცა.  
მეგობართა ხელით იმას მიუზღვიდეს ნაცვალს ზეცა!  
გუნთერო და ჰაგენ, ვიცი, რომ თქვენა ხართ მისი მკვლელი!".

აქ ზიგფრიდის ქვეშევდრომებს გამოელოთ სურდათ ხელი.

1047. თქვა კრიმჰილდემ: "უნდა შეძლოთ, ჩემთან ერთად, ტანჯვის ზიდვა!".  
ორივენი იქ მივიდნენ, გარდაცვლილი სადაც იდვა,  
ძმა იმის გერნოტი და ახალგაზრდა გიზელჰერი;  
დასტიროდნენ ცხედარს ცხარედ და მიხდილი ჰქონდათ ფერი.

1048. კრიმჰილდეს ქმრის მოკლვის გამო მათ სახმილი სწვავდათ დიდი.  
აწ ტაძარში მკვდრისთვის უნდა გარდებხდათ პანაშვიდი.  
ქალები და კაცნი მრავლად ცხედრისაკენ მიიწევდნენ.  
ვინც ადვილად დაივიწყა, ისინიც კი ცრემლს აფრქვევდნენ.

1049. გიზელჰერმა და გერნოტმა თქვეს: "მვირფასო დაო, კმარის,  
წერა იყო, ჩანს, ამისი, და ჯობს შეწყვეტა ცრემლთა ღვარის.  
ჩვენ გვინდა, რომ გიზლოთ იგი, ვიდრე სული აღმოგხვდება!".  
მაგრამ არვის ქვეყანად მისი არ შეეძლო დამშვიდეა.

1050. გაჭედული იყო უკვე კუბო მისი შუადღეზე.  
აასვენეს მაშინ იგი, დადებული საკაცეზე,  
დედოფალს კი ვერ დაეთმო დასამარხად ქმარი თვისი,  
ძლივს ამაზე ხალხმა ბოლოს დათანხმება შეძლო მისი.

1051. უპვირფასეს ქსოვილებში გაახვიეს გვამი მკვდრისა.  
ჟამი იყო ყველასათვის გოდების და ცრემლთა ღვირსა.  
დედოფალი უტე მკვდრის წინ ქვითინედა გულმდუღარედ,  
და მსახურიც ყველა მისი დასტიროდა ზიგფრიდს ცხარედ.

1052. როცა ხალხმა გაიგო, რომ მას ტაძარში უგალობდნენ.  
და კუბოშიც ჩაასვენეს, სუყველანი ისწრაფოდნენ,  
რომ ზიგფრიდის სულისათვის შეეწირათ მსხვერპლი თვისი.

მტერთა შორის მასა ჰყვანდა მეგობრები საკმარისი.

1053. მაშინ უთხრა კამერდინერთ საცოდავმა დედოფალმა:  
"ეს ღვთის რისხვა ჩემთვის უნდა აიტანოს თქვენმა ძალმა!  
ვინც კეთილი იყო მისთვის, ვინც არ მიდგას წინ პირშავად!  
მას მიეცით მისი ოქრო, მისი სულის სალოცავად".

1054. სულ პატარა ბავშვებსაც კი, თუ მცირედი აზრი ჰქონდათ,  
ვიდრე რაინდს დაკრძალავდნენ, საწირავი იქ მიჰქონდათ.  
გადუხადეს იმ დღესაც მას ასამდე პანაშვიდი:  
გაეჩინათ მის მეგობრებს მზურნველობა ეგზომ დიდი.

1055. გალობა რომ დაასრულეს, დაიშალა ხალხი ნელა.  
თქვა კრიმჭილდემ კიდევ მაშინ: "ნუ დამტოვებთ აქ მე მცველად.  
ამ უბადლო რაინდისა, მარტოდმარტოს მთელი ღამე.  
მისგან იყო სრული ჩემი სიხარული და სიამე!

1056. სამი დღე სამი ღამე მინდა ვიყო უძილარი,  
რომ უწყვეტლივ თვალწინ მყვანდეს საყარელი ჩემი ქმარი.  
აწ სიკვდილი არის ჩემთვის ცის წყალობა უდიედეში,  
რომ დასრულდეს მწუხარება უბედური კრიმჭილდესი!".

1057. მოქალაქემ ყველამ უკვე საკუთარი ჭერი ჰპოვა.  
მხოლოდ ბერებს, მღვდელებს და მსახურთ იქ დარჩენა ქალმა სთხოვა. -  
ყველას იმათ, ვისთვისაც კი დარაჯობა იყო ვალი.  
ღამეების თევამ იმათ დააჩნია მძიმე კვალი.

1058. მაშინ უსმელ-უჭმელად იქ კაცს მოუხდა ბევრს დარჩენა,  
მაგრამ ვისაც იმათ შორის არ შეეძლო ამის თმენა,  
აღუთქვამდნენ სასმელ-საჭმელს: თვით ზიგმუნდმა ასე ბრძანა.  
ნიბელუნგელთ შეხვდათ მაშინ ბევრი ჭირის გადატანა.

1059. ეს სამი დღე უნდა სრულად, როგორაც გვაქვს მონასმენი,  
კრიმჭილდესთან ერთად მათთვის ყოფილიყვნენ შრომის დღენი,  
ვინც გალობდა, მაგრამ ჯილდოც დიდი ერგოთ ამ შრომაში:  
ღარიბები იმათგანი შეძლებული გახდნენ მაშინ.

1060. ვინაც იყო იქ მყოფთაგან ხელმოკლე და მეტად მწირი,  
დაურიგდათ, რომ იმათაც გამოეღოთ შესაწირი,  
მისი ოქრო, ვისაც უკვე არ შეეძლო ხარჯვა თავად.  
ბევრ-ათასი მარკა გასცეს ზიგფრიდისთვის საწირავად.

1061. მან ბევრი გასცა დოვლათი და ქვეყნის შემოსავალი,  
კეთილი ხალხი აღავსო და მონასტერი მრავალი.  
ჩამოურიგა ღარიბებს სამოსი და სხვა ქონება.  
ასე ზიგფრიდის სიყვარულს შეეპყრო მისი გონება!

1062. მესამე დილას, როდესაც ჟამი წირვისა დგებოდა,  
ტაძრის მახლობლად, იქავე, სასაფლაოზე ჩნდებოდა.  
მრავალი კაცი სოფლელი; ცრემლი მათ არ დალევიათ.  
მსახურად ჰყვადნენ მკვდარსაც კი, ვით ეს მეგობრებს სჩვევიათ.

1063. ამ ოთხ დღეში მარკა გასცა, როგორც ეს მე გავიგონე,  
ოცდაათი ათასი, თუ კიდევ უფრო მეტი, ვგონებ.  
დაურიგა ღარიბებს, რომ მათ ზიგფრიდის ლოცონ სული.  
ასე წახდა სიცოცხლე და სილამაზე მისი სრული!

1064. ოდეს წირვა დაბოლოვდა და გალობა მიწყდა ნელა,  
ხალხს უსაზღვრო ტანჯვისაგან თავი ჰქონდა დაუხსნელად.  
ბრძანეს მისი წასვენება სამარისკენ ტაძრიდანა.  
დიდი იყო გლოვა-ვიში და ცრემლებით ღაწვთა ბანა.

1065. ხალხი კუბოს გაჰყვა უკან იქ ვიშვიშით ხმამალაღი.  
არვინ იყო მხიარული, არც კაცი და არც ქალი.

დაკრძალვის წინ კვლავ გამართეს გალობა და კითხვა ვრცელი.  
ჰეი, მკვდართან რაოდენი ღირსეული იდგა მღვდელი!

1066. ვიდრემდისინ სამარესთან მივიდოდა მისი ცოლი,  
ის ებრძოდა უღრმეს ტანჯვას, შეშლილი და შენამრწოლი.  
ამის გამო მას სახეზე აკპურებდნენ ხშირად წყალსა.  
უდაგავდა გულს სახმილი საბრალოს და შესაწყალსა.

1067. სასწაული იყო, მას რომ არ აღმოხდა სული მაშინ,  
მშვენიერი ბევრი ქალი მას შველოდა ამ გლოვაში.  
"თქვენ, ზიგფრიდის რაინდებო", დედოფალმან სიტყვა ბრძანა,  
"გთხოვთ, პატივი დამდოთ ერთი, მოწყალების დასაგვანად.

1068. რომ მცირედით განვიქარვო ნაღველი და სივაგლახე,  
დამანახვეთ ერთხელ კიდევ მშვენიერი მისი სახე!"  
ამას იგი სთხოვდა იმათ ისე დიდხანს, ისე გულით,  
რომ ახადეს კუბოს თავი, უმტკიცესად დალურსმული.

1069. მიიყვანეს მკვდართან იმათ დედოფალი საცოდავი,  
ზე ასწია თეთრ ხელებით მან ლამაზი მისი თავი.  
და დაუწყო კოცნა ასე ქმარს ძვირფასს და რაინდს კეთილს.  
თვალებიდან სისხლს აფრქვევდა, ცრემლის ნაცვლად ჩამოწვეთილს.

1070. განშორება მოხდა მძიმე და გულისა დასამეხი.  
წაიყვენეს იგი იქით, ვერ გადადგა ქალმა ფეხი:  
ჩაიკეცა დედოფალი უცნობო და ძალმიხდილი,  
ულამაზესს იმი სხეულს მონატროდა აწ სიკვდილი.

1071. ღირსეული ეს რაინდი როს დამარხეს ამნაირად,

ნაღველი და მწუხარება მოსდებოდათ გულზე ჭირად.  
იმათ, ვინაც მოჰყვა ზიგფრიდს ნიბელუნგთა ქვეყანიდან.  
მას ზიგმუნდის სიხარული სამუდამოდ გაჰყვა თანა.

1072. ბევრი იყო მათში, ვინაჲ დღე და ღამე სამი მთელი.  
ღრმა ნაღველის გამო დარჩა იქ უსმელი დ უჭმელი.  
მაგრამ დიდხანს არ შეეძლოთ ყოფილიყვნენ ამდაგვარად;  
განეკურნათ გული შემდეგ, როგორაც ეს ხდება მარად.

ა მ ბ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე .

როგორ დაბრუნდა ზიგმუნდი შინ.

1073. აქ კრიმჰილდეს მიეახლა მამამთილი მისი მაშინ.  
და დედოფალს უთხრა ასე: "წავიდთ ჩვენს ქვეყანაში!  
ჩანს რაინზე არ ყოფილან კმაყოფილი ჩვენი წვევით.  
კრიმჰილდეო, ჩემო კარგო, ჩვენს მხარეში გამომყევით!

1074. რომ ჩვენ ამქვეყნად წარგვტაცეს ჩვენი სიცოცხლის მნათობი,  
თქვენი მეუღლე ძვირფასი, მტრობით და მუხანათობით,  
ეს თქვენ არ მოგეკითხებათ და მარად კვლავ მეყვარებით.

თქვენ ბავშვიანად, ისე ვით ზიგფრიდის სახსოვარები.

1075. ჩვენს მხარეში თქვენ იქნებით იმ უფლებით მბრძანებელი,  
რომელსაც კი განიჭებდათ თქვენი ქმარი სანუკველი.  
გვიმსახურეთ და გვირგვინი, როგროც მეფეს, გედგათ თქვენა.  
მორჩილებას გაგიცხადებს თქვენ ზიგფრიდის მთელი ლენა".

1076. მსახურთ უთხრეს: "გვსურს ღამემდე წასვლა ჩვენ და ყველა ჩვენებს!".  
მათ სასწრაფოდ მორეკვა და შემზადება უწყეს ცხენებს.  
გულღვარძლიან მტრებთან ყოფნა მათთვის იყო მეტად ძნელი.  
ქალებისთვის გამოძებნეს მყის საგზაო სამოსელი.

1077. როცა ზიგმუნდი ამალით შინ წასასვლელად ემზადებოდა.  
და ქალს დედასთან დარჩენას ვილა არ ეხვეწებოდა,  
კრიმჰილდეს დადლილ-დასეტყვილ გულს მოჰხვეოდა სუდარა,  
არ ყურად იღო არვისგან ქალმა ეს ხვეწნა-მუდარა.

1078. "როგორ ძალმიძს, მოვითმინო მისი ჩემს წინ მუდამ ჩენა,  
ვინც მე, საწყალს, ასე დიდი მწუხარება მომაყენა?".  
გიზელჰერმა უთხრა ნორჩმა: "დაო ჩემო, სანუკველო,  
დედაშენთან უნდა დარჩე, რომ არგო რამ და უშველო!

1079. მათგან, გული ვინც გივნო და გაგიტენა დღე სიმწარის,



შენ პატივი არ გჭირდება; სამსახური ჩემგან კმარის!  
უპასუხა რაინდს ქალმა: "როგორ უნდა მოხდეს ესა?  
თუ შევხედავ სადმე ჰაგენს, მე მოვკვდები იმავე დღესა".

1080. "საყვარელო დაო ჩემო, მე ამისგან გადაგარჩენ.  
ჩემთან ერთად უნდა იყო, გიზელჰერთან უნდა დარჩე.  
მსურს როგორმე გიზლო გულით შენ ძვირფასი დანაკარგი".  
თქვა სიხარულს მოკლებულმან: "იქნებოდა ჩემთვის კარგი!".

1081. კრიმჰილდს რომ ეს ჭაბუკი ხვეწნით სთხოვდა ესოდენით,  
მას აგრეთვე იქ დარჩენას შეევედრნენ ტკბილის ენით.  
გერნოტი და უტეც, მათთან გამოიღეს სხვებმაც თავი;  
ქმრის ლენაში გყავსო, ჰკადრეს, მცირე სისხლის ნათესავი.

1082. მას გერნოტმა უთხრა მაშინ: "იქ უცხოა თქვენთვის ყველა.  
რა მძლავრიც არ უნდა ვიყოთ, სიკვდილისგან არ გვაქვს შველა.  
ეს იფიქრეთ, დაო ტკბილო, დაიმშვიდეთ სული თქვენი.  
მეგობრებთან ყოფნა ბოლოს შეიქმნება არ საწყენი!".

1083. კრიმჰილდემაც ამის შემდეგ ძმას აღუთქვა იქ დარჩენა.  
ზიგმუნდ მეფის კაცებისთვის იწყეს ცხენთა გამოდენა.  
რომ ისურვეს გამგზავრება ნიბელუნგთა ქვეყანაში.

რაინდთათვის გაამზადეს სამოსელი მათი მაშინ.

1084. აქ მოვიდა ზიგმუნდ მეფე, კრიმჰილდეს წინ შესდგა ნელა.  
და ქალბატონს მოახსენა: "გაემზადა მოყმე ყველა.  
ზიგფრიდისა და ცხენებთან ლოდინობენ წასასვლელად.  
წამობრძანდით, რადგან ყოფნას აწ ბურგუნდში ვიტანდ მნელად".

1085. "მე მირჩევენ აქ დარჩენას", მას კრიმჰილდემ უპასუხა.  
"ჩემი კარგი მეგობრები, რადგან ჩემთვის დიდად სწუხან.  
ნიბელუნგთა ქვეყნად არ მყავს არვის სისხლის ახლობელი".  
ქალბატონის ამ სიტყვებზე ღრმად დალონდა მეფე ქველი.

1086. უპასუხა ზიგმუნდ მეფემ: "გარს გარტყიან მთქმელნი რისა?!  
მსურს ატაროთ იქ წინაშე ყველა ჩემი მეგობრისა.  
თქვენ გვირგვინი დედოფლურად, ვით აქამდე გედგათ თავზე.  
ჯავრს არავინ ამოიყრის თქვენზე - ქმარის დამკარგავზე.

1087. თქვენის ბავშვის გულისათვის თან წაყოლა უნდა გთხოვოთ.  
ქალბატონო, იგი ოხლად თქვენ არ უნდა მიატოვოთ!  
როდესაც ის გაიზრდება, დამშვიდდება თქვენი გული;  
მანამდე კი იმსახურეთ რაინდები გაბედული".

1088. უთხრა: "რა ვქნა, რომ არ ძალმიძს წამოვიდე იქით კიდეს!  
მე, ბატონო, უნდა დავრჩე, რაც არ უნდა მომივიდეს.

აქ გავუყოფ ნათესავებს ჩემს უზომო მწუხარებას".  
მოსაწონად არ დაურჩა ეს მშვენიერ ვაჟკაცთ კრებას.

1089. მათ მიუგეს ერთსულოვნად: "ვალთაროთ უნდა ჩვენა,  
წამოსვლაზე უარის თქმით მოგვაყენე გულის ტკენა.  
და თუ გნებავთ დარჩეთ მათთან, ვინც ჩვენ გვიმტრო მუხთლად, ბნელად,  
მაშინ ასეთ წვევისაგან დაიფაროს ღმერთმა ყველა".

1090. "შეგიძლიათ გაემგზავროთ, ღვთის მინდობით, უზრუნველად;  
გზად მოგიჩენთ გამცილებლებს, რომ ისინი გყავდნენ მცველად.  
თქვენს ქვეყანამდე, ხოლო ჩემს ბავშვს მე მივანდობ საყვარელსა.  
თქვენს სიკეთეს, რაინდებო, და გამოცდილს თქვენსავ ხელსა".

1091. როცა სცნეს, რომ არ აპირებს მათთან წასვლას მართლაც ისა,  
გულამოსკვნით მოსდგნენ ტირილს ვაჟკაცები ზიგფრიდისა.  
რაოდენი ტანჯვით მაშინ რძალს, კრიმჭილდეს, დაეთხოვა.  
ზიგმუნდ მეფე! გადიადდა ნაღველი და მისი გლოვა.

1092. "დაიწყევლოს ეს სტუმრობა!" იმახოდა მეფე ქველი,  
"ჯერ მეფეს და იმის მხლებლებს გასართობი სასურველი.  
არ შესცვლია ისე შავად, როგორც ის ჩვენ შეგვეცვალა.

ნუმც გვნახავენ ბურგუნდელნი ჩვენ თავიანთ წრეში კვალად".

1093. თქვენს ზიგფრიდის რაინდებმა მუქარით და ხმით მაღალით:  
"შეიძლება ვნახოთ კიდევ ეს ქვეყანა ჩვენი თვალთ,  
თუ ვნახეთ ის, ვინც მოგვიკლა ჩვენ ბატონი მშვენიერი!".  
მის ნათესავთ შორის იმათ შეიძინეს ბევრი მტერი.

1094. მან აკოცა რძალს საყვარელს და გულმკვდარმა დასძრა ენა,  
რა დარწმუნდა, რომ კრიმჭილდემ გადაწყვიტა შინ დარჩენა:  
"ჩვენ საწყლები ვუბრუნდებით ჩვენს მეგობრებს, მშობელ მხარეს!  
მხოლოდ ახლა ვგრძნობ სავსებით ჩემს შავ ბედს და ნაღველს მწარეს".

1095. რაინისკენ მათ ვორმსიდან უგამყოლოთ წავლეს გზანი.  
მხნენი იყვნენ სულით მეტად და ბრძოლისთვის მარად მზანი.  
თუკი მტრების თავდასხმისა იქნებოდა იქ შემთხვევა,  
ნიბელუნგთა მკლავიტ მისი მყის შეეძლოთ უკუქცევა.

1096. მათ მშვიდობა არვის უთხრეს, გაეყარნენ როგორც მტერი.  
სიყვარულით წარდგნენ მხოლოდ გერნოტი და გიზელჰერი.  
მეფის წინა. დაკარგულზე ღრმად ნაღვლობდა მათი გული;  
უმჯღავნებდნენ მას ამ ნაღველს რაინდები გაბედული.

1097. ფიცს უთხრობდა მას გერნოტი ძლიერი და გულით რკინა:  
"მე, მეფეო, ამ სიკვდილში, უწყის ღმერთმაც ცათა შინა.  
არ მიმიძღვის ბრალი რამე! არც მის მტრებზე მქონდა ცნობა,

გმირს დავტირი გულახდილად და წრფელია ჩემი გრძნობა".

1098. გიზელჰერი გაჰყვა; მასაც სულში ცეცხლი ენთო მწველად.  
მიიყვანა ნიდერლანდში უვნებლად და უჭირველად.  
მან მეფე და რაინდები, მწუხარე და მოწყენილი.  
არ ჰქონიათ მათთან მაშინ ნათესავებს შეყრა ტკბილი.

1099. რა შეემთხვათ შემდეგ იმათ, მე არ ძალმიძს ამის თხრობა.  
იქ ისმოდა კრიმჰილდესი სულ მოთქმა და მომჩივრობა.  
მარტოოდენ გიზელჰერი უმშვენედა სულსა და გულს;  
იგი ჰყვანდა იმედად და მისანდობლად ტანჯვით დაგულს.

1100. ბრუნჰილდე კი, ტურფა რძალი, ვერ მალავდა შურის გრძნობას,  
თუ კრიმჰილდ რამდენს სწუხდა, არ ეძებდა ამის ცნობას.  
არ ინდომა ერთგულება და იმისი სიყვარული.  
მაგრამ მულმა მას სასტიკად გადუხადა ქცევა მტრული.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე .

როგორ მოხვდა ნიბერლუნგების განძი ვორმსში.

1101. როს კრიმჰილდეს, კეთილშობილს, დაქვრივება შეხვდა, მაშინ.

მხნე მარკგრაფი ეკვერტი მასთან დარჩა ქვეყანაში.  
თვისი ყმებით, როგორც ამას მოითხოვდა ერთგულება,  
მან თვითონვე მოისურვა სიკვდილამდე მისი ხლება.

1102. ქალაქ ვორმსში, ტაძრის ახლოს, ააშენა ბინა მისი,  
დიდი, სრული, მდიდარი და ქალბატონის საკადრისი;  
მსახურებთან ერთად მუნ ის ატარებდა დღეებს შავად.  
მხოლოდ ტაძრად ხშირად იგი დადიოდა სალოცავად.

1103. და იქ, სადაც მეგობარი მისი იყო დამარხული,  
მიდიოდა ის ყოველდღე, დამწვარი და დადაგული.  
ცრემლით სთხოვდა უფალ ღმერთსა, შეივრდომოს მისი სული;  
დასტიროდა გმირის საფლავს იგი სევდით დადაგული.

1104. ხშირად იმას ამშვიდებდა მხლებლებითურთ უტე ტკბილი,  
მაგრამ ნუგეშს ვერ ჰპოვებდა გული მისი დაკოდილი.  
არ შველოდა არავისგან თანაგრძნობის გამოჩენა,  
ისე დიდი იყო მისი ნალველი და გულისტკენა.

1105. არასოდეს უგლოვია ცოლს ესოდენ ქმარი თვისი;  
ამით ჩანდა, ერთგულება თუ რა დიდი იყო მისი.

დასტიროდა იგი ზიგფრიდს, ვიდრე სული ედგა პირში.  
მაგრამ მალე ნაცვლად მტრები მან ჩაჰყარა მძიმე ჭირში.

1106. დასტიროდა - მართალია ყოველივე ჩემგან თქმული -.  
ის საყვარელ ქმრის სამარეს წელიწადი ოთხი სრული.  
მთელ ამ ოთხ წელს გუნთერისთვის მას არ უთქვამს არაფერი.  
და ერთხელაც არ უნახავს ტრონიელი, თვისი მტერი.

1107. ამნაირი იყო ერთხელ ჰაგენისგან სიტყვა თქმული:  
"კარგს იზამდით, რომ თქვენი დის თქვენ მოიგოთ, მეფევ, გული.  
აქ იქნება მოზიდული ნიბელუნგთა ოქრო მაშინ,  
და ნახავდით სარგებლობას უსაზომოს თქვენ ამაში".

1108. მეფემ უთხრა: "შევეცდები, რომ, როგორმე, მოვაგვაროთ.  
გერნოტი და გიზელჰერი ჩვენ აქ უნდა დავიხმაროთ:  
ვიდრე ყაბულს არ გახდება, მანამდისინ უნდა სთხოვონ".  
"არ მგონია", თქვა ჰაგენმა, "რომ თანხმობა მოიპოვონ".

1109. "გამოიხმეთ ჩემთან კარზე მხნე ორტვინი", ბრძანა მან ეს,  
"და მარკგრაფი გერეც მასთან". ორივე რომ მოიყვანეს,  
მოიწვიეს იქ აგრეთვე გერნოტი და გიზელჰერი.  
მათ კრიმპილდეს უწყეს ხვეწნა და ალერსი შესაფერი.

1110. "ქალბატონო ჩემო", მაშინ დას გერნოტმა მოახსენა,  
"ქმრის დაკარგვის გამო დიდხანს გაქვთ გლოვა და ცრემლთა დენა.  
მეფეს უნდა დაგარწმუნოს, რომ არ არის იგი მკვლეელი.

თქვენგან მისი დატირების ხმა გაისმის ჟამი მთელი".

1111. "მას არავინ არც აბრალებს; ჰაგენია მისი მკვლეელი.  
თვით ვაუწყე, თუ სად ჰქონდა მას ადგილი მოსაწყვლელი.  
რა ვიცოდი, თუ მას გული ბოროტებით ჰქონდა სავსე,  
თორემ მე თავს დავიჭერდი", დედოფალმან უთხრა ასე.

1112. "მე სასიკვდილოდ გავეცი იმისი ტურფა სხეული,  
და ვით არ უნდა ვტიროდე ქალი, ბედისგან წყეული!  
ვინაც ეს მიყო, არ ძალმიძს მათდამი გულკეთილობა".  
მას გიზელჰერმა ყმაწვილმა დაუწყო ხვეწნით ცილობა.

1113. "მე მსურს მეფეს მივესალმო". ეს გუნთერმა რომ ისმინა,  
უკეთესის მეგობრებით გამოცხადდა იმის წინა.  
ჰაგენმა კი ვერ გაბედა, იქ მისვლისა ჰქონდა რიდი;  
თვით იცოდა, რომ ქალს იმან მიაყენა ტანჯვა დიდი.

1114. ქალს უნდოდა დაევიწყა სიძულვილი გუნთერისა.  
და მიეღო ისე, როგორც შეჰფეროდა, კოცნა ძმისა.  
რომ საშინელ მკვლელობაზე არ დაერთო გუნთერს ნება,

მას შეეძლო დასთან მუდამ ღია გულით მიბრძანება.

1115. მეგობართა შორის არსად, ესოდენის ცრემლთა დენით, არ მომხდარა შერიგება. სჩადიოდა ტანჯვის ჩენით. იგი ამას. აპატია ყველას, მხოლოდ ერთ კაცს არა; ტრონიელმა მოკლა იგი, სხვისი ხელით არ მომკვდარა.

1116. ამის შემდეგ არ დასჭირდა ხანგრძლივი და დიდი თხოვა, რომ საუნჯე ნიბელუნგთა მეფის ასულს მოეპოვა. ნიბელუნგთა მიწა-წყლიდან ის რაინზე გადიტანეს. როგორც დილის საჩუქარი დაიმკვიდრა ახლა მან ეს.

1117. საუნჯისთვის გაემართნენ გერნოტი და გიზელჰერი. რვა ათას კაცს უბრძანებდა ქალბატონი მშვენიერი, რომ საუნჯე მოეზიდათ მდიდარი და გასაკვირი. მას იცავდა მეგობრებით ალბერიხი, ჯუჯა-გმირი.

1118. როცა ნახეს მოსულები ნიბელუნთა ქვეყანაში. საუნჯისთვის, ალბერიხმა ამხანაგებს უთხრა მაშინ: "მას საუნჯს ვერ დავუჭერთ, ვერ ვუმტყუნებთ სამართალსა: თავის დილის საჩუქარი უთხოვია დედოფალსა".

1119. თქვა: "არასდროს მოხდებაო ამდაგვარი რამე სრულად, რომ ჩვენ, ჩვენდა სავალალოდ, არა ვთვლიდეთ დაკარგულად, ნიდერლანდელ გმირთან ერთად, რიდეს უჩინ-მაჩინისას, რომელიც სულ თან დაჰქონდა მშვენიერ ქმარს კრიმჰილდესას.

1120. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, გმირს დაუჯდა ცუდად ისა, რომ მან რიდე საკვირველი წაგვართვა და მიითვისა;

თან ყველანი ჩვენ გაგვხადა საკუთარი ყმების მგვანად". მიტრიალდა კამერჰერი გასაღების მოსატანად.

1121. კრიმჰილდესგან გამოგზავნილთ მოეყარათ მთის წინ თავი, იმათ შორის გამოსჩანდა ზოგი მისი ნათესავი. ზღვის პირამდე მათ ხელდახელ გადაზიდეს განძი ძვირი, და რაინით სამშობლოსკენ სავსე ხომალდს უყვეს პირი.

1122. ცნობას გეტყვით საუნჯეზე, გასაოცარს სასმენელად: თორმეტს ურემს ძლივს შეეძლო მთის ქვაბიდან მისი მთელად. ოთხ დღესა და ოთხ ღამეში ზღვის პირამდე გადატან. თითოეულს დღეში სამი უნდა ექმნა გზობა თანაც.

1123. სკვირთა შიგან სულ თვალები და მარტოოდენ ოქრო იდო, და რომ ვინმეს ამ ოქროთი განეზრახა ქვეყნის ყიდვა, მარკითაც არ დაიკლებდა ის იმაზე, რაცა ღირდა. ტრონიელსაც მიტომ მისი მოპოვების სენი სჭირდა.

1124. საუნჯეში იყო კვერთხი ნატვრისა და სურვილისა; კვერთხი იყო ოქროსი და თუ იცოდა ვინმემ ისა, გახდებოდა იგი ქვეყნად ბატონი და ყველას თავი. ბევრი გაჰყვა გერნოტს მაშინ ალბერტის ნათესავი.

1125. როს საუნჯე მიიტანეს გუნთერ მეფის ქვეყანაში. და დედოფალს ერთიანად ჩააბარეს იგი, მაშინ. ძვირფას განძით ოთახები და კომკები ამოავსეს. არვინ ფლობდა არასოდეს განძს ამაზე უძვირფასეს.

1126. ათასჯერაც თუნდა მეტი ეს საუნჯე ყოფილიყო, ხოლო ტურფა ზიგფრიდი კი სამარიდან ამდაგარიყო, მაინც კიდევ მას ერჩია მასთან ყოფნა ღარიბული. არსად ასე მოერთგულე არ ნახულა ცოლის გული.

1127. მას შემდეგ, რაც ჩააბარეს ქალს საუნჯე მონაზიდი, გაბმით უცხო რაინდების მოდიოდა რიცხვი დიდი. ხელი მისი გარდაიქცა მოწყალების უშრეტ წყაროდ. დიდ სიკეთეს სჩადიოდა - ჩვენ ეს უნდა ვაღიაროთ.

1128. ღარიბსა და მდიდარს - ყველას მისდიოდა საბოძვარი. ტრონიელმა უთხრა მეფეს: "მოქმედება ამდაგვარი. თუ არ შეწყდა, მრავალ რაინდს შემოიკრებს ირგვლივ იგი, დიდ გასაჭირს მოგვაყენებს, აგვერევა თადარიგი".

1129. უპასუხა გუნთერ მეფემ: "მას ეკუთვნის განძი მთელად; ვერ დავუშლი, რის კეთებაც მიაჩნია სასურველად. მეგობრობის აღდგენაზე ძლივძლივობით დამყვა ნებას. და ვით ვკითხო, თუ ახლა რად ანაწილებს თვის ქონებას!".

1130. ტრონიელმა უთხრა მეფეს: "არ ანდობდა, გწამდეს ესა,

ჰკუიანი კაცი დიაცს ესდენ ძვირფას საუნჯესა. იგი თავის საჩუქრებით ჩვენ მიგვიყვანს იმგვარ დღემდე, რომ გულმხნენი ბურგუნდელნი ინაღვლებენ ამას შემდეგ".

1131. უპასუხა მაშინ მეფემ: "შევურიგდი იმას ოდეს, ფიცი მივეც, რომ მის წყენას არ დავუშვებ არასოდეს. ის და არის ჩემი, და მსურს, რომ შემდეგშიც დარჩეს დავე". თქვა ჰაგენმა: "დეე ვიყო მე ამაში დამნაშავე".

1132. ხშირად ფიცის გატეხისა არა ჰქონდა იმათ რიდი; მათ მოჰპარეს ქვირვ დედოფალს ეს საუნჯე მეტად დიდი. გასაღები ყველა მისი ხელთ ჩაიგდო ტრონიელმა: გაგულისდა, რომ შეიტყო ეს გერნოტმა, გმირმა ქველმა.

1133. თქვა ჭაბუკმა გიზელჰერმა: "მიაყენა ჩემს დას წყენა.  
ტრონიელმა ბევრი და მე მიძნელებდა ამის თმენა.  
არ ვაცოცხლებ, რომ არ იყოს ჩემი სისხლის ნათესავი".  
ქვრივ დედოფალს კვლავ ეწვია ნალველი და ტანჯვა შავი.

1134. თქვა გერნოტმა: "ოქროსათვის ესოდენი შუღლი კმარა;  
უმჯობესი იქნებოდა ის რაინში ჩაგვეყარა,  
რომ არავის კუთვნილებ აღარ იყოს განძი ძვირი".  
გიზელჰერთან გაემართა დედოფალი ანატირი.

1135. უთხრა: "ძმაო საყვარელო, შველას მხოლოდ შენგან ველი,  
უნდა იყო შენ სიცოცხლის და ქონების ჩემის მცველი".  
უპასუხა დას ჭაბუკმა: "ეს იქნება უეჭველად.  
დაბრუნების შემდეგ; ახლა გზას ვადგევარ წასასვლელად".

1136. გუნთერ მეფემ მხლებლებითურთ მხარე თვისი მიატოვა.  
წაიტანა ვაჟკაცები, უკეთესი, რაც კი ჰპოვა.  
მხოლოდ ქვრივის სიძულვილით ტრონიელი დარჩა შინა;  
რომ როგორმე ევნო მისთვის, ეს იმიტომ ჩაიდინა.

1137. ვიდრე უკან დაბრუნებას მოასწრებდა მეფე ქველი,  
მანამდისინ ტრონიელმა ხელთ საუნჯე იგდო მთელი,  
და რაინის ფსკერზე სრულად მან ჩაუშვა იგი ლოხთან.  
სურდა, შემდეგ რომ ეპოვნა, მაგრამ ასე აღარ მოხდა.

1138. შინ დაბრუნდნენ თავადები კვლავ თავიანთ კაცთა ხლებით.  
საჩივართ შეხვდა ქვრივი ქალბატონებ-ქალწულებით.  
დაკარგული განძის გამო დიდი ჰქონდა საზრნავი.  
დის უფლებებს გიზელჰერი დაიცავდა გამბედავი.

1139. ძმებმა უთხრეს: "ძლიერ ცუდად მოქცეულა იგი სწორედ".  
ვიდრე მათთან მეგობრობას აღადგენდა ხელმეორედ,  
გაურბოდა მათ ჰაგენი, შეიწყნარეს იგი ბოლოს.  
კრიმჰილდე კი იმისადმი მძაფრ სიძულვილს გრძნობდა მხოლოდ.

1140. სანამდისინ ამ საუნჯეს დამალავდა ტრონიელი,  
მათ ერთმანეთს უდიდესი შეფიცვებით მისცეს ხელი,  
რომ თავიანთ სიცოცხლეში არ მოშალონ განძის მალვა,  
რადგან მისი მითვისების, ან გაცემის, ჰქონდათ კრძალვა.

1141. ამის გამო ორმაგ ტანჯვით წუხდებოდა ქალის გული:  
ქმრის სიკვდილთან ერთად ჰქონდა მას მთლიანად დაკარგული,  
რაც გააჩნდა განძი ძვირი. დედოფალი ამის შემდეგ,  
ჩივილსა და მწუხარებას განაგრძობდა სამარემდე.

1142. ქრმის სიკვდილის შემდგომ - ესე სიმართლეა უეჭველი -.

იგლოვა და იმწუხარა მან ცამეტი კიდევ წელი.  
ყოველთვის და ყველგან იმას თვალწინ ედგა მკვდარი გმირი.  
და იწვევდა ხალხის ქებას ერთგულება გასაკვირი.

ა მ ბ ა ვ ი მ ე ო ც ე .

როგორ გაგზვნა მეფე ეტცელმა ელჩები.  
კრიმჭილდეს სათხოვნელად.

1143. ოდეს ჰელხე დედოფალმა განსვენება ქვეყნად ჰპოვა.  
და ისურვა ეტცელ მეფემ შემდგომად სხვა ცოლის თხოვა,  
ახლობელმა მეგობრებმა, რომ შეერთო, სთხოვეს მაშინ,  
მას კრიმჭილდე, ქვრივი უცხო, ბურგუნდელთა ქვეყანაში.

1144. მას შემდეგ, რაც მოკვდა ჰელხე, მშვენიერი ქალბატონი,  
მათ უთხრეს: "თუ კიდევ ცოლი გსურს შეირთო მოსაწონი,  
ისეთი, რომ არსად თავადს არ შეერთოს შესადარი,  
მოიყვანეთ თქვენ კრიმჭილდე; ზიგფრიდ იყო მისი ქმარი".

1145. "ეს შესაძლო ვით იქნება?" შეეკითხა მეფე ქველი:  
"კერპთაყვანისმცემელივ არ, ვარ კაცი მე უნათვლელი,  
ხოლო ის კი ქრისტიანი: უარს იტყვის უეჭველად.  
იქნებოდა სასწაული, რომ მოვიდეს ის აქ ხელად".

1146. მოახსენეს კვალად: "ეგებ მან პასუხი არ თქვას ავი.  
ჩვენ სახელი თქვენი დიდი და სიმდიდრე უამრავი,  
ნებას გვაძლევს შევეცადოთ დათანხმებას კრიმჭილდისას.  
თქვენ შეგშვენით ეალერსოთ ულამაზეს სხეულს მისას".

1147. მაშინ მეფე შეეკითხა თავმოყრილებს იმის წინა;  
"რაინის ხალხს და ქვეყანას თქვენთაგანი იცნობს ვინა?"  
ბელხლარნელმა რუდიგერმა მოახსენა, მდგომმა იქვე:  
"კეთილშობილ დიდ მეფეებს კარგად ვიცნობ ბავშვობითვე.

1148. გუნთერი და გერნოტია რაინდები გაბედული;  
მესამეა გიზელჰერი, იმათ შორის თვითეული.  
აღზრდისამებრ თავის პატივს და დიდ სახელს უდგას მცველად,  
როგორც მათი წინაპრები სჩადიოდნენ ამას ძველად".

1149. კვლავ ეტცელი შეეკითხა: "მეგობარო, მითხარ ესა,  
თუ შეჭფერის აქ გვირგვინით გამოჩენა კრიმჭილდესა.  
და თუ მართლა არის ისე მშვენიერი, ვით აქებენ?  
მაშინ ჩემი მეგობრები აღარაფერს ინაღვლებენ".



1150. "შეგვიძლია ის თამამად შევადაროთ სილამაზით.  
ჩემს ქალბატონს, მდიდარ ჰელესს; უფრო ტურფა, უფრო ნაზი.  
დედოფალი ხომ არასდროს ქვეყანაზე არ ყოფილა.  
იგი, ვისაც ის აირჩევს, წუთისოფელს მოჰამს ტკბილად".

1151. უთხრა მეფემ: "მაშ მითხოვე ის, რუდიგერ, გეხვეწები.  
და იცოდე, კრიმჰილდესთან მე ოდესმე თუ დავწვები,  
მწყალობელი გაგიხდები და პატივის მარად მცემი.  
რომ ერთგულად შეასრულე სურვილი და ნება ჩემი.

1152. ვუბრძანებ, რომ ყოველივე ჩემი მოგცენ დაუთვლელად,  
ყველა შენი თანამგზავრით რომ იცხოვრო უზრუნველად.  
რაოდენიც გესურვებთ მერნები და ტანსაცმელი.  
ამ შორეულ ელჩობისთვის ჩაგბარდებთ უხვი ხელით".

1153. მოისმინა მეფემ სიტყვა მდიდარ მარკგრაფ რუდიგერის:  
"მეფევ, შენი ქონებისა დახარბება არ შემფერის.  
რაინისკენ თქვენად ელჩად გავემგზავრო მინდა გულით.  
ჩემი ხარჯით, მე რაცა მაქვს, თქვენგან არის ბოძებული".

1154. "როდის ფიქრობთ გამგზავრებას", შეეკითხა მეფე ქველი,  
"ჩემს მშვენიერ საყვარელთან" მოგიმართოთ ღმერთმა ხელი.  
და გამყოფოთ თქვენ პატივში და აგრეთვე დედოფალი.  
ცას შევთხოვ, რომ მან წყალობით შეაჩეროს ჩვენზე თვალი".

1155. "გამგზავრებამდე გვმართებს ჩვენ", იყო ხმა რუდიგერისა,  
შემენა იარაღისა და სამოსის მრავალფერისა,  
რათა დედოფლის წინაშე თამამად წარვდგეთ წვეული.  
მსურს რაინისკენ ვიახლო ხუთასი კაცი რჩეული.

1156. როდესაც კი მე და ჩემებს გვიხილავენ ბურგუნდელნი,  
იქ ყველანი მაშინ ერთხმად იქნებიან იმის მთქმელნი,  
რომ ასე შორს არც ერთ მეფეს რაინდები ესოდენი.  
არ ჰყოლია გაგზავნილი, რამდენიც მუნ მივა შენი.

1157. იცოდეთ, და სათაკილოდ ნუ მიიჩნევთ, მეფევ, ისა.  
მოყვარული იყო ცოლი მხნე რაინდის ზიგფრედისა,  
ზიგმუნდ მეფის შვილის; იგი გყავთ, ხელმწიფევ, აქ ნახული.  
დიდ პატივის ღირსად არის ის ყველასგან დასახული".

1158. თქვა ეტცელმა: "თუ ამ გმირზე დაწერილი ჰქონდა ჯვარი,  
მაშ ჰქონია მას სახელი საპატიო იმდაგვარი,

რომ არ ძალმიძს მე უარყო ლამაზი და ეგზომ ნაზი;  
დაუპყრია მის მშვენებას ჩემი გული, ჩემი აზრი.

1159. "აბა კარგი, თუ აგრეა", მას მარკგრაფმა უთხრა მაშინ,  
"წასასვლელად მზად ვიქნებით ოცდაოთხი დღის ვადაში.  
მე ვაუწყებ გოტელინდეს, ჩემს საყვარელ მეუღლესა,  
რომ თვითონ მე ელჩის სახით მსურს ვეახლო კრიმჰილდესა".

1160. შემდეგ ბეხლარს გააგზავნა შიკრიკები რუდიგერმა,  
რათა მისმან ცნას მეუღლემ, მარკგრაფინამ მშვენიერმა,  
რომ დედოფლის მოსაყვანად არის იგი წარგზავნილი.  
გოტელინდემ გრძნობიერად მოიგონა ჰელხე ტკბილი.

1161. ოდეს ცნობა ელჩობაზე მარკგრაფინამ მოისმინა,  
მან ხელმწიფის ბედის გამო მზრუნველობა დაიჩინა:  
შეხვდებოდა ქალბატონი მას ისეთი, როგორც წინათ?  
ფიქრმა ჰელხე დედოფალზე იგი მეტად მოაწყინა.

1162. გაემგზავრა რუდიგერი, დღე გავიდა როცა შვიდი.  
ამის გამო ეტყელ მეფეს სიხარული ჰქონდა დიდი.  
სამოსელი შეუკერეს მშვენიერი მათ ვენაში.  
და მიზეზი დაყოვნების აღარ ჰქონდათ ელჩებს მაშინ.

1163. ბეხლარში მას მიელოდა გოტელინდე, ცოლი ტკბილი.  
და ყმაწვილი მარკგრაფინი, მისი ტურფა ქალიშვილი.  
მან სიამით ნახა მამა და ამაღა მისი სრული.  
მშვენიერი ქალები მას მიელოდნენ სიხარულით.

1164. ვიდრემდისი ქალაქ ვენას დასტოვებდა რუდიგერი.  
და ბეხლარს წავიდოდა, მოუტანეს მრავალფერი.  
სამოსი და იარაღი, ცხენთა ზედან ანაკიდი.  
გზად ყაჩაღთა ვერა ნახეს სარგებლობა მათგან დიდი.

1165. ქალაქ ბეხლარს ოდეს მისი მბრძანებელი მოევლინა,  
ამხანაგთა დასადგომად მოითხოვა იმან ბინა.  
ტკბილი ენით; მათ ბინები დასადგომი მისცეს სრული.  
გოტელინდეს, ქმარის მოსვლით, დიდი ჰქონდა სიხარული.

1166. საყვარელი მისი ქალიც, ახალგაზრდა მარკგრაფინა,  
ბედნიერი იყო, მამა რომ იხილა თავის წინა.  
ის რაინდებს ჰუნეთიდან სიხარულით სჭვრეტდა წყნარი.  
და ნაზი ხმით წარმოსთქმინდა ბაგე მისი მოცინარი:

1167. "მამაჩემო და რაინდნო, კეთილ იყოს მოსვლა თქვენი!".  
ღირსეულმა ვაჟკაცებმა, საზრდილობო წესთა ჩენით,  
ახალგაზრდა მარკგრაფინას მოახსენეს მაღლი დიდი.  
გოტელინდემ ქმარის აზრი იცოდა და იყო მშვიდი.

1168. როდესაც კი გვერდით ღამე ქმარი თვისი დაიწვინა,

აღერსით და მოფერებით შეეკითხა მარკგრაფინა,  
თუ თავადი ჰუნთა ქვეყნის მას აგზავნის საითკენა.  
"გოტელინდეგ ჩემო", თქვა მან, "ამას ახლავ გეტყვით თქვენა.

1169. მინდა ჩემი ბატონისთვის მე მეუღლე საკადრისი.  
მოვიყვანო, რადგან მოკვდა მშვენიერი ჰელხე მისი.  
ახლა მმართვეს კრიმჰილდესთვის მე რაინზე წასვლა მალი.  
უნდა გახდეს ის ჰუნების სვემალალი დედოფალი".

1170. გოტელინემ უთხრა: "ღმერთმაც ეს სიკეთე გვიყოს ჩვენა,  
რომ პატივი მოიხვეჭოს მან მაღალი ესოდენად!  
ნეტამც იქნეს, ჰელხეს ნაცვლად ქალბატონად იგი გვყავდეს.  
მსურს ჰუნების ქვეყანაში ის გვირგვინით თავზე ჩანდეს!".

1171. "ქალბატონო ჩემო ტკბილო", მას მარკგრაფმა უთხრა მაშინ,  
"ვინც მე მახლავს წასაყოლად ბურგუნდელთა ქვეყანაში,  
თქვენ მათ უნდა უთავაზოთ საჩუქრები მეგობრული!  
მდიდრულად მყოფ რაინდებსა გაბედული უჩანთ გული".

1172. ქალმან ჰკადრა: "იმათ შორის მე არ ვიცი იმდაგვარი,  
რომ არ მივცე ყოველივე, რაც საჭირო მისთვის არი.  
ვიდრე თქვენის გამყოლებით მზად არა ხართ წასავალად".  
"მით სიყვარულს დამიმოწმებს!" მას მარკგრაფმა უთხრა კვალად.

1173. ძვირფას ქსოვილთ მოსაღებად საწყობები აღეს მისი.  
და რაინდებს დაურიგეს სამოსელი საკმარისი:  
თავით ვიდრე ფეხებამდე გამოაწყვეს საკვირველად.  
რაც მოსწონდა, თვით აიღო რუდიგერმა ჩასაცმელად.

1174. ბეხლარიდან პატრონითურთ გაემგზავრა რაზმი ლალი.  
მეშვიდე დღეს დილით ადრე. სამოსი და იარაღი.  
მოჭაბებით გაატარეს ბავარიის ქვეყანაში.  
სრულებით არ დახვედრიან ყაჩაღები იმათ გზაში.

1175. დღე, როს რაინს მიაღწიეს, მეთორმეტე იყო სრული.  
დიდი ხანი არ ყოფილა ეს ამბავი დაფარული.  
მეფესა და მის მახლობლებს მოახსენეს მალე სიტყვა.  
უცხო სტუმართ მოსვლის გამო. მეფემ იწყო გამოკითხვა.

1176. თუ ეცნობათ იქ დამსწრეებს იმათგანში რომელიმე.  
ხედავდნენ, თუ ვით ჩამოხსნეს ცხენებიდან ტვირთი მძიმე.  
ამით სცნეს, თუ რა მდიდარი რაინდები უდგათ წინა.  
მალე სტუმრებს დიდ ქალაქში დასადგომი მისცეს ბინა.

1177. როდესაც ქალაქს მოვიდა სტუმრების რაზმი ქებული,  
იმათი მოსვლით შეიქმნენ ყველანი გაოცებული.  
დიდად უკვირდათ, ვინ იყვნენ, რა მხრით იქმოდნენ გზობასა.

ჰაგენს ჰკითხავდა პატრონი მოსულთა ვინაობასა.

1178. ჰაგენმა ჰკადრა: "არა ვარ ჯერ მათი დამნახველიო: როდესაც თვალით ვიხილავ, მაშინ ვიქნები მთქმელიო, თუ დასაწყისი სადა აქვს იმათ კვალთა და გზათაო. უცხონიც იყვნენ სრულიად, მე მაინც ვიცნობ მათაო".

1179. უცხო სტუმრებს დასადგომად მიუჩინეს ბინა ვრცელი. გარდაიცვა ელჩმა მაშინ უმდიდრესი სამოსელი, ამაღამაც მასთან ერთად, და წავიდნენ შემდგომ კარზე. მათ სამოსი საუცხოოდ გამოჭრილი ეცვათ ტანზე.

1180. თქვა ჰაგენმა: "ეს ბატონი, მე მგონია, შევიცანი, თუმცა მას შემდეგ, რაც მინახავს, გასულია დიდი ხანი, -. მოსულების მეთაური უნდა იყოს რუდიგერი, ჰუნთა მეფის ქვეშევრდომი და რაინდი მშვენიერი".

1181. "ეს ვით ძალმიძს დავიჯერო", ხელმწიფემა ბრძანა მაშინ, "რომე იგი ბეხლარიდან მოვიდა ჩვენს ქვეყანაში?". მაგრა, როგორც გუნთერ მეფემ ეს სიტყვები დაათავა, მყის რუდიგერს ტრონიელმა იქ შეავლო თვალი თავად.

1182. ის და მისი მეგობრები გაემურნენ შესახვედრად. შეეგებნენ ცხენებიდან მსწრაფლ ჩამომხტარ ხუთას მხედარს. ჰუნთა ქვეყნის მოსულები კარგად იქმნენ მიღებულნი. არასოდეს ასე ტურფად არ ყოფილან ელჩნი ცმულნი.

1183. მყის შესძახა ტრონიელმა ხმამაღლა და ტკბილი ენით: "კეთილ იყოს მობრძანება, რაინდებო ყველავე, თქვენი, და თავადო ბეხლარისავე, მხებლებითურთ თქვენით სრულად!". მხნე ჰუნები მუნ მიიღეს პატივით და მეგობრულად.

1184. შეიჯარნენ მჭიდროდ მეფის მეგობრები მახლობელი, რუდიგერის მიმართ მაშინ ორტვინ გმირი იყო მთქმელი: "ჩვენ სტუმრები, უნდა ითქვას, არ გვინახავს ხანი დიდი, თქვენზე უფრო ძვირფასი და თქვენზე უფრო მოსარიდი".

1185. ღირსეულის მიღებისთვის მოსულები მადლსა სძღვნიდნენ, და ყველანი მხლებლებითურთ დარბაზისკენ წამოვიდნენ, სადაც ნახეს გუნთერ მეფე, რაინდებით უკეთესით. მაშინ მეფე ზე წამოდგა, ასე იყო კარის წესი.

1186. რა პატივით შეხვდა ელჩებს და რაინდებს მათსას იგი! მხნე გერონტმაც მიიღო იქ, ისე, როგორც იყო რიგი. ღრმა პატივით უცხო ელჩი, ყველა მისი რაინდებით. გაიყოლა რუდიგერი მეფემ ხელის ჩაჭიდებით.

1187. მიიყვანა თავის სკამთან, გვერდს დაისვა თვალსაჩინოდ.

ბრძანა, მათთვის რომ დაესხათ ძვირფასი და კარგი ღვინო, როგორც კი წარმოეშვა ბურგუნდელთა მდიდარ მხარეს. ამ ბრძანების შესრულება იქ სიმაით დააჩქარეს.

1188. გიზელერი, მასთან გერე, მყისვე მოდგნენ მეფის კარად, ვით დანკვარტი და ფოლკერი: მიეტანათ მათთვის ჩქარა. იქ სტუმრების მოსვლის ცნობა, რაც მათ გულებს უჩნდა ლხინად. მხნე რაინდებს მოწიწებით მიესალმნენ მეფის წინა.

1189. მაშინ გუნთერს, თავის ბატონს, ტრონიელმა მოახსენა: "შენს რაინდებს მარკგრაფის წინ ღრმა პატივის მართეს ჩენა. ჯილდოდ მისად, რაიც იმას ჩვენთვისა აქვს ჩადენილი. მშვენიერი გოტელინდეს ქმარს მივართვათ უნდა ძღვენი".

1190. გუნთერ მეფემ ბრძანა ასე: "მე სიმართლე თქვენი მჯერა, გთხოვთ, რომ მითხრათ, ხომ ცხოვრობენ ჯანმრთელად და ბედნიერად. ეტყელი და ქალბატონი ჰელხე, ჰუნთა ქვეყანაში?". "მზად გახლავართ მოგახსენოთ", მას მარკგრაფმა უთხრა მაშინ.

1191. აქ თავისი მხლებლებითურთ ზე წამოდგა მყისვე ისა. და ხელმწიფეს მოახსენა: "გთხოვთ, მიბოძოთ, ნება თქმისა, ბურგუნდელთა ქვეყანაში თუ რა სიტყვის მოსატანად. გამომგზავნა ეტყელმ მეფემ თქვენს წინაშე მე ამ ხანად".

1192. აქ თავისი მხლებლებითურთ ზე წამოდგა მყისვე ისა. და ხელმწიფეს მოახსენა: "გთხოვთ, მიბოძოთ, ნება თქმისა, ბურგუნდელთა ქვეყანაში თუ რა სიტყვის მოსატანად. გამომგზავნა ეტყელ მეფემ თქვენს წინაშე მე ამ ხანად".

1192. მეფემ უთხრა: "სთქვით, რაცა გსურთ, ჩვენსკენ რისთვის იჩქაროდით, რჩევისათვის ჩემს მეგობრებს არ დავუწყებ მე აქ ლოდინს. გთხოვთ მე და ჩემს მხლებლებს თქვენი მყის სათქმელი, დია, გვითხრათ. გახსოვდეთ, რომ ბურგუნდიის საპატიო ელჩები ხართ".

1193. ღირსეულმა უთხრა ელჩმა: "თქვენ, რაინზე, შორის კიდით, მოწიწებით გიძღვნის სალამს მბრძანებელი ჩემი დიდი. და აგრეთვე ყველას, ვინაც მეგობარი არის თქვენი, გეუწყებათ ესე, დიდი ერთგულების გამოჩენით.

1194. მეფემ თავისი მწუხარება თქვენს წინაშე შემოთვალა: მგლოვიარობს მისი ერი - დედოფალი გარდიცვალა, ქალბატონი ტურფა ჰელხე, ცოლი ჩემი ბატონისა, მშვენიერი ბევრი ქალი დაობლდა და დარჩა მქისად,

1195. და თავადთა ასულები, რომელთაც ის კარზე ზრდიდა.

ამის გამო შავებშია ქვეყანა და გლოვობს დიდად.  
სამწუხაროდ, არვინ დარჩა მეოხედ და მზრდელად მათად.  
ასე ვფიქრობ, მეფის გული რომ მშვიდდება იშვიათად".

1196. "ღმერთმა უზღოს", თქვე გუნთერმა, "რომ თავისი მოსალმებით.  
გვაამა და გაგვახარა იმან მე და ჩემი ყმები.  
მისგან თქმული ტკბილი სიტყვის ჩვენზე თქვენ ხართ გადმომცემი;  
მსგავსივეა ყველას გრძნობა, ერთგულია ვინაც ჩემი".

1197. თქვა გერნოტმა ბურგუნდელმა: "ერთიანად მართებს მხრეს,  
მშვენიერი ჰელხეს გამო, რომ აფრქვევდეს ცრემლებს ცხარეს,  
რადგან მრავალ სათნოები დედოფალი იყო მჩენი".  
მას ჰაგენი დაემოწმა და ამაღა დანარჩენი.

1198. რუდიგერმა, კარგმა ელჩმა, თქმა დაიწყო მაშინ კვალად:  
"თუ, მეფეო, ნებას მომცემთ, გეტყვით კიდევ, რაც მდევს ვალად,  
რისთვისაც აქ გამომგზავნა ჩემმა დიდმა მზრძანებელმა.  
რა რომ ჰელხეს გარდიცვალა, შეაწუხა ის ნალველმა.

1199. ბატონჰს ჩემსას მოახსენეს, რომ კრიმჰილდე უქმროდ არი,  
რაც ზიგფრიდი მოკვდა. მაქვს მე სათქმელი და სათხოვარი:  
დე, ატაროს მან გვირგვინი ეტყელ მეფის ხალხის წინა!  
მან მე ამის საუწყებლად თქვენს წინაშე მომავლინა".

1200. ელჩს ეტყოდა, ამის გამო, გუნთერ მეფე დიდად ზრდილი:  
"თუკი იგი დათანხმდება, ჩვენ ვიქნებით კმაყოფილი.  
გეუწყებათ აქ პასუხი თქვენ შემდგომად სამი დღისა.  
მე არ ვეტყვი უარს ეტყელს, თუ მსურველი გახდა ისა".

1201. მეფემ ბრძანა ღამით მათი მოსვენება მათად დარად.  
მათთვის ესდენ იზრუნეს, რომ რუდიგერმა აღიარა:  
მეგობრები მყავსო აქ მე. მსახურებდა ელჩს ჰაგენი.  
ერთხელ მასაც ხომ მოეპყრნენ თანაგრძნობის გამოჩენით.

1202. რუდიგერი იქ მესამე დღემდე ასე მოელოდა.  
მეფემ იხმო საბჭო, როგორც ამას მუდამ ჩადიოდა.  
და მეგობრებს თვისას ჰკითხა, მიაჩნიათ თუ რაგვარად,  
რომ კრიმჰილდემ ეტყელ მეფე აირჩიოს თავის ქმარად.

1203. მათ ურჩიეს, გმობა მხოლოდ ჰაგენისგან იყო თქმული.  
გააფრთხილა კარისკაცმა გუნთერ მეფე გაბედული:  
"თუ ჰკუა გაქვთ, საჭიროა აქ სიფრთხილის გამოჩენა,  
ქალი კიდევ რომ დათანხმდეს, ნუ დაუშვებთ ამას თქვენა".

1204. უპასუხა გუნთერ მეფემ: "რად არ უნდა მივცე ნება?"

რაც იმისთვის მომავალში სასარგებლო შეიქმნება,

სიხარულით ვურჩევ. ის ხომ დაა ჩემი სანუკვარი.  
ზრუნვა გვმართებს თვით ამაზე, თუ ეს მისთვის კარგი არი".

1205. კვლავ ჰაგენმა ჰკადრა მეფეს: "მოუფიქრალ სიტყვას გვასმენ.  
რომ ეტყელის ძალას სცნობდეთ ისე, როგორც ვიცნობ მას მე.  
მიხვდებოდით ქალმა თუნდაც შეიყვაროს იგი გულით,  
ქეშმარიტად, ამის გამო, გექმნათ დიდი სინანული".

1206. "რატომ?" ჰკითხა გუნთერ მეფემ, "მე ავიცდენ მის წყენებას,  
რათა მისმა სიძულვილმა არ შემყაროს ჭირს და ვნებას.  
თუ გახდება ქმარი მისი". ტრონიელმა უთხრა კვალად:  
"მაინც, მეფევ, ამის დაშლა მიმაჩნია მე ჩემს ვალად".

1207. მაშინ მეფემ გერონტი და გიზელჰერი მოიწვია.  
შეეკითხა - საკეთილოდ თუ ორივეს მიაჩნია,  
ქალბატონი კრიმჰილდე რომ ძლიერ მეფეს გაჰყვეს ცოლად.  
მოიწონეს; უარობდა ტრონიელი ისევ მხოლოდ.

1208. მაშინ უთხრა გიზელჰერმა: "მეგობარო ჰაგენ, თქვენა.  
ვალად გედვათ იმისადმი კარგის გულის გამოჩენა,  
იმ ტანჯვის წი, რომელიც თქვენ მიაყენეთ იმას ძველად,  
გამარჯვებას კრიმჰილდისას უნდა შეხვდეთ უშურველად".

1209. კვლავ ეტყოდა გიზელჰერი, უტურფესთა ზნეთა მჩენი:  
"ჩემს საწყალ დას მწუხარება მიაყენეთ ესოდენი,  
და, დიახაც, ის თქვენდამი მტრული გრძნობით სავსე არის;  
არვის ახსოვს ასე მუხთლად ქალისათვი მოკვლა ქმარის".

1210. "მე ძალიან კარგად ვიცი, ვაილიარებ თან აშკარად,  
რომე თუკი ეტყელ მეფეს ის დაისვამს თავის ქმარად,  
ჩვენ იმისგან შეგვემთხვევა ზარალი და დიდი ვნება,  
რადგან ბევრი მხნე რაინდი მის ლენაში იქ იქნება".

1211. ამ სიტყვების საპასუხოდ მას გერონტმა უთხრა მაშინ:  
"ვიმოქმედოთ იმგვარად, რომ ეტყელ მეფის ქვეყანაში.  
მათ ორთავეს სიკვდილამდე არ მოგვიხდეს მისვლა ჩვენა.  
დია, გვმართებს ძმებს დისადმი თანაგრძნობის გამოჩენა".

1212. "დეე, ამას ნურვინ მეტყვის", ტრონიელმა უთხრა კვალად,  
"თუ კრიმჰილდეს ჰელხენს ნაცვლად ტახტზე დაჯდა იქ დედოფლად,  
ის ეცდება შეგვამთხვიოს ჩვენ ხიფათი ყველგან ავი.  
რაინდებო, სჯობს ამ საქმეს დაანებოთ ახლავ თავი".

1213. საპასუხოდ იძახოდა გიზელჰერი გულფიცხელი:  
"ყველანი ხომ ვერ გავხდებით ჩვენ ფიცისა გამტეხელი!

გვიხაროდეს უნდა, თუ მას ბედი უჩანს საკადრისი.

თქვით, რაც გინდათ, ჰაგენ, მე კი მსურს ერთგული ვიყო მისი".

1214. ღრმად შეწუხდა ტრონიელი, როდესაც ეს მოისმინა.  
გიზელჰერი და გერონტი, რაინდები გულით რკინა,  
და მდიდარი გუნთერ მეფე თანახმანი იყვნენ მისა,  
რომ დასტური ეთქვათ, თუკი იქნებოდა ნებაც დისა.

1215. თქვა მარკგრაფმა გერემ: "მაშ, მე აწ კრიმჰილდეს ვეახლები;  
მოვახსენებ, ეტყელ მეფეს რომ მოეპყრას მოწყალებით.  
მორჩილებენ იმას შიშით რაინდები ბევრი მეტად.  
მას ძალუმს, რომ უზღონ ტანჯვა, თან რომ ახლავს გულსაწყვეტად".

1216. გაემართა ის, კრიმჰილდე სადაც იყო, იქითკენა.  
ქალი ტკბილად შეეყარა; გერემ სწრაფად მოახსენა:  
"მომესალმეთ მახარობელს და მაჩუქეთ კარგი ძღვენი!  
მსურს ერთბაშად გავაქარწყლო გასაჭირი ყველა თქვენი.

1217. გამომგზვნა მან, ვინც თქვენი სიყვარულით გარდამკვდარა,  
უკეთესმა იმათ შორის, ვინც სამეფო ტახტზე მჯდარა.  
თქვენ გთხოვლობთ მხნე რაინდი, თვით ხელმწიფე უძლეველი.  
ძმამან თქვენმა დამავალა, რომ ამისა ვიყო მთქმელი".

1218. მაშინ უთხრა ნაღვლით სავსემ: "ღვთისგან გექმნეთ აკრძალული.  
თქვენ და ყველა ჩემს მეგობარს, რომ დაცინვით საწყალს გული.  
დამიკოდოთ! სიტყვას ჩემთვის უკადრისსა რისთვის მასმენ?  
ან რაგვარი სიხარული მივანიჭო უნდა მას მე?".

1219. დიდ უარზე იდგა იგი. გამობრუნდა უკან გერე.  
გერნოტი და გიზელჰერი დის წინაშე წარდგნენ მერე.  
სიყვარულით სთხოვეს იმათ, დაევიწყა დანაკარგი.  
და თუ მეფეს გაჰყვებოდა, იქნებოდა მისთვის კარგი.

1220. მაგრამ არვის არ შეეძლო დედოფალის დაჯერება,  
რომ მას კიდევ ქვეყნად კაცის განეზრახა შეყვარება.  
მაშინ უთხრეს რაინდებმა: "დაძალება არ გვსურს ჩვენა,  
მხოლოდ დართე ნება, რომ თვით გინახულოს ელჩმა შენა".

1221. "ამაზე კი თანახმა ვარ", ქალბატონმა განაცხადა,  
"რუდიგერის მისაღებად სიხარულით ვარ მე მზადა,  
რადგან ზნენი უმაღლესი მასში არის დამარხული.  
სხვა ყოველი ელჩისათვის ვიქნებოდი არნახული".

1222. უთხრა: "ხვალვე გამოგზავნეთ თქვენ რაინდი ადრე დილით.  
ჩემს ოთახში, რომ ვაუწყო ყოველივე სიტყვა ტკბილით;  
საკუთარი ენით ვეტყვი, რაც სათქმელი ჩემგან არის".



მას ისევე განუახლდა ჩივილი და ცრემლთა ღვარი.

1223. კეთილშობილ რუდიგერსაც მარტოოდენ ის უნდოდა, რომ პირადად ქვრივ დედოფალს თვით როგორმე შეხვედროდა. საკუთარი ენით ვეტყვი, რაც სათქმელი ჩემგან არის". მას ისევე განუახლდა ჩივილი და ცრემლთა ღვარი.

1224. მეორე დღეს, დილით ადრე, ცისკარი რომ გამოვიდა, შეიკრიბნენ მუნ ელჩები; სიმჭიდროვე იყო დიდად. რუდიგერთან ერთად ყველა კარზე უნდა მისულიყო; მშვენიერი რაინდები ჩაცმულებიც კარგად იყვნენ.

1225. კრიმპილდე კი, საცოდავი, მწუხარე და გამკრთალ ფერით, ელჩს ელოდა; მალე კიდეც მას ეახლა რუდიგერი. ამ ნახვის დროს, ჩვეულებრივ, ქვრივს თალხები ჰქონდა ცმული, მხლებლები კი იყვნენ მისი უმდიდრესად მოკაზმული.

1226. მათ წინაშე შესახვედრად გაეგება კარზე ისა. და მიიღო მოკრძალებით მან რაინდი ეტცელისა. დედოფალთან სადარბაზოდ სულ თორმეტმა შევლო კარი. არ ნახულა არსად ქვეყნად სხვა ელჩები მათი დარი.

1227. სთხოვეს ბატონს დაბრუნება; ამალითურთ დაჯდა ისა. ორი იდგა მხნე მარკგრაფი იქ წინაშე დედოფლისა: ეკვეარტი, გერე მასთან - ვაჟკაცები გმირთა დარი. ქალბატონი სევდის გამო, არვინ იყო მოდიმარი.

1128. მათ მსხდომარე დაინახეს მის წინ ბევრი ტურფა ქალი; ხოლო თვით კი მწუხარე და ტანჯული ჩნდა დედოფალი. მას სამოსის გულისპირი ცრემლით ჰქონდა განაბანი: ეს შენიშნა მარკგრაფმა და აღარ იჯდა დიდი ხანი.

1229. "ქალბატონო მეფისწულო", ჰკადრა ელჩმა მოკრძალებით, "გთხოვთ, მე და ჩემს მეგობრეს, ვინც აქ მოვსულვართ თქვენს წინ ხლებით, ნება დაგვრთოთ, მოგახსენოთ ყოველივე ფეხზე დგომით, თუ რისთვისაც შორი ქვეყნით გვიმგზავრია დიდი შრომით".

1230. "ნებას გაძლევთ", უპასუხა დედოფალმა სიტყვით ტკბილით, "მომახსენოთ, რის თქმაც გინდათ; მე ისე ვარ განწყობილი, რომ მოგისმენთ გულით; ელჩი ხართ სახელის მქონე თქვენა". ზოგიერთმა მის სახეზე შეამჩნია ჩუმი წყენა.

1231. რუდიგერმა, ბეხელარის მარკგრაფმა, მას მოახსენა: "დიდებული ეტცელ მეფე, ქალბატონო, გიძღვნით თქვენა. სიყვარულს და ერთგულებას. ეს რომ იყოს თქვენთვის თქმული, ამისათვის მან გაახლათ რაინდები გაბედული.

1232. სურს, რომ მისმა სიყვარულმა გაგიქარწყლოთ ტანჯვა თქვენა,

და მუდმივი მეგობრობის თქვენდა მიმართ უნდა ჩენა.  
როგორც ჰელზე დედოფლისთვის, ერთ დროს მეფეს რომ უყვარდა.  
მის გვირგვინს რომ ატარებდეს, ღირსი არ სჩანს სხვა, თქვენს გარდა".

1233. "რომ იცოდეს ვინმემ", უთხრა ნაღვლით სავსე დედოფალმა,  
"თუ, მარკგრაფო, მე რაგვარმა გადამიწვა გული ალმა,  
მაშინ იგი არ მიჩვედა, რომ შევიერთო კიდევ ქმარი.  
ქვეყნად ქალს არ დაუკარგავს, რაც დავკარგე მისი დარი".

1234. ელჩმა უთხრა: "რა ამშვიდებს, თუ არ ტკბილი სიყვარული,  
ჩვენს ნაღველს და მწუხარებას? ვისაც უთრთის ტრფობით გული.  
და იმასთან ერთად ძალუძს სასურველი ამორჩევა,  
ის შეიტყობს, რომ სიყვარულს შეუძლია ტანჯვის ღევა.

1235. და უდიდეს ბატონს ჩემსას თუ აირჩევს თქვენი გრძნობა,  
თორმეტ ძვირფას გვირგვინისა მოგეცემათ ბატონობა.  
თანაც გაძლევთ ქვეყნებს იგი ოცდაათი თავადისას,  
რომლებიც თვით დაუპყრია უძლიერეს მარჯვენს მისას.

1236. ხელქვეითად გეყოლებათ მეომარი ბევრი ქველი,  
ვისიც წინათ ქალბატონო ჰელზე იყო მბრძანებელი,  
და მშვენიერ ქალებს მრავალს, მსახურებდნენ ვინც მას ზველად,  
დიდ თავადურ გვარისანებს, ეყლებით საზრუნველად.

1237. მოვალე ვარ გკადროთ კიდევ მეფისაგან სიტყვა თქმული:  
თუ ისურვებთ, მასთან ერთად ბრძანდებოდეთ გვირგვინდგმული,  
მოგანიჭებს დიდ უფლებას - იგი ჰელესს ჰქონდა ძველად:  
ყველა მხედარს ეტყელისას ეყოლებით მბრძანებელად".

1238. უპასუხა მას კრიმჰილდემ: "შესაძლებლად ვინ სცნო ისა,  
რომ მე ისევ ცოლი გავხდე რომელიმე რაინდისა?  
მე სიკვდილმა მწუხარება ისე დიდი მომაყენა,  
რომ გამყვება სამარემდე ნაღველი და გულისტკენა".

1239. თქვენს ჰუნებმა: "დედოფალო, მშვენიერო აღმატებით,  
შეეწყობით და იცხოვრებთ თქვენ ეტყელთან ისე შვებით,  
რომ თანახმა თუ გახდებით, ჭირს არ იგრძნობთ არავითარს.  
დიდებული რაინდები მსახურებენ მეფეს მდიდარს.

1240. ჰელესს ნორჩი ქალები და ქალწულები ტურფა თქვენი.  
თქვენ სამსახურს გაგიწევენ პატივის და რიდის ჩენით.  
მოყმეც ბევრი გეახლებათ. ქალბატონო, დაგვრთეთ ნება,  
რომ გირჩიოთ - სასარგებლო თქვენთვის ფრიად ეს იქნება".

1241. "საუბარი კმარა, წადით", ქალმან უთხრა სიტყვით ტკბილიტ,  
"და ხელახლა ჩემს წინაშე გამოცხადდით ხვალვე დილით.

საბოლოო პასუხს მოგცემთ ამ ელცობის გამო თქვენა".  
მხნე რაინდებს არ უმძიმდათ ლოდინი და დინჯი თმენა.

1242. ხოლო ოდეს მოსულები გაემართნენ მათად ბინად,  
ქალბატონმა გიზელჰერი მოიწვია თავის წინა.  
და აგრეთვე დედა თვისი, მათ ორივეს უთხრა ქალმა:  
"მე შემფერის, მხოლოდ ცრემლი რომ აფრქვიოს ჩემმა თვალმა".

1243. გიზელჰერმა უთხრა: "დაო, მე ასე მაქვს ნაგრძნობარი.  
და მწამს გულით, რომ ეტყელი, თუ გახდება შენი ქმარი,  
უსათუოდ შესძლებს მოსპოს ეგ სახმილი გულის მწველი.  
რაც არ უნდა გითხრან სხვებმა, ეს იქნება სასურველი".

1244. უთხრა კიდევ გიზელჰერმა: "ის შეგაშრობს ცრემლებს ამდენს!  
თვით რონიდან რაინამდე და ელბიდან ვიდრე ზღვამდე.  
მზრძანებელი უფრო დიდი, არ ვიცი, თუ ვინმემ ჰპოვა.  
გიხაროდეს უნდა ძლიერ, თუკი იმან ხელი გთხოვა".

1245. უპასუხა: "ეგ არ არის, ძმაო ჩემო, კარგი რჩევა.  
მე შემფერის მარტოოდენ გოდება და ცრემლის ფრქვევა.  
როგორ ძალმიძს, რაინდთა წინ რომ გამოვჩნდა სასახლეში?  
ადრე გაქრა, თუ მქონია სილამაზე მე ჩემს დღეში".

1246. ქალბატონმა უტემ უთხრა საყვარელ ქალს ტკბილი ენით:  
"მოიქეცი შვილო ისე, როგორსაც ძმა გირჩევს შენი.  
თუ მეგობრებს დაუჯერებ, კარგად წავა შენი საქმე.  
რა ხანია, რაც მწუხარეს და ნალვლიან გხედავ აქ მე".

1247. შეევედრა მასინ ზენას და ალაპყრო ხელნი ცისკენ -  
შესძლებიყო ოქრო-ვერცხლის და სამოსის ფანტვა ისე, '  
როგორც მაშინ, ოდეს კიდევ მას ცოცხალი ჰყავდა ქმარი,  
ჟამი აღარ დადგებოდა კვლავ იმისთვის ამდაგვარი.

1248. დედოფალმა გუნებაში გაიფიქრა: "ჩემი ტანი.  
როგორ უნდა მივცე წარმართს? მე ხომა ვარ ქრისტიანი.  
ამის გამო ყველასაგან შევიქმნები საზრახველი.  
არა, ამას ვერ ჩავიდენ, თუნდ სამეფო მომცეს მთელი".

1249. ამგვარადაც გადაწყვიტა მთელი დღე და ღამე სრული.  
სარეცელში იწვა იგი, ღრმა ფიქრებსი ჩაძირულილ.  
ნათელით სავსე თვალებიდან განუწყვეტლივ ცრემლს ადენდა,  
ვიდრე დილის ცისკარზე ის არ წავიდა, რომ გათენდა.

1250. იმავ ცისკრის ლოცვაზე იქ მეფეებიც გაჩნდნენ ქველი,

მიეახლნენ თავის დასა და ჩაჰკიდეს ხელში ხელი.  
რჩევა მისცეს, ქმრად შეერთო ჰუნთა ქვეყნის მეფე სრული;  
მაგრამ მასში ვერ შენიშნეს თუნდ მცირედი სიხარული.

1251. ეტცელ მეფის ელჩებს მაშინ მოუწოდეს თავისთანა.  
იმათ უკვე სურდათ წასვლა გუნთერ მეფის ქვეყნიდანა,  
რა პასუხიც იქ არ უნდა მოესმინათ - ჰო, თუ არა -  
და რაინდი რუდიგერი გამოცხადდა კარზე წყნარად.

1252. მეგობრებმა მას ურჩიეს, გაერკვია მეფის ნება;  
ყველას სურდა შინისაკენ დაჩქარებით დაბრუნება,  
რადგან თავის სამშობლოში გზა სავალი ჰქონდათ დიდი.  
ელჩს წარუძგნენ იქით, სადაც მას კრიმჰილდე ნახა მშვიდი.

1253. შეეხვეწა ნაზ დედოფალს ის სიტყვებით საკადრისით,  
რომ განზრახვა საბოლოოდ გამოეთქვა იმას თვისი,  
რათა სიტყვა შესაფერი მიეტანოს მეფის წინა.  
ამ თხოვნაზე კრიმჰილდესგან მან უარი მოისმინა.

1254. აღარ ძალუძს იმას კიდევ შეიყვაროს კაცი გულით.  
"თქვენ სჩადიხართ ამას ცუდად"; მარკგრაფისგან იყო თქმული,  
"რად ინებებთ, რომ დაღუპოთ ტრფობის ღირსი ეს სხეული?  
კიდევ ძალგიძთ ღირსეულის ცოლი გახდეთ ღირსეული".

1255. არც თხოვნა და არცა რჩევა არ შველოდა საქმეს სრულად,  
ვიდრე იმას რუდიგერმა არ აღუთქვა დაფარულად,  
რომ ის შესძლებს, მას როგორმე საშვებედო უზღოს ელდა.  
მაშინ დიდი მწუხარება ქალს მცირედით მიუწელდა.

1256. "დაანებეთ თავი ტირილს!" მას რაინდი სთხოვდა ქველი,  
"თუნდ არვინ ჰუნთა შორის არ გეყოლოს მახლობელი,  
მე და ჩემი მეგობრები იქ ვიქნებით საკმარისი,  
თქვენს დამჩაგვრელთ რომ პასუხი მივუსაჯოთ საკადრისი".

1257. ამან მცირედ აგრძნობინა დედოფლის გულს სიამე.  
ელჩს უთხრა თუ: "შემომფიცეთ, რომ, თუ ვინმემ მიყოს რამე,  
თქვენ პირველი გადაუხდით სანაცვალს ჩემს ტანჯვაზე!".  
რუდიგერმა უპასუხა: "თანახმა ვარ მე ამაზე".

1258. მარკგრაფმა და მისმა ჯარმა სიტყვა მისცეს ფიცის დებით,  
რომ სამსახურს გულმოდგინედ გაუწევენ რაინდები;  
მიაგებენ მას დიდ პატივს, მათს დედოფალს ვით შეჰფერის;  
აღუთქვამდა ამას ხელი, გამოწვდილი რუდიგერის.

1259. დედოფალმა გაიფიქრა: "მეგობრები ამდაგვარი.  
თუკი ძალმიძს შევიძინო, მაშინ ჩემთვის ერთი არი,

რასაც იტყვის ჩემს შესახებ მოყვარე თუ გინდა მტერი.  
ეგებ ძვირფას ქმარის მკვლელებს მე მივუზღო მაგიერი.

1260. თუ რაინდი ესოდენი ჩემი გახდა ქვეშევრდომი,  
მოვახერხებ შევასრულო, რისიცა ვარ გულში მდომი.

აქვს მრავალი განძი ეტცელს, ძალმიძს გავცე საჩუქარი.  
საზიზღარმა ჰაგენმა კი მე წამართვა საკუთარი".

1261. მან რუდიგერს უთხრა ასე: "არა ჰქონდთ ჩემთვის თქმული,  
რომ ეტცელი წარმართია, წავიდოდი სიხარულით.  
იქ, სადაც ის მიბრძანებდა, მის ცოლად და დედოფალად".  
"აბა ეგ ნუ დაგაბრკოლებთ". მას მარკგრაფმა უთხრა კვალად.

1262. მას ბევრი ჰყავს სამსახურში რაინდები ქრისტიანი,  
და მეფესთან არავისგან არ მოგელით თქვენ ზიანი;  
კიდევ შესძლებთ დაიყოლოთ მეფე ჩვენი დიდებული.  
და ღვთისაკენ მოაქციოთ მისი ზრახვა, მისი სული".

1263. "გთხოვთ, დათანხმდით, დაო ჩვენო", მისმა ძმებმა უთხრეს მაშინ,  
"და ეს თქვენი მწუხარება მთლად დატოვოთ მომავალში!".  
დიდხანს სთხოვდნენ და ის ბოლოს, თუმცა სევდა გულს უკლავდა,  
დაეთანხმა რაინდებს, რომ ეტცელ მეფეს შეირთავდა.

1264. ასე უთხრა: "გეთანხმებით უბედური დედოფალი!  
მე ჰუნებთან წავალ, თუკი ჩემთან ერთად წამავალი.  
იმ ქვეყნისკენ რაინდები იქნებიან საკმარისად".  
და თანხმობის ნიშნად ტურფამ მხნე რაინდებს ხელი მისცა.

1265. ელჩმა უთხრა: "თქვენს ლენაში რაინდი ხომ არის ორი,  
მასთან მეც მყავს რამდენიმე, თვითეული გმირთა სწორი.  
მაშ, რაინი შეგვიძლია ჩვენ პატივით გარდავლახოთ;  
მსურს, ბურგუნდელთ ქვეყნიდან რომ მიმავალი მალე გნახოთ.

1266. მყავს ხუთასი მეომარი, მეგობრებიც საკმარისი.  
მათ თქვენდამი სამსახურში არ დაზოგონ თავი თვისი.  
არც აქა და არც იქ. თვით მსურს შევასრულო თქვენი ნება.  
არ შემრცხვება თქვენგან ჩემთვის ვალის ჩემის მოგონება.

1267. უბრძანეთ, რომ გაგიშაღონ აწ ყაჯრები ცხენებისა!  
რასაც გირჩევთ, არ დაგშთებათ სანანებლად შემდეგ ისა.  
ქალწულები იხმეთ მალე, ვისაც მართებს თქვენი ხლება.  
გზაშიც ბევრი რაინდი და გმირი შემოგვიერთდება.

1268. მას ზიგფრიდის დროინდელი დარჩენოდა კიდევ მაშინ.  
მრავლად ცხენის სამკაული, სახმარებლად მგზავრობაში.  
სვლა შეეძლო საპატიო - ამალით და მთელი ბარგით.

ლამაზ ქალებს მუნ მოართვეს უნაგირი ბევრი კარგი.

1269. თუმც სამოსი მუდამ ეცვა მას ტურფა და მრავალფერი,  
მაგრამ ახლა თან წაიღეს მოჭარბებით ყველაფერი,  
რადგან იმათ წინდაწინვე დიდი ესმათ მეფის ქება.

ზრუნვით დახსნეს ამდენი ხნის დაუხსნელი ყუთთა წყება.

1270. მათ ფუსფუსი დიდი ჰქონდათ ოთხი დღე და ნახევარი.  
მრავალ ნივთით ავსებული საწყობების აღეს კარი.  
დედოფალმა ოთახები დაკეტილი დახსნა თვისი:  
რუდიგერის კაცებს ძღვენი დაურიგა საკადრისი.

1271. კიდევ ჰქონდა ოქრო იმას ნიბელუნგთა ქვეყნიდანა;  
სურდა, იგი ჰუნებისთვის რომ საჩუქრად მიეტანა.  
ჯორი ოქროს წასაზიდად ექვსჯერ ასი არ კმაროდა.  
მყის შეიტყო ტრონიელმა, თუ კრიმჰილდეს რაც უნდოდა.

1272. თქვა: "არასდროს გამიხდება მე კრიმჰილდე მწყალობელი,  
და ამიტომ უნდა დარჩეს აქ ზიგფრიდის ოქრო მთელი.  
როგორ ძალმიძს ხელთ ჩავუგდო მტერს საკუთარს განძი ეა?  
კარგად ვიცი, ვით მოიხმარს კრიმჰილდე ამ საუნჯესა.

1273. ეს განძი რომ თან წაიღოს, ასეთი მაქვს გულში რწმენა,  
დაარიგებს მას მთლიანად ჩემი მტრების შესამენად.  
არცა კიდევ წასაღებად ცხენები ჰყავს საკმარისი.  
ჰაგენს არ სურს გაატანოს - ქერივს აუწყონ სიტყვა მისი".

1274. ამ ამბავის გაგონებამ შეაწუხა იგი დიდად.  
ცნობა ესე მასთან ერთად მეფეებსაც მიუვიდათ.  
სცადეს ეს არ მომხდარიყო, მაგრამ არ ჰქმნა ტრონიელმა.  
აქ კრიმჰილდეს სიხარულით მოახსენა ელჩმა ქველმა:

1275. "დედოფალო, ზედმეტია ოქროს გამო თქვენი დარდი!  
ჩემს დიდებულს ეტყელ მეფეს თქვენ იმდენად შეუყვარდით,  
რომე იგი ნახვის უმაღლ მთლად აგავსებთ საუნჯეთა,  
რომელსაც თქვენ ვერა ხანი ვერ ამოლევთ ვერა გზითა".

1276. მაშინ უთხრა დედოფალმა: "ღირსეულო რუდიგერო,  
რომ ჰოქნოდეს მეფის ასულს, როგორ უნდა დავიჯერო,  
სადმე განძი იმდენი, რაც მე წამართვა ტრონოელმა!"  
ამ დროს ფეხი შემოადგა იქ გერნოტმა მხნემ და ქველმა.

1277. მაშინ, მეფის ნებართვით, მან, კარში შეჰყო გასაღები.  
და კრიმჰილდეს განძი დიდი, მის მიერ თან წასაღები,  
ოცდაათი ათასი თუ მეტი მარკა გამოზიდა.  
სტუმართათვის; გუნთერ მეფეს გაუხარდა ესე დიდად.

1278. მათ ეტყოდა გოტელინდეს ქმარი იგი ბეხლარელი.  
"თუნდ კრიმჰილდეს ეკუთვნოდეს საუნჯე და განძი მთელი.  
ნიბელუნგთა ქვეყნისა, რომლისაც აქ თქვენ ხართ მცველი,  
მას არ უნდა მოეკიდოს დედოფლის ან ჩემი ხელი.

1279. უბრძანეთ, რომ შეინახონ, რადგან იგი მინდა არად.

ჩვენი ქვეყნით მოვიტანე ის იმდენი თქვენდა კარად,  
რომ სახარჯოდ ვერ ამოლევს მიქცევის დროს გზის სიდიდე.  
საკმარისი გვაქვს იგი და საკმარისზე მეტი კიდევ".

1280. მსახურ ქალებს დაეტვირთათ სულ თორმეტი კიდობანი.  
ისე კარგი ოქროთი, რომ არსად იყო მისი მგვანი:  
იგი თურმე ძველთაგანვე ყოფილიყო შენახული.  
მათ დატვირთეს საგზაოდ კიდევ ქალის ბევრი სამკაული.

1281. მას ჰაგენის ავი ძალა საშიშად და უჩნდა ჭირად,  
ათასამდე მარკა ჰქონდა შენახული შესაწირად:  
გაცა იგი საყვარელი ქმრის სულისთვის საწირავად.  
მისი დიდი ერთგულება რუდიგერმა ნახა თავად.

1282. "მეგობრები სად არიან", თქვა საბრალო ქალმა მაშინ,  
"ჩემთან ყოფნას რომ არჩევენ და ეტყვიან ქვეყანაში.  
რომ წამოვლენ ჩემთან ერთად? გამოჩენას მათსას ველი.  
ოქროს მივცემ, რომ იყიდონ ცხენები და სამოსელი".

1283. მას მარკგრაფმა ეკვარტმა დაჩქარებით მოახსენა:  
"ქალბატონო, იმის შემდეგ, რაც მსახრად გყავართ თქვენა,  
ჩემს სამსახურს ხომ ყოველთვის მე ვასრულებ ერთგულებით. '  
მსურს, მარადის პატივით რომ გექცეოდეთ არ ნაკლებით.

1284. ხუთას კაცსა, ჩემთან ერთად, წამოვიყვან მე იქ კიდევ:  
მიჩუქნია, იმსახურე და სახელი გაიდიდე.  
გეყოლებით განუყრელნი ჩვენ გარეშე სიკვდილისა".  
მადლი უთხრა დედოფალმა - ფერგამკრთალმა შუქმან მზისა.

1285. მოუყვანეთ მათ ცხენები. განემზადნენ წასასვლელად.  
მუნ დაშთენილს მეგობრებსა ცრემლი ველარ დაეძალათ.  
დედოფალი წუხდა უტე და ქალების ტურფა კრება,  
რომ მათ ძვირფას კრიმჰილდესთან უხდებოდათ განშორება.

1286. გაიყოლა თან ქვეყნიდან მან ასული ტურფა ასი.  
ტანთ ჩააცვეს სამოსელი შესაფერი და ძვირფასი.  
ნათლით სავსე თვალებიდან დიდი იყო ცრემლთა დენა.  
შემდეგ ეტყელ მეფის კარზე მათ მრავალი მიხვდა ლხენა.

1287. გამოცხადდა გერნოტ მეფე და ჭაბუკი გიზელჰერი, თავიანთი ჯარებითურთ, რომ პატივით შესაფერით. მათ მოეწყოთ ძვირფასი დის შორეული გაცილება. თან ამაღად მოისურვეს ათასამდე კაცის ხლება.

1288. მოდგა გერე და ორტვინი, ხლების იყო მათგან წესი. მხნე რუმოლდიც გაჰყვა თანა, მზარეულთა უხუცესი, მათ მოუწყვეს ღამეების გასათევი ქალებს გზებზე. გუნთერი კი გაჰყვა მხოლოდ მათ ქალაქის კარიბჭემდე.

1289. როდესაც კი დააპირეს რაინიდან წასვლა, მაშინ. გააგზავნეს შიკრიკები მათ ჰუნების ქვეყანაში. რათა ეტყელ მეფისათვის მიეტანათ ცნობა მალი, რომ უთხოვა რუდიგერმა მას მაღალი დედოფალი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ე რ თ ე .

როგორ გაემგზავრა კრიმჰილდე ჰუნებთან.

1290. დე, მიჰქროდნენ შიკრიკები, თქვენ კი სცნობდეთ ჩვენგან სმენით, თუ ქვეყნები რაინიდან კრიმჰილდემ ვით განვლო ცხენით. და, აგრეთვე, სად გაშორდნენ დას გერნოტ და გიზელჰერი. გაუწია სამსახური მას ორივემ შესაფერი.

1291. როცა მიადგნენ დუნაის, ფერგენის მიმართულებით, მათ თავიანთი გაშვება სთხოვეს დედოფალს სრულებით, რადგან უნდოდათ მიქცევა კვალად რაინის მხრეში. მათ ჩაატარეს ეს თხოვნა ცრემლსა და სიმწუხარეში.

1293. მას ყოველმან ნათესავმა დაუკოცნა პირი გულით. და გაშორდნენ ამის შემდეგ მეგობრული სიყვარულით. ბურგუნდელი რაინდები რუდიგერის ამაღისა. კრიმჰილდესთან ბევრი ტურფა განაგრძობდა ქალი სვლასა.

1294. სულ ას ოთხი იყვნენ; ეცვათ მშვენიერი სამოსელი. ფერადოვან ქსოვილების. არეები ჩანდა ვრცელი. ფარებისა; იყო მათგან ციალი და სხივთა თოვა. მხნე ფოლკერმაც დედოფალსა შინ მიქცევის ნება სთხოვა.

1295. ბავარიის ქვეყნისაკენ მათ დუნაი გადალახეს. მყის გავარდა ამბავი, რომ მოსულები ბევრი ნახეს. უცხო ქვეყნის რაინდები, შეჭურვილი ჯავშან-რკინით, მონასტერთან ახლოს, იქვე, სად დუნაის ერთვის ინი.



1296. პასაუ იყო ქალაქი ეპისკოპოსის ქველისა.  
დაცარიელდა სახლები და ეზო მბრძანებელისა.  
შორს გაეგებნენ მოსულებს, შინ დაიცადეს ველარა:  
პილგრინი ეპისკოპოსი კრიმჭილდეს წინ შეიყარა.

1297. ქვეყნის მშვენიერ რაინდებს არ ემჩნეოდათ ნაღველი.  
რომ გახდნენ ქვრივი დედოფლის ტურფა ქალების მნახველი,  
თვალით ეტრფოდნენ ისინი მაღალ რაინდთა შვილებსა.  
მყის მიუჩინეს ბინები უეცრად მოვლენილებსა.

1298. ეპისკოპოსი, დისწულით, პასაუს ცხენით წავიდა.  
მაშინ ვაჭრები, როდესაც ქალაქს ამბავი ჩავიდა,  
რომ მბრძანებელის დისწული, კრიმჭილდე, მოდის თავადა,  
გამოეგებნენ პატივით საჭვრეტლად, სანახავადა.

1299. ეპისკოპოსმა ისურვა ღამე იქ მათი დარჩენა.  
თქვა ეკევარტმა: "არ ძალგვიძს, რადგან წამსვლელი ვართ ჩვენა.

მხნე რუდიგერთან და გვინდა ადრე გავლიოთ სავალი:  
მოუთმენელად მიგველის რაინდი მისი მრავალი".

1300. რუდიგერის ცოლსაც ემცნო, დიდი ჰქონდა სამზადისი:  
ის ზრუნავდა შეხვედრისთვის და ასულიც მასთან მისი.  
დაარიგა ქმარმა ასე, კარგად სთვლიდა ამას ისა,  
რადგან სურდა, ამით ჰქმუნვა განეფანტა დედოფლისა.

1301. დაუბარა, რომ ენზაზე მხლებლებითურთ დახვდეს წინა.  
როდესაც კი მან ამისთვის სამზადისი გააჩინა,  
მთლად ქუჩები ქალაქისა ხალხისაგან დაიფარა.  
ქვეითი და ცხენოსანი შესახვედრად მოიჯარა.

1302. ევერდინგამდე კრიმჭილდემ უკვე გალია სავალი.  
ბავარიაში ამბობდნენ, რომ ყაჩაღები მრავალი.  
გზებზე სძარცვავდნენ მოგზაურთ, როგორც წესია იმათი.  
სტუმრებს ელოდა იმათგან ბევრი ვნება და ხიფათი.

1303. მაგრამ იმათ რუდიგერმა ეს თავიდან ააცდინა.  
ათას რაინდს, თუ უფრო მეტს, მიუძღოდა იგი წინა.  
გამოვიდა გოტელინდეც, რუდიგერის ცოლი ტკბილი.  
მას თან ახლდნენ რაინდები, ზვიადი და მოხდენილი.

1304. როცა ენზასთან ტრაუნზე გადადიოდნენ მგზავრები,  
იქ დაინახეს ბინები და დაცემული კარვები.  
რომ შესზლებოდათ სტუმრებს მუნ მშვიდად გათევა ღამისა,  
მარკგრაფ რუდიგერს შეექმნა ზრუნვა სმისა და ჭამისა.

1305. ბანაკიდან შესახვედრად გამოვიდა ტურფა ჩენით.

ცოლი მისი, გოტელინდე. მშვენიერი ბევრი ცხენი.  
გაიშალა გზაზე მაშინ აღვირები ჟღარუნითა.  
კარგად შეხვდნენ. რუდიგერი გაახარეს იმათ მითა.

1306. ორივე მხრიდან მინდორზე ესალმებოდნენ კაცები.  
მიმოფრინავდნენ რაინდნი, ცხენთაგან მონატაცები;  
მათს თამაშობას რაინდულს უმზერდნენ ტურფა ქალები.  
ეფინებოდათ ჭაბუკებს გულზე სიამის ალები.

1307. როდესაც კი სტუმრებს შეხვდნენ რუდიგერის მოყმეები.,  
შეხედავდით, რომ ჰაერში ფრენდნენ შუბთა ნამსხვრევეები,  
რაინდთაგან გასროლილი, ჩვეულება იყო ვითა.  
ქალბატონთა გასართობად მიმოჰქროდნენ ცხენებითა.

1308. ეს მოთავდა ამით. შემდეგ მისალმება მეგობრული.  
ერთმანეთთან იწყეს კაცთა. გოტელინდე მუნ მოსული.  
მიიყვანეს იქ, სადაც მან დედოფალი ინახულა.  
მოყმეთ, ქალთა მომსახურეთ, აღარ ჰქონდა მოცლა სრულად.

1309. ბეხლარის ფოგტმა ხელად მიაჭენა ცოლთან ცხენი.  
მშვენიერი მარკგრაფინა თვის მეუღლეს შეხვდა ლხენით;

გაუხარდა, რაინიდან მისი უკან შემოქცევა,  
მწუხარება განუქარდა, მზურნველობამ იწყო ლევა.

1310. გოტელინდე რომ მიიღო, რუდიგერმა მყისვე ბრძანა.  
ჩამოხლტომა მინდვრად მისი და მათი, ვინც ახლდა თანა.  
იქ არ დარჩა უსაქმუარდ ღირსეული ბევრი კაცი:  
მზრუნველობას ავალებდნენ მათ ქალები გულწამრტაცი.

1311. ქალბატონმა კრიმჰილდემ რომ შეამჩნია მარკგრაფინა.  
გარს მხლებლებით შემორტყმული, არ გაუშვა ცხენი წინა.  
მოუწია სადავე და შეაყენა ცხენი მანა.  
მოითხოვა უნაგრიდან ძირს სასწრაფოდ ჩამოყვანა.

1312. ნახეს, თუ ეპისკოპოსმა და ეკევარტმა მასთანა,  
ვით წაიყვანეს კრიმჰილდე ქალბატონ გოტლინდესთანა.  
ხალხი გაიყო შუაზე, უთმობდნენ გზასა წინასა.  
უცხო ქვეყნელმან იქ პირზე აკოცა მარკგრაფინასა.

1313. მაშინ ეტყოდ ტკბილად მას მეუღლე რუდიგერისა:  
"ჩანს, ქალბატონო, ეს არის წყალობა ბედისწერისა,  
რომ საკუთარი თვალით მე გავხდი აქ თქვენი მნახველი.  
რა მომხვდებოდა უმეტეს სიკეთის გამომსახველი!".

1314. "ღმერთმან გიზლოთ, გოტელინდე", დედოფალმნა უთხრა ზრდილად,  
"ბოტლუნგისა ძესთან ერთად თუ ვიცხოვრებ მე კეთილად,

ამ შეხვედრის გამო მმართველს მწყალობელი თქვენი ვიყო".  
არ იცოდნენ მათ, შემდგომად თუ რა უნდა მომხდარიყო.

1315. მიუახლოვდნენ ერთმანეთს ზრდილობიანად ქალები.  
სამსახურისთვის მზად იყვნენ მუნ რაინდები მალე.  
დასხდნენ მწვანეზე ისინი, შემდგომად მისალებისა.  
დაიწყეს მაშინ გაცნობა აქამდე უცნობებისა.

1316. მასპინძლობა იწყეს მათ წინ. შუადღისა იყო ჟამი,  
მოახლეებს აღარ სურდათ დასვენება ერთი წამით.  
გაემზავრნენ იქით, სადაც კარვები დახვდათ ვრცელი.  
იქ შეეძლოთ გაეწიათ პატივცემა სასურველი.

1317. გადაეწყვიტათ გათევა ამ ადგილას ერთი ღამისა.  
ბეხლარიდან ვინც იყვნენ, სურვილი ჰქონდათ ამისა,  
რომ მასპინძლობა მოეწყოთ სტუმართა შესაგვანები.  
იყო ყველაფრის სიუხვე იქ რუდიგერის ბრძანებით.

1318. ჩანდნენ ფანჯრები ღიანი კედლებში დატანებული;  
თვით ბეხლარის ქალაქიც მოჩანდა კარგალებული.  
შიგნი შეიჭრნენ სტუმრები, დამხვედურთა გასახარები.  
მისცა მარკგრაფმა მათ მალე კარგი თავშესაფარები.

1319. მსახურებითურთ მივიდა იქვე მარკგრაფი ასული.

გულმხიარული იყო ის, დედოფლის ნახვად გასული.  
დედაც იქ იყო იმისი, მეუღლე რუდიგერისა,  
თანხლებულ ქალთაც მოუწყვეს შეხვედრა შესაფერისად.

1320. შემდეგ წავიდნენ, ხელებით ურთიერთ ჩაჭიდებული.  
დახვდათ მათ ფართო დარბაზი, ძღვირფასად გაკეთებული,  
რომლის წინ დაბლა დუნაი რბოდა ტალღების ჩქერებით.  
გასცქერდნენ სივრცეს სიამით ქალები მშვენიერები.

1321. აღარ ძალმიძს გითხრათ კიდევ, ამის შემდეგ მოხდა თუ რა,  
რაინდები კრიმჰილდესი, წასვლის დრო რომ მიიწურა,  
გულით წუხდნენ განშორებას, და გართობამ იწყო კლება.  
ბევრ კარგ მოყმეს შეხვდა მათი ბეხლარიდან გაცილება.

1322. მათ მარკგრაფი სცემდათ პატივს თავაზიან სამსახურით.  
დედოფალმან გოტელინდეს ქალს თორმეტი სამაჯური.  
უსახსოვრა სულ ოქროსი და ძვირფასი სამოსელი,  
რომელზედაც უკეთესის თვით არ იყო წამლებელი.

1323. თუმც საუნჯე ნიბელუნგთა მას წაართვეს უთვალავი,  
მაგრამ ყველას, ვინც კი ნახა, შეაყვარა იმა თავი.  
იმ მცირედი ქონებითა, რომელიც მას კიდევ დარჩა.

მეპატრონის მსახურს მისცა მან ოქრო და ბევრი ფარჩა.

1324. ამგვარადვე იჩქარიდა ქალბატონი გოტელინდე,  
რანელი სტუმრებისთვის რომ პატივი ეცა კიდე.  
ამის გამო აღარ იყო იქ ისეთი უცხოელი,  
რომ იმისგან არ მიელო თვლები ან თუ სამოსელი.

1325. გამგზავრების წინ სტუმრებმა ისაუზმეს, ჭამეს პური.  
გოტელინდემ შესთავაზა მას ერთგული სამსახური.  
ესაუბრა ეტყელის ცოლს გულთბილი და ენატკბილი.  
დედოფალმაც მას წასვლის დროს დაუკოცნა ტურფა შვილი.

1326. "თუ იქნებით თქვენ თანახმად", მან დედოფალს უთხრა მაშინ:  
"საყვარელი ჩემი მამა მე ჰუნების ქვეყანაში.  
თქვენთან ერთად, ქალბატონო, გამაგზავნის სიხარული!".  
გაუხარდა კრიმჰილდეს, რომ მისი იყო ის ერთგული.

1327. ბეხლარის წინ მყის ცხენები მიიყვანეს შეკაზმული,  
რომ კრიმჰილდე დაეთხოვა ალერსით და სიყვარულით.  
რუდიგერის მეუღლეს და ასულს მისას მომხიბლავსა,  
სხვა მრავალი ტურფა ქალი მის წინაშე ხრიდა თავსა.

1328. ძვირად ხედავდნენ ერთმანეთს, რა რომ წავიდნენ იქიდან.  
მიმავალ სტუმრებს, გზად გასულთ, მიათვეს მედელიკიდან.  
ძვირფასი ღვინით აღვსილი ოქრო ჭურჭელი მრავალი.  
დაალევინეს, დალიეს, გზა დაულოცეს სავალი.

1329. იყო ერთი მასპინძელი იქ ასტოლდათ წოდებული;  
გზა ასწავლა იმან სტუმრებს ავსტრიისკენ მიმართული,  
ძირს, ღუნაის დაყოლება, მაუტერნით მიმავალი.  
დიდ პატივში ჰყავდათ შემდგომ იქ კრიმჰილდე დედოფალი.

1330. დეთხოვა სიყვარულით თავის დისწულს მღვდელმთავარი.  
ის ურჩევდა, მოქმედება თუ მართებდა მას რაგვარი,  
რომ პატივი მოეხვეჭა მსგავსად ჰელხე დედოფლისა.  
ჰაი, ბოლოს ჰუნთა შორის რა პატივში იყო ისა!

1331. მალე მივიდნენ სტუმრები მდინარე ტრაიზენტანა.  
მათ რუდიგერის მოყმენი მანამდე ეახლნენ თანა,  
ვიდრე არ შემოეყარნენ ჰუნები, ცხენთა ჭენებით.  
დედოფლის მიმართ კვლავ იყვნენ დიდთა პატივთა მჩენები.

1332. ამ მდინარე ტრაიზენტან ჰვლობდა ჰუნთა მბრძანებელი.  
ციხე-ქალაქს, მეტად მდიდარს; მას იცნობდა მხარე მთელი.  
ხმობდნენ ტრაიზენტაუერად. იქ ერთხანად ჰელხე იყო.  
რა სიუხვეს ის იჩენდა, მსგავსი არსად მომხდარიყო.

1333. არასოდეს კრიმჰილდემდე. მან ქონება გასცა დიდი.  
მწუხარებით სავსემ, ამით სიხარული ნახა მშვიდი.  
მის სიკეთეს ადიდებდნენ ქვეშევრდომნი ეტყელისა.  
რაინდებმა ქების ღირსად მიიჩნიეს მალე ისა.

1334. მეფე ეტყელის უფლება იმდენად შორსა სწვდებოდა,  
რომ იმის კარზე ყოველთვის შეხვედრა შეიძლებოდა.  
ვაჟკაცობაში უბადლო ბრწყინვალე რაინდებისა, სჯულიტ,  
ვით ქრისტიანების, აგრეთვე წარმართებისა.

1335. მის სამეფოში ყოველგან (მსგავსი რამ არსად ნახულა).  
ეს ორი სარწმუნოება თანაბრად გამოსახულა.  
სავალდებულო იქ სხვიდი სჯული არვისთვის ხდებოდა.  
მაგრამ ხელმწიფის სიუხვე ყველას საკმაოდ სწვდებოდა.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ო რ ე.

როგორ მიიღეს ჰუნებმა კრიმჰილდე.

1336. ქალბატონ ტრაიზმაუერს დღეს ოთხი შენასვენები,  
კვლავ გაემართნენ ისინი წინ უსწრაფესი ცხენებით.  
მტვერი მიჰქროდა, ვით ალი, ქარისგან მონატაცები.  
ავსტრიის გავლით ვიდოდნენ მეფე ეტყელის კაცები.

1337. ცნობა მიაართვეს ხელმწიფეს საამებელი გულისა,  
მას განუკურნა რომელმან ტკივილი ძველი წყლულისა:  
მოახლოება აცნობეს იმისი თვალის ჩინისა.  
ნახვის მოსწრაფე, საჩქაროდ მას მიეგება წინ ისა.

1338. მეფე ეტყელის გარშემო მიაგელვებდნენ ცხენები.  
მხნეობით სავსე რაინდებს, მეტყველთ მრავალგვარ ენებით.

იყვნენ წარმართნი ზოგნი და ზოგნიცა ქრისტიანები.  
ზეიმით შეხვდნენ დედოფალს გმირები მოსალამენი.

1339. გამორეოდნენ მათ შორის რუსნი და ვალახელები,  
პოლონელნი და ბერძნებიც. მათ უკან გზები, ველები.  
ცხენთაგან გადათელილნი იბურებოდნენ მტვერითა.  
ჩანდა მათგანი ყოველი თავის სამშობლოს ფერითა.

1340. ბევრი იყო ცხენოსანი იქ ვაჟკაცი კიეველი.  
და ველური პეჩენეგი. მათ დაუწყეს მძლავრი ხელით.  
ისრის ტყორცნა ფრინველებსა, ჰაერში რომ დაფრინავდნენ.

მთლად მშვილდების ბოლომდისი მახვილ ისრებს დაზიდავდნენ.

1341. დუნაიზე ქალაქია, მდებარეობს ავსტრიაში;  
ტულნი ჰქვიან სახელად. იქ კრიმჰილდემ ნახა მაშინ.  
ბევრი უცხო ჩვეულება ჯერ მის მიერ უნახავი.  
ხალხი შეხვდა, მათ იმისგან დასასრული ჰქონდა შავი.

1342. ეტცელის წინ მიჰენობდნენ უკეთესნი შინაყმანი.  
თანვე ახლდა, ლხინისა და ჭირისათვის მარად მზანი,  
მას თავადი ოცდაოთხი, ძლიერი და დიდებული.  
დედოფალის ნახვის ნდომით უფეთქავდათ ძალზე გული.

1343. იქ მოვიდა მაშინ რამუნგ, მხნე ჰერცოგი ვალახელი,  
თანხლებული იყო იგი შვიდას კაციტ ცხენფიცხელიტ.  
წინ ილტვოდნენ გაქანებით, ფრინველებზე უფრო ჩქარით.  
მძლე თავადი გიბეკეცა იქ გამოჩნდა დიდი ჯარით.

1344. ამგვარადვე მხნე ჰორნბოგი მეფის მხრიდან მოდგა ჩქარა.  
და ათასი ცხენოსნითა თვის ქალბატონს შეეყარა.  
ტაიჭებზე ისხდნენ ტურფად თავიანთი ქვეყნის ჩვევით.  
და ჰუნების თავადებიც მოდიოდნენ გამორჩევით.

1345. გამოვიდა დანიელი მუნ ჰავარტი, კარგი გმირი.  
და ირინგი მძლავრი, მარჯვე, მართალი და პირდაპირი.  
ტურინგელი მოდგა ინფრიდ, მეომარი მშვენიერი.  
მიეგებნენ დედოფალსა წინ პატივით შესაფერით.

1346. ათას ორასი იდგა იქ კაცი დედოფლის მლოდელი.  
სამი ათასი მეომრით მოდგა რაინდი ბლოდელი.  
იგი ძმა იყო მეფისა, მოსული ჰუნთა მხარიდან.  
კრიმჰილდეს ნახვად, ზვიადი ვიდოდა თვისი ჯარითა.

1347. მოვიდა მეფე ეტცელი, მას თან დიტრიხი ხლებოდა.  
და რაინდები მრავალი. ნახვა მუნ შეიძლებოდა.  
ბევრ წარჩინებულ ვაჟკაცის, რიგრიგად დარაზმულისა.  
ამან კრიმჰილდეს ნაღველი შეუმსუბუქა გულისა.

1348. მხნე რაინდმა რუდიგერმა დედოფალსა მოახსენა:  
"ქალბატონო, ჩვენს დიდ მეფეს სურს მიგილოს ახლა თქვენა.

ვიზედაც მე მიგითითებთ, მას აკოცოთ უნდა პირად.  
მეფის ყველა რაინდები არ მიიღოთ ერთნაირად".

1349. დიდებული დედოფალი ძირს ჩამოსვეს ცხენიდანა.  
სვემაღალმა ეტცელ მეფემ მეტი აღარ დაახანა.  
და ჩამოხტა მყის, მრავალი ვაჟკაცებით თანხლებული.  
კრიმჰილდეს წინ წარსდგა იგი, სიხარულით ანთებული.

1350. დანამდვილებით ვიცით ჩვენ, ორ ძლიერსა და მხნე თავადს,  
დედოფლის უკან მიმავალთ, მისი შლეიფი ეკავათ,  
როდესაც წინ მიეგება ეტცელი მას გულმზიანად.  
მან პირზე კოცნით მიიღო ხელმწიფე თავაზიანად.

1351. გადიწია რიდე მან და მშვენიერმა მისმა ფერმა.  
ოქროთაგან იწყო კრთომა. მეომარმა მაშინ ბევრმა.  
თქვა, რომ ჰელზე ვერა სჯობდა მას სახით და ვერცა ტანით.  
მის მახლობლად იყო მდგომი ძმა მეფისა ბლოდელანი.

1352. მხნე მარკგრაფმა რუდიგერმა მას ურცია კოცნა მისი,  
მასთან მეფე გიბიხისა და აგრეთვე დიტრიხისი.  
თორმეტ რაინდს პირზე კოცნით შეეყარა დედოფალი,  
დანარჩენებს მისალებით გადაავლო მხოლოდ თვალი.

1353. ვიდრე ტურფა კრიმჰილდესთან ეტცელ მეფე იყო მდგარი,  
თვისი კუთხის წესისამებრ, ბევრი ნორჩი მეომარი.  
მათ სამხედრო თამაშობას უჩვენებდა ცხენოსანი.  
სჩადიოდა ამას ყველა - წარმართი და ქრისტიანი.

1354. რა რაინდულად ლალობდნენ დიტრიხის მეომარები!  
ჰაერში სტვენით დაჰქროდნენ ნამსხვრევი შუბისტარები,  
ფარების ზემოთ, რომლებსაც აელვარებდნენ გმირები.  
გერმანელებმა მრავალ ფარს შემოალეწეს პირები.

1355. შორს გაისმოდა ლაწანი უამრვ შუბის ტარისა.  
იქ შეყრილიყვნენ რაინდნი მთელი ჰუნეთის მხარისა,  
მეფის სტუმრები აგრეთვე, სავსე სიმხნით და ძალითა.  
წავიდა მეფე მუნგათან თავისი დედოფალითა.

1356. იქ მახლობლად მშვენიერი მათ კარავი დახვდათ სრული.  
გარეშემო მრავალ ქოხით ველი იყო დაფარული.  
ეს გაეწყოთ მისთვის, რათა მოეკრიბათ დალილთ ძალი.  
მიაცილეს რაინდებმა უტურფესი ბევრი ქალი.

1357. მუნ დედოფალ კრიმჰილდესთან, რომელიც იქ იჯდა წყნარად.  
მდიდრულ ნოხზე; სკამი მისი გააკეთეს იმდაგვარად,  
თვით მარკგრაფის ბრძანებით, რომ ყველას ტურფად მოეჩვენა.  
დიდი იყო ეტცელ მეფის სიამე და გულის ღებენა.

1358. თუ იქ რაზე საუბრობდნენ, თქმა ამისა არის ძნელი.

მის მარჯვენაში ისვენებდა ქალბატონის თეთრი ხელი.  
ასე ისხდნენ სიყვარულით. გაულაღდა მეფეს გრძნობა;  
რუდიგერმა აუკრძალა მას ფარული აშკობა.

1359. შეწყდა ყველგან ვარჯიშობა, გასართობად გამართული.  
საპატიოდ დაბოლოვდა სიხარულის ჟრიამული.  
გაემართნენ კარავთაკენ, თავმოყრილი იყო ვინა.  
მასპინძელს და ყოველ სტუმარს მიჩენილი ჰქონდა ბინა.

1360. ისვენებდნენ იქ ისინი სადამო და ღამე სრული.  
რა გათენდა, ყველა ისევ ფეხზე დადგა მხიარული.  
ცხენოსანი რაინდები გამოვიდნენ შემდეგ წყობად.  
რა თამაში გაიმართა იქ ხელმწიფის გასართობად!

1361. ეტყელ მეფემ სთხოვა ჰუნებს ხელოვნების გამოჩენა.  
გაემართნენ ტულინიდან წინ, სად ქალაქ იყო ვენა.  
მოეგებნენ ქალნი მრავლად; სამკაულნი სჭრიდა თვალსა.  
ღრმა პატივით შეხვდა ყველა ეტყელ მეფის დედოფალსა.

1362. ყველაფერი მათთვის უკვე მონამზადი იყო ჭარბად.  
დღესასწაულს მოელოდნენ რაინდები ბევრი ხარბად;  
მიუჩინეს მოწვეულებს საცხოვრებლად ბინა სრული.  
და შეუდგნენ მეფის ქორწილს ზეიმით და სიხარულით.

1363. თვით ქალაქში სადგომები არ აღმოჩნდა საკმარისი.  
და სტუმარი ვინც კი იყო, რუდიგერმა ბრძანა მისი.  
მოთავსება გარს მდებარე სოფლებშიგან მცხოვრებთ კარად.  
მე ვიცი, რომ ეტყელ მეფე კრიმჰილდესთან იყო მარად.

1364. მხნე რაინდმა დიტრიხმა და რაინდებმა სხვებმა კიდევ.  
მთლად დაკარგეს იმის გამო მოსვენება და სიმშვიდე,  
რომ სტუმრები საპატიო ყოფილიყვნენ არ მოწყენით.  
რუდიგერმა სხვებთან ერთად გაატარა ჟამი ღვინით.

1365. სულიწმინდის მოფენის დღეს ქორწინება მოხდა მათი.  
და ვენაში მეფის გვერდით დედოფალიც დაწვა მნათი.  
უნდა ითქვას, რომ ამდენი ვაჟკაცი და მეომარი.  
მას მსახურად არ ჰყოლია, რომ შეირთო პირველ ქმარი.

1366. მას გაეცნო ყველა მისი საჩუქრების მეოხებით.  
ამის გამო მუნ სტუმრები წარმოთქვამდნენ დიდის ქებით:  
"ჩვენ გვეგონა, რომ კრიმჰილდეს ჩამოართვეს განძი სრული,  
ნამდვილად კი საჩუქრებით მან გვიჩვენა სასწაული".

1367. ჩვიდმეტი დღე გრძელდებოდა ეს ქორწილი სავსე შვებით.  
ჯერ მეფეზე არა თქმულა სარაინდო სიმღერებით,  
რომ ქორწილი გადახადოს მას ესოდენ საკვირველი.  
ყველა დამსწრეს ტანთ ახალი მუნ ჩაეცვა სამოსელი.

1368. ნიდერლანდში, თავის სახლში, ის არსდროს არა მჯდარა.



ესდენ მრავალს ვაჟკაცთ შორის; მე თვით ვიცი შეუმცდარად,  
რომ ზიგფრიდ გმირს თუმც საუნჯით ვერ სჯობნიდა ქვეყნად ვერვინ,  
ეტყველ მეფეს რაინდები ჰყავდა მასზე უფრო ბევრი.

1369. ჯერ ქორწილში არასდროს არ გაცემულა მეფის ხელით.  
მანტიები ასე ტურფა, ფართონი და ეგზომ გრძელი.  
და სამოსი ამნაირი, იქ დამსწრეთ რომ ერგოთ წილად.  
დედოფალის გულისათვის ჯილდო გასცეს ხელგაშლილად.

1370. სტუმრები და დამხვდურები ერთი ზრახვის იყო ყველა.  
გულუხვობდნენ დამხვდურები, მასპინძლობდნენ საკვირველად.  
ხელგაშლილი ლხინი ჰქონდათ, ენით რომ არ გამოითქმის,  
ამ ხელგაშლით ზოგიერთი თვით შიშველი დარჩა თითქმის.

1371. და როდესაც გაიხსენა მან რაინზე ტახტსა ჯდომა,  
დაღუპული ქმარი თვისი - ცრემლმა უწყო თვალზე კრთომა,  
მაგრამ იგი მას მალავდა, შემჩნევსა ჰქონდა რიდი.  
რადგან მრავალ ტანჯვის შემდეგ აქ პატივი ერგო დიდი.

1372. გულუხვობა ყველას მუნ, დია, ჩანდა ვითა ქარი, '  
მხნე დიტრიხთან შედარბით. მან გასცა, ვით საჩუქარი,  
ბოლტუნგენის ძისგან რაც კი შეხვედროდა იმას წილი.  
თვით მარკგრაფი რუდიგერიც მეტად იყო ხელგაშლილი.

1373. გმირმა ბლოდელმაც, რაინდმა ჰუნგრეთის მიწა-წყალისა,  
ამოცლა ბრძანა საგზაო კიდობნის მუნ მრავალისა,  
სავსისა ოქრო-ვერცხლითა; გაიცა იგი სრულაა.  
ჩნდა, რომ რაინდნი მეფისა ცხოვრობდნენ მხიარულადა.

1374. ვერბელი და შვემელინი, მემუსიკენი მეფისა,  
ალივსნენ: ჟამი დუდგათ იმათ ფულების კრეფისა.  
თითოს ათასი მარკა ხვდა წვეულების დროს კარზედა,  
სადაც დედოფალ კრიმჰილდეს გვირგვინი ედგა თავზედა.

1375. მეთვრამეტე დღეს ცხენებით განვლეს მათ ვენის კარები.  
რაინდულ თამაშობის დროს ბევრი გაგმირეს ფარები.  
ბასრი ისრებით, ნატყორცნი მხნე ვაჟკაცების მკლავითა.  
ამგვარად მეფე ეტყელი ჰუნთა მხრეში ჩავიდა.

1376. ძველს ჰაიმბურგში მოუხდათ იმათ გათევა ღამისა.  
რამდენი იყო ხალხი იქ, თქმა ვის შეეძლო ამისა!  
მათ გაიარეს ქვეყანა დიდი სამხედრო ძალებით.  
მშობელ მხარეში, ჰეი, მათ დახვდნენ რა ტურფა ქალები!

1377. მაიზენბურგით გაემგზავრნენ აფრიანი კატარღებით.  
დაიფარა პირი წყალთა მთლად ცხენებით და კაცებით.

თითქოს იგი იყო მიწა, მიმდინარე ნება-ნება.  
მგზავრობისგან დაღლილ ქალებს იქ შეეძლოთ მოსვენება.

1378. გადააბეს ერთმანეთზე მუნ მრავალი კარგი ნავი,  
რომ ტალღების მიმოქცევით ყოფილიყვნენ დაუნთქავი.  
ზედ კარვები დადგეს კოხტა და საკმაოდ დამტვეელიც.  
იქ ორივე იყო თითქოს, მიწაცა და მინდორ-ველიც.

1379. ეტცელბურგში მიუვიდათ ცნობა მეტად საამური.  
უხაროდათ ქალებს, კაცებს, ამ ამბავს რომ მოჰკრეს ყური.  
მეფის შინამსახურებმა, ვინც ჰმონებდა ჰელეს გულით,  
კრიმჰილდესთან დღე მრავალი განიცადეს მხიარული.

1380. მას ქალბატონი მრავალი ელოდა წარჩინებული.  
ჰელზე დედოფლის სიკვდილით ჰქონდათ მათ გული ვნებული.  
კრიმჰილდემ ნახა აგრეთვე იქ მეფის შვიდი ასული;  
ისინი იყვნენ ეტცელის ქვეყნის მშვენება და სული.

1381. იქ ჰერატი, ნორჩი ქალი, ფარეშებზე მზრუნველობდა;  
მას, დედოფალ ჰელეს დისწულს, სათნოებით ვერვინ სჯობდა;  
ცოლი იყო დიტრიხისა და ნენტვინი მეფისწული,  
პატივით და სიყვარულით სარგებლობდა შემდეგ სრულით.

1382. ახარებდა მათ სტუმრები ნანატრი და მოსარიდი;  
დაიხარჯა მუნ ქონება ძვირფასი და მეტად დიდი.  
ვინ აჩვენოს, თუ ვით იყო ამის შემდეგ მეფე მჯდარი!  
მალე დაჯდა ჰელეს ტახტზე დიდებით და მორჭმით სრულით.

1384. უერთგულეს პატივცემით იქ მიიღეს დედოფალი.  
სამოსელი, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ბევრი თვალი.  
დაარიგა; მას უნდოდა მთლად გაეცა, რაც კი თანა.  
ბურგუნდელთა სამეფოდან ჰუნთა მხარეს მოიტანა.

1385. ნათესავნი ხელმწიფისა და იმისნი ქვეშევრდომნი.  
სამსახურის გაწევისა შეცილებით იყვნენ მდომნი.  
არასოდეს ჰელეს მისებრ არ ყოფილა ძალმორჭმული.  
სათაყავნოდ ჰყავდათ იგი, სანამ პირში ედგა სული.

1386. შორს განთქმული იყო ამით ქვეყანა და მეფის კარი,  
რომ იქ მუდამ გასართობი შეგხვდებოდათ მრავალგავარი.  
თქვენ იმისდა მიხედვით, თუ რა გართობა სურდა ვისა.  
ეს შედეგი იყო მეფის და დედოფლის სიკეთისა.

ამბავი ოცდამეცამე.

როგორ მოიწვია კრიმპილდემ თავისი ძმები.

1387. აი, ამგვარ დიდ პატივში, ეს არ არის საეჭველი, ეტყელ მეფემ მეუღლითურთ გაატარა შვიდი წელი. მეშვიდე წელს დედოფალსა შეეძინა ვაჟიშვილი.

ჯერ არ ეგრძნო ჰუნთა მეფეს სიხარული ესდენ ტკბილი.

1388. დედოფალი არ დაწყნარდა, არ დამშვიდდა მისი გული, ვიდრე ეტყელ მეფის ვაჟი არ იხილა მონათლული. ქრისტიანულ წესისამებრ. მათ ორტლიბი ვაჟს უწოდეს. ზეიმობდა მთლად სამეფო, ეს ამბავი მოხდა ოდეს.

1389. ყველაფერი, რაც კი ჰელეს საზრდილობოდ ჰქონდა წესად, კრიმპილდესგან სრულდებოდა კიდევ უფრო უკეთესად. მას ჰერატი, უცხო ქალი, ამ ადათებს ასწავლიდა. ხოლო თვით მას ჰელეს გამო მწუხარება გულს უკვლიდა.

1390. უცხოელნი და აგრეთვე თვით ჰუნების ხალხი მთელი. ხედავდა, რომ ქალბატონი, ესოდენად მწყალობელი, არ ჰყოლია ამ სამეფოს; ეს ყოველასთვის იყო ცხადი. სრულ ცამეტ წელს ჰუნებისთვის იგი იყო დასაქადი.

1391. მან იცოდა, ახლა მტერი რომ არავინ იყო მისი -. დედოფალს ხომ მოერთგულედ რაინდები ჰყავდნენ თვისი. დღე ყოველი თორმეტ მეფეს ის ხედავდა თავის წინა. და მაინც არ ივიწყებდა, რა სიმწარეც ნახა შინა.

1392. კვლავ იგონედა დიდ პატივს ნიბელუნგების მხარში; ის მას ჰაგენმა მოსტაცა, ჩააგდო სიმწუხარეში, როს კეთილშობილ ზიგფრიდს მან დღე დაუბნელა მზიანი. ნუთუ არ ხვდება ვერაგ მტერს სამაგიერო ზიანი?

1393. "ეს შეიძლება მოგვრდეს ჰაგენის აქ მოყვანებით". ეტყელთან გვერდით მდგომარე ნახა მან ძილში ზმანებით. ძმა გიზელჰერი; ჰკოცნიდა იგი მას სიზმარეულად. და ამის გამომ შეიქმნა კრიმპილდე გულმტკივნეულად.

1394. ალბათ, ეშმაკმა ურჩია ძმასთან აღდგენა მტრობისა, გუნთერ მეფესთან ხელახლა გაწყვეტა მეგობრობისა, ვისაც აკოცა მან იქ, რომ ცოდვა შეენდო ყოველი. მისი სამოსი შეიქმნა კვლავ ცრემლებისგან სოველი.

1395. როგორც ადრე, ისე შემდგომ, აწუხებდა იმას სულ ეს.

თავის ნების და სურვილის წინააღმდეგ აიძულეს.  
კერპთაყვანისმცემელ კაცსა გაჰყოლოდა იგი ცოლად.  
ის ჩაეგდო ასეთ ჭირში ჰაგენსა და გუნთერს მხოლოდ.

1396. და სანაცვლოს მიზღვევისთვის ის ფიქრობდა გულში მუდამ:  
"აწ მე ისე მძლავრი ვარ, რომ, დე აღსრულდეს, რაცა მსურდა!  
შემიძლია ჩემს ბოროტ მტრებს განვუმზადო საქმე მტრული.  
მე ჰაგენის მიმართ ამას ჩავიდენდი სიხარულით.

1397. საყვარელის გამო კვალად ნაღვლიანობს ჩემი სული.

მათ ახლოს რომ ვიყო, ვინაც დამაჩნია გულზე წყლული,  
სანაცვალს მივუზღავდი ჩემის ქმარის მომკლელს ავსა.  
თუ მოვესწრო ამ დღეს ნეტა?" ეტყოდა ის თავის თავსა.

1398. მას სიყვარულით მონებდნენ რაინდნი დედოფალისა.  
და მეფის ყმანი. ის იყო სინათლე მათი თვალისა.  
ჰქონდა მინდობით ეკვერტს კრიმპილდეს კამერჰერობა.  
არავის ეწადა მის მიმართ ურჩობა, არცა მტერობა.

1399. ის ფიქრობდა: "ვკადრებ მეფეს მე ამ თხოვნის შესრულებას,  
რათა იმან სამეგობრო წესისათვის დამრთოს ნება,  
რომ ჰუნეთში მოვიწვიო მეგობრები სტუმრად მისი".  
ვერ განსჭვრიტეს დედოფლისა ეს ბოროტი სამზადისი.

1400. და ერთ ღამეს, ოდეს იგი ხელმწიფესთან იწვა გვერდით,  
მეფის მიერ მკლავმობვევით მიზუდული მკერდზე მკერდით.  
საალერსოდ, რადგან მისი უდიდესი ტრფობა ჰქონდა -  
მოაგონდა მტრები და მას გული მწარედ შეუღონდა.

1401. "ბატონო და საყვარელო", მოახსენა სიტყვა ტკბილი:  
"გთხოვთ, რომ იყოთ ჩემდა მიმართ თქვენ კეთილად განწყობილი.  
და რომ ვიგრძნო ეს წყალბოა, თუ ვიქნები ღირსი მისი,  
გაუწიეთ ჩემს ნათესავთ მეგობრობა საკადრისი".

1402. მაშინ უთხრა მძლავრმა მეფემ (მას არ ჰქონდა ეჭვი მისი):  
"თქვენ ამაში დარწმუნდებით! ჩემი ქცევით საკადრისით.  
სცნობტ რა დიდად აამებს და მიანიჭებს ჩემს გულს ლხენას.  
თქვენთა ძვირფას ნათესავთა ჩემს მხარესი გამოჩენა".

1403. უთხრა კვალად დედოფალმან: "თქვენაც კარგად იცით, ვით მე,  
მყვანან დიდი ნათესავნი და მე სევდას ვეღარ ვითმენ,  
რომ ისინი ასე ძვირად მნახულობენ ამ ქვეყანად.  
გავხდი მით აქ ყველას თვალში უთვისტომოს დასაგვანად".

1404. მეფემ ჰკადრა: "ქალბატონო საყვარელო, მე აქ იმათ.  
მოვიწვევდი რაინიდან, თუ არ უჩანთ გზა სამძიმოდ,

რათა აქ, ჩემს ქვეყანაში, მოგალხენდეს მათი ნახვა".  
უხაროდა კრიმჭილდეს, რომ სრულდებოდა მისი ზრახვა.

1405. მიუგო: "რახან ბრძანდებით ეგზომ სიკეთის თქვენ მჩენი,  
აწ თქვენგან ჯერ არს გაგზავნოთ რაინის ვორმსში ელჩები.  
ამგვარად ჩემი სურვილი მათთვის იქნება ცნობილი.  
და ბევრი მოვა რაინდი კარგი და კეთილშობილი".

1406. "მიბრძანეთ და შევასრულებ", უპასუხა მეფემ გულით;  
"მე მინდა, რომ, თქვენზე უფრო არ ნაკლების სიხარულით,

აქ იხილოთ თქვენი დედის, კეთილშობილ უტეს, შვილნი,  
ვწუხვარ, ჩვენგან რომ არიან მთლად ისინი მოწყვეტილი".

1407. კვლავაც უთხრა: "საყვარელო, თუკი ეს თქვენ გენებებათ,  
თქვენს ნათესავთ გავეუგზავნი მე აქედან შიკრიკებად.  
ჭიანურის კარგ დამკვრელებს ბურგუნდელთა ქვეყანაში".  
და საჩქაროდ მუსიკოსებს მოუწოდეს მათ წინ მამინ.

1408. ორი მოვიდა წინაშე მეფის და დედოფალისა.  
უთხრა, რომ ვალად ედებათ წასვლა მათ გზისა მალისა.  
ელჩების სახით იქ, სადაც ცხოვრობენ ბურგუნდელები.  
ბრძანა, რომ ახლით შეცვალონ შესამოსლები ძველები.

1409. ოცდაოთხ რაინდს სამოსის დაუწყეს კერვა-მორგება,  
მეფის ბრძანება აახლეს - საქმისთვის თავგამოდება,  
ვით მოიწვიონ გუნთერი, მისცეს ამისი უფლება.  
კრიმჭილდეს სურდა ელჩებთან ფარული გასაუბრება.

1410. "ახლა გეტყვით, ვით მოიქცეთ", არიგებდა მეფე ქველი,  
"მე ვთავაზობ იმათ, რაც კი კარგია და სასურველი.  
რათა კეთილ ინებონ და წამობრძანდნენ ჩვენს მხარეში.  
მეგობრები უკეთესი არ მყოლია მე ჩემს დღეში.

1411. და განზრახვა თუ ექნებათ, შეასრულონ ჩემი ნება,  
დედოფალის ნათესავთა, დე, ნუ იყოს დაყოვნება:  
ჩემს კარზე მათ დროზე მოსვლით გაახარონ ჩემი გრძნობა,  
რადგან ამგვარ მოყვარეთა ძვირად მიღირს მეგობრობა".

1412. მას შეეკითხა ამაზე შევემეღინ გმირი რაინდი:  
"როდისთვის გნებავთ, ისინი რომ წამობრძანდნენ რაინით?  
რათა ბეჯითად ყოველის ვიყოთ მათ წინა მთხრობელი".  
უბრძანა: "ოდეს მოიქცეს მზე, ქვეყნის მანათლობელი".

1413. ვერბერლინმა მიუგო: "შეგისრულდებათ ბრძანება".  
შემდეგ ამისა კრიმჭილდემ უბრძანა ელჩთ მიყვანება.  
თავისთან; იქ მალვით ეუბნა მათ დედოფალი სვიანი;

ამ საუბარმა მიაგო არა ერთ მოყმეს ზიანი.

1414. უთხრა ელჩებს: "იცოდეთ, რომ თქვენ დოვლათით აღივსებით, თუ განზრახვას და ჩემს სურვილს შეასრულებთ მოფიქრებით. და გადასცემთ იმას, რასაც გაბარებთ ჩემს ქვეყანაში. გაგამდიდრებთ და სამოსელს უძვირფასეს მოგცემთ მაშინ.

1415. თუკი თქვენ ვინმე იხილოთ ნათესავი თუ მშობელი. რაინის ვორმსში, იმის წინ არ უნდა იყოს მთხრობელი, რომ გინახავართ ოდესმე ან სადმე დამწუხრებული. გთხოვთ მომიკითხოთ გულთბილად მუნ რაინდები ქებული.

1416. უთხარით, რომ შეასრულონ, რასაცა სთხოვთ ჩემი ქმარი. და ამგვარად ამაშორონ საზრუნავი ყოველგვარი. ეგონება ჰუნებს, თითქოს უთვისტომო ვინმე ვიყავ. თვით ვნახავდი იმათ ხოლმე, რაინდი რომ ვყოფილიყავ.

1417. გადაეცით ჩემს ძმას გერნოტს ჩემი დიდი გულისწყვეტა, უთხარით, რომ არვის უყვარს ქვეყნად იგი ჩემზე მეტად; სთხოვეთ, რათა ჩვენს მხარეში მოიყვანოს ყველა ჩვენი. მეგობრები კარგი და მით გაგვითენოს დღე სალხენი.

1418. გიზელჰერი ოდენ ნახოთ, გადაეცით იმას თქვენა. ჩემმაგიერ, რომ არასდროს არ მიგრძენია მისგან წყენა. ამიტომაც მას აქ ჩემი სიხარულით ნახავს თვალი. მე გაწირვა სიცოცხლისა მისთვის მიჩანს, როგორც ვალი.

1419. დედაჩემსაც უთხარით, რომ პატივსა მცემს ხალხი მთელი. ხოლო თუ აქ წამოსვლაზე უარს იცტვის ტრონიელი, ვინ უჩვენებს მაშინ იმათ გზებს, აქეთკენ მომავალსა? სიყრმიდანვე იცნობს იგი ჩვენი ქვეყნის გზას და კვალსა".

1420. მაგრამ ელჩებს ვერ გაეგოთ, დედოფალი მათი ტკბილი. თუ რად იყო იქ მიყვანის ესოდენად მონდომილი. ტრონიელის ჰაგენისა. ეს ინანეს იმათ ჩქარა: ბევრი მოკვდა ამის გამო, ბევრი სისხლი დაიღვარა.

1421. მათ ბეჭედი და საელჩო რწმუნებანი მისცეს სრულად. აიკიდეს ბევრი ოქრო, რომ ეცხოვრათ შეძლებულად. გამგზავრების ნება მისცეს ხელმწიფემ და დედოფალმა. ჩაცმულობა უკეთესი ვერ იხილოს ქვეყნად თვალმა.

ამბავი ოცდამეოთხე.

როგორ გადასცეს ცნობა ვერბელმა და.  
შვემელმა.

1422. როს მეფემ ელჩნი წარგზავნა რაინის მიმართულებით,  
ამბავი ესე მოედო ქვეყნით ქვეყანას სრულებით.  
სასახლის კარზე იწვევდნენ ელჩები მარდად მავალი.  
ჟამი დგებოდა, როდესაც სიკვდილს მიეცა მრავალი.

1423. გამოემგზვრნენ ზეითად ელჩნი ჰუნების მხარეთა.  
ბურგუნდიისკენ, იქ იმათ ჰგზავნიდნენ სათხოვართა.  
წინაშე სამის მთავრის და იმათი რაინდებისა.  
ეტყელ მეფესთან სასტუმროდ ზეიმით გამგზავრებისა.

1424. ბეხელარენში შევიდნენ ისინი უკვე ჭენებით.  
იქ მასპინძლები დაუხვდათ მოლხენითა და მსვენებით.  
თან აბარებდნენ რაინზე მოკითხვას სულით და გულით.  
მათ გოტელინდე, მარკგრაფი და მათი ნორჩი ასული.

1425. მოსულ ელჩებს სათითაოდ დაურიგეს იმათ ძღვენი,

რომ ეტყელის ქვეშევრდომებს გზები ევლოთ უფრო ღებნით.  
უტესა და იმის შვილებს შეუთვალა რუდიგერმა.  
რომ მარკგრაფი არ ჰყოლიათ მოყვარული ასე ჯერ მათ.

1426. ბრუნჰილდესაც შეუთვალეს მათ სალამი საკადრისი,  
აცნობეს, რომ ენატრებათ სამსახური იმათ მისი.  
ამ სიტყვების შემდეგ ელჩებს გაგრძელება სურდათ გზისა.  
მფარველობას მათთვის სთოხვდა ღმერთს მეუღლე მარკგრაფისა.

1427. ვიდრემდისინ გზად ელჩებმა ბავარია განვლეს მთელი,  
მხნე ვერბელმა არ დატოვა მღვდელმთავარი უნახველი.  
რა შესთვალა მან რაინზე მეგობრებთან, ცნობა მისი.  
მე არა მაქვს, მაგრამ მისცა მან წითელი ოქრო თვისი.

1428. მოსულ ელჩებს. როდესაც კი მოისურვეს წასვლა წინ მათ,  
ამნაირი სიტყვა უთხრა მღვდელმთავარმა მან პილგრინმა:  
"რომ შემეძლოს დისწულთ ნახვა, მექცეოდა ღებნი ათად.  
სამწუხაროდ, ვორმსში მისვლა მე მიხდება იშვიათად".

1429. რომელ ქვეყნით გაიარეს რაინისკენ გზები გრძელი,  
ეს არ ძალმიძს რომ გაუწყოთ. მათ ოქრო და ტანსაცმელი.  
მუნ ვერავინ ვერ წაართვა: ეშინოდათ ეტყელისა.  
ამნაირი ძლიერებით ხელმწიფობდა მაშინ ისა.

1430. თორმეტ დღის შემდეგ ვერბელი და შვემელინი რაინდნი.  
ვორმის ქალაქში შევიდნენ, სადაც მდინარებს რაინი.  
მეფეს და იმის მოყმეებს სწრაფად გაუჩნდა მცნობელი,  
რომ იქ ელჩები მივიდნენ უცხო და შეუცნობელი.

1431. "საითგან გაჩნდნენ სტუმრები", რაინის ფოგტმა თქვა მაშინ,  
"მინდა შევიტყო; ვის ძალუმს, რომ დამეხმაროს ამაში?".  
არვინ იცოდა, ვიდრემდის მუნ არ მოვიდა ჰაგენი;  
პასუხის მოსახსენებლად მან მყისვე გახსნა ბაგენი:

1432. "თავდები ვარ, ახალ ამბავს დღეს ჩვენს კარზე უჩანს კვალი,  
ეტყველ მეფის მუსიკოსებს მე მოვკარი აგერ თვალი.  
ჩანს, ისინი აქ, რაინზე, გამოგზავნა დამან თქვენმა.  
მათი მეფის პატივისთვის უნდა შევხვდეთ კარგად ჩვენ მათ!".

1433. დაუყოვნებლივ დარბაზთან მიდგნენ ისინი ცხენებით.  
არსად შესულან თავადის შპილმანნი ესდენ შვენებით,  
გაჩნდნენ ფარეშნი იქ მათთან მსახურებად და მნახავად,  
მისცეს ბინა და წაიღეს სამოსი შესანახავად.

1434. მათ სამგზავრო სამოსელი კარგი ეცვათ ესოდენად,  
რომ შეეძლოთ ამგვარადაც ხელმწიფის წინ გამოჩენა.  
მაგრამ მაინც არ უნდოდათ სასახლეში მოსახმარად.

და იკითხეს, ხომ არ სურდა იგი ვინმეს საჩუქარად.

1435. მსურველების აღმოჩენა არ გამხდარა მათთვის ძნელი:  
მოიყვანეს და ელჩებმაც თვისი მისცეს სამოსელი.  
შემდეგ ყველა მოიკაზმა მდიდრულად და უტურფესად,  
როგორაც ეს მეფის ელჩებს შვენოდათ და ჰქონდათ წესად.

1436. სადაც მეფე იჯდა, იქით გაემართნენ ელჩნი ნელა.  
სიამით და სიხარულით შესცქეროდა იმათ ყველა.  
მეგობრული შეხვედრისთვის მყის დატოვა სკამი თვისი.  
ტრონიელმა; ჭაბუკები მადლობელნი დარჩნენ მისი.

1437. გამოკითხვა უწყო ტკბილად. ის შეტყობის იყო მდომი,  
თუ ვით არის ეტყელ მეფე ყველა მისი ქვეშევრდომით.  
უპასუხა: "საქმე უკეთ არ ჰქონია ქვეყნად არვის;  
ხალხიც მეტად განიხარებს, ეს არვისგან დაიფარვის".

1438. გაჰყვა მეფისკენ; სალხინოდ გული დამსწრეთა იღება.  
სტუმრები ისე მიიღეს, ვით შეშვენოდათ მიღება.  
ელჩებს შორეულ ქვეყნიდან უცხო მხარეში მავალსა.  
ვერბელი მეფე გუნთერთან რაინდებს შეხვდა მრავალსა.



1439. მიესალმა მეფე ზრდილი და გულთბილად უთხრა ესა:  
"გაუმარჯოს ეტყელ მეფის მესაკრავეს ორივესა.  
თავიანთი მხლებლებითურთ! მე ვიცოდე მინდა მეტად,  
თუ ეტყელმა აქ, ბურგუნდში გამოგზავნათ რისთვის ნეტა?".

1440. მათ დაუკრეს თავი გუნთერს. ვერბელი კი იყო მთქმელი:  
"თქვენ გთავაზობთ თვის სამსახურს მეფე ჩემი საყვარელი.  
და კრიმჰილდეც მასთან ერთად ბედნიერი თქვენის დობით.  
გამოგვგზავნეს; თქვენ ისინი გიცქერიან დიდის ნდობით".

1441. მეფემ ბრძანა: "ეს ამბავი გასახარი არის დიდად.  
როგორ არის ეტყელ მეფე", შეეკითხა იგი მშვიდად,  
"და კრიმჰილდე, ძვრიფასი და, იქ, ჰუნების ქვეყანაში?"  
"მზად გახლავართ მოგახსენოთ", მესაკრავემ უთხრა მაშინ:

1442. "არ ჰქონიათ არსად მეფეთ ესოდენი შვება ლხენა,  
რაოდენიც ამ თავადებს, ეს იცოდეთ, მეფევ, თქვენა,  
მათთან ერთად მათ რაინდებს, მეგობრებს და ხალხსაც მთელსა.  
უხაროდათ იმათ, ოდეს დავადექით ამ გზას გრძელსა".

1443. "ჩემთვის მოძღვნილ მოკითხვისთვის მე ორივეს ვმადლობ გულით,  
იმასა და ჩემს დას. დღეს აქ მოვისმინე სიხარულით,  
რომ კეთილად ბრძანდებიან მეფენი და მათი ლენა.  
რომ გკითხადით ამბავს მათსას, გულმა მიწყო შიშით ტკენა".

1444. ახალგაზრდა ორ მეფესაც მოეყარა იქვე თავი,  
მაშინათვე, როდესაც კი გაიგონეს ეს ამბავი.  
გიზელჰერი - იმას დიდი სიყვარული ჰქონდა დისა -  
ტკბილად შეხვდა უცხო ელჩებს და ეტყოდა შემდეგ ისა:

1445. "სალამს გიძღვნით - გამარჯვებით დე, იყავით ორივენი!  
რომ რაინზე უფრო ხშირი ყოფილიყო მოსვლა თქვენი,  
აქ ნახავდით მეგობრებს და დაგატკობდათ ნახვა მათი.  
თქვენ არ გელით ამ მხარეში მწუხარება და ხიფათი".

1446. აქ შვემელინმა წარმოთვა: "ვარ თქვენთვის კარგის მდომელი;  
მე აღარ ვიცი, სიტყვებით გრძნობა გამოვთქვა რომელი,  
რასაც გითვლიან შორიდან ხელმწიფე ჩვენი ქებული.  
და დედოფალი, და თქვენი, აქ ესდენ პატივდებული.

1447. მოგაგონებთ, რომ იყავით თქვენ იმისი მოყვარული.  
და კეთილად განწყობილი იმისადმი გქონდათ გული,  
მაგრამ მისთვის უმთავრესი წარმოგზავნეს ჩვენი კრება,  
რათა გთხოვოთ, ხელმწიფეო, თქვენ ჰუნეთში გამგზავრება.

1448. გერნოტ მეფეც თანვე უნდა წაიყოლოთ უეჭველად.  
ამის გარდა, ეტყელ მეფეს მიაჩნია სასურველად,

რომ აცნობოთ, თუ არ მიხვალთ ძვირფასი დის სანახავად, რა შეგემთხვათ იმისაგან საწყენად და ისე ავად.

1449. რომ არც ერთი თქვენთაგანი იმის კარზე არ მისულა? დედოფალი თუნდა თქვენთვის უცნობიც იყოს სულა, მას შეეძლო გამხდარიყო ამ სტუმრების ღირსი თავად. დაატკბობდა დიდად მეფეს, რომ სწვეოდით სანახავად".

1450. მაშინ გუნთერმა მიუგო: "შემდგომად შვიდი ღამისა. მე შემოდლიან, ელჩებო, გითხრათ პასუხი ამისა, -. მსურს ჯერ თათბირი ვისმინო, მეგობართაგან თქმულები. წადით მანამდე ბინებში, ხართ მეტად დაქანცულები".

1451. მაშინ თქვა კვალად ვერბელმა: "თუ არის შესაძლებელი, ქალბატონ უტეს წინაშე, რომ ვიყოთ ნეტა მხლებელი, ვიდრე დაღლილნი რაინდნი მოვითხოვთ მოსვენებასა?". მათ გიზელჰერი ხმატკბილად აძლევდა ამის ნებასა:

1452. "არ დაგიშლით ამას არვინ, თუ ინებებთ მის წინ ხლებას; ეს მოუტანს თავად იმას სიხარულს და სევდის კლებას: მას, კრიმჰილდეს გამო, თქვენი გაახარებს ნახვა დიდად. და მიგიჩნევთ თქვენ სტუმრებად საამოდ და მოსარიდად".

1453. მიიყვანეს გიზელჰერმა იქ ისინი უტეს წინა; მათ ნახვაზე დედოფალმა სიხარული დაიჩინა.

და მიიღო მან ელჩები ალერსით და გულკეთილად. მხნე ელჩებმაც ყოველივე შემოთვლილი უთხრეს ზრდილად.

1454. შვემელინმა ჰკადრა უტეს: "ქალბატონისა ჩემისა. მიიღეთ დიდი სალამი, ნიშნად ღრმა პატივცემისა. შესაძლებლობა რომ ჰქონოდეს ხშირად ნახვისა თქვენისა, ეს იქნებოდა მარადის მიზეზი მისი ღებვისა".

1455. "ჰო, არ არის ეს შესაძლო", დედოფალმა უთხრა უტემ: "მე ძვირფასი ჩემის ქალის მენატრება ანხვა მუდამ. მაგრამ დიდის მანძილით მე ვარ იმისგან მოწყვეტილად. დე, ეტყელთან ერთად ბედი წარემართოს მას კეთილად!

1456. გთხოვთ მაცნობოთ, თავის დროზე, რაინიდან წასვლა თქვენი. ასე დიდად საამური და ესოდენ გულსალხენი, როგორც თქვენთან, მე შეხვედრა არ მქონია დიდი ხანი". აღუთქვეს, რომ აცნობებენ და მადლობას იწყეს თქმანი.

1457. შემდეგ ელჩნი ბინებისკენ გაემართნენ ნება-ნება. მეფემ კაცი გააგზავნა მეგობრების შესაკრებად. "რას ფიქრობთო ამის გამო?" შეეკითხა მეფე დიდი.

უმეტესმა იმათ შორის მას პასუხი მისცა მშვიდი.

1458. "უსათუოდ გმართებთ, მეფევ, თქვენ ეტცელის კარზე წვევა",  
უკეთესი ვინაც ჰყავდა, ამნაირი მისცა რჩევა.

ჰაგენმა კი მხოლოდ - იგი განიცდიდა ნაღველს მწველსა -  
უთხრა ფარულ: "მეფევ, ამით თავს უმზადებ განსაცდელსა.

1459. რა შეემთხვა იმას ჩვენგან, დაივიწყეთ ნუთუ თქვენა?  
კრიმჰილდეს წინ ფრთხილად ყოფნა სამუდამოდ გვმართებს ჩვენა.  
მე მოვუკალ იმას ქმარი საკუთარი ჩემი ხელით,  
და ეტცელთან რომ მიდიხართ, პატივცემას რაგვარს ელით?".

1460. მეფემ უთხრა: "განრისხება ჩემი დისა გაჰქრა მთელად;  
მან მაკოცა გულით, ოდეს განემზადა წასასვლელად.  
მან სულგრძელად გვაპატია ყოველივე, რაც ვუყავით.  
ეგებ მხოლოდ თქვენდა მიმართ შერჩენოდეს გრძნობა ავი".

1461. ტრონიელმა ჰკადრა კვალად: "ნუ შეჰყავხარ შეცდომაში.  
ელჩთა სიტყვებს! თუ გაჰბედავთ თქვენ კრიმჰილდეს ნახვას. მაშინ.  
იქ დაჰკარგავთ პატივს, თანაც სასიკვდილო გელით ვნება.  
ეტცელ მეფის ცოლმა იცის ბოროტების დახსოვნება".

1462. შემდეგ წარსდგა სასაუბრო წინ გერნოტი, მეფე ქველი:  
"თქვენ იქ მოკვლას რომ ეჰვობდეთ, გაქვთ ამისი საფუძველი.  
მაგრამ ნუთუ ამის გამო ჩვენ ავიღოთ გვმართებს ხელი.

ძვიფას დაზე? ეს იქნება მეტად ცუდი საქციელი".

1463. ახალგაზრდა გიზელჰერმა მაშინ რაინდს მოახსენა:  
"თუ ასე გრძნობთ დანაშაულს, მეგობარო ჰაგენ, თქვენა,  
შეგიძლიათ დარჩეთ ვორმსში, თავის დაცვის ანგარიშით,  
დაეხსენით მათ კი, ვისაც იქ წასვლისა არ აქვს შიში".

1464. ამ სიტყვებზე ტრონიელსა თითქოს გულში მოხვდა დანა.  
თქვა მრისხანედ: "ჩემს მაგივრად ვის წარიტანთ, ნეტავ, თანა!  
არვინა გყავთ რაინდებში ჩემზე მეტად გაბედული;  
არ დაიშლით, შემძლიან დაგიმტკიცოთ ჩემგან თქმული".

1465. აქ ხმა გაისმა რუმოლდის, მზარეულთუხუცესისა:  
"მაღგიდთ თქვენს სახლში დაცვა თქვენ სტუმარ-მასპინძლის წესისა,  
რადგან გაქვთ დიდი სიმდიდრე, დოვლათი განუზომელი.  
არ მჯერა, თქვენთვის ჰაგენი რომ იყოს ცუდი მდომელი.

1466. თუ მას არ უსმენთ, რუმოლდი იქნება მაშინ მრჩეველი,  
თქვენს სამსახურში ვინაც აქ არის დღე-ღამის მთეველი:  
ამ მიწა-წყლიდან ნუ წახვალთ, ჩემი სურვილის ფერადა.  
დე, ეტცელი და კრიმჰილდე იყვენენ იქ ბედნიერადა.

1467. სად იქნება ქვეყნად ჩვენთვის მხარე უფრო შესაფერი?  
სახლი თქვენი დაცულია, ვერ დაგაკლებთ ვერას მტერი.  
უმდიდრესათ შეიმოსოთ, თქვენ ამისი შეგწევთ ძალი,  
კარგი ღვინო სვათ და ბევრი შეიყვართო ტურფა ქალი.

1468. გაქვთ საჭმელი გემრიელი, არსად თქმული, არსად ქმნილი.  
და ქვეყანა უზრუნველი, ყოვლის მხრიდან კმაყოფილი,  
ჯობს იფიქროთ თქვენს ქალებზე, დაიფაროთ მათი ეშხი,  
უგუნური ბავშვებივით არ ჩაცვივდეთ დიდ საფრთხეში.

1469. ამიტომაც გთხოვთ, რომ დარჩეთ: მდიდარია თქვენი მხრე,  
უკეთ ძალგიდთ აიშოროტ აქ ყოველი სიმწუხარე,  
ვიდრე ჰუნთა მეფის კარად; ვინც ცნას მათი ზნე და ჩვევა!  
გთხოვთ შინ დარჩეთ, ბატონებო! ასეთია ჩემი რჩევა.

1470. "ჩვენ არა გვსურს აქ დარჩენა", დერნოტ მეფემ უთხრა მაშინ;  
"ჩემმა დამ და ეტყელ მეფემ თავის მდიდარ ქვეყანაში.  
ისე გულით მიგვიწიეს, რომ უთუოდ გვმართებს წვევა,  
დარჩეს, ვისაც სურს დარჩენა და ჩვენთაგან გამორჩევა".

1471. ტრონიელმა ჰკადრა მაშინ: "ნუ გაწყრებით ჩემგან თქმულზე;  
რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ზრუნვა დიდი მაწევს გულზე.  
მისთვის გირჩევთ, თუკი გინდათ, რომ დაიცვათ თავი სალი,  
ჰუნეთს წადით შერკინული უკეთესი იარაღით.

1472. თუ არ დასთმობთ წასვლას, მაშინ მოიწვიეთ თქვენდა ხლებად.  
უმძლავრესნი სპათაგანნი, ვინც კი ახლოს გეგულეზათ.  
მე აგირჩევთ ათასს მათში - წასაყვანად ნუ გსურთ სვანი.  
მაშინ ვნებას ვერ მოგიტანთ დის ბოროტი განზრახვანი".

1473. "ვიზიარებ რჩევას თქვენსას", გუნთერ მეფემ უთხრა მაშინ,  
და გაგზავნა შიკრიკების ყველგან თავის ქვეყანაში.  
სამი ათას რაინდამდე მოჰგვარეს, თუ უფრო მეტი.  
არ ეგონათ, რომ მათ ბოლო მოელოდათ გულსაწყვეტი.

1474. გუნთერისკენ გაივლიდნენ გზასა გრძელსა,  
ალუთქვამდნენ მათ უკეთეს ცხენებსა და სამოსელსა,  
რომელთაც კი სურდათ გულით ჰუნეთისკენ ევლოთ გზანი.  
მეფემ ნახა - ვაჟკაცები წასასვლელად იყვნენ მზანი.

1475. შეუთვალა ტრონიელმა მყისვე დანკვარტს, თავის ძმასა,  
რომ ოთხმოცი რაინდი მუნ მოეყვანა სწრაფ მასა.  
გულზვიადად მოდგა ჯარი; მიიტანეს ბევრი მაშინ.  
აბჯარი და სამოსელი გუნთერ მეფის ქვეყანაში.

1476. მოვიდა, მაშინ ფოლკერი, დამკვრელი დიდად ქებული,  
თავის ოცდაათ რაინდით სამგზავროდ გამზადებული.  
მათი ძვირფასის სამოსი შეეძლო მეფეს ტარება,  
ამცნო ბატონს, რომ შორის გზის სურს მასთან ერთად წაღება.

1477. ხოლო ვინ იყო ფოკლერი, არის ეს საუწყებელი:  
მას, მაღალ ბატონს, ბურგუნდში ხელქვეითი და მხლებელი.  
ჰყვანდა მრავალი რაინდი მხნე და კეთილი გულისა;  
შპილმანი იყო - იცოდა დაკვრა მან ჭიანურისა.

1478. ათასი კაცი გამოჰყო ჰაგენმა გამორჩევითა;  
რაც იმათ ჩაუდენია ბრძოლებში ხმალთა ქნევითა,  
ხშირად ენახა ტრონიელს და ყვალა დანარჩენები.  
იყვნენ მათდამი ამიტომ დიდი პატივის მჩენები.

1479. დედოფალის ელჩებს კიდევ დაყოვნების ჰქონდათ რიდი.  
(ეტყელ მეფის წინ იმათი შიში იყო მეტად დიდი),  
ამიტომაც დღე ყოველი მოითხოვდნენ შინ გაშვებას,  
მაგრამ ფრთხილი ჰაგენი მათ არ აძლევდა ამის ნებას.

1480. მოახსენა ბატონს თვისას: "სიჩქარით რომ თავს არ ვაგნოთ,  
ვიდრე თვითონ წავიდოდეთ ჩვენ ისინი გავაგზავნოთ.  
სულ შვიდის დღით ადრე მხოლოდ ეტყელ მეფის ქვეყანაში.  
თუ გვიმზადებს ვინმე ხიფათს, დავინახავთ უკეთ მაშინ.

1481. დე, კრიმჰილდეს ნუ ექნება სამზადისი წინასწარი,  
რომ იმისი რჩევით ვინმემ მოგვაყენოს ტანჯვა მწარი.

და თუ მაინც სცადა მან ეს, დაუჯდება თვითვე ავად:  
ჩვენ თან მიგვყავს ბევრი გმირი ჩვენი თავის დასაცავად".

1482. შესამოსელი სრული და უნაგირები, ფარები,  
რაც კი თან უნდა წაეღოთ სასტუმროდ მოსხმარები,  
მრავალ მხნე ვაჟკაცისათვის უკვე მზად იყო წყობილი.  
მოდგნენ ეტყელის შპილმანნი, მეფის წინ გამოხმობილნი.

1483. მხნე ბატონმა გერნოტმა აქ სასაუბროდ აღძრა ენა:  
"სურს მეფეს, რომ შეასრულოს, რაც ეტყელმა გვთხოვა ჩვენა.  
მის ბრწყინვალე დღესასწაულს დავესწრებით სიხარულით.  
და კრიმჰილდეს ვნახავთ, გქონდეთ თქვენ ამისი რწმნა სრული.

1484. გუნთერ მეფემ ჰკითხა: "როდის დაიწყება წვეულება.  
და ან რა დღეს უნდა შესდგეს სადარბაზოდ ჩვენი ხლება?".  
შვემელინსა მზადა ჰქონდა საპასუხო სიტყვა სწორი:  
"მზის შემდგომის მოქცევისთვის, დასტურია არა ჭორი".

1485. მაშინ მეფემ (რაც არასდროს არ მომხდარა) დართო ნება,

რომ ბრუნჰილდე დედოფალი ნახონ, თუკი ენდომებათ.  
აქ ფოლკერი წარსდგა წინა საპასუხოდ სიტყვის მგებლად.  
(ჩაიდინა ეს რაინდმა დედოფალის საამებლად):

1486. "დღეს ბრუნჰილდეს, ჩემს ქალბატონს, გუნება აქვს მეტად მქისი,  
და, ელჩებო, ამის გამო თქვენ არ ძალგიძთ ნახვა მისი.  
მოითმინეთ, თქვენს მიღებას ქალბატონი შეძლებს ხვალე".  
მაგრამ ნახვა არ მოხერხდა, რადგან წასვლა სურდათ მალე.

1487. მეფემ ბრძანა (იგი ელჩებს ეპყრობოდა კარგი გულით),  
რომ წყალობის ნიშნად ოქრო მათ ფარებით თავდადგმულით.  
მოუტანონ სათითაოდ. ის მდიდარი იყო მეტად.  
მეგობრებიც მისი ელჩებს სთავაზობდნენ ლარს სახვეტად.

1488. გიზელჰერი, გერნოტ, გერე და აგრეთვე ორტვინ გმირი,  
რომელთათვის საჩუქარის დარიგება იყო ლხინი,  
მათ ტვირთავდნენ საბოძვართ უხვითა და ეგზომ დიდით,  
რომ ელჩები უარობდნენ, თავიანთი მეფის რიდით.

1489. წარსდგა ელჩი ვერბელინი და ხელმწიფეს უთხრა მაშინ:  
"წარსდგა ელჩი ვერბელინი და ხელმწიფეს უთხრა მაშინ:  
"დე, მეფეო, ძღვენი ესე დარჩეს თქვენსავ ქვეყანაში!  
ვერ წავიღებთ, რადგან მეფემ აქ მიღება საჩუქრისა.  
აგვიკრზალა; ამის გარდა, ჩვენ გვჭირდება ნაკლებ ისა".

1490. მაშინ ფოგტი რაინისა გაგულისდა იმის გამო,  
ელჩებისთვის ძღვენი მისი რომ არ იყო სასიამო.

აღარ იყო სხვა გზა - უნდა სამოსი და ოქრო თანა.  
ეტცელ მეფის ქვეყანაში იძულებით წარეტანათ.

1491. მათ უნდოდათ უტეს ნახვა, რაინიდან წასვლის წინა;  
გიზელჰერი მიუძღვა იქ, სადაც იყო დედის ბინა.  
დედოფალმან ბრძანა, ელჩებს გადაეცით ასულისთვის,  
რომ, თუ იქ მას სცემენ პატივს, ეს საამო არის მისთვის.

1492. მოითხოვა გასაცემად მყის ოქრო და სირმა თვისი.  
მან ასულის გამო, რადგან სიყვარული ჰქონდა მისი,  
და ეტცელის გულისთვისაც. მათ მიიღეს ძღვენი სრულად,  
რადგა იგი დედოფალმან შესთავაზა მეგობრულად.

1493. გამოეთხოვნენ ელჩები რაინდებსა და ქალებსა;  
შვაბთა ქვეყანამდე ტაიჭებს მიაგელვებდნენ მალეებსა.  
მისცა მუნამდე გერნოტმა მცველებად თვისი გმირები,  
რათა მათ სადმე გზადაგზა არ შემთხვევოდათ ჭირები.

1494. ოდეს გაშორდნენ, ვინაც მათ გამოჰყვა საზრუნველად,

ეტცელის ხელისუფლება გზაზე აღუჩნდათ მცველადა;  
ვერვინ წაართვა ამიტომ მათ სამოსი და ცხენები.  
ჰუნთა მხარეში ისინი შევიდნენ სწრაფი ჭენებით.

1495. მათ აცნობეს გზა-გზა ყველას, ვინც კი ჰყავდათ მეგობრები,  
რომ მცირე ხნის შემდეგ მოვლენ ბურგუნდელი რაინდები.  
შორეული რაინიდან იქ, ჰუნების ქვეყანაში.  
ეპისკოპოსს, პილგრიმსაცა ესე ემცნო მყისვე მაშინ.

1496. როდესაც მათ გაუარეს გზაზე ახლოს ბეხლარენსა,  
იშვიათი ეს ამბავი მყის აცნობეს რუდიგერსა.  
და აგრეთვე მის ქალბატონს, მარკგრაფინა გოტელინდეს.  
წინასწარვე მათი ნახვის სიხარული დაიწინდეს.

1497. შპილმანებმა ცხენებს თვისას დეზი ჰკრეს და შეუზახეს.  
მალე იმათ ეტცელ მეფე თავის ქალაქ გრანში ნახეს.  
წინ წარუდგნენ ბატონ მეფეს მოკითხვათა დიდთა მთქმელად.  
უსაზომო სიამისგან წამოწითლდა იგი მთელად.

1498. როს კრიმჰილდე დედოფალსაც მიუტანეს ცნობა ისი,  
რომ ჰუნების ქვეყანაში მას მოუვლენ ძმები მისი,  
გაიხარა დიდად; ელჩებს დაურიგა ბევრი ფული.  
ამის გამო მისი ჰქონდათ პატივი და სიყვარული.

1499. "ვერბელო და შვემელინო, სთქვით ორივემ", ასე სთხოვა,  
"ნათესავთა ჩემთა შორის ჩვენთან სტუმრად თუ ვინ მოვა,  
წარჩინებულ გმირთაგანმა ვინ ისურვა ჩვენ წინ ვლენა?  
მომახსენეთ, თუ ჰაგენმა რა პასუხი მოგცათ თქვენა?".

1500. ჰკადრეს: "ერთხელ, დილით ადრე, ის მოვიდა მათ თათბირზე;

საუბრის დროს სიტყვა ცუდი მას ეკერა გამბით პირზე.  
მაშინ, ოდეს აქ წამოსვლას იწონებდა მთელი კრება,  
ამ სტუმრობას მან დაარქა სასიკვდილო გამგზავრება.

1501. მოგივლენ ძმანი ყველანი - სამნივე ხელმწიფენია;  
სურვილი თქვენი ნახვისა მათ გულებს დაუჩენია.  
სხვა მათთან ერთად ვინ მოვა, ვერა ვარ მაუწყებელი.  
მეჭიანურე ფოლკერი არის კი მათი მხლებელი".

1502. "მე იოლად წავიდოდი", დედოფალმან უთხრა მაშინ,  
"თუნდ სულაც რომ არ მენახა ფოლკერი ჩემს ქვეყანაში;  
მაგრამ დიდი სიყვარული მაქვს უბადლო ჰაგენისა.  
და მახარებს მეტისმეტად, რომ ჩვენს კარზე მოვა ისა".

1503. დედოფალი იქ მივიდა, სადაც იდგა მისი ქმარი.  
მას ალერსით მოახსენა ქალბატონმა სიტყვა წყნარი:

"საყვარელო მზრძანებელო, ეს ამბავი მოგწონთ ხომა?  
ჩანს, სრულდება ამდენი ხნის ოცნება და ჩემი ნდომა".

1504. მეფემ უთხრა: "სიხარულად მე სურვილი მიჩანს შენი.  
არ იქნება არასოდეს ჩემთვის ესდენ მოსალხენი.  
თვით საკუთარ ნათესავთა ჩემს მხარეში მოზრძანება.  
შენი ძმების მიმართ მაქვს მე სატრფიალო გულის გზნება".

1505. განკარგულებას აძლევდნენ მსახურნი ხელმწიფისანი,  
რათა სკამებით გაეწყოთ ყველა დარბაზი სრისანი,  
მოსათავსებლად ძვირფასი სტუმრები, მუნ მოსულისა.  
შემდეგ მოუკლეს ხელმწიფეს მათ სიხარული გულისა.

ა მ ბ ა ვ ი ო ც და მ ე ხ უ თ ე.

როგორ გაემგზავრნენ ნიბელუნგები ჰუნებთან.

1506. უკვე ითქვა, ნიბელუნგებს, თუ ვითარი ჰქონდათ ზნენი.  
არასოდეს არ წასულან, ზვიადობით ესოდენით,  
გაბედული რაინდები რომელიმე მეფის კარად.  
ყოველივე ჰქონდათ ბევრი, რაც კი უნდა მოეხმარათ.

1507. ათას სამოც რაინდს მაშინ მეფემ თავის ლაშქრიდანა.  
ტანთ ჩააცვა (ასე თქმულკა), სასტუმროდ რომ წარეტანა.  
წაიყოლა თანვე კიდევ სხვა მსახური ცხრა ათასი,  
ვინც შინ დარჩნენ, იმათ გამო ტანთ ჩაიცვეს მალე ფლასი.

1508. გამოზიდეს წინ ეზოში საკაზმავი, სამკაული.  
მშვენიერმა უტემ მაშინ მოისმინა სიტყვა თქმული.  
შპეიერის მღველმთავრისგან: 'ჩვენს მეგობრებს უნდა მეტად.  
სტუმრად წასვლა. მადლი ღვთისა მათ უძოდეს ნათლის სვეტად!".

1509. ქალბატონმა უტემ უთხრა ამნაირი სიტყვა შვილებს:  
"მხნე რაინდნო, მე მინდა, რომ აქ გიჭვრეტდეთ დარჩენილებს.

დღეს სიზმარი დამესიზმრა საშიში და მეტად ავი,  
რომ ფრინველი ჩვენში ერთიცი აღარ დარჩა მოუკვდავი".

1510. "იგი, ვინაც სიზმრებს უწყებს ყურადღების დიდ მიქცევას",  
უპასუხა მას ჰაგენმა "ვერასდროს ვერ მოგვცემს რჩევას,  
თუ ჩვენივე პატივისთვის უკეთესი რა იქნება.  
მეფეს ძალუმს, რომ ითხოვოს კარისაკენ წასვლის ნება.

1511. მეფე ეტყელთან სასტუმროდ ვართ წასვლის მოსურნენია.



ემსახურებათ მეფეებს იქ რაინდები მხნენია.  
გული მიგვერჩის კრიმპილდეს ნადიმის სანახავადა".  
წასვლას ურჩევდათ ჰაგენი; ბოლოს ინანა თავადა.

1512. არ წავიდოდა ჰაგენი, რომ გერნოტს მწარე ენითა.  
არ გაეკენწლა რაინდი დაცინვით გულისტკენითა.  
კარგად ახსოვს, რომ იგი კრიმპილდეს ქმრისა მკვლეელია,  
არა სურს ჰუნეთს მგზავრობა, თუმცა იქ დიდად ელიან.

1513. თქვა ჰაგენმა, "შიშის ნაყოფს არ შეადგენს ჩემი ქცევა.  
რაინდებო, თუ გსურთ წასვლა, აღარ გვმართებს ჟამის თევა!  
მეც მიხარის, თქვენთან ერთად, ეტყელ მეფის კარზე წვევა".  
მას შეემთხვა მალე ბევრი ჩაჩქნისა და ფარის მტვრევა.

1514. ხომალდები მზადა ჰქონდათ მათ რაინზე წასასვლელად.  
სამოსელი, რაც გააჩნდათ, მოიტანეს იქვე ხელად.  
სადამომდე ბევრი ჰქოდათ საშრომი და სამზადისი.  
უხაროდათ, წამსვლელებმა რომ დატოვეს სახლი თვისი.

1515. დასცეს კარვები, ქოხები მწვანით დაფარულ არეზე,  
სადაც ბანაკი მოაწყვეს - რაინის მიღმა მხარეზე.  
ტურფა მეუღლემ ხელმწიფეს სთხოვა მოთევა ხანისა.  
კიდევ ატკობდა იმ ღამეს ხვევნა მეგობრის ტანისა.

1516. დილაადრიან გაისმა ხმა წინწილათა და ბუკთა:  
იუწყებოდნენ წასვლის ჟამს; მზადება იწყეს ჭაბუკთა.  
ვისაც კი სატრფო გვერდს უწვა, მიეალერსა მწველადა.  
შემდეგ ეტყელის მეუღლე გახდა მათ გამთიშველადა.

1517. მშვენიერ უტეს შვილებსა ჰყვადათ მუნ კაცი ქებული -  
პატიოსანი, გულით მხნე და მათთვის თავდადებული.  
თავისი აზრი მეფეს მან ფარულად გაუზიარა;  
უთხრა თუ: "თქვენი წასვლითა გულზე მაჩნდება იარა".

1518. ეს იყო რუმოლდ, რაინდი კარგი და გამოჩენილი.  
უთხრა. "ქვეყანა იქნება ვის ანაბარად შთენილი?  
ნუთუ არავის არ ძალუმს აქ თქვენი გადარწმუნება?  
მე არ მომწონდა არასდროს, მეფევ, კრიმპილდეს გუნება".

1519. "მე ქვეყნისა და მცირე მის ვარ შენთვის ჩამბარებელი.  
იყავ ქალბატონების ზრდილი და კარგი მხლებელი.  
ვინც კი მტირალი იხილო, ნუგეშს აძლევდე მზიანსა,  
ხოლო კრიმპილდე, ჩემი და, ჩვენ არ შეგვამთხვევს ზიანსა".

1520. დარახტულნი იდგნენ ცხენნი ბატონთა და მხლებელთათვის.  
ნაზი კოცნით დაეთხოვნენ მოსწრაფენი წასვლისათვის.

მათ, ვინც ჯერ კვლავ ცოცხალ იყო და გმირული ედგა სული,  
დასტიროდა შემდეგ ბევრი ქალბატონი ფერწასული.

1521. როდესაც ნახეს ცხენთაკენ მხნე რაინდები წასული,  
უფრო ატირდა მრავალი ქალბატონი და ასული.  
ავი რამ გრძნობა ბევრს მათგანს გულს დასწოლოდა ნისლივით,  
ეთხოვებოდნენ ქმრებს და ძმებს აქ სამუდამოდ ისინი.

1522. აჰა, უკვე გზას დაადგა ბურგუნდელთა მტკიცე ჯარი,  
მთელს მხარეში მოძრაობა გაიმართა მეტად ჩქარი.  
ისწრაფოდნენ, მიმავალნი არა გრძნობდნენ სიმწუხარეს,  
მხიარული გაემგზავრნენ, ასე გასცდნენ მშობელ მხარეს.

1523. ათასი აკცი თან გაჰყვათ, ქაფ-ჯავშნიანად მავალი,  
რაინდი ნიბელუნგელი; შინ კი დატოვეს მრავალი.  
მტირალი ქალი, ისინი მათ ვეღარ ნახეს სრულებით.  
მეტად სტანჯავდა კრიმჰილდეს გმირი ზიგფრიდეს წყლულები.

1524. მაინისკენ გაემართნენ სტუმრად მალე მისვლის მდომნი,  
აღმოსავლეთ ფრანკონიით, გუნთერ მეფის ქვეშევრდომნი.  
ტრონიელი წინ უძღოდათ, მან იცოდა მხარე მთელი.  
მარშლად ჰყვანდათ მათ დანკვარტი, მხნე რაინდი ბურგუნდელი.

1525. ფრანკონია ოდეს განვლეს და შეუდგნენ შვალფელდს ზევით,  
იქ შეეძლო ყველას მათი გამოცნობა უცხო ქცევით,  
როგორადაც თავადების, მხლებლებისაც მათის ისე.  
მეთორმეტე დღეს მივიდა გუნთერ მეფე დუნიაზე.

1526. ტრონიელი იყო გზაზე წინმსვლელი და ყველას მცველი,  
ნიბელუნგებს ამხნევებდა ის მხნეობით საკვირველით.  
ძირს ჩამოხტა მდინარის პირს მხნე რაინდი ზრუნვის ჩენით.  
და სასწაფოდ ხეზე მაგრად გამოაბა თვისი ცხენი.

1527. წყალს აეწია და არსად არ ჩანდნენ კატარღანია;  
საგონებელსა მიეცნენ ნიბელუნგების სპანია,  
თუ როგორ გადალახავდნენ მდინარეს ამსიდიდესა.  
მაშინ მრავალი რაინდი ჩამოხტა წყლისა კიდეა.

1528. "აქ, ამ წყალზე", თქვა ჰაგენმა, "დღე დადგება შენტვის ავად,  
რაინელო ხელმწიფეო; გადაავლე თვალი თავად,

რა ტალღებად აგრაგნილა საშინელი წყლისა პირი.  
ჩვენ დავკარგავთ მრავალ რაინდს, მე შიში მაქვს ამნაირი".

1529. "რად მაყვედრი, ჩემო ჰაგენ", გუნთერ მეფემ უთხრა მშვიდად;  
"თქვენი კარის წესისათვის, ნუ გვაშინებ უფრო დიდად.  
გამოდებნეთ კარგი ფონი, რომ ხმელეთზე გადავიდეთ,

გადიყვანეთ იქ ცხენები და სამოსიც გადაზიდეთ".

1530. უპასუხა: "ჯერ სიცოცხლე არ მაქვს ასე სამულველი, ამ ტალღებში ჩასავარდნად რომ ავიღოთ თავზე ხელი. მანამდისინ ხელი ჩემი უნდა მისწვდეს მტერს საჟღეტად. ეტყელ მეფის ქვეყანაში, ეს მე მინდა მეტისმეტად.

1531. გულზვიადო რაინდებო, აქ დაჰყავით მცირე დრონი, მე წავალ და გამოვნახავ გადამყვანელ კაცეფს ფონით; იმათ ძალუმთ, რომ გადაგვსხან ჩვენ გელფრატის ქვეყანაში". გაბედულმა ტრონიელმა ფარს ჩასჭიდა ხელი მაშინ.

1532. იარაღით შეჭურვილსა თან მიჰქონდა ფარი თვისი; ჩამოფხატულ მუზარადით შუქი კრთოდა საკმარისი. ჯაჭვის ზემოთ მას ეკიდა უფართესი ხმალი მჭრელი, ორსავ პირით ალესილი, ფხიანი და სისხლის მღვრელი.

1533. ის ეძებდა; სურდა სადმე მენავეთა აღმოჩენა. უცებ ესმა წყლის ჩქეფანი და მიაპყრო ყურთასმენა. ქალნი ბრძენნი აჩქეფებდნენ იქ მშვენიეს შადრევანსა: დასიცხულნი ბანაობით იგრილებდნენ თურმე ტანსა.

1534. შეამჩნია მან ისინი და ნელინელ მიეპარა; რაინდი რომ დაინახეს, განიზრახეს წასვლა ჩქარა. უხაროდათ, როდესაც მას დააღწიეს იმათ თავი. არ გასდია, მათ სამოსელს შემოხვია დინჯად მკლავი.

1535. მაშინ თქვა ერთმა ზღვის ქალმა (ჰადბრუგე ერქვა სახელად): "ჰაგენო, დიდო რაინდო, მოსულო ჩვენდა მნახველად, თუ დაგვიბრუნებთ სამოსელს, რომ შევიმოსოთ სხეულნი, გაუწყებთ, რასაც განიცდით, თქვენ, ჰუნებისგან წვეულნი".

1536. ვით ფრინველები, ისინი ჰფრინავდნენ ზემოდან წყალისა. მანაც იფიქრა, ძალუმთო შეცნობა მომავალისა. და დაიჯერა ამიტომ, რაც იყო მათგან თქმულები. ყოველს კითხვაზე აძლევდნენ პასუხს, გარკვეულს სრულებით.

1537. ქალმან უთხრა: "გაემგზვრეთ სტუმრად ეტყელ მეფის კარად. ერთგულებას ჩვემსას გაძლევთ თქვენ იმისდა საწინდარად, რომ გექნებათ იქ მიღება ბრწყინვალე და დიდებული, რომლის მსგავსი არ ნახულა, სიმართელა ჩემგან თქმული".

1538. ამ სიტყვების გაგონებამ გაუხარა ჰაგენს გული; დაუბრუნა მალე უკან ტანსაცმელი წართმეული. როდესაც კი ჩაიცვეს მათ სამოსელი ტურფა თვისი, მან შეიტყო მხოლოდ მაშინ ბედის შავი სამზადისი.

1539. ალაპარაკდა მეორე - ზიგელანდ ერქვა იმასა:  
ჰაგენ, ძევ აღდრიანისავ, უფრთხილდი სისხლის წვიმასა;  
დამან იცრუა, სამოსზე რომ შენ არ გეთქვა უარი.  
თუ ჰუნებამდის მიაღწევ, დარჩება მონატყუარი.

1540. მართლი რომ ვთქვათ, დრო არის უკანვე დაბრუნებისა,  
მიწვეულნი ხართ რაინდნი მისაყენებლად ვნებისა:  
ჰუნთა მხარეში არიან თქვენი გაჟლეტის მდომელი.  
სიკვდილს უჭირავს ხელში ის, იქითკენ წავა რომელი".

1541. უპასუხა მას ჰაგენმა: "ტყუილია თქვენგან თქმული.  
ვით მოხდება, რომ ვისიმე ბოროტებით განზრახულით.  
ჩვენ იმ კარზე სტუმრობის დროს დახოცილნი დავრჩეთ სრულად?".  
მაშინ რაინდს ეს ამბავი უთხრეს უფრო გრკვეულად.

1542. "ეს მოხდება უსათუოდ", თქვა მათ შორის ერთმა კიდევ.  
"ვერვინ ნახოს თქვენთგანმა მშობლიური ხმალთა კიდე.  
გადარჩება მარტოდენ კაპელანი ხელმწიფისა.  
გუნთერ მეფის ქვეყანაში უვნებელად მივა ისა".

1543. გაბედულმა ტრონიელმა მათ პასუხი გასცა ავი:  
"მე არ ძალმიძს ჩემს ბატონებს მოვახსენო ეს ამბავი,  
რომ ჰუნები სტუმრობის დროს ჩაგვიქრობენ ჩვენ იქ მზესო.  
აბა, ბონი დამანახვე, დედაკაცო, უბრძენესო!".

1544. ქალმან უთხრა: "თუ გზა თქვენი გაგრძელება ისევ წინა,  
გაიხედე ზევით, წყალზე დასადგომი მოჩანს ბინა.  
მასში არის გადამყვანი, ახლოს მეტი არავინა".  
მან სხვა კითხვა აღარ მისცა, ეს სიტყვა რომ მოისმინა.

1545. გაბრაზებულ რაინდს უკან მიაძახა ერთმა კვალად:  
"დაიცადეთ, მხნე ჰაგენო, ჩქარობთ მეტად წასავალად.  
მოისმინეთ ეს ამბავიც: რომ გადახვალთ გაღმა ხმელზე,  
იქ ბატონი არის კუთხის, ეწოდება იმას ელზე.

1546. გელფრატი არის სახელი რაინდის ძმისა მისისა;  
ბავარიაა ქვეყანა, ბატონ-პტრონად ზის ის სად.  
მის მიწა-წყალზე გავლა თქვენ გმართებთ რიდით და ფრთხილობიტ,  
ფონით გადამყვანს ყველანი უნდა მოექცეთ ზრდილობით.

1547. ის იმდენად ბოროტია, რომ არ შეგყრით კეთილს თქვენა,  
თუ როგორმე, რაინდებო, მოინდომეთ მისი წყენა.  
საჩუქრების დაპირებით მოისყიდოთ უნდა ისა.

იგი იცავს ამ მხარეს და ერთგულია გელფრატისა.

1548. თუკი დროზე არ მოვიდეს, გადასძახეთ წყალზე რიხით.  
და უთხარით, რომ სახელად გეწოდებათ ამერლიხი.  
გმირი იყო, მან ეს მხარე მტერთა გამო მიატოვა.  
მის სახელს რომ გაიგონებს, გადამყვანი მყისვე მოვა".

1549. გულზვიადმა ტრონიელმა ქალებს მადლი მოახსენა.  
რჩევისა და სწავლებისთვის; მეტი აღარ დასძრა ენა.  
შემდეგ ზევით, მდინარის პირს, სიარულით შეჰყვა ჩქარით,  
ვიდრემდისინ მიღმა მხრეს სახლი რომ არ ნახა მდგარი.

1550. წყლის ტალღებზე გადირბინა ხმამ ძლიერმა, ვითა ქარმა:  
"ჰე, მენავევ, გადმიყვანე!" უთხრა კარგმა მეომარმა;  
"შენთვის ოქროს სამაჯური წამოვიღე ჯილდოდ თანა.  
უსიკვდილოდ მაგ მხარეზე მე მჭირდება გადაყვანა".

1551. ამ უმდიდრეს მენავესა სამსახური უჩნდა ჭირად;  
გასამრჯელოს ვისმესაგან აიღებდა იგი ძვირად.  
როგორც თავად, მსახურები გულზვიადნი იყვნენ მისი.  
მხნე ჰაგენი ისევ მარტო მდინარის პირს იდგა მქისი.

1552. მაშინ იმან დაიყვირა ძლიერებით იმნაირით,  
რომ მდინარემ აირეკლა ხმა მჭექარე თვისი პირით;  
"გადმიყვანე, ამერლხინი ვარ მე - ელზეს ქვეშევრდომი,  
მტრის მიზეზით ვინც დატოვა ეს მხრე და თვისი ტომი".

1553. თან აჩვენა სამაჯური, აწეული მალლა ხმალით.  
(იგი იყო მშვენიერი და ბრწყინვდა ოქროს ალით),  
რათა იგი გადეყვანა მას გელფრეტის ქვეყანაში.  
გულგორიზმა მენავემ თვით ხოფს ჩასჭიდა ხელი მაშინ.

1554. ამ მენავეს, ამას, თანაც გული ჰქონდა მეტად ხარბი,  
მაგრამ ხშირად საზარალო უძლომობა ხდებდა ჭარბი.  
ეგონა, თუ წითელ ოქროს იშოვიდა რაინდისგან.  
მიიღო კი მან სიკვდილი საშინელი იმის ხმლისგან.

1555. მენავემან ნაპირს ნავი მიაყენა მარდი ხელით.  
რომ ვერ ნახა იგი, ვისიც გაიგონა მან სახელი,  
გული ბრაზით აუდუღდა. გადაავლო ჰაგენს თვალი.  
და პირველად ნახულ რაინდს შეუძახა სიტყვა მწყრალი:

1556. "ეგების მართლაც კი იყოს ამერლიხ თქვენი სახელი,  
მაგრამ არ ჰგავხართ მას, ვისაც მინდა მე ვიყო მნახველი.  
ჩემი ძმა იყო ნამდვილი იგი დედით და მამითა,  
სიცრუის გამო ვერ გახვალთ გაღმა მდინარით ამითა".

1557. ტრონიელმა უთხრა: "არა, ღვთის გულისთვის, გადაგვიხიდე.  
ვარ რაინდი ვინმე უცხო და მზრუნველი სხვებზე კიდე.

გადაყვანის ჯილდოდ ჩემი თქვენ აიღეთ ოქრო მთელად.  
მე კეთილად განწყობილი ვარ თქვენდამი უეჭველად".

1558. "არა, ეს არ შეიძლება", კვლავ მენავემ უთხრა მქისად,  
"ჩემს ბატონებს ირგვლივ მტერი ახვევია საკმარისად,  
და ამიტომ, მათ მიწაზე არ გადავსხამ უცხო პირებს.  
თუ სიცოცხლე არ მოგპულდათ, განერიდეთ ამ ნაპირებს".

1559. თქვა ჰაგენმა: "არ ვიქმ ამას; გულს მეხვევა სევდის მური.  
გთხოვთ, მიიღოთ სამახსოვროდ ჩემი ოქროს სამაჯური.  
და გადაგვსხათ ჩვენ ათასი ცხენოსანი გაღმა ჩქარა".  
მას მენავემ უთხრა ავმა: "მე არ ვიზამ ამას, არა".

1560. მან ასწია ზე ნიჩაბი, მაგარი და ფართო მეტად.  
და დაარტყა ჰაგენს (შემდეგ თვით გაუხდა გულსაწყვეტად);  
წაბარბაცდა ნავში თვითონ და დაეცა მუხლის თავით.  
არ ენახა არსაც ჰაგენს ჯერ მენავე ესდენ ავი.

1561. აღენტო რა მეტის ბრაზით, არ აყოვნა დიდი ხანი,  
აიღო და მოქნეული დააღეწა თავს ლატანი.  
მხნე ტრონიელს. ჰქონდა იმას მძლეობა და დიდი ჯანი,  
მაგრამ უფრო დაზიანდა თვითონ ელზეს გადამყვანი.

1562. აქ საშინლად გულმოსული ტრონიელი მისწვდა მალი.  
გვერდზე თავის ხმალის ქარქაშს, და იპოვა იქ მან ხმალი.  
მოჰკვეთა და მდინარეში გადისროლა მისი თავი.  
ბურგუნდელმა რაინდებმა სცნეს მალე სულ ეს ამბავი.

1563. სწორედ მაშინ, რა წუთშიაც ის მენავეს სულსა ხდიდა,  
გაიტაცა წყალმა ნავი; ეს ეწყინა ჰაგენს დიდად.  
გაუჭირდა მას, დაღალულს, ნავის გამო წყალთან ომი.  
მაინც მისწვდა ხოფს ღონივრად გუნთერ მეფის ქვეშევრდომი.

1564. იგი ნავის მობრუნებას შეეცადა, ჭირში მყოფი,  
მაგრამ უცებ გადაუტყდა ხელში იმას მტკიცედ ხოფი.  
ნაპირისკენ, რაინდებთან მიეზიდნა სურდა ნავი,  
მაგრამ ხოფი არა ჰქონდა, ვიდრე მისი შესაკრავი.

1565. არ შემოხსნა ფარს ზონარი და არ შეკრა ხოფის ტარი.  
მაშინ ტყისაკენ გაემართა ტრონიელი ცურვით ჩქარით.  
იქ, ნაპირზე მომლოდინე, ნახა თვისი მბრძანებელი,  
იქვე შეხვდა მას რჩეული რაინდების რაზმი მთელი.

1566. მას სალამით შეეგება კეთილშობილ ვაჟკაცთ ჯარი,  
ნახეს, ნავში ვით ბოლავდა ჯერაც კიდევ სისხლის ღვარი.  
იმ ძლიერის ჭრილობიდან, მენავეს რომ მიაყენა.

ამის გამო შეკითხვისთვის ამეტყველდა ბევრი ენა.

1567. როდესაც კი გუნთერ მეფემ აორთქლებულ სისხლის ტბასა.  
თვალი მოჰკრა ნავის ფსკერზე, შეეკითხა მყისვე მასა:  
"სთქვით, ბატონო ჰაგენ, ნავში თვით მენავე რად არ ზისა?  
სჩანს, ძლიერმა თქვენმა ხელმა მას ჩაუქრო შუქი მზისა?".

1568. დაფარა და უთხრა ასე: "ერთ ძეწნაზე ვნახე ნავი.  
გამობმული, ავხსენი და წამოვზიდე ჩემი მკლავით.  
არ მინახავს, არ შემყრია ნაოსანი ახლა წინ მე.  
და არცა თუ ჩემს მარჯვენას შეუმუსრავს კაცი ვინმე".

1569. მაშინ გერნოტ მეფისაგან მოისმინეს სიტყვა თქმული:  
"დღეს მაშინებს მეგობართა სიკვდილი და მტკივა გული,  
რადგან ვერც ერთ მენავესა ვერა ვხედავთ ჩვენ აქ წყალზე.  
როგორ უნდა გადავიდეთ, ეს მაფიქრებს ახლა ძალზე".

1570. დაიყვირა ტრონიელმა: "მყის ცხენების საკაზმავი.  
ძირს დააწყვეთ, მსახურებო! მგონია, რომ თვით ვიყავი.  
უკეთესი რაინზე მე მენავეთა შორის ძველად.  
მე გელფრატის ქვეყანაში გადაგიყვანთ უვნებელად".

1571. ცხენებს წყალში შესარეკად მათრახები გადუცხელეს.  
და ისინიც ისე კარგად მიარღვევდნენ ზვირთთა ღელეს,  
რომ სრულიად უზარალოდ მიცურავდა მთელი ჯოგი.  
მხოლოდ შემდეგ დაქანცული ძირს ჩაცურდა მათგან ზოგი.

1572. მიიტანეს ნავზე სწრაფად ჯავშანი და ოქრო მთელი,  
რადგან უკვე მგზვრობაზე ვერ აელოთ იმათ ხელი.  
ტრონიელმა გადაზიდა, რაც კი ნავსა დააყარეს.  
და მრავალი მხნე რაინდი გადიყვანეს უცხო მხარეს.

1573. ჯერ რაინდი გადიყვანა მან ათასზე უფრო მეტი.  
და სამოცი საკუთარი მეომარი, მტერთა მჟლეტი.  
შემდეგ იწყო გადაყვანა ცხრა ათასი მხლებელისა;  
დასვენება არ ჰქონია, წყალს ებრძოდა მთელ დღეს ისა.

1574. როდესაც კი უვნებელად გადიყვანა ხალხი ნავით,  
მხნე რაინდმა გაიხსენა საკვირველი ის ამბავი,  
რომელიც მან მოისმინა ზღვის ქალისგან წარმოთქმული.  
და მან მეფის კაპელანსა ამოხადა ლამის სული.

1575. ეკლესიის ჭურჭლის წინ მან მდგომარე ნახე მღვდელი;  
მაშინ იმას სიწმინდეზე დაბჯენილი ჰქონდა ხელი.  
მაინც კარგად არ დაუჯდა, ჰაგენმა რომ ნახა ისა:  
საწყალ ხუცესს მაღლის ნაცვლად თავს დაატყდა რისხვა ღვთისა.

1576. მან ნავიდან გადისროლა წყალში იგი მძლე მარჯვენით.  
მიამახა ყოველ მხრიდან: "რას სჩადიხარ, ეს რა ჰქენი!".

ახალგაზრდა გიზელჰერი წამოწითლდა ბრაზით მთვრალი:  
რას ერჩოდა ტრონიელი, რაში დასდო ხუხესს ბრალი?!

1577. საყვედურის სათქმელად იქ გერნოტ მეფემ აღძრა ენა:  
"რას გიშველით, ტრონიელო, კაპელანის მოკლვა თქვენა?  
ინანებდა ამას დიდად, სხვას რომ ესვე ჩაედინა.  
რას ერჩით, რომ აუმხედრდით, ისეთი რა წაგიხდინა?".

1578. შეეცადა ცურვას მღვდელი; იმედობდა გადარჩენას.  
მაგრამ ვერვინ ახერხებდა დახმარების აღმოჩენას,  
რადგან მკაცრი ტრონიელი (მას იმდენი ბრაზი ჰქონდა).  
კვლავ ძირისკენ ჰკრავდა ხელსა; ეს არავის არ მოსწონდა.

1579. ნავიდან რომ დახმარებას არ ელოდა უკვე მღვდელი,  
მან მიმართა ნაპირს; იყო ეს იმისთვის მეტად ძნელი.  
არ იცოდა ცურვა, მაგრამ მას შველოდა ხელი ღვთისა.  
და ამიტომ უვნებელი მიეახლა ნაპირს ისა.

1580. იდგა მღვდელი საცოდავი, იბერტყავდა სამოსს ხელით.  
ტრონიელი მიხვდა მაშინ, რომ სიმართლე უეჭველი.  
მას აუწყეს ზღვის ქალებმა, რომ დაღუპვა ელით ყველას,  
მალე სიკვდილს ჩახედავენ ბნელს თვალებში უეჭველად.

1581. როცა მეფის რაინდებმა ამოცალეს სრული ნავი.  
და ყველაფერს, რაც შიგ იყო, მოუყარს ერთად თავი,  
ტრონიელმა დალეწა ის და მდინარეს მისცა ჩქარსა.  
აოცებდა მისი ქცევა რაინდების მედგარ ჯარსა.

1582. "რად სჩადიხარ ამას, ძმაო", მას დანკვარტმა უთხრა წყენით;  
"აწ რაღა გზით უნდა მოხდეს დაბრუნება უკან ჩვენი,  
ჰუნებიდან რაინისკენ დაგვჭირდება წასვლა ოდეს?".  
ტრონიელმა უთხრა, ესო არ მოხდება არასოდეს.

1583. დაუმატა კიდევ ამას: "მაქვს მე ჩემი ანგარიში:  
თუკი ვინმეს, ჩვენთან ერთად აქ წამოსულს, იპყრობს შიში.  
და ამიტომ მიტოვება შეეძლება ჭირში ჩვენი,  
ამ ტალღებში უნდა ნახოს მან სიკვდილი შესარცხვენი". '.

1584. ბურგუნდიით იმათ ერთი რაინდი თან წარეტანათ;  
მას ფოლკერი ერქვა, იყო ის ძლიერი და ბრგე ტანად.  
მხიარული გუნებისა, მეტყველებდა იგი ლაღად.  
ტრონიელის საქციელი მას მიაჩნდა სწორად, საღად.



1585. ბარგი აჰკიდეს; ცხნები იდგნენ მუნ დატვირთულები.  
ჯერ არაფერი ვნება მათ გზაედ არ მოსვლიათ სრულებით.  
არ აღონებდათ რაიმე, გარდა ხელმწიფის მღვდელისა.  
საკუთარ ფეხით დასჭირდა გავლა მას გზისა გრძელისა.

ამბავი ოცდამეექვსე.

როგორ მოკლა დანკვარტმა გელფრიტი.

1586. როდესაც კი სუყველანი გადვიდნენ ხმელზე, მაშინ.  
გუნთერ მეფემ იკითხა თუ: "ვინ შესძლებს ამ ქვეყანაში.  
გზა გვიჩვენოს, რათა ჩვენ აქ არ ვიდოდეთ უგზოუკვლოდ".  
მხნე ფოლკერმა უთხრა: "გთხოვთ, რომ ეს საქმე მე დამავალოთ".

1587. "რაინდო, თუ მსახურებო", თქვა ჰაგენმა, "ნუ იჩქარებთ!  
ჯობს მეგობრებს შეუთანხმდეთ თათბირობით მრავალგვარით.  
გამჟღავნება თქვენთვის ახლა მინდა ამბის საშინელის:  
ჩვენ ბურგუნდთა ქვეყანაში დაბრუნება აღარ გველის.

1588. ეს ამბავი გამაგონეს ზღვის ქალებმა დილით დღეს მე,  
რომ ჩვენ აღარ გვეღირსება დაბრუნება შინ ოდესმე.  
ახლა გირჩევთ, შეიჭურვოთ და დაიცვათ თავი საღი.  
ჩვენ შევხვდებით ძლიერ მტრებს და უნდა გვესხას იარაღი.

1589. მე ვფიქრობდი, რომ ტყუილში დავიჭერდი ზღვის ბრძენ ქალებს:  
მათ მაუწყეს, რომ ჩვენს შორის აღარ ძალუმს არვის თვალებს,  
კაპელანის გარდა მხოლოდ, მხარე თვისი ნახოს კვალად.  
ამის გამო მისი მოკლვა მივიჩნიე მე ჩემს ვალად".

1590. იმავე წამს ჯგუფიდან ჯგუფს გადაეცა მისგან თქმული.  
და რაინდებს გაბედულებს აუთოროლოდათ შიშით გული.  
სასიკვდილო მწუხარებამ გააფითრა მათი სახე.  
მართლაც დიდი მოელოდათ მათ ურვა და სივაგლახე.

1591. მორიგენთან გადავიდნენ ბურგუნდელნი გაღმა ნავით,  
სადაც ველზე მენავესა ტრონიელმა მოჭრა თავი.  
თქვა ჰაგენმა: "რადგან მტერი მე გზაშიაც შევიძინე,  
ხამს ვიფიქროთ, სადმე მათგან თავს დაგვესხას მალე ვინმე.

1592. გაგიცხადებთ, მე მოვკალი დღეს მენავე ადრე დილით.  
ეს იციან მათ; ამიტომ გთხოვთ, მოიქცეთ ქცევით ფრთხილით.  
და თუ ელზე და გელფრატი დაგვესხმიან დღეს ჩვენ თავსა,

ეცადეთ, რომ თქვენ ისინი საზრუნავსა მისცეთ ავსა.

1593. მხნე არიან, და ვიცი მე, ეს მოხდება უეჭველად;  
ამიტომაც ჯობს ცხენები რომ ატაროთ გზაზე ნელა,  
რათა ზრუნვა გაცლისათვის არ შეგვწამოს ჩვენ აქ მტერმა".  
"მე ვღებულობ რჩევას თქვენსას", თქვა ყმაწვილმა გიზელჰერმა.

1594. "მაგრამ გზების მაჩვენებლად ეყოლება ჩვენს ჯარს ვინა?".  
უპასუხეს: "მხნე ფოლკერი წაგვიძღვება ყველას წინა.  
რადგან კარგად იცნობს გზებს აქ მემუსიკე, გულით ლომი".

ვერც მოასწრეს ამის თქმა და იარაღში დინჯად მსხდომი.

1595. მოეახლათ მემუსიკე. დაიკრა მან ზუჩი თავსა.  
მთელი მისი სამოსელი შუქს აფრქვევდა მომხიბლავდა.  
ნიშანი რამ მოუჩანდა ბუნზე წითლად მოციალე.  
მეფეებთან ერთად იგი შეყარა დიდ ჭირს მალე.

1596. მყის მენავის მოკვლის ცნობა მისული და იყო თქმული.  
გელფრატის და ელზეს წინა; დაუმძიმდათ მეტად გული.  
ამის გამო თვის რაინდებს მიაწვდინეს იმათ ხმანი.  
და ისინიც მათ წინაშე გამოცხადნენ მყისვე მზანი.

1597. რა გამოხდა ხანი მცირე (მომაკყარით შემდეგ სმენა),  
დაინახეს გამალებით მომავალი იმათკენა.  
რაინდების დიდი რაზმი, მედგარი და მტერთა მჟლეტი.  
მოუვიდა გელფრატს კაცი შვიდასი თუ უფრო მეტი.

1598. გამოდევნება დაიწყეს მტრისა შემრისხველისა,  
მათ წინ წამლოლილს ბატონებს სურდათ მიწვდენა ხელისა.  
მხნე სტუმართდამი ჰქონდათ მათ სისხლის ალების წყურვილი,  
მაგრამ დაჰკარგეს მრავალი რაინდი ტანშეჭურვილი.

1599. ჰაგენისგან გაიცა განკარგულება ყოველი.  
(მასზე უკეთეს მცველისა ვინ იქნებოდა მპოველი?).  
დანკვარტთან ერთად დანიშნა მან თავის რაზმის კრებული.  
ზურგის დამცველად. ეს იყო ღრმა ჭკუით მოფიქრებული.

1600. დღის სინათლე მიიწურა, იგი მიწყდა თითქმის მთელად.  
მას თავისი მეგობრების საფრთხე ჰქონდა საზრუნველად.  
მიდიოდნენ წინ ზეითად ბავარიის მიწა-წყალით.  
მხნე რაინდებს მალე მტრები თავს დაესხნენ დიდის ძალით.

1601. ესმათ გზის ორსავ მხარიდან და ზურგის მიმართულებით.  
ფლოქვების ცემა; მოსდევდნენ მტრები მათ გაბედულები.  
თქვა გულმაგარმა დანკვარტმა: "მტერი თავს წამოგვდგომია;  
აწ მუზარადთა დახურვა იქნება მოსახლომია".

1602. მათ საჭიროდ დაინახეს შეეწყვიტათ ცხენთა რბენა.  
სიბნელეში შეამჩნიეს ფართა მიერ სხივთა ფრქვევა.  
ამის შემდეგ ტრონიელმა შეუძახა მღევრებს მქუხად:  
"ვინ არის, რომ უკან მოგვდევს?" და გელფრატმაც უპასუხა.

1603. ბავარიის მარკგრაფისგან მათ მოესმათ სიტყვა მტრული:  
"ჩვენ ვართ ჩვენთა მოსისხართა დასაწევად წამოსული.  
მე არ ვიცი, თუ ვინ არის, მენავე რომ მოკლა ჩვენი.  
ის რაინდი იყო მარდი; ვარ ამაზე გულნატკენი".

1604. ტრონიელმა უპასუხა: "შენი იყო მაშ მენავე?"

გადაყვანა ჩვენი არ ჰქნა. ვარ მარტო მე დამნაშავე.  
მის მოკვლაში; არ შემეძლო დამერჩინა მოუკლავი,  
რადგან თვითვე მომელოდა მე სიკვდილი მისგან შავი.

1605. შევთავაზე მას საჩუქრად სამოსი და ოქრო მრავლად,  
მდინარეზე მისი ნავით თქვენს მხარეში გადმოსავლად.  
ამის გამო ის გაბრაზდა და დამარტყა ხოფის ტარი.  
მეც ავენთე და მას თავზე დავატეხე რისხვის ზარი.

1606. იმ წამშივე ხმალი ვიძვრე და მენავეს გადავკარი.  
დაილუპა ამნაირად ეს რაინდი გულმაგარი.  
შხად ვარ ისე გაგისწორდეთ, ვით იქნება თქვენი ნება".  
შეუტიეს ერთურთს: გულში დიდი ჰქონდათ რისხვის გზნება.

1607. "მე ვიცოდი", თქვა გელფრატმა, "გუნთერ მეფე და სპა მისი.  
გაივლიდა აქ, და ჰაგენ, ზვიადი და მეტად მქისი.  
შფოთს რაიმეს შეგვამთხვევდა. დაუჯდება ეს მას ავად:  
დე, მენავის მოკვლისათვის მან სიკვდილი ნახოს თავად".

1608. ერთმანეთის შესამუსრად წამოხარეს შუბი ხელად.  
ორი გმირი იქ ურთიერთს მოევილინა სისხლის მღვრელად.  
დანკვარტი და ელზე ცხენებს დააფრენდნენ, ვითა ქარი,  
ერთმანეთის გამოცდისთვის ომი ატყდა შესაზარი.

1609. განა უფრო გაბედულად დახვედრია ვინმე ჭირსა?!  
მძლავრის დაკვრით გადიზნიქა და დაეცა ჰაგენ ძირსა.  
შეამთხვია ეს გელფრატის მოქნეულმა ხელმა მარდად.  
ცხენს გაუწყდა სამკერდული და იმიტომ ჩამოვარდა.

1610. მსახურებმაც ფარნი ფართა შეაჯახეს მაშინ ღონით.  
ჩამოვარნის შემდეგ ჰაგენს დაუბრუნდა ისევ გონი.  
მწვანე მოლზე, სადაც იგი ჩამოაგდო მტრულმა ხელმა.  
გაბრაზება უდიდესი გულში იგრძნო ტრონიელმა.

1611. მე არ ვიცი, ვის ეკიდა მათ ცხენთათვის მაშინ ხელი.  
ძირს ქვიშაზე იდგნენ უკვე გელფრატი და ტრონიელი.  
გაქანდნენ და ერთმანეთსა დაეტაკნენ გააფთრებით.  
მათი ჩხუბი რომ გაიგეს, მიემშველნენ მეგობრები.

1612. მტერს შეეჯახა სასტიკად ჰაგენი, მსგავსი ლომისა;  
მაგრამ ასტეხა ნატეხი მის ფარს იდაყვის ზომისა.  
მძლავრმა გელფრატმა; ავარდა ალი ნაპერწკალთ ჩქეფისა.  
და ლამის მკვდარი დაეცა რაინდი გუნთერ მეფისა.

1613. მაშინ მან დანკვარტს საჩქაროდ სიტყვა შესძახა ხმიერი:  
"ძმაო, ძვირფასო, მიშველე! ეს მეომარი ძლიერი.  
ისე მაწვება, შემმუსრავს მკლავები მისი რკინები".

თქვა გაბედულმა დანკვარტმა: "მსაჯულად მოვევლინები!".

1614. მყის მივარდა იქ მდგომრეს ეს რაინდი გმირთა დარი,  
ხმალი დაჰკრა გალესილი და დაეცა კაცი მკვდარი.  
ელზეს სურდა, რომ აედო დანკვარტისგან სისხლი ძმისი,  
მაგრამ იგი უკუიქცა და მხლებლებიც მასთან მისი.

1615. ძმა მოკლული დარჩა ველზე, თვით გაიქცა დაკოდილი,  
მის უკეთეს ოთხმოც რაინდს სული ჰქონდა ამოხდილი.  
საშინელის სიკვდილისგან. მას კი უნდა სულ ერბინა,  
რომ გუნთერის ჯარისაგან თავი თვისი გადერჩინა.

1616. როდესაც გზას გადასცილდნენ ბავარიელ მეომრები,  
გაისმოდა ყიჟინა და საშინელი დარტყმის ხმები.  
დაედევნენ თავდამსხმელებს რაინდები ჰაგენისა.  
სასიკვდილო შიშის გამო სწრაფი იყო რბენა მტრისა.

1617. უთხრა რაინდმა დაკვარტმა მაშინ მტრის მიმდევარებსა:  
"ჩვენს გზას გავუდგეთ, ნუ მივდეთ უკან გაქცეულ ჯარებსა.  
დაე, გარბოდნენ, ისინი სისხლში მოსვრილნი არიან.  
ჩვენ კი თან გავყვეთ მეგობრებს, სტუმრად რომ მიიჩქარიან."

1618. როს დაბრუნდნენ იმ ადგილას, სადაც მტერთა მოხდა შეხლა,  
თქვა ჰაგენმა: "რაინდებო, შევამოწმეთ აბა ეხლა,  
თუ გელფრატის გაბრაზებით, ამ უეცარ ბრძოლის ალში,  
ვინ დაკვარგეთ, ვინ გვაკლია მეგობართა შორის თვალში?".

1619. დაჰკლებოდათ ოთხი მხოლოდ; მცირე იყო დანაკლისი.  
ამის ნაცვლად ულმოხელად მათ დასაჯეს მტერი თვისი:  
ბავარიელ რაინდთაგან ასზე მეტი იწვა მკვდარი.  
ტრონიელის ყოველ მებრძოლს შეჰკლებოდა სისხლით ფარი.

1620. ცაზე გაკრულ ღრუბელთ შორის მთვარის შუქმა იწყო ჩენა.

მაშინ უთხრა კვლავ ჰაგენმა, "მომაპყარით, ძმებო, სმენა:  
ნუ აუწყებთ ძვირფას ბატონთ, რაც დაგვატყდა ჩვენ აქ თავზე,  
რომ დილამდე არ იზრუნონ ამ სამძიმო საზრუნავზე".

1621. ოდეს იმათ შეუერთდათ ამ ბრძოლაში მყოფი ჯარი,  
დაღლილობას შესჩიოდა მათ ყოველი მეომარი;  
კითხულობდნენ: "ასე ცხენით სვლა როდემდე დაგისახავთ?".  
თქვა დანკვარტმა გაბედულმა: "თავშესაფარს აქ ვერ ვნახავთ.

1622. ვიდრემდისინ არ ინათებს, ჩვენ არ ძალგვიძს შეჩერება".  
მხნე ფოლკერმა, რომელსაც იქ ჰმორჩილებდა მსახურთ კრება,  
უბრძანა, რომ ჰკითხონ მარშალს: "სად შევუხვევთ ახლა ჩვენა.  
ცხენების და საყვარელი ბატონების დასასვენად?".

1623. თქვან დანკვარტმა გაბედულმა: "მე არ ძალმიძს გითხრათ ესა.  
დასვენება არ იქნება, არ ვიხილავთ ვიდრე მზესა.  
ბანაკს დავცემთ მაშინ ველზე, რომ მწვანეზე შევისვენოთ".  
ამ სიტყვების მოსმენაზე არვინ დარჩა უნაწყენოდ.

1624. ვერ შენიშნეს, რომ ისინი დასვრილიყვნენ სისხლით ცხელით,  
ვიდრემდისინ არემარე არ განათდა მზის ნათელით,  
მთების ქედით გადმოღვრილით. მაშინ გუნთერ მეფემ ნახა,  
რომ ეომა მათ ღამით და გულმოსულმა დაიძახა:

1625. "მეგობარი ჰაგენ, რისთვის არ ჩასთვალეთ საკადრისად.  
შეწევნა და შველა ჩემგან შესამუსრად ჩვენის მტრისად?  
გაქვთ დასვრილი ჯაჭვი სისხლით; ვინ შეგყარათ საქმეს ავსა?".  
თქვა ჰაგენმა: "ელზემ გვიყო, ის დაგვესხა ღამით თავსა.

1626. იმ მენავის მოკვლის გამო ეს თავდასხმა მოხდა მტრული.  
მაშინ ჩემი ძმის მარჯვენამ ამოხადა გელფრატს სული.  
ბოლოს ელზე კი გაგვექცა: მას ასწავლა ჭირმა რბენა.  
ასი კაცი მათ დაკარგეს, სულ მოგვიკლეს ოთხი ჩენა".

1627. ვერ გაუწყებთ, თუ იმ ღამით სადა ჰქონდათ იმათ ძილი.  
იქ, დუნაის ვრცელ მხარში, ყველას ჰქონდა გაგონილი,  
რომ ეტყელთან სტუმრად მივლენ კეთილშობილ უტეს ძენი.  
პასაუში შეხვდნენ იმათ ღრმა პატივის გამოჩენით.

1628. თავადების ბიძა მაშინ, მღვდელმთავარი თვით პილგრიმი,  
დისწულების წვევის გამო აღვსებული იყო ლხენით.  
ახარებდა მათთან ერთად რაინდების მათის ხლება.  
გაიმართა საამური შეხვედრა და მიგებება.

1629. მასპინძლები ძვირფას სტუმრებს წინ დაუხვდნენ მეგობრულად;  
მაგრამ ქალაქ პასაუში ვერ დასტევდნენ იმათ სრულად.

გადიყვანეს წყალის მიღმა, სადაც იყო ფართე ველი.  
მსახურებმა იქ კარვები და ქოხები დადგეს ვრცელი.

1630. მათ მართებდათ იქ დარჩენა მთელი დღე და მთელი ღამე,  
დაღლილებმა კარგის მოვლით განიცადეს ღრმა სიამე.  
გაემგზავრნენ შემდეგ მუნით რუდიგერის ქვეყნისკენა.  
ამ ამბავის გამო მანაც განიცადა დიდი ღხენა.

1631. ერთი ღამის დასვენებამ დაუბრუნა დაღლილთ ძილი;  
უკვე თვალწინ გადემალათ მათ ჰუნების მიწა-წყალი.  
საზღვრის სვეტთან ნახეს კაცი, მორეოდა თვალზე რული.  
ტრონიელმა მას აართვა იარღი მისი სრული.

1632. ეკვრტ იყო სახელი რაინდის ღირსეულისა.

მას უდიდესი შეემთხვა ტანჯვა და ტკენა გულისა,  
რომ დაეუფლა იმის ხმალს რაინდი უცხო ერისა.  
რა ცუდად იყო დაცული საზღვარი რუდიგერისა!

1633. "ვაი სირცხვილო!" დაიწყო მუნ ეკევარტმა ჯვარობა,  
"მე უნდ მწარედ ვინანო ბურგუნდელების მგზავრობა.  
ზიგფრიდის შემდეგ ცხოვრების გზა წარემართა მრუდადა.  
რუდიგერ, ჩემო ბატონო, მოგექეც მეტად ცუდადა!".

1634. ტრონიელმა, რომ დაუგდო ამ რაინდის ჩივილს ყური,  
ხმალი მისცა, თან აჩუქა ექვსი ოქროს სამაჯური.  
"აჰა, გეონდეს სამახსოვროდ და განმეწყვე კარგი გულით.  
აქ მარტო ვერ დაწვებოდი, რომ არ იყო გაბედული".

1635. უპასუხა: "ღმერთიმც თქვენზე წყალობის იყოს მჩენი!  
მაგრმ ჰუნეთს გამგზავრება მე მაწუხებს ძალზე თქვენი.  
აქ ზიგფრიდის მკვლელთა მიმართ სიძულვილი არ ილევა.  
თავს უფრთხილდით, ეს იქნება მეგობრული ჩემი რჩევა".

1636. თქვა ჰაგენმა: "ღვთის წყალობით აგვცილდება საქმე ავი.  
ჩვენს რაინდებს არაფერი სხვა არა აქვთ საზრუნავი,  
დასადგომიო ბინის გარდა, თავადნი და მათი ჯარი.  
ეძებენ, თუ სად იპოვონ ღამე თავთა შესაფარი.

1637. დიდი მგზავრობით ცხენები გვყანან ჩვენ დაქანცულები,  
უთხრა ჰაგენმა, - საჭმელიც გამოგველია სრულებით.  
თანაც ვერ შევძლოეთ გვემოვნა რაიმეს სასყიდელია.  
ეგების მეპატრონემ აქ პურით მოგვიწყოს ხელია".

1638. უპასუხა ეკევარტმა: "მე გიჩვენებთ მეპატრონეს,  
გულუხვობით სახელგანთქმულს და მრავალი განძის მქონეს.  
ყველაზე მეტს ქვეყანაზე თქვენ იგემებთ ღხინ და შვებას,

თუ, რაინდნო, რუდიგერთან მოისურვებთ მიბრძანებას.

1639. მეპატრონეთ შორის ქვეყნად ის ყველაზე უკეთესი, გზასთან ცხოვრობს; იგი გულთი წყალობისა არის მთესი, ვით მაისის მთვარე, სხივებს ყვავილეს რომ აფრქვევს თავსა. რაინდებს სხვა ვინ გაუწევს მასპინძლობას მისად მსგავსად?".

1640. მაშინ უთხრა გუნთერ მეფემ: "გთხოვთ, დამიდგეთ მოციქულად. და რუდიგერს, ჩემს მეგობარს, მოახსენოთ ჩემგან თქმულად, რომ დილამდე მიგვიღოს და მასპინძლობა დაგვავალოს. რამდენადაც შეეძლება, გარდავუხდი სანაცვალს".

1641. ეკვარტმა ჰკადრა: "ამას შევასრულებ სიხარულით". წასასვლელად განემზადა სიამით და კარგი გულით, რომ რუდიგერს მოახსენოს ყოველივე გაგონილი.

რა ხანია, მას ამბავი არ სმენია ასე ტკბილი.

1642. ის შენიშნეს ბეხელარში, მიმავალი ჩქარი სვლითა; რუდიგერმა იცნო იგი და წარმოთქვა: "ამა გზითა. მოიჩქარის ეკვარტი, ქვეშევრდომი კრიმჰილდისა". გაიფიქრა გულში: მტერმა შეაწუხა, ალბათ, ისა.

1643. მიეგება იგი რაინდს ალაცაფის კარით წინა; მან შეიხსნა ხმალი წელით და გადასდო გვერდზე რკინა. და სიმართლით ყოველივე მოახსენა ბატონს სრულად, რაც სთხოვეს და დაავალეს, რომ რუდიგერს ელო ყურად.

1644. მან თქვა: "გეტყვით დანაბარებს, ვინძლო იყოს თქვენი ნება, სამმა მეფემ თქვენს წინაშე ბრძანა ჩემი მოგზავნება; ბურგუნდელი გუნთერ მეფე, გერნოტი და გიზელჰერი. მოგიძღვნიან სალამს, როგორც მოყვარე და არა მტერი,

1645. ამგვარადვე იქცევიან ფოლკერი და ტრონიელი, სიყვარულით ნამდვილით და ერთგულებით უექველით. უნდა მეფის მარშალისგან მოგახსენოთ კიდევ თხოვნა, რომ იმათთვის საჭიროა სადგომების მალე პოვნა".

1646. პირმოცინარ მარკვაფისგან საპასუხოდ იყო თქმული: "გამიხარდა მე ცნობა, რომ მეფეები დიდებულნი. თხოულობენ ჩემს სამსახურს! ვარ ამისთვის განმზადილი. წვევა მათი არის ჩემთვის საამო და მეტად ტკბილი".

1647. "თან მარშალმა დანკვარტმა მე დამავალა გითხრათ ესა, რომ, მარკვრაფო, თქვენს ოჯახში იმათ შორის მოვლენ დღესა. რაინდები სულ სამოცი და მხედარიც ათჯერ ასი; ამათ გარდა, თან მოჰყვებათ მსახურები ცხრა ათასი".

1648. "სალამი ძვირფას რაინდებს!" ხმა იკყო რუდიგერისა;  
"მაქვს მოლოდინი საამო მათი ნახვის და მზერისა.  
ვარ მათ წინაშე აქამდე ნაკლებად ნამსახურები.  
გაეგებინათ ზეითად რაინდნი და მსახურები!".

1649. ყველამ სასწრაფოდ დაიწყო ცხენების გამოყვანება.  
მტკიცე კანონად მიაჩნდათ იმათ ბატონის ბრძანება.  
მყის შესახვედრად რაზმები გავიდა გამოწყობილი.  
ქალბატონ გოტელინდესთვის ეს ჯერ არ იყო ცნობილი.

ამ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე შ ვ ი დ ე .

როგორ ჩავიდნენ ისინი ბეხელარს.

1650. შეატყობინა მარკგრაფმა თავის მეუღლეს და ასულს,  
სჯეროდა, იამებოდა, ესე მათს გულსა და სულსა;  
აუწყა: მოვლენ სტუმრადო, მეფენი დიდის ძალისა,  
კეთილშობილი სამი ძმა ჩვენისო დედოფალისა.

1651. რუდიგერმა უთხრა ცოლსა: "სიცოცხლეც და ჩემო ლხენავ,  
ამ სვემაღალ ხელმწიფეებს უნდა კარგად დახვდეთ თქვენა,  
ოდეს თავის მხლებლებითურთ მოდგებიან ჩვენთან კარად,  
ჰაგენს შეხვდით ალერსით და მიიღეთ სხვების დარად.

1652. მათ მოჰყვებათ ერთი ვინმე, სახელია დანკვარტ მისი,  
მეორეს კი ჰქვიან ფოლკერ (დიდი გმარებთ სამზადისი!);  
მათ ექვსთავეს პირზე კოცნით თქვენ და თქვენი შეხვდით ქალი.  
დანარჩენთაც მიესალმეთ, ვით ზრდილობის ითხოვს ვალი".

1653. მას ორივე ქალბატონმა ეს აღუთქვა სიხარულით.  
ამოიღეს სამოსელი უტურფესად მოსირმული,  
რომ ძვირფასად ჩაცმულები შეხვედროდნენ მომავალებს.  
საზრუნავი მაშინ დიდი გამოუჩნდათ ლამაზ ქალებს.

1654. არ ჰქონდათ ყალბი ნივთები იქ მანდილოსნებს სრულებით;  
ყვითელი ოქროს ჯიღებით ბრწყინავდნენ თავშემკვლები,  
რათა არ ეგრძნო ლამაზ თმებს შემოქროლება ქარისა.  
ჯიღები იყო ელვარე და შესაფერი კარისა.

1655. ამ ფაციფუცში დავტოვეთ ეს მშვენიერი ქალები.  
მაშინ შენიშნეს მინდორზე ზეითად მომავალები.



მარკგრაფის ყმანი, ვიდრემდის მეფეებს შეეყრებოდნენ.  
მათ რუდიგერის მხარეში ზეიმით ეგებებოდნენ.

1656. ოდეს მარკგრაფმა შენიშნა ისინი მოახლებული,  
წარსდგა და ეუბნებოდა სიამით გულაღზნებულნი:  
"კეთილი იყოს აქ მოსვლა თქვენი და თქვენი ლენისა!  
ჩვენ ეს მიზეზად გაგვიხდა განუზომელი ლხენისა".

1657. მადლი უთხრეს რაინდებმა ამის გამო იმას ზრდილად,  
მანაც სტუმრებს დაუმტკიცა, რომ იღებდა გულკეთილად.  
საგანგებოდ შეხვდა ჰაგენს (ადრეც ჰქონდა ცნობა მისი),  
მხნე ფოლკერსაც განუმზადა მან შეხვედრა საკადრისი.

1658. მიესალმა კიდევ დანკვრტს. გაბედულმა უთხრა ასე:  
"ჩვენ შესახებ ზრუნავთ დიდად, შეგვეყარეთ გულით სავსე,  
მაგრამ მათზე ვინ იზრუნებ, ვინც წამოგვეყვა ვორმისით ჩვენა?".  
რუდიგერმა უთხრა: "გვმართებს მათ მიმართაც ზრუნვის ჩენა.

1659. მთელი თქვენი მხლებლობა და მონატანი თქვენგან მთელი.  
ამ მხარეში: ოქრო-ვერცხლი, ცხენები და სამოსელი,  
აქ იქნება დარაჯთაგან დაცული და შენახული;  
ერთ დეზსაც კი არ დაჰკარგავთ, დაიჯერეთ ჩემგან თქმული.

1660. მსახურებო, აწ კი ველზე კარავები დასცით კარგი!  
თქვენ ათკეცად მოგეზღვებათ ყოველივე დანაკარგი.

ცხენთ აჰყარეთ აღვირები და გაუშვით საბალახოდ".  
სხვა ამგვარი მასპინძელი, მეექვსეა, რომ ენახოთ.

1661. გაუხარდათ სტუმრებს, როცა შეასრულეს ყველაფერი.  
და წინ წასულ ბატონთაგან აღიმართა გზაზე მტვერი,  
მსახურები გაწვენენ მოლზე და საამო იგრძნეს შვება.  
მათ ამ გზასი ამნაირი ხვდათ პირველი დასვენება.

1662. ქალაქს გარეთ გამოსვლასა იჩქაროდა მარკგრაფინა.  
თავის ლამაზ ასულითურთ. ის ზვიადად იდგა წინა.  
ბევრი ახლდა ქალბატონი და ქალწული ტურფა ტვერი.  
მშვენიერად შემოსილებს სამაჯური უჩნდათ ბევრი.

1663. შუქს ძვირფასი ჰვენდნენ თვლები, სამოსელზე დანაკერი.  
ამშვენებდათ მორთულობა და ნათელი სახის ფერი.  
აჰა, მოდგნენ სტუმრები და მყის ჩამოხტნენ დაბლა მხნენი,  
შეამჩნიეს ბურგუნდელებს მუნ მრავალი კარგი ზნენი.

1664. ოცდათექვსმეტი ქალწული და ბევრი ქალბატონები,  
წარჩინებულნი და თანაც საჭრვრეტლად მოსაწონები,  
გამოეგებნენ მოსულებს, მხნე ვაჟკაცებით ხლებულნი.

სტუმრებს იღებდნენ მშვენივრად მანდილსნები ქებულნი,

1665. მარკგრაფინა პირზე კოცნით შეეგება მეფეს სამსა,  
მისი ქალიც; ტრონიელი იქვე იდგა იმავ ჟამსა.  
მამამ ბრძანა მისი კოცნაც. მან შენიშნა სახე მქისი;  
იგი იყო ისე მკაცრი, რომ შეზარდა კოცნა მისი.

1666. მაგრამ იმან შეასრულა, რაც უბრძანა მეპატრონემ;  
იგი მაშინ ხან გაწითლდა, ხან ნაცრისფერის გახდა მქონე.  
დაკვარტი და მემუსიკეც გადაჰკოცნა კიდევ ქალმა.  
მემუსიკეს პატივცემა მოუხვეჭა მისმა ძალმა.

1667. ახალგაზრდა მარკგრაფინა ხელგაყრილი გაჰყვა თანა.  
ახალგაზრდა გიზელჰერსა ბურგუნდელთა ქვენიდანა.  
ამგვარადვე გუნთერ მეფეს მისმა დედამ მისცა ხელი.  
გაემართა ყველა ერთად, უნაღვლო და უზრუნველი.

1668. ფართო დარბაზში მარკგრაფი გერნოტთან ერთად შევიდა;  
დასხდნენ ქალნი და რაინდნი ერთად ტურფითა ქცევითა.  
სტუმრებისათვის მორთმევა ბრძანეს ძვირფასი ღვინისა.  
არივს შეემლო გამართვა უფრო ბრწყინვალე ღვინისა.

1669. მრავალი მოყმე უმზერდა თვალებით ალერსიანით.  
რუდიგერის ქალს - იყო ის ტანმაღალი და მზიანი.  
მრავალს იმათგანს ფარულად გულში შეექმნა გზნებული.  
ის ღირსიც იყო ამისა - ტურფა და წარჩინებული.

1670. მალვით ნატრობდნენ იმას, რაც იყო არშესაძლებელი.

შესჩერებოდნენ დროდადრო თვალები ცეცხლთა მგზნებელი.  
ქალბატონებს და ქალწულებს, მრავლად რომ იყვნენ მსხდომარე.  
მარდი შპილმანი მასპინძლის გართობის იყო მდომარე.

1671. განაშორეს ქალებს კაცნი, ვით სჩვეოდა ამა მხარეს.  
და სხვადასხვა სადგომებში თავი ისე შეიყარეს.  
დიდ დარბაზში დადგეს სუფრა, რომ ექამათ სტუმრებს პური.  
მზად იყვნენ, რომ ყველას მათთვის გაეწია სამსახური.

1672. მარკგრაფინა, რომ ზრდილობის მოეხადა მათ წინ ვალი,  
შეესტუმრათ მაგიდაზე; ხოლო თვისი ნორჩი ქალი,  
არსებული წესისამებრ, დაუტოვა მან სხვა ქალებს.  
არ მოსწონდათ რაინდებს, რომ იგი აკლდა იმათ თვალებს.

1673. როდესაც კი საკმარისად დანარყდნენ და შესვეს ღვინო,  
მოიყვანეს ისევ იგი სათვალთვალოდ სარონინო.  
ამეტყველდა უტკბილესად იქ მრავალი ენა მჭევრი.  
თვით ფოლკერმა მოახსენა საამური სიტყვა ბევრი.

1674. მემუსიკემ განაცხადა მუნ აშკარად, არ ფარულად:  
"უმდიდრესო რუდიგერო, მოგვივლინა ღმერთმა სრულდ.  
სიკეთენი ქვეყნისანი, რომ აღეძრა მტერთა შური:  
ცოლი მოგცა უტურფესი და ცხოვრება საამური".

1675. "მე რომ მეფე ვყოვილიყავ და გვირგვინი თავს მდგომოდა",  
კვლავ ფოლკერმა უთხრა, "მაშინ არ ვიცი, თუ ვინ მეტყოდა,  
რომ შემერთო ცოლი ვინმე, თუ არა ეს ქალი თქვენი,  
ლამაზია საჭვრეტელად და მშვენიერ ზნეთა მჩენი".

1676. მას მარკგრაფმა უპასუხა: "არასოდეს მე არ ველი,  
რომ ხელმწიფეს მოესურვოს ქალი ჩემი საყვარელი.  
უთვისტომოდ ვიმყოფებით აქ მე და ჩემი ცოლი;  
ქალს უმზითვოს რას უშველის სილამაზე, ყელი - ბროლი?".

1677. მაშინ ეტყოდა გერნოტი, გმირი არვისგან ძლეული:  
"მე რომ ცოლი შემერთოს ჩემგანვე ამორჩეული,  
ამგვარ მეუღლის გვერდით სულ გული მექნება მზიანად".  
აქ ტრონიელმა წარმოთქვა დინჯად და თავაზიანად:

1678. "ჩვენ ხომ ბატონ გიზელჰერის ქორწინება გვიჩანს ლხინად;  
მაღალია ეგზომ თვისი წარმოშობით მარკგრაფინა,  
რომ მთელს ლენას დიდ პატივში გვეყოლება მუდამ ისა,  
თუ გვირგვინი სურს ატაროს ბურგუნდელთა დედოფლისა".

1679. მოეწონა რუდიგერსა მის წინაშე სიტყვა თქმული,  
და აგრეთვე გოეტლინდემ დიდი იგრძნო სიხარული.  
გადაიქცა მისვე საქმედ ტრონიელის ზრახვა ბრძნული:

ქალი გახდა გიზელჰერის ღირსეული დანიშნული.

1680. თუკი რამე უნად მოხდეს, დაუდგება რაღა წინა?  
მოიყვანეს მაშინ კარზე მშვენიერი მარკგრაფინა:  
დაიფიცეს, ტურფა ქალწულს რომ მისცემდნენ გიზელჰერსა.  
და იმანაც ფიცი დასდო - შეირთავდა მშვენიერსა.

1681. ნორჩ ქალბატონს აღუთქვამდნენ დიდ ქალაქებს მიწით ვრცელით;  
ესე ფიცი დადასტურდა გუნთერ მეფის მტკიცე ხელით.  
და გერნოტმაც შეფიცება დაამტკიცა ძმისვე დარად.  
თქვა მარკგრაფმა მაშინ: "რადგან ქალაქებ მაქვს მე არა.

1682. მსურს თქვენდამი სიყვარულის გულში მენტოს მუდამ ცეცხლი.  
შემიძლია მივცე ჩემს ქალს მე იმდენი ოქრო-ვერცხლი,  
რამდენსაც კი წაზიდავდა სასაპალნე ასი ცხენი,  
რომ პატივი საკადრისად მე დავიცვა ამით თქვენი".

1683. მათ თავიანთ წრეში შემდგ - ამნაირი ჰქონდათ წესი -.  
ჩააყენეს ორივენი, და ვაჟები უტურფესი.  
ადიმართნენ მხიარულად მშვენიერი ქალის წინა.  
ნატვრას მათსას ახლაც ვაჟი არ გაივლებს გულში ვინა?

1684. ოდეს ქალწულს მიმართ იქ შეკითხვით იყო თქმულება,  
სურდა, თუ არა რაინდი, მან იგრძნო უხერხულობა.  
თუმც ვაჟის ჭვრეტამ იმის გულს სურვილი დააჩვეია,  
მაგრამ რცხვენოდა ამ კითხვის, როგორც ეს ქალებს სჩვევია.

1685. დასტურის თქმას ურჩევდა მას რუდიგერი, მისი მამა.  
და თანხმობად ამის შემდეგ განაცხადა მან თამამად.  
მყის მიიჭრა და მიიკრა ხელმოხვევით მისი ტანი.  
გიზელჰერმა, მაგრამ დატკბა სიყვარულით მცირე ხანი.

1686. "დიდებულო მეფეებო", რუდიგერმა უთხრა მაშინ.  
"როდესაც კი გაბრუნდებით თქვენ თქვენსავე ქვეყანაში,  
დაგახვედრებთ მე ჩემს ასულს (წესიც არის ამნაირი).  
წასაყვანად" და პირობა ესე დადეს ეგზომ ძვირი.

1687. ჟრამული რომ ისმოდა, მიწელდა და მიწყდა სრულად.  
ახალგაზრდა ქალბატონი, რა ჟამის სცნეს გარდასულად,  
გაისტუმრეს ბინად თვისად და სტუმრებმაც დაიძინეს.  
რა გათენდა, მასპინძლებმა სუფრა მთ წინ კვლავ გაფინეს.

1688. როცა ჭამეს, მოისურვეს, რომ წარევლოთ მალე გზანი.  
ჰუნებისკენ. "მე თქვენ გირჩევთ, დააყოვნოთ კიდევ ხანი",  
მათ მარკგრაფმა მისცა რჩევა: "აქ დარჩენის ნუ გაქვთ რიდი,  
მე სტუმრები ვინ მომივა ძვირფასი და თქვენზე დიდი?".

1689. მას დანკვარტმა უპასუხა: "აქ რამ უნდა დაგვარჩინოს?"

სად იშოვით თქვენ იმოდენს საჭმელსა თუ პურს და ღვინოს,  
რაოდენიც დასჭირდება გასაკვებად მთელს ჩვენს ჯარსა?".  
თქვა მარკგრაფმა: "ნუ მომასმენთ მე ამნაირ საუბარსა.

1690. ბატონებო, დამეთანხმეთ, თუ არა გსურთ ჩემი წყენა.  
თოთხმეტი დღე შემიძლია, რომ გკვებავდეთ აქ მე თქვენა.  
და აგრეთვე ჯარსა, მოსულს თქვენთან ერთად ჩემდა კარად.  
ეტყველ მეფეს ჩემგან უკან წაუღია ბევრი არა".

1691. რა უარზედაც არ იდგნენ მოსწრაფე ბურგუნდელები,  
დარჩნენ მეოთხე დილამდის მუნითგან წაუსვლელები.  
ხმა გავარდა, რომ მარკგრაფი იყო სიუხვის მჩენები.  
და თავის სტუმრებს აჩუქა სამოსელი და ცხენები.

1692. აწ საჭირო იყო უკვე გაგრძელება მათგან გზისა.

რუდიგერს კი, ჩანს, დაზოგვა არა სურდა არაფრისა:  
ვინც კი რასმე ინდომებდა, იგი იყო მისი წილი.  
დიდებული რაინდები დარჩნენ დიდად კმაყოფილი.

1693. მათ მხლებლებმა მოუყვანეს ალაყაფის კარის წინა.  
შეკაზმული ბევრი ცხენი. აელვარდა ფართა რკინა,  
ოდეს უცხო რაინდების გამოვიდა ტურფა კრება.  
ეტყელ მეფის ქვეყნისაკენ მათ უნდოდათ გამგზავრება.

1694. მარკგრაფს არ შეუწყვეტია ძღვენით ავსება ჯარისა,  
ვიდრე მათ მოუხდებოდათ დაგდება მისი კარისა.  
გამდიდრებული იმისგან იყო ყოველი წასული.  
მან ცოლად მისცა გიზელჰერს თავისი ტურფა ასული.

1695. გერნოტს მისცა რუდიგერმა საკმარისად კარგი ხმალი.  
შემდეგ იგი მტერთა მიმართ მას ხმარობდა დიდის ძალით.  
მარკგრაფინას ფიქრითი იყო ძღვენი ესე შესაფერი,  
მაგრამ ბოლოს დაიღუპა ამ ხმალითვე რუდიგერი.

1696. ძღვენად მიართვა გუნთერ მეფეს, ვაჟკაცობის მარად მჩენსა.  
(მას პატივით ატარედა შემდეგ იგი, თუმცა ძღვენსა.  
ღებულობდა იშვიათად), მან ბეგთარი - მტკიცე რკინა.  
მაშინ მეფე დაიხარა უხვ მარკგრაფის ხელის წინა.

1697. გოტელინდემ უძღვნა ჰაგენს, ურცხვენლად და უკრძალველად,  
სამეგობრო საჩუქრები; რადგან ძღვენი მეფემ თავად.  
იქ მიიღო, არც ის უნდა წასულიყო უჩუქვნიელი.  
კარის ლხინზე. ტრონიელმა მოახსენა სიტყვა ნელი:

1698. "ყოველივე იმისაგან, ჩემის თვალით რაც აქ ვნახე,  
საშოვრად და წასაღებად არაფერი დავისახე,  
ფარის გარდა, რომელიც იქ კედელზე დაკიდული,  
იმას ჰუნთა ქვეყანაში წავიღებდი სიხარულით".

1699. მარკგრაფინამ, ჰაგენისგან რომ ისმინა სიტყვა თქმული,  
ცრემლის ფრქვევა იწყო, რადგან განუახლდა ძველი წყლული.  
მოაგონდა ძე რუდუნგი, მკაცრ ვიტხის ხელით მკვდარი.  
მან შეუქმნა მწუხარება, ცრემლები და საჩივარი.

1700. რაინდს უთხრა გოტელინდემ: "მოგეცემათ თქვენ ეს ფარი.  
ღვთის ნება რომ ყოფილიყო, არ იქნება ახლა მკვდარი.  
იგი, ვინც მას ატარებდა. მან სიკვდილი ომში ჰპოვა.  
იმის გამო მმართველს მარად ტირილი და მძიმე გლოვა".

1701. მარკგრაფინა გულკეთილი ზეზე ადგა მაშინ მჯდარი.  
და მშვენიერ თეთრ ხელებით ჩამოიღო დაბლა ფარი.

მიუტანა იგი ჰაგენს, მან ჩასჭიდა იმას ხელი.  
პატივცემით ეძღვნა რაინდს საჩუქარი სასრუველი.

1702. ფარჩით იყო შემოსილი შეფერილი მხარე მისი.  
უკეთესი ფარს არასოდეს არ უნახავს შუქი დღისი.  
პატიოსან თველებით იყო მოოჭვილი ისე ჭრელად,  
რომ შეეძლოთ ათას მარკად გაეყიდათ უვაჭრელად.

1703. დიდმა რაინდმა წაღება ბრძანა მორთმული ფარისა.  
შემდეგ მისმა ძმამ, დანკვარტმა, ნახა სიუხვე კარისა:  
უძღვნა სამოსი ძვირფასი მას რუდიგერის ასულმა.  
ლხენით ატარა იგი მან, ჰუნთა მხარეში ჩასულმა.

1704. ახლა საჩუქარს უამრავს ხელი იმათი სწვდებოდა,  
მაგრამ არასდროს მათ ხელში იგი არ დაგროვდებოდა,  
რომ არ შეჰყროდათ კეთილად მათ მასპინძელი ქებული.  
ბოლოს იმათგან მტრულად ის გახდა დღეშემოკლებული.

1705. როგორც კარის წესი იყო, ჭიანურით წარსდგა წინა.  
მხნე რაინდი ფოლკერ, სადაც ბრძანდებოდა მარკგრაფინა.  
დაუკრა და დაამღერა ტკბილი ხმები მან სიამით.  
ბეხლარიდან წასვლის სალამს მათ უძღვნიდა იგი ამით.

1706. მარკგრაფინამ მოითხოვა მაშინ სკივრი დაბეჭდილი.  
სამეგობრო ძღვენთა გამო მოისმინეთ სიტყვა თქმული:  
ამოიღო მან თორმეტი სამაჯური სკივრიდანა,  
გადასცა და უთხრა: "ფოლკერ, ეს ჰუნეთში ზიდე თანა."

1707. და იქ, ჩემდა საამებლად, გთხოვთ ატაროთ ხელზე თქვენა.  
ოდეს უკან წასვლის დროს აქ დაგჭირდებათ გამოჩენა,  
უნდა მითხრან მუნ პატივი თქვენ მე დამდეთ რანაირი".  
მხნე ფოლკერმაც გოტელინდეს შეუსრულა დანაპირი.

1708. მასპინძელმა უთხრა სტუმრებს: "რომ იმგზავროთ უზრუნველად,  
მსურს მე თვითონ გაგაცილოთ და პირადად გყავდეთ მცველად,

რომ არავინ განიზრახოს აქ გამარცვა გზაზე თქვენი".  
და დატვირთეს მაშინ მისი სასაპალნე ბევრი ცხენი.

1709. გამოწყობილ ხუთას კაცით მასპინძელი იყო მზადა,  
რომ სასახლის კარისაკენ გაჰყოლოდნენ სტუმრებს გზადა.  
სადარბაზოდ მიმავალებს მხიარული ჰქონდათ სული.  
აღარავინ იმათგანი არ უნახავთ შინ მოსული.

1710. წასვლის უმაღ რუდიგერმა გადაკოცნა ცოლი, შვილი;  
მშვენიერმა გიზელჰერმაც არ დააკლო კოცნა ტკბილი.  
ქალბატონებს ნაზის ხვევით მკერდს იკრავდნენ ორივენი.

მაღე მათი დატირება მათ დასჭირდათ ცრემლთა დენით.

1711. ყველა ფანჯარა გაიღო, ოდეს მარკგრაფი შვენებით.  
თავის ამალით დაადგა გზას უსწრაფესი ცხენებით.  
ავ წინათგრძნობით ისინი იყვნენ გულშენაღონები:  
ცრემლებს აფრქვევდნენ ამიტომ ლამაზი ქალბატონები.

1712. მათ ძვირფას მეგობართათვის ბევრი უჩანდათ ნაღველი.  
ვერვინლა გახდა ბეხლარში მას შემდეგ მათი მნახველი.  
მაინც ისინი ლაღად და ხალისით სანუკველითა,  
ჰუნეთისაკენ ილტვოდნენ დუნაის ფართე ველითა.

1713. აქ ეტყოდა ბურგუნდელებს რუდიგერი, მხნე და მალი:  
"ბატონებო, ის ამბავი აღარ არის დასამალი,  
რომ ჰუნების ქვეყანაში აწი უკვე მივალთ ჩქარა.  
ცნობა უფრო საამური არ მისვლია ეტყელს კარად".

1714. მაცნეები ავსტრისკენ მიაფრენდნენ მაშინ ცხენებს;  
ამის გამო ხალხში ცნობა მიმოჰქონდათ მრავალ ენებს,  
რომ რაინის ვორმსიდან მათ მიეახლა სტუმართ ჯარი.  
ამ ამბავმა უდიდესად გაახარა მეფის კარი.

1715. წინ მიდიოდნენ მაცნენი სწრაფად ახალი ცნობითა:  
ნიბელუნგები მოვლენო მეფეთა თაოსნობითა;  
და დედოფალიც კრიმჰილდეც იყო სარკმელთან მდგომელი,  
ნათესავების მომლოდნე და მათი ნახვის მდომელი.

1716. დაინახა მან მოსულნი სამშობლოდან დიდის კრებით.  
ეს შეიტყო ხელმწიფემად და წარმოთქვა გახარებით:  
"კრიმჰილდეო, ცოლო ჩემო, ძვირფასო და სანუკველო,  
გთხოვ, მოუწყო ძმებს მოსულებს შენ შეხვედრა სასახელო!".

1717. თქვა კრიმჰილდე: "ეს ამბავი ჩემთვის არის ლხინის დარი.  
აი, მოაქვთ ჩემს მეგობრებს აქ ახალი ბევრი ფარი.  
და ბრჭყვიალა ბეგთარები. ჩემი ოქრო ვისაც სურდეს.  
ვინც ისმინოს ურვა ჩემი, მისთვის კარგი არ დამშურდეს".

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე რ ვ ე .

როგორ ჩავიდნენ ბურგუნდელები ჰუნთა ქვეყანაში.

1718. იმ ქვეყანაში როდესაც მივიდნენ ბურგუნდელები,

მოხუც ჰილდებრანდს ბერნიდან გაუჩნდა ამბის მთქმელები.  
ბატონს აუწყა; დიტრიხი შეხვდა ამ ამბავს წყენითა.  
ბრძანა, რაინდებს შეჰყროდნენ დიდი პატივის ჩენითა.

1719. მძლავრმა ვოლფრატმა უბრძანა მოსხმა მრავალი მერნისა.  
მხნე რაინდების თანხლებით მაშინ ბატონი ბერნისა.  
მათ შესახვედრად გავიდა. სწრაფად მინდვრებით მავალი.  
დასცეს კარვები იმათ იქ მშვენიერი და მრავალი.

1720. ოდეს ჰაგენმა ისინი შორით შენიშნა თვალითა,  
თავის ბატონებს მიმართა სიტყვით არდასამალითა:  
"მათთან ზეითად შეხვედრა ჩვენგან ზრდილობა როდია -  
ქვეითად შეხვდით იმათ, ვინც ჩვენს შესახვედრად მოდიან.

1721. ვარ მე კარგად შემცნობელი მომავლისა ჩვენისკენ ჯრის:  
მხნე რაინდი ბევრი მათში ამელუნგთ მხრიდან არის.  
წინ მოუძღვის მათ ბერნელი; აქვთ მაღალი იმათ სული.  
არ იქნება უადგილო, რომ პატივი ვაგოთ სრული".

1722. ისე, როგორც წესი იყო, ძირს ჩამოხლტნენ ცხენთაგანა.  
რანდნი და მსახურები, ვინც ხლებოდნენ დიტრიხს თანა.  
გაემართნენ იქით, სადაც მოსულები იყვნენ მდგარნი.  
და ბურგუნდელ სტუმრებს შეხვდნენ ისე, როგორც მეგობარნი.

1723. დიტრიხმა რომ დაინახა შესახვედრად მომავალნი,  
გაუხარდა, მაგრამ თანაც დაულამდნენ ნაღვლით თვალნი.  
მან იცოდა ყველაფერი, ამით იყო გულდაჭრილად;  
ეგონა, თუ რუდიგერმა იცოდა და გააფრთხილა.

1724. "კეთილ იყოს თქვენი მოსვლა, გუნთერო და გიზელჰერო,  
გერნოტო და ტრონიელო, მხნე დანკვარტო და ფოლკერო!  
რაინდებო, ნუთუ არ გაქვთ გაგებული, რომ კრიმჰილდე.  
ნიბელუნგელ რაინდს გლოვობს ცხარე ცრემლით ახლაც კიდევ?".

1725. თქვა ჰაგენმა: "შეუძლიან კვლავ აფრქვიოს ცრემლი ხშირი;  
დრო გამოხდა ბევრი, რაც რომ მოკლულია მისი გმირი.  
დაე, იმან ჰუნთა მეფე შეიყვაროს უფრო გულით.  
ზიგფრიდი კი აღარ მოვა, მიწაშია დამარხული".

1726. "ზიგფრიდის მოკვლის შესახებ საუბარს თავი ანებეთ.  
ვიდრე ცოცხალ არს კრიმჰილდე, ძალუმს მკვლელს დასცეს დანები".  
კეთილშობილი დიტრიხი ამას ეტყოდა ზრდილად: "ნიბელუნგების  
მფარველო, თქვენ უნდა იყოთ ფრთხილად".

1727. დიდებულმა მეფემ უთხრა: "როგორ უნდა ვიყო ფრთხილი?

მე ელჩები მომივიდა ეტცელისგან მოგზვნული;



მათის პირით გვთხოვდა, რომ მას ვწვეოდით მის ქვეყანაში;  
კრიმპილდემაც ბევრი ცნობა გამოგზავნა ჩვენთან მაშინ".

1728. ტრონიელმა უთხრა მეფეს: "შეისმინე ჩემგან თქმული:  
დაე, თქვენთვის ეს ამბავი ნუ იქნება დაფარული,  
სთხოვეთ, მეფე, ბატონ დიტრიხს, რომ გადმოგცეს იგი სრულად;  
თქვას, კრიმპილდე ვით შეგხვდება, მეგობრულად ჩვენ, თუ მტრულად?".

1729. აქ სამი მეფე საუბრად განზე გავიდნენ მარტონი, -  
მეფე გუნთერი, გერნოტი და დიტრიხ, ბერნის ბატონი:  
"კეთილშობილო ბერნელო, რაინდო დიდის ძალისა,  
განწყობილება გვაუწყე ჩვენ თქვენის დედოფალისა".

1730. მაშინ უთხრა ბერნის ფოგტმა: "რალა უნდა გითხრათ მეტი, -  
მეყურება ყოველ დილით მე ტირილი გულსაწყვეტი.  
ეტყველ მეფის მეუღლისა, ქალბატონი კრიმპილდესი;  
იგი მოთქვამს ნიდერლანდელს მწუხრებით უდიდესით".

1731. "არაფერი შეიცვლება", აქ ფოლკერმა დასძრა ენა,  
"ყოველივე იმ ამბავში, რაც გვაცნობით ახლა ჩვენა.  
გავაჭენოთ ცხენები და მივეახლოთ მეფის კარსა;  
თვით ვნახოთ, თუ ჰუნებისგან რა მოელის ამ ჩვენს ჯარსა".

1732. მათ გაჭენება შვენოდათ ცხენების უკეთესისა;  
წინ მიილტვოდნენ ზვიადად, თანახმად თვისი წესისა.  
ჰუნების მრავალ მხენ ვაჟკაცს სურვილი ჰქონდა ძლიერი,  
მალე ენახა ჰაგენის ტანი, სახე და იერი.

1733. მათ გაჩენება შვენოდათ ცხენების უკეთესისა;  
წინ მიილტვოდნენ ზვიადად, თანახმად თვისი წესისა.  
ჰუნების მრავალ მხენ ვაჟკაცს სურვილი ჰქონდა ძლიერი,  
მალე ენახა ჰაგენის ტანი, სახე და იერი.

1733. ხალხში უკვე გაეგონათ ის ამბავი უტყუარი,  
ნიდერლანდის რაინიდან რომ იმისგან იყო მკვდარი,  
უმძლავრესი გმირი იგი, დედოფალის მათის ქმარი.  
ამის გამო მითქმა-მოთქმით ჩოჩქოლებდა მეფის კარი.

1734. ეს რაინდი მშვენიერად მოყვანილი იყო ტანით:  
მხარბეჭბრტყელი, საკვირველი ამოზიდულ მკერდის განით;  
თმას ჭალარა შერეოდა; ფეხები მას ჰქონდა გრძელი,  
სიარული - საუცხოო, გამოხედვა - საშინელი.

1735. ბურგუნდელ მხედრებს მოუწევს მუნ ღამის გასათევები.  
გუნთერის შინაყმები კი მოაწყვეს განცალკევებით.  
ეს რჩევა იყო იმათი მოძულე დედოფალისა.  
ამიტომ ყველა წერანი გახდნენ სიკვდილის ძალისა.

1736. დანკვარტი იყო მარშალი, რაინდი, ძმა ჰაგენისა.  
მან ხელმწიფისგან მიიღო ბრძანება ზრუნოვს ჩენისა,  
რათა მსახურებს ჰქონოდათ საქმელი განუზომელი.  
შიშხუევალი ვაჟკაცი თვით იყო ამის მდომელი.

1737. მშვენიერი დედოფალიც გამოვიდა იმა ხნობით.  
და მიიღო ნიბელუნგნი ცბიერად და ყალბი გრძნობით.  
მან აკოცა გიზლეჰერსა და ჩასჭიდა ხელში ხელი.  
ზუჟს იბამდა მაგრად თავზე ჰაგენ, ამის დამნახველი.

1738. თქვა ჰაგენმა: "ჩვენ ვიხილეთ აქ შეხვედრა იმდაგვარი,  
რომე ამას რაინდების ჩაუფიქრდეს უნდა ჯარი.  
თავადებს და იმათ მხლებლებს ის არ შეხვდა ერთნაირად.  
ეს მგზავრობა ზეიმისთვის გადიქცევა ჩვენთვის ჭირად".

1739. "გესალმებათ", თქვა კრიმჰილდემ, "ის, ვისთვისაც ღირხართ ძვირად.  
მე კი თქვენი მეგობრობა არ განმაწყობს ამნაირად,  
თქვი, რაინის ვორმსიდან თუ რა მოზიდეთ საძღვნო ბარგად.  
რომ შემეძლოს შეხვედრა და მოსალმება თქვენი კარგად?".

1740. "სადაური ამბავია?" თქვა ჰაგენმა, "ნუთუ განა.  
ჩვენ, რაინდებს, თქვენთვის უნდა საჩუქრები მოგვეტანა?  
მე ამ წესზე თუნდაც მცირე რომ მქონოდა წარმოდგენა,  
მაქვს სიმდიდრე, რომ ჰუნეთში გსტუმრებოდით ძღვენით თქვენა".

1741. "მე მოვითხოვ, რომ პასუხი თქვათ სწორი და პირდაპირი:  
მითხარით, თუ სად წაიღეთ ნიბელუნგთა განძი ძვირი.  
ის ჩემია კუთვნილება, კარგად იცით ეს ხომ თავად;  
წამოგელოთ, ოდეს ჩემდა მოდიოდით სანახავად".

1742. "ქალბატონო, გარწმუნებთ, რომ გასულია ჟამი გრძელი,  
ნიბელუნგთა საუნჯისა რაც არა ვარ უკვე მცველი.  
დამავალეს ბატონებმა მე რაინში ჩაყრა მისი.  
იქ დარჩება უეჭველად ის მეორე მოსვლამდისინ".

1743. დედოფალმა უპასუხა: "წინასწარი გრძნობა მქონდა,  
რომ იქიდან ჩემს საწილოდ ბევრი რამე არ მოქგონდათ,  
თუმცაღა კი ერთიანად მეკუთვნოდა ის განძი მე.  
შემდგომ მისი პატრონისა ბევრი მქონდა მე დღე მძიმე".

1744. "ემშაკები მოგიტანე!" მას ჰაგენმა უთხრა მაშინ,  
"მოვიტანე ბევრი რამე ისედაც თქვენს ქვეყანაში:  
ჩემი ფარი და ბეგთარი, მუზარადი სხივთა მფრქვევი,  
ხმალიც გვერდზე დაკდული, მაგრმ თქვენთვის არ ველევი".

1745. მაშინ კრიმჭილდემ მიმართა რაინდებს, მომდგართ ჯარებად:  
"ამ დარბაზში არ მართებს კაცს იარაღის ტარება;

გთხოვთ, შესანახად გადმომცეთ, რისიც ხელთა ხართ მპყრობელი".  
"არასოდესო", ჰაგენი იყო პასუხის მთხრობელი.

1746. "ქალბატონო, არ მოვიტხოვ მცეთ პატივი იმდაგვარი,  
შესანახად რომ წაიღოთ ბეგთარი და ჩემი ფარი.  
თქვენ ბრძანებდით დედოფალო; მე მამაჩემს მინდა ვგავდე:  
მასწავლიდა ის, რომ მე თვით ჩემს იარაღს ვინახავდე".

1747. "ვაი ჩემს თვს!" დაიძახა დედოფალმან, "ეს რა არი:  
ჩემს ძმასა და ჰაგენს არ სურთ თავიანთი მომცენ ფარი.  
შესანახად! ალბათ, აქვე გამოუჩნდათ ვინმე მთქმელად.  
თუ გავუგე, ვინ ჰქნა, სიკვდილს გადურჩება იგი ძნელად".

1748. მშინ ეტყოდა კრიმჭილდეს დიტრიხი გაბრაზებული:  
"მე გავაფრთხილე, იცოდე, ეს თავადები ქებული.  
და ბურგუნდელი ვაჟკაცი, ჰაგენი, მხნე და სვიანი.  
ეშმაკის მოდგმავ! აბა, ჰე, თუ მომაყენო ზიანი!".

1749. იდგა ეტყელის მეუღლე სირცხვილით შენაძრწუნები:  
მას აშინებდა დიტრიხი თავის რაინდულ ბუნებით.  
იგი წავიდა ისე, რომ არ წარმოუთქვამს აღარა.  
მხოლოდ თვალგადავლებითა მათ რისხვა გადააღვარა.

1750. მაშინ ორმა მხნე ვაჟკაცმა იქ ერთმანეთს მისცეს ხელი:  
ეს დიტრიხი იყო ერთი და მეორეც ტრონიელი.  
აქ რაინდმა, დია ზრდილმა, რაინდს უთხრა სიტყვა ძმური:  
"ჩანს, ჰუნებთან თქვენი მოსვლა ჩემთვის გახდა სანანური,

1751. იმის გამო, რაც აქ იყო დედოფალის პირით თქმული".  
ტრონიელმა უთხრა მაშინ: "გვაქვს საგულეს ისევ გული!".  
ახოვანმა რაინდებმა მუნ გააბეს ასე სიტყვა.  
ეს შენიშნა ეტყელ მეფემ და დაიწყო გამოკითხვა:

1752. "სიხარულით გავიგებდი", ხელმწიფემან დიდმან ბრძანა,  
"თუ ვინ არის იგი, ვინაც ეგერ ბატონ დიტრიხთანა.  
მეგობრულად მუსაიფობს. აღმართულა ის თამამად;  
რაინდია იგი კარგი, ვინც არ უნდა ჰყვანდეს მამა".

1753. მიაწვდიდა ცნობას ერთი დედოფალის ვაჟკაცთან.  
"ტრონიელდან არის იგი. მამას ჰქვია ალდრიანი,  
რა ზრდილიც არ უნდა ჩანდეს, ბოროტი აქვს იმას გული,  
დარწმუნდებით შემდგომ თავად, რომ სწორია ჩემგან თქმული".

1754. "ვით შევიტყო, რომ ის არის ბოროტი და ესდენ მქისი?".

მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ კრიმპილდე, ცოლი მისი, თვის მეგობარ-ნათესავებს უმზადებდა რა სიმწარეს, ყველას სიკვდილს ჰპირდებოდა, ვინც ესტუმრა ჰუნთა მხრეს.

1755. "მე ვიცნობდი ჰაგენს კარგად: ქვეშევრდომი იყო ჩემი. ექცეოდა ყველა იმას უდიდესი პატივცემით. რაინდობა მივეცი და ბევრი ოქროც საჩუქარად, რადგან იგი ერთგულებით მსახურობდა ჩემდა კარად.

1756. ჩემთვის ჰაგენის შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი: მე მოვიყვანე მძევლად აქ ორი ყმა კეთილშობილი, -. მისი და ვალტერ სპანელის ვიყავი მე მომყვანელი. ჰაგენი კვლავ შინ გავგზავნე, ჰილდენგუნდს გაჰყვა სპანელი".

1757. მოიგონა მან ამგვარად ამბები და ჟამი ძველი. გაახსენდა, იცნო კარგად მეგობარი ტრონიელი, ვისაც ყრმობის ჟამს მიაგო მან სიკეთე მეტისმეტი. მოხუცი კი გახდა მისი მეგობრების ამომწყვეტი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ც ხ რ ე.

როგორ დაობდნენ ჰაგენი და კრიმპილდე და. ჰაგენი არ წამოდგა ფეხზე.

1758. გაეყარნენ მაშინ ერთურთს იქ რაინდი უცხო ორი -. მხნე ჰაგენი ტრონიელი და დიტრიხი, გმირთა სწორი. იდგა მოყმე გუნთერ მეფის მხარმოქცევით მოთვალთვალე: ამხანაგის სურდა ხილვა და იპოვნა კიდევ მალე.

1759. დაინახა მან ფოლკერი, გიზელჰერის გვერდით მდგარი; სთხოვა შპილმანს, რომ თანხმებით დაუმშვენოს იმათ მხარი, რადგან იმან იცოდა, რომ ის ვაჟკაცი იყო გულით, ყველა თავის ღირსებით ზვიადი და გაბედული.

1760. ჯერჯერობით ბატონებო ეზომიგან იყვნენ მდგომი. ნახეს მხოლოდ მიმავალნი ისინი, ვით ორი ლომი. მიდიოდნენ იქით დინჯად, სად არბაზი ჩანდა დიდი. რჩეულსა და მხნე რაინდებს არა ჰქონდათ ჩხუბის რიდი.

1761. მაშინ ჩამოსხდნენ ისინი, სახით კუმტი და მწყრომელი, სკამზე, დარბაზის პირდაპირ (დედოფლის იყო რომელი),

ტანთ უბრწყინავდათ სამოსი, ელვარე სხივთა მკრთომელი.  
მხილველი ყველა იმათი გაცნობის გახდა მდომელი.

1762. მისჩერებოდნენ გულზვიად გმირებს თვალდანაცეცები.  
ჰუნთა ვაჟკაცი, თითქოს მუნ მოდგნენ ველური მხეცები.  
ეტყელის ცოლმა ფანჯრიდან ისინი ათვალიერა.  
კრიმჭილდეს გულსი ნალველმა თავი იჩინა ძლიერად.

1763. ის ატირდა, მწუხარება მოიგონა ოდეს თვისი.  
ამან მეტად გააოცა რაინდები ეტყელის:  
გაუკვირდათ, რა მიზეზმა შეაშფოთა ესდენ ისა.  
ქალმან უთხრა: "რაინდებო, ბრალი არის ჰაგენისა".

1764. "ეს ვით მოხდა?" დედოფალსა შეეკითხნენ კაცი კარის,

"ჩვენ მხიარულს გიცქეროდით, ქალბატონო, ეს-ეს არის.  
რა გმირიც არ უნდა იყოს, მოგაყენათ ვინც ეს წყენა,  
შეეყრება იგი სიკვდილს, თუ გვიბრძანებთ ამას თქვენა".

1765. "ვინც გადუხდის, მაღლობელი მე ვიქნები მისი მარად,  
საწადელთა მისთა სრულქმნას არ მივიჩნევ დასაზარად.  
მე მუხლებზე დაგიჩოქებთ", ასე სთხოვდა მეფის ცოლი,  
"მიუზღვევით, რომ ვნახო ის სიკვდილისგან შენადრწოლი".

1766. შეიარაღდა სასწრაფოდ სამოცი მოყმე კარისა.  
მოკვლა უნდოდათ მაშინვე დარბაზის წინა მჯდარისა.  
მხნე ჰაგენის და აგრეთვე შპილმანის გაბედულისა.  
ერთსულოვნად ინდომეს მათ შესრულება თქმულისა.

1767. დეოდფალმა ოდეს ნახა ჯგუფი მცირე ესოდენი,  
გამზადებულ კაცებს უთხრა სიბრაზით და დიდი წყენით:  
"აჯობებს, ამ განზრახვაზე თუ აიღებთ მთლად თქვენ ხელსა;  
რიცხვი მცირე ეგზომ თავზე არ დაესხათ ტრონიელსა.

1768. რაოდენად ტრონიელი მხნე არის და გებედული,  
კიდეც უფრო მის გვერდით მჯდომს ვაჟკაცური უცემს გული.  
ფოლკერია ის შპილმანი, მრისხანეა იგი მეტად.  
ცოტა მიხვალთ - გენდომებათ თავი თქვენი გასაჟლეტად".

1769. რა ისმინეს სიტყვა ესე, შეიჭმუნვნენ უფრო მეტი.  
სულ ოთხასი მეომარი. დიდ დედოფალს გადაწყვეტით.  
სურდა მოკვლა მისი, ვინაც მას შეჰყარა სევდა მწველი.  
ამის გამო მხნე რაინდებს დიდი მიხვდათ საზრუნველი.

1770. ოდეს კარგად შეჭურვილნი დაინახა თვისნი ყმანი,  
დედოფალმა იწყო მაშინ იმათ მიმართ სიტყვის თქმანი:  
"შეეცადეთ და სიჩუმე დაიცავით ჯერეთ სრული,

მე მინდა, ჩემს მოსისხლეებს გავეგებო გვირგვინდგმული.

1771. მე ვკითხავ, და თქვენ კი პასუხს მოისმენდეთ იქვე მდგომი, ვით მომეცა ტრონიელი, გუნთერ მეფის ქვეშევრდომი. იმგვარია, რომ არა იქმს თვს ტყუილის ნება დართოს. არ ვკითხულობ, შემდეგ იმას თუ რა უნდა დაემართოს".

1772. გაბედულმა მემუსიკემ დაინახა თვისი თვალით. გულზვიადი დედოფალი ძირს კიბეზე მომავალი. კეთილშობილ ქალბატონსა მიაჩერდა იგი გმირი. და უბადლო თანამებრძოლს სიტყვა უთხრა ამნაირი:

1773. "ძმაო ჰაგენ, ხედავ, როგორ მოდის ჩვენსკენ ყმათა ხლებით. ის, ვინც ჩვენ აქ მოგვიწვია მტრულად, არ თუ ერთგულებით. დედოფალი არ მინახავს მე ესოდენ დიდ ამალით.

ყოველ მათგან ბრძოლისათვის შიშვლეულად მოაქვს ხმალი.

1774. თქვენდა სამტროდ ხომ არ ხდება მათი აქეთ გამოწევა? მე მინდა, რომ ამდაგვარი თათბირი და მოგცეთ რჩევა: სიცოცხლეს და პატივს თქვენსას მოექცეთ ახლა ფრთხილად: მათ ბოროტი განზრახვა აქვთ, უნდა გითხრათ გატეხილად.

1775. ბევრი მოჩანს იმათ შორის მკერდმაგარი და თამამი. გაფრთხილება ვისაც უნდა, აღარ არის დაცდის ჟამი. ვხედავ, ბეგთარს იმათ ტანზე აბრეშუმი ჰფარავს თხელი. ეს ჯავშანი რისთვის უნდათ, არვინ არის ამის მთქმელი".

1776. ტრონიელმა იწყო რისხვით საპასუხო სიტყვის გება: "კარგად ვიცი, ჩემდა სამტროდ ყოველივე ეს რომ ხდება. თვით შევნიშნე მობრჭყვიალე იარაღის მათის ჩენა. მე წაუვალ მაინც იმათ ბურგუნდელთა ქვეყნისკენა.

1777. მეგობარო ფოლკერ, მარქვით, გენდომებათ ჩემი შველა, დედოფალის ყმანი ჩემზე თუ წამოვლენ საბრძოლველად? გთხოვთ, ამაზე მიპასუხოთ, თუ გიყვარვართ მე თქვენ ძმურად. მეც ყოველთვის მზად ვიქნები თვენდა მიმართ სამსახურად".

1778. მას ფოკლერმა უთხრა ასე: "მე გიშველით უეჭველად. ეტყელ მეფის ჯარი ჩვენზე წამოვიდეს თუნდაც მთელად, მაშინაც კი, ვიდრე ცემას მთლად არ შესწყვეტს ჩემი გული, ერთი ტერფიც არ იქნება ჩემს მიერ აქ უკან დგმული".

1779. "ძმაო ფოლკერ, ნაცვალ ჯილდოს მოგიზღვიდეს ღმერთი წმინდა! თუ დამიწყეს იმათ ბრძოლა, მაშინ მეტი რაღა მინდა? რადგან შველას ფიქრობთ ჩემსას, როგორც ახლა გავიგონე, დაე, ფრთხილად მოდგნენ ჩვენთან რაინდები თავმომწონე!".

1780. თქვა მემუსიკემ: "აჯობებს, რომ ვიყოთ ფეხზე მდგომელი.  
მეფი ასულის წინაშე, აქვე გაივლის რომელი.  
პატივისცემით მოვექცეთ დედოფალს კეთილშობილსა!  
ეს თავად პატივს შეგვმატებს ორივეს სამტროდ ხმობილსა".

1781. თქვა ჰაგენმა: "არა, ვისხდეთ, თუ გიყვარვართ, ასე ჩვენა,  
თორემ იმათ შეუძლიათ იქონიონ წარმოდგენა,  
რომ ვჩადივართ ამას შიშით და გაცლისა მძალავს ნდომა.  
არ მწადიან მის წინაშე მე სკამიდან წამოდგომა.

1782. თუკი ამას არ ვჩადივართ, ჩვენ შეგშვენის კიდევ ესა.  
ნუთუ მმართვეს, პატივცემით რომ მოვეპყრა მოსისხლესა?  
არა, ამას მე არ ვიზამ, ვიდრე მიდგა პირში სული.  
რა ვქნათ, იყოს, დაე, იგი მრისხანე და გულმოსული".

1783. გათამამდა ტრონიელი და დაიდო მუხლზე ხმალი.  
პირბასრი და მოლაპლაპე; მის კოტიდან სხივთა ალი.  
გამოკრთოდა იასპისა, თვით ბალახზე უმწვანესის.  
მიხვდა ქალი: ზიგფრიდს ხმალი რომ ეკიდა, იყო ეს ის!

1784. როდესაც მან ხმალი იცნო, განუახლდა ტანჯვა მთელი.  
ტარი ჰქონდა მას ოქროსი და ქარქაში - პირწითელი.  
გაახსენდა მწუხარება და დაუწყო ცრემლმა დენა.  
ჰაგენისგან მე ეს განზრახ მიმაჩნია ჩანადენად.

1785. გაბედულმა მხნე ფოლკერმა წამოსწია სკამზე ხელით.  
წინ ქამანჩა, მეტისმეტად მაგარი და თანაც გრძელი.  
ხმალსა ჰგავდა - ჰქონდა იმას მახვილი და ფართო პირი.  
ასე იჯდა უშიშარად გულზვიადი ორი გმირი.

1786. რაინდები ორივენი თავს იმდენად დიდად სთვლიდნენ,  
რომ არასდროს ვინმეს შიშით თვის სავარძლებს არ დასცლიდნენ.  
მათ წინაშე მედიდურად გაიარა მეფის ქალმა.  
და ის არამეგობრულად მარდ რაინდებს მიესალმა.

1787. უთხრა: "აბა, სთქვით, ჰაგენო, ვინ გთხოვათ ან დაგროთ ნება,  
რომ გაბედეთ თქვენ ჰუნების ქვეყანაში მობრძანება?  
კარგად გახსოვთ, რომ მომაგეთ საშინელი საქმე მტრული.  
აქ მოსვლას ვერ გაჰბედავდით, რომ გქონოდათ ჭკუა სრული".

1788. ჰაგენმა უთხრა: "არ ვიყავ არვისგან დაბარებული.  
მოიპატიუეს ამ ქვეყნად სამი რაინდი ქებული;  
მათ გამოვეყვი - ისინი ხომ ჩემი მბრძანებლებია.  
მუდამ, სადაც კი წასულან, ჰაგენიც თან მათ ჰხლებია".

1789. რქვა კრიმჭილდემ: "რად გაბედეთ, ჩაგედინათ ისეთი რამ, რომლის გამო თქვენი ხილვა ზიზღსა მგვრის და მიჩანს ჭირად? თქვენ მოკალით ზიგფრიდ, ჩემი ძვირფასი და კარგი ქმარი. იმის გამო სიკვდილამდე უნდა მდინდეს ცრემლთა ღვარი".

1790. ტრონიელმა უპასუხა: "ლაპრაკი კმარა ჩვენი, მე გახლავართ ჰაგენი, ვინც შეუმოკლა ზიგფრიდს დღენი, გაბედული მხნე რაინდი. მას დაუჯდა მეტად ძვირად, ბრუნჭილდე რომ კრიმჭილდესგან გაილანძლა იმნაირად.

1791. დედოფალო, ტყუილის თქმა ჩემგან თქვენთვის არ იქნება. ბრალი მაქვს მე იმაში, რომ მოგაყენეთ დიდი ვნება. დე, მომეგოს სანაცვალო კაცისა თუ ქალის მიერ. ვერ ვიცრუებ, დიახ, მე თქვენ, გაგიმწარეთ გული ძლიერ".

1792. თქვა კრიმჭილდემ: "რაინდებო, აღიარებს იგი თავად, ბოროტების ჩადენით რომ შემიღება გული შავად.

არ ვკითხულობ, რაც მოელის მას ეტცელის ქვეყანაში".  
გულზვიადმა რაინდებმა გადახედეს ერთურთს მაშინ.

1793. თავის თვალთ შებედავდნენ, იქ რომ ბრძოლა მომხდარიყო, პატივი და ძალა მეტი რომ ორის მხარეს იყო. მათ უნახავთ ბრძოლა ბევრი საგმირო და სათამამო. ჰუნები ვერ ასრულებდნენ თვის დანაქადს შიშის გამო.

1794. თქვა მათ შორის მაშინ ერთმა: "რა გიჭირავთ ჩემზე თვალი? ის აღარ მსურს გავაკეთო, რაც ვიკისრე, როგორც ვალი. საჩუქრისთვის არ დავკარგავ ჩემს სიცოცხლეს და ჩემს სხეულს; აქ შეცდენა ჩვენი, ალბათ, სურს დედოფალს ამაყს, გრძნეულს".

1795. თქვა მეორემ: "მეც ამ საქმეს გულით უკვე განვერიდე. თუნდ წითელი ოქროს კოშკი ამიშენონ, მაინც კიდე. ამ შჭილმანის წინააღმდეგ შებრძოლებას ვერ გავბედავ, მის საშინელ თვალთ გამო, რომელსაც მე ახლა ვხედავ.

1796. თანაც კიდევე სიყრმიდანვე ვიცნობ ჰაგენს, მტკიცე რაინდს; ყველაფერი კარგად ვიცი, შეეხება იმას რაიც. ის ოცდაორ ბრძოლაში მყავს ნახული და გამოცდილი. ბევრ ქალბატონს მოჰვინა მან მწუხარების შევი ჩრდილი.

1797. იმასა და იმ სპანელსა გარდუხდიათ დიდნი ომნი. როდესაც აქ მოქმედებდნენ, ვით ეტცელის ქვეშევრდომნი, ჩვენი მეფის გულისათვის. ეს ხდებოდა მეტად ხშირად. ვაჟკაცობა მხნე ტრონიელს დავუფასოთ უნდა ძვირად.

1798. მაშინ კიდევე ეს რაინდი ჯერ ყრმა იყო წლოვანებით.



ვით მოხუცდნენ ისინი, ვინც იმ ხანებში იყვნენ ყრმები!  
ახლა იგი დავაჟკაცდა და მრისხანე დადგა კაცი.  
მას ბალმუნგი შემოურტყამს თუმც უწესოდ მონატაცი".

1799. გამოირკვა ამით საქმე: ჩხუბს არავინ მისცა მხარი.  
ამის გამო გახდა გულით დედოფალი ღრმად მწუხარი.  
მყის გაშორდნენ რაინდები, მათ სიკვდილის ჰქონდათ შიში.  
გმირებისგან; და ეს მართლაც სწორი იყო ანგარიში.

1800. როგორ ხშირად, შიშის გამო, შეუშვებენ საქმეს ხელსა,  
თუ მეგობრებს შეხედავენ ერთმანეთის მტკიცედ მცველსა!  
მაგრამ ასე არ იქცევა იგი, ვინაც არის ბრძენი:  
ბევრი მტრისგან თავს დაიცავს, მოფიქრების გამოჩენით.

1801. თქვა ფოლკერმა გაბედულმა: "თვითონავე ვნახეთ ჩვენ ეს,  
თუ მტრებში ვით მოვექციეთ, როგორც ადრე მოგახსენეს.  
ამის გამო ჩვენა გვმართებს მეფეებთან მისვლა კარად,

კეთილშობილს ჩვენს ბატონებს რომ გავუხდეთ ჩვენ იქ ფარად".

1802. "კარგი, მე თქვენ გამოგყვებით", ჰაგენისგან იყო თქმული.  
გაემართნენ იქით, სადაც რაინდები, ტურფად ცმული,  
ჯერაც კარზე მიღებისა მოლოდინში იყვნენ მდგომი.  
მხნე ფოლკერმა სასაუბროდ ხმა გამოსცა შორს გამწვდომი.

1803. თვის ბატონებს უთხრა იმან: "როდემდისინ ამდაგვარად.  
გნებავთ დგომა? საჭიროა, რომ მიგიღონ აწ თქვენ კარად.  
და მეფისგან მოისმინოთ, როგორია ზრახვა მისი".  
დაწყვილდნენ და იწყეს შემდეგ წარსადგომად სამზადისი.

1804. ითავადა დიტრიხ ბერნელმა ხელით დაჭერა ხელისა.  
მაშინ მდიდარი გუნთერის, ხელმწიფის ბურგუნდელისა.  
ირნფრიდმა ხელი მიიღო გერნოტის გაბედულისა.  
გიზელჰერს შეხვდა თანხლება სიმამრად დასახულისა.

1805. როგორც ამ სვლაში ყველანი წყვილად ერთმანეთს ჰხლებიან,  
ისე ფოლკერ და ჰაგენი ერთურთს არ დასცილდებიან.  
იმ ერთ ბრძოლამდე, რომლემაც მათ მოუტანა სიკვდილი.  
მანდილოსანი მრავალი ატირეს მათ ფერმიხდილი.

1806. ჩნდა, თუ როგორ მიდიოდა მეფეებთან ტურფა დასი.  
მხლებლებისა - იყვნენ რიცხვით რაინდები ათჯერ ასი.  
ამათ გარდა მათ სამოცი მხნე რაინდი ჰყავდათ თანა.  
ტრონიელმა აქ ისინი თვის ქვეყნიდან მოიყვანა.

1807. მარდი ჰავარტ და ირინგი, ორი რაინდი ქებული,  
თან მიჰყვებოდნენ ხელმწიფეს კარზე, ხელჩაკიდებული;

ხოლო დანკვარტ და ვოლფჰარტი, მოყმენი საკვირველები,  
იყვნენ მუნ სხვათა წყობასი გამორჩეულად მსვლელები.

1808. ოდეს ფოგტმა რაინისამ პალატაში შედგა ფეხი,  
სიხარული ეტცელ მეფემ გაამჟღავნა გამოტეხით:  
ზე წამოხლტა ტახტიდან ის, როგორც მოსულს მოჰკრა თვალი,  
მისალმება მისი იყო უდიდესად გულმხურვალი.

1809. "კეთილ იყოს მოსვლა თქვენი, გუნთერ მეფევ, მხნე გერნოტო.  
და გიზელჰერ! მე სალამი მოგიძღვენით უბოროტო.  
თვით ვორმსშივე, რაინს იქით, და შეგთხოვეთ ჩემთან წვევა,  
თქვენს მოყმეთაც მსურს ვუსურვო სიცოცხლე და მტერთა ძლევა.

1810. გესალმებით თქვენ ორივეს, რაინდებო მხნე და ქველო,  
გაბედულო ფოლკერო და უძლეველო ტრონიელო,  
მე და ჩემი ქალბატონი, დედოფალი ამ ქვეყნისა:  
რაინზევე გიგზავნიდათ თქვენ მოკითხვას გულთბილს ისა".

1811. რქვა ჰაგენმა: "გვისმენია ეს ამბავი სასიამო.

მე რომ აქ არ მოვსულიყავ, ბატონების ჩემის გამო,  
მაინც თქვენდა საპატიოდ ვიქნებოდი მოსასვლელი".  
და ჩასჭიდა სტუმრებს ძვირასს დიდებულმა მეფემ ხელი.

1812. მიიყვანა ისინი მუნ, სადაც თავად იჯდა წინათ.  
ის უსხამდა სტუმრებს (ამას სჩადიოდა გულმოდგინედ).  
ფართო ოქროს ფინჯაებში თაფლს, ღვინოს და მორასს ტკბილსა.  
და უვნებლად მობრძანებას ულოცავდა მხედრებს ზრდილსა.

1813. "უნდა გითხრათ", თქვე ეტცელმა, "არაფერი ამის დარი.  
არ მომხდარა ამ დღეებში საამო და გასახარი.  
ჩემთვის, სტუმრად რომ მეწვიეთ რაინდები მხნე და მარდი.  
დედოფალსაც განუქარდა ნაღველი და მძიმე დარდი.

1814. მაკვირვებდა ყოველთვის, თუ ისეთი რა ჩავიდინე,  
რომ მრავალი სტუმრების მე მასპინძელი გულმოდგინე,  
ერთხელაც კი ვერ ველირსე თქვენს სტუმრობას ჩემდა კარად.  
მობრძანება თქვენი ჩვენთან უჩანს ყველას გასახარად".

1815. მაშინ მარკგრაფი რუდიგერ იყო პასუხის მთხრობელი:  
"ეს რაინდები, მეფეო, არიან მისანდობელი:  
თქვენს ცოლისძმებსა არ უმძიმთ მოყვრისთვის თავის დადება:  
ბევრის მოყმითურ ინებეს მათ თქვენს წინ გამოცხადება".

1816. მზის კირჩხიბზე შეჯდომის დროს ინახულეს იმათ კარი.  
უმდიდრესის ეტცელისა. ჯერ შეხვედრა ამის დარი.  
ხელმწიფისგან იშვიათად თუ ყოფილა გაგონილი.

სუფრისაკენ მათთან ერთად გაემართა მეფე ტკბილი.

1817. მასპინძლობა უკეთესი არ ნახულა კარად სხვისად.  
სასმელსაც და საჭმელსაც მათ სთავაზობდნენ საკმარისად:  
სრულდებოდა ყოველივე სურვილი და ნატვრა მათი.  
მოისმინეს ბევრი მათზე საოცრება იშვიათი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ა თ ე .

როგორ იდგნენ ყარაულში ჰაგენი და ფოლკერი.

1818. დღე მიიწურა სრულიად და ღამე ახლოვდებოდა.  
მგზავრობით დადლილებისთვის მუნ საზრუნავი ჩნდებოდა:  
მათ მოსვენება სურდათ, რომ ძილში მიეღოთ შვებანი.  
თქვა ეს ჰაგენმა; მალე მათ მიიღეს მითითებანი.

1819. რქვა გუნთერმა მასპინძელსა: "უფლის მაღლი გერგოთ წილად,  
გთხოვთ გაგვიშვათ უკვე, რადგან მოგვესურვა წასვლა ძილად.  
თუ ინებებთ, ხვალ დილითვე გაახლებით ისევ სრულად".  
წასვლის ნება მისცა იმათ მასპინძელმა მხიარულად.

1820. ჩნდა, თუ როგორ აწვებოდნენ იქ ჰუნები სტუმარტ კრებას.

მხნე ფოლკერი, ამის გამო, გამოსთქვამდა გაჯავრებას:  
"როგორ ბედავთ, რომ რაინდებს გვებანდებით ფეხქვეშ მრუდად?  
თუ თქვენ ამას არ მოიშლით, დაგიჯდებთ იგი ცუდად.

1821. ჩემს ჭიანურს მოვცხებ ვინმეს იმნაირი შემოქნევით,  
რომ, ერთგული თუ ჰყავს, მან ის დაიტყოს ცრემლთა თხევით.  
ჩამოდექით, რაინდებო, ნუ გახადეთ გავლა ძნელად!  
ყველას რაინდს უწოდებენ, თუმც არ არის ერთი ყველა".

1822. მემუსიკემ ოდეს ბრაზით თქვა იგი, რაც გულში ედო,  
მხნე ჰაგენმა იწყო მაშინ აქეთ-იქით მიმოხედვა.  
დაიძახა: "თქვენ შპილმანმა მოგაწოდათ კარგი რჩევა;  
მეომრებო კრიმჭილდისავ, თქვენს ბინებში გიჯობთ ტევა!

1823. არ გამოდის, ხედავთ, იგი, რისთვისაც ხართ განმზადილი.  
თუ რისამე მოწყობა გსურთ, ხვალ მობრძანდით ადრე დილით.  
დღეს გაგვიშვით, რომ მგზავრობით დადლილებმა დავიძინოთ.  
წესი არის, რაინდებო, რომ ეს ასე ჩაიდინოთ".

1824. მოწვეული რაინდები შეესივნენ დარბაზს ფართეს,  
სადაც ღამის გასათევად ყოველ სტუმარს გაუმართეს.

მშვენიერი სარეცელი, ხალვათი და მეტად გრძელი.  
კრიმჭილდეს გულს სურდა მათთვის უმძიმესი სატანჯველი.

1825. ბევრი იყო იქ საბნები სილამაზით თვალთა მლხენი,  
ფარჩეულის არასისა და მრავალი ზედსაფენი,  
არაბული აბრეშუმის, უკეთესზე უკეთესი.  
ოქროს ფუნჯებმოვლებული, ელვარე და სხივთა მთესი.

1826. იყო სიმრავლე ზეწრების, სიასამურის შავისა.  
და ბეწვეულის ყარყუმის, ძვირფასი ნახელავისა.  
ეს იყო მათთვის იმ ღამით სამო ზედსაფენია.  
არასდროს მეფეს ხალხითურთ ასე არ მოუსვენია.

1827. თქვა გიზელჰერმა ყმაწვილმა: "ვაი, ამ ღამის თევასა.  
ვაი, ჩემს ძვირფას მეგობრებს, ვაი, აქ იმათ წვევასა!  
რა საწოლებშიც არ უნდა შვება გველოდეს ძილისა,  
მსხვერპლი გავხდებით, ვფიქრობ მე, კრიმჭილდეს სიძულვილისა".

1828. ტრონიელმა უთხრა მაშინ: "გაანებეთ ზრუნვას თავი,  
მე თვით მინდა დარაჯად აქ გავატარო ღამე შავი,  
რომ ხვალინდელ დილამდისინ უვნებელად იყოთ ყველა.  
შემდეგში კი თავს უშველოს, ვისაც უნდა თავის შველა".

1829. ყველასაგან მადლს ისმენდა გმირი იგი გულთამამი.  
საწოლთაკენ გაემართნენ. არ გასულა დიდი ჟამი.  
მანამ, ვიდრე მთლად არ მიწყდა ხმაურობა მათი ნელი.

მაშინ თვისი იარაღით აღიჭურვა ტრონიელი.

1830. შეესიტყვა მას ფოლკერი, მემუსიკე, გულით ლომი:  
"თუ, ჰაგენო, სათაკილოდ არ მიიჩნევთ, ვარ მე მდომი.  
ვიდარაჯო თქვენთან ერთად, გათენდება ვიდრე დილა".  
დაუმაძღა მას რაინდმა და შემდგი უთხრა ზრდილად:

1831. "საყვარელო ფოლკერ, ღმერთი მწყალობელიმც იყოს თქვენი!  
მე არა მსურს ჩემს ზრუნვაში დახმარების აღმომჩენი.  
სხვა, თქვენს გარდა, მყავდეს ვინმე, თუ დამადგა გასაჭირი.  
გიზღავ ნაცვალს, სიკვდილმა თუ არ შეშალა ჩემი პირი".

1832. მათ ორთავემ გადაიცვეს ტანთ ბრწყინვალე სამოსელი.  
თვითეულმა მხნედ დაბლუჯა საკუთარი ფარი ხელით.  
შემდეგ გარეთ გამოვიდნენ და გაჩერდნენ კარის წინა,  
რომ დაეცვათ ერთგულებით სტუმრები და მათი ბინა.

1833. მშვენიერი ფარი თვისი მემუსიკემ, ლაღმა მუდამ,  
ხელთ მოიხსნა და დარბაზის წინ კედელზე მიაყუდა.  
უკუიქცა შემდეგ, სადაც ჭიანური ჰქონდა თვისი.

მან მეგობრებს გაუწია სამსახური საკადრისი.

1834. კვლავ მობრუნდა და კარის ქვეშ უშიშარად დაჯდა ქვაზე. გაბედული იყო მეტად ის შპილმანზე ყველა სხვაზე. სიმებიდან საამო ხმებს გამოსცემდნენ მისნი ხელნი. მადლს უხდიდნენ გულში ფოკლერს გულზვიადნი უცხოელნი.

1835. ისე მძლავრად ჟღერდნენ სიმნი, რომ მოიცვეს სახლი მთელი. ძალაცა და ხელოვნებაც მისი იყო საკვირველი. ბოლოს გახდა ხმათა ბგერა ისე ნაზი, ისე ტკბილი, რომ მრავალს კაცს, ზრუნვით მოცულს, მოერია მაშინ ძილი.

1836. როს დარწმუნდა, რომ რაინდებს დაეუფლა ძილი წყნარი, მემუსიკემ მაშინ ისევ ხელთ აიღო თვისი ფარი. და სახლიდან გამოვიდა დასადგომად კარის წინა, რომ კრიმჭილდეს მოყმეთაგან მეგობრები გადერჩინა.

1837. შუალამე რომ შეიქმნა (თუ იმაზე ადრე კიდე). მხნე ფოლკერმა შეამჩნია, რომ წყვდიადის გასჭრა რიდე. ზუჩის შუქმა: ეს კრიმჭილდეს მეომრებმა იწყეს ჩენა. ჩანს, არ სურდათ სტუმრებისა მათ კეთილად გადარჩენა.

1838. "აბა, ახლა, ძმაო ჰაგენ", ფოლკერისგან იყო თქმული, "ჩვენ ორთავეს უსათუოდ მზრუნველობა გვმართებს სრული. მე სახლის წინ ვხედავ კაცებს, იარაღით შეჭურვილებს. ცხადი არის, რომ ისინი ილესავენ ჩვენზე კბილებს".

1839. "ჩუ, მოვიდნენ უფრო ახლოს", თქვა ჰაგენმა აზრი თვისი,

"მათ ბრჭყვიალა მუზარადებს, შეგვამჩნევენ ვიდრმდისინ, გადავჩეხავთ თავთა ზედან პირმოლესილ ხმლებით ჩვენით, რომ კრიმჭილდეს დაუბრუნდნენ ვაებით და ცრემლთა დენით".

1840. ჰუნთა ერთმა მეომარმა შეამჩნია მაშინ მალე, რომ იქ, სახლის კარების წინ, კაცი იდგა მოთვალთვალე, და წარმოთქვა: "არ მოხდება ის, რაც გვაქვს განზრახული: მე ვხედავ, რომ სახლს სდარაჯობს მემუსიკე აბჯარცმული.

1841. მუზარადი ხურავს თავზე, გაფანტულა მისგან ბნელი; მაგარია იგი, წმინდა, მკვიდრია და თანაც მრთელი, რგოლნი ჯაჭვის პერანგისა უნათებენ ცეცხლის დარად. გვერდს ჰაგენი უდგას; სტუმრებს მისჩენიან მწედ და ფარად".

1842. ისინი უკან წავიდნენ. ფოლკერმა, ამის მნახველმა, შესძახა თავის მეგობარს, განრისხებულმა და ხელმა: "გამიშვით, რაინდებისკენ ვარ მე წასვლისა მდომები, ვალაპარაკო მინდა მე კრიმჭილდეს ქვეშევრდომები!".

1843. "არა, თუკი მე გიყვარვართ", შეეხვეწა მას ჰაგენი.  
"როგორც კი თქვენს სახლს დასტოვებთ, თავს დაგესხმით მტერი ჩვენი.  
მეც გავხდები იძულებულ წამოვიდე თქვენდა შველად,  
თუნდ ამ სახლში მეგობრები ამოწყვიტონ ჩემი ყველა.

1844. და თუკი ჩვენ ორივენი მათთან ჩხუბში ჩავებენით,  
ორი კაცი, ეგებ ოთხიც, იმათ შორის შევლენ რბენით.  
ამ დარბაზში და შეჰყრიან მძინარეებს იმგვარს წყენას,  
რომ შემდგომ ჩვენ სიკვდილამდე ვერ მოვრჩებით გულისტკენას".

1845. "საჭიროა მაინც", ისევ ფოლკერისგან იყო თქმული,  
ვაგრძნობინოთ, რომ ისინი ჩვენგანაა შენიშნული.  
მაშინ უკვე ჩვენს წინაშე ვერ დაჰფიცავს მათი პირი,  
რომ აქ უნდა ჩაედინათ ვერაგობა ამნაირი".

1846. ამის შემდეგ მემუსიკის ხმა გაისმა, ვითა ზარი:  
"ეს რას ნიშნავს, რომ დადიხართ იარაღში თქვენ აქ მსხდარი?  
გსურთ, კრიმპილდეს რაინდებო, აქ ვისიმე მოკვლა თქვენა?  
ჩემს ამხანაგს და მე ძალგვიძს დახმარების აღმოჩენა".

1847. მას პასუხი არვინ გასცა. მოუვიდა რაინდს გული:  
"ფუ, მშიშარა ვერაგებო!" რისხვით იყო მისგან თქმული,  
"მოდიოდით თქვენ აქ მალვით მძინარეთა გასაჟლეტად,  
ეს რაინდთა მიმართ არვის არ უქმნია ამის მეტად".

1848. დედოფალსაც ამცნეს მყისვე მათი უკან შემოქცევა.  
აღარ იყო იმის გულში ამის გამო ტანჯვის ტევა.

სიძულვილით სავსემ, მაშინ გზა მოძებნა სხვანაირი.  
შეეყარა სიკვდილს მალე უკეთესი ბევრი გმირი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე .

როგორ წავიდნენ ბატონები ეკლესიაში.

1849. "გამიცვიდა მთლად ბევთარი", ფოლკერისგან იყო თქმული,  
"მე ვფიქრობ, რომ უკვე ღამის ახლოვდება დასასრული.  
ვგრძნობ ჰაერით, შორს არ არის რიჟრაჟი და თეთრი დილა".  
გააღვიძეს მათ რაინდნი, მძინარენი სახლში ტკბილად.

1850. მალე სტუმრებს დღის სინათლით გაუნათდათ ბინა ვრცელი.  
მაშინ იქ მყოფ ყველა რაინდს შეეკითხა ტრონიელი,  
წირვაზეო ტაძრად წასვლას ხომ არავინ დაიზარებს.

ქრისტიანულ წესისამებრ იქ გუგუნით რეკდნენ ზარებს.

1851. საგალობელი ისმოდა შეუწყობელის ხმებისა:  
ჩანს, ხელს უშლიდათ ქრისტიანთ შერევა წარმართებისა.  
წირვაზე წასვლის მოსურნე იყვნენ გუნთერის ჯარები.  
ყველანი ერთად წამოხტნენ ლოგინში მწოლიარები.

1852. ტანთ ჩაიცვეს რაინდებმა სამოსელი ესდენ ძვირი,  
რომ უკეთეს ვერ ნახავდით, თუნდ მოგველოთ ქვეყნის პირი.  
ეს ეწყინა ჰაგენს, უთხრა სიტყვა ფრთხილი მატ მხნე კაცმა:  
"უმჯობესი იქნებოდა სხვა სამოსის ახლა ჩაცმა.

1853, რაც ჩვენს თავზე ამბავია, ყველამ იცით კარგად, მჯერა,  
ვარდ-ყვავილთა ნაცვლად აქ თქვენ ხელში გმართებთ ხმლების ჭერა.  
თვლებით შემკულ ქუდეების წილ თავზე სჯობდა ზუჩთა ხურვა,  
რადგან ვხედავთ, რომ კრიმჰილდე ჩვენზე მტრობით აღიჭურვა.

1854. ჩვენ დღეს ბრძოლა მოგვიხდება, საჭიროა ვიყოთ მზანი.  
უნდა გეცვათ ჯაჭვი ტანზე, არ პერანგი ფარჩისანი.  
მოსასხამთა ძვირთა ნაცვლად ჯობს, ფართონი ზიდოთ ფარნი,  
რომ აქ თქვენზე სამტროდ მოსულთ დაატეხოთ რისხვის ზარი.

1855. საყვარელო ბატონებო და რაინდნო, ყველა მიდით.  
თქვენ საყდარში სასოებით და ილოცეთ გული წმიდით,  
შეავედრეთ ყოვლისშემძელე შემოქმედსა თქვენი ბედი!  
ჩვენ სიკვდილი გველის ყველას აქ, აშკარად შესახედი.

1856. გაიხსენეთ ჩანადენი უნებურად ან თუ ნებით.  
და წინასე უფალს მაღალს წარუდექით მოწიწებით.  
დიდებულნო, უნდა გითხრათ მე თქვენ სიტყვა გულსაწყვეტი:  
თუ არ გვიხსნა ღმერთმან, წირვა ვერ ვისმინოთ ამის მეტი".

1857. გაემართნენ ბურგუნდელნი და მივიდნენ ტაძრის კარად.

სასაფლაოს წმინდა ადგილს მათ უბრზანა დგომა წყნარად.  
მხნე ჰაგენმა, რომ ისინი ყოფილიყვნენ დაუმლელად.  
რქვა: "ჰუნები რას გვიწყობენ, გამოცნობას მიჩანს მნელად.

1858. მეგობრებო, დაიყუდეთ თქვენ ფარები ფეხთა წინა.  
და მყისვე საიქიოს გაუმზადეთ იმას ბინა,  
ვინაც მტრულად მოგესალმით! ამგვარია ჩემი რჩევა.  
მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ხიფათთა და ჭირთა ძლევა".

1859. მაშინ ერთად წინ დაუდგნენ დიდი ტაძრის კარიბჭესა.  
ფოლკერი და ტრონიელი; ჩაიდინეს მისთვის ესა,  
რომ მოეწყოთ დედოფალთან შეჩეხება უეცარი.  
სიბრაზეს და გაჯავრებას არა ჰქონდა მათსას ზღვარი.

1860. გამოჩნდა ქვეყნის ბატონი და მისი ცოლი რჩეული;  
იყო ზვირფასი სამოსით შემული მისი სხეული.  
ბევრი რაინდი ახლდა მას დიდი სიმხნის და ძალისა,  
მტერს აყენებდნენ ჰაერში მხლებლები დედოფალისა.

1861. ოდეს მეფემ დაინახა იარაღში ასე მსხდომი.  
თავადები და აგრეთვე ბევრი მათი ქვეშევრდომი,  
თქვა: "რად ხურავს ყოველი სტუმარს მუზარადი და არ ქუდი?  
საწყენია ჩემთვის დიდად, თუ რაიმე შეხვდათ ცუდი.

1862. მე ვუზღავდი იმათ, რათა ეს ეჩვენოთ მართებულად,  
თუკი ვინმემ შეაწუხათ, ან თუ ვინმე შეხვდათ მტრულად.  
ვუჩვენებ, რომ მათმა წყენამ თვით დამასო გულზე ნარი.  
მე მზადა ვარ შევუსრულო მათ სურვილი ყოველგვარი".

1863. უთხრა ჰაგენმა: "მასპინძლებს არ დაუსჯივართ ზრდილებსა.  
წესია, რომე ბატონებს ამგვარად შეჭურვილებსა.  
ხედავდნენ ყველა ნადიმზე ვადამდის დღისა სამისა,  
შემოგჩივლებდით, თუკი რამ მოგვსვლოდეს მსგავსი ამისა".

1864. დედოფლისთვის ჰაგენის თქმა გასაგები იყო სრულად.  
მაშინ რაინდს მან თვალეში შეანათა თვალი მტრულად.  
მას წესები თვისი ქვეყნის არა სურდა გასამხელად.  
თუმც იცოდა კარგად, რადგან ჟამი დაჰყო მან იქ ვრცელად.

1865. რაც არ უნდა ყოფილიყო დედოფალი გულმოსული,  
თუ სიმართლე ეტყელისთვის იქნებოდა მაშინ თქმული,  
ის შესძლებდა აცდინა ხიფათი და საქმე ბნელი.  
ზვიადობის გამო არვინ არ აღმოჩნდა ამის მთქმელი.

1866. თანხლებული დედოფალი კარს მიადგა მეფურ გავლით,  
მაგრამ მაინც ორმა გმირმა მარტოოდენ ორი მტკავლით.  
დაიხია უკან მძიმედ. ეს ეწყინა ჰუნთა ჯარებს,  
ქალი უნდა ზედ მიხლოდათ იმ რაინდებს, კუმტად მდგარებს.

1867. ეს ეჯიბებს ეტყელისას არ დაურჩათ საამებლად.  
სიხარულით იყვნენ მზანი მყის პასუხის მისაგებლად;  
მაგრამ მეფის მორიდებამ იმათ გულში კრძალვა ზარდა.  
ჩამოვარდა დიდი ჯგლითი - არაფერი ამის გარდა.

1868. როდესაც მათ წირვის შემდეგ უკან წასვლა განიზრახეს,  
მაშინ იმათ ჰუნთა შორის ცხენოსნები ბევრი ნახეს.  
დედოფალს ახლდა კიდევ ქალწულების ტურფა ჯარი.  
მის ამაღას შეადგენდა შვიდ ათასი მეომარი.



1869. ფანჯრის წინ დაჯდა კრიმჭილდე, ქალბატონების კრებულთ.  
ეტცელის გვერდით; ხელმწიფე იყო მით გახარებული.  
სურდათ ენახათ რაინდნი გართული ცხენთა ჭენებით.  
ჰაი, რამდენი უცხო ყმა მერანზე იჯდა შვენებით!

1870. ცხენებითვე გამოცხადდა მყის მარშალი, ლომი ტანად.  
გაბედულმა დანკვარტმა იქ მოიყოლა მაშინ თანა.  
ბურგუნდიის ხელმწიფისა მსახურნი და შინაყმანი.  
ნიბელუნგებს შეუკაზმეს მათ ცხენები რაშთა მგვანი.

1871. როს მოვიდნენ იქ ზეითად თავადნი და მათი ჯარი,  
მათ ურჩევდა მემუსიკე, გაბედული მეომარი,  
რომ მოეწყოთ ასპარეზი, სათამაშო შეჯიბრება.  
გასასვლელად განემზადა რაინდების უცხო კრება.

1872. მოსაწონად დარჩა ყველას გაბედული კაცის რჩევა.  
იწყო ჟღერა, იარაღთა და ცხენების სწრაფი რბევა.  
ბევრი მოდგა მეომარი და გაივსო ეზო სრულად.  
კრიმჭილდე და ეტცელ მეფე უცქეროდნენ არ ფარულად.

1873. დიტრიხის კაცი ექვსასი მხნე რაინდები ხელადა.  
საასპარეზოდ მოვიდა სტუმრებთან შესაბამელადა.  
მათთან თამაშის სურვილით იჩენდნენ გულთა გზნებასა,  
თუკი ბატონი იმათი დართავდა ამის ნებასა.

1874. ჰეი, რამდენი კარგი ყმა მოვიდა ცხენთა ჭენებით!  
დიტრიხისათვის მყისავე იყო ეს მონახსენები.  
გუნთერის ჯართან აკრზალა მან ბუჭურდი და მარულა,  
რადგან საკუთარ სპის გამო მას შიში ჰქონდა ფარულად.

1875. როდესაც შებმას გადურჩნენ დიტრიხის მეომარები,  
მუნ რუდიგერის ამაღამ ააელვარა ფარები:  
ხუთასი კაცი მოადგა სასახლეს ცხენთა რბენითა.  
თვალს ადევნებდა მარკგრაფი მათ ქცევას დიდი წყენითა.

1876. ის გაიჭრა სწრაფად ხალხში რაინდების სანახავად.  
და ურჩია თავის კაცებს, რომ შეიტყონ იმათ თავად,  
რა ნაწყენი იყვნენ ახლა გუნთერ მეფის ქვეშევრდომნი.  
ხვეწნა იწყო: ბუჭურდისო ნუ იქნებით მათთან მდომნი.

1877. მაშინ წავიდნენ იქიდან მისი რაინდნი მხნენია.  
თურინგენელნი მოვიდნენ შემდეგ, ეს ასე გვსმენია,  
და დანიიდან ათასი კაცი, ოსტატი ჩხუბისა.  
ჰაერში ფრენდა ნამსხვრევი მრავალ ნამგერებ შუბისა.

1878. საასპარეზოდ მოჭენდნე მყის ირნფრიდი და ჰავარტი.

რაინელები დაუხვდნენ მოსულებს ცხენით ნავარდით,  
რათა შეჰბოდნენ ისინი შუბებით თურინგენელებს.  
პირი გაუჭრეს შუბებმა ბევრ ფარებს შუქთამფენელებს.

1879. სამი ათასი ვაჟკაცით მოდგა რაინდი ბლოდენი.  
ეტყელ მეფე და კრიმჰილდე სჭვრეტნენ მას მისი მლოდენი.  
შეხვდნენ ერთმანეთს რაინდნი ერთმანეთისა მცდელები.  
მზერით ტკბებოდა კრიმჰილდე: სძულდა მას ბურგუნდელები.

1880. მოჰყვნენ შრუტანს და გიბეხეს, რაინდებად არ საწუნებს,  
ჰორნბოგი და რამუნგიცა, ვით ადათი ჰქონდათ ჰუნებს.  
წინ დაუდგნენ რაინელებს და აჩვენეს ყველა მხედველს,  
თუ ნალეწი შუბის ტართა ვით ხვდებოდა სახლის კედელს.

1881. ცხენებს თუ ვით აჭენებდნენ, სანახავად იგი ღირდა.  
ფართა მძლავრი ჯახანისგან ყურთასმენა მეტად ჭირდა.  
ამ ჯახანზე დარბაზმა და სასხლემ იწყო რყევა.  
გუნთერ მეფის ვაჟკაცებმა არ იცოდნენ უკან ხევა.

1882. თამაშობა მათი გახდა ხანგრძლივი და ისე მკვეთრი,  
რომ მოქარგულ ყაჯრების ქვეშ გამოუჩნდათ ქაფი თეთრი.  
ლამაზ ცხენებს, რაინდნი რომ დაარბენდნენ ეგზომ ცქვიტად.  
მათ ჰუნების გამოწვევა გულზვიადად გადეწვიტათ.

1883. მაშინ ტკბილმა მემუსიკემ, მხნე ფოლკერმა, დასძრა ენა:  
"რა მშიშრები რამ ყოფილან, არ გვესხმიან თავზე ჩვენა.  
მე მსმენია, რომ არიან ჩვენდა მიმართ მტრობის მთესი;  
ნეტა როდის მიეცემა მათ შემთხვევა უკეთესი?".

1884. თქვა მეფემ: "ისევ წაასხით საჯინიბოში ცხენები.  
მათზე შემსხდარნი გამოვალთ ჩვენ ხელმეორედ ჭენებით.  
სალამოს ჟამსა, როდესაც ვიქნებით შენასვენები.  
ნეტა, თუ ხვდებათ ბურგუნდელოთ მაშინ დედოფლის ძღვენები?".

1885. დაინახეს დიდებული ერთი მოყმე ცხენზე მჯდარი,  
ჰუნთა შორის სულ არავინ არ ნახულა მისი დარი.  
ჩანს, ფანჯრიდან უცქეროდა მიჯნური და მისი ცალი.  
მოკაზმული იყო ისე, ვით რაინდის პატარძალი.

1886. თქვა ფოლკერმა მაშინ კიდეც: "როგორ ძალმიძს ამის თმენა?  
ქალწულების ამ აშიკთან უსათუოდ მინდა რკენა.

ამაში ხელს ნუ შემიშლით; დაუჯდება ეს მას ძვირად:  
რა მგამა, თუ ეტყელის ცოლს ეს მოხვდება გულზე ჭიარად".

1887. "არა, არა!" უთხრა მეფემ, "ეს იქნება ავი ავზე:  
ჩვენ გაგვლანძღავს ხალხი, თუკი დავესხმებით იმათ თავზე.

დე, ჰუნებმა თვით დაიწყონ; ეს მოხდება კიდევ მალე".  
ცოლთან იჯდა კვლავ ეტცელი ფანჯარიდან მოთვალთვალე.

1888. თქვა ჰაგენმა: "ეს ბუჰურდი გავამრავლო მინდა ჩემით;  
ქალებმა და რაინდებმა ჩვენც გვიცქირონ პატივცემით:  
დაინახონ, თუ რაგვარად დაგვშვენდება გავლა ცხენით.  
ეს აჯობებს. ჩვენ ხომ ქებას არ გვეტყვიან თვისი ენით".

1889. კვლავ გავიდა საბრძოლველად მემუსიკე გაბედული.  
ბევრ მშვენიერ ქალბატონს იქ შეუღონა ამან გული.  
მოხდენილი ჰუნის ტანი გაიგმირა მისის შუბით.  
ის მრავალმა ქალბატონმა დაიტირა ცრემლი გუბით.

1890. ტრონიელის რაინდებმაც ასპარეზზე იწყეს ჩენა:  
სამოც კაცით ის ზეითად გაემართა იქითკენა,  
სად ფოლკერმა ლალი ბრძოლა ჩაატარა ქცევით მალით.  
ეს მეფემ და დედოფალმა დაინახეს თავის თვალთ.

1891. მეფეთა შორის არ იყო მაშინ მდომელი არავინ,  
რომ შთენილიყო ფოლკერი იქ მათგან დაუფარავი.  
მისკენ ათასი რაინდი გაიჭრა სვლითა მალითა.  
მოიმოქმედეს, რაც სურდათ მატ ზვიადურის ძალითა.

1892. როს სასიკვდილო მიიღო მდიდარმა ჰუნმა ჭრილობა,  
მდულარე ცრემლით ატირდა მისთა მეგობართ ყრილობა.  
იკითხავდიან მხლებლები: "ვისგან მოიკლა ისაო?"  
"ეს საქმე არის შპილმანის, გაბედულ ფოლკერისაო".

1893. ყვიროდნენ, რათა მოეღოთ მათკენ ხმლები და ფარები,  
მაშინ ჰუნების მიწა-წყლის მარკგრაფის მეგობარები.  
მათ მოინდომეს უთუოდ მოკვლა ფოლკერის ლომისა.  
მეფემ ნახა, რომ დრო იყო ფანჯრიდან წამოდგომისა.

1894. ახმაურებდნენ გარემოს ჰუნები ბრაზის მყეფენი.  
ჩამოქვეითდნენ სრისა წინ მყის ამალითურთ მეფენი.  
ახევინებდნენ ცხენთ უკან გუნთერის ქვეშევრდომები.  
მოვიდა მაშინ ეტცელი იმათი გაყრის მდომები.

1895. მოკლულ ჰუნის ერთ ბიძაშვილს, რომელსაც იქ მოჰკრა თვალი,  
ეტცელ მეფემ მყის ხელიდან გამოჰგლიჯა ბასრი ხმალი.  
და გარეკა ყველა უკან; დიდი იყო რისხვა მისი:  
"ხომ ამაოდ მექცა მათთვის პატივცემა საკადრისი!"

1896. მემუსიკე რომ მოგეკლათ, თქვენ გელოდათ, ვფიცავ მზესა,

ჩამოხრჩობა ყველას ჩემგან - მსურს აშკარად გითხრათ ესა.  
მე ვხედავდი, ჰუნის მოკვლა არ ყოფილა მისი ნება:

წაბორძიკდა და ამიტომ მიაყენა სამკვდრო ვნება.

1897. გთხოვთ, გაუშვათ უვნებელად თქვენ სტუმრები ჩემი ყველა!".  
ამნაირად თვით იკისრა ხელმწიფემან მათი შველა.  
წაიყვანეს კვლავ ცხენები; მსახურები ბევრინ იყო.  
სურდა ყველას, რომ სამსახურს იქ არავინ მომცდარიყო.

1898. კვლავ ეტყელი მეგობრებით მიმავალი სრისკენ ნახეს.  
უკვე აღარ ემჩნეოდა გაბრაზება იმის სახეს.  
გამზადეს მაგიდები და მოართვეს სტუმრებს წყალი.  
მუნ რაინელ რაინდების დიდი ჩანდა მტერთა ძალი.

1899. ვიდრე სუფრად დასხდებოდნენ ბატონები კუთვნილ ადგილს,  
შემოაწვა კრიმჭილდეს გულს ძველი ურვა, ძველი დარდი.  
და გოროზმა დედოფალმა ბერნის თავადს სთხოვა რჩევა:  
"თქვენ მოგმართავთ, მე უთქვენოდ ამ ტანჯვის არ ძალმიძს ძლევა".

1900. ზნემაღალი ჰილდებრანდი მას წარუდგა ამის მთქმელად:  
"ნიბელუნგებს ვინც შეეხმის, მან ვერ ნახოს ჩემგან შველა,  
რაც არ უნდა მითავაზონ! დაუჯდება ეს მას ცუდად:  
უძლეველი რაინდები არ იქნევენ ხმალსა მრუდად".

1901. მაშინ ბატონმა დიტრიხმა მიუგო თავაზიანად:  
"ეგ, დედოფალო, სიტყვები მე გულზე მომხვდა ზიანად.  
ნათესავების თქვენისგან მცოდნე არა ვარ ავისა.  
და ამის გამო არა მსურს მათთან დარღვევა ზავისა.

1902. დედოფალო, არ გდებს პატივს, უნდა გითხრათ გულისტკენით,  
თქვენი თხოვნა, რომ დახოცონ მეგობრები ყველა თქვენი.  
როდესაც აქ მოდიოდნენ, ნდობა თქვენი ჰქონდათ წრფელი.  
არაფრისთვის არ აიღებს ზიგფრიდის სისხლს ჩემი ხელი".

1903. როს ვერ ჰპოვა საერთგულოდ მან ბერნელი გმირის გული,  
მაშინ ბლოდელს შესთავაზა სამფლობელო მიწა სრული,  
რომლის ძველი მეპატრონე, მხნე ნუდუნგი, იყო მკვდარი.  
მაღე მოკლა დანკვარტმა და დაავიწყა საჩუქარი.

1904. უთხრა: "უნდა დამეხმაროს, მაზლო ბლოდელ, თქვენი მკალვი!  
აი აგერ, ამ დარბაზში მოუყრიათ ჩემს მტრებს თავი.  
მათ მომიკლეს მე ზიგფრიდი, საყვარელი ჩემი ქმარი:  
ვინც მიშველოს, იმას ჩემგანდ წყალობისა მიხვდეს ღვარი".

1905. უპასუხა მას ბლოდელმა, მის გვერდით რომ იყო მჯდომი:  
"თქვენს მეგობრებს სიძულვილი რომ ვუჩვენო, არ ვარ მდომი,

რადგან ჩემს ძმას, ეტყელ მეფეს, ეს ექნება სამწუხაროდ.  
და არასდროს მაპატიებს, თუ მე მათი სისხლი ვღვარო".

1906. "ო, ბლოდელი, თუ გინდა რომ მწყალობელად გყვანდე მარად, დამეხმარე და მიიღებ ჩემს ოქრო-ვერცხლს საჩუქარად. და აგრეთვე ერთ მშვენიერ ქვრივს, ნუდუნგის ნაცოლარსა. შეგიძლია ჰკოცნიდე და ეხვეოდე მის ტანს გარსა.

1907. ციხეებთან ერთად კიდევ მოგეცემა მიწა ვრცელი. და იცხოვრებ მასთან ასე, უნადვლოდ და უზრუნველი, თუ შეიძენ შენ იმ მარკას, ნუდუნგი რომ იყო მჭერი. სიტყვას გამლევ, რაც დაგპირდი, შეგისრულო ყველაფერი".

1908. საჩუქრები რომ აღუთქვეს მას ესოდენ სასიამო. და ის ქალი, ვინც მოსწონდა სილამაზის მისის გამო, ქალბატონის დასაპყრობად მოისურვა ბრძოლის ცდანი, მაგრამ იგი თვით დამარცხდა, აღარ შერჩა მხრებზე თავი.

1909. მან დედოფალს უთხრა ასე: "გთხოვთ დარბაზში შესვლას ისევ! სანამ ამას შეიტყობდნენ, ხალხს ხმაურით შემოვისევ. ბოროტების ჩადენისთვის ვარ ჰაგენის დასჯის მდომი. თქვენ მოგივით ხელშეკრული გუნთერ მეფის ქვეშევრდომი".

1910. თქვა ბლოდელმა: "ჩემო ყმანო, იარალი აისხენით! ვეკვეთოთ და დავარბიოთ ბინაზევე მტერი ჩვენი. ქმნად ამისად მაიძულებს ეტცელ მეფის ტურფა ცოლი. ჩვენ, რაინდებს, გვმართებს თავი ვისახელოთ მტერთან ბრძოლით".

1911. და როდესაც გაისტუმრა უკვე Fხუბის დასაწყებად. მხნე ბლოდელი დედოფალმა, თვით სუფრასთან წარსდგა ნებად. ეტცელ მეფის და მრავალი მოყმეებით თანხლებული. სტუმართ მიმართ ბოროტ გრძნობით სავსე იყო მისი გული.

1912. რადგან ჩხუბის ჩამოგდება არ მოხერხდა სხვანაირად. (კრიმპილდეს კი გულში ედო მწუხარება ძველი ჭირად), უბრძანა, რომ ეტცელის ძე მოეყვანათ სუფრასტანა. საქმეს უფრო საზარელს სხვა ჩაიდენდა ქალი განა?

1913. შემოვიდა ოთხი კაცი, ეტცელ მეფის შინაყმანი; მოიყვანეს მათ ორტლები, ძე მეფისა, ნორჩი ტანი; თავდებთან დასვეს, სადაც ჯდა ჰაგენი უსიამო. მომკვდარიყო უნდა ბავშვი სასიკვდილო მტრობის გამო.

1914. როს ძლიერმა ეტცელ მეფემ დაინახა თვისი შვილი, მიუბრუნდა ცოლის ძმებს და მოახსენა სიტყვა ტკბილი: "ერთადერთი შვილი არის ეს ჩემი და თქვენი დისა: შემოხედეთ - გეყოლებათ თქვენ ოდესმე შემწედ ისა.

1915. თუ წინაპრებს დაემგვანა, ის იქნება მტკიცე გულით,  
თან მდიდარი, ზნემალალი, ლამაზი და გაბედული.  
სამეფოსა თორმეტს მივცემ, თუ ცოცხალი შემრჩა თავი.  
თქვენც გაგიწევთ სამსახურსა ახალგაზრდა მისი მკლავი.

1916. გთხოვთ ამიტომ - და ამ თხოვნის შესრულება დამდეთ ვალად -.  
როდესაც კი თქვენ რაინზე დაბრუნდებით უკან კვალად,  
წაიყვანეთ თქვენთან ერთად საყვარელი ჩვენი შვილი.  
გთხოვთ, კეთილად იყოთ მუდამ თქვენ მისდამი განწყობილი.

1917. ზარდეთ იგი, ვით შეჰფერის, ვიდრემდისინ დავაჟკაცდეს,  
თუკი ვინმე თქვენდა სამტროდ თქვენს მხარეში გამამაცდეს,  
ის, გაზრდილი, დახმარებას აღმოგიჩენთ მტერთან ბრძოლით".  
მოისმენდა სიტყვას მისას მუნ კრიმჰილდე, მისი ცოლი.

1918. "რაინდები იქნებიან მინდობილი მასზე გულით,  
თუკი იგი დავაჟკაცდა", ჰაგენისგან იყო თქმული,  
"მაგრამ სუსტი მოჩანს ბავშვი, თითქოს იგი იყოს ავად.  
ძვირად მელის კარზე მისვლა მე ორტლების სანახავად".

1919. გადახედა მეფემ ჰაგენს; მას ეწყინა სიტყვა მისი,  
მაგრამ რაინდს არ მიუგო მან პასუხი საკადრისი.  
გუნება და სული მეფის დაულონდა მძიმე გრძნობით.  
ეს აზრებია ჰაგენისა ნაკლებ იყო გასართობი.

1920. მეფესათვის წუხდა მისი შინაყმათა კრება სრული.  
იმის გამო, რაც ყმაწვილზე ჰაგენისგან იყო თქმული.  
სიტყვა უნდა აეტანათ, იგი ამით ყველას კბენდა:  
არ იცოდნენ, ეს რაინდი მალე თუ რას ჩაიდენდა.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე .

როგორ მოკლა დანკვარტმა ბლოდელი.

1921. შეიარაღდნენ ბლოდელნის რაინდნი, გმირთა მგვანები.  
ათას კაცამდე სრისაკენ წავიდნენ ბეგთრიანები,  
სადაც მხლებლებით დანკვარტი სუფრასთან ჩანდა მჯდომელი.  
ორივე მხარე ერთულთის შექმისა იყო მდომელი.

1922. როცა ბლოდელი მიადგა სურას ფარიან-ხმლიანად,  
იგი მარშალმა დანკვარტმა მიიღო ალერსიანად:  
"იყოს, ბატონო ბლოდელო, თქვენი აქ მოსვლა კეთილი,  
მაგრამ მაკვირვებს, რად იყო თქვენგან ეს გადაწყვეტილი?".

1923. "სალამს არ უნდა მაძლევდე", იყო პასუხი ბლოდელის, "ამ მოსვლის გამო, იცოდე, რომ შენ სიკვდილი მოგელის, რადგან შენმა ძმამ, ჰაგენმა, ზიგფრიდს უმოკლა დღენია. ნაცვალს მოგიზღავთ შენ და სხვებს, ჩვენ ასე დაგვიდგენია".

1924. "არა, ჩემო ბლოდელინო" დანკვარტისგან იყო თქმული, "არ გვინდა, რომ ამ სტუმრობამ გვაგრძნობინოს სინანული. ბავშვი ვიყავ, როცა ზიგფრიდს დაუბნელდა შუქი მზისა. და არ ვიცი, თუ რას მერჩის მე მეუღლე ეტყვისა".

1925. "ყოველივე ამის გამო მე არა ვარ მეტის მთქმელი. ამ ამბავის ჩამდენია გუნთერი და ტრონიელი. დაიცავით აბა თავი, აღსასრულის ჟამი დგება. თქვენის მოკვლით უნდა დაცხრეს დედოფალის შურისგება".

1926. თქვე დანკვარტმა: 'თუ გსურთ იყოთ უსათუოდ მტრობის მთესი, მუდარა რომ არ დამეწყო, იქნებოდა უკეთესი".  
ზე წამოხლტა მაგიდიდან მყის რაინდი მხნე და ქველი, ამოიღო ხმალი ბასრი, ელვარე და მეტად გრძელი.

1927. ისე მაგრად დაჰკრა ბლოდელს იგი იმან მძლავრი მკლავით, რომ ფეხებთან ჩაუგორდა ზუჩიანი მისი თავი; თან დასძრახა: "დე, მიერთვას ეს, ვითარცა დილის ძღვენი, ნუდუნგის ქვრივს, ვინაც უნდა გამხდარიყო ცოლი შენი.

1928. დე, სხვა კაცმა ხვალ იმის წინ მოიდრიკოს საქმროდ ქედი!  
თუ ისურვა მზითი, მაშინ მას ეწვევა შენი ბედი".  
მოერთგულე ჰუნმა ერთმა მიუტანა დაკნვარტს ცნობა.  
რომ კრიმჰილდეს მათთვის სამტროდ ჩაუნერგავს გულში გრძნობა.

1929. როს ბლოდელის რაინდებმა მეპატრონე მკვდარი ნახეს, სტუმრებს აღარ აპატიეს და მრისხანედ შეუზხეს.  
ამოწვდილი ხმლებით იმათ ყმებს საჟლეტად მიჰყვეს ხელი, მაგრამ ქცევა ამნაირი ბევრს გაუხდა სანანელი.

1930. აქ დანკვარტმა დაიყვირა მტრის ყიჟინის დასანთქავად:  
"საყვარელო მსახურებო, ვილუპებით, ხედავთ თავად!  
თავის დაცვა, საბრალონო, ვალი არის ახლა თქვენი, რომ ბრძოლაში დაიხოცოთ ვაჟკაცობის გამოჩენით".

1931. ვისაც ხმალი არა ჰქონდა, მაგარ მერხებს მიჰყო ხელი, ზოგიერთმა იატაკით აიტაცა სკამი გრძელი.  
ბურგუნდელთა მსახურებს მუნ არა სურდათ უკან ხევა. და კოპებმა იწყეს იმათ მტრის თავებზე ამოწევა.

1932. თავსა იცავდნენ მრისხანედ საბრალო მსახურთ ჯარები;  
მალე სახლიდან გარეკეს მათ იარაღში მსხდარები.  
ხუთასი კაცი თუ მეტი მოიკლა მათი ხელებით.  
იყვნენ მსახურნი მტრის სისხლით შეღებილნი და სველები.

1933. მაშინავე უმძიმესი ეს ამბავი იყო თქმული.  
ეტყულ მეფის რაინდბთან. მათ საშინლად დასწყდათ გული,  
რომ სიკვდილსა შეეყარა ბლოდელინი ყმათა კრებით.  
ჩაიდინა ეს ჰაგენის ძმამ თავისი მსახურებით.

1934. ორი ათასი, თუ მეტი, საშინლად გაბრაზებული.  
დადგა ჰუნთა სპა, ვიდრემდის ჰქონდა ეს მეფეს მცნებული.  
წავიდნენ, ნახეს მსახურნი - მათი სიბრაზის საგანი.  
არავინ გადარჩენილა მაშინ ამ მსახურთაგანი.

1935. ურჯულოები მივიდნენ სახლთან ძლიერი ჯარითა.  
თავსა იცავდნენ მსახურნი მხნეობით საკვებარითა,  
მაგრამ ამოდ: გაედო ყველას სამარის კარები.  
მალე მუნ მოხდა ამბავი უმეტეს შესაზარები.

1936. თქვან აქ მოისმენთ ამჟამად საშინელ საოცრებასა:  
სიკვდილი მიხვდ მაშინ იქ ცხრა ათასი ყმის კრებასა.  
მათ გარდა მოკვდ თორმეტი მოყმე დანკვარტის ლენიდან.  
იღგა დაკვარტი მარტოდენ მტრებს შორის გმოჩენითა.

1937. ბოლოს მისწყდა მღლევარება და ყიჟინი მტერთა მძლევი.  
მხნე დანკვარტმა მაშინ დინჯად მოიხედა მხართა ზევით.  
თქვა: "მეგობართ მოკვლის გამო უმძიმესად მტკივა გული.  
სამწუხაროდ, მარტო ვდგავარ მტრის სალტეებშემორტყმული".

1938. სხეულს მისას მძლავრად სცემდნენ ხმლები თეთრად მოპრიალე.  
ამის გამო მრავალ რაინდს აუტირდა ცოლი მალე.  
ზეაწია ფარი, დაბლა ჩამოუშვა ღვედი ფარის.  
და ბევრს ბეგთარს იმან კიდევ ფერი მისცა სისხლის ღვარის.

1939. აღდრიანის ძემ შესძახა: 'ვაი, ტანჯვას ამდაგვარსა!  
ჩამოდექით, ჰუნთა ყმანო, გზა მიეცით ჩემსკენ ქარსა;  
დე, ჰაერმა გამაგრილოს მე დადლილი ბრძოლით კაცი".  
მიიწევდა კარისაკენ სიცოცხლეთა მათთა მტაცი.

1940. როს სახლიდან ის დადლილი გამოვიდა, სისხლით მთვრალი,  
კვლავ მის ბეგთარ-მუზარადზე ახმაურდა ბევრი ხმალი.  
მათ, ვინაც ჯერ არ იცოდა, ვით ჰკაფავდა იგი მკვეთრად,  
ბურგუნდელთა ქვეყნის რინდს გზა გადუჭრეს შესახვედრად.

1941. თქვა დაკვრატმა: "ერთი მაინც ღმერთს რომ ჩემთვის გაეჩინა,



რათა იგი ჩემს ძმას ჰაგენს მოველინოს ცნობით წინა.  
რომ ესოდენ შეჭირვებულს გარს მარტყია მტერთა ჯარი,  
ან მიშველის, ან თვითონაც დაეცემა იგი მკვდარი".

1942. მას ჰუნებმა უპასუხეს: "შენ იქნები მაცნე თავად,  
როდესაც შენ მკვდარს მიგიტანთ ტრონიელის სანახავად.  
ნახე მაშინ გუნთერის ყმის წუხილი და ცეცხლთა გზნება.  
შენ აქ ახლა ეტცელ მეფეს მიაყენე დიდი ვნება".

1943. უპასუხა მან: "მუქარა იკმარეთ და განმერიდეთ,  
თორემ წითლად ჯაჭვის პერანგს შევუღებავ მე ბევრს კიდევ.  
აქ ჩადენილს თქვენგან ამბავს თვით მივუტანთ მეფის კარსა.  
და ვაუწყებ მე ჩემს ბატონს მწუხარებას შესაძარსა".

1944. ეტცელის ხალხს დასცა იმან იმნაირი შიშის ზარი.  
რომ რაინდზე ხმალით მისვლას ვერ ბედავდა ჰუნთა ჯარი.  
მის ფარის პირს იმათ შუბი ესოდენი სტყორცნეს მსვრელი,  
რომ სიმძიმის გამო მისთვის უნდა ეშვა დანკვარტს ხელი.

1945. მათ იფიქრს, რომ დასძლევდნენ, რა გააგდო ხელით ფარი,  
მაგრამ იმან კვლავ ზუჩით ქვეშ გაადინა სისხლის ღვარი.  
ბევრ მხნე რაინდს მის წინაშე იქ მოუხდა წაჩოქება,  
ლომგულ დანკვარტს ერგო წილად პატივი და დიდი ქება.

1946. ორსავე მხრით აწვებოდნენ, გზა არ იყო არსით ხსნილი;  
გულით სურდათ, ამ ბრძოლაში რომ ჰქონოდათ ყველას წილი.  
იგი ისე მიდიოდა მტრის წინაშე, როგორც ტახი.  
ძაღლების წინ ტყეში. სხვა ვინ გაივლიდა ამგვარ სახით?

1947. მთელი ეს დრო იმის გზაზე იქცეოდა სისხლი ცხელი.  
ვის შეეძლო, რომელ რაინდს, გამოეღო ისე ხელი.  
მტრის წინაშე მარტოს, როგორც სჩადიოდა მაშინ ისა.  
ნახეს, თუ ვის სრის კარისკენ ძმა ვიდოდა ჰაგენისა.

1948. სუფრაჯებს და ღვინის მეწდეთ შემოესმათ ხმალთა ჟღერა;  
სასმელთა და საჭმელების ვეღარ შესძლეს ხელში ჭერა,  
რომლებიც იქ სწრაფი რბენით მათ მიჰქონდათ სასახლისკენ.  
კიბესთანაც დახვდათ მტერი და იწევდა ყველას მისკენ.

1949. "ეს რა არის, სუფრაჯებო?" დადალულმა უთხრა გმირმა,  
"საჭიროა წილად ირგონ აქ სტუმრება თქვენმა ძვირმა.  
მასპინძლობა უკეთესი და საჭმელი უფრო ტკბილი.  
გზა დამითმეთ! ვარ ბატონთან დიდ ამბისთვის მიხმობილი".

1950. ვისაც კიდევ ჰქონდა ძალა, გადებოდა კიბის წინა;  
ზოგიერთებს მან დაარტყა ისე მაგრად ხმალის რკინა,

რომ აღუძრა დანარჩენებს იმისადმი შიშმა რიდი.  
მან მხნეობით სასწაული ჩაიდინა მეტად დიდი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ც ა მ ე ტ ე.

როგორ ებრძოდნენ ბურგუნდელები ჰუნებს.

1951. კარებში რომ შედგა ფეხი მხნე და დანკვარტმა სისხლის თხევით.  
და ეტცელის ყმებს მოსთხოვა, გზა დაეთმოთ უკან ხევით,  
ტანზე წითლად შეღებილი სამოსელი ჰქონდა მთელი.

მარტოდენ მოელვარე ხმაღს აჩენდა მისი ხელი.

1952. მაშინ ერთ რინდს დანკვარტმა მალლად ასმინა ხმანია:  
"თქვენ, ძმაო ჰაგენ, ნებივრად ზიხართ აქ დიდი ხანია.  
ვარ ჩვენი ჭირის თქვენსა და ღვთის წინა მაუწყებელი:  
ამოგვიწყვიტეს რაინდნი, მოგვიკლეს ყველა მხლებელი".

1953. მანაც შესძახა: "მოხდა ეს ვერაგობითა ვისითა?".  
"ეს ჩაიდინა ბლოდელმა ქვეშევრდომებით თვისითა.  
ნაცვლად მიღება დასჭირდა ჯილდოსი მეტად ავისა:  
ამ ჩემს მარჯვენას წილად ხვდა წარკვეთა მისი თავისა".

1954. "ეს ცუდს არ ნიშნავს", ეტყოდა ჰაგენი შეუკრთობელი:  
"თუკი რაინდის შესახებ იქნება ვინმე მთხრობელი,  
რომ ის ბრძოლასი მოიკლა რაინდისავე ხელითა,  
არ იგლოვებენ ქალები იმას ცრემლებით ცხელითა.

1955. თქვი ახლა, ძმაო, რადა ხართ ესოდენ გაწითლებული?  
თქვენ უნდა იყოთ, ვფიქრობ მე, ჭრილობათაგან ვნებული.  
არის თუ არა მიწაზე, ვინც მოგაყენათ ზიანი?  
ეშმაკიც ჰყავდეს მფარველად, დღე დავუბნელოთ მზიანი!".

1956. "თქვენ დაუკოდავს მხედავთ მე; სამოსი ჩემი სველია.  
კარგ რაინდების სისხლითა, ჩემს ხმაღს რომ მოუცელია.  
ვიყავი დღეს მე იქ რაოდენ სიცოცხლის მათის მქრობელი!  
საქმე ფიცზედაც რომ მიდგეს, ვერ გავხდე რიცხვის მთხრობელი".

1957. მან მიმართა: "ძმაო დანკვარტ, დაიცავი კარგად კრი.  
და არც ერთი ჰუნთაგანი არ გაუშვა ჩვენთან მდგარი!  
მსურს სიტყვანი ვუთხრა მათ მე თვით ჩვენთავე ჭირთა დარნი.  
ხომ მათ გამო შინაყმანი ძირს გვიწყვიან ახლა მკვდარნი".

1958. "მაშ მე უნდა ვიეჯიბო?" მხნე ვაჟკაცმა უთხრა მსვიდად,  
"ამნაირი სამსახური მეფეებთან მინდა დიდად.  
მთელი ჩემი ღირსებით მე გაგიხდებით კიბის მცველი".

ამ სიტყვებმა კრიმპილდეს კაცთ აგრძნობინა ტანჯვა მწველი.

1959. კვლავ წარმოთქვა ტრონიელმა: "მე მაკვირვებს, ვფიცავ ღმერთსა, თუ ჩურჩულით რას უთხრობენ აქ ჰუნები ერთმანეთსა: ჩანს, კარის მცველს სიხარულით შეახებდნენ მსახვრალ ხელებს, რადგან იმან ეს ამბავი მოუტანა ბურგუნდელებს.

1960. თავსი ტანჯვა კრიმპილდეს, მსმენია დიდი ხანია, თუ არ სანაცვლოს გარდახდით, ისე ვერ აუტანია. ღვინით ვახსენოთ, ეს ღვინოდ ვიყიდოთ სასყიდელითა! შეეწირება მეფის ძე პირველი ჩვენი ხელითა".

1961. ტრონიელმა ყრმა ორტლიბი მოკლა დაკვრით მალით. იმგვარად, რომ სისხლი თბილი გადაესხა ხელზე ხმალით. და დედოფლის კალთაზედა ჩამოგორდა ბავშვის თავი. გაიმართა ხოცვა-ჟლეტა და შეტევა მეტად ავი.

1962. შემდეგ მყისვე ბავშვის აღმზრდესლ თავს დაესხა: ორთავ ხელთ, იმნაირი ძალმოკრებით გადუქნია ხმალი მჭრელი, რომ გაგორდა სუფრის ფეხთან თავი მისი სისხლის დენით. ჩვილზე მზრუნველს ძვირფას ჯილდოდ მან მიაგო ესე ძღვენი.

1963. ეტცელ მეფის მაგიდასთან ერთ მუსიკოსს მოჰკრა თვალი. და მხეცქმნილმა ტრონიელმა გაიკვლია მისკენ კვალი: მან უეცრად ჭიანურზე მას მარჯვენა მოსჭრა ხელი: "ჰა, ბურგუნდში ელჩობისთვის შენ საჩუქარს მეტს ნუ ელი!".

1964. თქვა ვერბელმა, ეტცელ მეფის მემუსიკემ: "ვაი ხელო! რა მიქნია თქვენთვის ცუდი მე ოდესმე, ტრონიელო! ერთგულებით გეახელით, დანაბარის თქვენს წინ მთქმელი. ვით ვაჟერო აწ სიმები, მოჭრილი რომ მაქვს მე ხელი?".

1965. არ ნაღვლობდა ამას ჰაგენ! მან შეწყვიტა დაკვრა მარად. ჰაგენი კი მეფის დარბაზს მოევლინა რისხვის ზარად. ეტცელ მეფის ყმათა ჟლეტით ნელდებოდა რისხვა მისი. მან დარბაზში სიკვდილს მისცა რაინდები საკმარის.

1966. მხარი მისცა მას ფოლკერმაც, ამხანაგმა კარგმა მისმა: ზე აიჭრა იგი სწრაფად და ქამნაჩის ჟღერა ისმა. მან დაუკრა ჭიანური უწესოდ და საშინელად. რაოდენი მარდი ჰუნი გადიმტერა იმან ხელად!

1967. სწრაფად ადგა მაგიდიდან სამი მეფე მხნე და ქველი. მათ უნდოდათ შეეწყვიტათ შეტაკება სისხლისმღვრელი. მაგრამ ზავის ჩამოგდება იქ შეეძლო ახლა ვისა, როს დაინთო რისხვის ცეცხლი ფოლკერის და ჰაგენისა?!

1968. ბურგუნდელთა მეფემ ნახა - არ სწყდებოდა ბრძოლა მძიმე.  
და თვითონვე მიაყენა მან ჭრილობა რამდენიმე,  
უბრწყინვალეს ბეგთართა ქვეშ, გააფრთხულს თავის მტრებსა.  
ჩანდა, იგი ვაჟკაცურად რომ ხმარობდა მკლავს და მხრებსა.

1969. მხნე მებრძოლეს მაშინვე მიეშველა გერონტ მძლავრი.  
და მრავალი ჰუნის მოკვლით მოიოხა გულის ჯავრი.  
რუდიგერმა რომ აჩუქა, მან იმ ხმალით ხოცა მტრები.  
ჩააბარა სიკვდილს ბევრი ეტცელ მეფის მეომრები.

1970. ამ ბრძოლაში ჩაერია თვით უმცროსი უტეს შვილი.  
მის ბრწყინვალე იარაღქვეშ მუზარადი იქმნა ჩვილი.

ეტცელ მეფის რაინდების, გამხეცებულ ჰუნთა სპისა.  
დიახ, ნახეს სასწაული გიზელჰერის მარჯვენისა!

1971. ეტცელ მეფის ვაჟკაცებმაც ისახელეს მაშინ თავი,  
თავს იცავდნენ გააფრთხებით, ხმობდნენ ხმითა შემზარავით.  
ბურგუნდელი წვეულები ჰუნთა მეფის სასახლეში.  
სიკვდილს სთესდნენ ხმალთა ქნევით და დიოდა სისხლის თქესი.

1972. თავს იცავდნენ მხნე ჰუნები ვაჟკაცობის არ დაღვეით.  
ჩანდა, როგორ მოძრაობდნენ მოელვარე ხმალთა ქნევით.  
ბურგუნდელი წვეულები ეტცელ მეფის სასახლეში.  
გაისმოდა ყველგან გმინვა და დიოდა სისხლის თქეში.

1973. მეგობრებთან სურდათ შესვლა მათ, ვინც გარეთ დარჩა მდგარი,  
მაგრამ შესვლა არ შეეძლოთ - შეუვალი იყო კარი.  
იმათ კი, ვინც მოხვდა შიგნით, მიერჩოდათ გარეთ გული,  
მაგრამ კიბის თავს იცავდა მხნე დანკვარტი ჯავშანცმული.

1974. აჰა, ატყდა ჩოჩქოლი და ზეშეწყვეტა კარის წინა.  
ეცემოდა ჯახაჯუხით მუზარადებს ხმალთა რკინა.  
მაშინ მძიმე განსაცდელში იქ ჩავარდა დანკვარტ გმირი,  
მაგრამ მიდგა ძმა მისი, რომ აეცდინა ძმისთვის ჭირი.

1975. მემუსიკეს შეყვილებით ტრონიელმა გასცა ხმანი:  
"ხედავთ თქვენ იქ, ამხანაგო, რომ მრავალნი ჰუნთა ყმანი.  
უმძლავრესი შემოტევით შემორტყმიან ჩემს ძმას გარე?  
მიეშველე, მეგობარო, და მაგათი სისხლი ღვარე!".

1976. "ამას ვიზამთ ამწამშივე", მემუსიკემ უთხრა ქველმა.  
შემდეგ იწყო იმან დაკვრა, ვრცელ დარბაზში მიმომსვლელმა:  
ხშირად ჟღერდა იმის ხელში მაგარი და ბასრი ხმალი.  
გაუხარდათ რაინელებს მიშველება მისი მალი.

1977. გაბედულმა მემუსიკემ მაშინ დანკვარტს უთხრა ესა;  
"გაჭირვება უდიდესი გადიტანეთ თქვენ აქ დღესა.  
მთხოვს თქვენი ძმა, გიშველოთ და გიმსუბუქოთ მტერთან ომი.  
გარეთ დგომას თუ ისურვებთ, მე ვიქნები შიგნით მდგომი".

1978. კართან გარეთ იდგა დანკვარტ, არ ლამობდა უკან ხევას.  
და კიბესთან აჩერებდა ჰუნთა რაზმის შემოტევას.  
გაისმოდა, იარაღს ვით აჟღერებდა მოყმის ხელი.  
მასვე შიგნით ჩადიოდა მემუსიკე გულფიცხელი.

1979. ფოლკერის ხმამ მაშინ მედგრად გაარღვია ხალხის ჯარი;  
"მეგობარო, ჰაგენ, კარგად დაკეტილი არის კარი!  
დიახ, კარი ეტყელ მეფის გასაღებად გახდა ძნელი:  
ათას ურდულს მას უკეთებს შენი ორი მოყმის ხელი!".

1980. როს ჰაგენმა იხილა, რომ დაცულია კარგად კარი,  
გაბედულმა მეომარმა გადაიგდო გვერდზე ფარი.  
და მეგობართ ტანჯვის გამო მტრებს მოსთხოვა ანგარიში.  
განრისხებამ მისმა ჰუნებს აგრძნობინა დიდი შიში.

1981. და როდესაც დაინახა ქალაქ ბერნის ფოგტმა ქველმა,  
თუ ვით ჩეხა ბევრი ზუჩი მკლავმაგარმა ტრონიელმა,  
ამელუნგთა მბრძანებელი მყის შეახტა თავის სკამსა.  
და წარმოთქვა: "აქ ჰაგენი აღარ ზოგავს ჩვენთვის შხამსა!".

1982. ამ ამბავმა მასპინძელსა ზრუნვა დიდი გაუჩინა;  
ბევრი კარგი მეგობარი მოიკლა მის თვალთა წინა.  
ხიფათი და გასაჭირი მუნ მისთვისაც დამდგარიყო.  
შეკრთა იგი. რას შველოდა, რომ ის ქვეყნის მეფე იყო?

1983. მუნვე დიტრიხს შესძახოდა დედოფალი დიდებული:  
"მხნე რაინდო, მომეშველე, რომ აქედან გამყვეს სული.  
ო, გაფიცებ ამელუნგთა თავადების სათნოებას!  
თუ ჰაგენი მომეახლა, მომაცენებს სამკვდრო ვნებას".

1984. "რით გიშველოთ?" თქვა დიტრიხმა, შემზარავი ჩხუბის მხედმა.  
"დედოფალო, თვით ვშიშობ, რომ არ მიმტყუნოს ჩემმა ბედმა.  
რისხვას იმგვარს მისცემია ბურგუნდელი მეფის ყმანი,  
რომ ამჟამად მე არ ძალმიძს სამშვიდობო სიტყვის თქმანი".

1985. "ო, ბატონო დიტრიხ, არა!" დედოფალმა უთხრა კვალად,  
"მხნეობა და სათნოება შენი უნდა დაგვდო ვალად.  
აქ სიკვდილი არ ამცდება, გამიყვანე გარეთ, გვედრი!  
აგვაშორე მე და მეფის საშინელი ესე ხვედრი".

1986. "მზად ვარ, თავი არ დავზოგო, თუკი ძალმიძს თქვენი შველა;

მაგრამ მართლაც უნდა გითხრათ, არ მინახავს უეჭველად.  
ასე ბევრი მხნე რაინდის განრისხება ამდაგვარი.  
ვხედავ, ნაჩებ ზუჭებიდან, რომ ამოსჩქეფს სისხლის ღვარი".

1987. აქ რაინდმა უბადლომან ძახილისთვის გახსნა პირი:  
ის ყვიროდა იმნაირად, ვით კამეჩის რქის საყვირი.  
მთელ სიმაგრეს გასწვდა მაშინ სიზლიერე მისი ხმისა.  
უსაზომო იყო ძალა გაბედული დიტრიხისა.

1988. გუნთერამდეც მიაღწია უმძლავრესთა ხმათა ფენამ,  
გახურებულ ბრძოლაში მას მან მიაპყრო ყურთასმენა:  
"მე რომ ვისმენ, ეს ხმა არის დიტრიხისა, არ თუ სხვისი;  
ალბათ, ჩვენმა რაინდებმა ნათესავი მოკლეს მისი.

1989. ვხედავ, იგი სუფრაზე დგას და მოძრაობს მისი ხელი.  
თქვენ, ნათესავ-მეგობარნო, ვინც აქა ხართ ბურგუნდელნი,

შეაჩერეთ ბრძოლა! ჯერეთ ვისმინოთ და ვნახოთ თვალით,  
თუ რა უყვეს დიტრიხს ჩემმა მეომრებმა თვისი ზალით".

1990. როდესაც კი გაიგონეს მეფისაგან სიტყვა თქმული,  
ყველამ ხმალი ძირს დახარა, საბრძოლველად შემართული.  
ძლიერება მისი ჩანდა: ჩხუბს ანება ყველამ თავი.  
სთხოვა ბერნელს მან, რომ მალე განემარტა ეს ამბავი.

1991. უთხრა: "ბატონო დიტრიხ, თქვენ, რაინდი წარჩინებული,  
ჩემთა კაცთაგან რითიმე ხომ არ ბრძანდებით ვნებული?  
თუ დამნაშავეს ვით დავსჯი, გახდებით თვითვე მნახველი.  
თქვენი ზარალი იქნებ ჩემთვის სევდა და ნალველი".

1992. მაშინ დიტრიხმა მიუგო: "არ დამმართნია ზიანი.  
მხოლოდ იყავით იმდენად კარგი და თავაზიანი,  
რომ ამ ბრძოლიდან გამიშვით გარეთ მე ჩემი ყმებითა.  
გემსახურებით ნაცვლად სულ რაინდულ მსახურებითა".

1993. უთხრა ვოლფჰარტმა მაშინ მას: "ეს შეხვეწილი მეტია:  
იმდენად მაგრად კარები შპილმანს არ დაუკეტია.  
რომ ვერ გავალოთ ჩვენ იგი და ვერ გავიდეთ გარეთა".  
"გაჩუმდით", უთხრა დიტრიხმა, "საქმეს აკეთებთ მდარეთა!".

1994. მაშინ თქვა მეფე გუნთერმა: "ეს თქვენ სურვილზე ჰკიდია -.  
თქვენ გაიყვანეთ სახლიდან ცოტა გინდათ თუ დიდია,  
გარდა მტრებისა ჩემისა! აქ უნდა დარჩნენ ისინი.  
მათ არ დაზოგეს ჩვენთვის აქ შხამი და სამტრო სისინი".

1995. ეს ბერნელმა რომ ისმინა, მყის ჩასჭიდა ერთი ხელი.  
დედოფალსა; ქალს ძალიან აშინებდა ბრძოლა ცხელი!

მეორეთი ეტყელ მეფე გაიყვანა გარეთ მანა.  
მეომარი მას ექვსასი დარბაზიდან გაჰყვა თანა.

1996. მაშინ იწყო მხნე მარკგრაფმა, რუდიგერმა, სიტყვის თქმანი:  
"ხომ არავინ ფიქრობს კიდევ, რომ გავიდეს იმათგანი,  
რომელსაც კი საერთო სასახური უნდა თქვენი?  
დაე, ზავი ჩამოვარდეს მეგობრების დამადგენი".

1997. შემდეგ მოყვრის საპასუხოდ გიზელჰერმა დასძრა ენა:  
"მსურს, ზავი და შერიგება რომ გეუწყოთ ჩემგან თქვენა!  
ბრძანდებოდეთ მშვიდად თქვენ და თქვენთან ერთად ლენა მთელი.  
შეგიძლიათ, მეგობრებით რომ წაბრძანდეთ უზრუნველი".

1998. როს მარკგრაფმა რუდიგერმა დარბაზისა განვლო კარი,  
ხუთასი, თუ უფრო მეტი, მას თან გაჰყვა მეომარი.  
ჩაიღინეს მოყმეთ ესე, რადგან მისი ჰქონდათ რიდი.  
მალე მათგან გუნთერ მეფეს გაჭირვება შეხვდა დიდი.

1999. მხნე დიტრიხის გვერდით ოდეს მიმავალი მეფე ნახა,  
ერთმა ჰუნმა მათთან ერთად მალვით გასვლა განიზრახა,  
მაგრამ იმას მემუსიკემ ისე დაჰკრა ბასრი რკინა,  
რომ იმისი თავი მეფეს გაუგორდა ფერხთა წინა.

2000. როცა მეფემ ჭიშკარამდე მიიტანა ტანჯვით კვალი,  
შემობრუნდა და ზემოდან გადაავლო ხალხს მან თვალი:  
"ვაი სტუმრებს! უბედობა არ ნახულა ამის დარი:  
ყველა ჩემი მხნე რაინდი მათი ხელით გახდა მკვდარი!".

2001. "ვაი ამგვარ წვეულებას!" იძახოდა მეფე ქველი,  
"შიგნით იბრძვის ვინმე ფოლკერ, გამოსავალ კართა მცველი.  
ის წააგავს ველურ ტახს და ჭიანურის არის მკვრელი.  
ბედს ვუმაღლი, რომ იმ ეშმაკს გადავურჩე უვნებელი.

2002. წითლად აქნევს ქამანჩს და სიმს აჟღერებს საძაგელად.  
თვისის ხმებით ბევრს ჩემს რაინდს მოევლინა იგი მკვლელად.  
მე არ ვიცი, ამ დამკვრელმა თუ რაგვარად დაგვდო ბრალი.  
არასოდეს არ მყოლია მე სტუმარი ესდენ მყრალი".

2003. როს, გაშვება ვისიც სურდათ, ის გაუშვეს კარში მხოლოდ,  
კვლავ დაიწყო ხოცვა-ჟლეტა დიდ დარბაზში უთავბოლოდ.  
მეგობართა სისხლს იღებენ იქ სტუმრები მედგარ ზალით.  
ვინ თქვა, ზუჭი თუ რამდენი მხნე ფოლკერმა ჩეხა ხმალით.

2004. იქით მიდგა გუნთერ მეფე, სად ხმა ქუხდა ეგზომ მძლავრი:  
"გესმის, ჰაგენ თუ ვით უკრავს მუნ ფოლკერი, მოყმე მარდი,  
ჰუნთა ზედან, გასასვლელად რომ მიაწყდნენ იმა კარსა?"

ქმანჩაც კი მისი წითლად შეუღებავს სისხლის ღვარსა".

2005. "საწყენია ჩემთვის დიდად", ჰაგენისგან იყო თქმული,  
"რომ ერთხელაც იმისაგან მე ვიყავი გათიშული,  
ამხანაგი ვიყავ მისი და იგიცა იყო ჩემი.  
ვიმეგობრებთ კვლავ, თუ ვნახეთ სამშობლო და ჩვენი თემი.

2006. ხედავთ, მეფევ, თქვენდა მიმართ სიყვარულის არის მჩენი:  
სურს მიიღოს ღირსეულად მან ვერცხლი და ოქრო თქვენი!  
ის ქამანჩით შუა აპოზს ფოლადსა და ნაჭედ რკინებს.  
და ბრწყინვალე სამკაულებს მუზარადებს აყრევიანებს.

2007. არასოდეს არ მინახავს ასე მხნედ და კარგად მდგომი.  
მე შპილმანი, როგორაც აქ დღეს დამდგარა ფოლკერ ლომი.  
ზუჩებსა და ფართა შორის ჟღერს სიმღერა მისგან თქმული.  
იგი უნდა იჯდეს რაშზე და ძვირფასად იყოს ცმუოლი".

2008. რამდენსაც კი ჰუნთა რაინდს მოეყარა შიგან თავი,

მას ერთიც არ გადაურჩა იმათ შორის მოუკლავი.  
ხმაურობა შეწყდა, ოდეს იქ ამოწყდა მტერი მთელი.  
გაბედულმა რაინდებმა ხმლებს გაუშვეს მაშინ ხელი.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე .

როგორ ისროდნენ დარბაზიდან დახოცილებს.

2009. მაშინ დასხდნენ ბატონები, დალილები უკვე მწარედ.  
ფოლკერი და ტრონიელი გამოვიდნენ დინჯად გარეთ.  
ერთიცა და მეორეცა მხნედ დაეყუდა თავის ფარსა.  
და შეუდგნენ მოყმეები გულგასართობ საუბარსა.

2010. აქ მათ სიტყვა მოისმინეს გიზელჰერის, გმირთა დარის:  
"საყვარელო მეგობრებო, დასვენება ადრე არის!  
გაიტანოთ უნდა კარში მეომრები დახოცილი.  
მტერი ისევ თავს დაგვესხმის, აღარ უნდა ამას ცალი.

2011. მოძრაობას დააბრკოლებს ესოდენი ფერხთ ქვეშ მკვდარი.  
ვიდრე შეძლებს ჩვენს დაძლევას იერიშით ჰუნთა ჯარი,  
გაუჩნდებათ ჩვენის ხელით მათ მრავალი მძიმე წყლული.  
მე სურვილი მაქვს ამისა და ამასვე მითხრობს გული".

2012. დაიძახა ტრონიელმა: "მე ბატონი მომწონს მსგავსი!!  
ამნაირი რჩევა არის გმირობასთან შენათავსი.  
მხნე მოყმეში, როგორსაც აქ ჩვენს ნორჩს ბატონს ვხედავთ დღესა.



ბურგუნდელნო, გასახარი უნდა იყოს თქვენთვის ესა".

2013. ნაომარმა რაინდებმა გაიგონეს მისი რჩევა.  
და მოკლულებს შვიდი ათასს მათ დაუწყეს კარში თრევა.  
დარბაზის წინ, კიბის ძირში ჩამოცვივდა მკვდართა გროვა.  
იწყეს მათმა მეგობრებმა ტირილი და ცხარე გლოვა.

2014. ჰქონდა ზოგიერთს მათ შორის ისე მსუბუქი წყლულები,  
რომ მზრუნველობით მოვლილნი გამორჩებოდნენ სრულებით;  
მაგრამ მაღლიდან გადმოყრამ მათ მოუტანა სიკვდილი.  
ამას სტიროდნენ იმათი მოძმენი, ცნობამიხდილი.

2015. მაშინ იტყოდა შპილმანი, ვაჟკაცი შეუპოველი:  
"ის, რასაც მეუბნებოდნენ, სწორი ყოფილა ყოველი.  
მხდალნი არიან ჰუნები, დედაბრებივით მგოდები.  
წესია, გადაარჩინონ მათ მიძიმედ დანაკოდები".

2016. ერთმა მარკგრაფმა მიიღო გულწრფელად ეს სამდურვი.  
მან ბიძაშვილი თავისი იქ შენიშნა სისხლში მცურავი;  
მისი წაყვანა ინდომა, უკვე შეეხო ხელითა,  
მაგრამ შპილმანმა გაგმირა ისრით ის წვერფიცხელითა.

2017. ეს რომ სხვებმა დაინახეს, მყის იკადრეს უკან ხევა.  
და დაიწყეს მემუსიკის საშინელი ლანძღვა, წყევა.

აიტაცა მხნე ფოლკერმა, სწრაფად დაბლა დანალუნმა,  
ბასრი შუბი, რომელიც მას იქ ესროლა ერთმა ჰუნმა.

2018. მან გასტყორცნა იგი მძლავრად ეზოსა და თავთა ზევით.  
მაშინ ეტცელ მეფის ხალხი, ჩოჩქოლით და უკან ხევით,  
ამ ძლიერი გასროლისგან სახლს შემკრთალი გაეცალა.  
შიშის ზარსა სცემდა იმათ სიმკაცრე და მისი ძალა.

2019. სასახლის წინ იდგა ეტცელ, გარს ეხვია ხალხის ჯარი.  
ფოლკერმა და ტრონიელმა გაუმართეს საუბარი.  
ჰუნთა მეფეს, ვით სჩვეოდათ, ზვიადი და არსაამო.  
დიდი ზრუნვა მიხვდათ მალე ამ რაინდებს ამის გამო.

2020. თქვა ტრონიელმა: "ხალხისთვის ეს იქნებოდა ნუგეში,  
რომ ბატონები სხვების წინ იბრძოდნენ სისხლის გუბეში,  
ვით ამას ჩემი მაღალი ხელმწიფეები სჩადიან:  
ზუჩებს ჩეხენ და ხმალთაგან ღვარნი სისხლისა ჩადიან".

2021. გაბედული იყო მეფე, ხელთ აიღო ფარი თვისი.  
დედოფალმან უთხრა: "გმართებს აქ სიფრთხილე საკმარისი.  
შესთავაზეთ ოქრო მოყმეთ ნაპირთაგან თქვენი ფარის,  
თორემ, თუკი მოგწვდათ ჰაგენ, დაგვიდგება ჟამი ზარის".

2022. ეტყელ მეფემ, მეტად მხნემან, არ ისურვა უკან ხევა.  
იშვიათი არის ამგვარ თავადთაგან მსგავსი ქცევა.  
მაგრამ უკან მიიზიდეს ფარის ღვედით იგი მაშინ.  
შემოესმა დაცინვა მას ტრონიელის ბოროტ ხმაში.

2023. თქვა: "ზიგფრიდს და ეტყელ მეფეს, წარჩინებულ, მაღალ პირებს,  
ერთი რამე ღრმა კავშირი ერთმანეთთან აკავშირებს:  
ის ჰყვარობდა კრიმჰილდეს ჯერ, გახდებოდა ვიდრე შენი.  
მხდალო მეფევ, რა მიზეზით ხარ ჩემდამი მტრობის მჩენი?".

2024. ეს სიტყვები მოისმინა დიდებულმა დედოფალმა.  
და მას სუნთქვა შეუხუთა სიბრაზემ, ვით ცეცხლის ალმა,  
იმის გამო, რომ გალანძღეს ის ეტყელის კაცთა წინა.  
კვლავ საბრძოლო მოწოდების ხმა გარშემო მოაფინა.

2025. დაიძახა მაშინ: "ვინაც მოჰკლავს ჰაგენს მოსაკლავსა.  
და მომიტანს, ვით საჩუქარს, მე მოკვეთილ იმის თავსა,  
მეფის ფარით მას მივართმევ წითელ ოქროს, ვითა ვალსა.  
და გადავცემ სამფლობელოდ ქალაქებსა და მიწა-წყალსა".

2026. "მე არ ვიცი, რას უცდიან", თქვა შპილმანმა: "დღემდე თვალით.  
არასოდეს არ მინახავს რაინდები ესდენ მხდალი.  
დანაპირი ამ საქმისთვის საკმაოა საჩუქარად.  
თავი მათი ეტყელ მეფეს აწ კი უნდა უჩნდეს არად.

2027. მათ სირცხვილით და ლაჩრობით უჭამიათ მეფის პური.  
სურთ დასტოვონ ახლა ჭირში და მოაკლონ სამსახური.  
დგას შემკრთალი მოყმე ბევრი, თავს კი თვლიან გულადებად.  
შერცხვენა და თავის მოჭრა მათ ამიტომ არ ასცდებათ".

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე .

როგორ მოკლეს ირინგი.

2028. მაშინ შესძახა ირინგმა, მარკგრაფმა დანელთა მხარის:  
"მარად ვყოფილვარ მტრის თავზე დამტეხი შიშის ზარისა.  
ჩამიდენია ბრძოლის დროს მე საქმე კარგი ყოველი.  
ჰაგენის სისხლის საღვრელად ვარ იარაღის მთხოველი".

2029. ჰაგენმა უთხრა: "ვერ მოგცემთ მე თქვენ ამნაირ რჩევასა,  
თორემ ეტყელის ხალხი კვლავ იწყებს ცრემლების თხევასა.  
თუ ორი-სამი თქვენს შორის დარბაზში ვინმე შეხვედით,

კარგად ნაცემებს კიბიდან დაბლა ჩაგიშვებთ მძლე ხელით".

2030. ირინგმა უთხრა: "მწყურია მე მაინც თქვენთან ომია; საშიშროება ამგვარი სხვაც ბევრი გარდამხომია. ხმლით დაგამარცხო მარტომა - ვარ მე ამისი მდომელი. ჭირს ამ ბრძოლაში შეგამთხვევს ჩემზე მეტს ნეტა რომელი?".

2031. შეიჭურვა მყის ირინგი რაინდების წესთა დარად, თურინგელი ირნფრიდიცა უდრეკი და მტკიცე მარად, და ჰავარტი უშიშარი, ათასისგან შემდეგ ჯარით. შველა სურდატ ირინგისთვის თავიანთი ხმლით და ფარით.

2032. აქ ფოლკერმა შეამჩნია მომავალი ჯარი დიდი; იარაღით შეჭურვილებს მოუძლოდათ ირინგ მშვიდი: დახურული ჰქონდათ თავზე მათ ზუჩები სხივთა მთესად. მხნე ფოლკერმა რომ შეხედა, გაბოროტდა უმეტესად.

2033. "მეგობარო ჰაგენ, ხედავთ, ეს ირინგი მოდის აქით; განა იგი მარტო შებმას არ ამბობდა შენთან ბაქით? რაინდს მართეს ცრუ არ იყოს, მის საქციელს ვკიცხავ გულით: ათასი თუ მეტი კაცი მას მოჰყვება შერკინული".

2034. თქვა ჰავარტმა ყმამან: "ტყუილს არ სჩვევია ჩემი პირი: მე მინდა რომ შევასრულო წელანდელი დანაპირი. ვერ გასტეხავს სიტყვას ჩემსას მის წინაშე შიშით ძრწოლა: რა მკაცრიც არ უნდა იყოს, მსურს ჰაგენთან მარტოს ბრძოლა".

2035. მეგობრებს და ლენას ფერხთით ჩაუვარდა ირინგ მაშინ, სთხოვა, იგი მარტოდმარტო რომ გაეშვათ ამ ბრძოლაში. ცნობა ჰქონდათ ტრონიელის და უგულოდ მისცეს ნება: ფიქრობდნენ, რომ ჰაგენისგან მას ელოდა დიდი ვნება.

2036. ის თანხმობის მისაღებად მათ ევედრა დიდი ხანი, ვიდრე იმის უტეხ ჟინში არ დარწმუნდნენ მისნი ყმანი, და აგრეთვე იმაში, რომ პატივისთვის შებმა სურდა. გაუშვეს და მოყმეთ შორის ბრძოლა მკაცრი მყის გახურდა.

2037. აქ ირინგმა წამახული მოიმარჯვა შუბის რკინა, დიდებულმა რაინდებმა თან წამოიგო ფარი წინა. ამნაირად დარბაზისკენ დაედევნა ჰაგენს ისა. ხმა ძლიერი გაისმოდა ზემეხლის და ჯახანისა.

2038. სტყორცნეს ერთმანეს შუბები ძლიერის მკლავმოდერებით, მაგრამ ფარებში გავლით და ნათელ სამოსზე ძგერებით, მთლად დაღეწილი შუბები ფრენით წავიდნენ ზევითა. მაშინ მისცივდნენ ურთიერთს ისინი ხმალთა ქნევითა.

2039. მხნეობა და ძალა ჰქონდა უსაზომო ტრონიელის:  
ჰკრა ირინგმა მაინც ხმალი, ხმა მოედო ციხეს მთელსა.  
დარტყმათაგან დარბაზებმა და კოშკებმა იწყეს კრთომა,  
მაგრამ მაინც ირინგმა ვერ შეისრულა თვისი ნდომა.

2040. მხნე ირინგმა ტრონიელი მიატოვა დაუჭრელად;  
შეეცადა, შემდეგ ფოლკერს მოვლენოდა სისხლის მღვრელად.  
ეგონა თუ, იმის ხმალქვეშ დაეცემა ფოლკერ მკვდარი,  
მაგრამ მოყმემ გაბედულმა აიფარა დროზე ფარი.

2041. მაშინ მოხდა ისე მძლავრად მაგიერი დატყმა გმირსა,  
რომ ბალთები დაწყვეტილი აზრიალდნენ ფარის პირის.  
იგი ჩანდა ავი კაცი და დატოვა კვლავ მან ისა.  
შესაბმელად გამონახა მყის ხელმწიფე ბურგუნდისა.

2042. ორსავ მებრძოლს ბრძოლისათვის ერთნაირი ჰქონდათ ჯანი.  
ხმლები ურტყეს გააფრებით მათ ერთმანეთს დიდი ხანი,  
მაგრამ მაინც არა ჩანდა ჭრილობა და სისხლი მათი:  
იფარავდა მათ აბჯარი, მაგარი და ცეცხლებ მნათი.

2043. მან დატოვა გუნთერი და მიაშურა გერნოტს მალე.  
აყრევინა იმის რგოლებს ნაპერწკლები მობრიალე.  
დარტყმითავე უპასუხა გაბედულმა ბურგუნდელმა.  
და ირინგი ლამის მოკლა უდრეკელმა მისმა ხელმა.

2044. მაშინ მოსწყდა იგი თავადს: ის საკმაოდ იყო მალი.  
ელვასავით კრიალებდა მოთამაშე მისი ხმალი.  
ოთხი მოკლა ბურგუნდელი, მხნე მებრძოლი ვორმსიდანა.  
და გიზელჰერს, ამის მნახველს, თითქოს გულში მოხვდა დანა.

2045. "ღმერთმან იცის, მოყმევ ირინგს", გიზელჰერი იყო მთქმელი,  
"რომ თქვენ უნდა გახდეთ ახლა დალუპულთა სისხლის მზღველი!".

მიაშურა და შმოკრა ისე მძლავრად დანიელსა,  
რომე იგი დაბარბაცდა და თვალებით სჭვრეტდა ბნელსა.

2046. იგი სისხლით შეღებილი წააქცია მისმა ხელმა.  
გაიფიქრა იქ შეყრილმა რაინდობამ მაშინ მთელმა,  
რომ ამ ომში აღარავის არ შემუსრავს მისი რკინა;  
მაგრამ იწვა დაუჭრელი ის ყმაწვილი გმირის წინა.

2047. მის მუზარადს იმნაირი დაჯახებით მოხვდა ხმალი,  
რომ გონება დაეკარგა და წაერთვა მუხლში ძალი;  
თითქოს სული აღმოხდაო, გადურბინა ნაცრისფერმა.  
ეს ამბავი ჩაიდინა გაბედულმა გიზელჰერმა.

2048. ჯახანის ხმა რომ მოშორდა, დატეხილი თავზე რეტად.  
(ის ძლიერი დარტყმის გამო საშინელი იყო მეტად).  
გაიფიქრა: "ცოცხალი ვარ, დაუჭრელი მაქვს მე ტანი.  
გაბედული გიზელჭერის ძალა მხოლოდ ახლა ვცანი".

2049. მან შეიტყო: ორსავ მხარეს მტრები მისი იყვნენ მდგარი.  
ვაი მაშინ, თუ იგრძნობდნენ, რომ არ არის იგი მკვდარი!  
შეამჩნია, იქვე ახლოს გიზელჭერიც იდგა ავი.  
ფიქრობდა, თუ ვით წასვლოსა მტრებს მოსისხლეს მოუკლავი.

2050. შეშლილივით წამოიჭრა სისხლიანი მაშინ ისა.  
ეს შედეგი იყო მისი უჩველო სიმარდისა.  
გამოვარდა მყის სახლიდან, მაგრამ შეხდა ტრონიელი.  
და შემოჰკრა მას ირინგმა ღონიერი თვისი ხელი.

2051. გაიფიქრა ტრონიელმა: "აწ წიკვდილი გელის შენა!  
მხოლოდ ეშმაკს შეუძლია ახლა შენი გადარჩენა".  
მაშინ დაჰკრა მას ირინგმა მუზარადზე მთელი ძალით.  
ეს ვასკვნით ჩაიდინა - საგანგებოდ ნაჭედ ხმალით.

2052. როს მრისხანე ტრონიელმა დაკოდილად იგრძნო თავი,  
მაშინ იმან ხმალით თვისი მოიქინა მძლავრი მკლავით.  
აქ ჰავარტის ქვეშევრდომმა დაიხია უკან სწრაფად.  
მას ჰაგენი სდევდა კიბით ასაჩხვავ-ასაკაფად.

2053. ფარს აქნევდა მაღლა ირინგს, მით თავისი იყო მცველი.  
კიბე იგი სამჯერაც რომ ყოფილიყო უფრო გრძელი,  
მაშინაც კი არ მისცემდა მას ჰაგენი დაკვრის ნებას.  
ყველა სჭვრეტდა იმის ზუზუზე ნაპერწკლების წითლად გზნებას.

2054. იგი მაინც თვის მეგობრებს მიუვიდა უვნებელად.  
და კრიმპილდე დედოფალსა მიუტანეს ცნობა ცხელად,  
თუ ტრონიელს მან ბრძოლის დროს რა ზიანი მიაყენა.  
აქ მაღლობის საბრძანებლად დედოფალმან დასძრა ენა:

2055. "შეგეწიოს, ირინგ, ღმერთი, რომ ყოფილხარ კარგი გმირი!

შენ მე კარგად დამამშვენე და დამიკლე გულში ჭირი.  
ტრონიელის ტანი, ვხედავ შეღებილი სისხლით არის!".  
მაღლის ნიშნად თვით ინება ჩამორთმევა მისი ფარის.

2056. დაუძახა მას ჰაგენმა: "დააყოვნეთ მაღლის თხრობა.  
ჯერეთ მაგის გმირობაზე ნაადრევი არის ცნობა.  
მხნე ვაჟკაცი თუ ბრძანდება, კვლავ გაბედოს ჩემთან რკენა.  
ჭრილობა კი ჩემი, ვგონებ, დაგიჯდებათ ცუდად თქვენა.

2057. ჩემს ტანზე, რომ ხედავ აბჯარს, ჭრილობისგან გაწითლებულს,

რამდენიმეს მოსაკლავად გამიანჩხლებს იგი მე გულს.  
ვარ მე მასზე გულმოსული და სხვებზედაც ბევრზე კიდე.  
მე თავდასხმა ირინგისა მცირე მსხვერპლით განვირიდე".

2058. იდგა ირინგ დანელი იქ ნიავექარში, სახით ავით;  
იგი აბჯარს იგრილებდა, მოეხადნა ზუჩი თავით.  
ბევრი სიტყვა საქებარი ხალხისაგან იყო თქმული.  
ამის გამო სიამაყით ევსებოდა მარკვრაფს გული.

2059. "მაშ მომეცით, მეგობრებო", ხმა გაისმა რაინდისა,  
"მე ახალი საჭურველი! კვლავ სურვილი მაქვს მე ცდისა,  
თუკი შევძლებ დავამარცხო გულგოროზი კაცი ისი".  
ფარი მისცეს კარგი, რადგან გატეხილი იყო მისი.

2060. მალე უკეთეს იარაღს ჰფლობდა რაინდი ქებული.  
დასწვოდა მაგარ და ძლიერ შუბს, კვლავ უფრო გაბრაზებული.  
სურდა ჰაგენზე მესამედ მიტანა იერიშისა.  
ყველა დარწმუნდა, რომ იგი მცნობი არ იყო შიშისა.

2061. რაინდს ჰაგენს არა სურდა იმისათვის მოცდა ზევით.  
ის ჩაიჭრა შესახვედრად, სროლითა და ხმალის ქნევით.  
კიბის ბოლოს. მძვინვარებით ანთებოდა თვალთა მზერა.  
დიდმა ჯანმა ხსნა აქ უკვე მოუტანა ირინგს ვერა.

2062. რაინდებმა დაუშინეს იქ ერთმანეთს იმგვარ ძალით,  
რომ ფარები მათი წითლად აგიზგიზდნენ ცეცხლის ალით.  
ჰავარტის ყმა ტრონიელმა ხმალით დასჭრა საშიშარად -.  
ისე მძიმედ, რომ სიკვდილი მოსდგომოდა უკვე კარად.

2063. როს ირინგმა შეამჩნია ჭრილობა და სისხლის ღვარი,  
მაშინ იმან უფრო ახლოს მიიტანა თავთან ფარი.  
რა ზიანიც მიაყენეს, საკმარისად გრძნობდა თავად.  
მალე იმას გუნთერის ყმა მოევლინა შემმუსრავად.

2064. შუბი ჰპოვა ძირს ჰაგენმა, აიტაცა იგი ზევით.  
და ესროლა ირინგს ესდენ ღონიერი ხელმოქნევით,  
რომ მოჩანდა მის თავიდან გარჭობილი შუბის ტარი.  
ხვიადისგან ხვდა მას წილად დასასრული შესაზარი.

2065. მაშინ ირინგი სირბილით დანელებსკენ წავიდა.  
ვიდრე მუზარადს ისინი იმას მოხდიდნენ თავიდან,  
ტარი მოსტეხეს შუბისა; მალე მან სულიც დალია.  
მას დასტიროდნენ თვისტომნი, როგორც წესი და ვალია.

2066. მიეახლა დედოფალიც უმძიმესი ნაღვლის ჩენით.  
და ირინგი გახედული დაიტირა ცრემლთა ღენით;

სიბრალულით დასტიროდა ის ჭრილობებს მძიმე მისას,  
ვინც მეგობართ გასაგონად, ასე უთხრა მფარველს თვისას:

2067. "დიდებულო დედოფალო, დაანებეთ ტირილს თავი!  
რას გიშველით მწუხარება და ცრემლები თვალთა მწვავი?  
ეს გახსნილი ჭრილობები მომიღებენ ბოლოს ჩქარა.  
ჩემი თქვენდა სამსახური, ჩანს, აწ სიკვდილს უნდა არა".

2068. თურიგნელებს და დანელებს ხმა მოესმათ მისგან მკრთალი:  
"იმ საჩუქრებს, რომლებსაც თქვენ გთავაზობდათ დედოფალი,  
ნუ ინდომებთ, - ნუ ეცდებით შეიძინოთ ოქრო მისი;  
თუ შეებმით ჰაგენს, გმართებთ სიკვდილისთვის სამზადისი".

2069. გადაფითრდა, მის სახეზე სასიკვდილო ჩანდა ფერი.  
სწუხდა იგი, ამ ქვეყნიდან რომ დაუდგა წასვლის ჯერი.  
ჰავარტის ყმის გადარჩენის სულ ამაოდ იყვნენ მდგომი.  
აწ დრო იყო, რომ დანელებს წამოეწყოთ უკვე ომი.

2070. ირნფრიტმა და მხნე ჰავარტმა მიაშურეს სახლისკენა,  
რაინდებმა ათასამდე იმათ უკან იწყეს დენა.  
ყიჟინა და ხმაურობა იქ ასტეხეს მძლავრი იმათ.  
და ისრები ბურგუნდელებს დაუშინეს მედგარ წვიმად.

2071. ფოლკერს ეცა მხნე ირნფრიტი, რომ ეყარა მასზე ჯვარი,  
მაგრამ იმის მარჯვენისგან მან მიიღო დარტყმა მძლავრი.  
მაგრამ ზუზზე დაჰკრა ლანდგრაფს მემუსიკემ ხმალი მჭრელი.  
გულმოსული იყო მეტად ეს რაინდი, სისხლისმღვრელი.

2072. აქ ირნფრიტმა მემუსიკეს ერთი დაჰკრა იმგვარ ღონით,  
რომ გაუპო მას ბეგთარი, მაგარი და მძიმე წონით.  
ამის გამო ზე აჰყარა ნაპერწკლები ჯაჭვმა ცხელი.  
მაინც მკვლელად მოევლინა მას შპილმანის მტკიცე ხელი.

2073. მაშინ შეხედნენ იქ ურთიერთს ჰავარტი და ჰაგენი მქისი;  
ვინც ეს ნახა, საოცრებას უცქეროდა თვალი მისი.  
ზრიალებდა ერთმანეთზე მოხვედრილი ხმალთ რკინა.  
მიუჩინა მკვდართა შორის ბურგუნდელმა ჰავარტს ბინა.

2074. თურიგელთ და დანელთ ოდეს ბატონები ნახეს მკვდარი,  
სასახლის წინ მოხდა საქმე უმეტესად შესაზარი;

ვიდრე კარებს იქ ისინი დაიჭერდნენ მტკიცე ხელით,  
ბევრი ფარი, მუზარადი მიილეწა ხმლებით მჭრელით.

2075. "დაიხიეთ", თქვა ფოლკერმა, "დე, შემოსვლა სახლში სცადონ!  
ჩაიშლება ზრახვა მათი, რაც არ უნდა დაიქადონ.  
აქ საძნელო შეიქმნება იმათ შორის ცოცხლის პოვნა,

რაკი უნდა შეასრულონ დედოფალის ცუდი თხოვნა".

2076. ოდეს დარბაზში შეცვივდნენ ვერვისგან დანაკავები,  
მრავალს იმათგანს მაშინ იქ გააგდებინეს თავები.  
ყველას დაუჯდა სიცოცხლედ შეტევა პირდაპირული,  
ბრძოლა გამართეს გერნოტმა და გიზელჰერმა გმირული.

2077. ოთხი ათასი ვაჟკაცი სახლში შეიჭრა ხრიალით.  
ყოველის მხრიდან ისმოდა ბრწყინვალე ხმალთა წკრიალი.  
სტუმართ მიერ ისინი ამოიჟლიტნენ სრულებით.  
თავი იჩინეს ბურგუნდელთ საგმირო სასწაულებით.

2078. ბოლოს მისწყდა ხმაურობა და სიჩუმე ჩადგა წყნარი.  
ამოწყვეტილ რაინდთაგან გადიოდა სისხლის ღვარი,  
იქ ყოველის ნახვრეტით და წყალსაწყავით ყველა ხვრელით.  
ჩაიდინეს რაინდებმა ეს დაკვრებით სულთამხდელით.

2079. შესასვენებლად ჩამოსხდნენ დაღლილი ბურგუნდელები,  
ფარებისა და ხმლებისაგან ითავისუფლეს ხელები.  
მხნე მემუსიკე ისევე სახლიწ წინ იყო მდგომარე,  
ელოდებოდა, ხომ არვინ მოვაო ბრძოლის მდგომარე.

2080. იყო იქ მეფე, ცოლითურთ, მეტად გულშენადონები.  
ღრმა მწუხარებას მიეცნენ ქალწულნი, ქალბატონები.  
მათ წინააღმდეგ სიკვდილი, ჩანს, იყო ამხედრებული,  
სტუმრებისაგან რომ გაწყდა რაინდთა დიდი კრებული.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე .

როგორ დააწვევინა დედოფალმა დარბაზი.

2081. "მაშ, მოიხადეთ ზუჩები", გაისმა ხმა ჰაგენისა,  
"მე და მეგობარს ჩემსას გვაქვს სურვილი მოვლის თქვენისა.  
თუ დაგვესხმიან ხელახლა ეტცელის ქვეშევრდომები,  
ჩემთა ბატონთა სასწრაფოდ ვარ გაფრთხილების მდომები".

2082. მაშინ ბევრმა კარგმა მოყმემ მოიხადა ზუჩი თავით,  
დაღლილები ზედ დაასხდნენ დახოციელბს მათი მკლავით,  
რომლებიც იქ ძირს ეყარნენ, გავლებულნი სისხლში სრულად.  
მხნე სტუმრები ჰუნთა მიერ შენიშნულნი იყვნენ მტრულად.



2083. მწუხრის ჟამს მეფე ეტცელმა და დედოფალმა ძლიერმა.  
კვლავად მოუხმეს ახალ რაზმს სტუმრებზე შურისძიებად.

ოცი ათასი მეზრძოლი ჩანდა მათ წინა მდგომარე.  
იყვნენ ისინი ყველანი ბრძოლაში გასვლის მდომარე.

2084. კვლავ მიიტანეს სტუმრებზე მათ იერიში ხმიერი.  
ძმა ჰაგენისა, დანკვარტი, ვაჟკაცი მხნე და ძლიერი,  
მტერს მოზღვავებულს კარებთან ეკვეთა რისხვით გზნებული,  
სურდათ მოეკლათ, მაგრამ ჯერ არ ჩანდა იგი ვნებული.

2085. ვიდრე ღამე მოუსწრებდათ, გრძელდებოდა მკაცრი ომი.  
მუნ ყოველი სტუმართ შორის თავს იცავდა, როგორც ლომი,  
ეტცელ მეფის ვაჟკაცთაგან ზაფხულის დღეს გრძელს და ცხელსა.  
ჰეი, მოყმე რაოდენი იქ მოეკლათ იმათ ხელსა!

2086. ეს სისხლისღვრა ოდეს მოხდა, მზის მოქცევის იყო ჟამი.  
კრიმჰილდეს რომ დაევიწყა ნალველი და გულის შხამი,  
მტრობა უზლო ნათესავებს და ამაღას მათსა სრულსა.  
ამის შემდეგ ეტცელ მეფე ვედარ მიხვდა სიხარულსა.

2087. დღე დასრულდა. დიდ საზრუნავს მისცემოდა გმირთა კრება.  
ფიქრობდნენ, რომ აჯობებდა იქ სიკვდილის დაჩქარება,  
ვიდრე ხანგრძლივ ტანჯვა-კვნესა და ტკივილი შემზარავი.  
ამად გმირთა ჩინებულთა მოისურვეს მაშინ ზავი.

2088. ითხოვეს, რომ მოეყვანათ ეტცელ მეფე სახლის წინა.  
სისხლი ეცხო რაინდებს და გამურული ჰქონდათ რკინა,  
ოდეს გარეთ გამოვიდნენ ისინი და მეფე სამი.  
არ იცოდნენ, ვისთვის ეთქვათ თუ გულში რა ჰქონდათ შხამი.

2089. ეტცელ მეფე და კრიმჰილდეც იქ მივიდნენ ორივენი.  
მათი იყო ის ქვეყანა, ახალ-ახალ რაზმთა მჩენი.  
"მითხარით, თუ რა გსურთ ჩემგან?" ეტცელ მეფე იყო მთქმელი,  
"ზავი გინდათ რომ მიიღოთ? ეს იქნება მეტად ძნელი.

2090. მას შემდეგ, რაც თქვენი ქცევით მომაცენეთ მძიმე წყლული,  
შებრალება არ მოხდება, ვიდრე პირში მიდგას სული.  
თქვენ აქ შვილი მომიკალით და მრავალი ნათესავი.  
მე ყოველთვის გეტყვით უარს, თუნდ ათასჯერ მთხოვოთ ზავი".

2091. უპასუხა მას გუნთერმა: "დამატანა ჭირმა ძალა,  
რაინდებმა შენმა ჩემი ამოწყვეტა მთლად ამაღა.  
თავშესაფარს სახლში. რისთვის მომექცით ასე ავად?  
სიტყვას შენსას ვენდე ტკბილსა და მოვედი სანახავად?".

2092. მოისმინეს შემდეგ სიტყვა, გიზელჰერის მიერ თქმული:  
"თქვენ, ეტცელის რაინდებო, შეგრჩენიათ ვისაც სული,  
რა ბრალსა მდებთ, რას მიჩივით, რად მექცევით ასე მტრულად?"

მე ხომ თქვენსკენ გამოვსწიე ხალისით და მეგობრულად".

2093. "შენი წყალობით", მიუგეს, "ციხე და მხარე სრულებით.  
ღრმა მწუხარებით აღივსო; და დიდად მოხარულები.  
ჩვენ დავშთებოდით, თუ ჩვენი არ გახდებოდა მნახველი.  
შენგან და შენის ძმებისგან ქვეყანამ შესვა ნალველი".

2094. მაშინ ეტყოდა გუნთერი, რაინდი განრისხებული:  
"გვიჯობს ორთავე მხარეს, რომ აქ არ შევიქმნეთ ვნებული.  
ჩვენ, მოწყვეტილი სამშობლოს, თქვენს წინ სასტუმროდ ხლებული.  
სულ უმიზეზოდ ბრალსა გვდებს ეტცელი გაანჩხლებული".

2095. მასპინძელმა უთხრა სტუმრებს: "ნალველი და ჩვენი დარდი.  
არ არიან ერთმანეთის საბადლო და შესაფარდი:  
რაც ბრძოლაში მომაცუნეთ სირცხვილი და დიდი ვნება,  
მავალებს, რომ არ დავუშვა თქვენი უკან დაბრუნება".

2096. აქ ეტცელის საპასუხოდ მხნე გერნოტმა დასძრა ენა:  
"ღვთის გულისთვის, ერთ სამსახურს მაინც ვითხოვთ თქვენგან ჩვენა, -.  
გამოგვიშვით დარბაზიდან, გარეთ ბრძოლის დაგვრთეთ ნება;  
ეს ღირსებას შეუმატებს თქვენს რაიდულ მოქმედებას.

2097. მალე მოხდეს, ჯობს, რაც არის აქ ჩვენს თავზე მოსახდენი!  
თქვენ ჯანმრთელი ბევრი ხართ და დამარცხება ძალგიძთ ჩვენი.  
დაღლილები ბრძოლით, სიკვდილს შეგიძლიათ მიგვცეთ პირში.  
რაოდენ ხანს უნდა დავრჩეთ ამ საშინელ გასაჭირში?".

2098. ეტცელ მეფის რაინდები თითქმის უკვე იყვნენ მზანი,  
რომ დაეთმოთ დარბაზიდან გასასვლელი მათთვის გზანი.  
ეს კრიმჭილდემ გაიგო და შემოადგა პირზე ჩრდილი,  
რომ სანაცვლო სტუმართათვის არ იქნება გარდახდილი.

2099. "არა, კარგო რაინდებო, იგი, რაც თქვენ განგიზრახავთ,  
არ დაუშვათ, გირჩევთ, თორემ უსაზმოდო ზარალს ნახავთ.  
თუ გაუშვით დარბაზიდან ეს რაინდნი, მხეცთა დარნი,  
ყველა თქვენი მეგობრები გეყოლებათ მაშინ მკვდარნი.

2100. თუნდაც მხოლოდ უტეს შვილნი შთენილიყვნენ აქ, ჩვენს კარზე.  
და მაღალი ჩემი ძმები გასულიყვნენ გარეთ ქარზე.  
სიგრილისთვის, მაშინაც კი, მოგელოდათ დიდი ჭირი!  
მათზე უფრო მხნე რაინდებს ვერ წარმოშობს ქვეყნის პირი".

2101. "მშვენიერო დაო ჩემო", გიზელჰერმა უთხრა მაშინ,

"ვით მეფიქრა, რაინიდან ამ შორეულ ქვეყანში.  
რომ მომიხმე სტუმრად, რათა შემამთხვიო ჭირი შავი!

რა მიზეზით გავხდი, ნეტა, მე ჰუნეთგან მოსაკლავი?

2102. შენ არ გახსოვს ტანჯა ჩემგან, მე ერთგული გყვანდი მარად.  
აქ მოვსულვარ შორის ქვეყნით, მოწვეული მეფის კარად.  
და მეგონა, რომ გიღირდი, საყვარელო დაო, ძვირად.  
გთხოვ, მოილო მოწყალება - არ მოიქცე სხვანაირად!".

2103. "ვით გწყალობდეთ, რომ წყალობა არ ინდომეთ ჩემთვის თქვენა?  
ტრონიელმა ისე დიდი მწუხარება მომაყენა.  
შინ და აქაც - ჩემი შვილი აქ მოიკლა მისი ხელით.  
დაგიჯდებათ ძვირად ეს თქვენ, მასთან ერთად ვინც მოხვედით.

2104. მხოლოდ ერთი ტრონიელი აქვე მძევლად ჩამაბარეთ.  
და თქვენ ნება მოგეცემათ გამოხვიდეთ მაშინ გარეთ.  
რაც არ იყოს, და-ძმანი ვართ, ვართ შვილები ერთი დედის.  
ამას ძალუმს საკეთილოდ გადაწყვეტა თქვენი ბედის".

2105. "ცათა ღმერთმა ნუ ინებოს!" გერნოტისგან იყო თქმული,  
"ათასიც რომ ვიყოთ, მაინც დავწვებოდით აქ მოკლული,  
ვიდრე მძლევლად დატოვების მოგეცემათ ჩვენგან ნება.  
თუნდაც მხოლოდ ერთი კაცის. ეს არასდროს არ იქნება!".

2106. გიზელჰერმა უთხრა მაშინ: "უნდა გავწყდეთ ჩვენ აქ სრულად.  
ვინ დაგვიშლის, თავი მტრისგან რომ დავიცვათ რაინდულად?  
ვისაც ნებავს, შეგვებრძოლოს, დავუხვდებით ყვეოლას მზანი.  
მეგობართან სამეგობრო მე მეჭირა მუდამ გზანი".

2107. თქვა დანკვარტმა (მას კიდევაც შეშვენოდა ეს სათქმელი):  
"მარტოდმარტო ხომ არა დგას აქ ჩემი ძმა ტრონიელი.  
ვინაც ამბობს უარს ზავზე, ის ინებებს ბოლოს დიდად:  
თავად ნახავთ, მე თქვენ ამას გეუბნებით ჭეშმარიტად".

2108. დედოფალმან ბრძანა: "ყმანო, თქვენ არ იცით, მჯერა, შიში;  
კიბეს ეცით და ჩვენს მტანჯველთ გაუსწორეთ ანგარიში.  
დაგიფასებთ მე სამსახურს, რომელსაც აქ თქვენგან ველი.  
ზვიადობის გამო ჰაგენს მსურს გავუხდე კარგი მზღველი.

2109. არ გამოუშვათ სახლიდან რაინდთაგანი არავინ!  
ვუბრძანებ, დარბაზს ოთხის მხრით ცეცხლი წაჰკიდონ მზარავი.  
ასე მივუხლოთ სანაცვლო მათ, ვინც შემყარა ჭირები".  
მაღე მზად იყვნენ ამისთვის მეფე ეტცელის გმირები.

2110. ისევ დარბაზში შერეკეს, ვინც იყო გარეთ მდგომელი,  
ცემით და სროლით; ისმოდა ხმაური დაუცხრომელი.

თავადნი თავის ჯართაგან არ იყვნენ გაცლის მდომელი.  
იქ ერთგულებას მათ შორის უღალატებდა რომელი!

2111. ცეცხლი შეუგზნეს სასახლეს კრიმჭილდეს დანაპირები,  
ცეცხლმოდებულსა დარბაზში იტანჯებოდნენ გმირები.  
დიდი ხანძარი მოედო სახლს, გამემოცულს ქართია.  
არ წამებულა ჯარი ჯერ წამებით ამდაგვართია.

2112. მრავალი შიგნით ყვიროდა: "ო, საშინელი წამება;  
ბრძოლის დროს დავერილიყავით, ნეტა დახოცილ გვამებად.  
ღმერთმან გვიშველოს; ყველანი ვართ უკვე დაღუპულები!  
ასე მოგვაგო ბოროტმა ეს შემზარავი წყლულები".

2113. თქვა იქ ერთმა, შიგნით მყოფმა: "ვიხოცებით ჩვენ აქ ყველა.  
ბოლისა და ცეცხლისაგან და არ არის არსით შველა!  
შემზარავი სიცხის გამო მე განვიცდი წყურვილს მწვავედ.  
მეშინია, ამ ტანჯვაში რომ სიცოცხლე ჩემგან წავა".

2114. "გულმაგარო რაინდებო", მათ ჰაგენმა უთხრა მაშინ:  
"თქვენ წყურვილი ძალგიდით ჩაკლათ აქ დაქცეულ სისხლის სმაში.  
ის ამნაირ სიცხეშია უკეთესი, ვიდრე ღვინო.  
ჩვენ არ ძალგვიძს, აქ სასმელი უმჯობესი გავიჩინოთ.

2115. მიდგა ერთმა ყმათაგანი იქ, მოკლული იწვა სადა.  
დაუჩოქა ჭრილობის წინ, მუზარადი მოიხადა.  
და შეუდგა სხეულიდან გამდინარე სისხლის შესმას.  
შეჩვეული არ ყოფილა და ეტკბილა მაინც ეს მას.

2116. თქვა დაღლილმა: "ტრონიელო, გაგიმარჯვდეს ღვთის კურთხევით,  
რომ სასმელი ესდენ კარგი მე მივიღე თქვენი რჩევით!  
არ მიგრძვნია ღვინის სიტკბო არასოდეს ამის დარად.  
თუ არ მოვკვდი, მოერთგულე მე ვიქნები თქვენი მარად".

2117. მოეჩვენათ მეტად კარგად ეს ნათქვამი, სხვებს რომ ესმა,  
და მრავალმა იმათგანმა იქ დაიწყო სისხლის შესმა.  
მხნე რაინდებს წინანდელი დაუბრუნა ამან ძალი.  
უმეგობროდ დარჩა მალე ამის გამო ბევრი ქალი.

2118. აწ დარბაზში ძლიერებით იჭრებოდა ცეცხლის ღვარი;  
ნაღვერდალთა წინააღმდეგ შემართული ჰქონდათ ფარი,  
მაგრამ მეტად აწამებდათ მათ სიცხე და კვამლი მყრალი.  
არსად ღმერთი არ ყოფილა რაინდებზე ესდენ მწყრალი.

2119. ტრონიელმა დაიძახა: "აეყუდეთ ყველა კედლებს;  
შეეცადეთ, რომ ზუჩები აარიდოთ ცხელ ნაღვერდლებს.  
და ისინი დასაშრეტად შეაზილეთ სისხლის ღვართა.  
ეს ლხინია, რომელიც ჩვენ დედოფალმა გაგვიმართა".

2120. ამ ტანჯვაში, როგორც იყო, გაილია ღამე მთელად.

კვლავ სახლის წინ გაბედული მემუსიკე იდგა მცველად.  
ტრონიელის ამხანაგი დაპყრდნობოდა დინჯად ფარსა,  
ის ეტცელის კაცებისგან ჭირს ელოდა უფრო მწარსა.

2121. "ჯობს შევიდეთ აწ დარბაზი", ფოლკერისგან იყო თქმული;  
"ალბათ, ჰუნებს ეჩვენებათ, რომ დავლიეთ ყველამ სული.  
იმ ტანჯვისგან, რომელიც მათ დაგვატეხეს თავზე ჩვენა.  
მაგრამ, ვგონებ, ჯერ კიდევ ბევრს შეეძლება მათთან რკენა".

2122. უთხრა იმათ ახალგაზრდა გიზელჰერმა, იქვე მდგარმა:  
"მე მგონია, რომ თენდება; დაუბერა გრილმა ქარმა.  
ნეტამც ახლა ციდან ღმერთი მოავლენდეს ჩვენზე შველას.  
ო, კრიმპილდემ საშინელი გაგვიმართა ლხინი ყველას!".

2123. თქვა იქ მაშინ კიდევ ერთმა: "ვგრძნობ, თავდება უკვე ღამე;  
ხოლო თუ აწ ჩვენ, რაინდებს, აღარ გველის კარგი რამე,  
მოემზადეთ ბრძოლისათვის, საჭიროა ჩვენთვის ესა.  
ხსნა არ არის? - მაშ გმირულად გავეყაროთ სიცოცხლესა".

2124. მეფეს ეგონა, სტუმრები რომ სასიკვდილოდ ვნებული.  
არიან უკვე წამებით, ცეცხლისგან მიყენებულით;  
მაინც არ მოხდა წაქცევა ექვსასის მეომარისა.  
სად იყო მეფე - პატრონი მათზე უკეთეს ჯარისა?

2125. კარგად ხედავდნენ სტუმრების მუნ მოდარაჯე ჰუნები,  
რომ არ არიან ყველანი დახოცილ-დაღუპულები;  
ვერ გაერკვიათ გარემდგომ ამბავი გასაოცარი,  
ნახშირად ქცეულ დარბაზში ბევრი კვლავ ჩანდა ცოცხალი.

2126. რქვეს დედოფალს, ჯერაც სახლი სავსეაო ცოცხალ მტრებით.  
"როგორ არის ეს შესაძლო", თქვა კრიმპილდემ განცვიფრებით,  
"რომ ამგვარი ხანძრის შემდეგ შერჩენოდეს ერთსაც სული?  
დავიჯერებ უფრო, მათი რომ ამოწყდა კრება სრული".

2127. ცხადი არის, წასვლა სურდათ თავადებს და იმათ ლენას,  
თუკი ვინმე ისურვებდა ამ წყალობის აღმოჩენას.  
მაგრამ იმათ გზას წასავალს არ მისცემდა მკაცრი მტერი;  
ამის გამო მათ უნდოდათ, რომ მიეზლოთ მაგიერი.

2128. მეორე დღეს, დილით ადრე, როს მზემ გახსნა ზეცის კრი,  
კვლავ დაატყდა ნატანჯ გმირებს თავს ახალი სატკივარი:  
უამრავი შუბი სტყორცნეს, წვერბასრი და მეტად მჭრელი.  
და სტუმრებმაც მხნედ მიიღეს იერიში სისხლისმღვრელი.

2129. აღფრთოვანებას მიეცნენ ეტყელის კარგი ჯარები,  
გულით უნდოდით მოეგოთ კრიმჭილდეს საჩუქარები.

აღასრულებდნენ მყისავე, რასაც თავადი ბრძანებდა.  
და ამიტომაც მათ შორის ბევრი იქ სიკვდილს დანებდა.

2130. საჩუქართა აღთქმის გამო მოგვითხრობენ სასწაულებს:  
ბრძანა ქალმა და ფარებით ატარებდნენ ოქროს ფულებს;  
თუ მიღება სურდა ვინმეს, ეს იმისთვის იყო ამო,  
არსად ძღვენი ესოდენი არ გასულა მტერთა გამო.

2131. ზედ მიადგა მაშინ კარებს რაინდების დიდი ძალა.  
"ჩვენ აქა ვართ ჯერაც კიდევ!" მათ ფოლკერმა მიახალა,  
"არ ნახულა, მათებრ ომში მიერჩოდეთ მებრძოლთ გული,  
რადგან ჩვენდა დასალუპად მათ მიიღეს მეფის ფული".

2132. იმახიდა იქ მრავალი: "ვინც არა ხართ ომში მხდალი,  
მოდით, მოხდეს მოსახდენი, სწრაფად გვიჯობს მოხდა ვალის.  
ვის სიკვდილი უხმობს, მოკვდეს, ზოგჯერ ცოცხალს სჯობნის მკვდარი".  
და შუბებით შემსჭვალული აღმოაჩნდა ყველას ფარი.

2133. რა ვთქვა კიდევ? რაინდების იქ თორმეტი ასეული.  
ხმლებს იქნევდა მძლავრი დარტყმით, ბურგუნდლებზე წასეული,  
ხოლო სტუმრებს საბრძოლველად გაწირული ჰქონდათ თავი.  
გადიოდა სისხლის ღელე, არ ინდომეს რადგან ზავი.

2134. სასიკვდილო ჭრილობათგან, რომ მიიღო ბევრმა მაშინ,  
გაისმოდა დატირება მეგობართა ვაის თქმაში.  
მდიდარ მეფის გულისათვის ღირსეული მოკვდა ყველა.  
ნათესავთა მათთა ცრემლმან დედამიწა დაასველა.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ჩ ვ ი დ მ ე ტ ე .

როგორ მოკლეს რუდიგერი.

2135. გამოჩნდა სტუმრად ნაქმნარი, დრო რომ გავიდა ბინდისა.  
სასახლის კარზე მოვიდა მეუღლე გოტელენდისა;  
დიდთა ტანჯვათა სიმძიმე ნახა მან ორსავ მხარესა,  
ამად ერთგული რუდიგერ ცრემლებსა ღვრიდა ცხარესა.

2136. თქვა: "ვაი, სული რომ მიდგას, მმართვეს თავისა მდურება;  
არავინ არის, გვაშოროს ეს დიდი უბედურება!  
რარიგ ვიზრუნებს ზავისთვის, რომ იყოს მეფე მდომელი!

ხედავს კი, თავს რომ გვატყდება ღვთის რისხვა სულთამხდომელი".

2137. მაშინ დიტრიხს რუდიგერმა მიუგზავნა ერთი პირი,  
ეგებ გახდეს შესაძლოო, რომ მეფეებს ასცდეს ჭირი.  
უპასუხა მას დიტრიხმა: "წინააღმდეგ ვინლა წავა?  
ეტყელ მეფეს აღარა სურს, რომ გათავდეს მათთან დავა".

2138. თვალი მოჰკრა ერთმა ჰუნმა იქ რუდიგერს, რაინდს ქებულს;  
იგი ხშირად ხედავდა მას მტირალსა და დაოლონებულს.

მან დედოფალს უთხრა: "ხედავთ, როგორა დგას ის იქ ახლა,  
იგი, ვინაც თქვენ და მეფემ დააყენეთ სხვებზე მაღლა,  
2139. ვის მორჩილობს ხალხი მრავლად და ქვეყანაც მასთან მთელი.  
რაოდენის ციხე-კოშკის არის იგი მბრძანებელი,  
რომელთაგან უმეტესი მისცა მეფემ, ვითა ძღვენი!  
მაინც მისგან ერთი დაკვრაც აქ არ მოხდა სისხლისმდენი.

2140. ვგონებ, მარკგრაფს არად უჩანს ჩვენი ჭირი, ჩვენი ვნება -  
ყველაფერი მისცა მეფემ, რა სიმდიდრე, რა ქონება!  
სხვებზე უფრო გაბედული ის არისო, გვესმის მარად,  
მაგრამ თვისი ვაჟკაცობა მან აქცია ჭირში არად".

1241. ერთგულებით სავსე კაცმა, ტანჯული რომ ჰქონდა გული,  
ჰუნს შეხედა, ოდეს სიტყვა მოისმინა მისგან თქმული.  
გაიფიქრა: "პასუხს აგებ - შენ მომნათლე აქ მე ლაჩრად;  
მზად გახლავართ მაგ სიტყვების მე შენსავე პირში ჩაჩრად!".

2142. შეჰკრა მუშტი და მივიდა მასთან იგი მისვლით მალით;  
მოუქნია და გაარტყა ჰუნს მარკგრაფმა იმგვარ ძალით,  
რომ იგი იმის ფერხთით ჩაიკეცა მყისვე მკვდარი,  
გაუმრავლდა ეტყელ მეფეს ჩივილი და ტანჯვა მწარი.

2143. "მოკვდი" უთხრა რუდიგერმა, "ბოროტო და ასე მხდალო!  
მე ისედაც ბევრი მიჩანს საგლოვი და სავალალო,  
რომ ბრძოლასი არ ჩავები, მაყვედრიდი რისთვის აქ მე?  
მმართველს მეც, რომ სტუმართდამი ვიქონიო სამტრო საქმე.

2144. და ვუმზადი, რაც შემეძლო, ძალთა ჩემთა სრული ჩენით,  
რომ თავად არ მომეყვანა გუნთერ მეფე მისი ლენით.  
თვით ვუძლოდი მე მეგზურად ჩემი მეფის სტუმრებს წინა.  
მისთვის მიმძიმს, რომ შევმართო მე იმათზე ხმალის რკინა".

2145. დიდებულმა ეტყელ მეფემ თავის მარკგრაფს უთხრა მაშინ:  
"რუდიგერო, აი, როგორ დაგვეხმარეთ ამ ბრძოლაში!  
ჩვენ მკვდრები გვყავს მეტი, ვიდრე საჭიროა მათი ყოლა.  
უსამართლოდ მოკალ იგი, რად ინდომე მასთან ბრძოლა?".

2146. უპასუხა მხნე რაინდმა: "დამიმძიმა მან მე სული.  
პატივი და სიკეთენი, შენგანავე გამოსული.  
დიდ წყალობად ჩემდა მიმართ, გამიხადა საზრახავად.  
ყოველივე ეს დაუჯდა მატყუარას მეტად ავად".

2147. დაინახა თავად მაშინ იქ მისულმა დედოფალმა,  
თუ რაიცა უყო ჰუნებს გაბრაზებულ გმირის ძალმა.  
ის ჩიოდა და თვალთაგან გაამრავლა ცრემლთა დენა.

მან რუდიგერს უთხრა: "ნუთუ ღირსი გავხდით მისი ჩვენა,

2148. რომ ნაღველი მე და მეფეს მოგვიმატე ახლა ჭირით?  
თქვენ ყოველთვის, მხნე რაინდო, აღვითქვამდით თქვენი პირით,  
რომე ჩვენთვის გასწირავდით პატივსა და სიცოცხლესა.  
მე მსმენია, რაინდები ვით გიქებდნენ მარჯვენს მძლესა.

2149. გეხსომებათ, თქვენ პირით რომ აღმითქვით ერთგულება,  
როს ეტყელის შუამავლად თქვენ დაგჭირდათ ჩემს წინ ხლება.  
დამპირდით, რომ მზად იქნებით მემსახუროთ სიკვდილმადის.  
გაჭირვება ესოდენი არ მქონია მე აქამდის".

2150. "არ უარყოფ, დედოფალო, თქვენს წინაშე ფიცი დავდე,  
პატივსა და სიცოცხლესა რომე თქვენთვის არ ვზოგავდე,  
მაგრამ ფიცი არ დამიდევს მე სულისა წასაწყმედი -  
თავადები თვით მოგგვარეთ, ღმერთი არის ამის მხედი".

2151. ქალმან უთხრა: "მოიგონე, შენგან ჩემზე დანაპირი,  
ჩემს მავნებლეს რომ ნაცვალი მიეზღება შენგან ჭირი.  
და ამითი ტანჯვას მძიმეს არ გამიხდი საგრძნობარად".  
უპასუხა: "მზად ვიყავი, მემსხურა თქვენთვის მარად".

2152. ეტყელ მეფემაც მტრის მიმართ დაუწყო მას ამხედრება;  
ფერხთ ჩაუვარდა ორივე და აღუვლინეს ვედრება.  
მაშინ კეთილმა მარკგრაფმა იგრძნო ღრმა გულისტკივილი,  
უერთგულესმა რაინდმა ასეთი წარსთქვა ჩივილი:

2153. "რა დღეს მოვესწარ, ვაიმე, წამება მეტი თუ არი!  
ჩემს აღზარდაზე და პატივზე ვით განვაცხადო უარი!  
იგი, რაც ღვთისგან მომეცა, კვლავ უნდა მექმნეს მიხდილი.  
ვა, დიდო ღმერთო, ამისგან ვერ მიხსნის ვერცა სიკვდილი!

2154. რაც არ უნდა დავთმო მისთვის, რომ რაიმე ჩავიდინო,  
მაინც ლანძღვა ქვეყნის მიერ როგორ უნდა ავიცდინო?!  
ყოველივე საქმეს ჩემსას ცილს სწამებენ გასაკვირებს.  
განმანათლოს, დე, იმან, ვინც სიცოცხლესთან მაკავშირებს!".

2155. მას მეფე და დედოფალი ისე სთხოვდნენ დიდი ხანი,



რომ დაკარგა მალე ბევრმა სიცოცხლე და თვისი ტანი.  
რუდიგერის მძლავრი ხელით; დაიღუპა თვითაც გმირი.  
თქვენ შეიტყობთ მალე, თუ მას რაინაირი მიხვდა ჭირი.

2156. კარგად გრძნობდა, თუ რა ვნებას ამზადებდა ბედი მისთვის,  
უარის თქმა სურდა გულით მეფისა და დედოფლისთვის.  
ფიქრს მიეცა: თუ მოკლავდა ის იმათგან რომელიმეს,  
მაშინ იმას ხალხის ზიზღი ჭირს შეჰყრიდა უფრო მძიმეს,

2157. გულუშიშარი რაინდი იყო მეფის წინ მთხოველი:  
"ბატონო ეტყელ, წაილე უკან წყალობა ყოველი -  
ქალაქებითურთ ქვეყანა, ციხე-კოშკები კარგები!  
არას ვინდომებ; მე ჩემის ფეხითვე გარდვიკარგები.

2158. მეფემ მიუგო: "ვინდა მყავს, შენს მეტი, მტერს რომ ეცემა?  
ჩემი ქვეყანა ხალხითურთ მთელად შენ გადმოგეცემა,  
მხოლოდ, რუდიგერ, დასაჯე ეს ჩემნი მოსისხლენია.  
შემდეგ ჩვენ ორნი ვიქნებით აქ ხელმწიფენი მძლენია".

2159. "როგორ უნდა ვავნო მათ მე?" რუდიგერმა ჰკადრა კვალად,  
სამშობლოში, ჩემთან, მათი მასპინძლობა ვიდე ვალად;  
სასმელ-საჭმელს ვთავაზობდი, მოხარული მათი მეტად,  
და საჩუქრებს, ახლა ვითღა გავიმეტო გასაჟლეტად?

2160. შეუძლია ხალხს, რომ ახლა მე ლაჩრობა შემომწამოს,  
მაგრამ როდის ავერიდე მსახურებას თქვენს წინ ამოს?  
ჩემი მათთან შებრძოლება არ იქნება ქცევა კარგი.  
სანანაებლად გამიხდება მეგობრობა დანაკარგი.

2161. მე გიზღჰერს მივეც ქალი და მოყვრობის გავხდი მთესად.  
არ შეეძლო მას არასდროს გათხოვება უკეთესად.  
აღზრდის, გვარის, ერთგულების და სიმდიდრის თვალსაზრისით.  
ქვეყანაზე არ აღზრდილა მეფისწული მსგავსი მისი".

2162. კვლავ კრიმჰილდემ უთხრა მაშინ: "ღირსეულო კაცო დიდად,  
შეგვიბრალე და ტანჯვისგან მოგვევლინე განმარიდად.  
მე და მეფეს; გაიხსენე, თუ ყოფილა სადმე კარი,  
რომ სწვეოდეს მას სტუმრები ესოდენი საზიზღარი".

2163. მიეტყოდა დედოფალსა აქ მარკგრაფი მხნე და ქველი:  
"დღესვე უნდა თვის სიცოცხლით რუდიგერი გახდეს მზღველი.  
იმ სიკეთის, რომლითაც მე თქვენ და მეფემ აღმავსენით.  
დღეს უდაოდ უნდა მოვკდე, არავინ მყავს გადამრჩენი.

2164. მე ვიცი, რომ ჩემი ყველა მიწები და სიმაგრენი,  
ამ რაინდთა მეოხებით დღეს გახდება ისევ თქვენი.

მოწყალებას თქვენსას მინდა ცოლ-შვილი ვანდო ჩემი.  
ბელეხარის მცხოვრებთათვის, გთხოვთ, ნუგემის იყოთ მცემი".

2165. "ცამ გაკურთხოს, რუდიგერო!" ხელმწიფისგან იყო თქმული.  
(მათ, ორივეს, მისმა სიტყვამ გაუხარა მეტად გული),  
"ჩვენს ზრუნვას და მფარველობას დაიმკვიდრებს შენი ერი;  
გვაქვს იმედი, თვით იქნები შენც აგრეთვე ბედნიერი".

2166. მასინ მან დადო სასწორზე თვისი სული და სხეული.

მიწას დასდინდა ცრემლები დედოფლის მიერ ფრქვეული.  
"მსურს შევასრულო", უთხრა მან, "ფიცი მოგეცით რომელი.  
ვა, მეგობრებო! თავდასხმის არა ვარ თქვენზე მდომელი!".

2167. ნახეს, რომ იგი ხელმწიფეს გაშორდა დაღონებული.  
იხილა იქვე თავისი მან რაინდები ქებული;  
უბრძანა: "შეიარაღდით, რაინდნო ჩემი ლენისა!  
ჟამი დამიდგა საგლოვი ბურგუნდელებთან რკენისა".

2168. იარაღსა მოითხოვდა რაინდების ფიცხი ჯარი;  
მუზარადი მოელვარე იქნებოდა ის, თუ ფარი,  
დაჩქარებით მათ ისინი მოუტანეს შინაყმებმა.  
მალე ამაყ სტუმრებამდე მიაღწიეს ცუდმა ხმებმა.

2169. შეიარაღდა რუდიგერ მაშინ ხუთასი კაცითა,  
თორმეტი სხვა ყმა მოიძრო, ცნობილი სიმამაცითა.  
ბრძოლაში სურდათ მიეღოთ მრავალი საჩუქარები;  
ვერ მიძხვდარიყვნენ, ღია რომ ჰქონდათ სამარის კარები.

2170. დაინახეს, რომ მარკგრაფი გაემართა ზუჩდარქმული.  
ხმლებით იყო აღჭურვილი რუდიგერის ლენა სრული;  
თან ხელთ ეყვრა ყოველ მათგანს ბრწყინვალე და ფართო ფარი.  
შეამჩნია ეს ფოლკერმა და ნაღველი იგრძნო მწარი.

2171. აქ ჭაბუკმა გიზელჰერმა თვალი მოჰკრა ზუჩდარქმულსა.  
სიმამრს თვისას: რა განზრახვა დაუფარავს იმის გულსა,  
ის ხომ არის იმათ მიმართ საკეთილოდ განწყობილი?  
სვემაღალმა მეფემ მაშინ სიხარული იგრძნო ტკბილი.ლ.

2172. "რა სჯობს ამგვარს მეგობრებსა", გიზელჰერმა ბრძანა მაშინ,  
"როგორიც ჩვენ შევიჩინეთ, მომავლებმა აქეთ გზაში!  
რომ მოგვიდის შველა, ეს ხომ ჩემი ცოლის გამო ხდება.  
მიხარია, რომ გავმართე მე ამგვარი შეუღლება".

2173. "თავს ნეტა რით იიმედებთ?" რქვა ფოლკერმა ჭაბუკს შვებულს.  
"ნუთუ არ გრძნობთ მოახლებულს სიკვდილს, გულის შემძრწუნებელს -  
ამდენ რაინდს ზუჩაკრულებს და ხელებსი ხმალთა ჩენით?"

მას თავისი მიწა-წყალი დაიმკვიდროს უნდა ჩვენით".

2174. ვიდრემდისინ მთლად ამ სიტყვებს წარმოთქვამდა მისი პირი,  
უკვე სახლთან მიდგა ახლოს ღირსეული იგი გმირი.  
დაიყუდა ფერხთით იმან მშვენიერი ფარი თვისი;  
სალამი კი ვერ შემართა სამეგობროდ საკადრისი.

2175. შიგ დარბაზში შეახალა რუდიგერმა სიტყვა ავი:  
"გაბედულნო ბურგუნდელნო, დაიცავით ყველამ თავი!  
მოელოდით ჩემგან სიტკბოს - მტრობამ კი გამამწარა;

ჩვენ ვიყავით მეგობრები, აწ ერთგული ვარ მე არა!".

2176. შეჭირვებულთ ამის გამო გული მეტად შეუღონდათ.  
დაეკარგად აწ ნუგეში და იმედი, ვისიც ჰქონდათ,  
მასთან ომი სჭირდებოდათ, თუმც უცემდათ გული მისად.  
მათ მიიღეს მტრებისაგან გაჭირვება საკმარისად.

2177. "ცათა ღმერთმა ნუ ინებოს", გუნთერისგან იყო თქმული,  
რომ აღგევსოთ სიძულვილით მეგობრების მიმართ გული,  
ერთგულების ნაცვლად, რომლის იმედილა დაგვშვთა ჩვენა.  
არა, ამას არ ჩაიდენთ, ამნაირი მაქვს მე რწმენა!".

2178. "საქმე ესე არ აგცდბა", მიეტყოდა მათ წინ მდგომი,  
"მე აამაზე ფიცი დავდე: გაგიმართოთ უნდა ომი.  
თუ სიცოცხლე ძვირად გიღირთ, დაგიფაროს თქვენმა ძალამ,  
რადგან გმირნო, ჩემს ნებაზე არ გამიშვა დედოფალმა".

2179. დიდებულმა მეფემ უთხრა: "მეგობრობა დაჰგმეთ გვიან;  
მხნე რუდიგერ, იმის ნაცვალს განგებანი მოგიზლიან,  
რა ძმობაც და ერთგულებაც მოგვივლინე დღემდე ჩვენა,  
თუკი მათი ბოლომდისინ არ შეწყდება თქვენგან ჩენა.

2180. იმისათვის, რაც მოგვეცით, მადლიერებს მუდამ გვპოვებთ.  
მე და ყველა ჩემს მეგობარს, თუ სიცოცხლეს დაგვიტოვებთ,  
არასოდეს დავივიწყებთ იმ საჩუქრებს, რაცა სთესეთ.  
ჩვენთვის, ჰუნთა სტუმრებისთვის. მოიგონეს სრულად ესე!".

2181. რუდიგერმა უპასუხა: "ჩავიდენდი ამას ლხენით,  
რომ შემეძლოს, რაინდებო, კვლავ აღგავსოთ უხვი ძღვენით.  
არ ნიშნავდეს ეს დედოფლის სიძულვილის მოპოფვებას,  
გულუხვობა ამნაირი მომაგებდა თვით მე შვებას".

2182. რქვა გერნოტმა: "მხნე რუდიგერ, გთხოვთ იბრუნოთ უკან პირი.  
არასოდეს არ ნახულა მასპინძელი თქვენნაირი,  
რომ სიკეთე სტუმრებისთვის მას მიეგოს ესოდენი.  
თქვენ უთუოდ გაგახარებთ გადარჩენა ცოცხლად ჩვენი".

2183. "ცამ ინებოს, ქველო გერნოტ", მარკგრაფისგან იყო თქმული,  
"რომ იხილოთ თქვენ რაინი, განვუტევო მე კი სული.  
გადვირჩენდი ამით პატივს, რადგან თქვენზე მომყავს ჯარი.  
ჯერ რაინდებს ასე ცუდად არ შეჰყრიათ მეგობარი".

2184. კვლავ გერნოტმა უთხრა: "ღმერთი წყალობათა გყვანდეს მფენი,  
საჩუქართა თქვენთა გამო! შემაწუხებს მოკვლა თქვენი:  
ნუთუ უნდა დაიღუპოს სათნოება ამდაგვარი?!  
მხნე რაინდო, მე მკიდია ხმალი თქვენგან ნაბოძვარი.

2185. აქ შეხვედრილ გასაჭირში კარგად სჭრიდა მისი პირი;  
ფხიანობამ მისმა ბევრი ჩააბარა სიკვდილს გმირი.  
მტკიცე არის იგი, წმინდა, ლამაზი და ომში ვარგი.  
ჯერ არავის გაუცია საჩუქრები ესდენ კარგი.

2186. თუ აცდენა არ გასურთ მისი, თუ ინდომებთ ჩვენთან ომი.  
და თუ მე თქვენ დამიხოცეთ მეგობრები, გვერდით მდგომი,  
თქვენეული ხმლისგან მაშინ აქ უსულოდ გნახონ მწოლი!  
მაგრამ გულით მებრალებით თქვენ და თქვენი ტურფა ცოლი".

2187. "ცამ ინებოს, მძლავრო გერნოტ, რომე მოხდეს იმდაგვარად,  
როგორაც შენ მიგაჩნია სანატრად და სანდომარად.  
ნეტამც თქვენმა მეგობრებმა შეირჩინონ სული ტკბილი,  
რათა შემდეგ თქვენ მოგენდვენენ მეუღლე და ჩემი შვილი".

2188. მას მშვენიერ უტეს შვილმა, გიზელჰერმა, უთხრა კიდე:  
"ვით იქცევით თქვენ, ბატონო? ისინი, ვინც ჩემთან ვლიდენ,  
ერთგულეობას გიმტკიცებდნენ. რად ინებეთ მოსვლა მტრული?  
თქვენი ქალის დაქვრივების ხომ არა ხართ მონატრული?"

2189. თუ თქვენა და თქვენს რაინდებს ჩემი გინდათ ომში ძლევა,  
ვაი ამგვარ მეგობრობას! ვით დავუშვა მსგავსი ქცევა.  
თქვენზე მეტად მისანდობი სხვა რომელი კაცი ვნახე.  
ოდეს თქვენი ტურფა ქალის ცოლად შერთვა განვიზრახე?!".

2190. "შეინახეთ ერთგულეობა", რუდიგერმა უთხრა მაშინ.  
"და თუ ღმერთი დაგეხმარათ, ქველო მეფევ, თავის ხსნაში,  
ო, გაფიცებთ ყოველივე სათავადო სათნოებას,  
უმვირფასეს ასულს ჩემსას ნუ შეამთხვევთ ნაცვალ ვნებას".

2191. "მოვიქცევი მართებულად", რქვა ყმაწვილმა გიზელჰერმა,  
"თუ დარბაზში მეგობრები დამიხოცეთ ვითა მტერმა,  
მაშინ მეც ხომ გაგიხდებით ამის გამო მტრისა დარად.  
და თქვენა და შვილი თქვენი ნულარ ჩამთვლითლ მეგობარად".

2192. თქვა ვაჟკაცმა გაბედულმა: "შეტგვიწიოს ღმერთი ახლა!".  
მას ასწიეს ფარები და მოინდომეს ასვლა მაღლა,  
რომ კრიმჭილდეს დარბაზშიგან მოვლენოდნენ სტურმებს ჭირად.  
ტრონიელმა ხმით მაღალით მათ კიბიდან ჩამოჰყვირათ:

2193. "ჯობს მცირედი მოითმინოთ, რუდიგერო, მხნევ და ქველო",  
რქვა ჰაგენმა, "თქვენთან კიდევ მრავალი გვაქვს სამეტყველო.  
აქ მე და ჩემს ბატონთ, რადგან გვაიძულებს გაჭირვება.  
უცხოეთში ჩვენმა მოკვლამ ვით მიაგოს ეტცელს შვება?".

2194. "საგონებელს დიდს ვეძლევიტ", კვლავ ამბობდა იქვე მდგარი;  
"ქალბატონმა გოტელინდემ რომელიც მე მიძღვნა ფარი,  
აქ ჰუნებმა ერთიანად დამიჩეხეს ბასრი ხმლებით.  
ის ეტცელის ქვეყანასი მოვიტანე ერთგულებით!

2195. რომ მაღლიდან მიცქეროდეს მოწყალების თვალთ ღმერთი.  
და ხელში აქ მეც მეჭიროს იმნაირი ფარი ერთი,  
როგორისაც, რუდიგერო, თქვენ ბრძანდებით ახლა მჭერი,  
მაშინ ომში უჯავშონსაც დამაკლებდა ვერას მტერი".

2196. "მე სამსახურს ჩემი ფარით გაგიწევდით სიხარულით,  
რომ შემეძლოს კრიმჭილდეს წინ მე იმისი მოძღვნა გულით!  
მაგრამ მაინც გქონდეს, ჰაგენ რომ შეხვედრა შესძლო მტრისა!  
ჰაი, ნეტამც ბურგუნდელთა ქვეყანაში მიგყვეს ისა!".

2197. ფარი ასე ადვილად რომ შესთავაზა თვისი ხელით, მაშინ  
მრავალს იქ თვალები გაუბრწყინდა ცრემლით ცხელით.  
ძღვენსა სძღვნიდა უკანასკნელს. ამის შემდეგ არვინ მეტი.  
არ ყოფილა არასოდეს საჩუქარით მისთა მხვეტი.

2198. თუმცა ჰაგენი მრისხანე და ნებით მტკიცე იყო მეტად,  
მაინც იგი საჩუქარი მოეჩვენა გულსაწყვეტად,  
რომელიც მას სიკვდილის წინ მეომარმა უძღვნა ქველმა.  
მასთან ერთად ბევრი მოყმე იქ ნაღველმა სტანჯა მწველმა.

2199. "ღირსეულო რუდიგერო, გიფარავდეს ზეცა მარად!  
დედამიწის ზურგზე არვინ არ მისცემდა თქვენდაგვარად.  
ძღვენს ამნაირს სამშობლოდან გადმოხვეწილ კაცთა ხელებს.  
თქვენს უხვობას, ეგზომ დიადს, ღმერთი ნუმცა აერთხელებს!".

2200. "ვაი ჩემს თავს, ამის გამო!" კვლავ ჰაგენმა დასძრა ენა,  
"ჩვენ ხომ უკვე გადვიტანეთ ესოდენი გულისტკენა.  
ცამ შეგვინდოს, რომ შევეყრილვართ მეგობრებთან საბრძოლველად!".  
მას მარკგრაფმა უპასუხა: "მეც ესა მაქვს გულის მწველად".

2201. "მე მოგიზღავთ ნაცვალ ჯილდოს, სულმაღალო რუდიგერო:

ვალად ვიღებ, ამ ბრძოლაში არ გავნო და არ გიმტერო,  
მაშინაც კი, თუნდაც ვნახო გაწყვეტილი თქვენგან სრულად.  
ბურგუნდელი რაინდები, აქ მოსული მეგობრულად".

2202. მაშინ სათნო რუდიგერმა მას დაუკრა მადლით თავი.  
რადგან გახდა აუცდენი გასაჭირი ესდენ ავი,  
მთელმა ხალხმა იტირა და თვალეზიდან ცრემლი ნამა.  
რუდიგერი შეხვდა სიკვდილს, ვით სანუკველ ზნეთა მამა.

2203. მაშინ კიბის თავზე მდგომის ფოლკერისგან იყო თქმული:

"ჩემს მეგობარს ჰაგენს უნდა ზავი დადოს თქვენთან სრული.  
მეც ამ რაინდს ეს სურვილი დავუმოწმე ჩემი ხელით.  
ღირსიცა ხართ, რადგან თქვენთან ჩვენ სტუმრები გეახელით.

2204. გთხოვთ, ელჩობა გამიწიოთ და გადასცეთ ჩემგან თქმული!  
გოტელინდემ მიძღვნა ესე სამაჯური მეწამული.  
ამ ნადიმზე სატარებლად, ყველას მიერ სანახავად.  
მე ვჩადივარ ამას კიდევ, თქვენ ბრძანდებით მოწმე თავად".

2205. რუდიგერმა უთხრა მაშინ: "ყოფილიყვეს ნებამც ღვთისა,  
რომ მიღება შეძლოთ მისგან უკეთესი საჩუქრისა!  
ჩემს ძვირფას ცოლს ამა ამბავს მე მივუტან სიხარულით,  
კვლავ მის ნახვას თუ ვეღირსე, ბრძანდებოდეთ რწმენით სრულით".

2206. ამნაირი აღთქმის შემდეგ ზეასწია იმან ფარი.  
და გაულო განრისხებას გაბედული გულის კარი.  
ვით რაინდმა უშიშარმა, შეუტია სტუმრებს ხაფად.  
და დაარტყა მრავალ მათგანს ღონივრად და მეტად სწრაფად.

2207. ფოლკერმა და ტრონიელმა მყის დაუთმეს იმას გზანი.  
ვით დაჰპირდნენ მას ისინი, ყველაფრისთვის მარად მზანი.  
კართან შეხვდა ბევრი კიდევ მხნე გუნთერის ქვეშევრდომი.  
და ამგვარად რუდიგერმა დიდი ზრუნვით იწყო ომი.

2208. ის კარებში გაატარეს, რომ მიეგდოთ სამკვდრო ჭირნი,  
გერნოტმა და გუნთერ მეფემ; ისინი ხომ იყვნენ გმირნი.  
უკან მიდგა გიზელჰერი, მან სიმწარე იგრძნო დიდი.  
სიცოცხლისთვის მზრუნველს, ომში რუდიგერის ჰქონდა რიდი.

2209. რუდიგერის ლენის კაცთა მიიწვიეს მტერზე მტრულად;  
წინ მიმავალ თავის ბატონს მიჰყვებოდნენ გაბედულად.  
უბასრესის იარაღით აღჭურვილი იყო ჯარი.  
დაილეწა ბევრი ზუჩი და მრავალი კარგი ფარი.

2210. მაგრამ მაშინ დაღლილებმაც ღონიერად დაჰკრეს ხელად.  
მათ, ვინც იყო ბელხრიდან; შეილეწა ღრმად და ბრტყელად.

ქაფ-ჯავშანი უმტკიცესი. სასხლს აღწევდა მკვეთრი რკინა.  
ჩაიდინეს მათ იქ ბევრი საოცრება მტერთა წინა.

2211. სახლში იყო მოქცეული უკეთესი ჯარი მთელი.  
აქეთ-იქით მიმდგარიყვნენ ფოლკერი და ტრონიელი.  
და მუსრავდნენ; დასთმეს მხოლოდ ერთისადმი ხმალთა წვდენა.  
მათგან ნაცემ ზუჩებიდან არ წყდებოდა სისხლის დენა.

2212. ირგვლივ მრისხანედ ისმოდა ხმალთა ჯახანი და წკრიალი,  
უერთდებოდა იმათ ხმას დალუწილ ფართა ზრიალი.  
სისხლის ღვარებში ძვირფასი ქვებს ჰყრიდნენ აქა-იქ ფარები.

აღარ მომხდარა სხვა ბრძოლა ამ ბრძოლი დასადარები.

2213. გზას იკაფავდა ბეხლარის მარკგრაფი მტერთ ამკლებელი.  
ისე, ვით ცხარე ბრძოლაში იყო ეს შესაძლებელი.  
ამ დღემ ნათელყო ბრწყინვალე მისი საბრძოლო უნარი,  
რომ იგი იყო რაინდი მხნე და არდასაწუნარი.

2214. გერნოტი და გუნთერ მეფე მუნ აგრეთვე ჩანდნენ მდგარნი;  
მათ ადინეს მრავალ რაინდს ამ ბრძოლაში სისხლის ღვარნი.  
გიზელჰერი და დანკვარტი სულ არ იყვნენ შიშის მჩენი.  
მათაც მრავალს დაუზნელეს სიყმაწვილის ტკბილი დღენი.

2215. რუდიგერმაც დაანახა მხნეობა და მეტად კარგი.  
იარალი: ჰეი, მოყმე რაოდენი მოკლა ვარგი!  
ამის ნახვამ ერთი მეტად გააბრაზა ბურგუნდელი.  
და სიკვდილმაც შემდეგ უკვე გაუწოდა მარკგრაფს ხელი.

2216. მძლავრი გერნოტ რაინდს მედგარს უყვიროდა გულმოსული -.  
უთხრა ასე: "თქვენ არ გინდათ შეარჩინოთ პირში სული.  
არც ერთს ჩემს კაცს, რუდიგერო, მაღალო და გამბედავო!  
ეს მაწუხებს; ამის შემდეგ თავი ვითლა შევიკავო?"

2217. დაე, თქვენი საჩუქარი თქვენ მოგხმარდეს ისევ ავად,  
რადგან ჩემი მოძმე ბევრი გაიმეტეთ მოსაკლავად.  
მოდით ჩემდა შესაბმელად, უშიშარო მეომარო!  
მინდა, თქვენგან მონაძღვენი ღირსეულად მოვიხმარო".

2218. ვიდრემდისი გერნოტამდე მიაღწევდა რუდიგერი,  
უბრწყინვალეს ბეგთარს მრავალს შემოადგა სისხლის ფერი.  
გმირნი პატივმოყვარენი შეიბნენ და იწყეს რკენა.  
თითოეულს სურდა მათგან ჭრილობათგან გადარჩენა.

2219. მაგრამ ჩებდნენ მათი ხმლები სასტიკად და შესაზარად.  
მაშინ დაჰკრა რუდიგერმა თავზე გერნოტს იმდაგვარად,  
რომ ქვასავით მაგარ ზუჩით სისხლის ღვარმა იწყო დენა;

მყისვე მოყმემ უარესი მას ზიანი მიაყენა.

2220. მისწვდა იგი მხნე რუდიგერს მისგანავე მიძღვნილ ხმალით.  
და დაჭრილმა სასიკვდილოდ იმნაირად დაჰკრა ძალით,  
რომ მას ველარ გაუმაგრდა ჩაფხუტი და მტკიცე ფარი.  
ამისაგან რუდიგერი ჩაიკეცა იქვე მკვდარი.

2221. კარგის ძღვნისთვის ასე ცუდად ვის მიუზღავს მაგიერი?  
ორივენი დაიხოცნენ გერნოტი და რუდიგერი,  
ერთმანეთის მძლავრი ხელით, ერთნაირად გაბედული.  
ამ ამბავმა შემზარავმა აღუშფოთა ჰაგენს გული.

2222. თქვა რაინდმა ტრონიელმა: "ეს დაგვიჯდა ცუდად ჩვენა,

მათ ორთავეთ მოკვლის გამო მოგვეახლა დიდი წყენა;  
ქვეყანა და ხალხი მისი მოინელებს ამას ძნელად.  
ჯობს მძევლებად დავიტოვოთ რუდიგერის ყმები მთელად".

2223. "გული მტკივა ჩემი ძმისთვის, სიკვდილი რომ აქა ჰპოვა!  
ყოველ საათს ჩემთვის მოაქვს ცრემლები და დიდი გლოვა.  
თან ნათესავ რუდიგერის დაკარგვაა ჩემთვის ძნელი.  
ორმხრივია აქ ზარალი და ნაღველი საშინელი."

2224. ოდეს ნორჩმა გიზელჰერმა თავისი ძმა ნახა მკვდარი,  
იქ მყოფთ უნდა აეტანათ ჭირი, ცათა რისხვის დარი.  
მებრძოლთ ჟლეტას მუნ სიკვდილმა გულმოდგინედ ხელი მიჰყო.  
არ გადარცა არვინ მათში, ბეხლარელი ვინაც იყო.

2225. გუნთერი და ტრონიელი და აგრეთვე გიზელჰერი,  
დანკვარტი და ფოლკერ მათთან, რაინდები მშვენიერი,  
მიეახლნენ იმა ადგილს, სად ისინი მწოლი ნახეს.  
რაოდენი მათ წინ იმათ იტირეს და ივაგლახეს!

2226. თქვა გიზელჰერმა: "სიკვდილი სრულად გამარცვას გვპირდება:  
თავი ანებეთ ტირილსა, ნიავზე გასვლა გვჭირდება;  
იქ განვიგრილებთ აბჯარსა, ბრძოლისგან დაქანცულები.  
ჩანს აღარ ნებას მაღალ ღმერთს, რომ დიდხანს გვედგას სულები".

2227. მრავალი იყო მჯდომარე, ზოგიცა მიყრდნობილები.  
უსაქმურადა. ეყარნენ ყველანი დახოცილები.  
მოყმენი რუდიგერისა; მინელდა აურზაური.  
ბრაზობდა ეტყელ მეფე, რომ ხანგრძლივად მიწყდა ხმაური.

2228. "ვაი ამ ტანჯვა-წამებას!" ხმა იყო დედოფალისა;  
"ისინი დიდხანს უბნობენ. ჩანს, რუდიგერის ძალისა.  
მსხვერპლი არ გახდა მტერი მუნ: ალბათ, იგია მდომელი,  
რომე ისინი არ დარჩნენ ბურგუნდსა მიუხდომელი.



2229. რას გვიშველის, ეტყელ მეფევ, რომ არ გვშურდა მისთვის ძლევა.  
ყველაფრისა, რაც თვით სურდა? აწ გგვიჩვენა ცუდი ქცევა:  
სისხლით სისხლი უნდა ეზლო, შეეკრა კი ნცვლად ზავით".  
გადასძახა მას ფოლკერმა, მხნე კაცმა და მძლავრმ მკლავით:

2230. "სამწუხაროდ, დედოფალო, სულ სხვაგვარად მოხდა საქმე.  
და ტყუილში მეფის ცოლი დავიჭირო უნდა აქ მე;  
აი, ახლა რუდიგერზე თქვენ იცრუეთ ეშმაკურად.  
ზავზე იმას ამალითურთ არ უღია სიტყვა ყურად.

2231. რაც ბატონმა დაავალა, ასრულებდა ისე გულით,  
რომ სიკვდილი მოიპოვა მან ყმებითურთ თანხლებულით.  
აბა ახლა ვის უბრძანებთ, მიმოავლეთ ირგვლივ თვალი!

რუდიგერმა ღირსეულად მოიხდა თქვენს წინ ვალი.

2232. თუკი ჩემი არა გჯერათ, დაინახეთ იგი თავად".  
და მოაწყვეს მათ შემდეგი დედოფალის გულსაკლავად:  
გაასვენეს გარეთ მკვდარი და ხელმწიფემ ნახა ისა.  
უსაზომო იყო მაშინ მწუხარება ეტყელისა.

2233. როცა მკვდარი რუდიგერი წაასვენეს იმათ წინა,  
იტყოდა ან დახატავდა მას მწერალი ნეტა ვინა,  
ვით აკვნესდა, ვით ატირდა კაცების და ქალთა კრება.  
რათა ამით თავიანთი გამოეთქვათ მწუხარება!

2234. ჩივილს თვისას იმნაირად წარმოსთქმიდა მეფე მქისი,  
რომ იქ ლომის ღრიალივით გაისმოდა გმინვა მისი.  
დიდებული მეფის გული დაედაგა ნაღველს მწველსა:  
დასტიროდა ის უსაზღვროდ კარგს რუდიგერს, რაინდს ქველსა.

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე .

როგორ დახოცეს დიტრიხის რაინდები.

2235. ყოველმხრივი მუნ ქვითინი გაისმოდა გულის მწველად.  
ისე მძლავრად, რომ მოიცვა სასახლე და კოშკი მთელად.  
ყურს უგდებდა გლოვას ერთი ყმა ბერნელის დიტრიხისა.  
ამ სამძიმო ამბის გამო აჩქარებით მოდგა ისა.

2236. უთხრა თავადს: "გთხოვთ, ბატონო, მოისმინოთ სიტყვა ჩემი -  
არასოდეს მე გოდება ესოდენად ზარდამცემი.  
არ მსმენია, როგორც ახლა ჩვენი ხალხი მოთქმით ტირის.

ამ ნადიმზე, ვფიქრობ, მეფე თავად გახდა მსხვერპლი ჭირის.

2237. თორემ ხალხმა რა იგემა გასაჭირი ამის დარი?  
ალბათ მეფე ან კრიმჭილდე ასვენია მათ წინ მკვდარი.  
ჩანს, მკვლელები სტუმრებია, რომლებიც მათ გააცხარეს.  
რაინდები სანაქებო იქ აფრქვევენ ცრემლებს მწარეს".

2238. მაშინ ბრძანა ბერნის ფოგტმა "თქვენ, ერთგულნი ჩემის ლენის,  
არ აჩქარდეთ! მიზეზია სტუმართაგან ჩანადენის.  
ის, რომ იმათ, უცხოელებს, თავს დაატყდათ ჭირი შავი.  
დე, მიიღონ, რომელიც აქ შევთავაზე მე მათ ზავი".

2239. თქვა ვოლფჰარტმა გაბედულმა: "დარბაზისკენ წავალ მეო,  
რომ შევიტყო თავდატეხილ უბედობის სიმძიმეო:  
შემდეგ, ჩემო მბრძანებელო, მოვალ ამბის მცნეველიო,  
თუ გავიგე, რად არიან იქ ცრემლების მთხეველიო".

2240. "როს გონებას რისხვა იპყრობს", თქვა დიტრიხმა მაშინ სიტყვა,  
"და უდროოდ წამოჭრილი დაისმება ტლანქი კითხვა,  
მას ადვილად შეუძლია აუმიღვრიოს რაინდს სული.  
ამის გამო არ მსურს, ვოლფჰარტ, ეს შეკითხვა იყოს თქმული".

2241. მაშინ სთხოვა იმან ჰელფრიხს, რომ სასწრაფოდ წასულიყო,  
რათა მეფის მსახურთაგან მას შეტყობა შესძლებიყო,  
ან იქ დამსწრე სტუმართაგან, თუ რად ატყდა გლოვის ზარი.  
მწუხარება ხალხთა შორის არ ნახულა ამდაგვარი.

2242. მივიდა და ჰკითხა ელჩმა: "რა გაგიჩნდათ საზრუნველად?".  
უპასუხეს: "სჩანს, ნუგეში დაგვეკარგოს უნდა მთელად.  
ჩვენ, ვინც ჰუნთა ქვეყანაში ჯერ არა ვართ ამომწყდარი:  
აი, აგერ წევს რუდიგერ, ბურგუნდელთა ხელით მკვდარი;

2243. ვინც იმასთან იქ შევიდა, აღარ შერჩა არც ერთს სული".  
გულს უკლავდა ჰელფრიხს ტანჯვით ყოველივე მისთვის თქმული.  
მას უმძიმდა ამ ამბავის გადაცემა თვისის ენით.  
უკუიქცა ის დიტრიხთან ჩივილით და ცრემლთა დენით.

2244. შეეკითხა მას დიტრიხი: "რას შევიტყობთ თქვენის პირით?  
გაბედულო ჰელფერიხო, ასე მწარედ რატომ სტირით?".  
უპასუხა ქველმა მოყმემ: "ვარ იმისთვის ცრემლთა მღვრელი,  
რომ მოუკლავთ ბურგუნდელებს რუდიგერი საყვარელი".

2245. თქვა ბერნელმა: "ნუმც ყოფილა ამნაირი ნება ღვთისა!  
ეს იქნება შურისგება და დაცინვა ეშმაკისა.  
მით მიაგეს მათ რუდიგერს სასყიდელი ესდენ მტრული?  
მე ვიცი, რომ უცხოელებს მისი ჰქონდათ სიყვარული".

2246. თქვა ვოლფჰარტმა გაბედულმა: "თუკი მათლა მოხდა ესა, ჩვენ ისინი ყველა უნდა განვაშოროთ სიცოცხლესა! სამარცხვინო იქნება, თუ არ ვიძიეთ მათზე შური. რუდიგერმა ჩვენ ხომ ბევრი გაგვიწია სამსახური".

2247. ამელუნგთა ფოგტმა ცნობა მოინდომა უფრო მეტი. იგი დაჯდა ფნჯარასთან, თავს დასხმოდა თითქოს რეტი. მან სტუმრებთან მყის მიქცევა ჰილდებრანდის მიმართ ბრძანა, რომ მომხდარი გაერკვია და ამბავი მოეტანა.

2248. ჰილდებრანდი, მხნე ოსტატი, ძლიერი და ომში მალი, -. ახლა მას ხელთ არ ეჭირა არც ფარი და არც ხმალი. მას სტუმრებთან ჰსურდა მისვლა ზრდილობით და ასე მშვიდად. ამის გამო დისწულისგან გაილანძლა იგი დიდად.

2249. თქვა მრისხანე ვოლფჰარტ გმირმა: "აღიჭურვეთ იარაღით, თორემ იქ არ შეგიშვებენ უსიკვდილოდ, ჯანით საღით. დაგჭირდებათ უკუქცევა და სირცხვილის გარდატანა. მე ვიცი, რომ ეს აგცდებათ, თუ იარაღს ზიდავთ თანა".

2250. ახალგაზრდის რჩევისამებრ შეიჭურვა მაშინ ბერი.

ვიდრე იგი შენიშნავდა, წინ წამოდგნენ ხმალთა მჭერი. რაინდები დიტრიხისა, ქაფ-ჯავშანით შერკინული. მათთვის ხიფათს მოელოდა და სტკიოდა მოხუცს გული.

2251. "სად მიხვალთო", შეეკითხა, "გამოყოლა გვინდა თქვენი! ვნახოთ, ჰაგენ თუ იქნება ვაჟკაცობის ესდენ მჩენი, რომ დაცინვით გესაუბროთ, ვით არიან მოყვარული". ეს რომ ესმა, წასვლის ნება მათ რაინდმა მისცა სრული.

2252. მხნე ფოლკერმა დაინახა მომავალნი კარგნი ყმანი, მათ, დიტრიხის რაინდებსა, შეჭურვილი უჩნდათ ტანი. ხმლები ჰქონდათ შემორტყმული და ხელთ ეპყრათ ყველას ფერი. მან თავისი ბატონები გააფრთხილა იქვე მდგარი.

2253. "მე ვხედავ იქ, რომ მოდიან", ფოლკერისგან იყო თქმული, "რაინდები დიტრიხისა, თავთა ზედან ზუჩდარქმული; ჩვენდა სამტროდ განწყობილებს დამარცხება უნდათ ჩვენი. ალბათ, ახლა უცხოელებს დაგვიდგება დღე საწყენი".

2254. მალე მიდგა ჰილდებრანდიც და აგრეთვე მისი ჯარი. იგი შედგა მათ ახლოს და დაიყუდა ფერხთით ფარი. შემდეგ უწყო გამოკითხვა მან გუნთერის ქვეშევრდომებს: რა გავნოთო რუდიგერმა თქვენ, რაინდებს, გულით ლომებს?

2255. "ვარ ბატონის დიტრიხისგან გასაგებად მოგზავნილი, ნუთუ მართლა თქვენი ხელით საუკუნო მიხვდა ძილი. კეთილშობილ მარკგრაფს, როგორც მოგვივიდა ამის ცნობა? ჩვენ არ ძალგვიძს გადვიტნოთ ამნაირი ტანჯვის გრძნობა".

2256. თქვა მრისხანე ტრონიელმა: "ვაი, რომ ის არის მკვდარი, თუმცა ჯობდა, რომ ეგ ცნობა ყოფილიყო მართლაც მცდარი. მაშინ იმას აქ ჩვენს შორის, შეხედავდა ცოცხალს თვალი, ახლა კი მას დაიტირებს უთვალავი კაცი, ქალი".

2257. როს ნამდვილი ესმათ ცნობა რუდიგერის სიკვდილისა, ვით ითხოვდა ერთგულება, დაიტირეს იმათ ისა. მათ დიტრიხის გმირ მეომრებს შეამჩნიეს დიდი წყენა, წვერებს ცრემლი უსველებდათ, გაუხშირდათ ცრემლმთა დენა.

2258. ზიგშტაბ, ბერნელი ჰერცოგი, იყო იქ სიტყვის მთხრობელი: "ვა, სათნოება მაღალი გაქრა არგასაქრობელი! დიდხანს გვატირებს რუდიგერ კვლავ ცრემლებითა ცხოვლითა! უსახლკართა ნუგეში მოიკლა თქვენი ხელითა".

2259. ვოლფვიან ამელუნგელმა სიტყვები უთხრა მგზნებარე: "აქ საკუთარი მამა რომ მკვდარი მეხილა მდებარე, მეტად არ შემაწუხებდა, ვიდრე მარკგრაფის სიკვდილი.

ვინ ანუგეშოს, ვა, მისი მეუღლე სასომიხდილი!".

2260. მაშინ ეტყოდა გულმტკიცე ვოლფჰარტი გააფთრებული: "ვინ წაიყვანოს ბრძოლებში აწ რაინდების კრებული. "ისე, როგორაც ხშირად ის რუდიგერს წაუყვანია? გმირო, ვა, შენი დალუპვა ჩვენთვის ღვთის რისხვის მგვანია!".

2261. მხნე ვოლფბრანდი და ჰელფრიხი, ჰელმონტიცა მათთან კიდე, მთელი თავის მეგობრებით იმის გამო ცრემლსა ღვრიდენ. ქვითინისგან ჰილდებრანდსა ძლივს შეეძლო ეთქვა ენით: "რისთვისაც ვარ მოგზავნილი, რაიდნებო, იგი ჰქმენით.

2262. ჩვენ ჩვენი მკვდარი რუდიგერ მოგვეცით დარბაზიდანა. მან სიხარული ყოველი რაც გვქონდა თან წარიტანა. ნება მოგვეცით მივუზღოთ მას სანაცვალო აწ მითვის, რაც კარგი ჩაუდენია ჩვენთვის და ბევრ სხვა კაცისთვის.

2263. რუდიგერივით ყველანი ვართ ჩვენ აქ უცხოელები. რად გვალოდინებთ? მოგვეცით, რომ იგი ჩვენი ხელებით. გავასვენოთ და სიკვდილში შევხვდეთ პატივით სრულითა! ამას ვიქმოდით ცოცხლისთვის უმეტეს სიხარულითა".

2264. გუნთერ მეფემ უთხრა: "პატივს ვინ მოავლენს იმის დარსა,

რასაც დასდებს მეგობარი თვის მეგობარ უკვე მკვდარსა?  
ვეტყვი მუდმივ ერთგულებას, თუ ჩავიდენტ ამას ჩვენა.  
თქვენ სიკეთის მჩენელისთვის სიკეთისვე გინდათ ჩენა".

2265. თქვა ვოლფჰარტმა გაბედულმა: "ხვეწნა გვმარტებს აწ რამდენი?  
წევს ნუგეში ჩვენი დიდი მანდ თქვენს მიერ მონაკვდენი;  
იგი აღარ გვეყოლება არასოდეს, სამწუხაროდ.  
ნება დაგვრთეთ წავასვენოთ და სამარეს მივაბაროთ".

2266. "მკვდარს არავინ გამოგიტანთ", ფოლკერისგან იყო თქმული;  
"წასვენეთ თვით სახლიდან, სადაც გულში მძიმე წყლული.  
მხნე რაინდმა მიიღო და ჩაიკეცა სისხლის ტბაში.  
სამსახურსა ამით დიდსა თქვენ გაუწევთ იმას მაშინ".

2267. ვოლფრატმა უთხრა: "ბატონო შპილმანო, იცის ზენამა,  
რომ აღარ უნდა გვაბრაზოთ; იკმაროს თქვენგან წყენამან!  
რიდი არ მქონდეს ბატონთა, გიჩვენოთ მკლავთა ძალები!  
მაგრამ დავეხსნათ ამ საქმეს, ბრძოლ გვაქვს ანაკრძალები".

2268. მემუსიკემ უთხრა: "მეტად მშიშარა აქვს იმას გული,  
ვინაც დასთმობს ყოველივეს, რაც ექნება აკრძალული.  
მე ვერასდროს ვერ ვუწოდებ ამას ნამდვილ რაინდობას".  
სიტყვა ბრძოლის ამხანაგის უამებდა ჰაგენს გრძნობას.

2269. რქვა ვოლფჰარტმა: "თუ განაგრძეთ დაცინვა და მწარე კბენა,  
მე მოგიშლით სიმებს ისე, რომ რაინის პირას თქვენა,  
თუ იქ მისვლა გიწერიათ, ისაუბრებთ ამის გამო.  
აწ არა მსურს აქ მე თქვენი თავხედობა ვათამამო!".

2270. უპასუხა მემუსიკემ: "თუ მოსტაცებთ ხმას ჩემს სიმებს,  
მაშინ თქვენი მუზარადი კვლავაც ველარ იციმციმებს:  
ჩემი ხელით შევაბნელებს ამის გამო მის შუქს მაშინ.  
ისევე, ვით წავალ ცხენით ბურგუნდელთა ქვეყანაში".

2271. მას მივარდნა სურდა, მაგრამ მოცაასწრეს მოჭრა გზისა;  
ჰილდებრანდმა, მისმა ბიძამ, შეაკავა ძალით ისა:  
"სულელურად გაბრაზებულს, მე გამჩნევ აქ შფოთის ნდომას.  
მით მოწყალე ბატონისას გამოიწვევ გულისწყრომას".

2272. თქვა ფოლკერმა, კარგმა მოყმემ: "გამოუშვით ჩემკენ ლომი!  
იგი ანჩხლობს მეტისმეტად და თუ ვნახე ახლოს მდგომი,  
თუნდაც თვისის ხელით შეძლოს მარტომ მოსრას მხრემ მთელი,  
ისე დავცხებ, მკვახე სიტყვის რომ ვერასდროს იყოს მთქმელი".

2273. ამის გამო გახდნენ მაშინ ბერნელები მეტად ცხარი.  
და ვოლფრატმ, მხნე რაინდმა, წინ წაიგდო მყისვე ფარი,

როგორც ლომი გარეული, მსწრაფ ეკვეთა იმას იგი.  
მას თან გაჰყვა გულუმიშარ მეგობართა მთელი რიგი.

2274. გრძელ ნახტომით უცებ გაჩნდა ის დარბაზის კედლის წინა;  
მყის კიბესთან გზის მომჭრელად ჰილდებრანდმა მიირბინა:  
არ უნდოდა მისთვის ომში პირველობის დანებება.  
სტუმრებს თავზე მოახვიეს თავიანთი იმატ ნება.

2275. აქ ოსტატი ჰილდებრანდი ჰაგენს ეცა გაანჩხლებით.  
რაინდები ჯახანის ხმას გამოსცემდნენ თვისი ხმლებით.  
ჩანდა, იმათ სიბრაზისთვის რომ გაეღოთ გულის კარი.  
ხმლებმა მათმა ააყენეს მოწითალო ცეცხლის ქარი.

2276. უცებ ერთმა მეორესა ამ ბრძოლის დროს გაეცალა.  
მიზეზი კი იყო ამის ბერნელების დიდი ძალა.  
როს ოსტატმა ჰილდებრანდმა მიატოვა ტრონიელი.  
მაშინ ფოლკერს გაბედულსა მხნე ვოლფჰარტმა მიჰყო ხელი.

2277. მემუსიკის მუზარადასა იმნაირად დაჰკრა გმირმა,  
რომ შინაგან ბალთებამდე დაუწია ხმალის პირმა.  
ამის გამო მემუსიკემ მას პასუხი გასცა მალი.  
ისე მძლავრად დასცხო ვოლფჰარტს, რომ ასცვივდა ნაპერწკალი.

2278. ქაფ-ჯავშანი მათი მაშინ თითქოს იყო ცეცხლნაკიდი.

ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ სიძულვილი მეტად დიდი.  
მხნე ბერნელმა ვოლფვანმა იქ ისინი გაჰყო ხელად.  
ის რაინდი იყო, თორემ ჩაიდენდა ამას ძნელად.

2279. მათ ძლიერმა გუნთერ მეფემ დაახვედრა გული თბილად:  
ამელუნგელ რაინდებსა შეეგება ხელგაშლილად.  
ახალგაზრდა გიზელჰერი მიიწევდა მოსულ მტერზე;  
მან იქ ზუფი ბევრი კარგი დააყენა სისხლის ფერზე.

2280. ჰაგენის ძმას, დანკვარტს, გულზე შემოედო ბრაზი მურად.  
რაც ბრძოლაში იმან წინათ ჩაიდინა ვაჟკაცურად.  
ეტყელ მეფის რაინდებზე, იგი იყო მხოლოდ ქარი.  
აღდრიანეს ძის აქ მართლაც გააფთრება ჩანდა ცხარი.

2281. გერბარტი, რიჩართ, ჰელფრიხი და ვიხარტ - დაუცხრომელნი,  
გახელებულნი იბრძოდნენ, ვინ ვის სჯობდა რომელი:  
მეფე ფუნთერის კაცებზე სიკვდილმა კბილი ალესა,  
დარბაზში გმირი ვოლფბრანდი მოჩანდა უბრწყინვალესად.

2282. მხნე მოხუცი ჰილდებრანდი ხმლით იბრძოდა, როგორც ხელი;  
მრვალ რაინდს გაბედულსა ვოლფრატისა მარჯვე ხელით.  
გარდეკვეთა სიცოცხლე და გაედინა სისხლი ღვარად.

რუდიგერის მოკვლის გამო მიუზღავენდნე ამდაგვარად.

2283. ჰერცოგ ზიგშტაბს ომი ჰქონდა, ვით შვენოდა ძალას მისას.  
ჰეი, ზუჟი რაოდენი მიუჩება ამ ბრძოლისას.  
მხნე დისწულმა დიტრიხისამ გააფთრებულს თავის მტერსა.  
უფრო მეტის თავგანწირვით იბრძოლებდა იგი ვერსად.

2284. როდესაც კი დაინახა მემუსიკემ უშიშარმა,  
რომ მრავალი ბეგთარიდან დენა იწყო სისხლის ღვარმა.  
მხნე ზიგშტაბის მეოხებით, შეუტია რაინდს ხაფად.  
და მივარდა შესაბმელად. ჩაიკეცა იგი სწრაფად -.

2285. მას ფოლკერლმა სასიკვდილო მიაყენა მაშინ ვნება.  
მემუსიკემ მას უჩვენა მთელი თვისი ხელოვნება,  
ბასრის ხმალით უმძიმესად დაკოდილი დასცა მტერი.  
აჲ მოხუცმა ჰილდებრანდმა მას მიუზღო მაგიერი.

2286. თქვა ოსტატმა ჰილდებრანდმა: "ვა, ბატონო, ჩემო, ტკბილო,  
ფოლკერისგან ჩვენს წინაშე სასიკვდილოდ დაკოდილო!  
მემუსიკემ ამის გამო განუტევოს უნდა სული!".  
ის არასდროს არ ყოფილა უფრო მეტად გულმოსული.

2287. ისე დასცხო, რომ ნაფლეთნი მუზარადის საბმურთანი.  
მიფრინავდნენ ზევით, ქვევით, კედლებამდე, ვითა ფრთანი.  
და აგრეთვე ფარისანი გაბედული შპილმანისა.  
ძირს დაეცა მძლავრი ფოლკერ და სიკვდილმა ჰპოვა ისა.

2288. დიტრიხის ყმებმა ბრძოლისათვის სრულად გასწირეს თავები,  
ისე დასცხეს, რომ ჰაერში მიჰქროდნენ ნამუსრავები.  
მიმოაფრენდნენ ბოლოებს ხმალნი ზე შემართულები.  
მუზარადთაგან დიოდნენ წითელი ნაკადულები.

2289. დაინახა ტრონიელმა იჲ ფოლკერი უკვე მკვდარი.  
მას ზეიმზე მწუხარება არ უგრძენია მისი დარი,  
თუმცა დაკარგა მეგობრები და სრულიად ყმათა კრება.  
რა სიბრაზით იწყო მან იჲ ანგარიშის გასწორება!

2290. "აჲ მოხუცი ჰილდებრანდი კარგის ნახვას ნუღარ ელის!  
თანამშემწე ჩემი, ვხედავს, მსხვერპლი გახდა მისი ხელის,  
მეგობარი უკეთესი, რომელიც მე ომში მყავდა".  
წინ მოიგდო ფარი და გზას ხმალის ცემით იკაფავდა.

2291. მხნე დანკვარტი მოკლა იჲვე ჰელფერიხმა მლძავრი მკლავით.  
გილზეჰერი და გუნთერი ღრმად შეწუხდნენ ამ ამბავით,  
როცა ნახეს, თუ რა მძიმე ჭირს მიეცა მოყმე ქველი.  
მკვლელს მყისავე მოევლინენ ისინი, ვით სისხლის მზღველი.

2292. იკაფავდა გზას ვოლფჰარტი აქეთ-იქით, როგორც ლომი.  
ხოცდა ყველას, ვინაც იყო გუნთერ მეფის ქვეშევრდომი.  
წრე დაარტყა მესამეჯერ მან გარშემო დარბაზისა;  
მრავალ რაინდს მძლავრი ხელით დაუბნელა შუქი მზისა.

2293. იმახოდა მისდა მიმართ გაბედული გიზელჰერი:  
"ვაი, რომ აქ შევიძინე მე ბოროტი ესდენ მტერი!  
გთხოვ, რაინდო უშიშარო, მოიბრუნო აქეთ პირი!  
თვით ვაჩქარი ბოლოს - ვითლა ავიტანო მეტი ჭირი!".

2294. აქ ვოლფჰარტი საბრძოლველად მიუბრუნდა გიზელჰერსა:  
ჭრილობები მეტად მძიმე მიაყენა მტერმან მტერსა.  
იმნაირი გაბრაზებით შეუტია იმან მეფეს,  
რომ ფეხებმა მისმა სისხლი დაბლიდნ ზე აღაშხეფეს.

2295. მას ძე უტე დედოფლისა უჩვენებდა დარტყმის ღონეს -.  
ამნაირად შეხვდა რაინდს, უბრწყინვალეს ზენტა მქონეს:  
რა ძალაც არ ჰქონებოდა, ვით შეძლებდა გადატანას?  
მასზე მძლავრი ნორჩი მეფე არ უნახავს მთელ ქვეყანას.

2296. მაშინ ვოლფჰარტს კარგ ჯავშანზე ისე დასცხო მკლავმაგარმა,  
რომ უმძიმეს ჭრილობიდან გადმოსჩქეფა სისხლის ღვარმა.  
ამ ჭრილობით დიტრიხის ყმას სასიკვდილო უჩნდა პირი.  
ამგვარ საქმეს ჩაიდენდა მარტოოდენ დიდი გმირი.

2297. გაბედულმა ვოლფჰარტმა როს ღრმა ჭრილობა იგრძნო ტანზე,  
მყის გაუშვა ხელი ფარას და შემართა ხმალი მან ზე:

დიდი ჰქონდა სიმტკიცე სა გამჭრელობა რკინას ძველსა;  
მან ის დაჰკრა გიზელჰერის მუზარადს და საჭურველსა.

2298. მათ სიკვდილი ერთმანეთსა მიაყენეს შემზარავი.  
იქ დიტრიხის ყმათაგანი არ გადარჩა აღარავინ.  
ჰილდებრანდმა დაინახა ვოლფჰარტი ძირს დაცემული,  
ალბათ, იმას არასოდეს არ სტკენია ასე გული.

2299. სრულად დასდეს თავნი თვისნი გუნთერ მეფის უდრეკ ჯართა.  
და დიტრიხის რაინდებმაც. ჰილდებრანდი გაემართა.  
იქით, სადაც ვოლფჰარტ იწვა და სდიოდა სისხლი ცხელი.  
მან კეთილს და მტკიცე რაინდს შემოხვია ზრუნვით ხელი.

2300. დარბაზიდან გამოყვანა მოინდომა იმან მისი,  
მაგრამ იყო მეტად მძიმე და დატოვა იქვე ისი.  
სასიკვდილოდ დაკოდილმა შემოხედა რაინდს ნელა;  
დაინახა მან, რომ ბიძას სიყვარულით სურდა შველა.



2301. მაშინ უთხრა მომაკვდავმა: "ძიავ ჩემო, სანუკველო, მრავალიც რომ შეეცადო, აწ მე უკვე ვერ მიშველო. მოარიდეთ ჰაგენს თავი, მართალია ჩემი რჩევა: მრისხანება შემზარავი იმის გულში არ ილევა.

2302. თუ ისურვონ გლოვა ჩემი მეგობრებმა ცრემლით ცხარით, ახლობლებს და უკეთესებს ჩემს მაგიერ თქვენ უთხარით, რომ არავინ არ მიტიროს, ეს იქნება მეტი სრულად! მეფის ხელით აქ სიკვდილი მე მივიღე დიდებულად.

2303. მე ავიღე ამ დარბაზში სანაცვალო სიკვდილისა. აატირებს ბევრ მშვენიერ მეომართა ცოლებს ისა. თუ გაგებას ისრუვებენ, გაბედულად გმართებს თხრობა, რომ ასამდე რაინდისა აქ შევძელი მზის ჩაქრობა".

2304. გაახსენდა მაშინ ჰაგენს მემუსიკე გაბედული, ვისაც ბერმა ჰილდებრანდმა ამოხადა მის წინ სული. "მწუხარება უნდა მიზლოთ", მან უმისარს უთხრა მაშინ, "ბევრი მოყმე მშვენიერი თქვენ მოგვტაცეთ ამ ბრძოლაში".

2305. ისე ეკვეთა ჰილდებრანდს იგი მკლავდაუშრომელი, რომ აწკრიალდა ბალმუნგი, ზიგრიდს წაართვა რომელი, როდესაც მოკლა ჰაგენმა გმირი საკუთარ ხელითა. თავსა იცავდა მოხუცი ხმლითავე პირფიცხელითა.

2306. ვოლფჰრტის მხნე ბიძამ ჰაგენს მოუქნია ფართო ხმალი. და შემოჰკრა ისე მძლავრად, რომ გაუჭრა ჯავშნის რვალი. მაგრამ მაინც მას ჰკრილობო არ უჩანდა მისგან ტანზე. კვლავ შემოჰკრა მოხუცებულს ტრონიელმა კარ ჯავშანზე.

207. ჰილდებრანდი, ოდეს იგრძნო მან ჰკრილობა სისხლის მშრეტი,

შეშინდა, რომ მისგან ვნება არ მიეღო უფრო მეტი. ქვეშევრდომმა დიტრიხისამ დაიფარა ზურგი ფარით. და განშორდა ტრონიელსა ის ნაბიჯით მეტად ჩქარით.

2308. არ გადარჩა აღარავინ, რაინდობა გაწყდა მთელი, მხოლოდ ორი იდგა მოყმე, გუნთერი და ტრონიელი. გაქცეული ჰილდებრანდი სისხლით იყო შეღებილი; მაშინ დიტრიხს მიუტანა მან ამბავი არ თუ ტკბილი.

2309. მან იხილა იგი მჯდომი მწუხარედ და გულნაწყვეტად; მაგრამ ცნობა ესმა თავად შემზარავი უფრო მეტად; ჰილდებრანდს რომ დაუნახა მან ჯავშანი მეწამული, უბრძანა, რომ ყოველივე ყოფილიყო მისგან თქმული:

2310. "თქვით, ოსტატო ჰილდებრანდო, რატომა ხართ ასე სველი.

სასიცოცხლო სისხლისაგან, ან შეგებოთ ვისი ხელი?  
ეტყობა, რომ აუტყებთ თქვენ დარბაზში სტუმრებს ომი;  
ეს არ უნდა ჩაგედინათ, მე არ ვიყავ ამის მდომი".

2311. მოახსენა თავის ბატონს: "ჰაგენისგან ვპოვე წყენა;  
ეს ჭრილობა უმძიმესი მან დარბაზში მომაყენა,  
როდესაც მე რაინდისგან გადავწყვიტე უკან ხევა;  
ძლივს ცოცხალმა მოვახერხე ეშმაკისგან გამოქცევა".

2312. "ღირსი ხართ!" უპასუხა მას ბერნელმა ამ სიტყვაზე,  
"იმიტომ, რომ მეგობრობა მე რაინდებს შევთავაზე.  
და თქვენ ურჩად დაარღვიეთ მონდომილი ჩემგან ზავი.  
სირცხვილი არ მაკავებდეს, გადირჩნით ველარ თავი!".

2313. "ო, ბატონო დიტრიხ, დიდად ამის გამო ნუ მიწყრები!  
მეტად მძიმედ დავზარალდი მე და ჩემი მეგობრები.  
მოვინდომეთ დარბაზიდან რუდიგერის წასვენება,  
მაგრამ ყმებმა გუნთერისამ ჩვენ არ მოგვცეს ამის ნება".

2314. "ვაი მე, ამ ტანჯვის გამო! მაშ რუდიგერ არის მკვდარი?  
ნაღველი და ჭირი ჩემთვის არ ყოფილა ამის დარი.  
გოტელინდე კეთილი ხომ დისწულია ჩემის მამის.  
საწყალ ობლებს ბეხელარში გაგონება მოჰკლავთ ამის".

2315. ამ სიკვდილმა აგრძნობინა უდიდესი გულისტკენა.  
მან დაიწყო მწუხარებით ტირილი და ცრემლთა დენა;  
"ვა, ერთგულო დახმარებავ, ჩემგან მასში დანაკარგო,  
აწ რაგვარად დაგივიწყო, ეტყელ მეფის მოყმევ, კარგო!

2316. მსურს, ოსტატო ჰილდებრანდო, ცნობა მქონდეს შეუმცარი,  
თუ რომელი რაინდისგან იქ დაეცა იგი მკვდარი?".  
მან მიუგო: "მხნე გერნოტი იქ იმისი გახდა მკვლელი,  
მაგრამ მასვე სასიკვდილოდ რუდიგერის მისწვდა ხელი".

2317. მაშინ უთხრა მან ჰილდებრანდს: "გადაეციტ მყის ჩემს კაცებს,  
რომ აისხან იარღი (წასვლის ნდომა თვით მიტაცებს).  
უბრძანეთ, რომ მომიტანონ ქაფ-ჯავშანი ტანსაცავად!  
მსურს ბურგუნდელ რაინდებსა ვემსახურო იქ მე თავად".

2318. თქვა ოსტატმა ჰილდებრანდმა: "გამოგყვებათ ნეტა ვინა?  
ვინც გადარცა თქვენთაგანი, დამდგარია თქვენსავ წინა -.  
ეს თვით მე ვარ მარტოოდენ; დაიხოცა დანარჩენი".  
იგი შეკრთა ამ ამბავით, ტკივლის და ტანჯვის მჩენი,

2319. რადგან ქვეყნად არ უნახავს მას ამგვარი მწუხარება.  
თქვა: "თუკი მე გამიწყვიტეს ქვეშევდრომთა მთელი კრება,

ჩანს, უფალმა დამივიწყა მე, დიტრიხი, შესაწყალი!  
ვიყავ მეფე ოდელაც და მეფობისაც მქონდა ძალი".

2320. კვლავ წარმოთქვა: "ეს ამბავი საზარელი მოხდა ვითა,  
ყმები მთლად რომ დამიხოცეს იქ შეყრილი შერჩევითა,  
რომელნიც მტერს შეებრძოლნენ დაუღლელებს და სასომიხდილს?  
უბედობა ჩემი, თორემ შეებრალნენ რად არ სიკვდილს?"

2321. მოხდებოდა, თუ მსურველი ბედი ჩემი იყო ავი,  
მაგრამ მარქვით, სტუმართაგან გადირჩინა ვინმემ თავი?".  
ჰილდებრანდმა უთხრა: "ვერვინ, მოწამეა ღმერთი ცისა,  
გარდა მხოლოდ ჰაგენის და დიდებული გუნთერისა".

2322. "ვა, ძვირფასო ვოლფჰარტ ჩემო, მე დაკარგვა მტანჯავს შენი,  
დაბადება ჩემი ჩემთვის სანაღვლოა და საწყენი;  
თქვენაც კიდევ, მხნე ზიგშტაბო, ვოლფვიანო და ვოლფბრანდო,  
ამელუნგთა ქვეყნის დაცვა მე თქვენს შემდეგ ვიღას ვანდო?"

2323. გაბედული ჰელფერიხიც მუნ არ დარჩა მოუკლავი,  
არ გერბარტი, არც ვიხარტი, ვით ვანებო ჩივილს თავი?  
დღეს შეესწრო უკანასკნელს ყოველგვარი ჩემი შვება. ვაი  
მე, რომ სევდითა და მწუხარებით არვინ კვდება!".

ა მ ბ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე .

როგორ დაიხოცნენ გუნთერი, ჰაგენი და კრიმჰილდე.

2324. თვით დიტრიხმა გამოძებნა შესამოსი თვისი ყველა.  
შეჭურვის დროს მას მოხუცმა ჰილდებრანდმა უწყო შველა.  
ისე მძლავრად გაისმოდა გარს იმის მოთქმა-წყევლა,  
რომ ძლიერი კაცის ხმისგან იქ დაიწყო სახლმა რყევა.

2325. გაბედულებამ მოიცვა რაინდი ომახიანი,  
რისხვით აღსავსემ ხელში მან ხმალი აიღო ფხიანი.  
შეიარაღდა ბატონი თავის მაგარი ფარითა.  
და ჰილდებრანდის თანხლებით წავიდა წასვლით ჩქარითა.

2326. თქვა იქ მაშინ ტრონიელმა: "ვხედავ, აქეთ მოდის რბენით.  
გაბედული დიტრიხ; ალბათ, დამარცხება უნდა ჩვენი.  
იმის შემდეგ, რაც აქ იმას მივაყენეთ დიდი ვნება.  
გამოჩნება დღეს, თუ ჩვენში უმჯობესი ვინ იქნება.

2327. ეს ბერნელი მოყმე დიტრიხ ალბათ ფიქრობს, რომ ის არის.

ტანით ისე უძლეველი და იმდენად შესაზარი,  
რომე ძალუმს გაგვისწოროს ჩვენ ყოველი ანგარიში.  
მე ვარ კაცი, ვისგანაც მას მარცხის უნდა ჰქონდეს შიში".

2328. დიტრიხმა და ჰილდებერდმა გაიგონეს მისგან თქმული,  
იქ მივიდნენ, სადაც ჩანდა ორი მოყმე დიდებული,  
გარეთ კედელს მიყრდნობილი, დარბაზის წინ დინჯდ მდგარი.  
მხნე დიტრიხმა ძირს დაუშვა მშვენიერი თვისი ფარი.

2329. თქვა დიტრიხმა გულნატკენმა (ხმაში უჩნდა სიმწრის ბზარი):  
"დიდებულო გუნთერ მეფევ, ასე როგორ მომეპყართ.  
სამშობლოდან გამევებულს? განიახლეთ ტანჯვა-წყლული?!  
რა მიქნია თქვენთვის ავი, რომ მომისპეთ სიხარული?!"

2330. აღარ გვამკარეთ ერთი რამ საგლოვი ცრემლით ცხელითა,  
რომ აქ რუდიგერ დაეცა, მოკლული თქვენი ხელითა;  
ჩემთვის შეგშურდათ ყველანი, ყმები და ქვეშევრდომები.  
არ ვიყავ თქვენთან კაცთათვის მე ესდენ ცუდის მდომელი.

2331. აწ თქვენს სვე-ბედზე იფიქრეთ, თქვენს მძიმე გასაჭირზედა,  
რომ რუდიგერის სიკვდილით ჭირი დაგერთოთ ჭირზედა.  
განა იმისი დალუპვა არ იწვევს თქვენს შეღონებას?  
მე რუდიგერის სიკვდილი მიწამლავს გულს და გონებას.

2332. არავის ტანჯვა ამ ტანჯვას ქვეყნად არ ესაბამება.  
ჩანს, თქვენ ნაკლებად გაფიქრებთ ჩემი და თქვენი წამება.  
გაწყვეტილია თქვენგან სულ ჩემთა მეგობართ კრებული;  
არც მეყოლება იგი მე საკმაოდ დატირებული".

2333. "არც ასე ვართ დამნაშავე", ჰაგენისგან იყო თქმული,  
"ამ სახლის წინ შეიკრიბა რაინდობა თქვენი სრული:  
საგანგებოდ შექურვილთა დიდი რიცხვით იწყეს ჩენა.  
საქმის სწორი ვითარება თუ გაუწყეს ყლაბად თქვენა".

2334. "რას ვერწმუნო? ჰილდებრანდმა მოიტანა ცნობა თანა,  
რომ ამ სახლში ჩემთა მოყმეთ, ამელუნგთა ქვეყნიდანა,  
უსულდგმულო რუდიგერის წასაღებად სურდათ ხილვა, ხოლო  
თქვენ კი ჩემს რაინდებს დაცინვა და უწყეთ კილვა".

2335. რაინის ფოგტმა მიუგო: "გვითხრეს, მკვდრის გამოსვენება.

გვინდაო, მაგრამ ამისი მათ არ მივეცი მე ნება,  
გასაჯავრებლად ეტყელის და არა თქვენი ჯარისა.  
ლანძღვას შეუდგა ვოლფჰარტი, რაიდნი დიდი გვარისა".

2336. თქვა ბერნელმა რაინდმა აქ: "მომხდარიყო უნდა ასე.  
სვემაღალო გუნთერ მეფევ, მიზღვევი და დამიფასე.

ტანჯვა იგი უდიდესი, რომელიც აქ წილად მერგო,  
რათა მტრობა მე თქვენდამი გულში აღარ ჩავინერგო.

2337. თქვენ მძევალი გახდით ჩემი ქვეშევრდომით ტრონიელთ.  
და დაგიცავთ, რამდენადაც შემემძლება, ჩემი ხელით,  
რომ ჰუნებმა რაიმე არ მოგაყენონ თქვენ აქ წყენა;  
მაშინ ნახავთ, რომ სიკეთის შემიძლია გამოჩენა".

2338. "ცათა ღმერთმა ნუ ინებოს", ჰაგენისგან იყო თქმული,  
"ორი მოყმე, ორი გმირი, შეჭურვილი, ჯავშანცმული,  
შენს წინაშე მდგომი ახლა, დავდრკეთ, ნებით დაგმორჩილდეთ;  
სირცხვილი და თვის მოჭრა მაშინ ქვეყნად არ აგვცილდეს".

2339. მაშინ უთხრა კვლავ დიტრიხმა: "ეს ტყუილად იუარეთ;  
ჰაგენო და გუნთერ მეფევ, თქვენ ორივემ ისე მწარედ.  
დატანჯეთ და დაანაღვლეთ გონება და ჩემი გული,  
რომ გმართებდათ გეზღოთ ჩემთვის ყოველივე დაკარგული.

2340. მე გთავაზობთ ერთგულებას, მომიცია თქვენთვის ხელი,  
რომ ვიქნები თქვენს მხარეში თქვენთან ერთად წამომსვლელი.  
გაგაცილებთ პატივდებით, თუ სიკვდილი არა ვნახე.  
მსურს თქვენ გამო დავივიწყო ყოველგვარი სივაგლახე".

2341. რქვა ჰაგენმა ხელმეორედ: "ნუ მოითხოვთ ამას კიდე,  
ვით შეგფერის, ჩვენ ამბავი გაგვივრცელდეს კიდით კიდე,  
ორი ესდენ მხნე რაინდი რომ ჩაგბარდით უბრძოლველად.  
ჰილდებრანდის მეტი თან ხომ არვინ გახლავს მწედ და მცველად".

2342. მას მიუგო ჰილდებრანდმა: "ტრონიელო, ღმერთმა იცის,  
რომ ზავისა, თქვენს წინაშე დიტრიხისგან დანაფიცის,  
მცირეოდენ ჟამის შემდეგ აქ გახდება თვითვე მდომი,  
მაგრამ ეგებ მაშინ იგი თქვენთვის იქნეს მიუწვდომი".

2343. უპასუხა ტრონიელმა: "მირჩევნია იმას ზავი,  
ვიდრე ვინმე მოყმისაგან გადვირჩინო რბენით თავი,  
ვით, ოსტატო ჰილდებრანდო, ჩაიდინეთ ეს აქ თქვენა.  
ჯობდა მეტი ვაჟკაცობის მტრის წინაშე თქვენგან ჩენა".

2344. მას ჰილდებრანდმა მიუგო: "მისაყვედურებ რომელი?  
ვასგენშტაინის წინაშე ვინ იყო ფარზე მჯდომელი,  
როს ესპანელმა ვალტერმა უჟლიტა ამხანაგები?

თავისივე დასატუქსავად ჯობს ამეტველო ბაგენი".

2345. დიტრიხმა უთხრა: "არ არის რაინდთა შესაფერები,  
რომ ერთმანეთსა ლანძღვიდეთ ისე, ვით დედაბერები.  
თქვენთვის, ოსტატო ჰილდებრანდ, ვარ მე ამისი მკრძალავი!

მაწუხებს ბედშავს ისედაც ტანჯვა არდასამალავი.

2346. თქვით, მეგობარო ჰაგენო", სთხოვდა ბერნელი ხმიერი,  
"თუ რას უთხრობდით ერთმანეთში აქ ორი მოყმე ძლიერი,  
როს იარაღში მსხდომარე მიხილეთ აქეთ რეზული?  
თქვენ სთქვით, რომ მართო თქვენს მიერ ვიქნები დამარცხებული".

2347. "არ უარყვეოფს ამას არვინ", სთხოვდა ბერნელი ხმიერი,  
"თუ რას უთხრობდით ერთმანეთს აქ ორი მოყმე ძლიერი,  
როს იარაღში მსხდომარე მიხილეთ აქეთ რეზული?  
თქვენ სთქვით, რომ მარტო თქვენს მიერ ვიქნები დამარცხებული".

2348. როს დიტრიხმა ჰაგენისგან სცნო განზრახვა ამდაგვარი,  
გაბედულმა მეომარმა მყის ჩაბლუჯა თვისი ფარი.  
მას კიბიდან უსწრაფესად ტრონიელი ეცა მალი.  
და ზრიალით მოხვდა დიტრიხს ნიბელუნგთა კარგი ხმალი.

2349. ცნობა ჰქონდა დიტრიხს მისი, სწრაფისა და მეტად ავის,  
რომ იბრძოდა გაბრაზებით და დაიწყო დაცვა თავის.  
ზნემალაღმა ბერნის ფოგტმა დარტყმათაგან ჰაგენისა;  
ტრონიელმაც კარგად იგრძნო ვაჟკაცობა მარდი მტრისა.

2350. მუნ ბალმუნგის, მძლავრი ხმალის, მარჯვე დიტრიხს ჰქონდა რიდი;  
ამიტომაც მის დარტყმებში ხელოვნება ჩანდა დიდი,  
ვიდრე მან არ დაამარცხა ამ ბრძოლაში ტრონიელი.  
მიაყენეს ბერნის ფოგტმა მას ჭრილობა ღრმა და გრძელი.

2351. "დადლილ იყავ, ამად გძლიე", - დიტრიხს გულში გაჰკრა ფიქრმა.  
"შენი ძლევა ჩემმიერი ძნელი იყო, ავილ იქმნა.  
მოგკლა - სახლეს ვერ მოვიხვეჭე, შევეცდები ვიყო მზადა,  
ძვირფას მძევლად წაგიყვანო". იგი ამას შეეცადა.

2352. მან გასტყორცნა ფარი თვისი (უდიდესი ჰქონდა ძალა).  
და მრისხანე ტრონიელსა მეტიც აღარ დააცალა -  
ხელი სტაცა და ამგვარად დაამარცხა კაცი მარდი.  
გუნთერ მეფემ იგრძნო მაშინ ნალველი და მძიმე დარდი.

2353. მყის დიტრიხმა შეჰკრა ჰაგენ, გაიყოლა იგი თანა.  
და კრიმჭილდე დედოფლის წინ შეჰყრობილი მიიყვანა.  
მთელი ქვეყნის მოყმეთ შორის გაბედული მოყმე მეტად.  
ქალს ჩაუდგა ტანჯულ გულში სიხარული ნათელ სვეტად.

2354. გულუშიმარ ბერნელ რაინდს მან დაუკრა თავი ლხენით:  
"მარად დაშთით ბედნიერი სხეულით და გულით თქვენით!  
ჩემი ტანჯვის მაგიერი შენ მიაგე ჯილდო ყველას.  
თუ არ მოვკვდი, მოელოდე წყალობას და ჩემგან შველას".

2355. რქვა დიტრიხმა: "დედოფალო, არ ინებოთ მოკვლა მისი!  
ეგებ მისგან გერგოთ წილად სამსახური საკადრისი,  
რათა გახდეს თქვენდა მიმართ მიყენებულ ტანჯვის მზღველი.  
იგი, რადგან შეკრულია, შეწყალებას მისას ველი".

2356. მაშინ იმათ ერთ საკანში წაიყვანეს ტრონიელი,  
სადაც იმას, კარჩაკეტილს, მისწვდებოდა ვერვის ხელი.  
გაბედული გუნთერ მეფე მყის ხმამაღლა მოჰყვა ძახილს:  
"სად წავიდა ბერნის ფოგტი? ხომ იცნობს ის ჩემს ხმალს მახვილს!".

2357. მაშინ მისდა შესახვედრად მხნე დიტრიხმა მოიცალა.  
გუნთერ მეფეს რაინდული და ძლიერი ჰქონდა ძალა.  
მიაშურა დარბაზისკენ, რომ ეძია მყისვე შური.  
მათ ორთავეს ხმლებმა იწყეს ჯახანი და წკარაწკური.

2358. თუმცა დიტრიხის გმირობა საქვეყნოდ იყო ქებული,  
ისე გრგვინავდა, უტევდა გუნთერი განრისხებული,  
ბრაზით და გულისტკივილით ცხარობდა, არა ცხრებოდა;  
ფიქრობდნენ, გმირი ბერნელი მას ველარ გადურჩებოდა.

2359. ორივენი იყვნენ ისე ძლიერი და გაბედული,  
რომ იძროდა ამ ბრძოლისგან სასახლე და კოშკი სრული.  
ურბწყინვალეს მუზარადებს უჩეხავდნენ ერთურთს ხმალით.  
გუნთერ მეფე მტერს თავისას მოეველინა დიდი ძალით.

2360. მაინც იგი დაამარცხა ბერნელმა, ვით ტრონიელი.  
ჩანდა როგორ გადმოსჩქებდა ჯავშანიდან სისხლი ცხელი,  
იმ პირბასრი ხმალის გამო, რომ ეჭირა დიტრიხს ხელში.  
გუნთერ მეფე დიდ გმირობას იჩენდა ამ განსაცდელში.

2361. და დიტრიხმა მაშინ მეფე ისე შეჰკრა თვისი ხელით,  
როგორც მეფის არვინ არსად არ ყოფილა დამნახველი.  
"გაიფიქრა: "თუ ვასალთან მეფეც დაგვრჩა შეუკრავი,  
ვინძლო ყველა დაგვიხოცონ, ვინც ხელთ მოხვდეთ მეომარი".

2362. ბერნის ფოგტმა გუნთერ მეფეს ხელში ჰკიდა ხელი-რკინა.  
და შეკრული მიიყანა ეტცელ მეფის ცოლის წინა.  
ამით ქალსა შეუმცირდა მწუხარება ესოდენი;  
ძმას მიმათა: "გუნთერ მეფეც, კეთილ იყოს მოსვლა თქვენი!".

2363. უპასუხა: "მადლს გიძღვნიდით, დაო ჩემო, მეფის ქალო,  
რომ სალამი თქვენი იყოს ჩვენდა მიმართ სამოწყალო,

მაგრამ ვიცი, რომ ეგ არის მარტოოდენ ბრაზის ჩენა:  
გვესალმებით დაცინვისთვის მე და ჰაგენს ახლა თქვენა".

2364. "სვემაღალო დედოფალო", დიტრიხისგან იყო თქმული,  
"ჯერ მძევლები არ უნახავს არვის ესდენ დიდებული,  
როგორც თქვენ მოგიყვანეთ, ქალბატონო ჩემო დიდო.  
ნეტამც ჩემი მეგობრობით ჭირს ორივე განვარიდო!".

2365. უპასუხა ქალმან, რომ ის შეასრულებს ამას ლხენით;  
მაშინ მოსწყდა კარგ რაინდებს მხნე დიტრიხი ცრემლთა დენით.  
შემზარავად გაუსწორდა მათ მეუღლე ეტცელისა:  
მან რაინდებს უბადლოებს დაუბნელა შუქი მზისა.

2366. მაშინ ბრძანა მან საკნებში მათი ჩასმა ცალკეულად,  
რათა ცოცხლებს ერთმანეთი არ ენახათ იმათ სრულად,  
ვიდრე თავი თვისი ძმისა არ მიართვა ჰაგენს თავად.  
ორსავ მოყმის მიმართ შური მან იძია შემზარავად.

2367. იქ მივიდა იგი, სადაც ტრონიელი იყო გმირი.  
და მას მტრულად განწყობილმა სიტყვა უთხრა ამნაირი: "თუ  
უკანვე დამიბრუნებთ, რაც წამართვით, იმას მთელად,  
სიტყვას გაძლევთ, რომ რაინზე დაბრუნდებით უვნებელად".

2368. რქვა მრისხანე ტრონიელმა: "ზედმეტია თქვენგან თქმული,  
სვემაღალო დედოფალო: მე ფიცი მაქვს დადებული,  
არ ვაჩვენო განძი არვის. არც იქნება განაცემი.  
იგი ჩემგან, ვიდრე ცოცხლებს თუნდაც ერთი მეფე ჩემი".

2369. თქვა კრიმჰილდემ: "ამ საქმესა მე მივიყვან ბოლომდისი".  
მან ბრძანება გასცა მყისვე, რომ მოეკლათ ძმა იმისი.  
მას მოჰკვეთეს თავი. ქალმა თავს ჩასჭიდა ხელი თმაში.  
და ტრონიელს მიუტანა. ის დაღონდა დიდად მაშინ.

2370. ბატონის თავს როდესაც შეხედა დამწუხარებულმა,  
კვალად ქალბატონ კრიმჰილდეს უთხრა რაინდმა ქებულმა:  
"აჰა, აღსრულდა კიდევაც სურვილი შენგან ჩენილი;  
მოხდა ყოველი იმგვარად, ვით მქონდა წარმოდგენილი.

2371. გუნთერ მეფის მოჭრილ თავის შენ ხელთა ხარ ახლა მჭერი,  
მოკლულია გმირი გერნოტ და აგრეთვე გიზელჰერი.  
მე და ღმერთმა ვიცით მხოლოდ აწ ადგილი საუნჯისა.  
შენთვის, ცოლო ეშმაკისავ, სამუდამოდ გაჰქრა ისა".

2372. თქვა კრიმჰილდემ, ცუდად მიზღვით, რაც გემართათ ჩემი ვალი,  
აწ მსურს ხსოვნად ზიგრიდისა ბედკრულს დამრჩეს მისი ხმალი.  
ატარებდა იმას, ოდენ უკანასკნელ იგი ვნახე.  
და ამ ხმალით მერგო თქვენგან აქ სიმწარე-სივაგლახე".

2373. ამოაგო ის ქარქაშით. ვით დაეცვა ჰაგენს თავი?



დედოფალმა გაიფიქრა, რომ იგია მოსაკლავი:  
მოუქნია მას მახვილი და მოჰკვეთა თავი სხეულს.  
მწუხარება მიხვდა დიდი ეტყელ მეფეს მუნ მიქცეულს.

2374. "ვაი!" - მყისვე დაიყვირა, "რაინაირად მოხდა ესა,  
რომ სიცოცხლე ქალის ხელით აქ მოესპო რაინდს მხნესა,  
რომლის ტოლი არ ნახულა მეზრძოლი და ფარის მჭერი!  
ამან მეტად შემაწუხა, თუმც ვიყავი მისი მტერი".

2375. თქვა ოსტატმა ჰილდებრანდმა: "მას მოელის ცუდი საქმე.  
ამ საზარელ დარტყმის გამო; სემაკავებს რაღა აქ მე?  
თუმც ჰაგენმა მე პირადად მომაყენა დიდი ჭირი,  
მაინც დავსჯი იმას, ვინაც გაბედული მოკლა გმირი".

2376. ჰილდებრანდის მუქარაზე დედოფალმა იწყო ძრწოლა,  
ყვირილს მოჰყვა, მაგრამ მალე დაგვირგვინდა დიდი ბრძოლა:  
მყის მიუხტა ჰილდებრანდი, მრისხანე და მეტად მალი,  
მოუქნია და შემოჰკრა ყმამ ქალბატონს ბასრი ხმალი.

2377. იქვე ეწყო ყველა, ვისაც საუკუნო მიხვდა ძილი,  
იქვე ჩანდა დედოფალიც მთლად დაკუწულ-დაკეპილი.  
დიტრიხმა და ეტყელ მეფემ გაამრავლეს ცრემლთა დენა.  
დაკარგულთა გამო ჩივილს გამოსთქვამდა მათი ენა.

2378. წერა გახდა სიკვდილისა დიდებული ბევრი გმირი.  
განიცადა ხალხმა მძიმე ნალველი და გასაჭირი.  
მეფის ლხინი საზეიმო დაბოლოვდა შესაზარად:  
შვებასა და სიხარულს ხომ მწუხარება მოსდევს მარად.

2379. რაც შემდეგ მოხდა, არ ძალმიძს ვიყო მე მისი მთხრობელი.  
დახოცილ რაინდებისა გლოვის ხმით შემამკობელი,  
სტიროდნენ ქალბატონები და რაინდები ქებული.  
დალუპვა ნიბელუნგების არს ამით დასრულებული.

კომენტარები.

უფროსი ედა.

ვოლვას წინასწარმეტყველება.

(Vილუსპხ).

ვოლვას წინასწარმეტყველება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია უფროსი ედას სიმღერებს შორის. სიმღერა მოიცავს მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილ მსოფლიო ისტორიის გრანდიოზულ სურათს ქვეყნიერების წარმოშობიდან მის დასასრულამდე - ღმერთების დაღუპვამდე - და შემდეგ, მის ხელმეორედ დაბადებამდე, რის შედეგადაც სამარადისოდ უნდა დამკვიდრდეს მშვიდობა და სამართლიანობა.

მკვლევართა უმრავლესობა სიმღერის სამშობლოდ ისლანდიას თვლის, ხოლო მისი წარმოშობის დროდ აღნიშნულ ქვეყანაში წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლის პერიოდს, ე.ი. X საუკუნის მე-2 ნახევარს. სიმღერა ძირითადად წარმართული სულისკვეთებისაა, თუმცა შესაძლოა ზოგიერთი რამ მასში ქრისტიანული რელიგიის გავლენით იყოს შეჭრილი. მაგალითად, საკითხი დანაშაულისა და სასჯელისა, დაგმობა ოქროსადმი სიხარბისა, ქალის აღიარება ყველა უბედურებათა სათავედ და ა.შ.

\* ვოლვა - წინასწარმეტყველი, გრძნეული ქალი. მთელი სიმღერა გადმოცემულია, როგორც მის მიერ ნათქვამი. იგი სიმღერის პროცესში თავისთავს ხან პირველ პირში იხსენიებს ( მახსოვს მე თაობა . . . ), ხანაც მესამეში ( იცის მან, გრძნეულმა . . . ).

(1. II) უ წ მ ი ნ დ ე ს ნ ი - ღმერთები.

(1. IV) ჰ ა ი მ დ ა ლ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი - ხალხი. ჰაიმდალი - ღმერთი ასების ოჯახიდან, ცხრა დედისაგან შობილი. ითვლება ღმერთების გუშაგად . ღმერთების დაღუპვის მოახლოების ჟამს მან უნდა ჩაბეროს თავის ბუკს .

(1. V) მ ა მ ა ო მ ე ბ ი ს ა . . . იგულისხმება ოდინი - ერთი პირველ სამ ღმერთთაგანი (სამი ძმა ოდინი, ვილი და ვე იყვნენ გოლიათი ბორის შვილები) ასების ოჯახიდან.

(2. VII) ზ ღ ვ ა რ მ დ ე ბ ი ხ ე - იგდრასილი, უზარმაზარი იფანი, მსოფლიო ხე. მისი ტოტები გადაშლილია მთელ ქვეყნიერებაზე და წარმოადგენს ზღვარს ქვეყანასა და გარესამყაროს შორის. ამ ხეზე ჩამოიხრჩო თავი ოდინმა, რათა ჩასწვდომოდა საიდუმლო დამწერლობის, რუნების სიბრძნეს.

(4. II) ღ ვ თ ი ს შ ვ ი ლ ნ ი - გოლიათ ბორის შვილები, ოდინი და მისი ძმები ვილი და ვე.

(4. III) მ ი დ გ ა რ დ ი - ქვეყანა, ხალხით დასახლებული.

(5. I.) მ ზ ე - მ თ ვ ა რ ი ს შ ე გ ი რ დ ი . . . - ორიგინალში მთვარის თანამგზავრი . მზე მთვარეზე უფრო ახალგაზრდად მიაჩნდათ და დროსი აღრიცხვა ხდებოდა არა დღეების, არამედ ღამეების მიხედვით.

(5. X) სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მე-5 სტროფის შინაარსში გადმოცემულია ზაფხულის პოლარული ღამის სურათი: მზე ჰორიზონტის გასწვრივ მოძრაობს, მან თითქოს არ იცის, სად ჩავიდეს, ხოლო მთვარე და ვარსკვლავები ვერ ანათებენ მთლი ძალით.

(6. VI) ღ ა მ ი ს ნ ა შ ი ე რ ნ ი - სინათლი წარმომშობად სიბნელე ითვლებოდა და ამიტომ დღე და მისი სხვადასხვა დრო (დილა, შუადრე, საღამო) ღამის ნაშეიერებად წარმოედგინათ.

(8. VI) ს ა მ ე უ ლ ი გ ო ლ ი ა თ ქ ა ლ წ უ ლ თ ა . . . - გაურკვეველია მათი ვინაობა, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი არ არიან ამ სიმღერის მე-20 სტროფში მოხსენიებულნი ბრძენნი ქალწულნი - ურდი, ვერდანდი და სკულდი, რომლებიც ადამიანთა ბედს განაგებენ.

(8. VIII) ო ტ უ ჰ ა ი მ ი - გოლიათების მხარე, საცხოვრისი.

(9. VIII ) ბ რ ი მ ი რ ი და ბ ლ ი ა ი ნ ი - უძველესი გოლიათის იმირის სახელები.

(10. VIII) 11-16 სტროფებში ჩამოთვლილია ჯუჯათა სახელები.

(17. VI, VII) ა ს კ ი და ე მ ბ ლ ა - იფანი და თხმელა. ხალხის რწმენით, ღმერთებმა მათგან შექმნეს პირველი ადამიანები დედამიწაზე - კაცი და ქალი.

(18. VI) ჰ ო ნ ი რ ი - ღვთაება, რომლის ფუნქციები დღემდე სადავოდ რჩება.

(18. VIII) ლ ო დ უ რ ი - ასევე სადაოა ამ ღვთაების ფუნქცია; მას ცეცხლის ღვთაებად თვლიან, რომლის სახელიც მითებში გაცილებით ადრე გვხვდება, ვიდრე ლოკი (ცეცხლის ღვთაება).

(19. VII) უ რ დ ი ს წ ყ ა რ ო - წყარო მსოფლიო სიბრძნისა, რომელიც მსოფლიო ხის - იგდრასილის - ფესვებიდან მოედინება.

(20. III) ბ რ ძ ე ნ ი ქ ა ლ წ უ ლ ნ ი - სამნი დანი, ღმერთქალნი, რომლებიც ბედისწერას განაგებენ. მათი სახელებია: ურდი (ბედისწერა), ვერდანდი (ქმნადობა) და სკულდი (მოვალეობა).

(21. IV) გ უ ლ ვ ე ი გ ი (სიტყვასიტყვით - ოქროს ძალა) - მშვენიერი, მაგრამ ბოროტმზრახველი ჯადოსანი ქალი, ოქროსადმი სიხარბის განსახიერება, რომელიც ვანებმა (ნაყოფიერების ღმერთებმა) გაუგზავნეს ასებს (დანარჩენი ღმერთების ჯგუფს). ოდინმა სცადა მისი მოსპობა, მაგრამ ვერ შეძლო, იგი კვლავ იზადებოდა; ჰეიდის (ჯადოსნის) სახელწოდებით, კვლავ ახალ-ახალ ბოროტებას სჩადიოდა.

(25. VIII) მ ე უ ლ ლ ე ო დ ი ს ა - ღმერთქალი ფრეია.

(27. II) ს მ ე ნ ა ჰ ა ი მ და ლ ი ს . . . ზოგნი ფიქრობენ, რომ აქ საუბარია ბუკზე, რომელშიც ჩაბერავს ჰაიმდალი ღმერთთა დაღუპვის დაწყების წინ. სხვათა აზრით კი ჰაიმდალმა ისევ დააწინდრა თავისი სმენა, როგორც ოდინმა თავისი თვალი (ნახა ქვემოთ, მომდევნო სტროფში).

(27. VI) მ ე უ ფ ი ს წ მ ი ნ და ს ა წ ი ნ და რ ი - ოდინის თვალი, რომელიც ოდინმა დატოვა საწინდრად ბრძენი მიმირის წყაროში, სანაცვლოდ მან მიმრისაგან მიიღო სიბრძნე.

(30. IV) გ ო თ ე ბ ი - მეზრძოლები. სახელწოდება ტომისა, რომელიც განთქმული იყო თავისი მეომრებით.

(30. I) ვ ა ლ კ ი რ ი ა - ომის მფარველი ქალღმერთი, ადამიანური და ღვთიური თვისებებით აღჭურვილი.

- (31. I) ბ ა ლ დ რ ი - ოდინისა და ფრიგის ვაჟი, გაზაფხულისა და სიანთლის მარად ახალგაზრდა ღმერთი, რომლის დაღუპვაშიც სიმბოლურად განსახიერებულია ბნელის გამარჯვება ნათელზე, ზამთრისა და სიკვდილისა - გაზაფხულის ნათელი ძალებზე.
- (32. V) მ მ ა ბ ა ლ დ რ ი ს ა - ვალი; რაინდისა და ოდინის ვაჟი. მაშინ შური იძია ბალდრის მკვლელობაზე - მოკლა ჰოდა (მკვლელი ბალდრისა). ლოკი კი, რომელიც ბალდრის სიკვდილის შემდეგ იმალებოდა, ღმერთებმა შეიპყრეს და კლდეს მიაჯაჭვეს.
- (33. VI) ფ ე ნ ს ა ლ ი რ ი - ფრიგის სასახლე (საცხოვრებელი).
- (33. VII) ვ ა ლ ჰ ა ლ ა - ოდინის სასახლე (საცხოვრებელი).
- (35. II) ხ ე ე რ ა ლ ი უ ნ დ ი - ცხელი წყაროების ჭალა. ასეთი წყაროები ისლანდიაში მრავლად მოიპოვება.
- (35. IV) ს ა ხ ი თ მ ი ნ ა მ ს გ ა ვ ს ი მ უ ხ ა ნ ა თ ი ლ ო კ ი ს ა - ის იყო თვით ლოკი.
- (35. V) ს ი გ უ ნ ი - მეუღლე ლოკისა.
- (35. IV) ს ი ლ დ რ ი - საშინელი, დამღუპველი -მდინარის თუ რომელიღაც ნაკადის სახელწოდება გოლიათები სამეფოში.
- (37.II) ნ ი დ ა ვ ე ლ ი რ ი - ბნელეთის (მიწისქვეშეთის) მინდვრები.
- (37.VI) ო კ ო ლ ნ ი რ ი - გაუცივებელი (გაუგრილებელი) მინდვრები. ბრიმირი - ხმაურიანი. ამ სახელს ატარებს აგრეთვე იმირიც.
- (38. III) მ კ ვ დ ა რ თ ა ს ა ნ ა პ ი რ ო - ნასტრანდი. აღწერილია მიწისქვეშა დარბაზი სიკვდილისა. ჩრდილო მხარე საცხოვრებლისა უბედურების მომასწავებლად ითვლებოდა და ამ მხარეზე სახლს კარბი არ უკეთდებოდა. სიკვდილის სამყოფელს კარები კი სწორედ ამ უბედურ მხარეზე ჰქონდათ წარმოდგენილი.
- (39. VII) ნ ი დ ჰ ო გ რ ი - მკვდართა ლემის მგლეჯელი, მიწისქვეშა სამეფოში მობინადრე ურჩხული.
- (40. II) რ კ ი ნ ი ს ტ ყ ე - უდაბური, გაუვალი ტყე, მითიური წარმოდგენით, გრძნეულთა (კუდიანთა) საცხოვრებელი ადგილი.
- (40. IV) ფ ე ნ რ ი რ ი ს მ ო დ გ მ ა - მგლები. ფენრირი - ლოკისაგან წარმოშობილი საშინელი მგელი, რომელმაც ღმერთების დაღუპვის ჟამს უნდა ჩაყლაპოს მზე.
- (42. VIII) ფ ი ა ლ ა რ ი - გრძნეული მამალი, გუშაგი გოლიათების ქვეყნისა.
- (43. II) გ უ ლ ი ნ კ ა მ ბ ი - ოქროს სავარცხელი - სახელი მამლისა, რომელიც ოდინის დარბაზში იმყოფებოდა და დილდილაობით აღვიძებს ლაშქართა მამის (ოდინის) მეომრებს - ეინჰერიებს.
- (44. I) გ ა რ მ ი - ზოგიერთთა აზრით, მითიური ძაღლი, რომელიც სდარაჯობს მიწისქვეშეთს. ზოგთა ფიქრით კი ეს იგივე მგელი ფენრირია.
- (44. II) გ ნ ი პ ა ჰ ე ლ ი რ ი - მიწისქვეშეთი, ქვესკნელი სამყარო, რომლის კარებთანაც დაბმულია გარმი.
- (46. II) მ ი მ ი რ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი - გოლიათები (მდინარეები და ნაკადულები).
- (46.IV) გ ი ა ლ ა რ ჰ ო რ ნ ი - ბუკი, რომელშიაც უნდა - ბუკი, რომელშიაც უნდა ჩაჰბეროს ჰაიმდალმა და ამით ამცნოს ქვეყნის დაღუპვის დასაწყისი.
- (47. IV) თ უ რ ს ი - ამ შემთხვევაში - მგელი ფენრირი ან ლოკი.
- (50. I) ჰ რ ი მ რ ი - რომელიღაც გოლიათის სახელი.
- (50. I V) ო რ მ უ ნ გ ა ნ დ რ ი - მითიური გველი, მმა ფენრირისა, ლოკისა და გოლიათი ქალის - ანგრბოდას ვაჟი. ღმერთებმა გადაწყვიტეს მისი დაღუპვა და ჩააგდეს ზღვაში, სადაც იგი იმხელა გაიზარდა, რომ მთელ დედამიწას სწვდება (ეხვევა). იგი სიმბოლურად გამოხატავს ხმელეთისმომცველ ოკეანეს.

(50. VIII) ნ ა მ გ ლ ფ ა რ ი - უდიდესი ხომალდი, რომლითაც ღმერთებისადმი მტრულად განწყობილი გარდაცვლილთა ლაშქარი ქვესკნელიდან დაიძვრის საომრად. იგი მიცვალებულთა ფრჩხილებისაგან არის აგებული. ისლანდიაში დღემდე გავრცელებულია რწმენა, რომლის თანახმად მიცვალებულს ფრჩხილები უნდა დააჭრან, რათა არ გაიზარდონ და ამით არ ისარგებლონ ბოროტმა ძალებმა.

(51. II) მ უ ს პ ე ლ ი - რაღაც მითოლოგიური არსება, რომლის ჯარიც ახორციელებს ღმერთების დაღუპვას.

(51. VII) ძ მ ა ბ უ ლ ე ი ტ ს ი ს ა - ლოკი.

(52. I) ს უ რ თ რ ი - ქვესკნელის გოლიათი, ცეცხლის მეუფე, სიტყვასიტყვით - შავი. ფიქრობენ, რომ იგი ისლანდიის ვულკანების სიმბოლური გამოხატულებაა.

(53. I) ჰ ლ ი ნ ი - ფრიგი. მისი ახალი დარდი ოდინის სიკვდილია, ხოლო ძველი - ბალდრისა.

(53. V) მ კ ვ ლ ე ლ ი ბ ე ლ ი ს ა - ზაფხულის, ნაყოფიერებისა და ნადირობის ღმერთის - ჰოდორის ვაჟი - ფრეირი.

(53. VII) ფ რ ი გ ი ს ს ი ხ ა რ უ ლ ი - ოდინი.

(55. I) ვ ი დ ა რ ი - მდუმარე ასი, ოდინისა და გოლიათი ქალის - ჰრიდის ვაჟი, რომელმაც უნდა მოკლას ფენრირი.

(55. IV) ლ ე შ ი ს მ ო ყ ვ ა რ უ ლ ი მ ხ ე ც ი - მგელი ფენრირი.

(55. VIII) შ ვ ი ლ ი ხ ვ ე დ რ უ ნ გ ი ს - იგივე, მგელი ფენრირი.

(56. II) მ ო დ გ მ ა ჰ ლ ო დ უ ნ ი ს ა - თორი. ჰლოდუნი ანუ ფორგიუნი - თორის დედა.

(56. IV) მ ო დ ი ს ძ ე ო დ ი ნ ი ს - იგულისხმება თორი.

(56. VI) გ უ შ ა გ ი მ ი დ გ ა რ დ ი ს - თორი.

(57. VI) ს ი ც ო ც ხ ლ ი ს მ კ ვ ე ბ ა ვ ი - ცეცხლი.

(60. III) ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ა რ ტ ყ ე ლ ი - მსოფლიო გველი ორმუნგანდრი, გველი - ოკეანე, რომლის ყბები გაღებულია მიწიდან ზეცამდე.

(60. VIII) ღ მ ე რ თ ი უ ზ ე ნ ა ე ს ი - ოდინი.

(62. VI) ჰ რ ო ფ ტ ი - ოდინი.

(63. III) . . . ო რ თ ა ძ მ ა თ ა - ბალდრისა და ჰოდისა (?).

(64. III ) გ ი მ ლ ი - მკვლევართა ვარაუდით ახლად აღორძინებული ვალჰალა.

სიტყვა უზენაესისა.

.

სიტყვა უზენაესისა - ყველაზე გრძელი სიმღერაა უფროსი ედას სიმღერებს შორის, წარმოადგენს სხვადასხვაგვარი ხასიათისა და წარმოშობის სიმღერათა კრებულს. შედგება, სულ მცირე, ექვსი ნაწილისაგან.

I ნაწილში გაერთიანებული სტროფები (1-83) წარმოადგენს ყოფით ხასიათის რჩევა-დარიგებებს, აფორისტულ გამოთქმებს, რომლებიც, სავარაუდოა, ზეპირსიტყვიერებაში იყო გავრცელებული. სათაური სიტყვანი უზენაესისა (სადაც უზენაესში ოდინი იგულისხმება), სიმღერის ამ ნაწილს არ ესადაგება. ეს ნაწილი სიმღერისა უფროსი ედას უძველეს ფენად ითვლება.

II. 84-ე და 91-ე - 95-ე სტროფები წარმოადგენს ერთგვარ შემზადებას იმ ამბის მოსათხოვრად, თუ როგორ აცდუნა ოდინი ვინმე ბილინგის ასულმა. ამ ამბავს არ გააჩნია

არავითარი მითოლოგიური საფუძველი და, სავარაუდოა, რომ იგი შექმნილია ქრისტიანულ ეპოქაში.

III. 103-110 სტროფებში ოდინი მოგვითხრობს, თუ როგორ აცდუნა მან გოლიათი სუთუნგის ასული გუნლოდი და ამ გზით მოიპოვა პოეზიის თაფლი - ორდორირი. მითი იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვა ოდინმა პოეზიის თაფლი, დაწვრილებით არის მოთხრობილი უმცროს ედაში .

IV. 111-137 სტროფები საყოფაცხოვრებო ხასიათის რჩევა-დარიგებებია. ისინი სიმღერის პირველ ნაწილში მოცემულ დარიგებებთან შედარებით, უფრო დიდაქტიკურია, ხოლო მათი მორალი - ნაკლებ ეგოისტური. მკვლევარნი ფიქრობენ, რომ უზენაესის სიტყვათა ეს ნაწილი წარმოადგენს რომელიღაც ძველი გნომური სტროფების გადამუშავებულ სახეს.

V. 138-145 სტროფებში არეკლილია ცნობილი მითი, რომლის მიხედვითაც ოდინმა თავი ჩამოიხრჩო მსოფლიო ხეზე - იგდრასილზე. ამრიგად, მან თავისთავი თვითონ მიიტანა მსხვერპლად, რათა ჩასწვდომოდა რუნების სიბრძნეს. სიმღერის ამავე ნაწილს ერთვის რამდენიმე სტროფი რუნებზე და მსხვერპლთა შეწირვაზე. ეს სტროფები, როგორც ჩანს, წარმოადგენს წარმართული საკულტო პოეზიის ფრაგმენტებს.

VI. (146-164). სიმღერის ამ ბოლო ნაწილში ოდინი ჩამოთვლის 18 სხვადასხვა შელოცვას, რომლებიც საჭიროების ჟამს შეუძლია გამოიყენოს.

(25.IV) თ ი ნ გ ი - სახალხო თავყრილობა.

(49. I) ხ ი ს კ ა ც ე ბ ი - ხისაგან გამოკვეთილ ადამიანთა ფიგურები.

(51.I) ხ უ თ ი დ ღ ი თ ა ნ თ ი ა . . . - ხუთი დღე, როგორც დათქმული ვადა, ხშირად იხსენიება ძველ ნორვეგიულ კანონებში. როგორც ჩანს, ამ რიცხვს საკრალურ მნიშვნელობას მიაწერდნენ.

(74. II) ღ ა მ ე ვ ე რ ა შ ი ნ ე ბ ს, ვ ი ნ ც ი ჭ ე რ ს თ ა დ ა რ ი გ ს . . . - ეს აფორისტული გამოთქმა ითვალისწინებს ნორვეგიის სანაპიროებზე ცურვის პირობებს: დღისით ცურავდნენ, ხოლო ღამით ნავს (ხომალდს) ნაპირზე მიაყენებდნენ, ისვენებდნენ, ამზადებდნენ საჭმელს.

(78. II) ფ ი ტ უ ნ გ ი - მსუქანი (აღნიშნავს ფიტარის მცხოვრებასაც). ფიტარი - სოფელი ნორვეგიაში, ჰარდანგენფიორდის შესართავთან.

(80. III) ბ რ ძ ე ნ მ ა . . . ე.ი. ოდინმა.

(81.II) ც ო ლ ი - დ ა წ ვ ი ს შ ე მ დ ე გ - ე.ი. სიკვდილის შემდეგ მიცვალებულთა დაწვა სკანდინავიაში ჩვეულებად ჰქონდათ IX საუკუნის შუა ხანებამდე. კერძოდ, ისლანდიაში ამ ჩვეულების არსებობა საერთოდ აღინიშნება.

(83. IV) დ ა ჟ ა ნ გ უ ლ ი მ ა ხ ვ ი ლ ი - ე. ი. შემოწმებული, ბრძოლაში ნაწრთობი.

(104. I) მ ო ხ უ ც ი თ უ რ ს ი - ბრძენი ბუმბერაძი ვაფთრუდნირი, რომელსაც ოდინი გაეჯიბრა ცოდნაში (იხ. სიტყვანი ვაფთრუდნირისა ).

(104. VI) ს უ თ უ ნ გ ი - ერთ-ერთი გოლიათის საკუთარი სახელი. 104-110 სტროფებში აღწერილია მითი, ოდინის მიერ პოეზიის თაფლის - ოდრორირის - მოტაცების შესახებ, რომელიც ცნობილია უმცროსი ედას მიხედვით.

(106. I) რ ა ტ ი - სახელი ბურღისა, რომელთაც ბაუგიმ გაბურღა მთა და ამრიგად გააკეთა გუნლოდის ბინაში შესასვლელი ხვრელი.

(106 IV) ო ტ უ ნ თ ა კ ე დ ლ ე ბ ი - კლდეები.

(107. IV) ო დ რ ო რ ი რ ი - სულის ამამოძრავებელი, ე.ი. თაფლი პოეზიისა; აგრეთვე ერთი იმ სამ ჭურჭელთაგანი, რომლებშიც ბუმბერაზი სუთუნგი ინახავდა პოეზიის თაფლს.

(107. VI) ს ა ს ა ხ ლ ე ხ ა ლ ხ თ ა მ ფ ა რ ვ ე ლ ი ს ა - ვალჰალა-ოდინის საცხოვრებელი სასახლე.

- (109. I) ჰ რ ი მ თ უ რ ს ე ბ ი - თრთვილის (თუ თოვლის) გოლიათები.
- (109. V) ბ ო ლ ვ ე რ კ ი - ოდინი.
- (110. I, II) ო დ ი ნ მ ა ბ ე ქ ე დ ზ ე ჰ ე ც ა ს ა ფ ი ც ა რ ი . . . - საუბარია წმინდა ბექედზე, რომელზედაც სდებდნენ ფიცს და რომელიც წარმართულ ტაძარში ინახებოდა. ასეთი ბექედების არსებობა გოთებთანაც არის დამოწმებული.
- (111. II) თ უ ლ ი - სავარაუდოა, ასე ეწოდებოდა წარმართობისდროინდელ ქურუმს, რომელიც ყოველგვარ სიბრძნეთა მცოდნედ ითვლებოდა და ზოგჯერ საჯაროდაც წარმოთქვამდა ბრძნულ დარიგებებს. მაგრამ უფროს ედაში ამ სიტყვას უფრო გაურკვეველი და ამასთან, ვრცელი დანიშნულება აქვს.
- (138. VIII, IX) - იგულისხმება მსოფლიო ხე - იგდრასილი, რაც იგრის მზიდველს აღნიშნავს, წარმომდგარია ამ მითისაგან. იგრი ოდინის ერთ-ერთი მრავალ სახელთაგანია.
- (140. III) ბ ე ს თ ლ ა - ოდინის დედა - გოლიათი ბოლთორნის ასული.
- (142. V) ჰ რ ო ფ ტ ი - ოდინი.
- (142. V) ჰ რ ო ფ ტ მ ა რ ო მ შ ე ღ ე ბ ა - ამოკვეთის შემდეგ რუნებს სისხლით ღებავდნენ.
- (145. VI) თ უ ნ დ ი - ოდინი.
- (151. II, III). . . ფ ე ს ვ ე ბ ი თ . . . - ფესვებზე ამოჭრილი მაგიური რუნებით.
- (156. IV) ფ ა რ შ ი ჩ ა ვ უ მ ღ ე რ ე ბ . . . - ეს ადგილი ეთანხმება ტაციტის ცნობას იმის შესახებ, რომ გერმანელი მეომრები ჩამღეროდნენ ხოლმე ფარში, რასაც ეწოდებოდა **ხარდიტუს**.
- (158. III) - ბავშვის წყლით სხურების ჩვეულება, მისთვის სახელის შერქმევისას, ქრისტიანობაზე უფრო ადრინდელი მოვლენაა.
- (160. II) თ ო დ რ ო რ ი რ ი - ჯუჯას სახელია.
- (160. III) დ ე ლ ი ნ გ ი - დღის მამა.

სიტყვანი ვაფთრუდნირისა.  
(**ვაფტპრუდნისΓლ**).

დავას იწვევდა სიმღერის აღმოცენების თარიღი და მისი დამოკიდებულება წარმართობასთან. ბოლო დროს განმტკიცდა მოსაზრება, რომ სიმღერა შექმნილია წარმართობის ეპოქაში (X ს.). სიმღერის სიუჟეტს მრავალი ფოლკლორული პარალელი მოეპოვება. სიმღერის წარმოშობის შესახებ საზოგადოდ განმტკიცებული თვალსაზრისისაგან განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამდა ჰოისლერი, რომლის მიხედვით, სიტყვანი ვაფთრუდნირისა ქრისტიანულ ეპოქაში უნდა იყოს წარმოშობილი, ხოლო მის ავტორად უნდა მივიჩნიოთ სიმღველეთა შემკრები უცნობი პიროვნება, რომელსაც სწორი სტურლუსონზე ადრე უნდა ეცხოვროს.

- (1. II) ვ ა ფ თ რ უ დ ნ ი რ ი - გოლიათის სახელია. სიტყვასიტყვით - თავგზის ამრევი. ამ სახელში მინიშნებულია მოწინააღმდეგისადმი დასმული კითხვებით მისი თავგზის არევის უნარი. გოლიათები ძველთა სიბრძნეთა უძლეველ მფლობელებად იყვნენ მიჩნეულნი, რადგან ხალხის წარმოდგენით, ისინი ღმერთებზე უფრო ადრე გაჩნდნენ.
- (1. I) ფ რ ი გ ი - ოდინის მეუღლე.
- (5. IV) ი გ რ ი - საშინელი; ოდინის ერთ-ერთი სახელი.
- (5. IV) ი მ რ ი ს მ ა მ ა - ვაფთრუდნირი. გოლიათ იმრზე არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ იგი ვაფთრუდნირის შვილია.
- (8. I) გ ა გ ნ ა რ დ ი (გაგნადრი) - ამ სახელში მინიშნებულია ვაფთრუდნირთან ოდინის მისვლის მიზანი: გაგნ - გამარჯვება; რადრ - რჩევა, გამოცნობა.
- (12. I) ს კ ი ნ ფ ა ქ ს ი - ელვარე ფაფრიანი. მისი მეორე სახელია გლადრი - მხიარული.

- (14. I) ჰ რ ი მ ფ ა ქ ს ი - ფაფართრთვილიანი. პოეტური სახე ცივი, თრთვილიანი დილისა, თითქოსდა ღამის ცხენს ფაფარი დაუბერტყავს.
- (21. I) ი მ ი რ ი - სახელი უძველესი გოლიათისა. ღმერთებმა იგი მოკლეს და მისი სხეულისაგან შექმნეს სამყარო.
- (23. I) მ უ ნ დ ი ლ ფ ო რ ი - ამ სახელის მნიშვნელობა გაურკვეველია. ვარაუდობენ, რომ იგი, როგორც მნათობთა მამა, ნათელსა და კეთილ საწყისებს მიეკუთვნება.
- (27. I) ვ ი ნ დ ს ვ ა ლ რ ი - ცივი ქარი.
- (27. II) ს ვ ა ს უ დ რ ი - კეთილი, მოალერსე.
- (29. III) ბ ე რ გ ე ლ მ ი რ ი - ერთადერთი, რომელიც ძველი გოლიათების მოდგმიდან გადაურჩა წარღვნას.
- (29. VI) ა უ რ გ ე ლ მ ი რ ი - იმირის მეტსახელია.
- (31. I) ე ლ ი ვ ა გ ა რ ი - მშფოთვარე ტალღები - მსოფლიო ნაკადი, რომელიც დედამიწის წარმოქმნამდე არსებობდა.
- (33.) - არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, იყო დრო, როცა ადამიანთა მოდგმა ორსქესიან ადამიანთაგან შედგებოდა. მათი გამრავლება თვითგანაყოფიერებით ხდებოდა (შეადარე თქმულება ანდროგინებზე პლატონის ნადიმში და აგრეთვე მთელი რიგი ეგვიპტურ-ასირიული მითებისა). ეს გარემოება ძველ აღთქმაშიაც არის არეკლილი. ადამიანის ორსქესიანობის შესახებ არსებულ თქმულებათა ნაშთები ქართულ ფოლკლორშიც გვხვდება.
- (37. I) ჰ რ ე ს ვ ე ლ გ რ ი - ლეშთა შთამნთქავი.
- (38. IV) ნ ო რ დ ი - ზღვაოსნობის, თევზაობის და ნადირობის ღვთაება, განთქმული თავისი სიმდიდრით. მისი სახელი იგივეა, რაც ნერტა, რომელსაც ტაციტი იხსენიებს, როგორც ნაყოფიერების ქალღმერთს, ძველ გერმანულ ტომებში. ნორდის შვილებია ფრეირი და ფრეია, რომლებიც მას შეეძინა თავის ღვიძლ დასთან შეუღლების შემდეგ.
- (39. I) ვ ა ნ ე ბ ი - ნაყოფიერების ღმერთები.
- (41. I) ე ი ნ ჰ ე რ ი ე ბ ი - გმირები ოდინის ლაშქრისა (ე.ი. დახოცილ გმირთა სულები).
- (44. IV) ს ა შ ი ნ ე ლ ი ზ ა მ თ ა რ ი - ზამთარი, რომელიც დადგება ღმერთების დაღუპვის წინ. ის სამი ზამთრისოდენა იქნება თავისი ხანგრძლივობით და მას მხოლოდ ორი ადამიანი გაუძლებს.
- (45. I) ლ ი ფ ი და ლ ი ფ თ რ ა ს ი რ ი - სიცოცხლე და სიცოცხლისათვის აღზნებული - ადამიანთა მომავალი ჯანსაღის მოდგმის წინაპრები.
- (47. I) ა ლ ფ რ ე დ უ ლ ი - ალფების მნათობი, მზე.
- (50. IV) ა ლ ი რ ო მ მ ა ქ რ ე ბ ა - იგულისხმება სურთრის ალი, მსოფლიო ხანძარი.
- (51. II) ვ ა ლ ი და ვ ი დ ა რ ი - ოდინის ვაჟიშვილები.
- (51. IV) მ ო დ ი და მ ა გ ნ ი - თორის ვაჟიშვილები, რომლებიც მამის დაღუპვის შემდეგ მემკვიდრეობით დაეუფლნენ მოლნირს (ქუხილის უროს).

სიტყვანი გრიმნირისა.

ჩარჩო სიმღერისა, - ამბავი ორი ძმის შესახებ, - რომელიც ცნობილია პავლე დიაკონის ლანგბარდების ისტორიიდან (VIII ს.) და პარალელებს პოულობს მსოფლიო ფოლკლორში, - მოთხრობილია პროზად, ხოლო სიმღერის ძირითადი შინაარსი



(სხვადასხვა მითოლოგიური ცნობები) გადმოცემულია ლექსად, რომელსაც როგორც მონოლოგს, წარმოთქვამს ოდინი (გრიმნირი).

ამ სიმღერის წარმოშობის დროდ, ჩვეულებრივ, წარმართული ეპოქაა აღიარებული, თუმცა ჰოისლერი მას, ისევე როგორც მის წინამორბედ სიმღერას ( სიტყვანი ვაფთრუდნირისა ) ქრისტიანული ეპოქის ნაწარმოებად აღიარებდა.

\*) ო დ ი ნ ი - ომების მამა, ღმერთთა შორის უპირველესი. იხ. ვოლვას წინასწარმეტყველება , კომენტ. (1.V).

\*\*) ფ რ ი გ ი - ოდინის მეუღლე.

\*\*\*) ჰ ი ლ დ ს კ ი ა ლ ფ ი - მაღალი ტახტი ოდინის დარბაზში, საიდანაც მოჩანს ყველაფერი, რაც ხდება ქვეყნიერებაზე.

\* გ რ ი მ ნ ი რ ი - ფარული, საიდუმლო, ნიღბოსანი - ერთ-ერთი მრავალი სახელთაგანი ოდინისა.

(4.IV) თ რ უ დ ჰ ა ი მ ი - (ანუ თრუდვანგი) - სამკვდრო ძალისა, ძლიერების ველი. ჭექა-ქუხილის ღმერთის - თორის - საცხოვრებელი ადგილი.

(5.I) ი დ ა ლ ი რ ი - ურთხმელის ველი. ურთხმელისაგან აკეთებდნენ მშვილდს, რომელიც ნადირობის ღვთაების - ულრის - ძირითად ატრიბუტად ითვლებოდა.

(5.III) უ ლ რ ი - მშვილდოსნობის მფარველი ღვთაება, თორისა და სიფის შვილი.

(5. IV) ფ რ ე ი რ ი - ზაფხულის ღვთაება. ნაყოფიერებისა და ნადირობის ღმერთი.

(5. IV) ა ლ ფ ჰ ა ი მ ი - ალფების ქვეყანა.

(5. VI) - ეს ჩვეულება გავრცელებული ყოფილა სკანდინავიურ ქვეყნებში: ბავშვების პირველი კბილის ამოსვლას ზეიმით აღნიშნავდნენ; საჩუქრებს მიუტანდნენ.

(6.IV) ვ ა ლ ა ს კ ი ა ლ ფ ი - ოდინის ერთ-ერთი სასახლეთაგანი.

(7.I) ს ო კ ვ ა ბ ე კ ი - ჩამირული სკამი.

(7.IV) ს ა გ ა - ფრიგის ერთ-ერთი სახელთაგანი.

(8.I) გ ლ ა დ ს ჰ ა ი მ ი - სიხარულის სამკვიდრო, ოდინის სასახლე.

(11. I) თ რ ი მ ჰ ა ი მ ი - ხმაურის სამკვიდრო.

(11.III) თიასი - სახელი ერთ-ერთი გოლიათისა.

(11.IV) სკადი - თიასის ასული, მეუღლე ზღვის ღვთაების - ნორდისა, - ნადირობის მფარველი ღვთაება; მსგავსად ულრისა, მისი ატრიბუტებია მშვილდი და თხილამურბი.

(12.I) ბ რ ე ი და ბ ლ ი კ ი - ვრცელი ელვარება.

(13.I) ჰ ი მ ი ნ ბ ო რ გ ი - ციური მთები.

(13.II) ჰ ა ი მ და ლ ი - ციური გუმბავი, ღმერთთა სამკვიდროს - ასგარდის მცველი.

(14.I) ფ ო ლ კ ვ ა ნ გ ი - სპათა მინდორი. იხ. ვოლვას წინასწარმეტყველება , კომენტ.(1.IV).

(15.I) გ ლ ი ტ ნ ი რ ი - ბრწყინვალე.

(15.IV) ფ ო რ ს ე ტ ი - მართლმსაჯულების ღვთაება.

(16.II) ნ ო ა თ უ ნ ი - ზღვის სამეფო, ნორდის სამფლობელო.

(17.I) ვ ი დ რ ი - მდუმარე ასი, ძე ოდინისა. ღმერთების აღსასრულს იგი შურს იძიებს მამისათვის - მოკლავს ოდინის დამღუპველ მგელს - ფენრირს.

(17.IV) გ მ ი რ ი მ ხ ე და რ ი - ვიდარი.

(18.I) ა ნ დ რ ჰ ი მ ნ ი რ ი - მზარეული, რომელიც ვალჰალაში (ღმერთების სასახლეში) საჭმელს უმზადებს ღმერთებს. ს ე ჰ რ ი მ ნ ი რ ი - გარეული, სასწაულთმოქმედი ტახტი, რომელიც ხელახლა ცოცხლდება ყოველთვის, როგორც კი ღმერთები შეჭამენ.

(18.III) ე ლ დ რ ჰ ი მ ნ ი რ ი - ქვაბი, რომელშიაც ხარშავენ სასწაულთმოქმედ ტახს.

(19.I) ო რ ი მ გ ე ლ ი - გერი და ფრეკი (ხარბი და გაუმაძღარი) - ოდინის მგლები.

(19. VI) ა ს გ ა რ დ ი ს თ ა ვ ა დ ი - ოდინი.

- (20.I) ჰ უ გ ი ნ ი და მ უ ნ ი ნ ი (ფიქრი და მეხსიერება) - ორი გრძნეული ყორანი ოდინისა, მისი ელჩები, მზვერავები.
- (21.I) თ ო დ ვ ი ტ ნ ი რ ი ს თ ე ვ ზ ი - მსოფლიო გველი, ორმუნგანდრი; თოდვიტნირი - მგელი ფენრირი, რომელმაც ღმერთთა აღსასრულის ჟამს უნდა ჩაყლაპოს მზე.
- (22.I) ვ ა ლ გ რ ი ნ დ ი - მკვდართა კარები, ვალჰალას ჭიშკარი.
- (24. III) ბ ი ლ ს კ ი ლ ნ ი რ ი - თორის საცხოვრებელი ვალჰალაში.
- (24.VI) ჩ ე მ ი ვ ა ჟ ი შ ვ ი ლ ი - თორი.
- (25.III) ლ ე რ ა დ რ ი - მსოფლიო ხის - ივან იგდრასილის ერთ-ერთი სახელთაგანი.
- (26.II) ე ი ქ თ რ ი ნ ი რ ი - ქორბუდა ირემი - სიმბლური სახე ღრუბლისა, რომელიც აწვდის წყალს მსოფლიო მდინარეებს.
- (26.IV) ჰ ე ე რ გ ე ლ მ ი რ ი - მდუღარე ქვაბი, - წყარო ქვესკნელისა (ნიფლჰაიმისა), ივანი იგდრასილის ფესვებქვეშ.
- (27.XI) 27-29 სტროფებში ჩამოთვლილ მდინარეთა სახელებიდან უმრავლესი მათგანის ეტიმოლოგია გასაგებია: სიდი - მდორე, ვიდი - ფართო, სოკინ - წინ მიმსწრაფი, ეიკინ - მშფოთვარე, სვილი - ცივი, სიგრი - მყლაპავი, ილგრი - ძუ მგელი, ლეფტერ - ელვა და ა.შ. ზოგთა სახელწოდების მნიშვნელობა კი გაურკვეველია: მაგ., რინი, ვინა და ა.შ.
- (29.VIII) ღმერთების (ასების) ხიდი - ცისარტყელა.
- (30.III)- აქ ჩამოთვლილია ცხენთა ეპითეტები: გლადრი - მხიარული, გულირ - ოქროსფერი, სკეილბრიმირ - ფრუტუნა, გლერი - მანათობელი, ფალჰონირ - ქაჩაჩბალნიანი, გისლი - ელვარე, ლეტფეტი - ფეხმსუბუქი, გულტოპ - ოქროსფაფრიანი.
- (32.I) რ ა ტ ა ტ ო ს კ რ - მღრღნელკბილებიანი.
- (32.VI) ნ ი დ ჰ ო გ რ ი - ქვესკნელის ურჩხული.
- (33.V) - ირემთა სახელების მნიშვნელობა გაურკვეველია. დაინი და დვალინი ჯუჯების სახელებია. ისინი იხსენიებიან უფროსი ედას პირველ სიმღერებში ( ვოლვას წინასწარმეტყველება ).
- (37.I) ა რ ვ ა კ რ და ა ლ ს ვ ი დ რ ი - ადრიანი და ჩქარი - სახელნი ცხენებისა, რომლებიც ცის ტატნობზე მიაქანებენ მზეს.
- (38.I) ს ვ ა ლ ი ნ ი - მაგრილებელი.
- (39.I) ს კ ო ლ ი - მოტყუება (ცთუნება).
- (39.IV) ჰატი - მოძულე. ჰროდვიტნირი - მგელი ფენრირი.
- (42.VI) ოდინი ითხოვს წამებისაგან განთავისუფლებას, - მდუღარე ქვაბების ჩამოხსნას, რათა საკვამურიდან გამოჩნდეს ქვეყანა ასებისა - ასგარდი.
- (43.I) ი ვ ა ლ დ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი - ჯუჯები.
- (43.III) ს კ ი დ ბ ლ ა დ ნ ი რ - ფიცრის მცირე ნაჭრებისაგან აგებული სსწაულთმოქმედი ხომალდი, რომელიც ხანდახან ისე პატარავდება, რომ ჯიბეში მოთავსდება.
- (44.V) ს ლ ე პ ნ ი რ ი - სწრაფმოსრიალე - რვაფეხა ცხენი ოდინისა.
- (44.VI) ბ ი ლ რ ო ს ტ ი - ასების ხიდი - ცისარტყელა (იხ. 29-ე სტროფზე დართული კომენტარი).
- (44.VII) ბ რ ა გ ი - პოეზიის ღმერთი; აგრეთვე სახელი ნორვეგიელი სკალდისა (IXს.), რომლის ლექსებიც შემონახულია დღემდე.
- (44.VIII) ჰ ა ბ რ ო კ ი - გრძელი წინდები (მინიშნება ქორის ფეხებზე ამოსულ ბუმბულზე).
- (45. VII) - ზღვის გოლიათი ეგირი ღმერთებს, ჩვეულებრივ, უმართავს ხოლმე ნადიმს და უმასპინძლდება მის მიერ მოდუღებული ლუდით.
- (46. I) მ ე გ რ ი მ რ ა დ მ ი ხ მ ო ბ დ ნ ე ნ - აქედან იწყება ჩამოთვლა ოდინის 54 სახელისა. ეს სახელები გამოხატავენ ოდინის სხვადასხვა თვისებებს: რომ იგი არის ცალთავალა,

გრძელჭადარაწვეროსანი, მეომარი, ბრძენი, ცბიერი, მრავალსახოვანი, ჯადოქარი. . . ზოგი მისი სახელის მნიშვნელობა კი სადაოა, ან გაურკვეველი.

(52. III) მ ო მ ე მ გ ი ღ ა ლ ა ტ ა - მოძმეში ოდინი გულისხმობს თავისთავს.

(53. I) ი გ რ ი მ ი გ ი ბ ა რ ე ბ ს - ოდინის მსხვერპლი გახდები.

(53. IV) დ ი ს ნ ი - მფარველი სულელები.

სკირნირის გამგზავრება.

სკირნის გამგზავრებაში წარმოდგენილია ნაყოფიერების ღვთაების - ფრეირის - გამოიჯნურების ამბავი გოლიათ გმირის ასულ გერდთან. მ. ულსენის აზრით სკირნირის გამგზავრება წარმართული საკულტო სიმღერაა, რომელიც მზის ღმერთისა და მიწის ღმერთქალის შეუღლების სადიდებლად გამართულ საგაზაფხულო დღესასწაულზე სრულდებოდა.

სიმღერა დრამატულ გამძაფრებას აღწევს სკირნირის მიერ გერდისადმი გრძნებით შელოცვის ეპიზოდში (26-ე-36-ე სტროფები).

\* ნ ო რ დ ი - იხ. სიტყვანი ვაფთრუნდირისა , კომენტ. (38.IV).

\*\* ჰ ი ლ დ ს კ ი ა ლ ფ ი - იხ. სიტყვანი გრიმნირისა (კომენტ.).

\*\*\* იხ. ვოლვოს წინასწარმეტყველება , კომენტ. (8.VIII).

\*\*\*\* ს კ ა დ ი - იხ. სიტყვანი გრიმნირისა , კომენტ. (11. IV).

(4. IV) ა ლ ფ ე ბ ი ს მ ნ ა თ ო ბ ი - მზე.

(16. VI) ძ მ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი - მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, გერდის ძმა იყო მწყემსი და წყვილად ალმურს ისე ვერავინ გაივლიდა, თუ მას არ მოკლავდა. არსებობს სხვა მოსაზრებაც: გერდის ძმა იყო გოლიათი ბელი, რომელიც ფრეირმა მოკლა.

(19. I) თ ე რ თ მ ე ტ ი ვ ა შ ლ ი - გამაახალგაზრდავებელი ვაშლები. ასეთ ვაშლებს ფლობდა ღმერთქალი იდუნი.

(21. I) საუბარია ბეჭედზე, რომელის თავისი ვაჟის, ბალდრის დაწვისას ოდინმა დადო კოცონზე და რომელიც ბალდრმა ჰერმოდის ხელით უკანვე გამოუგზავნა.

(28. III) ჰ რ ი მ ნ ი რ ი - ერთ-ერთი გოლიათი თრთვილის გოლიათებიდან.

(34. III) ს უ თ უ ნ გ ი ს ო ჯ ა ხ ი - გოლიათები. სუთუნგი - ერთ-ერთი გოლიათის სახელი.

(35. I) ჰ რ ი მ გ რ ი მ ნ ი რ ი - სახელი ერთ-ერთი გოლიათისა თრთვილის გოლიათებიდან.

(36.II) თ უ რ ს ი - სახელწოდება რუნისა.

(36. VII) მ ყ ი ს მ ო ვ ს კ ო ბ ს ა მ თ ა ვ ე ს - ე.ი. ამოვფხეკ რუნებს და ამრიგად დავუკარგავ მათ ჯადოსნურ ძალას.

სიმღერა ჰარბარზე.

სიტყვიერი ხელოვნების ის ფორმა, რომლითაც არის აგებული, სიმღერა ჰარბარდზე , გავრცელებულია მსოფლიო ფოლკლორში. ეს არის ორი პიროვნების გაჯიბრება-გაპაექრება ურთიერთგანქიქების მიზნით. ქართული ზეპირსიტყვიერებიდან ამ ფორმის სათანადო ანალოგიად ფშაური კაფიობა გამოდგება. ისლანდიურ სიმღერას დრამატული ელფერი დაჰკრავს. სხვა სიმღერაში ღმერთები ისე გაადამიანურებულად არ გამოიყურებიან, როგორც სიმღერაში ჰარბარდზე .

ამ სიმღერის რეალისტურ შინაარსს შეესაბამება მისი მხატვრული ფორმაც: თავისუფალი დამოკიდებულება სტროფული წყობისადმი, უთანაზომო სტრიქონები, პროზაიზმები. ამ მხრივ, სიმღერა ჰარზარდზე განსხვავდება უფროსი ედას თითქმის ყველა სიმღერისაგან. მკვლევართა უმრავლესობა სიმღერას ჰარზარდზე წარმართობისდროინდელ ნაწარმოებად მიიჩნევს.

\* ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ნ - გოლიათების მხარიდან.

(8. I) ჰ ი ლ დ ო ლ ფ ი - გამოგონილი პერსონაჟის სახელია. ასეთსავე გამოგონებას მიმართავს ოდინი (ჰარზარდი) ამ სიმღერის მე-16 და მე-20 სტროფებში. მისგან განსხვავებით, თორი სინამდვილეში არსებულ თავის ნათესავებს (ან მტრებს) ასახელებს.

(9.II) თ უ მ ც ი რ გ ვ ლ ი ვ მ ტ რ ე ბ ი ა - თორი თავს მტრების (გოლიათების) მხარეში თვლის მანამ, სანამ სრუტეს არ გაივლის.

(15. III) ჰ რ უ ნ გ ნ ი რ ი - გოლიათი, რომელიც თორმა მოკლა.

(18. V, VI, VII) გ რ ე ხ დ ნ ე ნ ქ ვ ი შ ი ს ა გ ა ნ ქ ა ლ წ უ ლ ნ ი ბ ა წ ა რ ს ა - ე.ი.

შეუძლებელს კისრულობდნენ, ოდინის (ჰარზარდის) სურვილებს ეწინააღმდეგებოდნენ.

(19. I) თ ი ა ს ი - გოლიათი, მე ალვალდისა. უმცროს ედაში მოთხოვნილია, რომ იგი მოკლეს ღმერთებმა. ოდინმა ცისაკენ გატყორცნა მისი თვალები, რომლებიც წყვილ ვარსკვლავად იქცნენ. უფროსი ედას მიხედვით კი იგი მოკლა თორმა, ლოკის დახმარებით.

(20. II) ღ ა მ ი ს ქ ა ლ მ ხ ე დ ა რ ნ ი - ავსულნი, კუდიანი ქალები.

(24. I) ვ ა ლ ა ნ დ ი - აქ ბრძოლის ველთა ქვეყანას აღნიშნავს.

(24. V, VII) ო დ ი ნ ს ი ა რ ლ ე ბ ი . . . თ ო რ ს - მ ო ნ ა ც ხ ე დ რ ე ბ ი - ამ სიტყვებით ოდინს სურს დასცინოს თორს, დაამცროს იგი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ოდინი იარღების (თავდების) ღმერთია, თორი კი - მონებისა.

(26. III, IV) შ ე ნ ე რ თ ხ ე ლ შ ი შ ი ს ა გ ა ნ შ ე მ ვ ე რ ხ ე ლ თ ა თ მ ა ნ შ ი . . . უმცროს ედაში მოთხოვნილია მითი იმის შესახებ, თუ როგორ გაათია ღამე ერთხელ თორმა, თავის თანამგზავრებითურთ, გოლიათ სკირმირის ( თუ ფილარის) ხელთათმანში, რომელიც მას სახლი ეგონა, ხოლო გოლიათის ხვრინვა მიწისძვრად მიიჩნია. სკირმირმა ისე მაგრად მოუკრა ღვედით თავი სანოვაგიან ტომარას, რომ თორმა ვერ შეძლო მისი გახსნა. ველარ აცხიკვებდი, ველარც ახველებდი - ამ ადგილას ნაცვლად სიტყვისა - ახველებდი , - ორიგინალში უცენზურო სიტყვაა ნახმარი.

(29. III) ს ვ ა რ ა ნ გ ი - რომელიღაც გოლიათის სახელი. სვარანგის შვილები - გოლიათები.

(37. I) ბ ე რ ს ე რ კ ე ბ ი - მრისხანე მეომრები, რომელთა სხეულსაც მახვილი ვერ ჭრიდა. ბ ე რ ს ე რ კ თ ა ც ო ლ ე ბ ი - გოლიათი ქალები.

(37.II) ჰ ლ ე ს ე ი - კუნძულის სახელწოდებაა.

(39. VI) თ ი ა ლ ფ ი - თორის მსახური.

(42. IV) - ძნელდება გარკვევა, თუ რას მიგვანიშნებს ჰარზარდის სიტყვები 42-ე, 44-ე, 46-ე სტროფებში. სავარაუდოა, ისინი წარმოადგენენ რაღაც თქმულებათა ანარეკლებს.

(48. II) ს ი ფ ი - თორის მეუღლე.

(52. II) ა ს ა თ ო რ ი - თორი.

(53. IV) მ ა მ ა ი მ ა გ ნ ი ს ა - თორი.

(56. VI) ვ ე რ ლ ა ნ დ ი - კაცთა მოდგმის მხარე.

(56.VII) ფ ო რ გ ი ნ ი - თორის დედა.

სიმღერა ჰიმირზე.  
(ჰემირსკვიდჰა).

სიმღერა ჰიმირზე ბალადური ხასიათის თხრობითი ლექსია და წარმოადგენს სამი მითის კონტამინაციას: 1 - როგორ იშოვა თორმა სალუდე ქვაბი, 2 - როგორ იჭერდა იგი მსოფლიო გველს და 3- როგორ დაკოჭლდა თორის თხა. გარდა ამისა, სიმღერა ჰიმირზე გამოყენებულია ორი ზღაპრული მოტივი: 1 - მზეთუნახავი ეხმარება გმირს და 2 - თასი, რომლის გატეხვაც მხოლოდ მისი მფლობელის შუბლზე დარტყმით შეიძლება. თავისი ფორმით სიმღერა ჰიმირზე სკალდების პოეზიას უახლოვდება: მასში უხვად გვხვდება ე.წ. კენინგები, ხელოვნური რთული სიტყვები, ირიბი თქმები, სინტაქსური გადატანანი (ანჟამბემანები) სტრიქონიდან სტრიქონში და სტროფიდან სტროფშია.

(1. VI) და ი წ ყ ე ს ჩ ხ ი რ თ ა ყ რ ა - ე.ი. იწყებს მკითხაობა. ჩხირებზე, რომლებითაც მკითხაობდნენ, ამოჭრილი იყო რუნები. ტაციტის ცნობით, ასეთი მკითხაობა გავრცელებული ყოფილა გერმანულ ტომებში.

(1. VI) ს ი ს ხ ლ ს და ს ჩ ე რ ე ბ ო დ ნ ე ნ - ძველ გერმანელებში მსხვერპლად შეწირულ ადამიანთა სისხლით მკითხაობაც ყოფილა გავრცელებული.

(1. VII) ე გ ი რ ი - ზღვის გოლიათი. ეგირ გოლიათს ბლომად აქვს ქვაბები - მაგრამ, როგორც მომდევნო (მე-2 და მე-3) სტროფებიდან ირკვევა, არა სალუდე ქვაბები.

(2. II) კ ლ დ ე თ ა ბ ი ნ ა და რ ი - ეგირი.

(2. III) ძ ე ს ა მ ი ს კ ო რ ბ ლ ი ნ დ ი ს . . . - ე.ი. თვით ეგირს.

(2. VI) ძ ე ი ი გ რ ი ს ა - თორი. იგრი - ოდინი.

(3. I) ჰ ლ ო რ ი დ ი - თორი.

(4. VII) თ ი რ ი - ცალხელა ღმერთი, ძე ოდინისა. ადრე - ომის და სამართლის ღვთაება. შემდეგში მას ეს ფუნქციები წაართვეს ოდინმა და სხვა ღმერთებმა. როგორც ჩანს, ამ სიმღერაში დავიწყებულია ასეთი წარმომავლობა თირისა, რადგან აქ იგი გოლიათ ჰამირის ვაჟიშვილად არის მიჩნეული. თირის კულტი გავრცელებული ყოფილა როგორც სკანდინავიის ხალხებში, აგრეთვე დასავლეთ გერმანელებშიც.

(7. IV) ე გ ი ლ ი - გოლიათი, რომლის შესახებაც არის საუბარი აგრეთვე ამ სიმღერის 38-ე სტროფში.

(11. IX) მტერი ჰროდრისა - თორი. ჰროდრი - გოლიათი.

(11. X) ვ ე ო რ ი - დამცველი.

(15. IV) ს ა მ ნ ი ვ შ ე ს აწ ვ ა ვ ა და ჩ ა ა წ ყ ვ ე ს ო რ მ ო შ ი - ასეთი საშუალება ხორცის შეწვისა გავრცელებული ყოფილა ავსტრალიის ველურებში და აგრეთვე სხვა ხალხებშიაც. ხორცს შეახვევდნენ ფოთლებში და ჩადებდნენ ორმოში გახურებულ ქვებს შორის. ორმოს ზემოდან დააყრიდნენ მიწას.

(16. II) ჰ რ უ ნ გ ნ ი რ ი ს მ ე გ ო ბ ა რ ი - ჰიმირი. ჰრუნგნირი - სახელი რომელიღაც გოლიათისა.

(19. IV) . . . მ ა ლ ა ლ ი რ ქ ე ბ ი ს ა კ ო შ კ ი უ მ ტ კ ი ც ე ს ი - ხარის თავი.

(20. I) თ ხ ა თ ა პ ა ტ რ ო ნ ი - თორი.

(20. II) მ ო დ გ მ ა მ ა ი მ უ ნ ი ს - ჰიმირი. მაიმუნსი ხსენება ისლანდიურ სიმღერაში შეიძლებაოდა მხოლოდ ქრისტიანული ლიტერატურის გავლით.

(22. II) მ კ ვ ლ ე ლ ი გ ვ ე ლ ი ს ა - თორი. ასე უწოდებენ მას, რადგან ღმერთთა დაღუპვის დროს მან უნდა მოკლას მსოფლიო გველი.

(22. VIII) ს ა რ ტ ყ ე ლ ი მ ი წ ი ს ა - მსოფლიო გველი ორმუნგანდრი.

(23. VI) თ ხ ე მ ი ბ ა ლ ნ ი ს ა - თავი.

(23. VIII) ნ ა შ ი ე რ ს მ გ ლ ი ს ა ს ა - მსოფლიო გველს.

- (26. V) თ ხ ა ტ ა ლ დ ე ბ ი ს ა - ნავი.
- (27. IV) ზ დ ვ ი ს ც ხ ე ნ ი - ნავი.
- (27.VII) ტ ა ხ ნ ი ზ დ ვ ი ს ტ ა ლ დ ა თ ა - ვეშაპები.
- (31. VI) ს ა ყ რ დ ე ნ ი ზ უ ჩ ი ს ა - თავი.
- (31. VII) მ ო მ ტ ა ნ ი ლ უ დ ი ს ა - თასი.
- (33. IV) ხ ო მ ა ლ დ ი ლ უ დ ი ს ა - ლუდის მოსახარში ქვაბი.
- (34. I) მ ა მ ა მ ო დ ი ს ა - თორი.
- (36. III) მ ო ლ ნ ი რ ი - ურო თორისა.
- (36. VI) უ დ ა ბ ნ ო ს ვ ე შ ა პ ნ ი - გოლიათები. უდაბნოში იგულისხმება ე.წ. ლავის მინდვრები, რომლებიც განსაკუთრებულ უდაბურ ადგილებად ითვლებოდნენ ისლანდიაში და სწამდათ, რომ გოლიათები სწორედ ასეთ ადგილებში ცხოვრობდნენ.

ეგირის ნადიმი ანუ ლოკი თათხავს ღმერთებს.  
(Oეგისდრეკვა ედა Lოკასენა).

შინაარსობრივად ეს სიმღერა წარმოადგენს ლოკის მიერ ღმერთების ლანძღვაგინებას. ლოკი გამომწვევად ეკამათება და თათხავს შვიდ ღმერთსა და შვიდ ქალღმერთს, რომლებიც ნადიმად შეკრებილან ზღვის გოლიათ ეგირთან. ყოველ მათგანთან ცალ-ცალკე ებმის პაექრობაში, ამხილებს და ბრალსა სდებს მათ, - ზოგს სიმხდალეში, ზოგსაც უზნეობაში (გარყვნილებაში).

ჟანრული თვალსაზრისით ეგირის ნადიმს ემსგავსება სიმღერა ჰარბარდზე , თუმცა, როგორც კომპოზიციური სრულყოფით, აგრეთვე სტროფული ფორმის გამოკვეთით, იგი უდავოდ ჩამოუვარდება პირველს.

მკვლევართა უმრავლესობა ეგირის ნადიმს წარმართობის ეპოქას აკუთვნებს.

ეგირის ნადიმის პერსონაჟები, ისე როგორც, საზოგადოდ, სკანდინავიური ეპოსის წარმართულ ღვთაებათა წარმომადგენლები, თავიანთი ბუნებით უადრესად რალურნი, ადამიანურნი არიან.

1. . . რ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა ც ა ხ ლ ა ხ ა ნ ი ყ ო ს ა უ ბ ა რ ი - იგულისხმება სიმღერა ჰიმირზე .
2. ბ რ ა გ ი - პოეზიის ღმერთი, აგრეთვე სახელი ნორვეგიელი სკოლისა (IX ს.), რომლის ლექსებმაც ჩვენს დრომდე მოაღწია.
3. ი დ უ ნ ი - გამაახალგაზრდავებელი ვაშლების მფლობელი ღმერთქალი. სიტყვასიტყვით აღნიშნავს განმაახლებელს.
4. ბ ი გ ვ ი რ ი დ ა ბ ე ი ლ ა - ამ ღვთაებათა ფუნქციების გარკვევისას მათ საკუთარ სახელებზე მიუთითებენ და ვარაუდობენ, რომ პირველი მათგანი მიჩნეული იყოს თესვის (მიწათმოქმედების), ხოლო მეორე - მესაქონლეობის ღვთაებად.
5. ფ ი მ ა ფ ე ნ გ რ ი - მარჯვე მშოვნელი.
6. ე ლ დ ი რ ი - მზარეული.

(6.III) ლ ო ფ ტ რ ი - ლოკი.

(9. II, III) . . . უ რ თ ი ე რ თ ს ს ი ს ხ ლ ი შ ე ვ უ რ ი ე თ - ე.ი. ერთმანეთს ძმობა შევფიცეთ.

(10. II) მ გ ლ ი ს მ ა მ ა - ლოკი, მგელი ფენრირი დაბადა გოლიათმა ქალმა ლოკისთან შეუღლების შემდეგ.

(13. I, VII) - ლოკის სიტყვებით, ბრავის არც ცხენის შოვნა შეუძლია და არც ბეჭდიდა, ვინაიდან იგი მას მხდალად თვლის.

(16. V, VI) . . . შ ვ ი ლ ნ ი შ ვ ი ლ ო ბ ი ლ ე ბ ს შ უ დ ლ ი თ წ ა ე კ ი დ ო ნ ! - შვილები ოდინისა - ასები, შვილობილები - ლოკი და ვანები (ე.ი. ნორდი, ფრეირი და ფრეია).

(17. V, VI) - იმის შესახებ, რაშია აქ ლოკი ბრალსა სდებს იდუნს, სხვა წყაროებში არაფერი არ არის ნათქვამი. ასევე შეიძლება ითქვას იმ ბრალდებებზეც, რომლებსაც ლოკი უყენებს გეფიონს (მე-20 სტროფი), ფრეიას (32-ე სტროფი) და სკადის (52-ე სტროფი).

(20. I) გ ე ფ ი ო ნ ი - ღმერთქალი, რომლის შესახებ ცნობებს დანიურ თქმულებებშიც ვხვდებით. მაგალითად, ნათქვამია, რომ მან შვეციას კუნძული ზელანდია ჩამოახნა გუთნით, რომელშიაც შებმული ჰყავდა ხარებად ქცეული თავისი ოთხი ვაჟიშვილი.

(24. II, III) - ჯადოსნობა ქალების საქმედ იყო მიჩნეული, ხოლო მამაკაცებისათვის იგი სამარცხვინო ხელობად ითვლებოდა ე. ი. ლოკი ბრალსა სდებს ოდინს, ქალის ხელობა ეწოდოდა.

(26. IV) ვ ი დ რ ი რ ი - ოდინი.

(26. V) ვ ი ლ ი და ვ ე - ოდინის ძმები - ბურისა და ბესტლას შვილები. სწორი სტურლუსონი გადმოგვცემს თქმულებას, რომლის მიხედვით, ოტინის მეუღლე ფრიგი, ოდესღაც, ქმრის ხანგრძლივად შინ არყოფნის დროს, ცოლად ჰყავდათ ვილისა და ვეს.

(34.III) - სხვა წყაროების მიხედვით, ნორდი ვანების მიერ მძევლად წარგზავნილი იყო არა აღმოსავლეთს (მარშრიყს), არამედ ასებთან.

(35. IV) . . . ვ ა ჟ ი გ ა ვ ზ ა რ დ ე . . . - ე.ი. ფრეირი.

(36. IV, V) - მითი, რომლის მიხედვით ნორდს საკუთარ დასთან კავშირის შედეგად შეეძინა ქალ-ვაჟი, მიგვითითებს იმაზე, რომ ვანების კულტი, თავისი წარმოშობით მატრიარქატის ეპოქას უკავშირდება.

(38. VI) - მითი მოგვითხრობს, რომ ღმერთებმა მოტყუებით შემოჭეს მგელი ფენრირი: დაჰპირდნენ, რომ ისევე გაუშვებდნენ. პირობის ასრულების საწინდრად თირმა მგელს მარჯვენა ხელი ჩაუდო პირში და, რადგან ასებმა პირობა დაარღვიეს, მგელმა თირს ხელი მოაჭამა.

(39.II) ჰ რ ო დ ვ ი ტ ნ ი რ ი - მგელი ფენრირი.

(42. VI) მ ი რ კ ვ ი ნ დ ი - ბნელი (დაბურული) ტყე, რომელიც სადღაც, სამხრეთის საზღვარზე, მდებარეობს.

(43.I) ი ნ გ უ ნ ა რ - ფ რ ე ი რ ი - უფალი ინგვეონებისა. ი ნ გ ვ ე ო ნ ე ბ ი - დასავლეთ გერმანელთა ტომების კავშირი. ფრეირის კულტი ამ ტომებშიაც ყოფილა გავრცელებული.

(45.V) ჰ რ ო ფ ტ ი - ოდინი.

(49.IV, V, VI) შ ე ნ ღ მ ე რ თ ნ ი შ ე ნ ი ვ ე შ ვ ი ლ ი ს ნ ა წ ლ ა ვ ე ბ ი თ კ ლ დ ე ზ ე მ ი გ ა კ რ ა ვ ე ნ - სკადის ეს მუქარა ლოკისადმი მართლაც ადასრულეს ღმერთებმა (იხ. ქვემოთ - სიმღერის დასასრულს).

(54.V, VI) - ლოკი, გადაკრული სიტყვებით მოაგონებს სიფის, რომ მან ოდესღაც უღალატა საკუთარ ქმარს - თორს. ჰლორდი - თორი.

(57.V) კ ლ დ ე მ ხ რ ე ბ ი ს ა - თავი.

(58.I) ძ ე ი ო რ დ ი ს ა - თორი. ორდი - გოლიათი ქალი, ოდინის სატროფო. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - დედამიწა.

(61. VI) ჰ რ უ ნ გ ი რ ი ს და მ დ უ პ ვ ე ლ ი - ურო თორისა - მოლნირი, რომლითაც თორმა მოკლა გოლიათი ჰრუნგნირი.

\* ეს პროზაული მოთხრობა ლოკის დასჯაზე თითქმის ზუსტად ემთხვევა მითს, რომელიც შეტანილია უმცროს ედაში .

სიმღერა თრიმზე.

სიმღერა თრიმზე მოგვითხრობს, თუ როგორ დაიბრუნა თორმა დაკარგული ურო - მოლნირი, რომელიც მას ღამით გოლიათმა თრიმმა მოსტაცა. არც ერთ სხვა ადრინდელ წყაროში ეს სიუჟეტი არ გვხვდება, მაგრამ, სამაგიეროდ, გავრცელებულია გვიანდელი ეპოქის ძეგლებში.

(1.I) ვ ი ნ-თ ო რ ი - თორი.

(3. I) ფ რ ე ი ა - ნაყოფიერებისა და მშობიარობის ღვთაება. ულამაზესი ღმერთქალი.

(6.I) თ რ ი მ ი - გრგვინვა. სახელი რომელიღაც გოლიათისა.

(8. III) ჰ ლ ო რ ი დ ი - თორი.

(14.VI) ბ რ ი ს ი ნ გ ე ბ ი - ჯუჯათა რომელიღაც მოდგმა. ბრისინგთა ამბარჩა - ცნობილი განძი - ყელსაბამი, რომელსაც ატარებს ფრეია ანდა ფრიგი.

(31.VII) ვ ა რ ი - ღმერთქალი, ამ შემთხვევაში - შეუღლების მფარველი. სიტყვასიტყვით: ზავი, ხელშეკრულება. იგი, საზოგადოდ, ძალზე იშვიათად იხსენიება.

სიტყვა ალვისისა.

ჯუჯა ალვისი თორის ასულზე დაინიშნა, როდესაც თორი შინ არ იყო. შინ დაბრუნებისას თორმა ალვისი (რაც ყოვლისმცოდნეს ნიშნავს) სხვადასხვა შეკითხვებით მზის ამოსვლამდე დააყოვნა და, ამრიგად, ქვად აქცია (ხალხური რწმენით, ქვესკნელის ბინადარნი მზის შუქზე ქვებად იქცევიან). ეს თქმულება დაედო საფუძვლად სიმღერას - სიტყვანი ალვისისა , რომელიც წარმოადგენს თორსა და ალვისს შორის გამართულ დიალოგს.

ზოგიერთი მკვლევარი ამ სიმღერას წარმართობის პერიოდს აკუთვნებს. მკვლევართა უმრავლესობის აზრით კი იგი XII საუკუნის შუა ხანებზე ადრე არ უნდა იყოს შექმნილი. ამასთანავე ვარაუდობენ, რომ სიტყვანი ალვისისა მიბაძვას სიმღერისა - სიტყვანი ვაფთრუდნირისა .

(1. I) ს კ ა მ ე ბ ს ა ლ ა გ ე ბ ე ნ - ლხინისათვის ემზადებიან.

(2.II) რ ა დ გ ა ფ ი თ რ ე ბ უ ლ ხ ა რ . . . - ჯუჯებს მკრთალი ფერი ადევთ, რადგან ისინი მიწისქვეშ ბინადრობენ.

(3. IV) მ ე ე ტ ლ ე - თორი. მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია ეტლი, რომლითაც ჩვეულებრივ მგზავრობს და რომელშიაც თხებს აბამს ხოლმე.

(6. III) ს ი დ გ რ ა ნ ი - ოდინი. სიტყვასიტყვით ნიშნავს - გრძელ წვერებს.

(17. III, IV) ჯ უ ჯ ე ბ ი - დ ვ ა ლ ი ნ ე ს მ ე გ ო ბ რ ა დ . . . სიტყვა მეგობრად აქ ირონიით არის ნათქვამი, რადგან მზე ჯუჯების მტერია: იგი მათ აქვავებს.

სიმღერა სვიპდაგრზე.

სიმღერა სვიპდაგრზე , თავისი წარმოშობით X საუკუნის დასასრულს განეკუთვნება. მასში წარმოსახული მითური და ფოლკლორული მოტივები უძველესი დროიდანაა.



სიმღერა სვიპდაგრზე მკვლევართა მიერ მიჩნეულია მითოლოგიური სიმღერებიდან საგმირო სიმღერებზე გარდამავალ მიჯნად. სიმღერის მთავარი პერსონაჟი არის არა ღმერთი, არამედ ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ შემორჩა მზის ღვთაების ნიშნები.

1. ს ვ ი პ დ ა გ რ ი (ჩქარი დღე) ჯერ კიდევ ყრმობის ჟამს დანიშნეს მშვენიერ ასულ მენგლოდზე. დედა სვიპდაგრისა - ბრძენი და გრძნეული გროა - ადრე გარდაიცვალა. მან ანდერმად დაუტოვა შვილს, თუკი გაუჭირდებოდა, დახმარებისათვის სამარიდან გამოემძახა სული დედისა.

(6. III, IV) რ ა ნ ი - სავარაუდოა, რომ ესაა მეტსახელი გაზაფხულისა და სინათლის ღვთაებისა - ბალდრის ძმისა - ვალისა.

რ ი ნ დ ი - ვალის დედა.

(13. V VIII) - განსაკუთრებულ საშიშროებად ითვლებოდნენ გარდაცვლილი კუდიანი ქალები, რომლებიც ხალხის რწმენით, ღამღამობით გამოდიოდნენ საფლავებიდან, რომ რაიმე ვნება მიეყენებინათ ადამიანებისათვის.

(1. VII, VIII) - მოტივი ცეცხლის გალავნით გარშემოვლებული ეზოსი (ან ციხე-სიმაგრისა), საზოგადოდ, გავრცელებული მოტივია ხალხურ ეპიკურ ძეგლებში.

(4.V) ფ ი ო ლ ს ვ ი დ რ ი - დიდად გონიერი, ბევრის მცოდნე.

(8. III) ს ვ ა ფ რ თ ო რ ნ ი - მენგლოდის პაპა მამის მხრივ.

(10. V-VIII) - ე.ი. ჯადოსნური ჭიშკარი თრიმგოლი იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვინც მის მოხსნა-ჩამოღებას შეეცდება, იგი იმ ჯადოსნურ ჯუჯათა ტყვეობაში აღმოჩნდება, რომლებმაც აღნიშნული ჭიშკარი ააგეს.

(12.II) ლ ე ბ რ ი მ ი რ ი - თიხის გოლიათი; ამ შემთხვევაში სავარაუდოა, რომ აქ საქმე გვაქვს თიხის აღმნიშვნელ მეტაფორასთან, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ საუბარი რომელიღაც რეალურ არსებას შეეხებოდეს.

(14.III, IV) გ ე რ ი და გ ი ფ რ ი - ორივე სახელი ცალ-ცალკე ნიშნავს (ხარბს), (გაუმაძღარს). გერი ჰქვია აგრეთვე ოდინის ერთ-ერთ მგელს.

(20.I) მ ი მ ა მ ე დ რ ი - მიმირის ხე - ერთი მრავალ სახელწოდებათაგანი მსოფლიო ხის - იფან იგდრასილისა.

(21.) - ამ სტროფის შემდეგ, როგორც ჩანს, გამოტოვებულია, - სულ მცირე, - ორი სტროფი: ფიოლსვიდრის პასუხი სვიპდაგრის კითხვაზე და სვიპდაგრის მიერ დასმული მომდევნო ახალი კითხვა.

(24.I) - სავარაუდოა, ვიდოფნირი იმავე მამლის სახელწოდება იყოს, რომელსაც ვოლვას წინასწარმეტყველებიდან გულინკამბის სახელწოდებით ვიცნობთ და რომელიც ყოველ დილით აღვიძებს ვალჰალის ბინადრებს.

(24.VIII) ს უ რ თ რ ი - გოლიათი (მუსპელის ცეცხლის სამეფოდან). სინმარა - მეუღლე გოლიათ სურთრისა. იგი ინახავს იარაღს, რომლითაც ვიდოფნირის მოკვლა შეიძლება.

(26.III) ლ ო პ ტ რ ი - ღვთაება ლოკი.

(34. I-VIII) - ამრიგად, ასების ოჯახიდან მენგლოდის სასახლის ეზოს მოწყობაში მონაწილეობს მხოლოდ ლოკი. ასების ოჯახს აკუთვნებენ ზოგჯერ დელინგრსაც. დანარჩენი, ჩამოთვლილი სახელთაგან, ჯუჯების სახელებია. ფიოლსვიდრის პასუხები არა მარტო მენგლოდის სასახლის ეზოს მოწყობას შეეხება, არამედ მთელი სამყაროს მოწყობის საიდუმლოებასაც. ამ შემთხვევაში, ლოკი გვევლინება ქაოსის წარმომადგენლად.

სიმღერა ვოლუნდზე.

სიმღერა ვოლუნდზე საგმირო და მითოლოგიური სიმღერების საზღვარზე დგას. ერთის მხრივ, მისი მთავარი გმირი - ვოლუნდი - ჯადოსანი მჭედელია და ალფების თავადი, თქმულება მის შესახებ არავითარ ისტორიულ წყაროს არ ემყარება; მეორეს მხრივ, ყურადღებას იპყრობს სიმღერაში აღწერილი მოქმედების რეალური ლოკალიზაცია: ვოლუნდი ფინების კონუნგია, ხოლო მისი მოწინააღმდეგე - ნიდუდი, - სვიტიოდისა (შვეცია).

\* უ ლ ფ დ ა ლ ი რ ი - მგლების ველი.

\*\* უ ლ ფ ზ ი ა რ ი - მგლის ტბა.

\*\*\* ს ვ ა ნ ფ ი ტ ი - გედივით თეთრი.

\*\*\*\* ა ლ ფ ი ტ ი - ყოვლისმცოდნე.

(8.IV) ე რ თ ი გ ა დ ა მ ა ლ ე ს - გადამალული ბეჭედი ეკუთვნოდა ვოლუნდის მეუღლეს - ვალკირია ალფიტს - (იხ. მე-18 სტროფი). ნიდუდმა ეს ბეჭედი თავის ასულს, ბოდვილდს, აჩუქა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბოდვილდი ვოლუნდის მეუღლე გახდა. (იხ. სტროფები: 24-28). მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს იყო ჯადოსნური ბეჭედი, რომლის შემწეობითაც ვოლუნდს შეეძლო ფრენა, რის საშუალებასაც იგი მოკლებული იყო, სანამ დაკარგულ ბეჭედს უკან არ დაიბრუნებდა (იხ.27-ე სტროფი).

(10. VI) ჰ ლ ო დ ვ ე რ ი ს ა ს უ ლ ი - ალფიტი.

(14. II) ტ ვ ი რ თ ი გ რ ა ნ ი ს ა - ოქრო. გრანი - სიგურდის ცხენი.

(14. III,IV) მ თ ე ბ ი რ ა ი ნ ი ს ა შ ო რ ს ა რ ი ს . . . - ე.ი. მთები, სადაც ოქრო მოიპოვება.

(15. VII, VIII) - საუბარია ნიდუდის მეუღლეზე.

(28.I) ა ხ ლ ა ა ვ ფ რ ი ნ დ ე ბ ი . . . ფ რ თ ე ბ ი თ ა , ნ ი დ უ დ ი ს მ ს ა ხ უ რ თ რ ო მ დ ა მ ა ჭ რ ე ს . - სავარაუდოა, ფრთებში, რომელთა შესახებ წინა სტროფებში არა არის რა ნათქვამი, იგულისხმებოდეს მყესები, რომლებიც ვოლუნდს ნიდუდის მეუღლის ბრძანებით გადაუჭრეს. თუ ეს ასეა, მაშინ 28-ე სტროფის მე-6 სტრიქონი - ამაღლდა ჰაერში - ფეხზე წამოდგომას უნდა გულისხმობდეს; მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარი დარჩება 36-ე და 37-ე სტროფები, რომლებშიც სახელდობრ ჰაერში (ღრუბლებში) ფრენაზეა საუბარი.

(32.I) პ ი რ ვ ე ლ შ ე მ ო მ ფ ი ც ე . . . - ამ ფიცის აზრი და დანიშნულება შემდეგში მდგომარეობს: თუ ნიდუდი აღნიშნულ ფიცს სიმართლით არ წარმოთქვამს, მისი ხომალდი ზღვაში ჩაიძირება, ბრძოლის ჟამს ცხენი დაუვარდება, ფარი არ უფარებს და მისივე შუბი განგმირას.

პირველი სიმღერა ჰელიგზე, ჰუნდინგის მკვლელზე.

თქმულება ჰელიგზე, ჰუნდინგის მკვლელზე - უდავოდ სკანდინავიური (დანიური) წარმოშობისა. სიმღერაში მოტანილ ზოგიერთ საკუთარ სახელთა მიხედვით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქმულებას საფუძვლად უდევს რეალური ისტორიული მოვლენები, რასაც ადგილი ჰქონდა V საუკუნეში. ნაწილი გეოგრაფიული სახელებისა, ჩანს, მთქმელის გამონაგონია და ზოგად სახელებად არის გააზრებული: ჰიმინფოლი - ციური მთები (თარგმანში - ცადაწვდილი მთები - 1 სტროფი), ლოგაფოლუმი - ცეცხლოვანი მთები (მე-13 სტროფი), ჰიმინვანგეთი - ციური მინდვრები და ა.შ. თავისი შინაარსით, სიმღერა სკალდების სახოტბო სიმღერებს გვაგონებს.

(3. VIII) მ თ ა ვ რ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი - ზეცა.

(4. V) დ ა ნ ე რ ი ს ა - ნორნა.

- (5.II) დ ი დ ე ბ უ ლ ი ი ლ ფ ი ნ გ ი - სიგმუნდი, მამა ჰელგისა და აგრეთვე სიგურდისა - ფაფნირის მკვლელისა. ილფინგები დასაბამიდან დანიურ მოდგმას ეკუთვნოდნენ, მაგრამ ამ სიმღერაში ისინი გაიგივებულნი არიან ვოლსუნგებთან.
- (7. VII, VIII) ხ ა ხ ვ ი რ ა მ კ ე თ ი ლ ი ს ძ ღ ვ ნ ა . . . - საუბარია საწესო ჩვეულებაზე, რომლის მიხედვით მიწების სამემკვიდრო მფლობელობაში გადაცემისას სიმბოლურ ნიშნა მიუტანდნენ რაიმე ბალახოვან მცენარეულს, რომელთაგანაც ყველაზე კეთილშობილად ითვლებოდა ხახვი, ხალხური რწმენა მას სამკურნალო და ჯადოსნურ თვისებებს მიაწერდა.
- (8. VII) გ ვ ე ლ ი ს ს ი ს ხ ლ ი ს ა - მახვილი.
- (8. VIII) ძ მ ა ს ი ნ ფ ო ტ ლ ი ს ა - ჰელგი.
- (9. III) ხ ე კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი - ჰელგი.
- (9. IV) მ ა ხ ვ ი ლ ი მ ა მ ა ც თ ა - ჰელგი.
- (12. VI, VII) ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი რ კ ი ნ ი ს შ უ ბ ე ბ ი ს ა - ომი.
- (13. II) მ ა ხ ვ ი ლ თ ა კ რ ე ბ ა - ბრძოლა, ომი.
- (13. VI) ფ რ ო დ ი - მითიური მეფე, ოდინის შთამომავალი, რომელსაც მიეწერება მშვიდობის, ბედნიერებისა და სიმდიდრის სასუფევლის შექმნა ქვეყნად.
- (13. VIII) ვ ი დ რ ი რ ი ს ძ ა ლ ლ ე ბ ი - მგლები. ვიდრირი- ოდინი.
- (14. VII) მ ი მ ი რ ი ს შ უ ბ ე ბ ი - მეომრები.
- (20.I) ი ს უ ნ გ ი ს მ კ ვ ლ ე ლ ი - ჰოლბროდი. ისუნგის ვინაობა გაურკვეველია.
- (23. VI) ჰ ო რ ლ ა ი ფ ი - ჰელგის ერთ-ერთი თანამგზავრი.
- (28. II) დ ე ბ ი კ ო ლ გ ა ს ი - ტალღები. კოლგა - ზღვის გოლიათ ეგირის ერთ-ერთი ასული.
- (29. VI) ე გ ი რ ი ს ა ს უ ლ ი - ტალღა.
- (30. V) რ ა ნ ი - ეგირის მეუღლე.
- (30. VII) ზ ღ ვ ი ს ი რ ე მ ი - ხომალდი.
- (32. I) გ უ დ მ უ ნ დ ი - ჰოდბროდის უმცროსი ძმა.
- (33. II, III) ფ ა რ ი . . . წ ი თ ე ლ ი - ბრძოლის ნიშანი.
- (36.XI, XII) შ ე ნ ქ ვ ა თ ა ყ რ ი ლ ე ბ ზ ე ლ ო კ ა ვ დ ი ჭ რ ი ლ ო ბ ე ბ ს - ნორვეგიაში ჩვეულებად იყო ლემის დაყრა ქვაყრილებზე, სადაც შემდეგ მას ჭამდნენ მგლები. თქმულების თანახმად, სინფოტლი ერთ დროს მგლად იყო ქცეული და შემდეგ მან მოკლა თავისი ძმა.
- (42. II, III) ც ო ლ ი გ რ ა ნ ი ს ა - ჭაკი. გრანი - სიგურდის ცხენის სახელი.
- (48. X) ჰ ნ ი ფ ლ უ ნ გ ნ ი - აქ - ძენი გრანმარისა.
- (49. II) ზ ღ ვ ი ს ი რ მ ე ბ ი - ხომალდები.
- (55. IV) ი ნ გ ვ ი - ღმერთი ფრეირი.
- (55. VI) თ ა ვ ა დ ი - ჰუნდინგი.

სიმღერა ჰელგიზე, ჰორვარდის ძეზე.

სიმღერის ფრაგმენტულობა მკვლევართ აფიქრებინებს, რომ მისი გმირები სხვადასხვა თქმულებებიდან არიან კონტამინარებულნი და შემოყვანილნი ამ სიმღერაში. ასე

მაგალითად, ჰელგი - ჰუნდინგის მკვლელი, - ერთის მხრივ, სიგმუნდის ძეა, ხოლო, მეორეს მხრივ, ჰორვარდისა. ჩანს, აქ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა გმირი სახესთან, რომლებიც დროთა ვითარებაში ხალხის ფანტაზიამ ერთი გმირის პიროვნებაში გააერთიანა. საკუთარ სახელთა უმრავლესობა სკანდინავიურია, ხოლო ზოგიერთი კი ჩრდილო გერმანული წარმოშობისაა (სვაფა, სვაფნირი, სირილინი). გეოგრაფიული სახელები გამონაგონია.

ატლიმკონუნგსვაფნირთანგაატარაზამთარი - ე.ი. არ უნდოდა თავისი მიზანი უცებ გაემჟღავნებინა.

\*\* ფრანმარიერქვასიგრლინისალმზრდელიარლს. . . - მიღებული იყო, რომ დიდებულნი თავიანთ შვილებს აღსაზრდელად აძლევდნენ წოდებრივად უფრო დაბალ საფეხურზე მდგომ პირთ.

\* სახლზეიჯდადიფრინველი. . . - როგორც ჩანს, აქ საუბარია იმავე ფრინველზე, რომელიც სიმღერის დასაწყისშივე გვხვდება, მაგრამ ეს სიუჟეტური ხაზი ბოლომდე შენარჩუნებული არაა, მივიწყებულია.

(6. V) ადრეჰმობსარწივი - მომავალი გმირისათვის სავალდებულო იყო, სიყმაწვილეშივე გამოეკვლინებინა გმირობა.

(7. III, IV). . . სახელთანერთად, სართადრასმომაგებ? - იგულისხმება, ვინც არქმევს სახელს, - იძლევა საჩუქარს.

(9. I VIII) - ამ სტროფში საუბარია ნახატებზე, რომლებსაც ამოჰკვეთდნენ მახვილის ტარსა და პირზე.

(14. V, VI) - ნავის ქიმზე აყენებდნენ, სხვებთან შედარებით, უფრო მამაცსა და გამბედავ მეომრებს.

(15. I, II) ატლიდსახელმდეებენ, თრთოდე, ცახცახებდე. . . - ორიგინალში ეს სტრიქონები წარმოადგენენ სიტყვათა თამაშს: სახელი ატლი და ფორმა ზედსართავისა - საშინელი - ჟღერნი ერთნაირად.

(15. VI) დამისმხედრები - კუდიანი ქალები.

(18. V) ზღვისგოლიათის - ეგირის ცოლი.

(29. III) სიკვდილისრუნები - რუნები, რომლებსაც იარაღზე ამოკვეთდნენ და სწამდათ, რომ ისინი იარღს მტრის დამღუპველ მაგიურ ძალას მიანიჭებდნენ.

(30. IV) ქვადგადაიქცევი. . . - ჰრიმგერდი გოლიათ ჰატის ასულია, ქვესკნელის ბინადარი. ხალხური რწმენით, ქვესკნელის ბინადარნი დღის სინათლეს ვერ უძლებენ და ქვაკვდებიან.

\* იოლი (იოლობა) - წარმართული დღესასწაული, რომელიც შუა ზამთარში ტარდებოდა. იგი დაკავშირებული იყო ნაყოფიერების კულტთან. ამ დღესასწაულის დროს ავ სულებთან შეხვედრა განსაკუთრებულ საშიშროებად ითვლებოდა.

\*\* - სკანდინავიურ ფოლკლორში მავნე სულები (კუდიანები, ჯადოსანი და გოლიათი ქალები) მგელზე მჯდომ მხედრებად ჰყავდათ წარმოდგენილი.

\*\*\* მანშესთავაზაჰედინს - გამაცილეო. - იგი იყო სული - ორეული ჰელგისა - ფიულგია (თანამგზავრი), რომელმაც იგრძნო ჰელგის სიკვდილის მოახლოება და იწყო სხვა პატრონის (თანამგზავრის) ძებნა.

\*\*\*\*\* ჰედინმაალთქმადადო, რომცოლადშეერთავდასვაფას - ამ ალთქმის დადება მას შთააგონა ავმა სულმა - ჯადოსანმა ქალმა (ტროლმა), რომელსაც ჰედინი იოლობის საღამოს შეხვდა მგელზე მდგომს. ტროლმა ამით შური იძია ჰედინზე, რომელმაც თანამგზავრობაზე უარი უთხრა.

\* ს უ ლ ი ს ო რ ე უ ლ ე ბ ი . . . - როგორც სიმღერის ტექსტიდან ვიცით, ჰედინს იოლოზის ღამეს ერთი ორეული შეხვდა. ჩანს, ერთ პიროვნებას რამდენიმე სული - ორეული შეიძლება ჰყოლოდა.

\*\* - მიღებული იყო ორთაბრძოლისათვის დანიშნული მოედნის შემოღობვა კაკლის ხის ტოტებით.

მეორე სიმღერა ჰელგიზე, ჰუნდინგის მკვლელზე.

ეს სიმღერაც ფრაგმენტულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მასში არ არის დაცული სიუჟეტური მთლიანობა. იგი შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს პროზაული გადასვლები. მთელს სიმღერაში თავისი სრულყოფით გამოირჩევა მისი ბოლო ნწილი - ჰელგის სიკვდილი, მისი დაბრუნება საიქიოდან და სიგურთან პაემანი. მოტივი მკვდარი მიჯნურის საიქიოდან დაბრუნებისა თავის შეყვარებულთან შესახვედრად, საერთოდ, გავრცელებული მოტივია ძველ ჩრდილოელ ხალხთა ბალადებსა და თქმულებებში. აღნიშნული ნაწილი სიმღერისა ხასიათდება დიდი ემოციურობით, რაც იშვიათი შემთხვევაა უფროს ედას სიმღერებში. სტროფების განლაგება სხვადასხვა გამოცემებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. ბოლოდროინდელ გამოცემებში და კერძოდ ჩვენს თარგმანშიც, სტროფები განლაგებულია ს. ბიუგეს გამოცემის მიხედვით. (1. IV) - იგულისხმება ჰუნდინგის მიერ ჰელგის მამის მოკვლა, რისთვისაც ჰელგიმ შური იძია ჰუნდინგზე.

(1. V) მ გ ე ლ ს ა რ უ ხ ს . . . - ე.ი. თვით ჰელგის.

(1. VII, VIII) - ჰელგი მალავდა თავის ვინაობას და თავის აღმზრდელის - ჰაგალის - შვილად აცხადებდა თავს.

\* - ვიკინგთა ლაშქრობებში ჩვეულებად იყო მოტაცებული საქონლის მირეკვა ზღვის პირას და დაკვლა.

\*\* ს ვ ა ფ ა - გმირი ქალი, სიმღერისა ჰელგიზე, ჰორვარდის ძეზე .

(5., I, II) - ჰელგი აქ თავისთავს ხუმრობით აცხადებს ჰამალად.

(6. III, IV) ვ ა ლ კ ი რ ი ე ბ ი ს ფ რ თ ო ს ნ ე ბ ი - ყორნები.

(7. V, VI) ბ რ ა გ ლ უ ნ დ ს და ვ ხ ო ც ე და თ ვ ე ბ ი - დათვებში ჰელგი მტრის მეომრებს გულისხმობს, ე.ი. ქარაგმულად საუბრობს.

\* ვ ო ლ ს უ ნ გ თ ა მ ვ ე ლ ს ი მ ღ ე რ ა დ, როგორც ჩანს წოდებულია ამავე სიმღერის მე-12-მე-16 სტროფები. მაგრამ გაურკვეველია, არის თუ არა სიმღერის ეს ნაწილი სხვა სიმღერებზე უფრო ძველი.

\* . . . როგორც ამის შესახებ ადრე იყო დაწერილი სიმღერაში ჰელგიზე - იხ. პირველი სიმღერა ჰელგიზე, ჰუნდინგის მკვლელზე .

(19. III) ს ა ო მ ა რ ი ჯ ო ხ ი - მახვილი.

\* . . . ფ ი ც ი მ ი ს ც ა ვ ო ლ ს უ ნ გ ე ბ ს - ე.ი. შეჰფიცა, რომ მამისათვის შურს არ იძიებდა.

(27. II) ჰ ი ლ დ რ ი - გმირი ქალი თქმულებისა ჰადნინგზე. სიტყვასიტყვით აღნიშნავს ომს, ბრძოლას. ჰილდრი ვალკირია იყო. იგი ღამდამობით ხელახლა აცოცხლებდა დღისით დაღუპულ თავის მეომრებს.

\* ფ ო ტ უ რ უ ლ უ ნ დ ი - ბორკილების ტყე. მკვლევარნი ფიქრობენ, რომ ამ სახელწოდებაში შემონახულია ხსოვნა სემნონების წმინდა ტყისა, რომელშიაც ტაციტის ცნობით, მხოლოდ ბორკილგაყრილ ადამიანს შეეძლო შესვლა.

(29.V) ლ ა ი პ ტ რ ი - ქვესკნლის მდინარე.

(29. VIII) უ ნ ი - სახელი ზღვის გოლიათის - ეგირის - ასულისა. პირდაპირი მნიშვნელობით - ტალღა.

(42. VII) ნ ა მ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა - სისხლი.

(43. IV) ნ ა მ ი ს ე ვ დ ი ს ა - ცრემლი.

(47. II) გ ზ ა მ ე წ ა მ უ ლ ი - დილის რიჟრაჟით შეფერადებული ზეცა.

(47. III) ფ ე რ მ ი ხ დ ი ლ ი ც ხ ე ნ ი - წინასწარი მაცნე სიკვდილისა.

(47.VII) ს ა ლ გ ო ფ ნ ი რ ი - მამალი ვალჰალაში.

\* სიმღერა კარაზე არ შემონახულა.

\* ფ რ ა კ ლ ა ნ დ ი - ფრანკების მხარე, საფრანგეთი. შესაძლოა, ეს სიტყვა თქმულების ფრანკულ წარმოშობაზედაც მიგვანიშნებდეს.

\*\* ჩემს ხელთ არსებულ ორიგინალშია - გუნარი, გერმანულ თარგმანში - ბორგმარი; კორსუნისეულ რუსულ თარგმანში სახელის ნაცვლად მრავალწერტილია, რომელსაც ასეთი შენიშვნა ერთვის: АзъДсъ Г рукописи ГыпушДно имя брѣтѣ борѣихильз .

\* აქ მე კორსუნისეულ რუსულ თარგმანს მივყვები. გერმანულში: Lასს ეს დურცჰ დენ Bარტ შეიჰენ, შოჰნ! (წვერებს დააღვეინე - წვერებით შესვი - წვერებზე გადაიქციე). ე. ი. სიგმუნდმა ანიშნა შვილს, რომ მისი ნათქვამი პირდაპირ არ გაეგო და შხამი მართლა არ შეესვა.

\*\* ვ ი ლ ა ც კ ა ც ი, რომელმაც სიგმუნდს ფონზე სინფოტლის ცხედრის ნავით გადასვენება შესთავაზა, იყო ოდინი.

პირველი სიმღერა სიგურდზე, ფაფნირის მკვლელობაზე ანუ.

გრიპირის წინასწარმეტყველება.

ეს სიმღერა წარმოადგენს სიგურდის ციკლის სიმღერების ერთგვარ საერთო წინასწარ მიმოხილვას და, ამდენად, მათს თავისებურ შესავლად გვევლინება. მკვლევართა აზრით, იგი უფროს ედას სხვა სიმღერებთან შედარებით, უფრო გვიანაა შექმნილი.

(15.II) კ ო ნ უ ნ გ ი ს ა ს უ ლ ი - ვალკირია, რომელიც სიგურდმა გააღვიძა. ამ სიმღერაში იგი ჯერ კიდევ არაა გაიგივებული ბრუნჰილდთან, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აქ საქმე გვაქვს სიმღერის უძველეს ფორმასთან.

(15.VIII) ფაფნირის მკვლეელი - მახვილი სიგურდისა - გრამი.

(23.VII, VIII) მ ა ხ ვ ი ლ თ ა ქ ა რ ი შ ხ ლ ი ს მ ხ მ ო ბ ე ლ ი - გმირი, მეომარი.

(52. VI) მ ზ ი ს ს ა ც ხ ო ვ რ ი ს ი - ზეცა.

მეორე სიმღერა სიგურდზე, ფაფნირის მკვლელობაზე ანუ.

სიტყვანი რეგინისა.

ესა და ორი მომდევნო სიმღერა ( სიტყვანი ფაფნირისა და სიტყვანი სიგურდრიფასი ) უფროსი ედას გამოცემებში დამოუკიდებელ სიმღერებად არიან წარმოდგენილნი, თუმცა მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ძეგლის ხელნაწერი ამის სათანადო საფუძველს არ იძლევა. ხელნაწერში ამ სიმღერათა დასათაურებანი არა გვაქვს.

სამივე სიმღერაში ერთმანეთს ენაცვლება ეპიკური (რვასტრიქონიანი) და გნომური (ექვსტრიქონიანი) სტროფული წყობა შიგადაშიგ ჩართული პროზით; ასეთი მხატვრული ფორმა, საზოგადოდ, არაჩვეულებრივია ედას სიმღერებისათვის.

\* ჰ ი ა ლ პ რ ე კ ი - მამა სიგურდის მამინაცვლისა.

\*\* ტ ა ნ ა დ ჯ უ ჯ ა - სიმღერაში სიტყვანი ფაფნირისა (38-ე სტროფი) რეგინი წარმოდგენილია არა ჯუჯად, არამედ გოლიათად, ამგვარი წინააღმდეგობა შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ თქმულება სიგურდის აღმზრდელ ჯუჯაზე თავდაპირველად არ იყო დაკავშირებული თქმულებასთან ურჩხულზე.

\* ჰ ო ნ ი რ ი - ღმერთი, რომლის ფუნქციები ძალზე ბუნდოვნად არის გარკვეული (იხ. კომენტარები ვოლვას წინასწარმეტყველებისა ).

\*\* რ ა ნ ი - ზღვის გოლიათის - ეგირის - ცოლი.

(1. VI) - ორიგინალში არა ოქრო, არამედ წყალთა ცეცხლი, - რაც ოქროს მეტაფორას წარმოადგენს.

(4.II) ვ ა დ გ ე ლ მ ი რ ი - ქვესკნელის მდინარე.

\* ჯ უ ჯ ა შ ე ვ ი დ ა ქ ვ ა შ ი . . . - ხალხის წარმოდგენით, ჯუჯები ქვეში ცხოვრობდნენ.

(5. II) გ უ ს თ რ ი - წინაპარი ანდვარისა (ანდა, შესაძლოა, თვით ანდვარი).

(5.IV) მ მ ა თ ა ო რ თ ა ვ ე თ ა - ფაფნირისა და რეგინისა.

(5.V) რ ვ ა გ მ ი რ ი - იგულისხმება: სიგურდი, გოთორმი, გუნარი, ჰოგნი, ატლი, ერპი, სორლი და ჰამდირი.

(14.III) ი ნ გ ვ ი - ღმერთი ფრეირი. იგი ითვლებოდა შვედ და დანიელ კონუნთა (ინგლინგთა) გვარის ფუძემდებლად; ხოლო ვოლსუნგთა წინაპრად ოდინი ჰყავდათ წარმოდგენილი. ამრიგად, სიგურდი აქ სკანდინავიური გვარტომის წარმომადგენლად არის გამოყვანილი.

\* - მდინარე რაინის ხსენება აქ შეიძლება მივიჩნიოთ ამ თქმულების სამხრეთ გერმანული წარმოშობის კვალად.

(15.IV) ე ი ლ ი მ ი - სიგურდის პაპა (დედის მხრით).

\*\* - კაცნი ვინმე - ოდინი.

(16. II) რ ე ფ ი ლ ი ს ც ხ ე ნ ე ბ ი - ხომალდები. რეფილი - ზღვის რომელიღაც კონუნგი.

(16.VI) ა ფ რ ა თ ა მ ე რ ნ ე ბ ი - აგრეთვე ხომალდებს ნიშნავს.

(17.II) ზ ღ ვ ი ს ხ ე ე ბ ი - ესეც ხომალდების მეტაფორაა.

(18.I) ჰ ნ ი კ ა რ ი - ოდინის ერთ-ერთ სახელთაგანი.

(18.VII) ფ ე ნ გ ი , ფ ო ლ ნ ი რ ი - ესენიც ოდინის სახელებია.

(23.I-VI) - დასავლეთის უბედურ, - ხოლო აღმოსავლეთის ბედნიერ მხარდ ითვლებოდა.

(24.IV) დ ი ს ნ ი - ნორნები, ვალკირიები.

(26.III, IV) ს ი ს ხ ლ ი ა ნ ა რ წ ი ვ ი ს დ ა ღ ი ა ქ ვ ს ზ უ რ გ ზ ე დ ა - მეტაფორული სახეა: ზურგი გაჩეხილია, გვერდის ნეკნები, მსგავსად ფრთებისა, წინ გადაშლილი, ხოლო ფილტვები - გაჩეხილი ზურგიდან უკან დაკიდებულნი (მოკვდინების ერთ-ერთი სახე, რომელსაც ზოგჯერ მიმართავდნენ ვიკინგები).

სიტყვანი ფაფნირისა.

(Fაფნისმღლ).

ყოველივე ის, რაც ითქვა წინა სიმღერის ( სიტყვანი რეგინისა ) შესახებ, სეეხება ამ სიმღერასაც. ბევრს უცნაურად და შეუსაბამოდ ეჩვენებოდა ის გარემოება, რომ მომაკვდავი

ფაფნირი წარმოთქვამს ბრძნულ დარიგებებსა და შეგონებებს მკვლელისადმი. მაგრამ ამ გარემოებას შეიძლება მოეძებნოს სათანადო ახსნა: როგორც პირველი სტროფის შემდეგ პროზაული ჩანართიდან ვგებულობთ, ხალხური რწმენა მომაკვდავის სიტყვას მიაწერდა დიდსა და განსაკუთრებულ ძალას. სიგურდმა თავისი შეკითხვებით (რომლებზედაც პასუხის გაცემა მხოლოდ მომაკვდავს შეეძლო) საშუალება არ მისცა ფაფნირს მასზე წყევლის წარმოთქმისა.

(2.I) გ უ ლ უ ხ ვ ი მ ხ ე ც ი ვ ა რ . . . როგორც ჩანს, ამ სიტყვებით სიგურდმა დაშიფრა თავისი სახელი.

(2. III) ვ ა ჟ ი ვ ა რ უ დ ე დ ო - საფიქრებელია, ამ სიტყვებში მოჩანდეს კვალი თქმულების თავდაპირველი, ე. ი. სამხრეთ გერმანული წარმოშობისა, რომლის მხედვით სიგურდი სხვის კარზე იზრდებოდა და არ იცოდა საკუთარი მშობლები. ამ სტროფის საპრისპიროდ, მე-4 სტროფში წარმოდგენილია სკანდინავიური ფორმა თქმულებისა (სიგურდი ამჟღავნებს თავისი მამის ვინაობას).

(7.IV) . . . ტ ყ ვ ე დ შ ო ბ ი ლ ი . . . - სიგმუნდის (სიგურდის მამის) სიკვდილის შემდეგ სიგურდის დედა - ჰორდისი - ტყვედ ჩაუვარდა ალფს, რომლის მამასთან - ჰიალპრეკთან - დაბადა ვაჟი. შემდეგ კი იგი ცოლად შეირთო ალფმა.

(11. III) ნ ო რ ნ ე ბ ი ს გ ა ნ ა ჩ ე ნ ს . . . გ ა ი გ ე ბ კ ო ნ ც ხ თ ა ნ . - იგულისხმება კონცხი, რომელიც ხალხური რწმენით, ჰელის (ქვესკნელის, საიქიოს) შესავალთან მდებარეობს.

(13.VI) დ ვ ა ლ ი ნ ი - ჯუჯას სახელია.

(15.IV) ბ ი ლ რ ო ს ტ ი - ცისარტყელა ანუ ხიდი მიწიდან ზეცამდე, რომელიც ჩატყდება ღმერთთა აღსასრულის ჟამს.

(31. II) შ უ ბ თ ა თ ა მ ა შ ი - ბრძოლა.

\* - ამრიგად, გველისმჭამელის მოტივი, რომლის შესახებაც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი რამ დაწერილია, მკვეთრად გამოხატულ პარალელს პოულობს უფროს ედაში .

(32. V, VI) გ მ ი რ ს ა მ ა ს გ უ ლ უ ხ ვ ს ა - სიგურდს.

(35. VI) ს ა ლ ხ ი ნ ო დ ყ ო რ ა ნ თ ა - საომრად.

(35. VII, VIII) . . . ი ც ნ ო ბ მ გ ე ლ ს მ გ ლ უ რ ი ყ უ რ ი თ ა - ე.ი. მგელს მგლობა ყურებზე შეეტყობა (ანდაზა, რომელიც აქ ნიშნავს: რეგინის ბოროტგანზრახვა მისსავე სიტყვებში შეიძლება ამოვიცნოთ).

(36.II) ი ფ ა ნ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა - მეომარი (აქ - სიგურდი).

(36. IV) მ ხ ე დ ა რ თ ა თ ა ვ ა დ ი - სიგურდი.

(38.III) ბ ე ჭ დ ე ბ ი - ოქრო, განძი, საუნჯე.

(42. VII) წ ყ ა ლ თ ა ც ე ც ხ ლ ი ს ა გ ა ნ - ე.ი. ოქორსაგან.

(43.V) ი გ რ ი - ოდინი.

სიტყვანი სიგრდრიფასი.

ამ სიმღერაზედაც იგივე უნდა ითქვას, რაც ითქავ წინა სიმღერაზე ( სიტყვანი რეგინისა ). სიმღერის სიუჟეტს წარმოადგენს ახალგაზრდა სიგურდის შეხვედრა ვალკირიასთან, რომელიც ოდინმა დააძინა ხანგრძლივი ძილით. მოტივი მძინარე მზეთუნახავისა გავრცელებულია მსოფლიო ფოლკლორში. ვალკირია არც ამ სიმღერაშია გაიგივებული ბრუნჰილდთან. სიმღერის უდიდესი ნაწილი (მე-6 სტროფიდან ბოლომდე) წარმოადგენს ვალკირიას მიერ სიგურდისადმი თქმულ შეგონებებს - რუნებისა და სხვა სიბრძნეთა სწავლებას - მათი მნიშვნელობის ახსნას. იგულისხმება, რომ აღნიშნულ სიბრძნეთა



ჩაწვდომა სიგურდრიფამ შეძლო ხანგრძლივი ძილის დროს, როდესაც მისი სული სამყაროში დაეხეტებოდა.

\* გ რ ა მ ი - სიგურდის მახვილის სახელი.

(3.III) ღ ა მ ი ს ა ს უ ლ ი - მთვარე.

\* - ე . ი . - დაკარგავდა იმ მეომრულ თვისებებს, რითაც ვალკირიები იყვნენ აღჭურვილნი - ვალკირიები არ თხოვდებოდნენ.

(5. I) ი ფ ა ნ ი ჯ ა ვ შ ა ნ თ ა თ ი ნ გ ი ს ა , - მხედარი, მეომარი. ჯავშანთა თინგი - ბრძოლა, ომი.

(6. VI) თ ი რ ი - ომის ღმერთი და სახელწოდება რუნისა.

(7. VI) ნ ა უ დ - სახელწოდება რუნისა (?).

(14. I) მ თ ა ს ი დ გ ა მ ა ხ ვ ი ლ ი თ . . . - საუბარია ოდინზე.

(15. I,II) ს ი ნ ა თ ლ ი ს ღ ვ თ ი ს ფ ა რ ი - მზე.

(15. III, IV) ა ლ ს ვ ი ნ ი დ ა ა რ ვ ა კ ი - ცხენები, რომლებიც მზის ეტლს მიაქანებენ.

(15. V) რ ო გ ნ ი რ ი - თორი (?).

(16. II) ბ რ ა გ ი - პოეზიის ღმერთი.

(20. II,III) ჭ ა დ ა რ ი მ ა ხ ვ ი ლ ი ს კ ი რ ი ს ა - მხედარი, მეომარი.

(35. III) მგლის ფიცი - ფიცი მოკლული ძმისა ან შვილისა.

ნაწყვეტი სიმღერისა სიგურდზე.

სიუჟეტი ამ და მომდევნო სამი სიმღერისა ( პირველი სიმღერა გუდრუნზე , მოკლე სიმღერა სიგურდზე და ჰელს გამგზავრება ბრუნჰილდისა ) წარმოადგენს თქმულებას ბრუნჰილდზე და სიგურდის სიკვდილზე. აღნიშნული თქმულება სამხრეთ გერმანული წარმოშობისაა და გვხვდება სიმღერაში ნიბელუნგებზე . ზოგიერთი სახელი, როგორცაა: გუნარი, გიუკი და გოთორმი ისტორიული სახლებია, მაგრამ ამ სიმღერაში შემოსულია არა ისტორიიდან, არამედ სხვა თქმულებიდან (იხ. კომენტარები სიმღერა ატილზე ). ამ სიმღერაში თქმულება ჩანს ძალზე მიახლოებულად თავის პირვანდელ ფორმასთან: ბრუნჰილდი ჯერ კიდევ არაა გაიგივებული სიგურდის მიერ გამოღვიძებულ ვალკირიასთან, ხოლო სიგურდს კლავენ არა საწოლში, არამედ რაინის სამხრეთით, ტყეში. რაინი ერთადერთი გეოგრაფიული სახელია, რომელიც ამ სიმღერებში შემოინახა.

(4.V, VI). . . ი ღ ე ბ დ ა ყ ო რ ნ ი ს ხ ო რ ც ს დ ა გ ო თ ო რ მ ს ა წ ვ დ ი და. . . - გოთორმს არ შეუფიცავს ძმობა სიგურდისათვის. მას დაუწყეს გამოკვება მგლის, გველისა და ყორნის ხორციით, რომ მისთვის შეემატებინათ მრისხანება და სიმტკიცე, რაც აუცილებელი იყო სიგურდის მკვლელობის ჩადენისათვის.

(11.V, VI) თ ქ ვ ე ნ ს ს ი ს ხ ლ შ ი შ ე ღ ე ბ ა ვ ს ა ტ ლ ი ო რ ლ ე ს უ ლ ე ბ ს -

წინასწარგრძნობა, მინიშნება იმისა, რაც მომავალში უნდა მოხდეს (იხ. სიმღერა ატილზე ).

(16.XI) ნ ი ფ ლ უ ნ გ ე ბ ი - აქ - გიუკუნგები (გიუკის შვილები). გერმანული -

ნიბელუნგები. თავდაპირველად, სამხრეთ გერმანულ თქმულებაში ნიბელუნგები ჯუჯათა მოდგმაა, რომელთა საუნჯე ხელთ იგდო სიგურდმა. მერე ეს სახელწოდება გავრცელდა მათზედაც, ვინც სიგურდის შემდეგ მის მიერ მოპოვებულ განძს დაეუფლა - გუნარზე, ჰოგნიზე და მთელს გიუკუნგებზე, აგრეთვე სხვა მოდგმის გამირებზეც. ხალხური გამოთქმით, ნიფლუნგები ჰნიფლუნგებად იწოდებიან.

(18. V, VI) - ამრიგად, ბრუნჰილდი სრულიად საწინააღმდეგოდ ცვლის თავის პირვანდელ ნათქვამს სიგურდის შესახებ, - რომ მან, გუნარად სახეცვლილმა, ბრუნჰილდი სარეცელზე

გატარებული სამი დღის განმავლობაში, თითქოს, უღალატა გუნარს და ძმობის ფიცი გატეხა.

\* . . . ს ა წ ო ლ შ ი მ ო კ ლ ე ს ო , მ ძ ი ნ ა რ ე . - ასეა მოთხრობილი მოკლე სიმღერაში სიგურდზე , გუდრუნის წამქეხებლობაში , საგამი ვოლსუნგებზე , უმცროს ედაში და სიმღერაში - სიტყვანი ჰამდირისა .

\*\* . . . ტ ყ ე შ ი მ ო კ ლ ე ს ო - ამგვარ ცნობას სიგურდის სიკვდილის შესახებ იძლევა მეორე სიმღერა გუდრუნზე , საგა თიდრეკზე და სიმღერა ნიბელუნგებზე .

პირველი სიმღერა გუდრუნზე.

ეს სიმღერა უფრო დასრულებულ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველა იმ სიმღერებთან შედარებით, რომლებიც უფროს ედაში , ე.წ. საგმირო ელეგიების ხასიათის სიმღერებს წარმოადგენენ. ასეთი სიმღერა-ელეგიების შინაარსი, ჩვეულებრივ, აგებულია თქმულების ერთ რომელიმე ტრაგიკულ სიტუაციაზე, რომელსაც უკავშირდება გმირი ქალის მოგონებანი და განცდანი. ამ შემთხვევაში სიტუაცია აღებულია თქმულებებიდან ბრუნჰილდზე და სიგურდის სიკვდილზე. სიმღერის ცენტრში დგას დაღუპულ ქმარზე - სიგურდზე - მგლოვიარე გუდრუნი.

ქალთა სახელეს, რომლებიც ამ სიმღერაში გვხვდება, არ იცნობს თქმულებას, რომელზედაც ეს სიმღერაა აგებული.

(6.II) ჰ უ ნ ე ბ ი - უფრო ედაში ასე იწოდება, საზოგადოდ, სამხრეთული ხალხები.

სიგურდი, მაგალითად, ჰუნების კონუნგი და ა.შ. (ჰუნების შესახებ იხ. აგრეთვე, კომენტარები გრენლანდიური სიმღერის ატილზე ).

(10. VII) კ ო ნ უ ნ გ ს უ კ ე თ ე ს ს ა - საუბარია კონუნგზე, რომლის ტყვეობაშიც ჰერბორგი ჩავარდნილია. აქ იგი აქებს კონუნგს და აგინებს მის მეუღლეს - ქალბატონს.

(19. III, IV) ქ ა ლ წ უ ლ ნ ი ო დ ი ნ ი ს - ვალკირიებ.

(25. III, IV) ა ტ ლ ი მ დ ა გ ვ ა ტ ე ხ ა თ ა ვ ს უ ბ ე დ უ რ ე ბ ა - იგულისხმება, რომ ატლიმ აიძულა ბრუნჰილდი - მიეღო ნიშნობა გუნარისაგან, როდესაც ბრუნჰილდმა, გუნართან ერთად, იხილა სიგურდი და შეიყვარა (შეადარე მოკლე სიმღერა სიგურდზე , 35-ე და მომდევნო სტროფები).

მესამე სიმღერა სიგურდზე, ფაფნირის მკვლელობაზე.

მოკლე სიმღერაში სიგურდზე (რომელსაც ქართულ თარგმანში მისი, საზოგადოდ გავრცელებული, მეორე სათაური - მესამე სიმღერა სიგურდზე, ფაფნირის მკვლელობაზე - დავუტოვეთ) ყურადღების ცენტრში დგას ბრუნჰილდი, მისი განცდები, მისი გაცრუებული სიყვარული სიგურდისადმი. ამასთან დაკავშირებით, მოთხრობილია არა მარტო იმ მოვლენებზე, რომლებიც წარსულში მოხდა, არამედ იმაზედაც, რომლებიც მომავალში უნდა მოხდეს. თქმულება სიგურდის სიკვდილზე ამ სიმღერაში უფრო გვიანდელ ფორმას ატარებს, ვიდრე სხვა სიმღერებში (სიგურდი კვდება ლოგინში და არა ტყეში).

მესამე სიმღერას სიგურდზე , ჩვეულებრივ, უფრო გვიანდელად თვლიან.

(1.VI) ძ მ ა თ ა ო რ თ ა ვ ე თ ა - გუნარისა და ჰოგნისა.

(4.IX) გ ი უ კ ი ს ძ ი ს ა თ ვ ი ს . . . - გუნარისათვის.

- (12.IV) ლ ე კ ვ ი მ გ ლ ი ს ა - მოკლული მტრის შვილი, რომელიც მგელივით საშიშრად ითვლებოდა.
- (16.V) გ ა ნ ძ ი რ ა ი ნ ი ს ა - განძი, რომელსაც დაეუფლა სიგურდი ფაფნირის მოკვლის შემდეგ და რომელიც უფრო გვიან გიუკუნგებმა რაინის ფსკერზე დამალეს.
- (18.III) . . . ო თ ხ ნ ი ვ ა რ თ - იგულისხმება გიუკის ვაჟები (გუნარი, ჰოგნი, გოთრომი და სიგურდი).
- (18.VI) ბ ა ლ დ რ ი ჰ უ ნ ე ბ ი ს ა - სიგურდი.
- (24.VII) ფ რ ე ი რ ი ს მ ე გ ო ბ ა რ ი - სიგურდი.
- (25.VII, VIII) ჯ ე რ ხ ო მ კ ვ ლ ა ვ ც ო ც ხ ა ლ ნ ი გ ყ ვ ა ნ ა ნ შ ე ნ ნ ი ძ მ ა ნ ი - ძმა ითვლებოდა დისადმი ყველაზე მეტ გულშემატკივრად და დამცველად.
- (35.III, IV) ს ა ნ ა მ გ ი უ კ უ ნ გ ნ ი - თ ქ ვ ე ნ ს ა მ ნ ი . . . - საუბარი შეეხება გუნარს, ჰოგნის და სიგურდს.
- (45.III) ს ა მ კ ა უ ლ თ ა ხ ე - ქალი; აქ - ბრუნჰილდი.
- (45. VIII) - მსახურნი და მოახლენი დახოცილი იქმნენ, რათა ისინი, თავიანთ ქალბატონთან ერთად, დაეწვათ კოცონზე, ბრუნჰილდი აქეზებს ცოცხლად დარჩენილ მონა ქალებს, რომ ისინი თავიანთი სურვილით უკან გაჰყვენ და მასთან ერთად დაიწვენ კოცონზე (სამაგიეროდ ჰპირდება სიმდიდრეს), რაზედაც მათგან უარს ღებულობს (48-ე სტროფი).
- (50. IV) მ ე ნ ი ა ს გ ა ნ ძ ი - ოქრო.
- (52. V) - ამ და მომდევნო სტროფებში ბრუნჰილდი წინასწარ განჰკრეთს მოვლენებს, რომლებსაც მისი სიკვდილის შემდეგ უნდა ჰქონდეს ადგილი და რომელთა შესახებაც მოგვითხრობს მომდევნო სიმღერებსი.
- (66.I) დ ა ე , ტ ე რ ფ ს ნ უ წ ა რ ჰ კ ვ ე თ ს მ ა ს , დ ა რ ბ ა ზ ს შ ე მ ა ვ ა ლ ს , კ ა რ ი . . . საუბარია, როგორც ჩანს, კარებზე, რომელიც უნდა გაიაროს ჰელს შემავალმა მიცვალებულმა სულმა, რომლის გავლის შემდეგ კარი მყის იხურება.

ჰელს გამგზავრება ბრუნჰილდისა.

ამ სიმღერაში ბრუნჰილდი გაიგივებულია ოდინის მიერ დაძინებულ ვალკირიასთან, რომელიც სიგურდმა გამოაღვიძა, ხოლო ვალკირიას გამოღვიძება და სიგურდის დანიშვნა ბრუნჰილდზე ურთიერთკონტამინირებულია - ერთ მოვლენად, ერთ ამბად არის წარმოდგენილი. ჟანრობრივი თვალსაზრისით, ისევე როგორც პირველი სიმღერა გუდრუნზე , ეს სიმღერაც საგმირო ელეგიას წარმოადგენს.

(2.I) ვ ა ლ ა ნ დ ი - ეს სახელწოდება აქ ზოგადი მნიშვნელობით არის ნახმარი და აღნიშნას სამხრეთის მხარეს.

(2.V) ვ ა რ ი ო ქ რ ო ი ს ა - ქალი. ვარი - სახელი რომელიდაც ღმერთქალისა.

(6. I-IV) - აქ, როგორც ჩანს, კონტამინაციის გზით, თქმულებაში შემოჭრილია ბუმბულისსამოსიან ქალწულთა ზღაპრული მოტივი, რომელიც გვხვდება დასაწყისში სიმღერისა ვოლუნდზე .

(7.II) ჰ ი ლ დ ი (ჰილდრი) - ვალკირიას სახელი (ნიშნავს ომს).

(10. IV) ხ ი ს მ ტ ე რ ი - ცეცხლი.

(11.III) გამზრდელის ჩემისა. . . - იგულისხმება ჰაიმირი.

(11.7) დ ა ნ ი ი ს ვ ი კ ი ნ გ ი - სიგურდი. გაურკვეველია, რა ასოციაციით, ან რა კონტამინაციის გზით არის აქ სიგურდი დანიის ვიკინგად წოდებული.

მეორე სიმღერა გუდრუნზე.

ეს სიმღერა აერთებს თქმულებებს სიგურდის სიკვდილზე და ატლიზე. სიმღერა ელეგიური ხასიათისაა.

ბევრი პერსონაჟი თქმულებებიდან არ მომდინარეობს და მხოლოდ ამ სიმღერის კუთვნილებაა. ზოგიერთი პერსონაჟის საკუთარი სახელი კი, მ. ი. სტემბლინ-კამენსკის აზრით, მიგვითითებს რუსულ-სკანდინავიურ ურთიერთობაზე XI საუკუნეში: იარიცლაიფი (იაროსლავი), ვალდარ (ვლადიმირი) და ა. შ.

(7. VII) მ კ ვ ლ ე ლ ი გ ო თ ო რ მ ი ს ა - სიგურდი (იხ. მოკლე სიმღერა სიგურდზე , 22-ე-23-ე სტროფები).

(9. VII, VIII) - აქ გუდრუნი გადაკვრით მიაწინებს ჰოგნის მომავალი დაღუპვის შესახებ. (14 IV) და ნ ი ს გ ე დ ე ბ ი - გემების (ხომალდების) მეტაფორა.

(16. VII) ს ი გ ა რ და ს ი გ ა ი რ - დანიური თქმულების გმირები.

(16. VIII) ფ ი ო ნ ი - კუნძული ფიონი (ფიუნი), დანიაში.

(19. VII) ლ ა ნ გ ბ ა რ დ ი - გრძელწვეროსანი, - ამ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ეს ეპითეტი ეკუთვნის ატლის.

(19. XII). . . თ მ ე ბ ი - წ ა ბ ლ ი ს ფ ე რ ი. - მინიშნება მათ სამხრეთულ, შესაძლოა, ჰუნურ წარმოშობაზე.

(22. V) თ ე ვ ზ ი მ ა ნ ა ნ ი ს ა - გველი.

(22. VI, VII, VIII) ჰ ა დ ი ნ გ ი ს ქ ე ე ყ ნ ი ს ა თ ა ვ თ ა ვ ი უ მ კ ა ლ ი . . . - წყალმცენარე. ჰადინგის ქვეყანა - ზღვა. არსებობს სხვაგვარი წაკითხვაც ამ სტრიქონებისა: ჰადინგის ქვეყანა - მკვდართა სამეფო. თუ ამ შემთხვევაში მიმჩნევს დავსვამთ არა სტროფის V სტრიქონის, არამედ VI სტრიქონის ბოლოს, მივიღებთ სხვა მნიშვნელობას: თევზი ჰადინგის ქვეყნისა ანუ მკვდართა სამეფოს (საუფლოს) გველი .

(23. V) კ ე რ ი ი ს ც ვ ა რ - ნ ა მ ი - ჭვარტლი.

(28. VIII) ს ი გ მ უ ნ დ - აქ: ვაჟი გუდრუნისა (სიგურდისაგან).

(31. XI, XII) მ ა ხ ვ ი ლ თ ა თ ა მ ა შ ი ს ა მ ტ ე ხ ი - მეომარი. ამ შემთხვევაში - ატლი.

(35.III) ვ ა ლ ე ლ ნ ი - უცხოელნი. ზუსტი მნიშვნელობით: კელტები, რომანები.

მესამე სიმღერა გუდრუნზე.

ამ სიმღერაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იმსახურებს ორი პერსონაჟი, რომლებიც უფროსი ედას არც ერთ სხვა სიმღერაში არ იხსენიებიან; ასმაგიეროდ, მათ იცნობს სიმღერა ნიბელუნგებზე და, საზოგადოდ, გერმანული საგმირო პოეზია. ესენი არიან თიოდრეკი და ჰერკია. თიოდრეკი ისტორიული პიროვნებაა - ოსტგოთების მეფე თეოდორიხი (გარდაიცვალა 526 წ.). გერმანულ საგმირო პოეზიაში იგი წოდებულია დიტრიხ ბერნელად. ასევე, რეალური, კონკრეტული ისტორიული პიროვნებაა ჰერკია. სინამდვილეში მას ერქვა კრეკა (კერკა) და იყო არა ხასა, არამედ კანონიერი ცოლი ატილისა.

(3.III, IV) . . წ მ ი დ ი ს ა თ ე თ რ ი ს ა ქ ვ ი ს ა ს ა ფ ი ც ა რ ი თ - იგულისხმება ფალიკური თეთრი ქვები, რომლებიც მოპოვებულია ნორვეგიის დასავლეთ სანაპიროებზე.

სავარაუდოა, რომ ოდესღაც მათზე სრულდებოდა საზეიმო ფიცის დადების ცერემონიალი.

(3.VII) თ ი ო დ მ ა რ ი ს ძ ე - თიოდრეკი.

(6.II) ს ა მ ხ რ ე თ ე ლ თ კ ო ნ უ ნ გ ი - გერმანელი კონუნგი.

(9.III,IV) ქ ვ ა ბ ი დ ა ნ ძ ვ ი რ ფ ა ს ი ქ ვ ე ბ ი ა მ ო ი ლ ო - მოფიცარს მდულარე ქვაბიდან უნდა ამოეღო ქვა ანდა ბეჭედი, მაგრამ იმის შესახებ, რომ ქვა ძვირფასი უნდა ყოფილიყო, არსად არ არის ნათქვამი გარდა ამ სიმღერისა.

ოდრუნის ტირილი.

(  
ეს სიმღერა არსებიდათ საგმირო ელეგიას წარმოადგენს, თუმცა მასში საკმაოდ არის წარმოდგენილი ხალხური ბალადებისათვის დამახასიათებელი მოტივები. სიმღერის მიხედვით, ატლი გუნარს გველებს ორმოში ჩააგდებს არა იმ განზრახვით, რომ მის ოქროსაბადებელს დაეუფლოს, არამედ- ოდრუნთან რომანულ ურთიერთობისათვის, ხოლო გუნარი ქნარზე უკრავს არა იმიტომ, რომ არად ჩააგდოს სიკვდილი, არამედ ოდრუნს უხმობს მეშველად.

ოდრუნის ტირილის , ჩვეულებრივ, წარმართობის შემდეგდროინდელ პერიოდს მიაკუთვნებენ.

(1.IV) მ ო რ გ ე ნ ლ ა ნ დ ი - ამ შემთხვევაში როგორც ჩანს, - იგივე, რაც ქვემოთ (მე-4 სტროფში) მოხსენებლი ჰუნლანდი (მავრიტანია).

(1.III,IV) მ ო ვ ი დ ა . . . ქ ა ლ წ უ ლ ი - იგულისხმება ბორგნიუ.

(4.IV) ჰ უ ნ ლ ა ნ დ ი - სამხრეთის ქვეყანა, საზოგადოდ, კერძოდ - ჰუნების ქვეყანა.

(8. IV) ჰ ო გ ნ ი ს დ ა მ დ უ პ ვ ე ლ ი - როგორც ჩანს, ამ სიმღერის თანახმად, ვილმუნდი იყო ატლის თანამოლაშქრე, რომელმაც გული ამოსჭრა ჰოგნის.

(10. VII-VIII) რ ო ს დ ი რ ს ნ ი თ ა ვ ა დ ნ ი ს ა მ კ ვ ი დ რ ო ს ი ყ ო ფ დ ნ ე ნ . . . - იგულისხმება ოდრუნის მამის - ბუდლის - სიკვდილი.

(15.VII) ძ ე ს ა გ რ ი მ ი ლ დ ი ს ა - ე.ი. გუნარს.

(18. II) ვ ა ლ უ რ ი - კელტური, რომანული.

(18. VIII) ც თ უ ნ ე ბ ა მ ზ ა კ ვ რ უ ლ ი - გუნარად სახეცვლილი სიგურდის ნიშნობა ბრუნჰილდზე.

(26.II) წ ი თ ე ლ ი ბ ე ჭ დ ე ბ ი - ოქრო.

(32.I-II) გ ა რ ნ ა გ ა მ ო ც ო ც დ ა დ ე დ ა ი ა ტ ლ ი ს ა . . . - ამ სიმღერაში ატლის დედა გველად გარდასახულად არის წარმოდგენილი. ეს ზღაპრული მოტივი უფროს ედას სხვა სიმღერაში არსად არ გვხვდება.

სიმღერა ატილზე.

თქმულება გიუკუნგების (გუნარისა და ჰოგნისა) დალუპვისა და აგრეთვე, ატლის სიკვდილის შესახებ სამხრეთგერმანული წარმოშობისაა. იგი თავისებურად აისახა ძველგერმანულ ეპოსში, კერძოდ, სიმღერაში ნიბელუნგებზე .

(5.I, II) გ ნ ი ტ ა ჰ ა ი დ ი ს ვ ე ლ ი - XII საუკუნის ერთ-ერთი ისლანდიური დოკუმენტის მიხედვით, ეს ველი ვესტფალიაში უნდა მდებარეობდეს. მაგრამ თანახმად თქმულებისა, ესაა ველი, სადაც ურჩხული ფაფნირი იწვა თავის ოქროზე.

- (5. VI) დ ა ნ პ ი - დნეპრი.
- (7. IX) კ ი ა რ ი - ამ შემთხვევაში ბიზანტიის იმპერატორს უნდა აღნიშნავდეს.
- (8. III) ც ო ლ ი - იგულისხმება ატლის მეუღლე - ე.ი. გუდრუნი.
- (10. I) ფ ო რ ნ ი რ ი - მსახური, თუ თანამოლაშქრე გუნარისა.
- (13. VI) ჰ უ ნ მ ა რ კ ი - ჰუნების მხარე.
- (14. IV) ბ ი კ ი - მრჩეველი ორმუნრეკისა. გაუგებარია, რად იხსენიება აქ იგი. შესაძლოა, მის ნაცვლად ტექსტში ყოფილიყო ბუდლი.
- (16. VII, VIII) ნ ო რ ნ ე ბ ი ს ს ა ტ ი რ ლ ა დ გ ა ხ დ ი დ ი მ ტ რ ი ს გ ვ ა მ ე ბ ს - ე.ი. მტრებს დახოცავდი.
- (18. III, IV) ხ უ ნ დ ე ბ ი დ ა ა დ ე ს ბ უ რ გ უ ნ დ თ ა მ ე გ ო ბ ა რ ს - უფროს ედაში ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც შემოინახა კვალი იმის შესახებ, რომ გიუკუნგები იყვნენ იგივე ბურგუნდები.
- (20. III,IV) გ ო თ ე ბ ი ს მ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ი - გუნარი.
- (21. I-IV ) - გუნარსა და ჰოგნის ფიცი ჰქონდათ დადებული - საიდუმლოდ შეენახათ ადგილი, სადაც მალავდნენ თავიანთ განძს.
- (29. I) გ ლ ა უ მ ი - ატლის ცხენის სახელია.
- (29. V, IV) შ ე ი ტ ყ ო გ უ დ რ უ ნ მ ა ღ მ ე რ თ თ ა მ ა თ წ ა მ ე ბ ა - ღმერთებში იგულისხმება გუნარი და ჰოგნი.
- (30.VI) ს ა რ ე ც ლ ი ს ც ხ ე ნ ი - სახლი.
- (30.X) ღ მ ე რ თ ი ო მ ე ბ ი ს ა - ამ შემთხვევაში - ატლი.
- (36. IV) მ ა ხ ვ ი ლ თ ა მ ბ ო მ ე ბ ე ლ ი - კონუნგი.
- (37. II) ე რ პ ი და ე ი ტ ი ლ ი - ატლის ვაჟიშვილები. ისტორიული ცნობების თანახმად, მათ ერქვათ ელაკი და ერნაკი.
- (39. VII) ბ ო მ ო ნ თ ა რ ო ზ ო გ ა ვ დ ა . . . - ბომონი (საკურთხეველი), ერთსა და იმავე დროს, საგანძურადაც ითვლებოდა.

სიტყვანი ატლისა.

(ჰოისლერის აზრით, სიტყვანი ატილისა , უფროსი ედას ყველა დანარჩენ სიმღერასთან შედარებით, უფრო ახლოს დგას ეპოსთან. თქმულებაში წარმოსახვა ჰპოვა ისლანდიურმა ყოფითმა სურათებმა და ბუნების მოვლენებმა.

მკვლევართა უმრავლესობა ამ სიმღერას გრენლანდიურ წარმოშობისად მიიჩნევს და სიმღერასაც ამ თვალსაზრისით ასათაურებს - გრენლანდიური სიტყვანი ატილისა .

(4.I) რ უ ნ ე ბ ი ა მ ო ჭ რ ა . . . - გაცილებით უფრო არქაულ ნიშნებს ატარებს სიმღერა ატილზე , რომლის მიხედვით გუდრუნი თავის ძმებს უგზავნის არა რუნებს, არამედ ბეჭედს, რომელშიაც მგლის ბეწვია ჩაწნული.

(12. III) ბრძენს - ე.ი. გუდრუნს.

(21. I) ღ ი რ ს თ ა გ ა ი ღ ვ ი ძ ე ს . . . - ე.ი. გლაუმვორმა და გუნარმა გაიღვიძეს.

(24. I IV) - ძაღლების გაცხარებით ყეფა და ჰოროლთა ფრენა ნადირობის მეტაფორული სახეა.

(26. II) ც ო ლ ნ ი გ ა რ დ ა ც ვ ლ ი ლ ნ ი - დედამთავარნი (წინაპარი ქალები), დისანი.

(31.III-VI) - საუბარია ატილზე.

(35.VIII) ნ ა ვ ი ა რ მ ი ა ბ ე ს - იმ განზრახვით, რომ, თუ მტრულად დახვდებოდნენ, უკანდასახევი გზა აღარ ჰქონებოდათ და თავგანწირულად ეომათ.

(50 X) ძ ე ნ ი მ ა მ ა ც ნ ი - სწევარი და სოლარი, რომლებიც თან ახლდნენ წვეულთ.

(53.IX) და ი მ ი კ ა ლ ი . . . - იგულისხმება ბრუნჰილდის სიკვდილი, რის მიზეზადაც ატლის გუდრუნი მიაჩნია და რაშიაც მას სდებს ბრალს.

(59. II) ქ ვ ა ბ ე ბ ი ს დ ა რ ა ჯ ი - მზარეული. ამ შემთხვევაში - ჰაილი.

(76. VII, VIII) - ატლის ვაჟების - ერპისა და ეიტის - ბედი ისე ჰგავს იაზონის ძეთა - მერმეროსისა და ფერეტის - ბედს, როგორც წვეთი წყალისა მეორე წვეთს. ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთის მეფის - აეტის - ასული - გრძნეული მედეა, ქმარზე შურისძიების მიზნით, დახოცავს საკუთარ შვილებს. ასევე გუდრუნიც, ატილზე შურისძიების მიზნით სიცოცხლეს მოუსპობს თავის ორ შვილს. გუდრუნს იგივე განზრახვა ამოძრავებს, რაც მედეას: გული მოუკლას ქმარს. გუდრუნმა ატლი რომ მოკლა, ზღვას მიაშურა - სურდა თავი დაეხრჩო, - მაგრამ ზღვამ პირი შეიკრა, იგი არ ჩაძირა, ფიორდებზე გაიტაცა და კონუნგ იონაკრის ქვეყანაში გარიყა.

(87.I) ჰ ნ ი ფ ლ უ ნ გ ი - ჰოგნის ვაჟიშვილი. ედაში იგი სხვაგან არსად იხსენიება, მაგრამ გვხვდება ქვემოგერმანულსა და ფარერულ წყაროებში.

(97.I-VII) ჩ ვ ე ნ, ს ა მ ნ ი დ ა - მ მ ა ნ ი . . . - გუდრუნი, გუნარი და ჰოგნი. არსად, გარდა ამ სიმღერისა 97-98-ე სტროფებისა, ნათქვამი არ არის, რომ ისინი თან ახლდნენ სიგურდს ვიკინგთა ლაშქრობაში.

(100. V-VIII) იყავი დამთმობი და გაუბედავი . . . - ეს გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც ატლის ბრალსა სდებენ იმაში, რომ ვითომც მას არ შესწევდა ვაჟკაცობა და გამბედაობა, რათა სამართლიანობა დაეცვა.

გუდრუნის წამქეზებლობა.

სიმღერა წარმოადგენს ელეგიური ფორმის ლირიკულ მონოლოგს, რომელშიაც გუდრუნი მწუხარებით იხსენიებს თავის უბედურ წარსულს.

შეინიშნება ამ სიმღერის აშკარა მსგავსება სიმღერასთან სიტყვანი ჰამდირისა, საიდანაც, ჩვეულებრივ, ვარაუდობენ ზოგიერთი მოტივის სესხებას. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ორივე სიმღერას შეიძლებოდა ჰქონოდა ერთი საერთო წყარო.

\* ს ო რ ლ ი, ე რ პ ი დ ა ჰ ა მ დ ი რ ი - მათგან ერპი არ იყო ღვიძლი ძმა სორლისა და ჰამდირისა, ე.ი. გუდრუნი დედინაცვალი იყო ერპისა და არა დედა. ერპი, როგორც ჩანს, წარმოშობით (დედისაგან) უცხო ტომს ეკუთვნდა და ამის ერთ-ერთი ნიშანი იყო მისი შავი და ხუჭუჭი თმა. სორლიმ და ჰამდირმა იგი მოლალატედ მიიჩნიეს და მოკლეს, რითაც საბედისწერო შეცდომა დაუშვეს.

\*\* კ ო ნ უ ნ გ ი ს, - ე.ი. ორმუნრეკის ძეს.

(3.IX) უფროს ედაში სამხრეთის ხალხები, საზოგადოდ, ჰუნებად იწოდებიან. ასე, მაგალითად, სიგურდს ჰუნების კონუნგს უწოდებენ, თუმცა იგი, ისვე როგორც ჰოგნი და გუნარი, გოთების მოდგმისაა.

სიტყვანი ჰამდირისა.

ამ სიმღერის სიუჟეტი ყველაზე უძველესად არის მიჩნეული უფროს ედაში წარმოდგენილ საგმირო სიმღერათა შორის. ამბავი, რომელიც მასშია მოთხრობილი, წარმოადგენს იმ ისტორიულ მოვლენათა ბუნდოვან ანარეკლს, რომელთაც ადგილი ჰქონდა IV საუკუნეში. ისტორიკოსი ამიანე მარცელინე მოგვითხრობს (390 წ.) შავი ზღვის მახლობლად მდებარე ოსტგოთების სამეფოს მთავრის ერმანრიხის (ისლანდ. ორმუნრეკის) შესახებ, რომელმაც

375 წელს ჰუნების მოსალოდნელი შემოსევით შეშინებულმა სიცოცხლე თვითმკვლევლობით დაამთავრა. ასევე საინტერესო ცნობას გვაწვდის გუთი ისტორიკოსი იორდანე (VI ს. შუა წლები), რომლის მიხედვითაც ძმები სარუსი და ამიუსი (როსომანების ტომიდან) თავს დაესხნენ ერმანარისს და მახვილით განგმირეს, რითაც შური იძიეს თავიანთი დის - სუჰილდუსათვის (ისლანდ. სვანჰილდისათვის), რომელიც ერმანარისმა ცხენებს დააგლეჯინა, ვითომცდა, ქმრისადმი ღალატის გამო. ისტორიკოსების ეს ცნობა მკვლევართ აფიქრებინებთ, რომ, შესაძლოა, ამ დროს ( VI ს.) უკვე არსებობდა გოთური საგმირო სიმღერა, რომელიც შემდგომ უფროს ედაში ამ სახით შემოინახა. სიმღერიდან სიტყვანი ჰამდირისა ჩანს, რომ აღნიშნული თქმულება სკანდინავიის ხალხებში დაუკავშირებიათ თქმულებასთან სიგურდისა და გიუკუნგების შესახებ: სვანჰილდი სიგურდის ასულია, ხოლო გუდრუნი დედაა სვანჰილდისა და აგრეთვე, სროლისა და ჰამდირისა.

სიტყვანი ჰამდირისა , განსაკუთრებით მისი შუა ნაწილი, ჩვენამდე ძალზე დაზიანებულად არის მოღწეული - ფრაგმენტულად, სტროფების გაურკვეველი (არათანმიმდევრული) განლაგებით. მასში წარმოდგენილია უფროსი ედასათვის დამახასიათებელი სამივე სახე ლექსთწყობისა, რისი გადმოცემაც თარგმანში არ ხერხდება, ქართული და ისლანდიურ ლექსთწყობათა მკვეთრად განსხვავებული ხასიათის გამო. (12. II) გ ე რ ი - ძ მ ა, ც ბ ი ე რ ი - ერპი. იგი ნახევარძმაა სორლისა და ჰამდირისა. გუდრუნი ერპის დედინაცვალია და არა მშობელი დედა.

(12. III) შ ა ვ ვ ვ რ ე მ ა ნ ი - ამ ეპითეტით მინიშნებულია ერპის უცხოტომობრივი (შესაძლოა, ჰუნური) წარმომავლობა.

(15. II) ქ ა რ ქ ა შ თ ა რ კ ი ნ ე ბ ი - მახვილები.

(17. III, IV) დ ა ს ჯ ი ლ თ ა ხ ე - სახრჩობელა. დისწული - რანდვერი, რომელიც საგაში ვოლსუნგებზე გამოყვანილია სორლისა და ჰამდირის დის - სვანჰილდის - გერად და ორმუნრეკის შვილად.

(22. I. VIII) ჰ რ ო დ გ ლ ო დ ი - ორმუნრეკის დედა. ეს სტროფი, საერთოდ ძალზე ბუნდოვანია. ჰროდგლოდი კორსუნისეული რუსული თარგმანის ტექსტში არ გვხვდება. ნაცვლად ამისა, იქ ნავარაუდევია, რომ სტროფი წარმოადგენს არ აჰროდგლოდის, არამედ გუდრუნის სიტყვებს, ერპისადმი მიმართულს. გუდრუნი უბრძანებს ერპს, რათა მან დახმარება გაუწიოს ჰამდირსა და სორლის, ვინაიდან ორმუნრეკის დამარცხება შეუძლია მხოლოდ სამივე ძმას ერთად: ორნი ხელებსა და ფეხებს მოჰკვეთენ, ხოლო მესამე მოჰკვეთს თავს. გუდრუნს უნდა გაეფრთხილებინა შვილები, რომ მათ ორმუნრეკისათვის დალაპარაკება არ ეცლიათ (სტროფი 26-ე), ვინაიდან მას შეეძლო გაემჟღავნებინა საიდუმლოება, რაც შემდეგში მდგომარეობდა: იონაკრის შვილების ჯავშანს რკინა ვერას დააკლებდა და მათი დაღუპა მხოლოდ ქვებით შეიძლებოდა (სტროფი 25-ე). სავარაუდოა, რომ ყველა ეს მოტივი გამოყენებული იყო სიმღერის იმ ვარიანტში, რომლებიც დღემდე არ შემონახულა.

29. ნ ო რ ნ ე ბ ი ს მ შ ი ე რ ი ძ ა ლ ლ ე ბ ი - მგლები.

სიმღერა მგზავრზე ანუ ბალდრის სიზმრები.

ბალდრის სიზმრები ადრინდელი სახელწოდებაა ამ სიმღერისა, ხოლო სათაური - სიმღერა მგზავრზე - შედარებით გვიანდელი პერიოდისაა. სიმღერა, თავისი ფორმით,



ახლო დგას კითხვა-პასუხებზე აგებულ მითოლოგიურ სიმღერებთან. რაც შეეხება სიმღერის შინაარსს, ამ მხრივ იგი უფრო ენათესავება ვოლვას წინასწარმეტყველებას . მკვლევართა უმრავლესობა ამ სიმღერას გვიანდელი წარმოშობისად თვლის.

(2.II) გ ა უ ტ ი - ერთ-ერთი სახელთაგანია ოდინისა. გაუტები - სკანდინავიური ტომი. (2. VII) ჰ ე ლ ი ს შ ე ს ა ვ ა ლ თ ა ნ დ ა უ ხ ვ დ ა ქ ო ფ ა კ ი - ე.ი. ქოფაკი გარმი, რომელიც დარაჯობს ჰელის შესავალ კარებს. დამატებით იხ. ვოლვას წინასწარმეტყველება , კომენტ. (44. I).

(3. IV) ჯ ა დ ო თ ა მ ა მ ა - ოდინი.

(6. I) ვ ე გ ტ ა მ ი - გზას შეჩვეული.

(6. II) ვ ა ლ ტ ა მ ი - ომს შეჩვეული.

(7. IV) ფ ა რ ი თ დ ა ხ უ რ უ ლ ი - მოდულებულ სასმელს თავდაუხურავს არ დატოვებდნენ, რომ არავის თვალი სცემოდა.

(9.II) ხ ე დ ი დ ე ბ ი ს ა - ბალდრი.

(11. I) რ ი ნ დ ი ო დ ი ნ ი ს გ ა ნ ვ ა ჟ ს შ ო ბ ს . . . - ღმერთქალმა რინდმა ოდინისაგან დაბადა ძე - ვალი, რომელიც ერთი ღამისა იყო, როცა ბალდრის მკვლელთან ბრძოლაში ჩაება და შური იძია მასზე - მოკლა იგი.

(12. V, VI, VII, VIII) - ოდინი გამოცანის ფორმას აძლევს თავის შეკითხვას, რითაც ვოლვა მიხვდება რომ იგი ოდინია. მაგრამ გაურკვეველია რატომ მარტო ოდინს შეეძლო წარმოეთქვა ეს გამოცანა. როგორც ჩანს, გამოცანაში უცნობ ასულთა სახით წარმოდგენილია ტალღების მეტაფორა.

სიმღერა რიგრზე.

სიმღერა რიგრზე , როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით სრულიად განსხვავებულია უფროსი ედას ყველა დანარჩენი სიმღერისაგან. ესაა პოეტიზირებული მოთხრობა საზოგადოების სხვადასხვა ფენათა (მონების, ბონდების, ანუ თავისუფალი მიწათმფლობელების და იარლების, ანუ დიდებულთა) წარმოშობის შესახებ. ამ სიმღერისდა მიხედვით, ყველა ეს ფენა წარმოსდგა რიგრისაგან, რომლის პიროვნება სიმღერის პროზაულ შესავალში გაიგივებულია ღმერთ ჰაიმდალთან.

სიმღერაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საზოგადოების სხვადასხვა წოდებათა საქმიანობის დეტალური აღწერილობანი, ოჯახური ყოფის სურათები, საჭმელი, ჩაცმადახურვა და ა. შ.

\* ჰ ა ი მ დ ა ლ ი - იხ. ვოლვას წინასწარმეტყველება , კომენტ. (1.IV) თვით სიმღერაში არსად არ არის ნათქვამი, რომ რიგრი იგივე ჰაიმდალია. ზოგიერთი მკვლევარი მცდარად მიიჩნევდა რიგრის გაიგივებას ჰაიმდალთან და ფიქრობდა, რომ რიგრი არის ოდინი და არა ჰაიმდალი. მაგრამ, სიმღერის შინაარსის მიხედვით, ჰაიმდალს უფრო შეეფერება ეპითეტი - მამა ადამიანებისა, რომელსაც იგი ატარებს.

(7.II) - ახლად შობილის სხურება წყლით სახელის შერქმევისას წარმართობისდროინდელი საწესო ჩვეულებაა.

(7. IV) თ რ ე ლ ი - მონა. (10.

VI) თ ი რ ი - მონა ქალი.

(12. I.IX) - თრელისა და თირის ვაჟთა სახელები აღნიშნავენ: მესაქონლე, უხეში, კუნძი, ზარმაცი, მყრალი, კუზიანი და ა. შ.

- (13. I.VIII) - ასულთა სახელებსაც თავ-თავიანთი მნიშვნელობა აქვთ: ღიპიანი, ყბედი, კონკია და ა. შ.
- (20. VI) ს ნ ო რ ი - რძალი.
- (21.I.VIII) - კარლოსა და სნორის ვაჟთა სახელები, დაახლოებით აღნიშნავენ: ახალგაზრდა, მამაკაცი, მცხოვრები, ფართო, წვეროსანი და ა. შ.
- (22. VI) - ასულთა სახელებსაც თავ-თავიანთი მნიშვნელობა აქვთ: დედაკაცი, ცოლი, პატარძალი, დიასახლისი და ა. შ.
- (35. VIII) ს ჭ რ ი დ ა ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ს - ოქროს გასცემდა.
- (36.V)-გვარის დიდებულთა წარმომადგენელი. თავდაპირველი მნიშვნელობით - ტომის ბელადი, - ნორვეგიაში.
- (36.VIII) ე რ ნ ა - მცოდნე.
- (38. I.VIII) - აქაც, ჩამოთვლილ საკუთარ სახელთაგან, თითოეული ცალ-ცალკე, სხვადასხვა თვისებისა და შინაარსის აღმნიშვნელია: ვაჟი, ბავშვი, მემკვიდრე, შთამომავალი და ა. შ.
- (45.I) დ ა ნ ი და დ ა ნ პ ი - დანიის მეფეთა ლეგენდარული წინაპრები. დანი წარმომდგარია სახელწოდებიდან დანია. დანპი ისლანდიურში გოთებიდან შეტანილი სიტყვაა და აღნიშნავს დნეპრს. სტებლინ-კამენსკი გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვით, დანიც, შესაძლოა, ნიშნავდეს არა დანიას, არამედ - დონს, რადგან მდინარე დონის ისლანდიური სახელწოდებაა დანი.

სიმღერა ჰინდლაზე.

ღმერთქალი ფრეია აღვიძებს გოლიათ ქალ ჰინდლას და სთხოვს, რომ მასთან ერთად გაემგზავროს ვალჰალას და გააცნოს მას გენეალოგია ვინმე ოტარისა, რომელსაც ფრეია მფარველობს. საკუთარი გენეალოგიის ზედმიწევნით ცოდნა საჭირო გამხდარა ოტარისათვის, ვისაც თავის წინაპართა სამემკვიდრეო ქონებაზე უფლებების შენარჩუნებისათვის დავა ასტეხია ვინმე ანგანთირთან. ფრეიას ოტარი ტახად გარდაუსახავს, მასზე, როგორც ცხენზე, შემჯდარა და მგზავრობს. ჰინდლა ჩამოთვლის ოტარის წინაპრებს, რომელთა რიცხვიც სამოცდაათამდე აღწევს. დასასრულ, ფრეია აიძულებს ჰინდლას - მისცეს ოტარს მახსოვრობის სასმელი, რათა სამი დღის შემდეგ, ანგანთირთან შეხვედრისას, მან ყველა ეს სახელი გაიხსენოს და დავიდან გამარჯვებული გამოვიდეს. ასეთია ქარგა სიმღერისა ჰინდლაზე , სადაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გენეალოგიური ცნობები.

ზოგიერთი მკვლევარი (იონსონი, პოსკე) ამ სიმღერას წარმართობის ეპოქას აკუთვნებდა (X. ს.) მკვლევართა უმრავლესობის აზრით კი იგი XII საუკუნეზე ადრე არ უნდა იყოს შექმნილი.

მონაკვეთი 28-დან 41-ე სტროფამდე (ჩათვლით), რომელსაც ვოლვას მოკლე წინასწარმეტყველებას უწოდებენ, წარმოადგენს დამოუკიდებელ ნაწარმოებს, რომელშიაც აშკარად იგრძნობა მიბაძვა ვოლვას წინასწარმეტყველებისადმი . მის შინაარსს შეადგენს გენეალოგიური ცნობები ღმერთებსა და გმირებზე, ხოლო სიმღერის დასასრულს, 39-ე სტროფში, საუბარია ღმერთთა მოსალოდნელ დაღუპვაზე.

(2. V) ჰ ე რ მ ო დ ი - გაურკვეველია, საუბარია ღმერთ ჰერმოდზე, რომელიც ბალდრის სიკვდილზე არსებულ მითთან ( იხ. ვოლვას წინასწარმეტყველება ) იხსენიება, თუ რომელიღაც გმირზე.

(4.VI) ო ტ უ ნ თ ა ც ო ლ ე ბ ი - გოლიათი ქალები.

- (5.II) მ გ ე ლ ი გ ა მ ო უ შ ვ ი - მგლები გოლიათ და ჯადოსან ქალთა ცხენებად ითვლებოდნენ.
- (7.VI) ჰ ი ლ დ ი ს ვ ი ნ ი - მებრძოლი (ნაცადი) ტახი.
- (10. IV) ქ ვ ა მ ი ნ ა დ ქ ც ე უ ლ ი . . . - ე.ი. სამსხვერპლო ცეცხლისაგან ნიშის ქვები გადამდნარა.
- (11.V) - სკოლდუნგები, სკილფინგები, ოდლინგები და ილფინგები - სკანდინავიელ დიდებულთა გვარები. აქ ისინი, როგორც ჩანს, საზოგადო მნიშვნელობით იხსენიებიან.
- (16.IV) ჰ ე რ ს ი რ ი - ბელადი.
- (16.V) ჰოლდი - მემკვიდრეობით მიწათმფლობელი, სრულუფლებიანი ბონდი.
- (23.III) ბ ე რ ს ე რ კ ე ბ ი - მრისხანე მეომრები.
- (25.III) 24-ე, 27-ე სტროფებში ჩამოთვლილია სამხრეთგერმანულ თქმულებათა გმირების სახელები: ორმუნრეკი (ოსტგოთების მეფე ერმანარიჰი), სიგურდი (ზიგურდი), ვოლსუნგი და ა. შ. მათთან ერთად, ნახსენებია ის სახელებიც, რომლებიც აღნიშნულ თქმულებებში სკანდინავიური წარმოშობისანი არიან: ჰორდისი, ჰრაუდუნგი, ეილიმი, ოდლუნგი. ნორვეგიელ ბელადებისათვის კი არც ერთი ამ სახელთაგანი დასაბამიდან შთამომავლობით არ არის.
- (27.I) ჰ ა რ ა ლ დ - ბ რ ძ ო ლ ი ს ე შ ვ ი . . . - დანიის კონუნგი - ბრალუნდის ომზე არსებული თქმულების გმირი.
- (28.I,II) - აქედან იწყება ე.წ. მოკლე წინასწარმეტყველება ვოლვასი .
- (29.I) მ ა მ ა ი ბ ა ლ დ რ ი ს ა - ოდინი.
- (31.I,IV) - ამ სტროფში ჩამოთვლილ სახელთა ნაწილი - ჰვედნა, ჰაკი, ჰოვარდი, - ნორვეგიული წარმოშობისაა; ჰეიდრი, ჰროსთოფრი და ჰრიმნირი კი გოლიათების სახელებია.
- (34.III) გ მ ი რ ი ძ ა ლ ო ვ ა ნ ი , მ ო დ გ მ ა ღ მ ე რ თ ე ბ ი ს ა - ჰაიმდალი.
- (34.V, VI) ცხრათა მათ ასულთა. . . - საუბარია ზღვის გოლიათის - ეგრისა - და მისი მეუღლის - რანის - ასულებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, ტალღების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი და რომლებმაც შვეს ღმერთი ჰაიმდალი.
- (36.II, III, IV) - ე.ი. ბოროტი ძალებისაგან იგი დაცული იყო მიწის, მარილისა და ტახის სისხლის საშუალებით. ეს რწმენა ახლაც არსებობს და ხალხურ მედიცინაში გამოიყენება.
- (37.I) ა ნ გ რ ბ ო დ ა - მწუხარების აღმთქმული.
- (37.IV) ს ლ ე კ ნ ი რ ი - ოდინის ცხენი (რვაფეხიანი), იგი ულაცი ცხენის სვალდფარისგან დაბადა ჭკად გარდასახულმა ლოკიმ.
- (37.V) უ რ ჩ ხ უ ლ ი . . . - მსოფლიო გველი ორმუნგანდარი.
- (37.VII) მ მ ა ბ ი ლ ე ი ფ თ რ ი ს ა - ლოკი.
- (38.V) ლ ო ფ თ რ ი - ლოკი.
- (41. I, II, III) მ ა გ რ ა მ ს ხ ვ ა ძ ლ ი ე რ ი . . . მ ო ვ ა ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე . . . . ზოგი მკვლევარის აზრით, აქ საუბარია ქრისტიანულ ღმერთზე.
- (42. II) . . . ჩ ე მ ს ტ ა ხ ს ა - ე.ი. ტახად გარდასახულ ოტარს.
- (44.VIII) ჰ ე დ რ უ ნ ი - თხა, რომელიც ვალჰალას სახურავზე მოვს ბალახს.
- (44. I) ო დ ი - ფრეიას ქმარი.
- (45.II) - გარშემორტყმულ ცეცხლიდან თავდახსნის მიზნით, ვოლვა (ჰინდლა) თანახმაა მიაწოდოს ოტარს გრძნეულებით შემზადებული ლუდი, რომელიც ძალას მიანიჭებს მის მეხსიერებას, მაგრა, როგორც ჩანს, სასმელში ურევს შხამს.

გ. კალანდაძე.

სიმღერა ნიბელუნგებზე.

"სიმღერა ნიბელუნგებზე", რომელიც "ნიბელუნგების გასაჭირის" სახელწოდებით არის ცნობილი, შუასაუკუნეობრივი გერმანული პოეზიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

მაღალპოეტური ნიჭით დაჯილდოებული შპილმანს XIII საუკუნის დასაწყისში დიდი ხელოვნებით გადაუმუშავებია "გარდასულ დროთა საგებში" გადმოცემული "საკვირველი ამბები" და შეუქმნია ეპიკური ნაწარმოები, რომელშიც ზღაპრულ-მითოლოგიურ თქმულებებთან (ზიგფრიდის მკვლელობა) შერწყმული გვაროვნული წყობილების დროინდელი ძველგერმანულ ტომთა ისტორიის ფრაგმენტები (ბურგუნდიის სამეფო კარის დაღუპვა) ტრანსფორმირებულია განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდის შესატყვისად და ფართოდ არის ასახული ფეოდალურ-რაინდული საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულებანი და უფლებრივ-მორალური ნორმები.

თანამედროვე მკითხველისათვის რიგი პასაჟი "სიმღერა ნიბელუნგებზე" უკომენტაროდ გაუგებარია. ეს შეეხება უმთავრესად, მთავარ პერსონაჟთა (განსაკუთრებით ზიგფრიდისა და ბრუნჰილდეს) სახეეს, ქცევასა და ურთირთდამოკიდებულებას. ბევრი რამ (მაგ. ზიგფრიდის ყრმობა, ბრძოლა ურჩხულთან, ოდინის ნების შეუსრულებლობისათვის საღათას ძილით დასჯილი ვალკირიას განთავისუფლება და მისი დანიშვნა ზიგფრიდის მიერ და ა.შ.) ნაწარმოებში მხოლოდ მინიშნებულია, რაც იმათ უნდა აიხსნას, რომ შორეულ დროთაგან მომდინარე ეს თქმულებანი პოემის შექმნის პერიოდში ფართოდ იყო გავრცელებული და შპილმანს არ სჭირდებოდა მათში გადმოცემულ ამბავთა დაწვრილებით გამეორება: პოემის მკითხველის თუ მსმენელისათვის იმ ამბავთა ქარაგმული ხსენებაც საკმარისი იყო, რომ აღედგინა მისთვის კარგად ცნობილ მითთა შინაარსი. ახსნა-განმარტებას მოითხოვს ზოგიერთი, ამჟამად მივიწყებული, ზნე-ჩვეულება, გეოგრაფიული სახელწოდება და სახელები ისტორიულ პიროვნებათა, რომელნიც, ძველ თქმულებათა მიხედვით, პოემაში ზღაპრულ-მითოლოგიურ პერსონაჟებად არიან წარმოდგენილნი.

"ნიბელუნგების სიმღერისათვის" დართულ მცირე რიცხოვან შენიშვნაში, არსებითას, სწორედ ასეთი ადგილებია განმარტებული.

(4. II) გ უ ნ თ ე რ ი - ეს სახელი ნაწარმოებია ბურგუნდიელთა მეფის გუნდიხარის (გუნდიხრის) სახელისაგან.

(7. II) დ ა ნ კ ვ ა რ ტ ი - უფრო ძველ თქმულებათა მიხედვით ბურგუნდიის მეფეთა მამის სახელია გიმბიხი. ამიტომაც იწოდება მათი გვარი გიბუხუნგებად.

(71. I) მ ე შ ვ ი დ ე დ ი ლ ა ს ვ ო რ მ ი ს ი ს კ ე ნ მ ი ი ს წ რ ა ფ ო დ ნ ე ნ გ მ ი რ ე ბ ი . . . - ერთი კვირა დასჭირებათ ზიგფრიდისა და მის თანხლებლებს, რომ გაევლოთ მანძილი ქსანტენიდან (ქვემო რაინზე მდებარე ქალაქი) ვორმსამდე (დაახლოებით 250 კმ).

(87. II). ნ ი ბ ე ლ უ ნ გ ე ბ ი შ ე მ უ ს რ ა გ უ ლ ი თ მ ხ ნ ე ნ ი დ ა მ ა რ ჯ ვ ე ნ ი . . . - ნიბელუნგები - აურაცხავი განძის ზღაპრული მცველები. პოემაში საკუთარი სახელიცაა მეფის ძისა, რომელიც თავის ძმა შილბუნგთან ერთად ფლობს განძს. ძველ თქმულებებში ნიბელუნგები წარმოდგენილნი არიან ზღაპრული სიმდიდრის მფლობელ ჯუჯებად, ქონდრიკაცებად. ზიგფრიდმა დაამარცხა ისინი და თავად დაეპატრონა განძს. პოემაში კი მიწისქვეშ მცხოვრებ ზღაპრული ქონდრისკაცების ნაცვლად ნიბელუნგებად გვევლინებიან სახელგანთქმული მეომრები, ხოლო ზიგფრიდის მკვლელობისა და მის

მიერ მოპოვებული ნიბელუნგების განძის ხელში ჩაგდებაში შემდეგ ბურგუნდიელები ატარებენ ნიბელუნგების სახელწოდებად.

(96. II) ა ლ ბ ე რ ი ხ ი - ჯუჯა, ნიბელუნგისა და შილბუნგის მსახური, შემდეგ ზიგფრიდის ვასალი, განძის მცველი.

(242. III) მ ა რ კ ა - ძვირფას ლითონთა წონი საზომი ძველგერმანულ ტომებში.

(317. I) ა ქ ს ა უ ნ ჯ ი თ ა დ ვ ს ე ბ უ ლ ი მ ო ი ტ ა ნ ე ს ბ ე ვ რ ი ფ ა რ ი . . . - გამოზნექილ ფარს ხმაროდნენ ფულისა და საერთოდ, განძის ასაწონადაც. ფართო საუნჯის გაცემა დიდ ხელგაშლილობად ითვლებოდა.

(331. II და IV) ა მ ს ა ქ მ ი ს თ ა ნ ა მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ა დ გ მ ა რ თ ე ბ ს თ ზ ი გ ფ რ ი დ ი ს წ ვ ე ვ ა ო , რ ა დ გ ა ნ ა ქ ვ ს ი მ ა ს ბ რ უ ნ ჰ ი ლ დ ე ს შ ე ს ა ხ ე ბ ბ ე ვ რ ი ც ნ ო ბ ა ო . . . - აქ მინიშნებულია ზიგფრიდისა და ბრუნჰილდეს ძველ ნაცნობობაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი ადრინდელ საგებსი გადმოცემულ ხასიათზე ამ ნაცნობობისა: ზიგფრიდმა (სიგურდმა) დანიშნა ბრუნჰილდე, მაგრამ (იმის გამო, რომ დავიწყების წამალი დააღვინეს) გასტეხა ერთგულების ფიცი, რის გამოც შური იძია ბრუნჰილდემ. პოემაში ეს მოტივი გამოტოვებულია და ამოტმაც ძნელი მისახვედრია, რომ ზიგფრიდის უნებლიე ღალატი იყო ბრუნჰილდეს მხრივ შურისძიების მთავარი მიზეზი.

(362. II) დ ა ც ა ც ა მ ა ნ უ ლ ს . . . - ცაცამანკი (ზაზამანკი) - აღმოსავლეთში მდებარე რომელიღაც ზრახპრული მხარე თუ ქალაქი. დასახლებულია ვოლფრამ ფონ ემენბახის "პარციფალიშიც".

(382. IV) ზ ი გ ფ რ ი დ ი ი ყ ო მ ხ ო ლ ო დ ა ქ მ ც ნ ო ბ ი ა მ მ ი წ ა წ ყ ა ლ ი ს ა . . . - აქაც მინიშნებაა იმაზე, რომ ზიგფრიდი ადრე იცნობდა ბრინჰილდეს.

(439. II) ა ც ა გ ა გ უ რ ს ა ბ რ ე შ უ მ ს ა . . . - აცაგაუკი (აცოგოუკი) - რომელიღაც მხარე თუ ქალაქია აღმოსავლეთში. დასახლებული აქვს ვოლფრამ ფონ ემენბახსაც.

(497. II) ხ ე ლ ი ს ტ ა ც ა წ ვ ე რ შ ი მ ო ხ უ ც ს . . . - ჯუჯა ალბერხის გოლიათური ძალის წყარო წვერი იყო. ის, ვინც დაეუფლებოდა მის წვერს, დაიმორჩილებდა ალბერხსაც.

(576. III). . . ფ ე რ ა ნ ი თ მ ო ნ ა ქ ს ო ვ ი . . . - ფერანი შალისა და აბრეშუმისაგან დამზადებული ქსოვილია.

(899. II) მ თ ე ბ შ ი მ ო კ ლ ა მ ა ნ უ რ ჩ ხ უ ლ ი შ ე მ ზ ა რ ა ვ ი . . . - ზიგფრიდის ყრმობისდროინდელი ეპიზოდის მხოლოდ გვერდით მოგონება მოწმობს, რომ პოემის ავტორი დარწმუნებულია, მკითხველმა თუ მსმენელმა კარგად იცის ურჩხულის ფაფნირზე ზიგფრიდის გამრჯვება და იგი საჭიროდ არ თვლის დაწვრილებით გადმოსცეს ეს ამბავი.

(1086. IV) ჯ ა ვ რ ს ა რ ა ვ ი ნ ა მ ო ი ყ რ ი ს თ ქ ვ ე ნ ზ ე . . . - ზიგფრიდის სიკვდილის გამო შესაძლებელი იყო კრიმჰილდეზეც ეძიათ შური, როგორც წარმომადგენელზე გვარისა, რომელმაც იმსხვერპლა იგი. ამიტომ არწმუნეს ზიგმუნდი კრიმჰილდეს ასეთი რამ არ მოხდებოდა.

(1116. IV) რ ო გ ო რ ც დ ი ლ ი ს ს ა ჩ უ ქ ა რ ი . . . - ქორწინების პირველი ღამის შემდეგ, დილით, ქმარს უნდა მიერთდეს მეუღლისთვის საჩუქარი.

(1143. I) ჰ ე ლ ხ ე - ატილას (ეტცელის) პირველი მეუღლე. ატილას დროინდელ წყაროებში იგი კერკეს სახელით არის ცნობილი.

(1143. II) დ ა ი ს უ რ ვ ა ე ტ ც ე ლ მ ე ფ ე მ . . . - ეტცელი (ატილა) - ჰუნთა მეფე (დაბადების თარიღი უცნობია. მოჰკლეს 453 წ.) იგი დიდად პოპულარული იყო შუა საუკუნეებში. ლეგენდარულად ქცეული ატილას პიროვნება სხვადასხვა თქმულებებში განსხვავებულად არის წარმოდგენილი. "სიმღერაში ნიბელუნგებზე", რომელიც ეყრდნობა ატილას დახასიათებას გადმოცემულს თქმულებებში დიტრიხ ბერნელზე, ჰუნთა მეფე ძლიერ,

კეთილშობილ და გულმოწყალე მბრძანებლად არის წარმოდგენილი. ფრანკულ და ისლანდიურ თქმულებებში კი ხარბ, გაუმაძღარ, ველურ ბარბაროსად გვევლინება. ისტორიული ატილა მრისხანე თვითმპყრობელი იყო, რომელმაც მრავალი მხრე დაიმორჩილა.

(1147. III) ბ ე ხ ლ ე რ ნ ე ლ მ ა რ უ დ ი გ ე რ მ ა . . . - რუდიგერი დიტრიხს ბერნელზე არსებულ თქმულებათა პერსონაჟი. ბეხლარნი ავსტრიაშია.

(1159. III) გ ო ტ ე ლ ი ნ დ ე - ესეც დიტრიხ ბერნელზე არსებული თქმულებათა პერსონაჟია რუდიგერის მეუღლედ წარმოდგენილი.

(1180. I) თ ე ვ ა ჰ ა გ ე ნ მ ა ე ს ბ ა ტ ო ნ ი , მ ე მ გ ო ნ ი ა , შ ე ი ვ ი ც ა ნ ი . . . - გერმანული საგმირო ეპოსის "მკლავმაგარ ვალთარიუსის" მიხედვით ახალგაზრდა ჰაგენი ფრანკთა მეფის მძევალი იყო ატილას კარზე, სადაც იმყოფებოდა რუდიგერიც. ჰაგენის მძევლად ყოფნა ატილას კარზე მინიშნებულია მომდევნო სტროფებშიც (მაგ. 1189, 1201, 1205, 1419 და სხვ.).

(1296. IV) პ ი ლ გ ე რ ი ნ (პ ი ლ გ რ ი ნ) ე პ ი ს კ ო პ ო ს ი . . . - უტეს ძმა, კრიმჰილდეს ბიძა. ამ პერსონაჟს ჰყავს ისტორიული პროტოტიპი: X საუკუნის დასასრულს პასაუს ეპისკოპოსი მართლაც იყო პილგრინი, რომლის საფლავი XII -XIII საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც სასწაულმოქმედი - ყოველგარ დაავადებიდან მლოცველის განმკურნებელი. ის რომ X საუკუნეში მცხოვრები წმ. პილგრინი აღმოჩნდა V საუკუნეში მცხოვრებ წარმართ ატილას გვერდით, ჩვეულებრივი მოვლენა შუასაუკუნეობრივი ეპოსისათვის.

(1304. I) ე ნ ზ ა , ტ რ ა უ ნ ი - დუნაის შენაკადები.

(1328 II) მ ე დ ე ლ ი კ ი (მელკე) - ქალაქი ავსტრიაში მდინარე დუნაიზე.

(1331. I) ტ რ ა ი ზ ე მ ი (ტრაიზენი) - მდინარე, საიდანაც იწყებოდა ჰუნთა სამეფო.

(1345. III) ტ უ რ ი ნ გ ი ე ლ ი მ ო დ გ ა ი ნ ფ რ ი დ . . . - ფიქრობენ, რომ ინფრიდ ტურინგის მეფის ჰერმანფრიდის (მეფობდა VI საუკუნეში) სახელიდან არის წარმომდგარი.

(1346. II) ბ ლ ო დ ე ლ ი - ატილას ძმა. გამოცემის მიხედვით ატილამ (როგორც საშიში მეტოქე) თავიდან მოიცილა იგი.

(1347. I) დ ი ტ რ ი ხ ი - გერმანული საგმირო ეპოსის ცნობილი პერსონაჟი - დიტრიხ ბერნელი. მისი პროტოტიპია მეფე თეოდორიხ დიდი (471-526), რომელმაც დაიპყრო იტალია (493 წ.). თეოდორიხის რეზიდენცია იყო ბერნი (ვერონა) ეპოსის მიხედვით, სამეფოდან გაძევებულმა თეოდორიხმა ატილას კარზე იპოვა თავშესაფარი.

(1376. I) ჰ ა ი მ ბ უ რ გ ი - უნგრეთის საზღვარზე მდებარე ქალაქი.

(1525. I) შ ვ ა ლ ფ ე ლ დ ი (შვალბენფელდი) - ფრანკონიის, შვაბიისა და ბავარიის საზღვარზე მდებარე მხარე.

(1591. I) მ ო რ ი ნ გ ე ნ - ქალაქი დუნაიზე ბავარიაში.

(1662. I-II) ქ ა ლ ა ქ ე ა რ ე თ გ ა მ ო ს ვ ლ ა ს ა ი ჩ ქ ა რ ო დ ა მ ა რ კ გ რ ა ფ ი ნ ა თ ა ვ ი ს ლ ა მ ა ზ ა ს უ ლ ი თ უ რ თ . . . ეტიკეტის მიხედვით ქალები შინ ხვდებოდნენ სტუმრებს. ქალაქს გარეთ მარკგრაფინასა და მისი ასულის სტუმრებთან შეხვედრა საგანგებო პატივისცემის ნიშანი იყო.

(1699. III) მ ო ა გ ო ნ დ ა მ ე რ უ დ უ ნ გ ი . . . - რუდუნგი ზოგიერთი გადმოცემით ძმა იყო გოტელინდისა. სხვა გადმოცემით - შვილი, რომელიც მოჰკლა ვიტეგემ. ეს ამბავი მოთხრობილია თქმულებაში დიტრიხ ბერნელზე.

(1718. II) ჰ ი ლ დ ე ბ რ ა ნ დ ი - დიტრის ბერნელი აღმზრდელი და  
საჭურველმტვირთველი. შემონახულია ფრაგმენტი საგმირო ეპოსისა "სიმღერა  
ჰილდებრანდზე", რომელშიც მოთხრობილია დიტრის ბერნელთან ერთად სამშობლოდან  
გაძევებული ჰილდებრანდის უკან დაბრუნება 30 წლის შემდეგ და ბრძოლა  
ჰადუბრანდთან (თავის ვაჟთან), რომელმაც დაუჯერა ჰილდებრანდს, რომ მამა იყო მისი.  
(1721. II) ა მ ე ლ უ ნ გ ე ბ ი - ოსტგოტთა დინასტიის გვარი, რომელსაც ეკუთვნოდა  
დიტრის ბერნელი.  
(1756 II) მ ე მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ე მ ძ ე ვ ლ ა და ქ ო რ ი ყ რ მ ა კ ე თ ი ლ შ ო ბ ი ლ ი . . . - ეტცელი  
გულისხმოს ვალთერსა დ ჰაგენს.  
(2344. II - III) ვ ა ს გ ე ნ შ ტ ა ი